


K 232.672
3

საქართველოს
საბჭოთავო
ენციკლოპედია

იოსებ გრიშაშვილი

ქალაქური ლექსიკონი



იტყმ გრძიშაშვილი



ქალაქი ლეჩხუბნი

(სააბქიუთ მასალა)

გამომცემლობა „სამშობლო“
თბილისი 1997

199.962.1(038)



თქვენი წიგნი

ლექსიკონი გამოსაცემად მოამზადა
რუსუდან კუსრაშვილმა

იმთავიერო იბრაჰიმი

რუსუდან კუსრაშვილი

1997.06.27

საგვ-2000
შემოწმებულია

© გამომცემლობა „სამშობლო“, 1997.

საქართველოს
პარლამენტის
მკვლევარის
ბიბლიოთეკა



0. 205

პოტი-აკადემიკოსი და მკვლევარი იოსებ ბრიზაშვილი, როგორც ლექსიკოგრაფი, ქართველ მკითხველთა უფროს საზოგადოებისათვის დღემდე სრულიად უცნობია. არადა, დიდი იმანე ჯავახიშვილის რჩევით იგი 30 წლის მანძილზე აბრუვებდა კველი თბილისის მრავალფეროვან ლექსიკას.

ი. ბრიზაშვილის გარდაცვალებიდან სამი ათეული წლის შემდეგ ქართველ მკითხველს საშუალება ეძლევა გააცნოს მას ახალ ამალაში – ი. ბრიზაშვილს, როგორც ლექსიკოგრაფს.

ძალაქური (თბილისური) ლექსიკონი, ვფიქრობთ, დიდ დასმარებას გაუწევს განსაკუთრებით მათ, ვინც დაინტერესებულია კველი თბილისის ყოფითა და ლექსიკით.

თავისი ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლიტერატურული თუ ფოლკლორული ხასიათით ლექსიკონი უნიკალურია, ხოლო ლექსიკონობიური თვალსაზრისით იგი ერთადერთია, როგორც ერთი ძალაქის, კერძოდ, თბილისის ლექსიკონი.

შენახალი

იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულია საინტერესო სალექსიკონო მასალა, რომელიც შეიცავს ძველი თბილისის მდიდარ ლექსიკას. საერთოდ, ი. გრიშაშვილის არქივში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის ლექსიკონი, რომელთაგან ძირითადია „ქალაქური ლექსიკა“. ამას გარდა ცალ-ცალკეა გამოყოფილი მცირე მოცულობის ლექსიკონებიც: ხელოსნების, ყარაჩოღლური, ა. ცაგარლის, გ. სუნდუკიანცის, ალ. ჭავჭავაძის, საიათნოვას, ეკ. გაბაშვილის, ფარსადან გორგიჯანიძის, ილიას, ვაჟას, ვ. ბარნოვის, რ. გვეტაძის, შირვანზადეს ცალკეული ნაწარმოებებისა და ა. შ. (ზოგში მხოლოდ რამდენიმე ერთეული ან ათეული სიტყვა შედის). მათგან შედარებით ყველაზე დიდი მოცულობისაა ლექსიკონი „სხვადასხვა“. ჩვენს გამოცემაში წარმოდგენილია ლექსიკური მასალის ძირითადი ნაწილი, რომელსაც ი. გრიშაშვილმა ხან „ქალაქის ლექსიკა“ უწოდა, ხან „ქალაქური ლექსიკა“¹. ლექსიკონი, როგორც აღვნიშნეთ, მდიდარ და საინტერესო მასალას შეიცავს ქალაქური ანუ თბილისური (ადრე თბილისის ქალაქსაც ეძახდნენ) ლექსიკისა. ამგვარი ტიპის ლექსიკონი ერთადერთია მთელს ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში და ამდენად დიდად ფასეულიც. მიზანშეწონილად ვცანით, აღნიშნული მასალა იმ სახით დაგვეტოვებინა, როგორც ი. გრიშაშვილის ხელიდან გამოვიდა, ე. ი. გამოსაცემად მოგვემზადებინა თბილისური ლექსიკონის ე. წ. „საარქივო მასალა“. ასეთი იყო თვით ი. გრიშაშვილის სურვილიც (იხ. მისი „წინათქმა“). რადგან ავტორისეულ ლექსიკონს ვცემთ, ამის გამო ჩვენ გადავუხვიეთ იმ დაკანონებულ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ყველა სახის ლექსიკონის გამოცემას. ამას შემდეგი გარემოებით ვხსნით:

1. ი. გრიშაშვილის ლექსიკონში წარმოდგენილია როგორც სალექსიკონო ერთეულები, ისე საკომენტარო, გეოგრაფიული, საკუთარი სახელები,

¹ დასახელებული ლექსიკონების სიტყვათა დიდი უმრავლესობა ი. გრიშაშვილმა „ქალაქურ ლექსიკაში“ შეიტანა, რომლის გამოცემაც მას სურდა. ი. გრიშაშვილმა ქალაქური ლექსიკა შეკრიბა, ხოლო ამ ლექსიკიდან ჩვენ ლექსიკონი მოვაზადეთ. ამიტომ წინამდებარე ლექსიკონს „ქალაქური ლექსიკონი“ ვუწოდეთ.

ფრაზეოლოგია, ქართული და თბილისური გამოთქმები, მდიდარი ფოლკლორული მასალა და ა. შ.

2. სალექსიკონო ერთეულებად გატანილია ერთი და იმავე სიტყვების სხვადასხვა ფორმები (მაგ. აბიაბრუებს ა-ზე მიდის, ბეაბრობა – ბ-ზე და სხვა).

3. ხშირად ი. გრიშაშვილს განმარტების ადგილზე უბრალოდ მიწერილი აქვს (ზოგჯერ ფრჩხილებშიც) ამა თუ იმ მიწერის გვარი და მისი ნაწარმოების დასახელება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სიტყვა მას ამ ნაწარმოებში შეხვედრია. ამათგან ზოგან წელი და გვერდი აქვს მიწერილი, ზოგან – არა. ხშირად ამა თუ იმ ნაწარმოებიდან ციტატაა მოტანილი ყოველგვარი მითითების გარეშე.

4. ი. გრიშაშვილი ხშირად მიუთითებს, რომ ესა თუ ის სიტყვა საბას, დ. ჩუბინაშვილს და სხვა ლექსიკოგრაფებს აქვთ ან არა აქვთ თავიანთ ლექსიკონებში. თუ სხვაგვარად აქვთ განმარტებული, ესეც აღნიშნული აქვს. ამის შესახებ არქივში დაცულ რვეულში (№ 1651 ა) ი. გრიშაშვილი წერს: „ამ ლექსიკონის (იგულისხმება წინამდებარე ლექსიკონი – რ. კ.) შედგენის დროს გადავათვალიერეთ შემდეგი ლექსიკონები, რათა არ შეგეპარეოდა სხვათა ლექსიკონებში შეტანილი სიტყვები და თუ ასეთი აღმოჩნდა ამ ლექსიკონში, ჩვენ იგი სხვანაირად გვაქვს განმარტებული. აი ესენიც: საბა, დ. ჩუბინაშვილი, ლადო აღნიაშვილი, თედო სახოკია, კ. ბალაშვილი, ვ. ბერიძე, მ. ჯანაშვილი, ილია ჭყონია, კ. ყიფიანი, თ. რაზიკაშვილი, დ. ყიფიანი, ეპ. კირიონი, შოთას ლექსიკონები, აკ. შანიძე და სხვა“.

5. არის შემთხვევა, როცა ი. გრიშაშვილი კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს რომელიმე სიტყვას ან განმარტებას ან იქვე გამოთქვამს თავის მოსაზრებას.

6. ლექსიკონში ბევრი ფსევდონიმია მოხსენებული. ი. გრიშაშვილი იქვე შიფრავს ზოგ მათგანს. ზოგჯერ მათ წარმომავლობასაც ადგენს.

7. ავტორი ხშირად უამბობს მკითხველს ამა თუ იმ მოვლენაზე, ძველ თბილისურ ადათ-წესებზე, ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე. ლექსიკონში წარმოდგენილია ქალაქური კულინარიაც.

8. ზოგჯერ სიტყვები განმარტებულია ქართულ-რუსულად ან, იშვიათად, მხოლოდ რუსულად. ზოგჯერ გამოტანილია სიტყვა, მისი განმარტება კი არ არის, ე. ი. გრიშაშვილმა ვერ მიაგნო მის მნიშვნელობას, მაგრამ მაინც არ დაკარგა ეს სიტყვა ან, უბრალოდ, არ ჩათვალა საჭიროდ მისი განმარტება.

9. როცა ი. გრიშაშვილი ხმარობს სიტყვას „აქ“, ეს ნიშნავს – „თბილისში“ (აქ ასე ამბობენ, აქ ასე იხმარება და ა. შ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულმა, რაც, საერთოდ, ჩვეულებრივ ლექსიკონს არ უნდა ახასიათებდეს, „ქალაქურ ლექსიკას“ კი აქვს, გვაფიქრებინა, რომ

ჩვენ ხელთ გვაქვს არა ჩვეულებრივი ლექსიკონი, არამედ გამოკვლევა-ლექსიკონი. ამიტომ გადავწყვიტეთ მისი დაბეჭდვა, როგორც საარქივო მასალისა, ე. ი. იმ სახით, როგორც თვით ავტორს აქვს შესრულებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ი. გრიშაშვილის სახე, როგორც მეტად ორიგინალური ლექსიკოგრაფისა და მკვლევრისა, დაიკარგებოდა. ამას მხარს უჭერს ამ გამოცემის მეცნიერული პრინციპიც, როცა ტექსტს ავტორის ნებას ვუმორჩილებთ¹.

ლექსიკონზე მუშაობის დროს მცირეოდენი და აუცილებელი ჩარევა მოვახდინეთ:

1. ეს უამრავი მასალა დავალაგეთ ანბანისა და შიდაანბანის მიხედვით.

2. ი. გრიშაშვილს ხშირად რამდენიმე სალექსიკონო ერთეულად გამოაქვს ერთი და იმავე სიტყვის ერთი და იგივე ფორმა. ასეთი იდენტური ფორმებიდან დავტოვეთ მხოლოდ ერთი, მისი სხვადასხვა მნიშვნელობა კი ნუმერაციით აღვნიშნეთ. ასევე გამოვყავით ერთმანეთისაგან ნუმერაციით სიტყვის ერთი და იმავე მნიშვნელობის სხვადასხვანაირი განმარტებანი.

3. ხშირად ი. გრიშაშვილს ფონეტიკურად სახეშეცვლილი ერთი და იგივე სიტყვა ცალ-ცალკე ერთეულად გამოაქვს. ჩვენ ისინი გაკაერთიანეთ პარალელურ სალექსიკონო ერთეულებად (მაგ., ამფონანი//ამფუანი, ამსონი//ამფსონი, მიამიტი//მეამიტი და სხვა)².

4. ლექსიკონი ჩავასწორეთ პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის მიხედვით.

5. არის ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც, ვფიქრობთ, მწერლის ლაფსუს-კალამი არ უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში მას უცვლელად ვტოვებთ და სქოლიოში ვწერთ — „ასეა“.

6. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ლექსიკონის შავ ვარიანტში (იხ. არქივი, 1-1651) აღმოსავლური უცხო სიტყვები განმარტების დროს შესაბამისი ენის ტრანსკრიფციით არის დაწერილი. ლექსიკონის გადართობებისას ი. გრიშაშვილს უცხო ტრანსკრიფციით დაწერილი სიტყვები აღარ შეუტანია

¹ აქვე გვინდა დავუმატოთ, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც, სიტყვის განმარტებას არ შეესატყვისება მისი ილუსტრაცია. ასევე ზოგი სიტყვის რამდენიმე განმარტება შინაარსობრივად თითქმის ერთნაირია. ზოგჯერ განმარტებას წინ უსწრებს ილუსტრაციები. ზოგი სიტყვა კი სწორად არ არის წარმოდგენილი. ჩვენ ყველაფერი ეს უცვლელად დავტოვეთ. ასევე უცვლელად დავტოვეთ ლექსიკონის ავტორის ენა და სტილი.

² აღსანიშნავია, რომ ამ ასოზე გამოტანილია ისეთი სიტყვები, რომლებიც სხვა ასოებზეც გვხვდება სალექსიკონო ერთეულებად პ-ს გარეშე (მაგ. პაიფოსტ — აიფოსტ, პოვისლა — ოვისლა, პასახი — ახასი...). რადგანაც მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია, გამოწკილის სახით, ისინი აღარ დავაჯუჯუეთ პარალელურ ფორმებად მის იდენტურ სიტყვებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ასოზე გატანილი სიტყვების რიცხვი საკმაოდ შემცირდებოდა და, რაც მთავარია, ი. გრიშაშვილის ნებაც დაირღვეოდა.

და ქართულად მიუთითებს მათ სადაურობაზე. შავი ხელნაწერი კი შემდეგ მთლად გადაუნახავს. ჩვენ, რასაკვირველია, გავითვალისწინეთ ავტორის ბოლო ნება.

როგორც აღვნიშნეთ, ლექსიკონი შეიცავს ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ, ეტიმოლოგიურ, ფოლკლორულ საინტერესო მასალას, რომელმაც თავის მხრივ შეიძლება მკვლევარ-სპეციალისტთა შორის დავაც კი გამოიწვიოს. მაგრამ ვფიქრობთ, ეს ოდნავადაც არ შეამცირებს ლექსიკონის ღირსებას. იგი იშვიათი შენაძენია ქართული ლექსიკოგრაფიისა.

დაბოლოს, ი. გრიშაშვილის „წინათქმისათვის“. არქივში დაცულია კონვერტი (№ 1650), რომელშიც დევს პატარა წიგნაკად შეკრული კალენდრის ფურცლები (კალენდარი დათარიღებულია 1928 წლის სექტემბერ-ნოემბრის თვეებით). მათი მეორე, სუფთა გვერდები ავტორს გამოუყენებია „ქალაქის ლექსიკის“ წინასიტყვაობისთვის და სათაურად „წინათქმა“¹ მიუცია. იგი დაწერილია ფანქრით. პირველი ფურცელი ყდის მაგივრობას ეწევა, შუაში დიდი ასოებით წერია „წინათქმა“. ფურცლის ზემონაწილზე მიწერილია ძღვნა: „ამ ქალაქის ლექსიკას ვუძღვნი დედაჩემს, რომელმაც პირველად დამაწყებინა ქართული ანბანის კითხვა. ი. გრიშაშვილი“. „წინათქმის“ ქვეშ ქვესათაურად ფრჩხილებში მოთავსებულია „მასალები ქალაქის ლექსიკის წინათქმისთვის“. ხოლო თავფურცლის ქვემოთ კკითხულობთ: „და მეც ვიკისრე ეს უმადური საქმე. ი. გრიშაშვილი“. კალენდრის შემდეგი ფურცლიდან იწყება წინასიტყვაობის ტექსტი, რომელსაც სათაურად კვლავ აწერია „წინათქმა“. ამ მთავარი ტექსტის გარდა კონვერტში აწყვია ცალკეული ფურცლები, რომლებზედაც ავტორს სხვადასხვა ჩანაწერები გაუკეთებია. ჩანაწერებს თავზე აწერია: „წინათქმისთვის“, ან „ეს შევიდეს „წინათქმაში“. ჩანს, ი. გრიშაშვილს მთავარი ტექსტის დაწერის შემდეგ კვლავ გასჩენია სხვადასხვა საკითხი, რომლებიც ცალკეულ ფურცლებზე ჩაუნიშნავს და განუზრახავს მათი შეტანა ამ ძირითად ნაწილში. „წინათქმის“ ტექსტი შავის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ თავს უფლება მივცით ზოგი გაუმართავი ადგილი სტილისტურად დაგვეხვეწა. ამავე დროს გავითვალისწინეთ ავტორის სურვილი და ტექსტი ზემოხსენებული ცალკეული ჩანაწერებითაც შევავსეთ, გავმართეთ და ამ სახით წარმოვადგინეთ წინამდებარე გამოცემაში.

რ. კუსრაშვილი

¹ სახი ყველგან ჩენია — რ. კ.

წინათქმა

„ძველი სიტყვების მიხედვით ჩვენ შეგვიძლიან ძველი კულტურის აღდგენა“.

გ. ნ. პოკროვსკი

ამ წიგნის ხელში აღებისთანავე ზოგიერთი ცრუმოქართულე, რომელსაც თავისი უცოდინრობის დაფარვა უნდა, წამოიძახებს: „ეს სიტყვა ხომ ქართული არ არის“. ვეთანხმები ჩემს დილექტანტს მტერ-მოყვარეს, რომ აქ მოხსენებული ზოგიერთი სიტყვა არ არის წმინდა ქართული. მაგრამ ასე რომ ვიაროთ, თვით ეს ქაღალდი, რომელზედაც ამ წინასიტყვაობას ვწერ, სპარსული სახელწოდებიდანაა წარმომდგარი („ქაღზ“). ეს „ოთახი“, სადაც ვიმყოფები, სპარსულია. „ფიქრი“ და „აზრიც“, რომლითაც ამას ვწერ, სპარსულია. ეს კალამიც სპარსულ „კალამს“ ენათესავება და სხვა ათასი სიტყვა. მაშ, მოვდგეთ და ამოვაგდოთ ჩვენი ენის სალაროდან! მე ჩემით კი არ მომიგონია ეს სიტყვები. ეს ლექსიკონი შედგენილია ცოცხალი ხალხური საუბრის მასალაზე და ზოგიერთი სიტყვის გაფენობას თვით ჩვენი კორიფეებიც სცდილობდნენ. ამიტომ არის, რომ ამ ცოცხალ სიტყვებთან ერთად მოხსენებული მაქვს ის ავტორებიც, რომლებმაც ამ სიტყვებს მოქალაქეობრივობა მოუპოვეს და თავიანთ ნაწერებში დააკანონეს, თუმცა არც ერთ ლექსიკონში არ არის ან განზრახ გამოტოვებულია ეს სიტყვები. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ცხადპოფს იმ აზრს, რომ ქართველი კლასიკოსებიც ხალხიდან ჰკრეფდნენ სიტყვიერ მასალას, ტერმინის შესატყვისს და სხვ. მაგალითად, მთარგმნელებს რამდენჯერმე მოუმართავთ ჩემთვის – ლექსიკონებში ვერ ვიპოვეთ ესა და ეს სიტყვა, როგორ იქნება ქართულადო: მორდან ოზორნიკ ან ოზორნიჩესტვო. ამნაირ ტერმინებს და გამოთქმებს მხოლოდ ჩემი „ქალაქის ლექსიკა“ უშველის. მორდა – სიფათი, ოზორნიჩესტვო – ანგლობა. შეიძლება სთქვან ლამაზი სიტყვები არ არისო, მაგრამ განა მორდა და... (გამოტოვებულია – **რ. კ.**) რუსულ ენაზე ლამაზი სიტყვებია? მაშ, რატომ არ უნდა შემოვიდეს ეს საუნჯე ჩვენს ლიტერატურაში,

რად უნდა განვდევნოთ. დეე იყოს, იცოცხლოს, თუ არ მოგეწონებათ, ვინ გატანთ ძალას, რომ იხმაროთ! თ. რაზიკაშვილის თქმისა არ იყოს: „იყოს ლექსიკონში და ნუ დაისწავლით!“ („ივერია“, 1900 წ., № 127). აქ ბევრ სიტყვას ახალი განმარტება ეძლევა. ზოგჯერ ადგილი აქვს სიტყვის მნიშვნელობის ცვლას და ერთი და იგივე სიტყვა წინათ სხვანაირად იხმარებოდა, ეხლა სხვა მნიშვნელობით იხმარება. ბევრი დავიწყებულია და ახალი სიცოცხლე მიეცა. ცუდი სიტყვაა ჩაროზი? — Decerit, ნუგბარი, გაუარჯლდა? ბევრია ხელოსნების უცნობი ტერმინიც. რატომ არ უნდა დამკვიდრდეს ლიტერატურაში სიტყვები, რომლებიც ჩვენს მამა-პაპებს ძეგლსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი და დღეს ნელინელ დავიწყებას ეძლევა. ეს ჩვენს ერს არ უნდა დაუკარგოთ. თ. რაზიკაშვილის თქმისა არ იყოს: „რაც შეეხება იმ აზრს, რომ უცხო ენების სიტყვები განვდევნოთ ჩვენის ლიტერატურადანაო, ძალას ვინ გვატანს — ლექსიკონში ესა და ეს სიტყვა სწერია და უნდა ისწავლოთ“ (თ. რაზიკაშვილი, „ივერია“, 1900 წ., № 127). ჩვენი ერის ისტორიული განვითარების გამოსარკვევად საჭიროა ყველა იმ სიტყვის ჩაწერა, რომლებითაც ჩვენი მამა-პაპა ლაპარაკობდნენ. თითქმის ყოველდღე გაზეთებში კვითხულობთ: „ფაშისტების ყალთაბანდური ხრიკებიო“. რა არის „ყალთაბანდი“, თუ არა უცხოური. რატომ იხმარეს არაქართული სიტყვა? იმიტომ, რომ ამ მოვლენას სხვა სიტყვა ვერ გამოხატავს. შეიძლება ასეთ სიტყვებს თბილისის მოსაზღვრე სხვა ერიც ხმარობდეს, მაგრამ მაინც ქალაქურია, თბილისურია და თბილისი ზომ მეტროპოლიაა აღმოსავლეთისა, სადაც ეს ენის შემკრებლობა ერთ მთლიან სანდო ფოკუსშია მოქცეული. თბილისი, როგორც საქართველოს გული, ბევრ უცნობ სიტყვას იკრებს თავის გარშემო. თბილისის ენა ძარღვიანი ენაა, ფერადოვანია. ხშირად ზოგიერთი ტერმინი ამ ენაზე ისე მკვეთრად და მოსხლეტილად ისმის, რომ არსებული საგნის შესატყვისი გულსავედ გამოკრთის. თბილისურ ენას აქვს ინტონაციების საიდუმლოება და მეც 30 წელია სათუთად კვრებ თბილისში განაგონ სიტყვებს, რომლებიც არც ერთ ლექსიკონში არ არის მოხსენიებული.

აქ ხშირად ვასწორებ ზოგიერთი ლექსიკოგრაფისტის შეცდომებს: მაგ., დ. ჩუბინაშვილი სარგებლობდა ზ. ანტონოვის თხზულებანიით. იქ ბევრი სიტყვა არ არის სწორად გაკებული (ზ. ანტონოვის და მასთან გ. ერისთავის პიესებში ნახმარი სიტყვებისაგან არ შეიძლება მათი ფესვის ახსნით დაკმაყოფილდეთ). საჭიროა ამ ცოცხალი სიტყვის დამარცხლა ისე, როგორც ხალხი ხმარობს და როგორც ეს მწერლობაშია შემოსული. ვიმეორებ, შეიძლება ამ სიტყვებს სხვა ერიც ხმარობდეს, მაგრამ საკითხავია ვინ ვისგან წაიღო? ქართველები ერთიპირველი მოდგმაა აღმოსავლეთში. მაშ, ჩვენი წინაპრები რა ენაზე ლაპარაკობდნენ? სამართლიანად წერს მ.



ჯანაშვილი: „ნაადრევად მიგვაჩნია ზოგიერთი მეცნიერის აზრი, თუ ქართულსა და სპარსულში, ან ქართულსა და ბერძნულში არის მსგავსი ან ერთნაირი სიტყვა, უეჭველად იგი უნდა იყოს ან სპარსული ან ბერძნული და არა ქართული. მართალია, ქართულშიც ირანიდან შემოდიოდა მძლავრი ტალღა, მაგრამ არანაკლები სიძლიერით ირანშიც შედიოდა საქართველოდან. მედეას მიერ მიდიის დაარსების ლეგენდასაც რომ თავი დავანებოთ, მაინც შეგვჩვენებს მრავალი წვლილი, მაჩვენებელი იმისა, თუ რა სიძლიერით უნდა ემოქმედნა ქართველთა სისხლს სპარსეთის ერის დადუღებაში“ (მეგრე აქ მოტანილია ცნობა, რომ V საუკუნეში ქართველები სპარსელებს აძლევდნენ ას-ას ქალ-ვაჟს – ი. გრ.) (იხ. მ. ჯანაშვილის „ნაშრომი“, 1917 წ., გვ. 77). ამიტომ ჩვენ ეს სიტყვები, თვინიერ ორი-სამისა, ქართულად მიგვაჩნია.

სპარსული და თურქული გავლენა ძლიერი იყო საქართველოზე. ეს თითქმის იწყება იმ ხანიდან, როცა როსტომ მეფემ მუსლიმანობა მიიღო (1634 წ.), ამიტომ აუარებელი სიტყვა, რომელიც ჩვენა გვაქვს, სპარსულია, თურქულია და სხვა. ამას მოჰყვა რუსული ენის გავლენაც. მაგრამ ეს სიტყვები შენამატია მხოლოდ ქართული ენისა.

ქართული ენა მდიდარია. ხშირად ერთ აზრს რამდენიმე სიტყვა ეფარდება. ჩვენ ლექსიკონში ბევრი საჩოთირო სიტყვა შემოვიტანეთ... მაგრამ „არა იმიტომ, რათა საქირდლად იყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის ავწერე“ (საბა).

ქალაქური ენაც, ჟარგონი (არგო) იქ იბადება, სადაც გონებამახვილი ხალხია, მხიარული, დარდიმანდი; სადაც სიცოცხლის და ადამიანის დაუშრეტელი სიყვარული სუფევს.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ეს არ არის „გრიშაშვილის ლექსიკონი“, როგორც პოეტის. ჩემი ლექსის ენა დაეძმობილა ძველი მწერლების ენას (შოთას, საბას, ივ. მაჩაბლის, შექსპირის, გრ. ყიფშიძისა და ივ. მაჭავარიანის თარგმანებს). რასაკვირველია, მაქვს ქალაქის ლექსიკონის სურნელებაც, მაგრამ ესეც მაშინ, როცა აზრის გამოსათქმელად სხვა საბადლო სიტყვა არ არსებულა. შეიძლება აქ იყოს ბევრი სიტყვა გულუბრყვილოდ ახსნილი, ე. ი. მისი შესატყვისის, მისი ძირის ჩემებურად ახსნა, მაგრამ არავითარი პრეტენზია არა მაქვს – „მცოდნეობის რაყაში“ მივიკრა და შოთას სახედარივით ვუცილობდე. მე მხოლოდ ეს სიტყვები დავაგროვე და, როგორც მასალა, დავტოვე ძველი თბილისელი პოეტის სახსოვრად.



ს

ათამთამა – ითქმის სქელგავიანი ქალის ტანის რხევაზე. იხ. თ ა მ თ ა მ ი.

ააჰაჰა – სცემა, სახეში გაარტყა.

ააცივა – მოიპარა.

აბა – 1. ფართე და გრძელი წამოსასხამი, აქლემის მატყლისაგან ნაქსოვი. ჩვენი კაბა აქედანაა წარმ. 2. თათრული წამოსასხამი ფეხებამდე. 3. საშინაო ხალათი. „მუშაითს მისცენ ხალათი, ზედ წამოსახენ აბას“ (თეიმ. II, ანთოლოგია, II, გვ. 161). 4. სქელი მაუღისაგან გაკეთებული წამოსასხამი. მოლი.

აბაბანებლა – „ნემს გვერდით დაჯდა ერთი ნაცნობი, რომელსაც ციებისაგან აბაბანებდა“ (იაკობ სვიმონიძის – ი. გოგუბ. რეცენზია, „ივ“, 1889 წ., № 51).

აბაზანა –

აბანოზი – მაგარი და შავი ხე. ეკალმუხა. განსაკუთრებით ავეჯის გასაკეთებლად ხმარობდნენ. ჩვენში „აბანოზის კამოდს“ კაკლის კამოდს უწოდებენ. აბანოზის კამოდი – ერთგვარი შავი და მაგარი ხის კამოდი (ეკალმუხა).

აბანოს ჭია –

აბაში – 1. ექიმი, შინაური მკურნალი. 2. შინაური წამლეულობით მკურნალი.

აბჟლა – „ეს ამოდენა ქუსლები იქნება? ფეხი როგორღა გადავდგა, აბჟლა ხომ არა ვარ“ (გ. სუნდ, „ხათაბლა“, მოქ. III).

აბჟლაური – ვაშლის ჯიში.

აბჟხარა//აბჟხარი – გამასხარავება, აბუჩად ავადება.

აბიაბრუეპენ – არცხვენენ. „ამ ჯურის ვითომდა ინტელიგენტები ყოველთვის ყვირიან და ხმაურობენ, აბიაბრუებენ ყველას“. (ფურნ. „ჩვენებური რამერუმე“, გვ. 14, 1894 წ., პატარა კაცისა – ფსევდ. ვ. გუნაისი). „მასპინძელი ჭკუჭკაძე არავის ნებას არ უნდა აძლევდეს, რომ მის სახლში ა. მორთულაძე მუზურნეს ქიმუნჯს ჰკრავდეს და აბიაბრუებდეს“. („ივ“, 1889 წ., № 45).

აბლაჟი – 1. მაღალი, მოგრძო, ახმაზი. 2. უშნოდ აწოწილი. აყლაყუდა. „იმას ჰქონდა აბლაჟი თმა და პირი დაკენკილი“ (გრ. რჩეულოვის თარგ. „გლსარება მარიონ დელ ორბისა“, „ციცკ“, 1865 წ., № ოქტობრის, გვ. 5). 3. მტრედის ჯიშიცაა.

აბლულ-ბაღი – ნამდვილად ა ბ ლ უ ლ-ბ ა ღ ი რ ი. კარგი ხმის მქონე მომღერალი იყო. „ივერიაში“ ასეთი „მოსწრებული სიტყვაა“: „კინტო საზამთროსა ჰყიდდა.

მივიდა ერთი კაცი, საზმთრო აირჩია და ხელი მოუჭირა. — რატომ ხმა არა აქვსო? — ჰკითხა. — ვა! აბლულ-ბალი ხომ არა ხის შიგ, რომ ხმა პქონდესო, — მიუგო კინტომ“ („ივ“, 1893 წ., № 170).

აბოშაპაბ — აღუნებს.

აბრაბუნა — მეტი სახელი იყო ტფილისელი მედუქნესი. იგი მოკლეს პირადულ ნიადაგზე. იყო დარდიმანდი, გულუხვი და გაჭირებულის მეგობარი. აი, როგორ ასწერს მის დაკრძალვას „დროება“: „თბილისის მოქიფე ხალხმა დიდის ამბით დაასოფლავს კინტო აბრაგუნე. თბილისში ძვირად შეხვდებით ვისმეს, რომ აბრაგუნეს სახელი არ გაეგონოს, ამ სახელს ბევრი გაუტყუილებია დიდუბისაკენ, სადაც აბრაგუნეს პქონდა დუქანი. ოთხმა ზურნამ და რამდენიმე არღანმა გააცილა აბრაგუნე. მძაბიჭები ერთობ დაღონებულნი მიჰყვებოდნენ გულუხვს მასპინძელს, რომელიც ხშირად მასპინძლობისათვის არა თუ არას ართმევდა, „ცუდად“ დარჩენილებს პირიქით აჭმევდა, ასმევდა და ჯიბის გროშებსაც აძლევდა ხოლმე“ („დროება“, 1885 წ., № 182. იხ. კიდევ სხვა წერილები: „Новое обозрение“ 1885 წ., № 572 და ი. გრიშ, „ძვ. ტფ. ლიტ. ბოჰემა“, 1928 წ., გვ. 139).

აბრაშალი — მატყლის ძვირფასი შალი.

აბრუ — 1. ავტორიტეტი. „ილიას დამდაბლება და მისი აბრუ გატეხა“ (გრ. ყიფში, „ი. ჭკვეჭკვიძის თხზულებანი“, 1914 წ. შიხ. გელევან. გამოც. გვ. LXXX). 2. პატიოსნება, სინდისი. პირდაპირი შესატყვისი არის „პირისწყალი“ (ნამუსი). „აღებულს მიცემა უნდა თავის ვადაში, თუ არა და აბრუ უტყდება“ — („ივ“. 1886 წ., № 106, გვ. 4). პ ი რ - წ ყ ა ლ ი იხმარება იმერეთში, მითხრა კ. დონდუამ. „აბრუ გაგვიწყდა, ნამუსი წაგვიხდა“ (გ. სუნდა, „იპო“, 64). 3. პრესტიჟი (არა აქვს დ. ჩ.-ს) „ზივარ და ვაჭრობ, სულს ქვეშ უნდა ვითხრა, მძავ. აბრუსთვის ვეღვე დუქანში, თორემ სად იყო ვაჭრობა? (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ., № 9). „აბრუს გატეხას ეცდები“ (ვაჟა, მოთხ. „დათვი“, თ. II). „ევროპიული ჩაცმა აბრუს გამიკეთებს“ (ბ. ჯორჯა, „ციცქ“, 1863 წ., აგვ. გვ. 13). „ირაკლი, ერთხელ და ერთხელ შენს თვალში აბრუ გამიტყდა, რალას დამიჯერებ“ (ილია, „მაჰანკალი“, რუსთ. თეატრის ზელნ., გვ. 18). „როცა სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს გარეკლამებული სამხატვრო თეატრი უმაღლეს წერტილს აღწევდა — სუბმთავალი ქართველური სიღარბისლით აბრუს არ იტყვნდა (გ. გუნია, „ბასტიონი“, 1922 წ., № 23). „სურთ სახელი გაუფუჭონ, საზოგადოებაში აბრუ გაუტეხონ“ (ილია, ტ. IX, გვ. 87). „ამდენმა წვიმებმა ახალმოსულების თვალში აბრუ გაუტეხეს ბორჯომს“ („ივ“, 1886 წ., № 137).

აბუაბული — 1. აბუჩად აგდებული. 2. აჩემებული. 3. განმარტოებული, მასხრად აგდებული.

აბუაბი — 1. გამოშტერებული, გაოგნებული. 2. ყურყუტი (აბუებული და ცეტი). 3. ჩერჩეტი. 4. ლენჩი. „ეი, თქვე აბუეტბო, თუ მოველ“... (ს. შავლ., „მოამბე“, IX, გვ. 91).

აბუზა —

აბუზარი — მკვეზარა. როცა კაცი ბევრ ტყუილს ლაპარაკობს, ეუბნებიან: ჰა, ქარი ნუ ააყენო, და თვით იმ კაცს კი „აბუქარს“ უწოდებენ, ე. ი. მკვეზარას და ტყუილების მომგონს.

აბულრაჰაბს —

აბჯარი — საომარი საჭურველი.

აბანბალა-განბალა - იხ. მთელი თამაშობის აღწერა („ჯეჯილი“, 1890 წ., № III, გვ. 58).

აბჰიოლა - „გრილმა ჰერმა და წვიმებმა აგვიოდა ჭირნახული“ („სოფ“, 1886 წ., № 138), შ ე ნ ი შ ე ნ ა: კორექ. შეცდომაა თუ არსებობს ასეთი სიტყვა?

ადაბაზი - ეშმაკი კაცი.

ადაბხანა//ადაფხანა - ფეხსადგილი, ზარული, ჩემბა (ვ. კოტეჯ, „ხალხ. პოეზია“, 1934 წ., გვ. 428). „შენი ბიძა ვირის აბანოდან ადაფხანის აბანოში ჩააბრძანეს“ (შ. დავით. „ხალხოს მოძრაობა საქართველო“, 1933 წ., გვ. 73). „თქმულნი შენნი ყველა კი ადაფხანური შაქარია“ („სოფ“, 1879 წ., № 7-8, გვ. 101).

აღვიღმაცვალი - ერთ ადგილზე რომ არ ჩერდება, ყარიბი - მოგზაური. ა დ გ ი ლ მ ა ც ვ ა ლ ი ხ ა ლ ხ ი - ეული, მოხეტიალე.

აჰლანბა - „ელენეს სახე აჰლანბა“ (ნ. ავალი, თარგ, „თავადის ქალი“ გვ. 163).

აჰუღლუბინა - აებოლებინა. „ცეცხლი აჰუღლებინა“, ე. ი. კერა არ გაეციებინა.

აჰუღტანა - აეშალა, აეწეწა.

აჰადი//აჰადო - ვცემე ისე, რომ აჰად გაეხადეო. „მივაღ, მაგრამ რომ აჰადოს?“ (ტრ. რამიშ, „მნათ“, 1927 წ., № 5-6, გვ. 39).

აჰადრასტა - ვცემე, სილა გაეაწანი, გაეასილაქე, წარმოებული რუსულიდან: „зрости“.

აჰაოოოლა - ავაწოწოლე, ზე ავიყვანე, აეჯაგნე.

აჰალა - 1. დაგუბებული წყლის გასავალი გზა. „უხლა კი წყალს აჰალა პირალმა აქვს“ („ოთ. ჟურნ.“, თ. XII) ღუმელის მიღზედაც გამიგონია „აჰალა“. ა ვ ა ლ ი - ავალიშვილი. 2. „ყველას საკუთარი აჰალა აქვს მხედველობისა“ (ლელო - ი. მუნარგია, „სოფ“, 1887 წ., № 4). 3. „ეს ის პროგრამაა, რომელიც მითომდა სახელოვანის მარქის მოძღვრებაზეა აგებული და რომელსაც ერთს დროს გერმანიაში ცოტად თუ ბევრად აჰალაჰქონდა“ (ილია ტ. IX, გვ. 132). ერთ ოთხმოცი წლის ავალიშვილს ასეთი სტრიქონი აქვს: „მითხველებს უნდა გაეცნო ჩემი თავდასავალი. სოფლად ვარ დაბადებული, თავადის ჩამომავალი, უზრუნველი და უსაქმო, ზელთ არას გამომავალი, ვითომ ბრწყინვალე გვარისა, ავალიშვილის აჰალი“. (გადმომცა ლიზა ჩერქეზი, 1939 წ., გვ. 15) 4. გზა, (?), ბუზრის მიღზე იტყვიან - კარგი აჰალა აქვსო. „როცა ერთგვარს ბეზლობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზლობას ეძახიან, დიდი აჰალა მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება“ (ილია ტ. IX, გვ. 3).

აჰანანთ ხაჰი - ხშირად ჩაურთავენ ხოლმე ლაპარაკში: „ვა, აჰანანთ ხევი!“ აჰანანთ ხევი იწყებოდა სოლოლაკიდან (ვოზნესენსკის ქუჩიდან), სჭრიდა ერევნის მოედანს და გადიოდა მტკვარში (ეხლაც სჩანს მუხრანის ხიდიდან თალი). 30-იან წლებში ეს ხევი ერევნის მოედანზე დაიფარა თალით, ხოლო შემდეგ ევრონცოვმა გაიყვანა სოლოლაკის ქუჩა.

აჰანბადასტა - ხანაყი, თითბრისაა და მომრგვალებული. აჰანგ - ნიშნავს ფილს და დასტე - ხელს.

აპან-ჩაპანო — გამგებელი, ავ-კარგის მცოდნე, მესაიდუმლე.

აპარა — 1. თავზე ხელაღებული. იხ. „პაჟარნი“, დაღლარა, ხულიგანი, საიდან წარმოსდგება ეს სიტყვა? მე ჯერ მეგონა, რომ აპარა წარმოსდგებოდა დაღესტნის სოფლის სახელწოდებიდან (ი. გრიშ.). ეს უარგყავი ჩემს შავად დაწერილ რეკულში. მე მგონი, აპარა წარმოსდგება იაგარა-დან. როგორც იაგარაქმნილი აკლებულ-გაოხრებულს ნიშნავს, ისევე აპარა ხალხი გაოხრებული ხალხია. 2. პაცანი. 3. ივარი-იქმნა, გაოხრდა, აგარა-გაოხრებული თუ ქალაქ აგარი-დან? 4. საკუთრივ „მონეტიალე“. 5. ქუჩის ბიჭი, ხულიგანი, გამენ. „ერთ კუთხეში ქართველი ავარები ღრუობდნენ“ („ქართ. მწერ“, 1929 წ., № 6-7, გვ. 59. კ. გამხ. ნაწერში). 6. მონეტიალე, მატანტალა (მანანწალა), დაღლარა, „ბობი-კამანდა“. — გამგებინე რად უნდა გასცლოდი? — იმიტომ, რომ მე აპარა კაცი ვარ, დაუღვარი, მფრინავი, ღონ-ჟანი“, (მ. ჯავახ. „ცხრა ქალწული“, „მნათ“. 1935 წ., № 7-8, გვ. 67; „ლაშაში მეგობარი“, მ. ჯავახ. 461, 474). არა აქვს დ. ჩ.-ს. „ქართლის ცხოვრებაში“ არის აგარი ანუ იაგარი.

აპარაპის ერთი —

აპარობა — უსაქმურობა. აგარა-გაქსუებული. „გალავინცხე წვიმა მოდის, ნახლოვდა მშრალი, გოგო, ჩემი აგარობა ეს სულ შენი ბრალია“. (ქლაქ ფოლკ-ის).

აპატალახა — მოვიპარე, ავწაპანე, დავტყუე.

აპაშაბაშე — ხელოსანი რომ საქმეს მორჩება, იტყვის ავაშაბაშეო.

აპაჯა — ტკბილი ხმა სიმღერაში; დაღადისი, ლოცვა. ფილ. ქორიძის განმარტებით: „აპაჯა მელიდია“ („მოგზ.“, 1905 წ., № 37).

აპარდანო — 1. გრძელტარიანი, ღრმა ჩამჩა. 2. ანუ ა ბ გ ა რ დ ა ნ ი — სპილენძის ტოლჩა.

აპარადანო —

აპარაოზი — შელოცვილი ქაღალდი, რომელსაც ავადმყოფს დაუკრებენ ტანსაცმელზე, რომ ავი თვალი არ ეცეს (იმერ. „არ გაითვალოს“).

აპიტრუაპა — ავიბზუკავ დაწუნების ნიშნად. ტუჩს ავუკრავ, ავიბრიცავ, ავაქანებ.

აპიპოფა — წარმოსდგება ძურწა ბალახისაგან. ავიძურწე, ავიბუზე, შემრცხვა.

აპლაბარი — 1. ასვლა ბარზე (ივ. როსტომ. ლექსიკონი და К. Ган, "Опыт объяснения Кавказских географических названий", 1909, ст. 3). 2. ავი და ლაბიარი, ავლაბარი: („საქართ. ცხოვრ.“, გვ. 230).

აპლარიშა — უშნოდ აწოწილი, აყლაყუდა, ვირჯოხა ადამიანი.

აპრა — „მერცხალს გაღვებინენ ფრთებითა, შედღე შუაგულ ავრაზე დამწკრივდნენ დაღვებით“ (მ. მღვ. 1 ტ. გვ. 240).

აპაშო — ძველი სიტყვაა. 1. ქათმის მკერდიდან ჩამონაგლეჯი ორკაპა ძვალი (საწიწკნარა) — არის ერთგვარი სანაძლეო-გასართობი, რომელსაც ამ ავქაშით თამაშობენ და თუ მოიგეს, ეუბნებიან მოგების ნიშნად: „პაი-

დოსტ“, ე. ი. გავიხივ და სანაძლეო მოვიგეო. 2. ქათმის მკერდის ორკაპა ძეალი. ხშირად ამას სანაძლეოსათვის გაითამაშებენ. „დედამ სადილად ქათამი მოხარშა, ნიოს აქვამი ერგო“ („პატარა მშენებლები“ ნ. ნაკაშიძისა, ნ. უნაჟქოშვი. და მარიჯანისა, 1928 წ., სახელგ. გვ. ბოლო). „მეჯღანუაშვილიში“ „საწიწკნარა“ ჰქვიან (თ. VII). აჰჰარა – ბალახია, სურნელოვანი, პიტნის მონათესავე, ჩრჩილის წინააღმდეგ ხმარობენ.

აჰსორცობა – („ოტელი“, 1884 წ., გვ. 41).

აჰამბარი//აჰანბარი//აჰარბარი – გათანასწორება: ღვინის სმის დროს, ქვიფში თუ ფზიზელი ვინმე შემოესწრო, ან თუ დაპატიჟებულია და დაიგვიანა, მაშინ იმას იმდენსავ ალევინებენ, რამდენიც თვით იქ მყოფთ დაუღვევიათ. ამბობენ: „აბა, აჰანბარი დაალევინეთო“ და თუ დალია და იქ მყოფთ გაუთანასწორდა, ეუბნებიან: „აი, ახლა კი აჰანბარში გამოხველიო“. „ლავერდი შენთან (მიაწოდებს ოთხ ჰვიას ერთად), ჯერ ერთი აჰარბარი დაღვი ჩვენთან, გავვისწორდი!“ (აკაკი, „ქინტო“, 1899 წ., № 7, გვ. 66).

აჰანი –

აჰაბი – არაბული სიტყვაა, რაც ნიშნავს: ხელუხლებელს, ხსხსსს, ქალწულს, ცირას. ხაშხედაც ამბობენ: „დღეს აჰაბი ხაში მომიხარშია“, „აჰაბი ხაში გაქვს?“ და სხვა.

აჰარუ! – სიმღერის და ქვიფის დროს სახმარი სიტყვა.

აჰარუჰა – ტარიანი ვერცხლის სასმისი.

აჰარჰარი – ზარმაცი, უკეთებელი, გაურჯელი (თ. რაზიკი, „ოვ“, 1900 წ., № 127). „რაზედ ვეჭმევი ამ აჰარჰარებს“ („სურამის ციხე“, „ფედერაცია“, გვ. 49, 1932 წ.; რ. ერისთ. ტ. IV, გვ. 396-397).

აჰბანდარარუ! – იხ. აზარუ.

აჰბაბი –

აჰბაბო – 1. ძალთ შერისხვა. ამ სიტყვას ძალს ეტყვიან ხოლმე. 2. ძალის დატუქსება (აქეთ გამო).

აჰაბილი –

აჰიბაბ – გულაცრუება, გულის აყრა.


აჰიზი – სათუთი, ნაზი, ნარნარი, ნებიერი; საკუთრივ: ძვირფასი, საყვარელი. „აზიზადა მჟავს გაზრდილი“ (ილია, 1892 წლის გამოც., ტ. III, გვ. 39). „ამ პატარა აზიზ ბუნქებს კი ყველაფერი ემტერებოდა“ (კ. ლორთქი, „ქომ“, 1934 წ., № 165).

აჰიზაანა –

აჰიზ-მაჰიზი – აზიზი, საყვარელი, ტურფა. კარგი რამე, სათუთი, ნაზი, ნარნარი, ნებიერი. დედა ამბობს ხშირად: ჩემი აზიზ-მაზიზად გაზრდილი შვილიო, ე. ი. კარგად და ნებიერად გაზრდილი შვილიო. „ა ზ ი ზ - მ ა ზ ი ზ ა დ გ ა ზ რ დ ი ლ ი“ – სათუთად გაზრდილი.

აჰირ – ბარემ. „გაბრდებით, ჯერჯერობით ეს იყოს და მერე უფრო კარგებს გამოვიტყვო“

2. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი.



ანითო! დალოცვილო, აზირ უფრო კარგებით დაგეწყო, არ ჯობდა?" (ეშმ. მათრახი, 1915 წ., № 9, გვ. 13).

აქ აზირ არ არის თავის ადგილზე ნახმარი ალბად ა ხ ა რ უნდოდა: „ერთი დედაბერი წმინდა გიორგის ზატს ყიდულობდა, მაგრამ იწუნებდა. ვინაიდან წმ. გიორგი ცხენზე არ იყდა. — აზირ, რითი ატყობ, რომ წმინდა გიორგის ზატი არ არის? — კითხვა ვაჭარმა. — განა არ ვიცი? წმინდა გიორგი ცხენზე უნდა იჯდეს. — ვა, შე დალოცვილო, სულ ცხენზე ზომ არ იჯდებოდა, ვერა ხედავ, ძირს ჩამოსულა რაღაც საქმისათვის („ნიანგი“, 1935 წ., № 5). „შე ორ სახედარში მაინც ვარ ნაყიდი და აზირ შენა პოქე“ (ი. მჭედ, „ოიანა-ბუიანა“, გაზ. „მარჯანიშვილის თეატრი“, 1936 წ., № 3, გვ. 5). „რა ჭკვიანურად ლაპარაკობ, აზირ ჯერ ჯვარს დაიწერ, მერე გიჩვილოთ! პა, მოლა მოკვდა, თავზე ფლავი დააყაროს“ (ა. ცაგარ. კომედიები, „ფედერაცია“, 1936. ი. გრიშ. რედ., გვ. 128). „კაკაბა მელა შეტუქსა: რად ჰტყუვი, რად იცრუვეო, მართალი უთხრა პაზირა: ამბავს არ დამოჯერეო“ (ბაჩ., ლექსები და პოემები, 1938 წ., გვ. 114). „მაგრამ სულ ერთი არ არის? პაზირს შაერთო სულელსა“? (ბაჩ., ლექსები და პოემები, 1938 წ., გვ. 466). „აზირ, რა ოსტატურად მოვიქექ“ (გ. სუნდ., „ხათაბაღა“, 1). „აზირ, მაგას ჩემი ქმარი მოსწონს და იმიტომ მეუბნება“? (ყურნ. „ჩვენ გზა“, 1925 წ., № 14-15, გვ. 14). „შე კაი კაცო, პირველშივე გეტუქა აზირ, თუ მაგისთანა ხასიათისა იყავი“? (ვაჟას არაკი „ქართველი კაცი, ღვინის ქვევრი და ბოჩკა“, „განათ“, 1913, № V, გვ. 381). „აზირ სწორე სოქვა“ (მთიულის ნათქვამი გ. ხეჩ. რომანში „ბორკილები“, თავი 44). აზირ — (გ. ერთისთ. თხზ., 1936 წ., გვ. 137). იხ. უნივერსტ. ლექსიკონი, გვ. 1057.

აზიშ — „ნიკოლა (დაცინვით): აზიუ, ვინ არის მთვრალი? მეუ“? (ა. ცაგარ, გაზ. „ცნ. ფურც“, 1900 წ., 8 დეკ.).

აზრშმანო — 1. მუქთახორობა. ტფილისში ღლოთების ჯგუფი იყო. ბოკემისტი თავადები — კოლია ბარათაშვილი, კოლია რატიშვილი, ლელო ანდრონიკაშვილი თავისი ძმებით, შიხი ტუსიშვილი, ტერშმანოვი, ყარალაშვილი — „ტილიპუჭურას“ რესტორანს იკლებდნენ. დააყენებდნენ „კონკას“, ასწევდნენ რელსებიდან, გადააყენებდნენ, შიგ დაფა-ზურნას ჩასხავდნენ და ცხენების გამრეკს ეტყოდნენ, შუაბაზრისაკენ წაგვიყვანეო. მხოლოდ ყარაჩოლელების დუქნებში არ ახდენდნენ სკანდალს. ამათ ხალხი უწოდებდა აზრშმანს, ე. ი. მუქთახორობა ხალხს. 2. რომ იქიფებენ და ფულს აღარ მისცემენ მიკიტანს, ამას აზრშმანი ჰქვიან. ლექსიც არის „არკადია სადილის“ გამო: „აზრშმანი რათ უყავით იმ მიკიტან არტოსა, — კარგი რამე გისწავლიათ, ნეტავი თქვენ პატრონსა!“ (ბეჩარა).

აზღუდი — ქალის ზედაწელზე უსახელებო ჩასაცმელი, მკერდის მზღუდავი. „დედამ კაბა შემოიკრა დარაია შრიალაო, გაკვარ ხელი, გავიხადე, სკივრში ჩავდე ფრიალაო, ნაპერწკალი ჩაყოლოდა სახელ აზღუდამაო, მერე დილით ავხადე, ნავლი მეცა თვალმაო; დავექე და ბევრი ვიტირე იმ ოხერ დარბაზმაო. (ხალხ).

ათაღან-ბაბაღან — 1. უხსოვარ დროიდან (თურქულია: ათა-მამა, ბაბა-პაპა, ბაბუა). „საფრანგეთს ათაღან-ბაბაღან უყვარს ყველაფერი, რაც ახალია: ახალი აზრები, ხელოვნება, სიმღერები, მხიარულება“... (ე. ზოლა, „იუ“, 1889 წ., № 13). ამ სიტყვამ ლი-

ტერატურულად მოქალაქეობა მოიპოვა. აი, ილიას „ივერიაში“ რას კვითხულობთ, ისიც თარგმანებში: „ჩინეთში დედაკაცს არაფრად სთვლიან. ათადან-ბაბადან ისეა, რომ ქმარს შეუძლიან მარტო ცოლის ცემა, გაყიდვა კი არა“ (აფ., 1891 წ., № 91). „კერი-პა, ამას თუ უცადა, კი დროს შეირთავს. ეს ქვეყანა ათადან-ბაბადან ასე იყო და ასეც იქნება“. (კ. გამს. „ლიტ. საქმ.“, 1939 წ., № 28). „მგონია ისევე ისა სჯობია, თავილამ დავეწყო, ათადამ-ბაბადამ, როგორც თითონ ილიას უყვარდა თქმა“ (ი. მუენ. „მნათ“, 1936 წ., № 5-6, გვ. 240). „თუ გინდა სთქვით, რომ წვიმს და ნუ მოყვებით ათადამ-ბაბადამ...“ (იქვე, გვ. 246). „...ამიტომაც ათადან-ბაბადან ცნობილია, რომ ბუკრს ახასიათებს მიმბაძველობის მიდრეკილება“ (მედგარი, „მუშა“, 1936 წ., 30 იანვ.). „ზოლოლოგიურ პარკში მაიმუნები მოკყავთ, იმათ ტფილისში ცხოვრების ნება უნდა ჰქონდეთ, მე კი ათადან-ბაბადან აქური მოქალაქე ვარ და მეუბნებიან ვრედნი ხარ და წადი აქედანაო“ (ს. ფაშალა, „საქო და სულიკო“, „ნინავი“, 1936 წ., № 8, გვ. 8). „ერთი პატარა საკითხის გაშუქებისათვის ათადან-ბაბადან არ უნდა მოყოლა“ (ს. ცაიშ, „კომ. განათ“, 1936 წ., № 9, 5/III).

2. მამა-პაპათაგან. „ელის. საგინაშვილის მოურავს ჩიკოიძეს უმოგზაურია აზრუმისკენ და გზაში შეხვედრია მამადიანები, რომელნიც ქართულს ლაპარაკობდნენ. ჩიკოიძეს გამოუკითხავს ვინაობა, მათ უპასუხნიათ: „ჩვენ არსიდან არ ვართ მოსულნი, ათადან-ბაბადან აქაურები ვართო“ (პ. მირიან, „ცხოვრება“, 1916 წ., № 4, გვ. 31).

ათეშქაში — 1. ცეცხლის საჩხრეკი, იხ. „ბოკემა“. საკუთრივ: ცეცხლის გამოსაღები (საბას განმარტებით). 2. აქანდაზი. ცეცხლის გამოსატანი. პლ. იოსელიანის განმარტებით „ათეშქაში-ცეცხლის შესანახი ჭურჭული“ („Описание древностей города Тифлиса“, 1886, ст. 265).

ათლაპაშა — ზედმეტი სახელია, ბევრის მოლაპარაკეს, გრძელენიანს და მოჩხუბარს ეძახიან ათლაპაშას. იხ. ალაშა.

ათროკიძე — ათრეკს.

ათქლაშუნა — ხილის ჭამაზე ითქმის.

აი — ანუ ქამანჩის (ჭიანურის) დასაკრავი ძუიანი ჯოხი.

აიბეშა —

აიბეშა — 1. აიჩემა, დაიბრიყვა. 2. მასხრად აიგდო. აგრ. რჩეულმა შეუბრალებლად და ცემა-ტყეპით გადორეკა საწყალი ფლორენციის მცხოვრებნი გრემის ქალაქში. ხალხს რომ არ აებუებინათ, მაშინვე ქართული ტანისამოსი ჩაცვა“ (სტისკა, 1861 წ., № III, გვ. 432).

აიდოსტ — 1. შეცნევა, დაფარულის მიხვედრა. ნაძლევი მოვიგე, მ. ჯანაშ. — კაკ-ელისენის სიტყვები (გვ. 117). იხ. დუშელი ვანოს მოთხ. „აიდოსტ“. (სტ. ფურც, სურ. დამ, 1903 წ., № 9).

აიფეშა —

აიპანჭურა — ცალფეხი რომ დაუშავდება ადამიანს და ცალი ფეხით დაიწეებს სიარულს (წარმ. კ ა ნ ჭ ი დ ა ნ). „აიკანჭურა საცოდავმა ფეხი“ (ს. შვალ, ტ. I, გვ. 61).

აილანა —

აილანა — გაწითლდა, დაირცხვინა. „შემოურე, გენაცა, გული ნუ აგელეწება“ (მ. პლკ. I ტ. გვ. 19).



აილურსა — 1. აიწეწა; შეიზიზლა, შეიძულა. „ერთმანეთზე ააღურსეს ქართველი და სომეხი“ (აქვათა ღაღადი, შორეუ გამოც, გვ. 199). 2. შერცხვა, აილევწა.

აიმროზა — 1. ითაკილა (?). არ მოეწონა. 2. ეწვინა, გასწვრა.

აინოთი — 1. წვრილმანი ხანოვაგე. ამ სიტყვას იმერეთშიც ხმარობენ (გ. წერეთ. პიესა „ჯიბრი“, გვ. 69, „კრებულში“). „შეხედუ, ოთხნი პირნი სხედან ტახტზედ მოკეცილები; ლურჯი სუფრა წინ გამილი, ნახევარი თუნგი ღვინო, მწვანილი და სხვა აინოინი, რაც შეეფერება შინაურ ვახშამს“ (მოლაყბუ, „ცისკა“, 1863 წ., № ნოემ, გვ. 334). 2. „აინოინი-აზრი, ფიქრი, აინუნსილა ქმნია.“ (სოე, 1900 წ., № 194). „უგელ, ეგ აინოინი თოვლის წყალივით ჩაივლის“ (ბან, 1938 წ., გვ. 433. აინოინი აქ ოინის მნიშვნელობითაა. სწორი არ არის). 3. წვრილმანი, ხარახურა, ხურდა-მურდა. „ამბობენ: დღეს ბაზარში ვიყავი და აი ეს აინოინი ვიყიდე! და ბაღდან გამოკრულ წვრილმანს აჩვენებს“. 4. ნაყარნუყარი. ვაჟასაც აქვს. აკ. შანიძეს სხვანაირად აქვს ახსნილი (ვაჟა ტ. IV, ლექსიკონი, გვ. 449). „რა თქვენი საკადრისია, ერთობის აინოინი“ (ვაჟა ტ. IV, გვ. 230).

აინუში — (ანუ აინუნში) არაფრად ჩაგდება. „ამან აინუნშიცარ მიილო მამის თხოვნა და სიღნაღში გამაგრა (მ. ჯანაშ, „საქართ. მოკლე ისტორია“, 1884 წ., გვ. 227). „აინუნში აღარ მოსდის ტანჯვა-წამება“ (ს. მაგალ, „წარსულიდან“, „მოამბე“, 1899 წ., № VIII, გვ. 51). ილიასაც აქვს, III ტ. 1892 წ. გამოცემა.

აირანი — 1. მუსლიმანების საყვარელი სასმელია სიცხის დროს, შედგება წყალგარეულ მარცენისაგან („Цветок тифлисской гимназии“, ხელ. ჟურნ., 1836 წ., № V, გვ. 24). 2. შეთხელებული მარწონი დოსავით.

აიტარიცა —
აიზნორა — ინლაური გაგებრაზე, აიფზორა, გაიბერა, გამომიღვა, გავიქეცი: „ვერ დამიჭერ, ვერა, ვერა!“ (ა. გრიშ. სურათ. წიგნი, 1939 წ.).

აივზვა — აიშოლტა, აიწია, მალლა წაყვიდა. გაიზარდა... ნათეს სიმინდზე და მალალ ბაეშეზე ითქმის.

აიგლიაპა — უშნოდ იღლიაში რამ დაიჭირა.

აიძა — კუდი აიძუა.

აიფოვა — ამალღდა.

აიჯაჯა — ცუდად ტანისამოსის ჩაცმა.

აპაპაული — აგრეხილ-ამრგვალეებული, რკალივით გაკეთებული.

კუდაკაკული ცხენი — ამბობენ.

აპანტრუშა — აკანტურებ.

აპირანს — აკრიფეს თუ დაკორტნეს ალაგ-ალაგ?

აპნაწუნაპა — „კანტორასთან ღვანან და მხესუშირას აპნაწუნებენ“ (მიქოიანის სიტყვა, „სოე“, 1936 წ., 22 ივლ., გვ. 2, მე-5-ე სვეტი) აპნაწაქუწი გააქვს ხოლმე. ჩემი „იცი, ოლოლ“ (II ტ. გვ. 7).

აპოკოშაბული — ნახშირის ცალზე ამბობენ: ეგრე ლამაზად არის აკოკოშებული, მაგრამ ქვეშე კი...

აპონკილი — „ეს ხე ძლიან უცნაური იყო, ყველაფერი ზედ იყო აკონკილი“ (მარიჯან, კ. ჩუკოვსკი „მზიანა“, 1936 წ., გვ. 8).



არშუშა – ერთგვარი ცეკვა-გასართობი. ერთი ადგება – მეორე დაჯდება.
ალაბალუხი – 1. კარგი და წითელი დოში, პტყელი და განიერია. „აკულა იღებს დოშის ნაჭერს, მოთალს, მწვანის, ლავაშებს: „მახე ამ ალაბალუხსა და! ესეც მწვანელი, ესეც ლავაშები, ესეც მოთალი“ (აქებო“, გ. სუნდ. 1880 წ., გვ. 24) 2. თევზია წითელხალბებიანი. **ალ-წითელი, ბალის-თევზი**: ფორელი, კალმახი, იშხანი, რუსულადაც გამოდის ალის-ბალის – **Балык** (ა. ცაგარ, ჩემი გამოც. ლექსიკონი). „ჭიპრუას ლქსში შეყრილან ჩვენი ბიჭები. მეც შეველ. პატარა ზაკუსკა, პატარა ალაბალუხი, აქ თულაველ სისუას წითელი ღვინის ჭაშნიკები და გაჩაღა ქეიფი“ (ა. ცაგარ, „არუთინას თავგადასავალი“, „ზანგი“, ჩმივ. გვ. 40) 3. საკუთრივ ღვთის თევზი, ზურგიელი, სათალი, დოში.

ალაბაშა – ძაღლის სახელია.
ალაბურღა – არასერიოზულად. „– სად იყიდე? – აქ. – მეგრელმა მითხრა. **ალაბურღას** კი არ გეუბნები“. ე. ი. არასერიოზულად კი არ გელაპარაკები.
ალაგობრივი – ადგილობრივი. იმახიან: ფული ნუ გსურს, **ალაგობრივ** ფული ხარ. აკაკი ამ სიტყვას ასე ხმარობს: „ერთი შეხედვით ფეხ-ალაგობს, პაჯიმურადი ეგონებოდა კაცს“ (აქრებო“, 1897 წ., № IV, გვ. 14). „ვერელმა შაქრომ ხარფუხელი რომანა ორ „ნიშუტში“ ლაფატკებით დასდო ალაგობრივ“ (მოჭიდავეთა გამოთქმა), „მეუბნებიან: ფული ნუ გსურს, ალაგობრივ ფული ხარ!“ (სკანდ.).

ალაბი –
ალათ-მალათი – გამხმარი თევზის შიგნეულობა.

ალალგადად – იღბალზე.
ალალ-მართალი – „ალალ-მართალი კაცი“. „ალალმართლობა კაცს სიმშლითა კკლავს“ (აღქცეული ოჯახი“, გ. სუნდ.).

ალალმშაბი – ადამიანის დაფარული ავანტურისტული ოინები. „ეიკოლას ალალმუქები სულ გადმოეფაჭე“. (ელ. ჩერქეზ.).

ალალო და სამართალო! – ადამიანი რომ მიდის სადმე გასამარჯვებლად; ამბობს რამდენჯერმე: **ალალო და სამართალო! ალალო და სამართალო!** ე. ი. მე ალალო (მართალო) და შენ ღმერთის სამართალო, მიშველეო.

ალაქდარი – მეღროშე, მებაიარალე.
ალან-თალანი – ამბობენ: ვა, ქვეყანა ხომ **ალან-თალანი** არ არის, რა გინდა ჩემგან, ძალით არაფერს მოგცემო, ვითომ ქვეყანა ხომ გაგლეჯ-გამოგლეჯაზე არ არისო. „ვა, გეშინიან, რომ არ წაგართო? ქვეყანა ალან-თალანი ხომ არ არის?“ (აქებო“, გვ. 277).

ალანთალნობა – გლეჯა-ფლეთაა.
ალანთული –

ალაო – „ალაო ფქვილია“. ხორბალს რომ დაალობენ, იმას ალაო ჰქვია. რომ გაღეწავენ, არ არის კარგად გამოშრალი. პურს აქვს ალაო; რომ მოზელავენ, წყალივით მიდის, რომ ჩააკრავენ-ღვენთავს. **ალაო** – დაფუებული წებოსავით.



ალავი – ხორბლეულით მოვაჭრე. ა ლ ა ვ ა ყოფილა პირუტყვის საჭმელი ბალახეულობა. ა ლ ა ფ ი – 1. ხორბლეულის, ფქვილეულის ვაჭარი. „ღამე ქნაში ვიდოდი, შემთხვევით შევხვდი ალაფსა, მოჯამაგირედ მიმიღო, მაგრეხინებდა კანფსა“ (ლეჩხი საბა შიოელისა, „ფოსტა-ტელეგრაფის ხმა“, 1919 წ., № 3, გვ. 9). „იმის უცნობი არ იყო ბაზი, აღარცაღაფი“ (ვაჟა, ტ. IV, გვ. 328). მელექსიკონე ამბობს: ალაფი მეფქვილეაო (იქვე). ფქვილის გარდა სხვა რამესაც ჰყიდის. 2. ნატაცები, ნადარცვი, ხარკი; ალაფი არის აგრეთვე ხორბლეულისა და მისთანათა ვაჭარი (რ. ერისთ., ტ. IV, გვ. 233).

ალაშა – 1. ანჩნლი, კაპასი. 2. აჯილგა, აშარი. 3. უსირცხვილო, ლაშახეული, შუბლგარეცხილი, ხულიგანი.

ალაჩუხი – 1. ნაუცბადეკად აშენებული ქოხი; ხის შენობა. 2. ხარგა. კარავსავით დადგმული ქოხი ჯოხებისა, ნაბდით გადაფარებული, თავის შესაფარებლად ხმარობენ ეულნი მწყემსნი, ხალხი, მეთევზენი, მომთაბარე ხალხი. 3. შატერ. „ყველას თავისი საკუთარი სახლი ექნებოდა, ყველას ერთიანი ტყავის აღაჩუხები“ (ალ. სარაჯ. „ნიშად“, 1908 წ., № 52, გვ. 11). 4. Лягушка. ასე სთარგმნის პლ. იოსელიანი (Путевая записка от Тифлиса до Ахталы, 1850, ст. 2). 5. კარავი მრგვალ ხეებზე. Кибитка (Сисоев В. М. Тюрское население Азербайджана в XVII веке, 1926, ст. 5) „გაზაფხულიდან მუხრანსკო აპირობს სალდათის ბაზარზე აშალოს აღაჩუხები და მის ადგილზე აკოს ნამღვილი საღუქნო („დროება“, 1884 წ., № 3, ნომბ.).

ალაწოდა – ახმახი, აყლაყუდა.

ალაჯა – 1. ჭროლა თუთა, ალაჯა თუთა. 2. მაუდის მსგავსი ნაჭერი. 3. ალაჯა სოფელიც ყოფილა სომხეთში (“Очерк Верхней Армений”, В. Штреккера, 1873, ст. 3). 4. “О нижнем платье из лучших шелковых материй, называемых Аладже, монументами и бахрамоу” (“Жизнь Артема Араратского”, ч. 1, 1813, ст. 208).

ალდიყანდობა – ტაციობა. პირდაპირი თარგმანი ასეა: მოიტაცა და გაიტყა.

ალერსი – საცვალი; „პერანგის ალერსი“ – პერანგის ამხანაგი.

ალეუ-პელიში – ალებშიცემობა, კომერცია.

ალეუი – ალემს საზოგადოდ ეძახიან იმ ვაზებს, რომელიც ბევრს ყურძენს ისხამს და მდარე ღირსების ღვინოს იძლევა.

ალეწილი – „დაღლილს, ალეწილ სახეზე ისევ ის უცნაური ტანჯვა აღებუჭდა (სვ. ყიფი. „საქართველოს მოამბე“, 1909 წ., № 15, გვ. 9).

ალთაფა – 1. სპილენძისტარიანი კოკა, რომელსაც აქვს გრძელი ლულა, „ლულეინი“. ამ ალთაფას უფრო მაჰმადიანები ხმარობენ ნამაზის წინ. 2. ხელტაშტი, წურწუშა (ალ-ხელი, თაფა-ტაშტი). 3. „რკინის სამფეხა პირისაბანი ჩინური ტაშტ-ალთაფით“ (ნ. ავალ. თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 71). 4. „თითონ სავსე ალთაფით ხელში იმის წინ გამოჭიმული დაღებოდა“ (ელ. ყაზბ. „მეგობარი“, 1924 წლის „მნათ“, № 7-8, გვ. 321).



ალბან-ჩალიბანი — „სჯობს ისევ საქმეს შეუდგე და აქური ამბები, ჩვენი ალიან-ჩალიბანის ამბები, მოწერო“ (ს. მესხის კერძო წერ., „მნათ“, 1932 წ., № 8-9, გვ. 199).

ალიბუხარი — 1. ალუჩა ბუხარიდან. ქლიავია ყვითელი და მოგრძო, თხელკანა, რომელსაც კურკა ადვილად შორდება, ყველგან ხეირობს. უსათუოდ უნდა დაიმყნას. ნაყოფს ისხამს მესამე წელს. ინახება ზამთრისთვისაც. 2. ქლიავია ერთი, რომელსაც ახმობენ და აშრობენ.

ალიაბაი — 1. ლაგამი ცხენის ლაყუჩებზე ამოსადები, პატარა ლაგამი. 2. „ჯობ-ცხენას ალიაბი“ (ა. ახანა, „თე“, 1888 წ., № 87).

ალილიოს-გალილიოს//ალიოს-გალილიოს — როცა ერთი აბდაუბლას ან სიცრუეს ჩმახავს და აღარ ჩერდება, მაშინ მეორე ეტყვის: „ალილიოს-გალილიოს“. ალილიოს-გალილიოს ერთგვარი შელოცვაა კარიჭის (მორიელის) წინააღმდეგ. დამინების წინ, ზოგიერთ ძველებურ დედაკაცებს ეხლაც აქვთ ჩვეულება ამ შელოცვის თქმა: „ალილიოს-გალილიოს, ალა სტეფან-სტეფანიოს, ალილიმ, კაბილიმ უმატოვ, ერკუ ბოვო, სუბსარქისი ძიუნ მაროვასტვა აწნი, ქახცრ კათოვ, კრჭ, კრჭ, ღუნ ჩი მორიელი, ჩუშ! ჩუშ! ჩუშ! მანხე არევაქ ღუზა!“ იმათი აზრით, ამ შელოცვით აღარ უკბენს მორიელი და თუ შემოესწრო, მაშინათვე გაქვავდება, გაქვავდება მზის ამოსვლამდე („კაბიშონი“, გვ. 44).

ალიყული — 1. მაგარი და მადიანი ლაწანი. (სილა) ყურის ძირში. ალიყული სპარსულად ყოფილა აკენის ჟღარუნას მასალა; ამ ჟღარუნას, რომ თვალი არ ეცეთ ბავშვებს, ჰკიდავენ აკვანზე. ამბობენ: ღაჩუმდი, თორემ ალიყულს გაგაწნავო, ე. ი. ისეთ მძლავრ სილას, რომ ყურებში აკენის ჟღარუნასავით ჟღერა დაგვეწყოსო. 2. სილა, სილაქი, ლაწანი, შნოიანად გარტყმული დიდი სილა. „ალიყული გავარტყვი“, ე. ი. გაულაწუნე. 3. სილა ყბაში. „მოღ და იცოცხლე. ერთიც ვნახოთ, წამოგვივლის სიკვდილი, ერთს ალიყულსა გვრავს და მშვიდობით“ (რ. ერისთ., „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწილეს“ 2 მოქ., 19- გვ.)¹. 4. ყურის ძირში გაწნული სილა. „იმის ალიყულებისაგან ჩანები ამამძვრალი მაქვს...“ („კაბიშონი“, გვ. 36). „ერთხელ მაგრად ვაკოცე და ისეთი ალიყული მითავაზა, რომ თქვენი მოწონებული. დღესაც მეწვის ყურის ძირი“ (აკაკი, „ქრებ“, 1899 წ., № 7, გვ. 73). „ღვეანმა ასეთი ალიყული ჰკრა ბიჭსა, რომ საბრალომ სამჯერ ალაყ-მალაყი გადაიარა“ (რ. ერისთ., „ციცკ“, 1857 წ., № VI, გვ. 27). „ეზლა სხვა არა მინდა რა, ნეტავი ფეხზე დგომა შეგეძლოს, რომ ერთი ალიყული სილა გაგვრა“ (ივ. მაჭავ. „გლეხი კაცის ისტორია“. 1931 წ., გვ. 86). „თავი დამანებე, ბაღლო, აი, ღვთისმშობლის მადლმა, ისეთ ალიყურს ვაჭმევ ამ გაჯარებულ გუნებაზე, რომ ზარი კი არა, თავი დაგავიწყდეს“ (მ. არაგვ. „ჩემო შეინდავ“, თავი II; რ. ერისთ., თხზ., ტ. IV გვ. 29). „მან სახეში გავარტყათ, თქვენ ალიყული აჭამეთ“ (პუშკინის „კაბიტნის ქალიშვილი“, სასცენოდ გაკეთებული გ. ნახუცრ. და ბ. გამრ. მიერ. მოზარდ მაყურ. თეატრ., 1937 წ., 6/III). „მან შეგობრულად გაუღიმა ბატონიშვილ რეალისტებს, მე კი ალიყური მაჭამა“ (დ. თურდ., „ეპიზოდები ახალგაზრდას

¹ ასეა — რ. კ.

ცხოვრებიდან, გვ. II). „და ისეთი აღიყურს აქმევედა, რომ“... (კ. ხიმში, „ჩვენნი თაობა“, 1938 წ., № 11-12, გვ. 33). „წამო მივხეუთ, ისეთი აღიყური ვერა რომ“... (სეპო, 21).

ალიშ-პალიშო – (თურქულია: ალიშ-ვერიშ).

ალიშ-პალიშობა –

ალიშო – რომელიდაც ფართლელა.

ალუ-აჟალი – ყოფა-ცხოვრება.

ალუფხული – არეულ-დარეული, აწეწილი. „ერთ კოლოფში აღუფხულია კონა-კონად შეკრული თუთუნი“ (მოამბე, 1900 წ., № IX, გვ. 30).

ალქაშტი – ღორმუცელა, მსუნაგი, გაუმაძღარი, მუცელსვაკა. ერთ პატარა ჯამში მოთავსებულ ხაშს თუ რამდენიმე მსუნაგი დაეხვია, ეტყვიან: რა ამბავია, რა **ალქაუტობა** შეგდგენიათო, ვითომ რა ღორმუცელობააო.

ალქაჯი – მოთხრობა აქვს ს. ყიფ. („საქართ“, 1920 წ., № 142-143).

ალქი – 1. ალი, ალქაჯი, ავი სული – მშვენიერი ქალის სახით მოვლენილი მაცდური, რომელიც, ასე ამბობენ, ტყეში ბინადრობს, დედიშობილად დაიარება, ჭაბუკებს იზიდავს თავისკენ, ჰხიბლავს და ნაწნავებით ახრჩობსო. ალქის წინააღმდეგ ლოცვასაც წარმოსთქვამენ: „დავწვი, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სულ თავით დამესვენება. ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ჯვრას მავნებს მაცდური“. ამ ლოცვის შემდეგ ალქი გაქარდება თურმე. ჩვენში ორ მწერალსაც აქვს ამ ტყის ქალის შესახებ მოთხრობები (ვ. ბარნა „ალქი“, და ნ. ლომ, „ალი“). ალქზე კიდევ ასეთი თქმულებაა, ვინც ალქს დაიჭერს ნაწნავებით, ის ბედნიერი იქნებაო. ალქი ეტყვის: „გამიშვი და ბედსა გწევო“, მისცემს თმის ბეწვს და ეტყვის: „ამ თმის ბეწვით გიყვს და ბნედიანს მოარჩინო“. „ალი ჰყავს შემოჩვეულიო“. ალქი (ალ-ქალი). არა აქვს დ. ჩ.-ს. 2. ტყის ფერია, ალქაჯი. ვ. ბარნოვს ამ სათაურით აქვს „ალიქი“ – მოთხ. („გარდფანჯები“, 1929 წ. გვ. 97).

3. ტყის ქალი, ფერია.

ალიშო – „დალპება, ალიყი აღგება, არ მოადგება მზე სადმე“ („ივ“, 1889 წ., № 20).

ალიწი – იხ. ჯილა (გ. ერის წერ. 1936 წ., გვ. 366). „რა აღწეს დაუჯდებოდა კოჭი მაშინდელ მანდილოსნებს“... (სეკალი, 1896 წ., № 6, გვ. 95).

ალხანა და ჩალხანა – ამბობენ ალხანას ჩალხანა არ დაეღუპეო, ან კიდევ: რაც ალხანა, ის ჩალხანაო.

ალხაჯი – ცხერის სადგომი ბინა (სეოშ, 1931, 3/IX).

ამაბილბილა – ამაჩქარა, ამაპილბილა.

ამაბდარი – 1. ნაჭირნახულევი. 2. ამაგიანი, ჭირნახული, მზრუნველი.

ამანათი – ანაბარი, მძევალი.

ამან-ამან! – სიმღერის დროს სახმარებელი სიტყვა.

ამპალი – მეკურტნე მუშა (სუნდ. ფსევდ.).

ამბარჩა — ფარლული, შიბი, მანიაკი, გულქანდა. „კვლე მართა მის დანიშნულს ერთი ხელი დიბა-ფარჩა, ფასულები მარგალიტის გადაკიდა ყელს ამბარჩა“. (ს. გუგუნ, „თამარანი“, 1912 წ., გვ. 21).

ამბიწობა — 1. სომხურად „ანბიწ“ არის „უბიწო“, უმანკო, „ბიწ“ სომხურად ნიშნავს „ლაქას“; ანბიწ — ულაქო, უმანკო, ალუგორია: ზნეობრივად სუფთა ადამიანი, ლაქას მოკლებული. 2. უკარგისობა.

ამბურა — დაირა.

ამღლით — ყოველდღე.

ამაჰმიატა —

ამღიპი — ქორთა, ახალგაზრდა.

ამოგლავთილი — თვალეზე ითქმის.

ამოვიფთვალა —

ამოიყორა — „ამოიყორა მუცელი“.

ამოლუზვა — დასკვლება.

ამოსაპარდნელი — წყველაა. „დამაკლე, შე ამოსავარდნელი“.

ამოლაპული ხაღლიპით თავაზა დასდგომია —

ამოყორა — უწესრიგოდ ჩაყარა, ამოავსო. წარმოებულია „ყორედან“. „მუცლის ამოყორა“, ე. ი. მამღრისად ჭამა.

ამრავაბული — ფერ-მრეშიანი.

ამრიზაბული — განრისხებული. იხ. აიმრიზა. „მზგავს არს საწუთო ესე კაცსა, რომელსა სდევდა სპილო ამრიზებული და მაიწყვდია იგი ჯურღმულსა სამინელსა“ („სიბრძნე ბალაგარისა“, ე. თაყ. რედ., 1895 წ., გვ. 25).

ამზა — შესაფერი, ყადრი.

ამზარ-ამზარ — ახლა დაიწყობა თქვენი ამფარ-ამფარ სიარული, ე. ი. სოფლიდან სოფელში და კარიდან კარში წანწალიო.

ამზონი/ამზონი — ბალდახინი, გენერალ გიორგი რომანოვის ძე ერისთავის გარდაცვალების გამო ვკითხულობთ: „ეუბო დაპბეჭდეს, ზის ყუთში ჩადეს, ამფონზე დასდეს და წაასვენეს სოფ. ობისში“. („ივ“, 1891 წ., № 38).

ამფსონი/ამფსონი/ამფსონი — 1. ჰამსონი — დაახლოვებული მეგობარი, დოსტი; ამფოლი, თანამესუფრე. „მაშინაღვე თავის ამფსონებს ახარა“ (რ. ერისთ. „ციხე“, 1857 წ., № 5, გვ. 36). „თქვენი ზათრით, რამოდენიმე კვრას ამფსონობას გაგიწევთ“ (კ. გამს. „ლილი“, „შნათ“, 1828 წ., № 3, გვ. 32). „არსენამ ერთი ქისა ოქროს ფული დაუყარა წინ ამფსონებს“ („პატონუმობის მასალები“ ტ. 2-3, გვ. 20; რ. გვეტ. მოთხ. „ქართ. მწერ“, 1930, № 2-3, გვ. 17). 2. წარმოებულია სიტყვიდან ფსონი, ფსონით პურის ჭამა. ამფსონი ამხანაგი სუფრაზე. 3. პურის მტე ანუ ამქარი (ჩ. გვ. 36). „საქმე გადაწყვიტა სახლის პატრონის ლამის ამფსონების სასარგებლოდ“ („მუშა“, 1932 წ., № 143, გვ. 4). „რატომ არის წინანდელ ადგილზე ალა სულთანოვისა და ტელუშის ამფსონები?“ („კომ“, 1936 წ., № 153, გვ. 4). „ე. მკვდარიყლაპიავ. შესძახეს ამფსონებმა“ (შინ-ჩინ, „ივ“, 1894 წ., № 17). „მე ვიცი, ან მიფრალი შემობრწყინდებოდა, ან ამფსონებს შეყვიდა საბაწოლ“ (ვ. ბარნ. „ბროფესორი“).

„მოაბზე“, 1901 წ., № VI). „თუ როგორ გასწირეს მეგობრებმა და ამფსონებმა“ („ათას ერთი ღამე“, თარგ. ს. აბულა, 1937 წ., გვ. 50). „ვერც პრანკები, თავის ამსონ-ლოთები“ (პეტრე ლარაძის ლექსი, საქ. მუზ. ხელთ. № 2130, გვ. 42^ბ). „ღუქანში დაიწყო ღვინის სმა ორ-სამ თავის ამსონ ბიჭებთან“ („ივ“. 1886 წ., № 118). „...ანდა იოლად ვით ბანქოს აფსონს, ზარს რომ ისერის და ფულებს მოზვეტავს“ (პ. იაშ, პუშკინის თარგ. 1936 წ., გვ. 125). „შე ვითხრა, ჩემო აფსონო, არ ვიცი, რა დაგიძალო!“ (ბაჩ., გვ. 449).

აბჟყრალუბს — ამაღლის.

ანაბარი — ჩაბარებული.

ანარაბი — წმინდა, უმანკო, შეუკეთებელი, ბუნებრივი, ნამდვილი, ითქმის ადამიანზედაც.

ანასუბი — „ეე, რაც მამივა მამივა, ანასუნი მათ საქმესა, შვევიანე სომხურად“ (ს. შავლ. მოთხ., „მოაბზე“, 1889 წ., № VIII, გვ. 80).

ანაჯოგად — 1. სრულებით, საესებით. იმერულად: „ან ა გ ე ბ ა დ“. „ანაგებად არ ვყოფილვარ ამ ქალაქში, მისი ასავალ-დასავალი არა ვიცი-რა“ (პ. შ. საყვარ., „ჩატეხილი ზიდი“, 1934 წ., გვ. II). „შენ რომ ეს სახელი გცოდნოდა და გეთქვა ანდუყფარისათვის, ის ისევე გადაიკარგებოდა ანაჯოგად, როგორც სუფარქისი“ (ხსენებაზე „უშმაკები“, მულან, „საქართ“, 1918 წ., № 832). 2. პირწმინდად, უკვალოდ მოისპო. „როგორც კი ვეჭყოდი, უნდა თქვენი სურათი გადავიღო-მეთქი, აღარავინ შეკარებოდა და სულ ანაჯოგად (!) იკარგებოდნენ (ნ. აღნ., „სპარსეთი და იქური ქართველები“, თავი V). 3. სრულებით. ამბობენ: ესა და ეს კაცი ანაჯოგად ხმას არა მცემსო. ამბობენ კიდევ: ესა და ეს საქონელი რომ გინდოდეს, ანაჯოგად ვერ იშოვიო. მერე კი — ანაჯოგად დაიკარგაო. „ანაჯოგად ჩაიყლაპა“. გურიასი — „ანაგებად“. ეს სიტყვა ხომ არ წარმოსდგება „გადვიჯანგო“-დან. „ისეთი სიცხვა, რომ, არ ვიცი, სად გადავიჯანგო“. („ქრებ“, 1871 წ., № 2, გვ. III).

ანგალი — 1. მცონარა, უსაქმურა, დავარდნილი, დაცემული, ზანტი. მიკიბნის ღუქანში ხშირად არიან ისეთი კაცები, რომელნიც მუშტარს იზიდავენ იმ განზრახვით, რომ მუშტარმა მიიწვიოს თავისთან და უფასოდ გამოძღვნენ ან გამოთვრნენ და ამითი მიკიბტანსაც ზეირი მისცენ. აი, ასეთ ხალხს უწოდებენ „ანგლებს“. „სადაც ქარი ანგალი პერანგივით ქანაოს“ (ა. შამაშ, „მნათ“, 1925 წ., № 8-9). „კვალში“ (1901 წ.) მ. გორკის ერთი მოთხრობის სათაური ასეა თარგმნილი — „უკუღმართი“ (ОЗОРНИК). „როცა ქარი ანგალი“... (ა. შამაშ. ლექსი „დიდარია-დარია“). „ბანი მომეც, გენაცვალე; მეტსახელად ანგალი“ (შ. შავლ. „წითელი სხვი“, 1926 წ., 3, გვ. 32). „მოსაეთ ასეთი ანგალი“ (ლექსი ი. იზიბის სოც.დაზღვევის კედლის გაზეთზე. 1932 წ., თებერვალი). 2. მასხარა. Озорник „ვიღაც ანგალს საკონტროლო ორმოსათვის ხუფი აუხსნია“ (კ. ვაშ., „ნატანტარი“, „სალიტ. გაზ“, 1932 წ., № 17, გვ. 4). „რამდენჯერ ორ მეგობარს, ორ ბედის ანგალს მთელი წლობით ხელზე დაკვებვევია რომელიმე ანდაზა“ (ლ. მეტ. მთერ შუკრებილი „ქართული ანდაზები“, 1926 წ., გვ. IV). „დაკბე ყოველი, ნუ ხარ ანგალი— წაიდ სოფელში გლეხურ ნამგალით, მენდე, მოიძი ვარდისფერ დღეებს!“ (ლევან ანანიაშ, „ლექსები“, 1933 წ., გვ. 42). „ეს ანგლები, ესა, — ბურტყუნებდა მღვდელმსახური, — რომ



(პირახდილი, უსირცხვილო). 2. ბტკერესი, თავისნათქვამი. 3. პირახეული, 4. პტკერესი, უჯიათი.

ანტიპა — 1. ანტიური. 2. იშვიათი, მზეთუნახავი, კარგი რამე.

ანტიპორა — ქსოვილია ერთგვარი. „საქორწილო ანტიპორეს მიყიდი“ (გ. სუნდ, „ხათაბლა“, მოქ. III).

ანუჰანუჰი — კარგად გაზრდილი და ნასწავლი პირი, დედის ნებიერი. სომხ. ანუშმანუკ, რაც ნიშნავს „ტკბილ ბავშვს“, ნებიერად გაზრდილი შვილი.

ანუშუშური — „მაშინ დაუვლი მე ლეკურათა, ფენს ავაყოლებ ანუშუშურათა“ (რ. ერისთ., პიესა „მბრუნავი სტოლები“, „ცისკა“, 1868 წ., № XI, გვ. 14).

ანჯამა — 1. ანჯამა არის კარის სახელური. „...მხოლოდ ანჯამანმოვარდნილი კარები რახუნებს“ (ცქვიტი, „კომ“, 1935 წ., 30 ივნისი). 2. უფრო ამბობენ — ანჯამები. კუბოს დასატყერი სახელური. „მოდი კუბოს ზუფს ხავერი მოაველე და ანჯამები დაღურსმე“ (რაფის „ზედსიძე“, თარგ. დ. ყაზაროვისა, 1917 წ., ტფ., გვ. 7). 3. ფანჯრის, კუბოს სახელური.

ანკაბს — აკმაყოფილებს, დაოკდა.

აპრუშუშუნ — ტუჩების ხმაურობით გამოოჯაგერება. „აპრუშუშუნის წამალი პრასა და ნიახურია“ (ხალხ.). „მე გამხტომი, კარგად მხტომი, ალისფერათა მაქ ფრთები, აპრუშუშუნს დაგიძახებთ, ციხე მაქ და ზედ შევხტები“ (ქართ. გამოცანები, „თეატრი“, 1887 წ., № 2).

აპურჰჰაბა — ნერწყვავდა (ჩიბუნის წვევის დროს ტლანქი გადაფურთხება).

აპხტი — დამარილებული და კვამლში გამოსული ძროხის ხორცი. (აპუნტი ძროხის ხორცისაგან მზადდება, შაშხი — ფრინველისაგან, ლორი — ლორისაგან).

ააჰა — 1. ძარღვია შუბლთან. ლაშლაშა და ყბედ, უსირცხვილო ადამიანზე ამბობენ: ვა, ყბები ერბოთი აქვს მოქონილი, რამდენს ლაპარაკობს, ან რა აპწკა გაწვევტიაო, ე. ი. ნასკვი, ძაფი გასწყდომია, რომ აღარ ჩერდება და ლაქლაქებს დაუსვენებლივო. 2. აპკა. „ის აპკაწვევტილი ნათელა ვნახო! (აპკო“, 17), ე. ი. უნამუსო, უსირცხვილო ნათელაო („ნათელა“ მაჭანკლის სახელია).

ააღაპარი — უზარმაზარი.

არაბა — ცხენის სახელი.

არაზი — მდინარე რახსი, არაქსი.

არალუდი — 1. ხუროების ტერმინია. დაწყობილ ფიცრებიდან ან ფიცრის შენობიდან როცა ციცინათელა გამოჰკრთის, ამას არალულს უწოდებენ. ამბობენ: „არალუდიდან გიცქერდიო!“ 2. ცარიელი ადგილი ფიცარსა და ფიცარს შუა.

არამარა და დარდუპალა — სიტყვის მასალაა. მაგ., დასატუქსავად დედა თავის შვილს ასე ეუბნება: არა? აი, არამარა...

არამზადა — „არამზადები, რა ესმით ნეტავი, რომ ბოლშევიკობენ! (აჯანყი“, 1931 წ., № 1-



2, გვ. 104). „არამზადები“ – ამ სათაურით პიესაც ჰქონდა ვ. შალიკაშვილს. არაჰანო – მოღულებული რძის ნაღები.

არაბუნებ – უთავბოლოდ ლაპარაკობ.

არაჰათი – 1. არაბული სიტყვაა (საზოგადოდ სიტყვა, რომელიც ათი-თ ბოლოვდება, არაბულია) და სახელწოდებაა იმ მთის და ხეობისა, რომელიც მდებარეობს მექას აღმოსავლეთის მხრით. მექაში მიმავალი მლოცველები ამ ადგილას, ადათის მიხედვით, შეისვენებენ და ხმამაღლა კითხულობენ ყურანს („ათას ერთი ღამე“, აკად., 1931 წ., გვ. 111). 2. ღონე, ძალა, ჰოვნილა. „ემშაკმა“ დაუწერა აკაკის „მეჩონგურეს“ შესახებ: „ძლიერ მწყინს, რომ აგრეთვე დახურდავდა მძლავრი მუზა - და არაქათ-გამოცლილი „ბნელ კედლებში“ შეიტუზა (ემშ. მათრაზი, 1908 წ., № 19). არაქათი, ჩუბინაშვილი ამბობს – სომხურიაო.

არაღიბი/არახიბი – ფართლუულიდან შეკერილი ქული; ჩეფნიკი. „ბეიამ პატარა მიხაკის ვიწრო არახინი ჩამოაცვა“ (ნ. ლომ., „მოთხ“, გვ. 202). „ჯუჯებს ყველას ხელი ჩამოართვა, იმათაც თავიანთი არახინები მოიხადეს...“ (ან. თუმ.-წერეთ., „ჯუჯილი“, 1914 წ., № 3, გვ. 150). „მეცნიერის ქერქი წამოესხა, არახინი თავზე ჩამოეჩანა“ (აკაკი, „ოვ“, 1901 წ., № 70). „ტყავის ქედები აჭრელებული, მოქსოვილი არახინები და დედაკაცების ჩადრები“ (რაფის მოთხ., „ნობათი“, 1884 წ., № VII-VIII-IX, გვ. 360). „შემოვარდა ზალაში აფარებულის თეთრის ტილოთი და თეთრის არახინით“ (წერ. კ. დადუშქ.-ზე „ოვ“, 1884 წ. № 2, გვ. 134).

არაჩნათი – არაჩინაც – წინამსვლელი.

არბაბაშა – რომელიღაც ქსოვილის „უზორია“.

არდასაცალპალი – ქალების წყევლა; ალერსით წყევლა. „არავინ დაგძრახავს, რომ შენ შესე ქმარს აკოცო. მიდი, შე არდასაცალპელო, – მიუმატე ხელის ხმით და ჩუმიდ მუშტი უჩვენა“ („ცისკ“, 1863 წ., ნოემბ., გვ. 169).

არამპარედ მორთული –

არზანაპი –

არზაქარი – არზაქარი გამოვიდა, ე. ი. ცული, მპარავი.

ართურმა – „ჯიხვები, ხელაღები, ყანწები, ელები და აზრდუშები ართურმას და მიჭკამალავს (იხ.) გაღადიან (ოვ., 1888 წ., № 87). „ჯერ ართურმა არ გაუმართავი“ (პეპო, გვ. 21). 1. სათამაშო ხტომა-გასართობი: ერთი დაიხრება და მეორე ზედ გადაახტება. 2. ზოგი ახტურმას უწოდებს, რაც შეცდომაა. წარმოსდგება თურქული სიტყვიდან ოთურ – დაჯექ!

არძიანა – ფსონით ქეიფი. „ჩვენს ოჯახში ერთი ზემზე უფროსი გოგონა იყო, რომელთანაც ხშირად არიფანას ვთამაშობდი“ (ალ. ყაზ., „მემუარები“, „მნათ“, 1924 წ., № 5, გვ. 390). „გვიწოდდა ერთი დიდი არიფანა გაგუშართან კაკლის ქვეშ“ (ს. შგალ., „მოამბე“, 1899 წ., № VIII, გვ. 59).

არძი – 1. მეგობარი, ტოლი, მოზიარე, თანამზრახველი; 2. მიაშიტი, ხამი, ადვილად მოსატყუებელი, მიმნდობი. არაბულად ჰ ა რ ი ფ ი ხ ელოსანს ნიშნავს (ფარს. გორგიჯ. ლექსიკონი, გვ. 5). „ურადლებას რომ არ მაქცევ, არიფი თუ

გონივარ!" („ნანგი", 1933 წ., № 5). 3. ინდოეთში მამაკაცის სახელია (Вост. сборник, 1924 წ., I, გვ. 131).

არიძა - სიტყვის მასალაა. „არიქა, წყალი" და სხვა. არიქა, ჩქარა! - შორისდებული, რომელიც იხმარება სიჩქარეში წასაქეზებლად.

არაპაშაი/არაპაშა - თავისნება, გაუგონარი, ზანტი.

არანაუბი - ბოროტი, ავი.

არბალა - საკლავი საქონლის უკანა წვივ-ბარკლის ნაწილი. კეთდება ცივად, ნიორში.

არუპ-ფარუპი - აზიზმაზიზი (ნამდვ. არუქ-ფარუქ). დიდის ამბით ვინმეს შემოსვლა. ამბობენ: როგორ, ჩემი არუქ-ფარუქად გაზრდილი ქალი ვილაცხარაზს მივცეო. ვითომ ნებივრად და ნაზ-ნუსად გაზრდილი ქალიო. ამბობენ კიდევ: ჩემი სახლის არუქ-ფარუქი გინდა გაიგო? არუქ-ფარუქათ - ნებივრად, სათუთად, აზიზმაზიზად, „არა, გენაცვლებით, ამ ჩემს არუქ-ფარუქათ გაზრდილ კეკელოს მიკიტანს არ მივცემ".

არღანალი - სია, უშნო.

არღუბი - „არღუცი ავითყდეს შენა, კი ღედაკაცი შენა ხარ" („თვ.", 1891 წ., № 172).

არშადრის შალი - აბრეშუმის შალი, ფოჩებიანი და კუთხეებნაქარგი.

არშია - ქობა.

არხა - ქომაგი, დამხმარე, მფარველი.

არხიოფი - არა აქვს დ. ჩ-ს.

არჯალი - „ცხოვრების მომწამვლელი არჯალი" (გ. ზეჩუაშ, „ბორკილები", თავი 35). „ბოზო, რას ამბობ, დიაცი არჯალი, აუციანო!" („აკაყის კრებ.", 1897 წ., № III, გვ. 41).

ასალი - ცხენზე გადასათარებელი, ცხენის შესაკაზში. ასალი-ყაჯარი.

ასარსალუბ - „ენას ნუ ასარსალებ".

ასასი - 1. ღამის დარაჯი; საგაჭრო დუქნების მეთვალყურე (საიათნოვა); ასასს აბარია ხშირად რამდენიმე დუქანი და ნება არა აქვს თავის ადგილს მოშორდეს, თვით პოლიციელსაც არ ჰქონდა ნება დაეპატიმრა ან სხვ., როცა იგი სადარაჯოზე იდგა (დადის ღამლამობით ეს ასასი ჩაბარებულ დაკეტილ დუქნების ირგვლივ და ყოველ წამს კლიტეებს ხელით ეხება, რომ დარწმუნდეს დუქნის ჯანსაღობაში). ასასი - კერკეტონი („ქილია და დამანა"). პროფ. გ. ნათაძე ასასს ასე განმარტავს: Низший политический чин в городе (Старый Тифлис, 1929, ст. 56; საბას კერკეტონი, გვ. 145). „1860 წლებში ბაზრებში ღამე

პასახები არსებობდნენ ყარაულბად დუქნებისა. მდუქნეები იზდიდნენ ამათ ჯამაგირებს, რადგანაც პასახები გათენებამდის უძილოდ ფეხზე უდარაჯებდნენ, ზამთარ-ზაფხულ, რომ ქურდებს არ გაეტეხათ დუქნები" (იხ. „ზელსიუ", რაფის მოთხრობა, თარგ. დ. ყაზაროვისა, 1913 წ., გვ. 23).

2. ღამის ყარაულია უეჭველად დუქან-ქარვასლებისა, ასასი სრულიადაც არ არის გოროდოვოი, როგორც მ. ნ. პოკროვსკის წიგნშია „რუსეთის ისტორია" (მთარგ. მ. ბერძ., 1932 წ., გვ. 296, სახელგ.). 3. ღამის დარაჯი, დუქნების



მაგალი, (ყაჩაღები, გვ. 76, და „ციხიბრელი“, მოქმ. IV) 4. ღამის ყარაული, კერკეტონი, ტალა. ერთი მსახიობი, რომელიც ძველ ქართველ მამასახლისს თამაშობდა, ერეგულ ასასს კ ვავლა“ (აივ“, 1890 წ., № 214). „რა ასახივით დამადეკი“ (ხალხური თქმა). გერმანიის ხელმწიფემ ექიმ გულფანდს უთხრა: — თქვენ ისე კარგად გაქვთ შესწავლილი ადამიანის სხეულის აგებულება, რომ უმჯობესია, ყველა სატყეოების განკურნება შეეძლებათო. — თქვენო უდიდებულესობა, — უპასუხა მოსწრებულად გულფანდმა, — ექიმბაში შეიძლება ასასს შევადართო — ასახესსავით ჩვენც კარგად ვიცით ქალაქის ქუჩები, მაგრამ იმას კი, რაც ხდება სახლებში, მხოლოდ გონებით უნდა მივხვდეთო“ (აივ“, 1891 წ., № 154).

ასახკალუ//ასახპალუ — ანუ აღსაყალო (თათრ. თეთრწყვერა), უფროსი, პატივსაცემი, საპატიო პირი — აგენტივით კაცი იყო ძველად, როგორც ამქრის უსტაბაში. სანოვაგის ნიხრის დადება თურმე ამ ასახკალუს ნება ყოფილა. **აღსახკალი** — (თეთრწყვერა) თათრულია, უსტაბაშის თანაშემწე ანუ მისი გზირი, ანუ პასაჰყალო. „უსტაბაშს გაუმარჯოს, ვადღერძელოთ თასითა, კამქარს და პასაჰყალოს თავის ივითაშითა“ (აციკა“, 1867 წ., ლექსი ივანე სომხივისა).

ასიგნაციია — ქალაქის ფული. „მოიღო ორი ოცდახუთ მანეთიანი ასიგნაცია“ (აკაცია-ადამიანი, თავი VII, გვ. 209, „ქართ. წიგნის გამოც“, ტ. II). „მწკანე მუღუდაკრულ ტილოზე გადადიოდ-გადმოდიოდა ასიგნაციები“ (რ. ფაგულენ, „მოტყუებული“, „მოამბე“, 1895 წ., № XII, გვ. 35).

ასიგნაცილა — „ჩვენი დრამატული დასი ცალფეხზე სდგას და ასიგნიკლით ატარებს მთელს ხეზონს“ (დროება“, 1885 წ., № 175).

ასლი — ნამდვილი.

ასლი და ძიარიმას — გახალხურებული სპარსული ლეგენდაა, რომელშიაც მხატვრულად ასახულია ორი მიჯნურის დაუშრეტელი სიყვარული, როგორც მაგალითად: „ლეილა და მაჯნუნ“, „კისი და რამინ“ და სხვ. ასლი-ქიარიმას სიმღერებს ხშირად დამღერიან საზზე თურქი აშულები ყავახანებში. ერთი ხალხური ლექსი მეცა ვთარგმნე (ოვ. თუმან, 1932 წ., გვ. 80).

ასმას — ამბობენ: ეს ყველა კარგი, მაგრამ შენ ფულის ასმაც იციო (ვითომ ანგარიშში ფულის მოტყუებაო).

ასნაფი — ანუ აქსნაფი-ამქარი, ამქრის კაცი. მოვაჭრეებს ასნაფი ჰქვიათ.

ასონასი//ასუნასი — 1. „ძველებური ქართული ბანქოს თამაშია. თამაშობენ ოთხში, ხუთ-ხუთი ბანქო რიგდება. სულ არის ოცი ცალი, ათიანი, სალდათი, ქალი, ხელმწიფე და ტუზი ყველა მასტისა“ (ს. მგალა, გაზ. „ფასკუნჯი“, 1908 წ., № 3). „მაგისი კაბის ფასი ორჯელ გვათამაშებდა ასონასს“ (რ. ფაგულენ, „მოამბე“, 1895 წ., № VII, გვ. 34). 2. ა ს უ ნ ა ს ი — ერთგვარი ქალაქის თამაშობაა.

3. რუსულშია: играет изрядно в дураки и месники (გოგოლი, 1919 წ., გვ. 398). ქართულშია: „ურიოდაც არ იცის ქალაქის თამაშობა ასონასისა და სხვ. (პერეპე, 1871 წ., № III, გვ. 70). 4. Игра в горки (არბენა და ჩამორბენა). იხ. „მეჯღან“. 5. თამაშია ერთგვარი (ეს სიტყვა „მეჯღანუაშვილში“ არის). „უთაბოლოდა ვცხოვრობდი, ფლანგვაში ვიყავი ვიფია, შინაურებთან აღზრდილსა, არაფრის მქონდა დარდია, ამხანაგები ვავიციან

ჩემი თვისების ფარდია და გასართობად მე მქონდა ასონანსი და წარდია“ (ქ. ავალ. ლექსი, „თეატ და ცხოვ“, 1918 წ., № 1, გვ. 6).

ასტაში — ცომის ასაფხეკი.

ასხაბადელი თათარი — ასხაბადი დაარქვეს სპარსელებმა და თურქმანებმა იმისათვის, რომ თექვს არემარეში საუკეთესო ადგილი უჭირავს. სიტყვა ასხაბადი ნიშნავს „სიყვარულის სადგურს“. („ღრობა“, 1885 წ., № 186).

ასხაპა — ასჭრა.

ატაცეხული — 1. ატაცეხულს უწოდებენ ისეთ ადამიანს, რომელიც ხან ჭკვიანურად ლაპარაკობს და ხან ძალზე ტუტუცურად. 2. ითქმის შემულილ ადამიანზე.

აბინგიცხის — აპამპულებს, მასხარად იგდებს.

აბოცის გლახა — ეკლესიის მათხოვარი. აბოცი ეკლესიაა. აბოცის გლახა თურმე ძალიან პირმაგარი ყოფილა. ვიდრე არაფერს არ მისცემ, ვიდრე არ შეიწყვალვებს, ვიდრე არაფერს არ გამოგცინცლავს — ისე არ მოგშორდება. აბეზარ ადამიანზედაც ამბობენ: კაცო, აბოცის გლახა ხარ, წადი რაღა, გამეცალე, რას ჩამაცვივდი ციებ-ცხელებასავითო?!

აბრაჰამუნახს — არ არის ლიტერატურული სიტყვა. თუმცა სოფ. მგალობლიშვილი ხმარობს ერთს მოთხრობაში: „ღას ატლაკუნებს, მაჩაქში ვერ მომწულა?“ (ეს მოქმედი პირი „რაეს“ „ღასად“ გამოსთქვამს. „შოაბე“, 1899 წ., № VIII, გვ. 78).

აბრეშქულა — ატუხულა, აყუდებულა.

აუპროპოტდა — აუშფოთდა, აუღულდა, აყვინჩილდა, საღერღელი აეშალა, გული აუკორკოტდა (ს. მგაღ., I, გვ. 123).

აუსუყდა — გული აუსუყდა.

აუშურთხანა — აურია, აუქოთა, აზრები აუფურთხანა. ქათამი რომ იფურთხანება, კვერცხს სდებს.

აუშარა — ურიკა რომ ვერ ავა აღმართზე და პატრონი რომ აწვევა, იმას ჰქვია აქარვა. „აბა, ერთი აუქარე, ბიჭო“.

აუშციხი — გაიარე.

აუწუწუნა — გაუღვიძა.

აზალი — 1. გარემოება, თავგადასავალი, ავლადიდება, მდგომარეობა. 2. ავანჩავანი. ამბობენ კიდევ „აღლუაფალი“. „თავის აფალი არა უთქვამს რა“ (გლახის ნამბობი, თავის II). „ღა ერთმანეთთან თავთავიანთ აფალი მოაყოლეს“ (ბაჩ, ლექსები და პოემები, 1928 წ., გვ. 432). 3. ავანჩავანი, თავგადასავალი, გარემოება. „ყველამ ჩემი აფალი იცის“ (გ. სუნდ, „ღაქც. ოჯახი“).

აზაფია — 1. მოჩხუბარი, მყეფარი. 2. მეტი სახელი იყო ერთი მოჩხუბარი ბუკინისტისა (იარმუკის ბაზარში ვაჭრობდა, გარდაიცვალა).

აზარუშ — 1. ხმა მოწონებისა: ვაშა, ბრავო. „წარვას ექებს თავის ბღის ნაცვალსა, ნოვაგოროდს ბროწეულის მარცვალსა. აფერუშ, ამ სოვდაგარის საცვალსა!“ (გოდერძის ლექსი,

საქ. მუხ. ხელნაწ., № 1534, გვ. 12). 2. (სპარს.) აფერუმ — (რაფის „ჯალალედინი“, „Русская мысль“). „... წაკითხვით „მეფე ღირის“ ქართული თარგმანი და ძალიან მოიწონეს. ასე იფიქრე, ქალებმა იტირეს და კაცები კი სულ აფერუმს იძახოდნენ“ (ილიას წერ. ცოლისადმი, პეტერბურგიდან, 1873 წ., 19 / XII). „აფერუმ, დედაკაცო, სიყვარულიც გცოდნია და მგებობაც“ (აკაკი, „ბაში-აჩუკი“, 1913 წ., გვ. 63).

აფოლავი — 1. ამცირებ, აფუჩეჩებ, მალავ. ამბობენ: კაცო, შენ რატომ აგრე მათოლებო, ან კიდევ: შენ რატო ეგრე ჩულში მხვევო, ე. ი. რას მამცირებ, რას მჩქმალავო!... ბ-ნ მესხიშვილს უეჭველია ნიჭი აქვს და ვწუხვართ, რომ ასე აფოლავს“ (ვ. გენ., „ოვ“, 1888 წ., № 44). 2. აფუჩეჩებს, ჩრდილავს. „ზოგი ისეთი ნაკლულევენებაა, რომელიც აფოლავს კაცის ღირსებას“ (ს. ჭრელ. — სანოს ფელ. გრ. ორბ.-ზე, „ოვ“, 1888 წ., 77).

აფოშტილი — თხელი ფიცრის ღობე.

აფრაკი — 1. ფიცარი რო გახმება და აიფურუკება, იტყვიან: აფრაკი გახდაო. მსუბუქ და ცანცარა კაცზედაც ამბობენ: რა აფრაკი ვინმეაო. 2. ფიცარი აფუშტული. 3. სულელი, შერეკილი. „აფრაკი ვინმეა, მაგას ორსული კ გონიხართ“ (ტრ. რაშიშ, „მონადირე ქალები“, 1927 წ., № 5-6, გვ. 92). „ა ფ რ ა კ ი ფ ი ც ა რ ი“ — სიცხისაგან რომ ფიცარი აიფურუკება.

აფრანგი — წითელი მტრედი თეთრ წინწკლებზეყვრილი.

აფრინდა ბოზო — მეძავე.

აფრინდა ძალი — ცუდი ყოფაქცევის ქალს ეწოდება.

აფსუს — დანანება. „აფსუს, დრო შეიცვალა“ (ზ. ჭიჭინა, „ნიკ. ბარათ“, 1885 წ., გვ. 26). „აფსუს, ტაია შელიას შევირდო“ (ვ. გამსახ, „დიონისოს ღიმილი“, 1925 წ., გვ. 187).

აფხაბა — სპილენძის ჭურჭელია, ხელების დასაბანი.

აფუ — 1. შეცდომა. ბავშვები (და ხშირად მოზრდილებიც) ხუმრობით ამბობენ: „აფუ მე“. 2. კოჭების თამაშობის დროს ბალები ააგლებდნენ ხოლმე კოჭს „აფუს“ თქმით.

აფუმი — შეეცდი, მარცხი მომივიდა.

აფურაქული — ქადაზე იტყვიან: აფურუკულიაო!

აფხალია — მეტი სახელია კაცისა.

აფხაფუხა — უთაბოლოდ მიყრილ-მოყრილ ბარგზე იტყვიან: ეს რა აფხაფუხად შეუყრიათო. უთაურ და უშნო კაცზედაც ამბობენ: წადი შე აფხაფუხა ვირისშვილოო.

აფხალული — არეული.

აფხორილი — „კაბა აფხორილი ჰქონდა“. „ინდაური აიფხორა“.

აქანდაზი — რკინის მომცრო ნიჩაბი, ნაღვერდლის გამოსაღები (აქენდაზ ხაქის, მიწის ასაღები ხელსაწყო).

აქია — 1. ისტორია (ლ. აღნიაშ). 2. ანეკდოტი (თ. რაზიკი, „ოვ“, 1901 წ., № 138).

ალა — 1. ბატონი (ალალარი-ბატონები). „ქუღს მიხდიდნენ, თავს მიკრავდნენ, დავდიოდი, როგორც ალა“ (აკაკი, „ოვ“, 1906 წ., № 4). 2. ხშირად შეილი მამასაც

3. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი.

უწოდებს „ალას“. „არ იცის შეცვარემ, ვინ არის მისი ალა, ვინ აძლევს ჯამაგირს“ (შეცვარე, თარგმნილი მოთხ., „ივ“, 1891 წ., № 35). გ ე უ რ ქ ა ლ ა წ ე რ ე თ ე ლ ი (ილია, I ტ., გვ. 336).

ალაბანი — საუკეთესო ხარისხის თეთრი ქსოვილი, განსაკუთრებით ჩარსავეებისათვის (ზეწურებისათვის) და სარებისათვის (ბალიშის პირებისათვის) ხმარობდნენ.

ალა-დედაპაიი — 1. ვაუკაცური დედაკაცი. გამიგონია: ის, რო იყო, სულ სხვა იყო, ის ალა-დედაკაცი იყო, იმისი „პო“ — პო იყო და იმისი „არა“ — არაო! 2. ბოიბაბა.

ალალარი — 1. უფროსი, ზედამხედველი, ბატონ-პატრონი. 2. მრავლობითი ალა (С. П. Зелинский-ს „Объяснительный словарь...“ 1889, ст. 3).

ალაჯი — ეჯი. ამბობენ: ერთ ალაჯზე გამიბოლოაო.

ალბათხიერი — „ალბათხიერი იყო კაპურებისა“ (აციკ, 1864 წ., ხექტ, გვ. 41).

ალბაში — თავეთურა მტრედი, წითელნარევი.

ალდაშის საჯამთრო — ყველაზედ კარგი ჯიშის საჯამთროა, ტკბილი და დიდი, აღდაშიდან (მხარეა თათრებისა) მონატანი.

ალეპის ღაფა — მარხვის წინალამე.

ალეჯდა — Огрубел. კომბოსტო ბოსტანში რომ გადაგვარდება, იტყვიან: ა ღ ე ჯ დ ა .

ალლარსან-ტჰაბასთან — „ერთბაშად შეკვივლეს ალლარსან-ტყაპასთან-ო და კერეს ცხენებს უზანგი“ (აივ, 1887 წ., № 147).

ალრალი — „სართი ნიშნავს ძვირფას თვალთა და აღრალებითა შემკობილ, მოჭვდილ დარბაზის რომელიმე ნაწილს (მაგ., კერს)“ (აივ, 1886 წ., № 234).

ალრანი — ცისფერი მტრედი.

ალსაპალი//ალსაპალი — 1. ტაჯიკურადაც თეთრწვერას ნიშნავს — სოფლის მამასახლისის მიმატებით (Таджикский сборник, 1933 წ., გვ. 18).

„არსენა მარაბდელი“, გვ. 599. 2. ამქრის საპატიო წვერი (საკუთრივ: თეთრწვეროსანი), აღსაჰკალი ანუ „ასაჰყალო“ — უსტაბაშის თანაშემწე-იოსებ დავითაშვილის ლექსთა კრებულში აღსაჰკალის ნაცვლად შეცდომით დაბეჭდილია: „ასაყოლად“. „უსტაბაშად ოპანეზ, ასაყოლად ვართანაო“ (1927 წ., გვ. 112).

ალუჩა — პატარა ბეშევი, ადვილად მოსატყუებელი.

ალჩი-პარუხ — სომხურია, მაგრამ ქართველი მწერლები ხმარობენ პიესაში: „დავიწყო ქუჩა-ქუჩა სიარული და აღჩი-პარუხ და ქრისტე რაღი ვიძახო?“ (ა. ფურც, „ოკუზაკინი“, 1880 წ., გვ. 45).

× **ალჩი-პარუნ** — საკუთრივ, „ქალბატონს და ბატონს“ ნიშნავს. **ალხურული** — მტრედის სახელია, მთლად შავი, მხოლოდ ბოლოთეთრა.

✓ **ალჯანაბადი** — 1. სიტყვასიტყვით ნიშნავს „თეთრ ყინვარ შაქარს“, ლეღენეც, მოყვითალო ხილია, როცა მწიფდება, ჭიანდება. ხეირობს სპარსეთში. **ალჯანაბადს** ნედლსაც სჭამენ და გამხმარსაც, მაგრამ გამხმარი უფრო



ცნობილია. ხმარობენ ავადმყოფობისათვის. ხეირობს...¹ ქვეყანაში, სპარსეთში და ერევანში და უყვარს განსაკუთრებული ნიდადაგი. „ყო ზაქუსკეული ვიყიდე, პამუტკბილეული: ნუყლი (იხ.), ფსტა (იხ.), აღჯანაბადი“ (ს. ფაშაღლი, „ნიანგი“, 1936 წ., № 8, გვ. 9). 2. ხმელ ხილთაგანი, ტკბილკურკიანა ჭერამი, გარგარი (საბას-ღარანღო, აბრიკოს). „...უგზავნიდა... ხმელ ხილს: ინდის ხურმას, ნუშსა, ქიშმიშსა, აღჯანაბადს“ (ს. ი. მეჯღან, I თავი).

✓ **აშაპარი** — ქალის სამკაული: მარგალიტის მძივი, რომელიც ყბებზეა აცმული და წვერები კი ჩიხტიკოპში აქვს დამაგრებული. არა აქვს დ. ჩ.ს. **აყლაჭუღა** — „თითონ იყო აყლაყუღა, ჭკუა ჰქონდა — მოკლეკუღა“.

აშა — 1. „აშა ჰკრა“, უარი სთქვა, „შემინა ჩემი უარი, რუსულ ატკაზთ არ მიიღოს“ (დ. ერისთავის კერძო წერილი). აქვს ჩ.-ს, გვ. 77. 2. **Отказ** (პირველად გ. სუნდუკ-„პეპო“). „უარყოფა პატიოსან კაცისა და აშას კვრა ქურდისა ერთმანეთისაგან როგორ უნდა გაირჩეს ამისთანა შემთხვევაში?“ (ილია, ტ. IX, გვ. 183). „ამაზე ცხელ-ცხელი აშა ჰკრა“ (იქვე, ილია, ტ. IX, გვ. 339). **ა შ ა ა ნ უ ა შ ი** — უარი. „გვიანდაა ასეთი ამის კვრა“ (ილია, ივ. 1893 წ., № 234).

აშარი — 1. ანჩხლი, კაპასი, გლისპი. ბლახ აშართიდან ხომ არ წარმოსდგა? იმერ. ქ ა ფ ა რ ი. 2. თავაშვებული. იხ. ალაშა (არა აქვს არავის). ანჩხლი, კაპასი. „ნელა ამოდი, ტარიელ, რა თავი გაშრება“. 3. დ. ჩ. — „თავებელი“. „სულზე მიუსწარ იმ აშარ ნათელს“ („პეპო“, 25). „ის მიკლავს გულს, ის მალონებს, ის მიკიდებს ცეცხლის ალეს, შესსატრფოს შეილს რომ შესსაცვლად ეს აშარი დამტრიალებს“ (იმერ. კრებ. „სოინარი“, გვ. 9). რუსულად რას ნიშნავს? „Ты все еще такой же ашара“ как и был“ (მოკონ. ა. ჩეხოვზე თავის უფროსი ძმისა — ალექსანდრეს, „Лит. Ленинград“, 1934, № 57).

✓ **აშაქარი** — 1. ცრუ, მატყუარა, თაღლითი, ყალბათბანდი. „რას ელაპარაკები მაგ აშაქარ ღედაკაცს“ (ა. ცაგარ, „ხანუმა“, 1897 წ., გვ. 113). „წვინტლაქე შაშო, ის აშაქარი, დალუპა ხალხი, თავს დასცა ზარი“ (გ. სკანდ, „ორსულების კასსა“, 1908 წ., გვ. 5). 2. ანჩხლი, ჭინჭყლიანი, ჭირვეული. 3. უარისმთქმელი, მყვლეფთავი.

✓ **აშაღლარა** — 1. ავსული ღედაკაცი, ბოროტი. იხ. ჩაფარხანა. „იმის ღედა ერთი აშაღლარა რამ არის“ (გ. სუნდ, „ნათაბაღ“. III მოქ.), „ნატას, მათთვის თავდაღებულს, ვინ იცის, რა სახელებით არ ნათლავდნენ: აშაღლარა, კახა, ტუტუცი“ („ჭკუა გზა“, 1925 წ., № 14-15, გვ. IV). „ანაფორა შეკაკრე, დავიკიდე ზედ ოლარი, სულის საქმეს შევედექი, სხვასებარ ვარ აშაღლარი“ („თემი“, 1912, № 53). 2. ავარა. 3. თავზეხელაღებული, გავარდნილი. აშაღლარა კახეთში — ჩაფარხანა, ავსული ღედაკაცი. „ამ პირველ გამოსვლაზე შევატყე გაბუნას ქალს ყველაზე უკეთ შეასრულებს ანჩხლ, კაპას, აშაღლარა ბებერი ღედაკაცის როლებს და არა ახალგაზრდა ქალისა“ („დროება“, 1879 წ., № 261).

აში — ქელეხი.
აშია — რანტი.

¹ ასეა. — რ. კ.

აპაღუბულის შვილი — ტფილელ დედაკაცების გინება.

აპუპაული — აღტკინებული, ვულგარულად ახურებული.

აჟანან — აპკრა, აარტყა, ააცოცა, იქურდა; ჩუმად ამოართვა, ჩუმად აიღო. მგონი რუსულიდან არის წარმოებული — *цапать*. „კაიტლისტური სახელმწიფოები აჯანყების მსვლეობამ შეაფიქრა, თან ზოგიერთს წაგლეჯის, აწაძვის სურვილი გაუღიზიანა“ (პოლექტივიზაცია, 1935 წ., № 59, გვ. 3, ფულეტონი). „ერთს წამს რომ იქით მივიხედოთ, ქრდ-ბაცაცები ან ბოთლს აგწაბნიან, ან სხვა ნივთსაო“ (სივ., 1891 წ., № 159). „სიგელებს და ძველ ფულებს აწაძანის“ (გ. სუნდ. „აპეო“, გვ. 63). „მოიპარავდნენ... და მერე დიდხანს აღარ იზილავდნენ იმ სოფელს, საიდანაც მოახერხეს აწაძანა“ (მ. გორკის „დოსტები“, თარგ. ვ. გიუნ, „აკაჯი“, 1902 წ., გვ. 18).

აჟანანილი — „ამ გზით აწაძანილ ფულით ჯიბეებს ისქელებს“ (დ. შენგ. „ბაშკადიკლარ“, „მნათ“, 1934 წ., № 10, გვ. 15).

აჟიჟიჟიჟი — ახამხამებს, აწამწამებს. ამბობენ: რატო ვგრე აწიპწიპებ მაგ თვალებსაო.

აჟალ-გუჟულა — იხ. უჭულ-ბუჭულა.

აჟიჟინილი —

აჟაჟაჟა — 1. ხალხი, მომცრო და უდღეური. აჭმაჭუჭი, ლილიპუტი — ქონდრის კაცი. 2. აჯუჯმაჯუჯ — ჯუჯა ხალხი, ქონდრის კაცუნები. 3. ქონდრის კაცუნა, კარლიკი, აჯუჯმაჯული (სნაჟი). იხ. „სალხინო საზანდარი“ 1912 წ., გვ. 276.

აჟოტილა — მაღალ, აწოწილ კაცზე იტყვიან.

ახალუსი — „Ахолук“ — ამ სათაურით სასიძლერო ლექსი აქვს რუს პოეტს Полежаев-ს.

ახარ — 1. ბოლოს და ბოლოს. აქედან ახრიზამანი, ბოლო ჟამი, განკითხვის წუთი. „Окажи наконец (ахир) милость этому нищему“ (Доклады Ак. Наук СССР, 1937, т. 2, ст. 38). 2. წარმოებულია სიტყვიდან „ახ“. ეს სიტყვა ძლიერ უყვარდა გრ. ორბელიანს (მისი კერძო წერ. აკ. გაწერ. რედ. გამოც. გვ. 125, 126 და სხვ.; იხ. ჩუმი ა ცაგარელი). 3. ახარ სიტყვის მასალაა. ამბობენ: „ახარ, რომ ვამბობ, გაიგონე რალა“. „ახარ, მითქვამს და...“ „ახარ, ზომ იცი, ვაჭრობა უშუშტროდ რაგორ ძნელა“ (რ. ერისთ. „სივ“, 1887 წ., № 2). „ახარ, წელიწადში ერთი შაური რო ესწავლებინათ, ექვსი წლის უკან გეცოდინებოდა, რომ „ტ“ ექვსი შაურია“ (სივ., 1892 წ., № 253). „რაფიელ, ახარ, უნდა ჩვენ მოვახერხოთ“ (გ. ერისთ. „დავის“ ხელთ. მოქ. I, გამოსვლა II). „ახარ, რას ჯავრობ, დალოცვილო“? (ილია, ტ. III, 1936 წ., გვ. 140). ახარ — აქ თავის ადგილზე არ არის. „ვიცი, რომ იტანჯები, ახარ, იმასაც ძლიერ უყვარხარ“ (ელ. ჩერქეზ. პიესა „სამოცი წლის არშიყი“, 1899 წ., გვ. 28). ამ სიტყვას ლაპარაკის დასაწყისში ამბობენ და საკუთრივ ნიშნავს დაბოლოვებას, დასასრულს; ახარ დღევანდელ ვულგარულ გამოთქმას უდრის ბოლოს და ბოლოს („ბოლოს და ბოლოს, არ იტყვი, ვინა გცემა“?).

ახპარი — 1. ანგალი, უპატოსნო, გამოუსადეგარი, არამაქნისი. 2. ნარჩოძი. 3. ავარა, უსახლკარო, მონეტიალე.

ახო — 1. კუთენილი. (იხ. ჰანი). „სანამ არავინ იცის, ახსაც უჭერენ“ („აუპო“, გვ. 184). „ვაა, შენი ახი მიიღე“ (ორ-ანი, იფე, 1894 წ., № 174). 2. კუთენილი ფული. „შე დაცდა არ შემოძლიან. ეხლავე უნდა მომეცე ჩემი ახი. თუ არა, მანდ ციხეში დალიო“ (ალ. ცაგარ, მოთხ. „მენახშირეთა ცხოვრება“, „დროება“, 1867 წ., № 20). 3. ხვედრი. საკუთარი ოფლით მონაგარი ფული, ე. ი. რაც მისი მონაგარია. 4. კუთენილი გასამრჯელო. „ფარსელა (შევირდს ყურებს გაუწევს) ყურებიდან ამოგართმევ ახსა!“ (გ. სუნდ, „დაქცეული ოჯახი“). ხელოსანს, როცა ხვედრს ფულს მოუჭრიან და აღარ მისცემენ, ხელოსანი ეტყვის: რას მემართლები, მიმუშავენია, საქმე პირნათლად შემისრულებია, ჩემს ახსა გთხოვ, მომეცი რაღა. მოწყალებას ხომ არა გთხოვო. ა ხ ი ა მ ა გ ა ზ ე დ! — მაგიერი მოუვიდა.

ახირ — არაბულად — საბოლოო, უკანასკნელი.

ახმახ — 1. უგუნური. „ახმახ, შენს სიცოცხლეს რათა აჭლექები“ (თხზ., ზ. ანტ., გვ. 135). „— ჩოქი არ გახლავს, ალა, ოთახი რით დახვეტო? — ტო ახმახ, დახვეტო, განა გომურია?“ (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ., № 8). „ადამიანზედაც ითქმის: „ცხვირიღა და თვალდიდრონა, მსუნაგი და ტრაბახია, ერთი უშნოთ აწოწვილა, ერთი რალაც ახმახია“ (ილია). 2. უბირი, ბრიყვი. ამბობენ: ახმახო ჩემო თავო, ეგ რა ჩავიდენიაო! ან კიდევ: ეეე... ახმახ! რას ჩადიხარო. 3. ახმახს უწოდებენ აგრეთვე მაღალს, მოგრძოს (იხ. აბლაყი). ჩვენს უბანში ახმახი სულელის სინონიმად იხმარება. ისე კი მაღალ კაცზე ითქმის. „სასაცილო იყო ის სურათი, როდესაც ეს პატარა ადამიანი ამ ახმახ სომებს კისრულით წაოილებდა“ (შესხის „მოგონებანი“, „ქართ. სიტყვა“, 1924 წ., № 36). „გავხდები ნამდვილად უღმერთო გამცემი, ახმახი“.

ახმომ — Подъем (ფეხსაცმელისა) (მ. ხუბუას თარგ., „ჯემალ ზადეს ნოველები“, „მნათ“, 1935 წ., № 5, გვ. 108).

ახორმაზი — ავხორცი (ს. შავლ., „ჯორჯაქარა“, თავი I, ორი ფურცლის შემდეგ).

ახრი თუთა — უკანასკნელად შემოსული თუთა, მეტისმეტი ტკბილია, მომწვარივითაა.

ახრიზამანი — 1. აღსასრულის დღე, განკითხვის დღე, მაგ., კინტოები, როცა თუთას ჰყიდიან, ჰყვირიან ხოლმე: აბა, ახრიზამანი თუთა! ახრიზამანი თუთაო! ე. ი. უკანასკნელი, ბოლო თუთაო. სხვანაირად ამბობენ: ერთი დესეტნიკი ვცემე, მაგრამ გული ვერ ვიჯერე, ხელები ისევ მექავებოდა. ეხლა კიდევ მეორე შემხვდა და მეუბნება: რათ დამთვრალხარო, გავეცალო, როგორ გავეცალო, თუ არაღა ახრიზამანში აქაც ცემა გამოდისო!.. 2. ბოლო, დასასრული. „ახრიზამანში აქაც ტყეა გამოდის“ (ა. ახნაზ). „აღარაა ძველი დროება, მოვიდა ახრიზამანი, ჩიტებს ზნეი შეეცვალა, იასიხარ ჰყივა მამალი“ (აჭარ. ფოლკ., ჩაწ. აპ. წულაძის მიერ).

✓ ახტაზა — თუჯის ქეთლი, რომელსაც მუსულმანები საპირფარეოში ხმარობენ.

ახტაზანა — 1. თამამი, ცელქი, მხიარული, უშიშარი, გამჭრიახი. „რას აულია თავი იმ ახტაზანას და რას დალაჯუნებს“? (დ. თურღ, „ოქროს თავთავი“, გვ. 4, 1929 წ.). 2. ონავარი, ცელქი, დაუდეგარი.

ახშრაი — თავლაში გრძელი ფიცარი, ნავს რომ ჰგავს, ბაგა — ძირსაა, ახურა — ზევით.

ახში — 1. მაინც. „ზანდუკელის ბაქიბუქმა მეც დამაკვხა ახშია“ (ვაფა, ტ. IV, გვ. 181). 2. ბოლოს და ბოლოს. „ახში ყველანი ხომ უნდა ჩამოვიდეთ“ (განაგონი ტრამვაიში დედაკაცისაგან). „ვიწრო კაბა მოვიკონეს ახლომდისაო, ეს რომ გოგომ გაიკონა, გული მისდისაო. დედიჯან, ჩქარა მიყიდე, თორემ მოკვდებითო... შენი ბუნწულა გოგონა არ გვეყოლებიო, დედა ძალიან დღონდა, ფული არ ჰქონდაო, აქეთ ეცა, იქით ეცა, ახში უყიდაო“ (ხალხ, „კოლმეურნეს ხმა“, თელავი, 1935 წ., № 15). 3. მაინც და ბოლოს. ამბობენ „ახში შენ შენი გაიყვანე“. ან კიდევ: „ახში მიხვალ და არა რჩები“? (ახრიზამანი). „ახში ჩემს ნათლიას ჩემს მალვით მამაჩემისათვის წიგნი მიყურა“ (ბაჩ, საჭირო ბიბლიოთეკის „შრომები“ წიგ. III, 1937 წ., გვ. 154). „ახლა კი შეიგნო იმან, რომ ახში თვითონ უნდა გადაეხანდა ვალი“... „რა კარგი ხანი გავიდა, ძილის დრო იქნა ახშია, მზექალამ დაწოლა პთხოვა, ლამფა ჩაქრო სახლშია“ (ბაჩ. ლექსები და პოემები, 1938 წ., გვ. 366). „ეგ ხომ ევრეა, მაგრამ ახში ხომ გაივებს“? (ა. ცაგარ, „ცისარტყელა“, „მოამბე“-დან ამონახეჭდი, 1901 წ., გვ. 19). „ახში მაინც არ დაიმალება“ (ა. ცაგარ, „მოამბე“, 1900 წ., № IX, გვ. 40).

აჯაბსანდალი — 1. მოხარშული საქმელია, მზადდება კარტოფილისა, ბადრიჯნისა და პამიდორისაგან. 2. პამიდორის (ოქრო-ვაშლას) და ბადრიჯნის შეჭამანდი, ხაზვით, ერბოთი, მწვანილით და სხვა სანელებელ მცენარეულობით.

✓ აჯალი — 1. ბედი, ყისმათი, ბედისწერა, იღბალი, მარმენიოს. ეს სიტყვა ერთ საფლავის ქვაზე ამოვიკითხე. ამბობენ: რის ავადმყოფობა, რა ავადმყოფობა, აჯალი მოუვიდა და მოკვდაო, ე. ი. შუბლზე ვერე ეწერაო, იღბალის საქმეა ყველაფერიო. „არასოდეს აჯალი არ ყოფილა ისე ამაყ და საშინელი, როგორც 1924 წლის იანვრის 21-ს ლენინის სიკვდილის დროს“. (დ. შენგელაია, „ფიცი“, „კომ“. 1934 წ., № 9) „ჩერქესკას მოველინა აჯალი“. (გ. სკანდ, „ჩემი საკრავი“, 1906 წ., გვ. 10). „მე დამღუბე და, მაგრამ კი შენც მოვივა აჯალიო... ვიცი მალე თავს წაგკვეთამს რუსის მჭრელი ხანჯალიო“ (მზრული წიგნაკი ვინმე ა. ორაბერლისა „ვერძანა და თათრის დაღუპვა ვარშავასთან“, 1915 წ., გვ. 13). 2. სიკვდილის უკანასკნელი წუთი. იხ. ჩემი „ბარაშკა“, „საიათნოვა“.

✓ აჯამი — 1. უცოდინარი, რეგვენი (ამური სიტყვა). 2. ბრიყვი, გაუთლელი. (კოე, 1900 წ., № 160). 3. გაჭირი, ჯიუტი, კერპი, თავისნათქვამა. 4. თავნება, გაუგონარი, ძველი დროის კაცი. 5. სპარსულად ჰანგის სახელია. 6. ძველი დროის და ძველი შეხედულობის კაცი.

აჯანი — არის შეძახილი ქეიფის დროს, არის აგრეთვე შეკითხვა: აჯან?



აჯაჯული — 1. ცუდათ ჩაცმული. 2. უშნოთ ჩაცმული. „აჯაჯული ტანისამოსით დაიარებოდა“. 3. სახელდახელოდ ჩაცმული; აიჯაჯა, ცუდათ ჩაიცვა.

✓ **აჯილღა** — 1. ხარფუნში და საზოგადოთ ქართლ-კახეთში თამამ და თავაწყვეტილ ქალზე იტყვიან ხოლმე: „აი, შე აჯილღა!“ ნ. შიუკაშვილსაც ამ მნიშვნელობით აქვს ნათქვამი თავის პიესა „სიმახინჯეში“. „შენ ისეთი აჯილღა ხარ, რომ!!! (მაროზე), (ჟურნ. „ერი“, პ. სურგ. რედ. 1910 წ., № 17, გვ. 6). 2. აფთარს დედაკაცს აჯილღას უწოდებენ; აგრეთვე ბედაურ ულაც ცხენსაც აჯილღას უწოდებენ, რომელსაც ჯოგში გაუშვებენ ხოლმე კარგის ჯიშის მოსაშენებლად. ანდაზაა: „აი აჯილღა თავის ღედას დაწვაო“. „რაცა ხანია ვე კაცი აჯილღასვით დაძრწის და აღარ გააჩერა აღარც ქალწული, აღარც ქმრიანი და აღარც ქვრივი“ (შელან, „მამა ქრისტეფორე“, 1934 წ., გვ. 38). 3. კაპასი. „ერთი ვილაც აჯილღა ათასჯერ იომებს, რომ შე ტიტულიარნი სოკეტნიცა ვარო“ („ივ“, 1886 წ., № 200). აჯილღა — ეს სიტყვა არის „დასტურლამაღში“ (გვ. 12, იხ. წინათემა, გვ. V). „გლახა აჯილღა ღედას შეანტება ზურგზედაო“ (ხალხ.). „მეოთხე — ხართუთაანთ აჯილღა ქალი იყო“ (გ. სუნდ. „ვარინკას ვერეო“, „ივ“, 1879 წ., № 5-6, გვ. 109). „რა გასაკვირველია, მაგათი ჯიშისაგან, ერთი აჯილღები არიან“ („ივ“, 1887 წ., № 164, გვ. II). ჯილღა ზარის სახელია. „აჯილღა ივი მხატვრის ქალს გამოსტყუვა, წამოისხა“ „ქილილა და დამანა“, გვ. 201). „ერთხელ გორში ვითამაშე ყომარი, კაცი ვნახე აჯილღაზე მჯღომარი“ (1936 წ. „ეკლექტივიზაცია“, № 44).

✓ **აჯიღოსანი** — თეთრჩაღრიანი მანდილოსანი; „მთხოვა, გარე აჯიღითა მოიბურა ტანი, პირი“ (შოთა). „ივერიაში“ ქართველი მანდილოსნების მიერ ხმარებული ჩაღრი ასეა აწერილი: ფართო, სრული იმღენად, რომ მთლად მანდილოსანი დაჟფაროს. ოთხკუთხი. ორთავ მხარეს სარტყელში ჩაიკეკამდნენ, თავს წამოიზურამდნენ ისე, რომ თვალებიცა გამოჩნდებოდა. ფეხებს ჰჟარავდა („ივ“, 1904 წ., № 103). ჩაღრი — იგივე აჯიღა. აჯიღოსანი — ჩაღრით მოსილი.

აპთაზ — რემონტი.

ბ

ბაბა – პასკასავით რალაც საჭმელია; ბაბას აგრეთვე ბავშვები უწოდებენ პურს.

ბაბალაპრიში –

ბაბალე – ბარბარე (ქალის სახელი), ბაბო, ბაბულია, Варвара, ვარინკა(!).
ბაბანო – 1. ის ბაბანებდა. „თან ისეთი სიცივე გამოუშო, რომ ყველას ბაბანი დაგაწყებინა“ (სპარსეთი და იტალიის ქართველები, თავი V, მე-10 ფურც.). 2. ცანცანი.

ბაბაყული – 1. ფრინველია. არა აქვს საბას (დ. ჩ-ს აქვს). 2. ბაიყუში, მარტოობის მოყვარული. „რა ბაბაყული ღამეა“ (ს. შგალ., I, გვ. 70).

ბაბაში – 1. ღონიერი, გაბედული, გონებადამჯდარი, გამოცდილი. 2. ამაყი, ყოჩაღი, არაწვრილმანი. 3. გაბედული, თამამი.

ბაბაშური – ქცევა ყოჩაღური, არალაჩრული.

ბაბაჭუა – 1. ობობა. მეტი სახელი იყო ტფილისელი მოჭიდავესი. თუ ყაბაჭუა (გ. ერისთ., თხზ., 1936 წ., გვ. 332). 2. მიწის ერთგვარი მატლია. მახინჯ კაცზედაც ამბობენ: რა ბაბაჭუა ვინმეაო. ბაბაჭუა მეტსახელად ერქვა ერთ ცნობილ მიკიტანს.

ბაბთა – აბრეშუმის ვიწრო ჩაფარიში, ბაბთა.

ბაბთი – ბავთი, სამზითვო ტანსაცმელზე ოქრომკედით ნაკერი მორთულობა.

ბაბლაწვა – წმინდათ ნაქსოვი ნაჭერი.

ბაბლები – მუთაქის ნაოჭასხმული სათავეები. მუთაქის პირის ნაოჭიანი ბოლოები.

ბადანზანო – 56 ძვირფასი ლალი (ქალაქ ბადანშიდან).

ბადგირი – ბანის ფანჯარა, სანათური. გამიგონია „დარბაზის ბადგირი“.

ბადე – თევზის დასაჭერი დიდი ნაქსოვი.

ბადეშხან – ბადანში, ერთგვარი წითელი ქვა.

ბაზაზი – 1. ფართლულობის ვაჭარი. 2. ბაზაზი – აქედან ბაზაზხანა. 3. დ. ჩ-ს შეცდომით აქვს „წვრილმანით ვაჭრობაო“ (გვ. 92). ყველა წვრილმანით მოვაჭრე ბაზაზი ხომ არ იქნება? ბაზაზი ფართლულობით მოვაჭრეა.

ბაზაზხანა – ფართლულობის ფუნდუკი (ქარვასლა). ქარვასლა შესდგება ორი სიტყვისაგან ქარავან (ულამი) და სარაისაგან (სახლი). ბაზაზხანა ისე როგორც ყასაბხანა, დალაქხანა, დაბახანა, ბაყალხანა, აშპაშხანა, ე. ი.

ხანა ნიშნავს ბუღეს. ბაზაზების ბუღეს, რიგს, უბანს, რაიონს. „ბაზაზხანის მოვაჭრეები თავს გავიდნენ. ხალხს ვერ გაეგვება, კალთებს აგლეჯენ: არა ჩემთან იყიდე ფართალი, არა ჩემთანაო, საჭირა პოლიციელი დააყენონ წესრიგისათვის“ (აივ., 1887 წ., № 271). „შემდეგ უფ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა ერისთავის თარგმანზე აქამომდე ისე მიბუყის ყურები, თითქოს ეს არის ეხლა გამოველ მეთქი ბაზაზხანიდამ“ (გ. ბარათ. „ცისკ. II“, 1861 წ., № 6, გვ. 147).

ბაზი — შური. ბაზი არის აგრეთვე რომელიღაც ფრინველის სახელი.

✓ **ბაზმა** — სანათია ერთგვარი: შაქარს, ბამბას, ნიგოზს დანაყავენ, სამად დააწვრილებენ და აანთებენ ხოლმე ქუნთრუშას, ყვავილის და წითელას წინააღმდეგ. ამბობენ: ანგელოზებს უყვართ ამის სუნით.

ბათილი — მოსპობილი, უარყოფილი, ძალადაკარგული.

ბათილმა — გაუქმების ბარათი.

ბათქა-ბუთქი — ხშირი თოფის სროლა.

ბათქაში — კედლის შეღესვა კირით ნარევი ქვიშით. „დილით აღუშოთველი მადრიდელი დამლაგებელი ქალები მასლაათი ჰგვიდნენ ჩამოკვნილ ბათქაშს“ (აივ., 1937 წ., № 178, 5 აგვ. გვ. I).

ბათხი — ბავშვი? ახალგაზრდა? ნორჩი? — „ყმაწვილი ვაჟია? — გუბნები ჯერ ბათხია“ (ბ. ჯორჯ. პიუსა, „ცისკ“, 1865 წ., სექტემბერი, გვ. 24).

ბაიათი — 1. აღმოსავლეთური ერთხმოვანი ჰანგი, როგორც „რომანსი“. ბაიათს ყოველთვის მღერის ერთი, ბაიათი ერთის სიმღერაა (სოლო). ბ ა ი ა თ ი არ არის ახსნილი (ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია, 1928 წ., გვ. 36). 2. ანუ ბეთი — სპარსული ლექსის ერთ ხანას ნიშნავს; ჩვენში სასიმღერო ჰანგია.

✓ **ბაიბურთი** — ერთგვარი თამაშია კამათლებით.

ბაიბური — 1. ჩამიჩუმი, მცირე ხმაურობა (აივ., 1900 წ., № 194). „ქართველი მკითხველი ბაიბურში ჩააგდებს ამ აბანეთთან განსწავლულ ვაუბატონების ჩაზვას“ (ჩიორა, აივ., 1900 წ., № 121). „ვაჟი არაფერ ბაიბურში არ არის“ (აივ., 1887 წ., № 38). „მაგრამ არავის ყურს ბაიბურადც არა გაუგონია რა“ (რ. ფაულენ. „მოამბე“, 1896 წ., № VI, გვ. 9). 2. ხმაურობა, ჩამიჩუმი. 3. სიჩუმე. შეველა, ხსნა.

ბაინდურა — 1. დიდთავა, მაგრამ სუსტი ჭკუის პატრონი. „ისე გავიხდი მაგ ბაინდურა თავს, რომ სულ ბუზები გუხვეოდეს“ (ა. ცაგარ, პიუსა „ბაიყუში“, მოქ. II). „ი, მეხი კი დაგაყარე ბაინდურა თავზედ“ (ათეატრი, 1886 წ., № 31, გვ. 359). 2. არის სოფელი, სადაც რომი იყო 1855 წელს. მგონი, ბაინდუროვი გვარიცაა. 3. ღონდლო ადამიანს ბაინდურას უწოდებენ. ბ ა ი ნ დ უ რ ა — სახელია კაცისა, „რამდენი ხანია ვხვეწები სათვალეები მომეცით-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ყველამ ბაინდურას ყურები გამოიბა, ვილა არის შენი გამგონი“ (ცქვიტი, „პიონერი“, 1935 წ., № 1-2, გვ. 4).

ბაიყუში — ღარიბი, საწყალობელი (ასეა ჩვენს უბანში, ეს ახსნა დარჩეს).

ბაპი — საქონლის სადგომი საზაფხულოდ.

ბაპლა — მცენარეა ერთგვარი, რომელსაც ლობიოს მსგავსი მარცვალი აქვს, მხოლოდ უფრო ბრტყელი და უფრო მაგარი.

- ბაკუზა** – მეტი სახელი კაცისა, ვითომ მახინჯი და კუზიანიო.
- ბალა** – 1. მოხეტიალე აშული. 2. ხათაბალა. 3. დავიდარაბა, გამოუსვლელი მდგომარეობა. ბ ა ლ ა სახელი იყო ტფილისელ ცნობილ თარის დამკვრელისა (1888 – 1935 წწ.). „აი, ხათა, აი, ბალა“ (რ. ერისთ., „პარიკმახერისას“, 1880 წ., გვ. 28). „ვაჰ, თუ კიდევ ბალაში გავხვები!“ (მელან, „ბნელო“, 1891 წ., გვ. 134). 4. უბედურება.
- ბალა-ბალა** – სიმღერის დროს სახმარებელი სიტყვა.
- ბალაბაში** – ზედამხედველი. ბალა-პატარაა(!) ბაში – თავი.
- ბალაში** – სულიერი მწუნარების ამოძახილი: აი, ბალაში!
- ბალახათა** – ბალა და ხათა.
- ბალახანა** – 1. ოთახი ოთახში, ოღონდ ჭერის ქვეშ. 2. ბალაგანის მსგავსია. 3. ბალახანა – ოთახშივე გაკეთებული ფიცრული, რომელიც ჭერთან ახლოს არის მიკრული და მუდმივ დასაწოლ-დასაძინებლად იხმარება. „ისე შევეს, რომ ორი კვირა ღუქის ბალახანაში ვიწექი“ (აფ., 1887 წ., № 1).
- ბალი-ალა** – ბატონი ბრძანდებით, „მზად ვარ, ბატონო“. ი. ევდოშვილი თავის ლექსებში ამ სიტყვას ასე აბრუნებს „ალა ბალი“.
- ბალქამ/ბალქამ** – იქნებ. „ბალქამ ეს არის“ (აფყრა, I მოქ.). „შვილო, შენ ფულებმა კენჭი გგონია, ბალქამ აუტყდეს რამ, მერმე ფულებმა დაიკარგოს?“ (ბ. ჯორჯა, აფ., 1891 წ., № 153).
- ბალყუში** – ბაიყუში. „ისიც ჩვენებიანთ ბაბაღესავით ბალყუში იქნება“ (მელან, „ბნელო“, გვ. 87). „ბ ა ლ ყ უ შ ი ფ ი ქ რ ე ბ ი“, ე. ი. „შავი ფიქრები“.
- ბამბი** – ბონი ხმა დუღუკის დაკვრის დროს (იხ. ჩემს „საათნოვაშიც“).
- ბანდაჟული** – პირდაპირი თარგმანი: მ ო ნ ა - მ ს ა ხ უ რ ი. „ღავეთები თქვენი უმორჩილესი მონა და ბანდაჟული“ (ძველი წერილებიდან). „ვაი თუ... მარტორქას წელი მომიწყდეს და მეც, თქვენი ბანდაჟული ერთის დაკვრით გადმოვარდე“ (აციხკ., 1861 წ., № III, გვ. 427).
- ბანდი** – ამბობენ: ერთი სიტყვის ბანდიაო, ერთი სიტყვის მეტი არ უნდაო. შეკვრა.
- ბანდიანი** – 1. ბედშეკრული, ნავსი. 2. მარცხიანი.
- ბანდუში** – სწორად დაყენებულ ბოძს რომ დაუმატებენ სიგრძეს, ამ პატარა ნატურ ბოძს ბანდუში ეწოდება.
- ბანი** – „ყორანი ჰმაღავდა ბანის კრამიტის ქვეშ“ (ი. გოგუბა „აქონა“, 1884 წ., გვ. 50). „ნობათია“ სმართლიანად შენიშნა, რომ ბანს კრამიტი არა ჰხურავს („ნობათი“, 1884 წ., № 7-8-9, დამ. გვ. 101).
- ბანნაჰ** – კალატოზი(?).
- ბაო** – ძუძუთა ბაღლი.
- ბარამბო** – ყვავილია ერთგვარი, საიდანაც გამოჰხდინან ხოლმე მუცლის (კუჭის) წვეთებს. ეს სიტყვა ბაჩანასაც აქვს: „ბარამბოსა და იასა მეც კარგად ამოუსრუტაო“ (გვ. 319). (აგრებ. 1871 წ., № III, გვ. 8).
- ბარამჯიბილი** – გვ. 152, გრ. ორბ. წერილები.

ბარაქანთი — ხევი, უფლის კურთხევა. მაღლი, საესება, სიკეთე. „ღმერთან მისცეს იმათ უმეტესი შნო და ბარაქათი“ („ცისკ“, 1864 წ., სექტ. გვ. 38, II განყ.).

ბარაქალა — ყოჩაღ! (არაბულად დალოცვა ყოფილა: ღმერთმა გაკურთხოს!). „კარგათა სთქვი, ბარაქალა!“ („ცისკ“, 1863 წ., აგვ. გვ. 25). ბ ა რ ა ქ ა ლ ა — შექებითი სიტყვა — ყოჩაღ! ვაშა!

ბარაქიანი ხელი —

ბარბარობა — წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიის დღესასწაული (ობა საკუთრივ დღესასწაულს ნიშნავს). წმ. ბარბარეს ტაძარი ქვემო ნავთლულშია. დღეობა 4 დეკემბერს მოდის.

ბარდა — ცერცვის მსგავსი მცენარეა.

ბარეზარი — 1. მზგავსი, თანატოლი. „ხოსროვის ტახტი ხარ, ტრდატის ვვარი, ვვრა ვნახე მე შენი ბარეზარი“ (სეფილოლლანი, ცენტრ. არქივი, № 495, გვ. 24). 2. თანაბარი, თანასწორი, გამიგონია: ასე ბარეზარს რომ ველაპარაკები და არ ვეპუები, იმიტომ მოსდის ჯაერიო. ბ ა რ ი ბ ა რ შ ი — თანასწორობა. „ძლიან კარგი, შენ შენის ბასით მაამე და მე კიდევ ჩემი დაპირებით — ბარიბარს ვართ“ („მხვილსიტყვაობა“, შუკრ. დ. ჯავახ, 1938 წ., ბთ. გვ. 66). „კატა თუ გეძვირებათ, ცხენი იაფიაო, „ბარიბარში“ გამოდის, ჩემი ქეიფიაო“ (აკაკი, „ვაჭრული ჭკვა“). ბ ა რ ა შ ი: „დალეული, ნსვამი კაცი და ბავშვი ერთ ბარაში გამოვლენ“ (ი. მანსვეტ, „მნათ“, 1935 წ., № 11-12, გვ. 227).

ბარი ბაზარი — კაი ბაზარი.

ბარიშალი — ანუ ბარიშანი. შერიგება. „ბარიშანი მომხდარა, ბარეშანე“ (ა. ყაზბ., თხზ., ვოდ. „დილა ქორწილის შემდეგ“, 1885 წ., გვ. 41). „ჩახალ-ოღლი, შუმირიგდი, გავაკეთო ბარიშალი“ („ქართველ შამადიანთა სახ. ლექსები“. 1891 წ., გვ. 4).

ბარობა — ბრალობა. ამბობენ: ვინცა კვდება, მხოლოდ ექიმების ბარობითა კვდებაო.

ბარუთი — 1. (სომხ.) თოფის წამალი, როცა ვაზნაში ჰყრიან. ფხვიერი წამალი, არამარილის მსგავსი, ცოტა ხოშორი. 2. ღენთი, საფანტზე წვრილი. „ფეთქს მანქანა, როგორც ბარუთი“ (მ. უზნაძე, გვ. 34).

ბარცაპალი — ბალიშის მისადებელი ფიცრის მუთაქა; მუთაქის მაგიერი. „თავით ედო მხვილი ჩითი ბალიში, ბარცაქალზედ მიღებული“ (მელან, „ბნელი“, 1891 წ., გვ. 27). „ოთარაანთ ქერივშიაც“ არის.

ბარხანა — 1. ბარგი, ბარგი-ბარხანა. „სჯობს მოვიშორო თავიდან, თორემ უფრო დიდი ბარხანა გამიხდება თავზე“ („კაპიშონი“, გვ. 19). 2. ხაბაკი(?) ეს სიტყვა, „ბარგი“ და „ხაბაკი“ არეულად აქვს რ. გვეტაძეს („ქართ. მწერ“, 1930 წ., № 2-3, გვ. 21).

ბასმა — თმის შავი საღებავი. ამ საღებავს შეაზავებენ რძეში ან მაწონში და ხმარობენ თმის შესაღებავად. ბასმავენ აგრეთვე ჩიქილას (ლექჩაქს) ცარციით და წებოთი შეზავებულ წამლით.

ბასმალნი —



ბასტა – 1. ამ სიტყვას თულუხჩები ხმარობდნენ, როცა თულუხი წყლით აეცებოდნენ. „მორჩა და გათავდა! ბასტა“ (მ. ხუბუას თარგ. „ჯემალ ზადეს ნოველები“, „მნათ“, 1925 წ., № 5, გვ. 112). „ბასტა“ – იტყვიან ხოლმე ევროპელები. ამ დაძველებულების და დაუნაიანებულების საქმეც სწორეთ ბასტა: ამათი დასასრული მოახლოვებულა“ („ციცკა“, 1864 წ., აგვ. გვ. 352). 2. კმარა! თულუხჩს, როცა წყლით აეცებდა ჭურჭელი, ამბობს: ბასტა!

ბასტიბუზუ – 1. აყალ-მაყალი, ალიაქოთი, განგაში. „ესეც წაუთავაზებდა კისერში და იყო ერთი ჟრამული და ბასტიბუზუ“ (რ. ფავლენ, „მოაბბუ“, 1896 წ., № 1, გვ. 63). 2. ყაყანი. „მეორე ოთახში მოყარათ თავი მეჭორე ქალებს და გააქონდათ ერთი ბასტიბუზუ“ (რ. ფავლენ, „მოაბბუ“, 1895 წ., № XII, გვ. 25). 3. უთავებოლო ქეიფი, ღრიანცელი, უშინაარსო დროს გატარება. „რაც გარეთ ანწევს ფულსა, ზო ანწევს, რაც შინ ბასტიბუზუს მართაჟს, ის კიდევ სხვაა“ (ნ. აზიანი, „ფული და ხარისხი“).

ბასტურმა –

ბატიბუტი – 1. კუტი პური ნაპარალი (...) პური, თონეში ჩავარდნილი. 2. მოხალული სიმინდი (მზესუჭვრიტას თესლი). 3. არა აქვს დ. ჩ-ს. იხ. ჩემი „ბარაშკა“. დაბატული. 4. თეთრად დახალული სიმინდი. თ. რაზიკაშვილით: „ბატილა“ („ივ“, 1900 წ., № 160). ამის შემდეგ ეს სიტყვა იხმარა ახალგაზრდა პოეტმა გრ. აბაშიძემ. „მორეული გზით ზამთარი მოდის, რომ შეგვათეთრონ ბატიბუტებმა“ („სიტყვა და საქმე“, 1934 წ., № 8). 5. დახალული სიმინდი. დაბატული სიმინდი. თუ კაცი უცნაურად გაიცინებს, იტყვიან ხოლმე – იმის სიცილი ბატიბუტის ტკაცატკუსა ჰგავსო.

ბატყაჭა/ბატყაჭი – უშნო, პრტყელი სახე, გატყლაჭული სახე, „პატყაჭა პური“. ადამიანს ეუბნებიან, ვისაც გაგანიერებული სახე აქვს. მგონი პურზედაც ითქმის (ეს სიტყვები გადახზულია – რ. კ.).

ბაშა – ჩვილი ბავშვი.

ბაშა – ნდობა. „ჩვენი ბაშა გატყდა“ („ივ“, 1892 წ., № 353). „ძალს უფრო ბაშა აქვს, ვიდრე ზოგ-ზოგ ცოლსა“ (ქალაქ ანდაზა).

ბაშაზი – დადულებული ღვინოა, წამლადაც ხმარობენ.

ბაღაჭი – უმარილო, პატარა კვერი-ხშიადი. უმარილოდ გამომცხვარი პური. ერბოიანი კვერი. ნაზუქი.

ბაღდადი – 1. მამაკაცის ხელსახოცი. 2. „მწვანე ბაღდადი“ – აბრეშუმის ხელმანდილი; თავდახურული ქალების თავსახვევი (სახელწ. ქ. ბაღდადიდან წარმოებს). 3. ყავრით შეტყეპილი კედელი. 4. თხელი და შეფიცრული კედელი, რომელიც გაჯით იღვსება.

ბაღჩა-ქინძისთავი – თვლებით შემკული შუბლის ქინძისთავი; ჩინტში გასამაგრებელი დიდი თვალი, ირგვლივ წვრილი ქვებითაა „ჩაქვაკებული“. არის აგრეთვე: „ბაღჩა ბეჭედი“, „ბაღჩა საყურე“ და სხვა.

ბაყალი – 1. მეხილე; მწვანელილეულობით მოვაჭრე. ღიხს იქითელები



„ბაყალს“ ხშირად ასე ხმარობენ „მებაყლე“ — რაც სრულიად დამახინჯება ამ სიტყვის სწორი წარმოებისა (როგორც არ შეიძლება „ყასაბი“ „მეყასბელ“ ითქვას). პროფ. გ. ნათ. ბაყალს ასე განმარტავს: Бакал - бакалейчик, торговец сушонными фруктами и вообще сладостями и закусками (გ. ნათ. „სტარი ტიფ“, 1929 წ., გვ. 53). ბაყალი — შეიძლება „Бакалейный“-ს უახლოვდებოდეს, მაგრამ სულ სხვადასხვა მოვატრენი არიან ბაყლები და „Бакалейчик“-ები. არ ვარგა, როცა ამბობენ მებაყლე. ეს იმას ნიშნავს, რომ სთქვა — მეყასბე, მემნატრე, მეპოეტე, მეარტისტე, მემიკიტნე და სხვ. ამიტომ არ ვარგა გ. ქიქოძის თქმა: „სალამოს კი იგივე ცერემონია უნდა გავიმეოროთ მებაყლის კარებთან“ („ლმერთებს სწეერთათ“, 1939 წ., გვ. 107). 2. „Купите фрукт, бакалейчик рад“ (პეტროსის ლექსი მიძღვნილი ტფილისიდან პუშკინის ძმისადმი). და არა „საბაყლო“ („დროშა“, № 13, 1929 წ., თ. მ.-ს წერილში „ჩეხოვის გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო“). „ამ ჩვენს ზურგიელს კი არა ჰკვანდა, რომელსაც ჩვენზე ასალებდნენ ქ. შირლოროდის ბაყლის ლუქანში“ (ნ. გოგოლი — გ. ჩიქოვ, „კრებ“, 1871 წ., № III, გვ. 7). 3. ხილით მოვატრე.

ბაჰაჰჰჰური — ერთგვარი ცურვაა. ცურაობის ხერხი.

ბაჰია — იერიში. ჩხუბის დროს ამბობენ: იმ კაცზე ბაყთა მიიტანესო, ვითომ ერთი კაცი რამდენიმემ დაიბრიყვა და იერიშით დაიმორჩილაო.

ბაჰიბაჰჰჰური — ამგვარი ბაჰიბაჰჰური საქციელი ერთი და ორი არ არის“ („ივ“, 1886 წ., № 211).

ბაჰლული — ყაბალანი.

ბაჰუსტა — 1. ბატონი ბრძანდები. „ბედი თავს დაჰყუფს: „ბაჰუსტა!“ (ვაჟა, ტ. IV, გვ. 299). „აბლუშაპილა მორჩილების ნიშნად შუბლზე მიიდვა ხელი და მოახსენა „ბაჰუსტაო!“ (აკაკი, „ბაჰი-აჰი“, 1913 წ., გვ. 61). „სამასი კაცი? ბაჰუსტა! არ მოგეჩვენოს არაკადა“ (პ. იაშ., „სალიტგაზ“, 1933 წ., № 16). „ივანია: ისეც კარგი დაგემართა. იმისთან კრიმანჭულს შემოვძახებ, რომ სულ ბულბულებს ჩამოვაფრენ ზეციდან. გოჯასპირ: ბაჰუსტა, ივანია! („კვადი“, 1893 წ., № 49, გვ. 15). „ნუკინ ახლებს ხელს რუსთველის ენას, — ბაჰუსტა!“ (ი. მუნ., „ივ“, 1886 წ., 174). „— მითხარ, ხელი ნუ დამაღვივინე! — თუ დედაშენთან წამიყვან ამალა — ბაჰუსტა!“ (დ. მანს., „ივ“, 1890 წ., № 170). „...კიდევ კახელი, ხევსური, ქართლელი, იმერელი, გურული, ქიზიყელი და სხვანი განა? ბაჰუსტა!“ (ილია, ტ. IX, გვ. 319). 2. ბ ა შ უ ს ტ ა! დიდი სიამოვნებით! თანახმა ვარ! „ბაჰუსტა, კაბაჯ შენი ჭირის სანაცვლო იყოს“ (ილიას პიესა „მაჭანკალი“).

ბაჰსადრონი/ბაჰსადუნუ — 1. ნამდვილად ნიშნავს: „თავს შემოგვევლე!“ („მეჯღან“, ვ. ზურობის წინათქმით, გვ. 123) 2. აფერუმივით. „ჩვენც გავეითუნდა, ბაჰსადრონი, გოგოჯან!“ (ლ. არდახ. „მორჩილი“, 1936 წ., პ. კეშელავას რედ., გვ. 102). 3. პირდაპირი თარგმანია: თავს შემოგვევლე. ჩვენებურად „ბიჭოს“. ამბობენ: ერთი ვნახოთ, „ბაჰსადუნუმ, მოვიდა!“ ან თუ სიყოჩაღეს ჩაიდენ — იტყვიან: „ბაჰსადუნუმ, ბიჭო! შენ აღარ ხუმრობ აი“ (ბიძია თორნიკეს — ლავ. არდახ. ფსევდ. — წერ. „მოგზაურობა ტფილისში“, „ცისკ“, 1862 წ., № ივლისი, გვ. 140). „ვზივარ ლუქნის წინ და ვნახოთ, ბაჰსადუნუმ, ფონტალიონმა წიგნი მომიტანა“ (ი. გრიშ., თუმორისტული აღმ. „წმინდა გიორგის



შუბ-მათრახი, 1907 წ., № 1. აკაკის „ბოღვა“, „ჩვენი მწერლობა“, გოგაძისა, გვ. 80). „ღმერთის მადლმა, ქვეყანა გადბურუნდა, აღარა გაიგება რა... ბაშხადურ (?) ბიჭო, ბიჭობაც ასეთი უნდა“... (ი. გედევან, „მსხვერპლი“, „ღრამები და კომედიები“, გამოც. „სორაპანი“. 1911 წ., გვ. 42). სოლ. ახვლედიანის თხოვნით, გადამწვარი ქართული თეატრის ასაგებად რომ ლატარია დაარსდა, დავწერე ეს ლექსი შეკვეთით: „ამავეს გეტყვი, ხალხო, ამავს გასაკვირალს, ლატარია უნდა გათამაშდეს კვირას, სულ ერთი დღე დარჩა, კმარა რაც იძინეთ, ბილეთები, ჩქარა! ჩქარა შეიძინეთ. თორემ თუ სხვამ, გესმის? იქ მოგება ნახა, მაშინ უნდა დაჯდეს, და დაალო ხახა, ხომ ერთ ვინმეს უნდა ერგოს ბედის ღმერთი, და ეს ერთიც, ვინ უწყის, იქნებ იყო შენა. მაშ რად დახვალ, ძმარ, ვერუ განდაგანა, ასი ათას მანეთს ეზუმრები განა?! ბაშხადურუშ ბიჭოს! ერთიც ვნახოთ, რომა არ დაგვირდეს ჯაფა, არ დაგვირდეს შრომა, და იხილო უცბად სამოთხისა კარი, დაჯექი და მერე ქელი ჭერსა კარი“. თურქ. ნამდ. „ბაშ-აღ-დონემ“ ნიშნავს თავს შემოგვევლე. 4. ნამდვილად (თავს შემოგვევლება, ყურბანოლუგ). „ბ ა შ ხ ა დ უ ნ ი“ — პი, ვიდი, ბაშხადური, ლუარსაბ ბაშხადური“! (ა. ცაგარ. პიესა „მკითხავი“, ილიას „აკაცა აღამიანისაგან“ გადაკეთებული, ხელთნაწერი). „ფრანკ, ძმარ, ალექსანდრე ბაშხადური, ბარაქლა“ (გ. დვანიძის ლექსი ალექ. ხომშიაშვილზედ. ხელნ. მაჩვენაბიჭ. შველახემ). საკუთრივ: „თავს შემოგვევლე“! „პი, ვიდი, ბაშხადური, ლუარსაბ“ (ა. ცაგარ, „მკითხავი“, ჩვენის რედ., „მნათ“. 1937 წ., № 5, გვ. 38). „ბაშხადურ? მაგრამ ბაშხადოს, ბიჭო და სხვ.“ (ი. გედევან. „მსხვერპლი“, მოქმ. სულ ბოლო).

ბაჩა — პატარა ტანის ცხენი, უფაფრო. რა ბაჩა რამე ხარ, — დაბალი ტანისა.
ბაჩუყი — (ბაჩუყები) ქალის ზედატანის („რუბაშკის“) ილღობის ქვეშ ბოლომდე ჩაგდებული სამი-სამი ვიწრო ნაჭერი, რათა სამოსი ვიწრო და გამოჭირებული ყოფილიყო (დეიდისაგან განაგონი).

ბაცანაქალა — ხის სასთუმალი. დ. ჩ-ს არა აქვს. „შემდეგ მიიწვედნენ და-ძმანი ჭილობზე ხის ბაცანკალს“ („ხმა კახეთისა“, 1913 წ., № 59). ილიასაც აქვს.

ბაცი — ღია ფერის.
ბაჭიჭი/ბაჯიჯი — პარკოსანი მცენარის პარკი, რომელშიც მარცვლებია. განსაკუთრებით ამ სახელით ცნობილია ლობიო. ბაჭიჭი — პარკოსანი მცენარის მწვანე ტყავი (გოლდონის პიესა „Игунец“).

ბაჭყალი — ბავშვი. „როც უამბობდა თავის ბაჭყალების ლეღს მოულოდნელ გამიღრმავს“... (ან. თუმან, „ხუთი ამბავი“, 1888 წ., გვ. 40).

ბაჭყაბა — ბაყაყის შვილი.

ბახტაპი — მსხვილი ცოცხალი თევზი.
ბაჯაღლო — მალახარისხოვანი ოქრო. ბაჯაღლო, პოლანდიური ფული.
ბ ა ჯ ა ღ ლ ო ო ქ რ ო — ნამდვილ ოქროზე უფრო წმინდა და ხალასი ოქრო. „მას წინათ ას ხუთი მარცვალი ბაჯაღლო ოქრო გამოვჯაგნეთ“. (პ. იოს., „ცხოვრება მუფე გიორგი XIII-ის“, 1895 წ., გვ. 23).

ბაჯაღლანა — უშნო. უშნოდ ნაკები აღამიანი, მოკლე ტანისა და სქელი, მანინჯი. „ჯარისკაცებმა ათფაღიერეს ეს ბაჯაღლანა კაცი, გულანად გადაიხარხარეს“ („ჯეჯილი“, 1914 წ., № 5, გვ. 279).

- ბაჰიანთა მშობლები** — განთქმული დოსტაქრები. „ასტამოვი მოიყვანეს, ნეტავ ფეხი არ შეეხსნა, ეცლა ბაჰიანებისთვის, იქნებ იმას ჩემთვის ეხსნა“ (ერთი ქალაქ. ლექსიდან).
- ბაპარი** — სუნოვანი სანელებელი მცენარე.
- ბაბიდა** — და ბებისა, და დიდდისა.
- ბაბუთი** — ირიბი დანა ორპირზე ლესული.
- ბაბთარი** — მორკინული საცმელი.
- ბადასლი** — 1. უშნო, უფხო, უქნარა, უვარგისი. 2. გამოუსადეგარი. „ბედასლად დამძინებოდა და იმ კვანძმა ტრაქტორმა ზედ თითზე ვადამიარა“ (დ. ნადირაშ, „ოქტომ“, № 7, 1939 წ., გვ. 10). „გოვონი, შენი ბედასლობა სულს მართმევს“ (გ. სუნდ, „აქუა“, გვ. 42). 3. უჯიშო. დ. ჩ-ს სწორედ არა აქვს ახსნილი. იგი, ამბობს ბედასლი — ფლიდიარო. „...დახ, ის ბედასლები, ჩვენ ძვირად გვიღირან, მაგრამ გაფრთხილდით“... (სეფოდალის აღზრდა, თარგ. ვაჟასი, „ივ“, 1880 წ., № IV, გვ. 22). „გარნა ამ ავაზაკმა, უგანმა და ბედასლმა ივან ივანის ძემ“... (სერგებ. 1871 წ., № III, გვ. 31, გოვონის მოთხ. გ. ჩიქოვ. თარგ.) „ამაზედ მეტი ბედასლობა და უხეირობა იქნება“... (ზ. ჭიჭინ; „ნ. ბართაშვილი“, 1885 წ., გვ. 24). „ბედასლი“ ნახმარი აქვს განსვ. აღ. წინამძღვრიშვილს თავის თარგმანში „ევა“ („მოამბე“, 1902 წ., № 11, გვ. 60). 4. უბედო, უბედური, უქნარა. **გედასლობა** — უმსგავსობა.
- ბაღენა** — ვაჟა ასე აბრუნებს „დათუნამ არავინ გააბედენა“ (მოთხ. „დათვი“, თავი I).
- ბაღმლაშე** — უბედო.
- ბაღოვლათი** — მფლანგავი, უქონებო, უვარგისი, უმნიშვნელო. „არ დარჩენილა არც ერთი ფრონტი, რომ მას თავისებური ბედოვლათური შტრიხები და შესწორებანი არ შეეცანა“. (ს. კომ, 1931 წ., 94, გვ. 4 „პატარა ფულეტონი“ — დამკვრელი).
- ბაღრანგი** — 1. უფერული, უეშნო. „ბე“ სპარსულად „უ“-ს ნიშნავს და „რანგი“ — ფერს. 2. არის სიტყვა ბაღრანგი-ც, რომელიც გრძელ კიტრს ნიშნავს („ივ“, 1890 წ., № 13, ე. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი კარაბადინი). 3. თუ „ბიდრანგი“? („შაჰამე“, ტ. II, გვ. 57). 4. უხეირო, უშნო, ულამაზო. 5. **გ ა ბ ე დ რ ა ნ გ ე ბ უ ლ ი** — გაზუნებული“ (თ. რაზიკ, „ივ“, 1900 წ., № 160). 6. უფერული. „დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებულ პიესას („საღაო მფლობელობა“) მესამედ სდგამენ. ნეტა რა ღირსებას შედავენ ამ ბაღრანგს პიესაში?“ (ი. კავთელი; „თეატრი“, 1886 წ., № 6, გვ. 54).
- ბაღსიერი//ბათსიერი** — 1. უხეირო, უბედური. „ამ კარგებს რომ დაკარგავთ, ზომ გაწრიოდა, გუნიჭოვდა, გაბედხეირდა ამისთანა ნიჭური და მავთილი ხალხი, როგორც მვერულნი“ (ა. ფურც, „მატი ზეიტა“, გვ. 174, 1935 წ.). „მერე მედროშეთ დადგა, მაგრამ ამაში უფრო ბელხეირი აღმოჩნდა“ (აღ. ცაგარ. მოთხ. „დროება“, 1867 წ., № 30). 2. უსარგებლო. „ბიჭო, გიციხე და ამ ბელხეირზედ“ (ნ. აკალიშ, თარგ. „ყაჩაღები“ გვ. 82). „აი, მე არა ვარ, რომ ასე ბელხეირად დავუთრევი?“ (ი. კერეს, „ციცკ“, 1868 წ., № XII, გვ. 43).
- ბაჰაბაჰდა** — უსადილოდ დატოვება სასწავლებელში. წარმოებულია „ნезабѣда“-დან.
- ბაჰიკი** — ერთგვარი ქაღალდის თამაშობაა.



ბაზირბანი — ოჯახის ბურჯი, მხოლოდ არა გამრჯელი, — მბრძანებელი, ზედამხედველი. „ერთს ბეზირგანსა დაცსა“ (ვაჟა, I ტ. სახელგ., გვ. 75).

ბაზირბანის ფარჩა —

ბაიბაზა — უნდობი. იხ. ბაფა.

ბაითალმანი — უმემკვიდროთ ამოწვეტილი კაცის დარჩენილი ქონება.

ბაითარი — უარესი. ამბობენ: შენ რა შეგიძლიან, ჩემზედ ბეითარი შენა ხარო.

ბაილბალი — უიღბლო, უყისმათო, უბედო.

ბაიფუზი — გამოტყინებული, გამოყრუებული, გამოჩერჩეტებული.

ბაქაუზი — ჯუბის მსგავსი თბილი ჩასაცმელი.

ბალა — ერთსახეობა, ერთფერობა, ერთიდაიგივეობა. ამბობენ: შენ კი ბელა აგიჩემია: სად იყავი, სად იყავი, სხვა სათქმელი აღარაფერი გაქვსო, ვითომ სულ ერთი და იგივეს რას მელაპარაკებო?..

ბალბა — 1. ბე, დაწინდვა. ქალ-ვაჟთა ნიშნობის პირველი სამკაული. „იქნებ რო ბელგაც დატყუოთ“ („საქ. შოაბე“, 1863 წ., № VII, გვ. 24; „არსენა მარაბდელი“, გვ. 608).

„ალექსანდრე (ნატოს ხელზე ჰკოცნის). ნატოს დედა: ლოყაზე, ლოყაზე, შვილო, და ბ ე ლ გ ა ც მიეცი“. (გ. სუნდ, „დაქვეული ოჯახი“). 2. ჯერ ბელგაა, მერე ნიშნობა, მერე ქორწილი. ბელგა — ე. ი. ბე, ქალის დაწინდვა. ბელგა — რაიმე ნიშნის მიცემაა საპატარძლოსათვის (მთიულეთში ასე ყოფილა. იხ. ს. შაკალ, „მთიულეთი“, 1930 წ., სახელგ., გვ. 114).

3. პირობა. ჯერ ბელგაა, მერე ნიშანი. „ბელგა მშრალი რამ არის. ნიშანს რომ მისცემენ, მაშინ დაქორწინდება“ (გ. სუნდ, „ნათაბალა“, მეორე მოქ.). 4. ნიშნის მიტანა საცოლესათვის. „სწორედ სიყვარულის წაშალი მომცხო; ბელგას მივცემ, სახლში შევალ, ნიშანსაც ვაქრთხებიან და მერე...“ (გ. ბარნ, „თებურას დანიშნული“, „გრდუბი“, 1913 წ., გვ. 260).

5. ერთგვარი ნიშნობაა უღვდლო. საზოგადოდ ქალს რომ გასინჯავენ და საცოლოდ მოეწონებათ, მაშინ ქალს ბელგას აძლევენ (ბეჭედს, საათს ან სხვა რამეს) და ამბობენ ესა და ეს ქალი დაბელგესო, ე. ი. ბეი მისცესო.

ბაილუზი — უსაქმური, ზანტი. „შინ კი ჰყრიან ბელუშად, მუქთად და ცუდათ“ (რ. ფაგუნ, „შოაბე“, 1896 წ., № 1, გვ. 32). „საუბედუროდ და ქართველების ბელუშობით მე არ მიწერია მემუარები (ეკ. ვაბა, 1914 წ., № 4, გვ. 4).

ბამურაზი — უმურაზო, სურვილ-დამტკნარი, მიზანმიუღწეველი. იხ. მურაზი. „ერთ ოთახში თითონ ეძინა, მეორეში — ნაბადი და მოსამსახურეები. პო, მაშ, ის ბემურაზი“. (გ. ბაშინჯალ, „ახირებული მასპინძელი“, იხ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 1009). „ბოკემის“ შემდეგ გავრცელდა. „რამტოლჯერ ჩავიგდევარ ამ ბემურაზ ნიანგში, აღარ გასსოვარ?!“ „იმ ბემურაზმა მილიცამაც ბაშფორთუბზე ატკაზი დამარტყა“... „ერთიც ვნახოთ ის ბემურაზი სულიკო ხანჯალს იღებს“ (ს. ფაშალ, „ნიანგი“, 1936 წ., № 8, გვ. 8-9). „ამხანაგი ოქიას ნაბადივით ჩამოპყიდა — წაიღეთ, ზემელის ბალში დავისვენოთო, კარგად არ ვიცოდი ამ ბალის ბემურაზთა ამბავი“ (კ. მესხი, „ახ. კოშ“, 1936 წ., № 230, გვ. 2).

ბამურაპათი — ულმობელი, უჯიგრო, შეუბრალებელი. ბემურაზი? („სახლნიწო საზანდარი“, გვ. 113).

4. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი.

ბანტარა — 1. სულელი. „ერთი მძა მკავლა ბენტერა“ (დ. ნახუცრ., ლექსებიდან). 2. ჩერჩეტი, ყერყეტი. 3. ყეყეჩი, უბირი, ბრიყვი, გაუთლელი.

ბარახუა — სიბერისაგან გამოყვეყებულნი, ბებრუცუნა, ხნიერი.

ბარიკა — ნიღაბი.

30რბლა – 1. დიდი, ახმახი ვინმე. ვ ი რ გ ლ ა ლ ო ბ ი ო – ლობიოს ჯიში, რომელსაც დიდი მარცვლები და პარკები აქვს. მოყავთ უმთავრესად ლამაზი ყვავილისათვის. ლობიო წვრილ მარცვლიანიცაა, ბევრ პარკს იკეთებს. ჩვეულებრივი ლობიო, რომელიც ორ ჯგუფად იყოფა: სარის ლობიო და კუტი ლობიო. (სარის ლობიოებში ცნობილია: 1. წითელი ლობიო, მეტად გავრცელებულია, ადვილად იხარშება და გემრიელიც არის; 2. გურული ლობიო, იცის კარგი მარცვალი, ადვილად იხარშება და მეტად გემრიელია; 3. თეთრი ლობიო – კარგია წვნიან საჭმელში შესარევედ. 4. წითელი მრგვალი ლობიო, ხმარობენ სამარცვლედ და მწვანედ. 5. ნიკორა ლობიოს აქვს კვერცხის მაგვარი ოროფერი მარცვალი, კარგია მარცვლად სახმარებლად; 6. შავი ლობიო, გემრიელია, მხოლოდ არ არის დიდათ გავრცელებული; 7. მიწის ლობიო, კუტი ლობიოა, კარგი მოსავალი იცის და ძვირად ფასობს, მეტად გემრიელია და ადვილად იხარშება; 8. ფეხის ლობიო – მოგრძო მარცვლები აქვს, წითელი ფერის). 2. უმნოდ აწოწილი ადამიანი. „მოსწონდა ერთ ვირგლას“ (ალტენბერგიდან თარგ. თ. ლომ. ვ. გუნაის „საქართ.“, 1908 წ. № 10). „აგერ ვეჰსი თვე სრულდება ფეხქვეშ ვეგები ი ვირგლა ლეტუმის“ (ივ. მაჭავ. თარგ. „გლუნიკაციის ისტორია“, 1913 წ. გვ. 144). ვ ი რ გ ლ ა მ ს ხ ა ლ ი – დიდი მსხალია. დაუმწიფებელს შაბის გემო აქვს, მწკლარტეა, იანვარ-თებერვალშია კარგი. ფრანგულად ჰქვია „ანჟუის კაია, კრასავიცა“. 3. უშველებელი, მაღალი, ოყლაყი, ზუზი.

30რეშმაპა – გაქნილ კაცზე ითქმის. „ღღეს ისეთი ვირეშმაკა ნულარ გგონივარ“ (ნ. ლომ. შოთხ., 1926 წ. გვ. 245). „А Воронцов сам себе на уме, грузины сказали бы: настоящий „Вир-эшмаки“ („Из архива Андреевского“, 1914, т. II, ст. 144).

30რის აბანო – ნაობაზტი, საპატიმრო. „ამ ქურდების ვინაობა მთელმა ბაზარმა იცის, ბევრჯერ ვირის აბანოშიც ბრძანებულან და ისევ ისე უვნებლად გამოსულან“ („ივ.“, 1889 წ. № 22). „საქმის გარჩევის დროს აღმოჩნდა, რომ ეს ვაჟბატონი მართლა ყოფილიყო სისხლის სამართალში მიცემული და ვირის აბანოშიც მჯდარიყო“ („ივ.“, 1891 წ. № 60; რ. ერისთ., ტ. IV, გვ. 390). „ვირის აბანო“ და სხვ. („თეატრი“, 1889 წ. № 2; ა. ცაგარ. კომედიები ჩემი რედ. გვ. 116).

30სეშუნებოლი – „ბოსტანში ჩემად ვისეშუნებოლი“ (ბ. ახოსა.).

30ჰაპი – 1. ანუ ჯანგულამ (იხ. ჯანგულუმი). ეს ჯანგულუმიც იმ ცრუმორწმუნობათაგანია, როგორც მკითხაობა, ლაზარეობა და სხვა... მაისის გასულს ყოველს უბანში (მდაბიო ხალხში) ღედაკაცები მოგროვებიან სადმე სახლში ან ეზოში, მოიტანენ თავის ბედის გამოსაცდელად: ბეჭდებს,

დანას, ნაჭერს, საყურეებს, სათითებებს და სხვ. მიაბარებენ ერთ დედაკაცს, რომელიც თავადაც ითვლება. 28 მაისს განთიადისას რამოდენიმე დედაკაცი მინდორში დაჰკრეფენ ნაირ-ნაირ ყვავილებს, მოიტანენ სახლში, ჩაჰყრიან ერთ ქილაში და, ვისაც რა ნიშანი მოუტანია, შიგ ჩაუძახებენ. მეორე დღეს წყაროდან ან მტკვრიდან მოიტანენ უმძრახად წყალს (არავის არ უნდა გასცენ ხმა და არც კოკა დადგან დედამიწაზე). ამ წყალს ჩაასხამენ ქილაში. იმავე საღამოს ქილას ბანზე აიტანენ და სამ დღეს იქ დასტოვებენ. მეოთხე დღეს ჩამოიტანენ, დასდგამენ ტახტზე. ორ პატარა კუპაჭია გოგოს თვალებს აუკრამენ ცხვირსახოცითა და გვერდით ამოუყენებენ ამ ქილას. ამ ყმაწვილებს სათითაოდ ნიშნებს ამოალებინებენ და თან **ჯანგულების** წიგნს კითხულობენ სიმღერით (ეს წიგნი დაწერილია ძველად სომხურ ენაზე ბ-ნ ატერპატენის მიერ). ნივთის ამოღება და სიმღერა ერთად სწარმოებს, რადგან სიმღერის სიტყვები ეკუთვნიან ხოლმე იმ ნივთის პატრონს, რომლის ნივთიც ამოვა. 2. პიესაცაა ამ სათაურით („ცისკა“, 1869 წ. ოქტ. გვ. 11). იხ. ჩ., გვ. 509 („აკაკაზი“, 1856 წ., № 41). 3. ხვედრი (ოვ. თუმან; „ანუშ“, თავი მეორე; „ნამუსი“). ძველ კარაბადინში ეწერა: „ქრისტეს ვიჭაკი არის, ამინ“, „წმ. იოანეს ვიჭაკი არის, ამინ“.

3067 — ვიფუჩუჩუჩე. აბანოში ბანაობის შემდეგ ამბობენ: „ვიფაევი აბანოში და კარგად ვიხუჩხუჩეო“.

3068 — (ანუ პუტნალალი) არის ერთგვარი ცურაობა.

ზ

ზადი – 1. ავადმყოფობა, ნაკლი, ზინჯი, დეფექტი (აქვს დ. ჩ.-ს). 2. მანკი, წუნი, სინჯი, კილი, მწიკლი, ბრყვილი. „თქვენს ხელზე... არავითარი სენი, არავითარი ზადი არა ჩანს“ („იკალი“, 1897 წ., № 13, გვ. 27).

ზათქანო – დაცემის ხმა.

ზალყალმა – ქალის სახელია ჩვენს უბანში.

ზამბურაპი – ჩახმაზიანი და განიერტუჩიანი დიდი თოფი. ზამბურაკს უფრო სათოფურებიდან ისერიან და ციხის თოფად იწოდება, მძიმეა ხელში დასაჭერად.

ზამიფი – ბოძკინტო. მოსაშველებელი ბოძი ან კეტი. არის ერთი ანეგლოტი: ერთ რედაქტორს გრძელი უღვაშები ჰქონდა, მაგრამ ეს არ კმაროდა უღვაშ ქვეშ გაეშო წვერი, რომელიც შეჭხლართოდა უღვაშებს და უფრო გრძელი მოჩანდა. ერთმა კინტომ შენიშნა და უთხრა: კნიაზო, ე უღვაშები, უღვაშები, მაგრამ ეგ ზამინები რაღა ამბავიაო?.. (ე. ი. უღვაშქვეშ წვერი რაღათ ამოგიყენებიაო). „...ერთი უხერხულობა მოსჩანდა სცენაზე (შერმაზანოვის დარბაზზეა ლაპარაკი), შუა კვლიდამ ჭერში გამოშვერილი ჰქონდა ბოძი, თითქოს ზამინი მიუციათ ჭერისათვისო“ (პ. უშიკ. „ჩვენი თეატრის თავგადასავალი“, „ივ“, 1899 წ., № 209).

ზანდარჩო – ყვითელი ყვავილია, ზაფრანასავით. კოჭა.

ზანზალაპი/ზანბალაპი – მომცრო ზარი (შამანე, II, გვ. 586). იხ. „ხელმწიფის კარის გარიგება“, გვ. 23. „აქლემის კისრებზედ ჩამოკიდებული ზანზალაპები აზმურდნენ“ („ნობათი“, 1884 წ., № VII-VIII-IX, გვ. 366).

ზარაბანდა – Колокольчик (ყვავილი) და არა „მაჩიტელა“ ან „...“¹ როგორც ეს უნივერს. გამოც. ახალ რუსულ-ქართულ ლექსიკონშია.

ზარადიფი – ოქრომჭედლობის იარაღი: მაშის მსგავსი, მრგვალპირიანი.

ზარაპანდი – მცენარეა ერთი. „ოხერო წუთისოფელო, ზარაპანდივით მწარეო“ (ხალხ.). („თ. და ც.“, 1917 წ., № 3).

ზარაში – 1. პატარა, დასაწყარუნებელი ხელის ზარი (ან ელექტრონის ზარის ღილი). „ზარაფს ჩამოკრავდა და საუზმის მოტანას უბრძანებდა“ (ნ. ავალი, თარგ.

¹ ასეა. – რ. კ.

7. ი. გრიშაშვილი, ქლაქური ლექსიკონი.

„თავადის ქალი“, 104). 2. ფულების დამხურდავებელი. ბანკირი. ძველად ბანკები რომ არ იყო, მის ნაცვლად იყვნენ ზარაფები, მაგ., თუ რომელიმე მოვაჭრეს სახელდახელოდ ფული დასჭირდებოდა, ზარაფები ხელს უმართავდნენ და ისინიც სარგებლით იხდიდნენ. ეს ხდებოდა უუქსილოდ (უწინ ბანკების ნაცვლად ზარაფები იყვნენ. ესენი სახელდახელოდ ხელს უმართავდნენ ვაჭრებს, ისინიც სარგებლით უბრუნებდნენ წამოღებულ ფულს). წინეთ ზარაფს აქეთ-იქით ბიჭები ჰყავდა, რომელნიც ჰყვიროდნენ: „Медные деньги, сюда любезны, части чудесный, деньги Российский, кому угодно, пятаки новые.“ ეს ზარაფები 30-40-იან წლებში იყვნენ სიონის ქუჩებში და ბანკის მოვალეობას ასრულებდნენ. „ზ ა რ ა ფ უ ლ ი ა ნ გ ა რ ი შ ი ა“ (რ. ერისთ., ტ. IV, გვ. 23; „მხათ.“, 1938 წ., № 12, გვ. 164).

ზარაფხანა – საფლურე. ფულის დასახურდავებელი ადგილი ან **МОНЕТНЫЙ ДВОР**.

✓ **ზარაბაბი** – 1. ძვირფასად ნაქსოვი აბრეშუმში, ოქრომკედით ნაკერი, ოქროსფერი; ძვირფასი ფარჩეული. „...ხედ რა ესურა ზარი-ზარაბი“ (ხალს, საიათნოვა, აკოფოვი). 2. ძვირფასი ფარჩეული, ოქრო-ქსოვილი.

ზარაბაბით ღობიო – 1. შენელებული ღობიო. „ – ცარიელი ქარკვეტა? აგრე აზიხად გავეზღია? – რის ცარიელი? კარგი თორნის პური; ღაზათიანი მწვანილი, ზარაბაბით ღობიო“ (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ., № 9). 2. ერთგვარი ღობიოა: მრგვალი, წვრილი და ოქროსფერი.

ზარაბარი – (საიათნოვაში) ოქრომჭედელი.

ზარი – ოქრომკედი.

ზარის საშურა – ამ საყურეს ხმარობდნენ ძველად, ზანგალაკის მსგავსია, ძალიანაც მიღებული იყო საპატარძლო ქალებში. **ოქროსსაყურე**. ვ. ბარნოვის მოლექსიკონე ვერ ხსნის ამ სიტყვას სწორედ („ფერად-ფერადი“). ის ამბობს „ზარის სახის ჩხარუნა საყურე“ (ზარი-ოქროს ნიშნავს).

✓ **ზარიში** – 1. ნებიერი, კეკლუცი, ტურფა, ნარნარი, სანდომიანი, ამო; კეთილშობილი, კარგად აღზრდილი. 2. მეკერმე. (Описание, ტ. II, გვ. 421).

ზარიშიკი – (ანუ ზირიშიკი) სანელებელი მცენარეა, მჟავე მარცვალი, გამხმარი მოცვის მსგავსი.

✓ **ზარიშიფი** – ოქრომკედნარევი ფართლეული.

ზარლუჩაძანა – ფარჩა-ატლასის კაბა. **ზარლუჩაძანის კაბა** – ზარიანი (ოქრომკედიანი) და ჩაქიანი (ნაოჭიანი) კაბა.

ზარნა ბრიჯი – ერთგვარი ბრინჯია წმინდა და მოგრძო, მეტისმეტი მაგარია და დიდხნის ხარშვა უნდა. **ზარნა რომელიდაც სოფელია** აღმოსავლეთისაკენ. არის კიდევ **აქულასბრინჯი**, ე. ი. ბრინჯი აქულის ქვეყნიდან მონატანი, ეს აქუის ბრინჯი თეთრი და დარჩეულია.

ზარნიშა – ზარნაშინი, მინანქარი.

ზარულა — 1. ჩემბა, ფეხსადგილი. „ხუთი ლექსის პასუხად ეს იკმარე, მთქმელო, და, მართლად ქვეყნისა ზარულო, შენგან ჩასაგმელო“ (ეთნ. საზ. ხელთ, № 2558). 2. ტფილისში ჩემბა, სეირანი (გურიაში).

ზარუშუი — სარქველი, ხუფი; არყის ქვაბის სახურავი.

ზარაჰაში — ანუ ოქროს თუ ვერცხლის სხეპლა.

ზარხოში — ღვინით შექვიფიანებული (არა ძალზე მთვრალი).

ზაფრიანობს — „რა გუნებანაქცევ ქალივით ზაფრიანობ“.

ზახრაბრისტი — За храбрость. „ზახრაბრისტი“ (ზ. ანტონ, „შშის დაბნელება“, I, მოქ).

ზახრუყუთი — ჩორუმცა (იხ. ზაპრუმალა). „ი ზახრუყუთი შენ“ (სეპო, გვ. 65).

ზაპლა — 1. ილაჯი, მოთმინება. „ეხ, მამიდა, ზაპლა წამსვლია, გუებნები, ღმერთმანი“ (გ. სუნდ, „დაქცული ოჯახი“). 2. ამტანობა. **ზაპლა წაილო** — თავი მომაბეზრა. „ზაპლა წაილო, ილაჯი აღარ არის“. „ერთის სიტყვით, ამ პოეტების ჭირმა ზაპლა წაილო!“ (ს. ჭრელ, „ივ“, 1888 წ., № 40). „ამ ბაღდაჩნიებმა ხომ ზაპლა წაილეს“ (სეპო, 1887 წ., № 8). „ტყვილად კი არ ამბობდა ის საწყალი ოსკან პეტროვიჩი — ეს მინდაო და ის მინდაოსაგან — ზაპლა წამივიდაო“ (გ. სუნდ, „ხათაბლა“, III მოქმედება). „გავიხედე, ქალი და კაცი ღვანა და ერთი ყვირიან და ერთი ყვირიან, რომ... ზაპლა წაილეს“ (იხ. წიგნაკი „შურდული ივერიდან“, 1904 წ., გვ. 28).

ზაპრუშაღლა — 1. „ზაპრი“ სპარსულად შხამს ნიშნავს და „მარ“ გველს. ძველად, ძველი სპარსელები და სომხები ქურთებს „მარ“-ს უწოდებდნენ. „დიდება არ იყო ამითან ჯდომა, მაშრა ზაპრუშაღლა იყო?“ (გ. სუნდ, „ეპირიკას ვეჩერი“, თარგ. პ. უშიკო, „ივ“, 1879 წ., № 5-6, გვ. 78). დ. ჩ.-ს აქვს ჰ ა ზ რ უ, აქვს ჰ ა ზ რ უ მ ა — წყველა, გვ. 515. „დიდი ღვინებმა სხვა ენით გამარჯობას ქართული ენით ზაპრუშაღლის თქმა ერნიუნა“ (პაწორა, „ივ“, 1891 წ., № 5). 2. სიტყვის მასალაა. ნამდვილად ნიშნავს: „შენ კი ვირისთავო, ავიღა თავი, მამანემს ფული აქვსო, უსაქმოდ კლებებში ზაპრუშაღლა გაგიმართავს“ (სეპო, 1812 წ., № 253). „პურს კი არა, ზაპრუშაღლას შევკვამ“ (სეპო, 28).

ზაპრუშარი // **ზახრუშაღლა** — „ჩვენებური კაცის უძებში, მართალია, ერთი მანეთი ათასის მანეთისა ყვირის, მაგრამ ეს 200 ათასი მანეთი ძალიან დიდი მიუწვდომელი ზაპრუშარი გამოჩნდა!“ (პ. უშიკო, „ჩვენი თეატრის თავგადასავალი“, „ივ“, 1899 წ., № 214). „თურმე პირველი მინისტრი ყოფილა, ხოლო ყველა დანარჩენი, მრავალ თავიანები — დემოკრატები, ზომიერები, ნაყარ-ნუყარი ზახრუშანი და სხვ.“ (მ. ხუბუას თარგ. „ჯემალ ზადეს ნოველები“, „მნათ“, 1935 წ., № 5, გვ. 103).

ზეაღბაბი — „ეს ადგილი მშვენიერი და ნაყოფიერი ადგილი იყო, ზეაღბი შავი მიწა ჰქონდა“. (ნ. ავაღ. თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 238).

ზეაღბგარი — რკინის სამფეხიანი დასადგამი; ქვაბის შესადგმელი.

ზეაღმარწო — „იგი ზეაღმარწოა საქართველოს წარსულის დიდებისა“ (ია ეკაღ. „საზ. ფურც“, 1812 წ., № 534).

ზეაღბანებაზე — (წარმოებულია სიტყვიდან ზედ-დატანებაზე). „ზეაღბანებაზე ოლინკაც შემოვიდა“. „ზეაღბანებაზე თოვლიც გადნა“ (გ.

ბარნ, „მართალი კაცი“, „ჯეჯელი“, 1899 წ. № IV, გვ. 7). „ზედატანებაზე ისიც მოვიდა“, ე. ი. იმ დროს, იმ შემთხვევისათვის (გრ. ორბ., „ივ“, 1899 წ., № 197). ზედატანაზე მოუესწარი, თავზე დავადექი.

ზედაღორდა — 1. ზედახორა, ერთმანეთზე მიყრილი. 2. ერთმანეთზე მიყრა-მოწოლა. „მონადირეთ შეექმნათ, ვაი და ზედაღორა“ (ს. შანშ., „ნაცარქქია“, გვ. 16, 1930 წ.) ზე აგორებული, ზედიზედ დაყრილი.

ზედადაბი — დამატება, დამატებად: „ზედადაბად კარგ ქმარსაც გიშოვი“ („მოამბე“, 1895 წ., № X, გვ. 55).

ზედასიქა — სიძე ცოლის ოჯახში საცხოვრებლად. ზედსიძეს უწოდებენ „სახლის სიძეს“, ე. ი. იმ სიძეს, რომელიც ჯვარისწერის შემდეგ სამუდამოდ სიმამრიანთსა რჩება მემკვიდრეთ. ჩასიძებული, პატარძლის სახლში სიძედ მისული და იმათ ოჯახში მცხოვრები. „ფრიდონს უთხრა, შენ ამა და ამ ადგილას ზედსიძედ შედიო“ (მ. ჩიქოვ., „საღური ვუხსისტყაოსანი“, 1936 წ., გვ. 147). **ზე დ ს ი ძ ე ო ბ ა** — ჩასიძება. „შენ რომ ის ზედსიძედ შემოიყვანო, ბედნიერები იქნებით“ (ს. შაგლ., I, 182.). იხ. რაფის მოთხრობა.

ზეზალა — ფეხზე მდგომელა.

ზეზაურად — „წამოაზეზევა“. „ზეზეურად ჭკნება, ქრება“ (დ. გივიშვილი).

ზეითუნის ზეთი — ზეთის ხილის ზეთი.

ზეპარა — ზეკარიდან. „კარგია უკარო საღამო, როცა ცივი ზეპარა გვეს შუბლში“ (ს. შაგლ., I, 153).

ზელენ კიკო! — ქურთ. სიტყვაა. „ზელენ“ არის „კიდევე ის“. ჩვენ ვამბობთ დაცინებით: გამოვიდა ზელენ კიკო! ვითომ კიდევე ის კიკოვო. „კიკო“ ნიშნავს: „ცალს“, „ერთს“ (ა. ცაგარ.). „არც ტანისამოსი შესცვლიყო, არც სახლი... ელენ კიკო, ზელენ კიკო, ისევ ის სეიდაბათი იყო და სეიდაბათი“ (გ. სუნდ., „ვარინკას ვეჩერი“, თარგ. ა. უშიკა, „ივ“ 1879 წ. № 5-6, გვ. 77).

ზერა-ჰპერად (თუ ზერა-ჰპერად) — „ავადმყოფობდა, გულს იტყებდა, ზერაჰპერად იყო“ (ვ. ბარნ.).

ზეხმელი — მოუჭრელი ხმელი ხე. „ზეხმელი შეშა“ (ვ. ბარნ.).

ზეპარა — იხ. დ. ჩ. გვ. 522, შესაწირავი. ეკლესიისათვის შეთქმული ზვარაკი, შესაწირავი. „წმინდა ელია ეხმარებოდა, ზვარასა სთხოვ“ (ს. შაგლ., I).

ზეპირთჰარია — პატარა დანაშაულის გამწვინავებელი.

ზეზია — 1. ბრწყინვალე. 2. კარგი რამ. „როდესაც გულში იფურჩქნება ვარდისფერი იმელი, კეკულე ზაზხვები და ოცნებებით დანამული ზიზია ფიქრები“ (სირიუსი, „კომ“, 1936 წ., № 19). 3. ბავშვური თქმა ბრჭყვიალა სათამაშოზე.

ზეზია ვუზადა — ბავშვთათვის ამბობდნენ ძველად.

ზეზილა — „ღმერთსა ვთხოვ იმ პატარ-პატარა წითელი ზიზილათი მალე დაგიშველოს ვე მამაცი გული“ (ა. გელევან., „მხვევრალი“, II მოქ.) აქ ჩინზეა ლაპარაკი. ერთ სახელმძღვანელოში კი **ზეზილა** ყვავილად არის ახსნილი.

ზეზილაპი — 1. ფაიფურის ძალზე პატარა ნატენი. „ჩემო ალვისასარ, შენი



ბრილიანტის თვლებიც ზიზილაკათ გამოჩნდება“ (გრ. რჩეულ „ახუკა ბატონიშვილი“, 1989 წ., გვ. 81). 2. ფაიფურის ან ჩინური ჭურჭლის ნატენი.

ზიზილაკა - 1. ზედმეტი მორთულობა; აჭრელებული რაგინდარა, უბრალო და იაფფასიანი წვრილმანი ნივთები, რომელსაც გამოსაჩენად ზედ აისხამენ. „...რასაკვირველია, ბუჭდები, ძეწკვიმაგას (ე. ი. ქმრის ღალატს - ი. გრ.) ვერ მაქმენებდა; ვერც რამოდენიმე თოფი ტილო, ან კიდევ ტანისამოსი, საცვლები და თავზე მოსახვეი ან სხვა რამ ზიზილაკა-პიპილეები, (ივ. მაჩაბ, „ოტელო“, 1888 წ. გვ. 113). 2. აჭრელებულ ტანსაცმელს რომ ჩაიცვამენ - ეტყვიან: ეს რა ზიზილაკა-პიპილეები აგისხავსო. ვითომ სადათ ვერ მოირთვებოდითო. 3. ჩინებს ეძახდნენ ძველად.

ზილი - 1. წვრილი და გაბმული ხმა. ქეიფის დროს ეტყვიან ხოლმე მეზურნეეებს: ეე, ვირის ბულბულებო, ერთი დაუკარით, ერთი ზილიში დაუკარით. 2. წვრილი ხმა გალობაში (საბა). ზილი ქართულ სიმღერაში მეხუთე ხმას ნიშნავს („ოვ“, 1878 წ., № 17). „შაშვი ამბობს ზილსა, მსმენი იკრთობს ძილსა; დვინავს ქედანი“ (დ. გურამი). „მეზურნეო, დაუბერე ცოტა მაგრა და ზილიში“ (სკანდარნი). „ღუღუკის ნაცვლად - ქარხნის საყვირი, ღუმბო და ზილი დახშო რკინამ“ („ახ. კაკასიონი“, № 1-2, 1925 წ., გვ. 5). „მაიორს ზილი წილად ზედა, ბასისტად გრგვინავს მანუჩარ“ (ბეს, Описание, ტ. II, გვ. 331).

ზილიზო - 1. ქალთა თმა: კავი, დალალი. 2. თმის კავი, ნაწნავი, მაწაკი.

ზილიფუზი - ცხენის გავაზე გადასაფარებელი.

ზიფიზი - რყევა, ღელვა, ბევრი ხალხი რომ იქნება. იხ. „ათას ერთი ღამე“ (რუსული, ტ. VII, გვ. 736). ეს ღამაში სიტყვა ქალაქურია და პირველად მე ვიხმარე, მერე ყველამ იხმარა ლექსებში. „ფურქნის მარცვალი ზიფიზიფის მზეში“ (გრ. არსია „ჩვენი თაობა“, № 3-4, გვ. 39).

ზიფიზილიზი - („აქაო“) „აქერ ზიფიზილიანი თალიკოარ იყო, რომ წიგნის კითხვით გადაირია“ („ოვ“, 1889 წ., № 46).

ზინათი/ზინათი - 1. სიმდიდრე, დოვლათი. ეს სიტყვა ძალიან უყვარს და ხშირად ხმარობს თავის მოთხრობებში ვ. ბარნოვი. „ეს ზინეთი უღველის სიუხვით დაფანტულია“. „საფუძვლად დაედო ქართული მეტყველების ზინეთს“ (თ. სახ., ვ. ბარნოვის ბიოგრაფია. იხ. „სამი რომანი“, ვ. ბარნი, 1930 წ., გვ. XII). არა აქვს დ. ჩხ-ს. 2. „ეს რა მოგვივიდა, ქვეყნის ზინათი და დოვლათი დაიღუპა“ (ა. ფურცო „ოვაზაკანი“, 1800 წ., გვ. 129). „ეს ამოდენა ზინათი რომ შემოიძენია, ჰალაპალათ მოსულა?“ („ოვ“, 1892 წ., № 253). 3. ანუ ზინეთი. დოვლათი, სიმდიდრე, მხოლოდ ავეჯეულობით და არა ნაღდი ფულით. 4. საუნჯე. „ჩემი მზითვეი და იმღენი ზინათი შენ შეჭამე“ (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ., № 8). „გადასცა ზინეთი თავის ვაჟებს“ (ვ. ბარნი, „ზაზართა სახელი“).

ზინდანი - 1. ზინდანი - ტაჯიკისტანში საპყრობილეს ნიშნავს. 2. გრდემლი, ილეკროს გასაჭედი, ძირს დასადები, მჭედელთ სახმარი. „იკრთხოს თქვენი მარჯვენა, ვინც კერსა სცემდეს ზინდანსა, ვინც შრომით არჩენს ცოლ-შვილსა, პურსა სჭამს შრომით წმინდასა“. (ი. დავით, სახელე, 1927 წ., ვ. ხუროძის რედ., გვ. 131).

ზინტლი - ცუდი და ამყრალებული სუნი, ზინზლი, სიბინძურე. ზინტლიანი - ზინზლიანი, ჭუჭყიანი.

ზიპო —

ზორა — ერთგვარი მცენარის სუნოვანი თესლია, რომელსაც საჭმელში ხმარობენ.

✓ **ზორანდაზი** — 1. ერთგვარი ხალიჩა: ფეხქვეშ დასაგები. 2. ძირს გასაშლელი, ქვეშსაფენი; პატარა ორხოვა.

✓ **ზორზა** — ალაფაფის კარებზე ჩამოკიდებული რკინის პატარა და მოგრძო ნაჭერი, რომელიც იხმარება კარზე დასარახუნებლად (ე. ახალციხელი, „ამნათი“, 1933 წ., გვ. 37).

ზირთი-ზირთი — ახვლანჯული საქმე, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი. „მ ი კ ი რ ტ უ მ: ეპ, კნაზ, ზირთი-ფირთი შაუშოთ. სწორედ ვიტყვი“ (ე. ერისთ., „გაყრა“, მოქმ. მორე, გამოსვ. III, რ. ერისთ., თხზ., ტ. IV, გვ. 33).

ზირი — სურნელოვანი მცენარის თესლი.

ზმ! ზმ! — ამბობენ: ბადე გადავაგდე მტკვარში, პეტრეს მორევთან და ზმ! ზმ! ოხრად გამოჰყვა თეფზიო.

ზმუპი — ზმუკუნიდან. „გაბრო: — უ! სოლომონ: ზმუკი!“ (რ. ერისთ., „ივ“, 1880 წ., № IV, გვ. 56).

✓ **ზმუპუნო** — კენესა.

ზოდი — ლითონის ქვა.

ზოზინა — მძიმედ მოსიარულე. **ზოზინი**.

ზოკი — ზოკი სომეხთა ერთი ტომია, რომელნიც სცხოვრობენ არაქსის მახლობლად აქულისის მაზრაში.

ზორბა — ეს სიტყვა არა აქვს დ. ჩ.-ს. „ზორბად სტყუიან“ (რუმინცევის წიგნაკი „აღდგომა, მისი მნიშვნელობა და წარმოება“, 1931 წ., გვ. 6).

✓ **ზორტი** — „ზორტებს გაუხსნის კაბისას“ (თეიმ. II, ანთ., 1828 წ., ტ. II, გვ. 168).

ზრთ! —

ზუზი — მისხლობლივ აწონილი, საწყაოზე არც მეტი, არც ნაკლები.

ზურბიელი — ერთს უთარგმნია Балык-იდან („კრებ“, 1871 წ., № III, გვ. 7).

ზურნა — 1. არაბულად ზურნა ნიშნავს იერიქონის საყვირს (Сб. матер. для описания местности и племен Кавказа. Вып. XVII, მორეგანე, გვ. 5). ჩვენში ზურნა ეწოდება მთელ დასს; ზურნა ჩამოჰკავს კლარნეტს (ია კარგარ. „Грузинская музыка“, 1901 წ., გვ. 18), გამოჭრილია ლერწმისაგან. იხმარებოდა ბრძოლის დროსაც და ლითონისაგან კეთდებოდა. ზურნა მოხსენებულა „არჩილიანში“: „სცემენ ქოსსა და ზურნას ჰკრენ, ჰკონებენ სანაღროსა“ („არჩილიანი“, 1888 წ., გვ. 131). ზურნა მოხსენებულა აგრეთვე გრ. რჩეულოვის „თამარ ბატონიშვილში“: „დაკრეს ზურნა ნაღრას“ (1875 წ., გვ. 67) და განმეორებულია ორსავე „თამარიანში“. „მოისმის ზურნა, ნაღრა“ (რ. ერისთ., „თამარიანი“, 1887 წ., გვ. 47). „გახშირდა ბუკთა ყვირილი, დაკრეს ზურნა და ნაღრა“ (ს. გუგუნი, „თამარიანი“, 1912 წ., გვ. 51). და სხვ. საბაბს განმარტებით: „ზ უ რ ნ ა სხვათა ენაა, ქართულად სტვირი ჰქვიან“ (გვ. 113). შეიძლება

ეს მართალიც იყოს, ვინაიდან უცხო წყაროების მიხედვით ჩვენებური ზურნა მათ საკრავს ძლიერ ჩამოჰკავს. „ზურნა სამუსიკო იარაღია, გარეგნად ჰგავს გრძელს, ვიწრო და სწორ მილს, ძირის ნახვრეტი ანუ ბოლო მოკაუჭებული აქვს“. „Ударили в бубни, в трубы и в сурны“ („Историч. описание одежды и вооружения Россинских войск.“ ნაწ. I, გვ. 63, 94). ზურნა მოხსენებულია აგრეთვე რუსეთის „აკადემიურ ლექსიკონში“ და განმარტებულია, როგორც დუდუკის მსგავსი მუსიკალური საკრავი 2. (იხ. ბოჟეა) დამატება. „ზურნის“ პოპულარობა ისე ეგზოტიკად მიაჩნდათ, როგორც ჩვენებს, ისე უცხოელებს, რომ ამ სახელწოდებით რამდენიმე კრებული და ჟურნალი გამოვიდა, როგორც რუსულად, ისე ქართულად. 1. ზურნა (ვერდეროვსკის 1855 წ. რედაქციით, აღმანახი). ამ ზურნაზე რეცენზია იხ. ჩერნიშევსკისა და ვ. სოლოგუბისა. 2. ზურნა (იემორ. აღმ., 1908, რუსულად). 3. ზურნა (ქართულად) 1907 წ. 4. ზურნა ჩემი ქუჩური ლექსების კრებული. 5. ზურნა (მ. ლელაშ, 1912 წ. „აკაკავში“ დაბეჭდილი). 6. „Золотая зурна“ („აკაკავში“ დაბეჭდილი ლექსების ანტოლოგია, 1926 წ.). „მრავალ მოლაპარაკე და ტრაბახი ჰგავს სწორედ დაფსა და ზურნასა, რომელიც დიდ ხმაურობას კი გაიღებს, მაგრამ თუ შინაგან ნახო, სურლიად ცალიერი დაგვიხვდება“. („სიბრძნე კაცობრივი“, 1877 წ. გვ. 71).

ზუხაპუ/ზხაპუ — ზახრუმალივით დაწყველა („პეპო“, გვ. 20).

ზღართან — 1. ანუ ზაპანი. „უზერხულად დაღმული სკამი გადაუბრუნდა და ძირს ზღართანი მოსძვრა“ (ალ. მირიან, „ნაკად“, 1914 წ. № 1, გვ. 18). 2. ძირს უცბად დაცემა. 3. ძირს მაგრა დაცემა. იხ. ბესიკის ლექსში „სჯობს გარდიკარგო, შევესხას ზღართი“. „ეფთაში დარტყმისაგან ზღართანი მოსძვრა“ (ლ. ანდრეევის მოთხ. „ფესკრული“, თარგ. ს. წერეთ. „ცნ. ფურცელი“, სურ. დამატ., 1904 წ., № 188). 4. (ანუ ტყაპანი) ამბობენ: დავეჭვიდე, მაგრამ ისეთი მოგვერდი მიქნა, რომ გელაქნურის ტომარასავით ძირს ზღართანი მომძვრაო. „წიგნა ზღართანი მოიღო და მტკერის ნისლი დააყენა“ (ობოლი მუჰა, „წიგნი“, 1932 წ., № 1-2, გვ. 25). „უცბად რაღაცას წამოჰკრა ფეხი და გელაქნურის ტომარასავით ძირს ზღართანი გასძვრა“ (ა. ცაგარ, „არუთინას თავგადასავალი“, „ჩანგი“, წმივ, გვ. 41).

თ

თაბაუთი – 1. განსხვავება, მეტ-ნაკლებობა, ავ-კარგიანობის გარჩევა. 2. საზრიანი ანგარიშიანობა. „...იქნება სთქვან ერთი საათი გინდ წინ იყოს, გინდ უკან, რა თაბაუთიარ“ (ილია, „ქუთაისის ბანკის საქმე“, „ივ“, № 168, 1890 წ., გვ. 12). 3. თაბაუთი – სხვაობა, რაზნიცა (დ. ჩ.-ს. ლექსიკ.). „ვევბ აპრილამდის გააჩანჩალოს, რომ ამ წლის რემონტის ფულმა მოასწროს; მაშინ სამას თუმნამდის თაფაუთსა იქს და არ იქნება ურიგო“ (გრ. ორბ. კერძო წერ., გაზ. „სამხედრო მწერალი“, 1932 წ., № 2, გვ. 4). „რისკის საქმეს დიდ ქონებას, დიდ ხერმას, დიდ თაბაუთს თხოულობს“ (ნ. ნიკოლ., „მოაპბე“, 1894 წ., № 1, გვ. 133). „ყველას თავისი თაბაუთი აქვს“ (შელან. „ბნელო“, 1891 წ., გვ. 153).

თაბახი ძაღალი – ათი გვერდი ქაღალდი. არზისთვის ქაღალდს თაბახის ქაღალდს უწოდებენ.

თაბუნდე – დასი, გუნდი, ამაღა, მოამქრე.

თაბუნ-თაბუნად – ჯგუფ-ჯგუფად, გუნდ-გუნდად, დასტა-დასტად.

✓ **თაბუნი** – ძველად „თაბუნი“ ერთი პროფესიის ხალხს ეწოდებოდა; **თაბუნი-დასი**, **გუნდი**, **ამაღა**; **თაბუნი** – ცხენთა ჯოგი; გარდა ამისა მონასტრის ბერებზედაც ითქმის: „თაბუნი მონასტრისა“.

თაბაკბილა – (თაგვისარა იმერულად). ძირძიდასავით რაღაც მუწუკია.

თაბაკვიშივი – „თაგე-ფისობა“ უნდა იყოს; ძველად ჭადრაკის მზგავსი თამაშობა იყო.

თაბუნა – ერთგვარი ნაცრისფერი მტრედის სახელია.

თაპა – ფურნის ტაფა. ლანძვი, იხ. „ფურნისთავა“.

თაპაზა – პატივისცემა. კრძალვა.

თაპანპარა – უმწიკვლო, უმაღლესი, თავანკარა ღვინო – შეურეველი, უმაღლესი ხარისხის ღვინო. „ყველა ნაძირალა გაყარა და თავანკარები აქა ვართ“ (გ. ბასილაშ. „შემუარებიდან“, გვ. 120. ხელნ. კოლია გომიაშვილს აქვს). „ქალი ხარ თავანკარი, გნებავს, დანა დამკარი, მე ვერ გეტყვი უარსა“.

თაპაძალა – უდარდელი.

თაპაძალად – დაუდევრად, უთავბოლოდ.

✓ **თაპაზულბულა** – თავცარიელი, ქარაფშუტა, ბულბულა არის ერთგვარი ყვავილის სახელი.

თაპდათავ – თავდათავ გაზომვა, ე. ი. თავიდან ბოლომდე სიგრძეზე.

თავითი — თავიანთი.

თავზე კაკალს მამტვრავს — მეძედიდურება, მეჩხუბება, მამადლის.

თავი ღვიფო — თავანკარა ღვინო, I სორტა.¹

თავლათრავი — „უქვევლად თავლათრავით ასწინდით“ (ზ. ანტონ. თხზ., გვ. 403).

თავლავიანი — „იპ, კარვი შენცა, თავლავიანი“ (გ. სუნღ. „დაქცეული ოჯახი“).

თავმკვლარი — „ვინ თავმკვლარი შენზე მდიდარი არ იყოს!“ (გ. სუნღ. „დაქცეული ოჯახი“)

თავი — ФОНД.

თავრიელი — „საჩუქრად მიიღებდა თავრიელს ან ქელს“ („მოამბე“ 1896 წ., № IV).

თავსაცილად — აგდებულად. „თავსაცილად იხსენებსო“.

თავს შამოზავლა — ეს გამოთქმა წარმოიშვა შემდეგი ადათიდან: ძველად თუ ვინმე ავად გახდებოდა და ოჯახის წევრებს თუ ეგონათ რომ მოკვდებოდა, ავადმყოფის სიკვდილისაგან დასახსნელად ოჯახის წევრები თავს ევლებოდნენ, რომ ავადმყოფის მაგიერ თვითონ შეგებებოდნენ სიკვდილს და თვითონ კი თავს სწირავდნენ ავადმყოფის გასაგონავად.²

თავშივა —

თავში — „თავზეები დამპალიყო და მიწა მდინარეში ცვივოლა“ (ნ. ავალ. თარგ. „თავადის ქალი“, 1896 წ., გვ. 256).

თავზანა — 1. საზის და ჩონგურის დასაკრული (წვირა), ხის ანაფტქვენი. „გიტარა არის რუსული ჩონგური, რომელსაც ნაცვლად თავზანს უკარავენ მხოლოდ ოდენ თითთა მიერ“. (ცისკ., 1852 წ., № 5. გვ. 74). 2. იხ. მიზრაფი. 3. თავზანა — „ჩონგურის დასაკრავი — ქამანჩი“.

თათარიანხად — საჩქაროდ, სახელდახელოდ, მიფუჩეჩებული საქმე; წვენიცაა. „ამ დავარსოთ კოლექტივი რაღა, თათარიანხათ!“ (რ. გვეტ. „ქართ. მწერლ.“, 1903 წ., № 3-4, გვ. 2). სახელდახელოდ, საყველპუროდ, იოლად. (საკუთრივ: თ ა თ ა რ ი ა ხ ნ ი ნ ი შ ნ ა ვ ს ხ ო რ ც ი ს მ შ რ ა ლ წ ვ ე ნ ს, უსანელოდ ცივად მოხარშული. თ ა თ ა რ ი ა ხ ნ ი — ქართული ბულიონი). „ასე თათარიანხად, ლილახაწა ხომ არ არის?“ (ერისთ., თხზ., ტ. IV, გვ. 29). „ა. ყაზბეგის თხზულებანი თათარიანხად გამოსცა ალ. ჯაბადრამა, თითქოს მამამისის დანატოვარი ყოფილიყოს“ (ზოზლელი, „თავისუფლება“, № 8, 1917 წ., გვ. 7). „პროვინციაში თეატრი, ხშირად, როგორც იტყვიან „თათარიანხად“ თანამდებობით საჭირო პირთაგან ადგენს პოლიტ-სამხატვრო საბჭოს ფუნქციების ამოცანებს, გურკვევლად და სრულად უგემოდ (ეს გრძელი წინადაც. უკუთენის ვინმე ალ. შიქლაძეს და დაბუჭდ. ქუთ. გაზ. „ლენინის გზით“, 1931 წ., № 10, 8 მარტი). „თათარიანხი საქმე“ — მოუფიქრებელი, მოუფიქრებელი საქმე. (თათარიანხი — ცივად მოხარშული ხორცი, სრულებით შეუკმაზავი. შეად. „დასტურლამალი“, იახნი). „ამ შეიღნის ირგვლივ საესე საცალოები შემოაწყობინა და ამგვარ თათარიანხად ავებულ ბანკში გამაგრება მოიწადინა პარტინაივინმა“ (შ. ჯავახ. „ივ.“, 1891 წ., № 70). „მე მინდა ამაღამ

¹ ასეა. — რ. კ.
² ასეა. — რ. კ.

თათარიანთ ხელთ დავნიშნო“ („აკაიშონი“, გვ. 12). 3. ბულიონი ნიგრო¹ (იხ. „გაყრა“), კარტოფილი. თ ა თ ა რ ი ა ლ (?) ა დ – ეს სიტყვა ღიხს იქითაც იხმარება (რ. გვეტ. მოთხ., „ქართ. შწერლ.“ № 2-3, გვ. 21). თათარიანხული – „ტაბურეტაზედ გაუწყვათ ორი ღარბა და ზედ თათარიანხული სუფრა გაუშლიათ“ („ივ.“, 1894 წ., № 17, გვ. 3).

თათხვა – ღანძღვა, სიბინძურით შეთხუპნული.

თათხუმი – წყალკურთხევის, ნათლილების წინა ღამეს – რვა დღის შემდეგ იხსნილებენ პირს უხორცოდ, მხოლოდ თევზეულობით, ერბოთი, კვერცხით, ყველით.

თაინად – 1. (თაინად) ნამდვილად, უსათუოდ, უეჭველად, დადასტურებით.

2. „თავია ერთობლივ“; თავიანთებით; უსათუოდ, აუცილებლად. 3. სუყველანი, დედაბუდიანათ.

თაის-გული – ერთნაირი ყვავილებისაგან შეკრული კონა ან ერთნაირად დაწყობილი. გიული სპარსულად ვარდს ნიშნავს და ეს „თაი“ რაღაა არ ვიცი, ალბად ვარდის კონა თუ?

თაქლა – თავის სამკაული (?). „ნუ მოკლავ, დარეჯანის-ძევ, ზელი გაფიცო ხმლიანი, მანდილი დედიშენისა, თაკლაი ოქროიანი“. (ხალხ.).

✓ **თალათინი** – 1. ანუ ნატი – საუკეთესო ხარისხის ტყავი, замш. 2. სამართებლის გასალეხი ტყავი. თალათინს ჰქვია აგრეთვე ნ ა ტ ა.

თალაში (?) – „ორი თალაში ქუფათა (?) ძეძვი დასლო“ („დროება“, 1885 წ., № 57, გვ. 3).

✓ **თალარი** – 1. ვაზის საჩრდილობელი ფანჩატური. იმერეთში – ტალავერი. მეგრულად „ტალერი“, მოხევეებში კი „ტარაკალი“ ნიშნავს ტანისამოსს. ილია თავის „მგზავრის წერილებში“ მოხევეს ასე ათქმევენებს: „ტალავარი“ და სხვ. უნდა იყოს „ტარაკალი“ (ასე ამიხსნეს მოხევეებმა). 2. ფანჩატური.

„...იყო მშვენიერი თალი გადაყვანილი და ზედ ოქროს თალარი მოწყობილი საგრილობლად“ (გ.

წერეთ, „ჩვენი ძველი გმირები“, გვ. 35). „თალარს ვასჯე უცნოს, რომელსა ფიგურნი უჩნდეს

წყობითა“ (საქ. მუხ. ხელთ. წ. კ. № 105, გვ. 207. თეიმ. II), „ბალის, სასახლის და თალარის ქება“

(წ. კ. ხელთ. № 403). „ტალავარი – საჩრდილობელია“ (საბა). 3. Беседка თითქმის

ჰგავს ტალავერს, საჩრდილობელს, ფანჩატურს. ეს სიტყვა მ. ჯავახიშვილს

ნათარგმნი აქვს საბაასოდ („ლამაზი მეგობარი“, გვ. 412). „ზედ წყლის პირს ყოფილიყო

თალარი“ (გ. ბარნ, „ტკბილი ღუდუკი“). 4. საჩრდილობელი ადგილი ვაზის ხვეულებით

მოზუნდულ-მოზურული. ვაზისაგან შეფოთილილი საჩრდილობელი

ფარდულა.

თალაშპარი – მყველფავი, იხ. ა შ ა ქ ა რ ი.

✓ **თალია** – ერთი ჯერობა, ერთხელ; ამბობენ: მოდი, მოდი ერთი თალია ჩავარტყათ და მერე წადიო. „იმიტომ რომ თითო თალიაზე აქ სამოცდაათი მოზინავე შემოდის“ (მედგარი, „მუშა“, 1938 წ., № 198).

¹ ასეა. – რ. კ.



თალიში ხახვი – ფოჩებიანი გამძლე ხახვია, რომელსაც ჯაგნად ჰკინძავენ და ზამთრისათვის ინახავენ. „რომ ჩავაცვა-დავახურო, „კლოკში გამოვახვიო“, კარგაც ვასვა, ვაჭამო სულ „თალიში ხახვიო“ (აკაკი, „ვაჭრული ჭკუა“).

თალვაძი – თვალ-მარგალიტით მოოჭვილი თავსახური.

თალხი ჭაუა – დამჯდარი ჭკუის პატრონზე ითქმის, ჭკვიანზე და სხვ.

თამაშა/თამაშა – 1. ფარღალა კარებზე აკრული გრძელი რეიკა. 2. პლანკა. 3. სანახავი, სეირი, გართობა, შექცევა.

თამაშპრობა – თვალხარბობა.

თამბალი – დონდლო, ზანტი, ღუნდულა.

თამბიური – დაირასა ჰგავს („პერსიდსკიო სკაკი“, აკად. გვ. 430).

თამთაში/შიათამთაშა – 1. ცახცახი, რხევა, ციმციმი. „მელას სიმშლით კუჭი ეწვოდა. ამ დროს ერთი მსუქანი ერკემალი ვარბოდა და ღუმას მიათამთამებდა. მელამ რომ ეს ნახა, იფიქრა: ამ ერკემალს ღუმა ისე ენძრევა, რომ უთოვდ გზაში საღმე დაჰვარდებარ, და უკან დაუდევნა. მაგრამ ერკემალს ღუმა არ დაჰვარდნია და მელა კი შიმშლით მოკვდა“ (ლ. აღნიაშ, „გან“, გვ. 3). ამბობენ: ერთი შეხედეთ იმ ღელაკაცს, კურტუმს როგორ მიათამთამებსო.

თამუზად – სუფთად.

თანბირა – 1. სარეცხის ტაშტი, სპილენძისა. 2. შუათანა ზომის სპილენძის ქვაბი. ქონის სადნობად ხმარობდნენ.

თანთალი – ფაშვალი.

თარაზო – ვატერპაზ.

თარაში – „თბილისელი კინტო ვარ, თარფით ჯიდი წიგნებსა, ვწერამ ლექსებს უახროს, თავზე ვხატავ ციკნებსა“ (ა. დავით, 1927, გვ. 143. ვ. ზუროძის რედაქციით).

თარაქაშა – 1. თურანის ერთი ტომთაგანი, ადერბაიჯანის თათრების ერთი შტო. 2. „თარაქამული ძროხაო“ – კარგი ჯიშის ძროხაო. 3. თურქმენელების შტო. „ნეტა ხზლიანი სად მიხვალ, ამირან თარაქაშაო“. (ხაღ. „ამირანი“).

თარბიანი საბანი/თარბის საბანი – სხვადასხვა ნაჭრებიდან შეკერილი ჭრელზედაპირიანი საბანი, იმერეთში ჰქვიათ „კუბოკრული“. ან თარგის ბოხჩა. სხვადასხვა ნაჭრებისაგან შეკერილი საბანი ან ბოხჩა, მხოლოდ ყველა ეს ნაჭერი უნდა იყოს ირიბად დაჭრილი: სამკუთხათ.

თარაქული მსხალი – ანუ „თავრიზული მსხალი“, ნაყოფი სქელკანიანია, მოგრძო და დიდი. გემოდ ტკბილი და მეტად წყლიანი. ინახება ზამთრისათვისაც. დაკრფილი მსხლები უფრო მეტად ყვითლდება და გემოვნდება.

თართი – 1. დოშია ერთგვარი. საბას განმარტებით დიდ ძალს ნიშნავს, მიდამოს მცველს. „განუწყვეტლივ მიდიან გამოფენის მახველები აზერბაიჯანის სსრ პავილიონის დარბაზებში, სადაც დაგებულია რბილი ხალიჩები. თითქოს ახალი თოვლით – ნახი ბამბით მოუფენიათ პავილიონის ცენტრი. დიდ აკვარიუმში ცურავენ კვეპურთულა თარტები, მინის ჩარჩოს იქით ფუთფუთებენ აბრეშუმის ჭიები, ბზუიან ცნობილი „მშვიდობიანი“ ფუტრები“ („კომ“, 1939 წ., № 176, 3 აგვისტო). 2. ზურგიელივითაა. ამიტომ მისი მოშენება



შეიძლება? „საქართველოში შეიძლება ყოველგვარი თევზის მოშენება. მათ შორის ორაგულისაც, თართისაც, ზუთხისაც“ (მ. ბუაჩ, „იკომ“, 1934 წ., № 93).

თარი — საკრავია სიმებიანი; თარზე გაჭიმულია ლითონის სიმები, რაოდენობით ხუთიდან თორმეტამდე (ამჟამად მიღებულია 12-13). თარზე უკრავენ მიზრაფით (იხ. მიზრაფი). თარი ხშირად მორთულია სადაფებით და სპილოს ძვლის ჩუქურთმებით. ერთი ამგვარი თარი ჰქონია მომღერალ ასლან ხურდაყულიშვილს. „ივერიაში“ კვითხულობთ: „შესანიშნავია ხურდაყულიშვილის თარი, რომელიც მონადირე ტანისაა, საუცხოოდ შექმნილი და კარგი ხმისა. მას გვერდებზე ექვსი სვედიანი ვარსკვლავი უზის და ზოგ ადვილას ფირუზებით არის მორთული... მარტო შეხედულება მისი ერთ რამეთა ღირს. ამ თარზედ არის გამოთქმული შემდეგი ხუთმუხლკანი ლექსი: დასაბამით ვარ მკობილი, სირმა-ხალასდ დნობილი, გულს სიყვარულით სობილი, დიდთა, პატარათ ცნობილი, მე, ასლან, თქვენი ძმობილი“ („იგ“, 1904 წ., № 124).

თარიფანური — აშულური პანგია ქებათა-ქებისა.

თარსი — თარსი საქმე! თარსი კაცი! საქმის ამწეწ-დამწეწი. ამბობენ კიდეც: თარსად რად გიჭირავსო, ე. ი. უკუღმა.

თარსობა — 1. უკუღმართობა. „რომელიც ხშირად აღმოსავლეთურსა და ლევანტურ თარსობას (?) ემიჯნება“ (ე. გამს, „გოეტეს ცხოვრების რომანი“, „შნათ“, 1932 წ., № 7, გვ. 50).

2. უკუღმართი. კ. ჭიჭინაძეს **Лукавый** თარსად მიუღია, „თარსმა გვერამ გაშალა მახე“ (ე. ჭიჭინ. თარგ. პეშკ. „ბაღჩისარაის შადრევანი“, „სტალინელი“, 1937 წ., № 17).

თარსული — უკუღმართული. „თუმცა რად მცხელა დღეს წარსული — თარსული“. (ნ. ზომლეთ, „სამაისო“, „იკომ“, 1931 წ., № 100).

თარფი — 1. თაბახი, სხვადასხვა ნუგბარი ხილით საგსე (ქორწილში იციან). 2. თარფი — თევზის საჭერი მახეც ყოფილა, რომელიც გავრცელებულია ხერთვისში (ე. კალაძის და ვ. გაბესკ. ნარკვევი „მუშა“, 1934 წ., № 283). „წავიდეთ ორთაჭალას... მე წამოვიყვან იქ ქორ-პეპანა მელდუკეს, ქლესა მელილეს და ხლეპუხა მელიარეს, მომღერალსაც, თუ გინდა სათარას „თუ გინდ ევანგულას, და ჩავსდეთ. დილაზე კარგი თარფი, თეთრი თუთა, სადილად ცოცხალი ჭანარი. აი, — ცხოვრება ეს იქნება!“ (რ. ერისთ., — ცისკ., 1862 წ., ნოემბ., გვ. 276). „თბილისელი კინტო ვარ, თარფით ვყიდი წიგნებსა“ (ი. დავით., 1927 წ. გამოც. გვ. 143, ვ. რუსაძის რედ.). „მე პარიკა¹ თარფს მოვართმევთ ჩემის ურმით დატვირთულს“ („ტფილისელი კინტოს თარფი“, 1911 წ., გამოც. დ. კ.-სა). „თარფი“ — ამ სათაურით წიგნიცა აქვს დაბეჭდილი დ. გვიეშვილს. 3. ნობათი. ყარაჩოღელ ძმაბიჭებმა იციან ქორწილში სიძეს მიართმევენ სხვადასხვა ნუგბარ ხილით მორთულ ტაბაკს, ან პატარა ურემს, პურიით გამოქანდაკებულ ხარებშებმულს და თაფლის სანთლებით გაჩირაღდნებულს. მომლოცველს — მომრთმეველს აჯილდოვებს ფულით მეჯვარე. 4. ნობათი, საჩუქარი; სხვადასხვა ნუგბარი (ახლად შემოსული) ხილით მორთული პატარა თაბახი, ანუ პატარა ურემი

¹ ასეა. — რ. კ.



(საბავშვოდ გაკეთებული ურემი, კამეჩებს რომ ციხეში აკეთებენ პურის გულისაგან). **თარფით** მილოცვა მიღებული იყო ქორწილ-ღვინებში.

თარჯიმალი — ჯარიმა, ამბობენ: ოღონდ ნუ ჩამაგდებ თარჯიმალი და რაც გინდა ის მიყავიო; ვითომ ნუ მაზარალებ, ჯარიმას ნუ გადამანდვინებო. **თარჯიმალი** ნიშნავს აგრეთვე მოენეს.

თასაპი — 1. კინტოებისთვის თაბახის დასადები დარგვალბული ტილო. ალბად წარმოსდგება ფ ე ს ი დ ა ნ, ფ ე ს ი — თასის მსგავსი. ჰგავს თასაკრავს. 2. დახეული ფეშტამალი ან ტილო, რომელსაც კინტოები ხმარობენ თავზე თაბახქვეშ.

თასაპრაპი — ჩინტზე გადასაკრავი ხავერდის ვიწრო ნაჭერი.

თასლიბი — 1. არ არის ახსნილი ენათმეცნიერების ტერმინოლოგიაში, გვ. 44. 2. მეგობრობა. 3. ზიარი. 4. იხ. გუშა. **თასლიბი** არის აგრეთვე მეგობრობა.

„აუღა ვრ, თასლიბს ვრ გუწუვილ“ („აკცია-ადამიანი“, თავი VII). 5. „თასლიბი — ლაპარაკით შეექცევა“ — ასე ხსნიან („ლიტერ. სახელმძღვანელო“, 1931 წ., გვ. 249). 6. მასლაათი? ტკბილი ლაპარაკი (?) დ. ჩ-ს მგონი სხვაგვარად აქვს ახსნილი. **თასქაბაბი** — ფითის მსგავსი საჭმელი (მხოლოდ სპილენძის თას-ქვაბში შეზავებული).

თასქაშული — კოვზი, თასივით ამოღრმავებული; ჩამჩა.

✓ **თაუში** — მარტოხელი, თავის თავის ამარა.

თაფა — (არა აქვს ეს სიტყვა დ. ჩ-ს) „ეს ლექსი 1826 წელს სპარსეთის ომში ნათქვამი, როდესაც ირაკლის თაფაზედ იყვნენ ჯარნი დაბინავებულნი“ (გრ. ორბ. ლექსები; ი. ველოშ. გ. კ-ის რედ., გვ. 127) **თაფა** — იხ. ჩემი ლექსი „ერთი დღე სოფელში“.

თაფთოლ — (თაფ თოხანი) კოჭის თამაშობა.

✓ **თაფი** — 1. სათამაშო ვეგის (ცხერის კოჭის) ზურგი. ამ კოჭს ოთხი მხარე აქვს: აღჩუ, თოხანი, ჭიკი, თაფი. 2. სათამაშო კოჭის ზურგი.

✓ **თაფური** — მღვდლის გასვლა სოფლად და მრევლთან ერთად პარაკლისის გადახდა გვალვის დროს და სხვა მნიშვნელოვან დღეებში.

✓ **თაფურმა** — 1. მიმღერება, რეფრენი. იხ. **დასტალული**. 2. სიმღერის დროს გასამეორებელი სიტყვა, ზედმეტი სიტყვა, მოძახილი.

✓ **თაფხუნი** — ვირის მოსართავი. „ზედ ნახშირი გვიდოს, თაფხუნი მუცელზედა“ (საქ. პუზ., ხელ. № 2130, გვ. 120).

✓ **თაქლა** — ორპირი, ორგული.

✓ **თაქნაბაღი** — საუკეთესო თვისების ნაბაღი (ქეჩა), ძვირფასი მატყლეულისაგან ნაკეთი.

✓ **თაღია** — ორპირი, ქლეხა.

✓ **თაღლითი** — 1. მატყუარა, ყალბი. ამბობენ: ეს მარგალიტი თაღლითიაო, ვითომ რიოში მარგალიტიაო. მატყუარა კაცზედაც ამბობენ: ჰა, უფრთხილდი, თაღლითობს მგონიო. 2. მატყუარა, ყალბი, ცრუ; თაღლითი — რიოში მარგალიტი.

თავახოზი — კეკლუცობა, თავმოძვრონება. ამბობენ: ვა! ვა! ერთი ამას შეხედე რა **თავახოზით** მოდიხო.

✓ **თახახი** — ამბობენ ეს ჩიითი თახახიანდო, ე. ი. ჩახამებულა, თახახში, წამალში გავლებულიაო. თახახიან ჩითს ყოველთვის ხმაური გააქვს ხოლმე, შარიშურობს. თ ა ხ ა ხ ი ა ნ ი — კრახმალდანი.

თახთახი — თხელი და გამომხმარი ლავაში. ებრაელების სეფისკერის მსგავს „მაცას“ **თახთახს** უწოდებენ.

✓ **თახთუხი** — მაცა.

თახუხი — არ არის ახსნილი ენათმეცნიერების ტერმინოლოგიაში, გვ. 44.

✓ **თახუმი** — ცხრამეტი წყვილი ჩუსტი ან კალაპოტი. „ერთი თახუმი კალაპოტი მაქვს“, ე. ი. 19 წყვილიო. **თახუმი** აჭარა-გურიაში გუნდს ნიშნავს (ე. ერისთ., „სისხლის აღება“, 1930 წ., გვ. 52).

თახჩაფუხი — თახჩის ფარდა. „ორი წყვილი სათახაფუხე“ („საქ. სიძველენი“, ტ. I, 1889 წ., გვ. 405).

თახარი — სპარსულად ჰანგის სახელია, რომელიც ნიშნავს „ნაირს“.

თაბი — ღურგალთა იარაღია, მცირე სატყენი; ვარაყის დასაკერელი საგორავი ხელსაწყო; სატყეფარი.

თაზაზი — საწამლაკე. ამ თეზაფით ოქროს სინჯავენ ხოლმე.

თათიზი — მჩატე, მსუბუქი.

თათრად შანი სარაცხი — სიტყვის მასალაა. ერთი რომ იცინის, მეორე ეტყვის: „თათრად შენი სარაცხი, მითომ რა მახარად მიგლებ?“ (ე. ერისთ., „თუატრი“, 1889 წ., № 8).

თაღათი — სოფელ თელეთის ტაძრის დღეობა (ლ. ისარლოვის რუსული წიგნი, გვ. 89). იხ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის ორი წიგნი, ერთი რუსული, მეორე ქართული, ორივე მაქვს (საქ. შუხ. შოაბზე, 1922 წ., № 1, გვ. 88). ლ. მელიქსეთ-ბეგისთვის...¹ „შე წაად და აღთქმაც მაქვს, შოვილოცავ თელეთსო; თუ ღმერთს უნდა, ჩაგიგდებს ხელში ზღა და ხმელეთსო“ (აკაკი „ვაჭროული ჭკუა“) „თელეთის მადღმა“ (ი. გედევანი, „მსხვერპლი“; ილია „ოთარაანთ ჭკრივი“)²

თაღათობა —

✓ **თაჯირი** — შირმა.

თაჯლისი — სპარსულად ჰანგის სახელია. ენათმეცნიერების ტერმინოლოგიაში არ არის ახსნილი.

„თაღლიდან წამწამს აცლიან“ — აქ ისეთი ხალხია, რომ არაფერს შეგარჩენენ, ადამიანს თვალღდან წამწამს აცლიან.

თაღლი მარილი — კიტრის წასასმელი მარილი. „პატარაღლი: ვამე, ჩემო ქისაო, ფერად ნარინჯისაო, შიგ ნადებო საქონელო, ფასო ხმელეთისაო. პასუხი: ვამე, ჩემო ქისაო, ფერად ნარინჯისაო, შიგ ნადებო საქონელო, კვინტი მარილისაო!“

თია — ავადმყოფობაა ერთგვარი. გაუქარვებელი კორძი. გამიგონია დედაკაცებისაგან: „უი ქის, ნეტავი ჩემს თიებს რაღა!“.. შე მგონი მთებიდან. იხ. „ჩანუმა“, გვ.

¹ ასეა. — რ. კ.

19 (ჩემი გამოც.). „უი, შენ თიებსა“ (წყევლა). „შენ თიასა ღიად, საკუთარი ოთახი გნებავს!“ („მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 59).

თიასზარუხი — 1. ბავშვის დასაძინებელი წამალი **თრიაქიდან** წარმოებული. 2. ანჩხლი ბავშვის დასაწყნარებელი წამალი. ევ. გაბაშვილი ასე განმარტავს: „**თიასზარუხი** სპარსეთში მომზადებული ხაშხაშია, ბანგივით ათრობს და მტირალ ბავშვებს იმითი აჩუშებენ უმცარი მშობლები და ბევრჯერ საშუალოდ ამახინჯებენ ბავშვებს“ („ჯეჯილი“, 1910 წ., №1, გვ. 42. მოთხრობა „საწყალი ნონია“). 3. წამალია ერთგვარი, მუსკლის ტკივილისა და უფრო კი ანჩხლი ბავშვების დასაძინებელი. თრიაქი.

თიიპი — ჩემის აზრით, უნდა ვიგულისხმოთ **მთიები**. „მთიები არის მზის სხივი, განთიადის ვარსკვლავი, და აგრეთვე ეშმაკთა მთავარი, რომელიც წმინდანებში ირიცხება. აი, საბას განმარტებაც...“¹ (გვ. 184).

თივთიი — 1. აქლემის ან თხის ღინღლიდან გაკეთებული ც. წერეთ. „ჯიბრი“, გვ. 72). 2. აქლემის ბალანი. **საბას** — თხისური. 3. თივთიიკის საბანი.

თითარძიძად იძცა — ლუკმა-ლუკმა, ნაკუსწ-ნაკუსწად.

✓ **თითილბაზი** — 1. ცბიერი, ფარისეველი, პირმოთნე. ეს სიტყვა მწერლობაშიც გვხვდება. ცნობილ მთარგმნელს ივ. მაჭავარიანს აქვს ეს სიტყვა ნახმარი. „კარზე ხალხისთვის თიილბაზია, სახლში ცოლისთვის ცეცხლი და ნათი“ (ებრაელების გამოთქმა ექ. ტერტროვის ჩაწერა). 2. ნახმარი აქვს გრ. ფრონისპირელს თარგმანში გოლდონის „ორი ბატონის მსახური“ (ხელ.). 3. თურქები Бродяга-ს **თითილბაზს** უწოდებენ. **თითილბაზი** — აქვე იყენენ პატიოსანი მოღვაყენი და უსინდისო ყბედები... „თალითები, ოინაზები, თითილბაზები, ყომარაზები და სხვა ამგვარი იდეოლოგიური გარემოცვა“ (კ. აღმასიძე, მის. საყვარელიძის ფსევდო, „კოლექტივიზაცია“, 1935 წ., № 103). „გმ მითხარ, მარიკოჯან, ლიფსიმეს იმ ცბიერ, იმ თითილბაზ ლიფსიმეს მოუხდენია“ (ღ. არდაზ. მოთხრობები, პ. კეშელავას რედ. 1936 წ., გვ. 210). 4. მლიქვნელი, ლაქუცა, ტრელი („ქილილა და დამანიდან“). იხ. საანდაზო ლექსები გვ. 137. 5. ცბიერი, ქლესა, გაუტანელი, მალვალაკი (იმერ.). ხალხ. ლექსი ამბობს: ვაჟო, ღედის ერთაო, მინდორთ ვაზდილო, ველათო, ოქროს შიბაის ნაგლეჯო, წამოსარტყმელო წელთაო, მარსკვლაო შარავანდელო, ქრისტეს ნაჭერო ხელთაო, ნუ პფილადფოზობ (ფილოსოფოსობ) ენითა ყელზე ნუ მარჯვეგველთაო („კვალი“, 1893, № 12, გვ. 8). „შენ გგონია, შენ უყვარხარ, როცა შენთან ვერე ნაზობს? თითილბაზობს, თითილბაზობს“ (ა. გრიშ.). 6. პირფერი-ტრელი, პირშიმქებელი. **თითილბაზობა//თინთილბაზობა** — 1. თვალთმაქცობა, მლიქვნელობა, ფლიდობა, ქლესაობა, ორპირობა, ფარისევლობა, მოლაობა. „შუვლებმა მამებს ვადაჭარბეს ენით თითილბაზობაში“ („ოვ“, 1888 წ., № 174, გვ. 3). 2. პირმოთნეობა ანუ თინთილბაზობა (ძირი ამ სიტყვისა მოთინთელიდან). „მაგრამ რაკი ნახეს, რომ იმათმა ფლიდობამ და თინთილბაზობამ ვერ გასჭრა ...უფრო საზიზღარ და შემადარწუნებელ საღსარს მიმართეს“ (ივ. მაჭავ. „გლეხნიკაიკის ისტორია“, 1913 წ., გვ. 622). „ვინ მეტ თინთილბაზობას და პირმოთნეობას გაუწევდა“ და სხვ. (იქვე, გვ. 312). „რამდენადაც ხალხის მოწინააღმდეგენი თინთილბაზობენ, სულ სხვას ფიქრობდნენ და სხვას ამბობდნენ, იმდენად გულმართალნი არიან პატრიოტები“ (იქვე, გვ. 324). „მასპინძელმა არ გაუშვა, ჩაი

¹ ასეა. — რ. კ.



მართვა, თეთრი კბილი უჩვენა, მოუთითილაზა“ (ვ. ბარნ., „ფურად-ფურადი“, გვ. 369). **თ ი თ ე ლ ბ ა ზ ო ბ ს** — „მაგრამ იქნებ შენი გული საიდუმლოთ დაილომატობს, ორმოს მითხრის ზურგის უკან, თითელაზობს და მლაღატობს“. (ლექსი „ნაგრიშაშვილისებური“, ვინმე პოლიტიკანტი. „ეშმ. მათრახი“, 1917 № 24, გვ. 5).

თითრეპი — გულქანდაზე ჩამოკიდებული პეპლის ფრთების მზგავსი ოქროს სიფრიფანები.

თილიფარა — მლიქენელი, იხ. „თითილაზი“. „თილიფარა ენით მაინც იტყოდი, მობრძანდითო“ („სიცკ.“, 1865 წ., სექტ., გვ. 27).

თილიყამყამი — გამიგონია: „თილიყამყამის ხმალიო“.

თიფთიფათო — ჩასუქებული ქალი. იხ. **თამთამი**.

✓ **თინანო** — ქალის სახელია ჩვენს უბანში.

თინთლავს — ატყუებს, ენით ხიბლავს. „საგარეჯოში მაქასახლისად ამოურჩევით ფერშლის სკოლის ნაშწერლარი პირი. აი, როგორ სთინთლავდა ხალხს: „მე ჩესტნი კაცი ვარ, ქრთამს ვერ ავიღებ და ეხლავე უნდა გადასტრათ, რას რაში მომცემთო“ („დროება“, 1885 წ., № 184). იხ. **მოთინთვლა**.

თირაბა — ნებიერება, ლბილად და აღერსით მოპყრობა. „არცა გამზარდა დედამა, არც რას მეტყოდა ნანასა, მიმაგდის სახლის ყურეში, თაგვების ანაბარასა. არც არას მათირებოდით, არც რას მეტყოდით ნანასა“ (ხალხ. „ამირანი“ ს. გიორგ. რედ. „ხალხური შემოქმედება“, 1928 წ., გვ. 30).

თისივაპა — 1. დონდლო, უშნო, მშიშარა. იხ. „სია“. 2. ფაფასუა. 3. გამოლენჩილი.

თილი — სპიცი, „გრანტიის საჭრელი იარაღი“ (დ. თომაშვილი, „საბჭ. მწერ“, 1933 წ., № 1-2, გვ. 37).

✓ **თლაშოი** — 1. შაურიანი არყის ჭიქა. 2. ნატყფი ჭიქა, კუთხეებად ჩამოთლილი; **თლაშოი** — ჭაჭის არყის „შაურიანი“ ჭიქა. 3. შაურიანი არყის ჭიქა მოსქო და წახსნაგული. „... (ნიკო ფიროსმანიშვილი) არყის ბაზონკას ხელ დაკკრავდა, როდესაც დარწმუნდებოდა რომ არაყი იყო, მაშინ მეტყოდა, აბა ერთი „თლაშოი“ დაასიო“ (ვ. ბუთლიაშ. წერ. ფიროსმანზე, „ჩირაღდანი“, 1925 წ., № 11-12, გვ. 7). „თითო თხლაშო არაყი გადაკკრა“. „მესამე თხლაშო რომ გამოსცალეს“ (კ. გამს., „ქართ. მწერლ.“ 1929 წ., № 6-7, გვ. 58 და 59). 4. არყის ჭიქის ზომა. ზოგნი თხლაშოს უწოდებენ. „თხლაშანიდან“ ჰგონიანთ. „ერთხელ ვაღერაინს ჭაჭის არყის სმაში დავეჯიბრე. ხუთ-ხუთი თლაშოი დავლიეთ“ (ალ. არაბიძის ხელთ. ავტობიოგრაფიიდან).

თლაზა — უშნო, უხეირო, ბედრანგი. **თლაზად** — ჩათლაზად, დუნედ. **ჩ ა - თ ლ ა ხ ი** — გაფუჭებული.

თმა — ყველაფერს თმას ეძახიან.

თმისსაოწო — ერთკბილიანი სავარცხელი, ძვირფასია. სპილოს ძვლისგან არის ნაკეთ-ნაკვეთი.

თობა — უარი, ჯმნა, უარობა, ხელისაღება. ამბობენ: დღეიდან თობას კვრავ და ჰაპიროსს აღარ მოვწვევო, ან ღვინოს აღარ დავლევო და სხვ. ეს სიტყვა აღ. ორბელიანს სხვანაირად აქვს: ქობა, ე. ი. „ქობასი ვარ“, მითამ ქობა

დაადგო, არ დააკერა (აღ. ორბ., გვ. 160). „იქნება კნ. კატომ ჩემი უარი რუსულ „ატკაზად“ მიიღოს“ (დ. ერისთ. კერძო წერ. კ. რ. ერისთავისადმი).

თოთო — „რომელიც თოთო-თოთოდ არის, ის უნდა ამოარჩიოს“ (აქაური თქმა).

თოგარი — ანუ არაბ. თუშარ-აღრიცხვა, წერილი, გრძელად ნაწერი ქაღალდი დახვეული.

თოგი — ბალახია, რომელსაც გამხმარს თუ ფეხებზე შემოიწყობთ და მერე წინდას ჩაიცვამ — ღუმელივით გექნება მთელი ტანი (სვანეთშიც მოდის).

თორბა — სპარ. ტომარა — თოფრა, რომლითაც ქერს აჭმევენ ვირს, ცხენს და სხვ. ანდაზა: ვირის თორბა სტამბოლს წაიღეს, ატარეს, ატარეს და ისევ ვირის თორბად მოიტანესო.

თორი — „დაიქირავა თამბაქოს საკრეფად, თორებზე ასახმელად და დასადასტებლად“ (მულან, „ნავარდობა“, „შოაბე“, 1899 წ., № VIII, გვ. 35).

თოზი — 1. ანუ ერთი შეკერა. ამ სიტყვას ხმარობენ ბაზაზი ვაჭრები. ერთ თოფში არის 30 ადლიდან 60 ადლამდე ფართალი. 2. ბაზაზების ტერმინი: ერთი შეკერა ფართალი. „იმ წამსვე რამდენიმე თოფი ფარმა გადმოაწყო“ (ნ. ავაღ. თარგ. „თავადის ქალი“, 1896 წ., გვ. 172). 3. Кусок (ბაზაზების ტერმინი).

თოზის დუგა — დუგლუგი, прикладка.

თოზი ჩითი — ერთი დასტა ჩითი, რომელშიაც 20 ალაბია (ე. ი. 20 არშინი).

✓ **თოზხანა** — საჯაბადრო, ჯაბახანა. თოფი სპარსულად ზ ა რ ბ ა ზ ა ნ ს ნიშნავს.

თოჰა — 1. მკვიდრი, მაგარი, მძიმე. ამბობენ: ეს ბეჭედი ნამდვილი თოქმააო ან ეს ქაფქირი თოქმად არის ჩამოსხმულ-გაკეთებულიო. 2. არა აქვს საბას, არც დ. ჩ-ს. 3. თ. საზოკია ე. ბარნოვის „ფერად-ფერადში“ ასე ხსნის „თოქმა მსხვილი ნაზორნიკის მსგავსიაო“ (გვ. 515). 4. ჩასხმული. „მამანემი ერთი თოქმა კაცი იყო“ (მაკო საფაროვ-აბაშიძე).

✓ **თოჰაჩი** — 1. თითბრის ნივთების ჩამომსხმელი. ეს სიტყვა დ. ჩ-ს შეცდომით აქვს. 2. იხ. აგრეთვე საბას „სიბრძნე-სიცრუსა“ 3. თითბრის მკვერავე, ჩამომსხმელი. Чеканщик. 4. Литейчик. ყალიბის მიმცემი ჭურჭლეულის [...] მხოლოდ თითბრისაგან. „თოქმაჩი თავის სახელისონში დახატული ჰყავს მოსე თოიძეს“ („ცნ. ფურც“, სურ. დამატ., 1902 წ., № 51). ა. ცაგარელი ასე ხსნის: თოქმაჩი — слесарь, кузнец. („Книга пудროსტი ი ლჳი“, 1878 წ., გვ. 204). 5. საკუთ. ჩამომსხმელი თოქ-ჩამოასხი. 6. სპილენძეულის ხელოსანი, მხოლოდ მექაბე გი არა.

თოჰში — სახედრის დასაყენებელი.

თოდ — დაე, „თუ მართლა შაქრო არ მომკვდარიყოს, კატუა იმას შართუთ. თოდ შვილები ქართულად მონათლონ, ყამი არ არის“ (საიდანაც ეს ამოვწერე, ის წიგნი ძალიან დუფექტურია და არც ავტორის ვინაობა სჩანს).

¹ ასეა. — რ. კ.

თოზო — იხ. **თოქში**. „მენახშირე ვირზე ზის და თოშეს ჰყვირის“ (ალ. ცაგარ, „დროება“, 1867 წ., № 20).

თოხანო — იხ. გ. ერისთ., „თხზ“, 1926., გვ. 366. „უნდა კოჭი აღწე დაჯდეს; თუ არ დაჯდა თოხანზე, გუხვრეტ და ტყვიას ჩავსხამ“ (გ. ერისთ., თხზ, შ. რად. და ი. ბაღანაშ, რედ., 1936 წ., გვ. 366).

თოხლი — იმერეთში „ვითოხლავეთ“, ე. ი. ჩავხეთქეთ, გაეცყვრით. 1. თოხლი — „წლის ცხვარი“ (დ. ჩ.). 2. საბა — „თოხლი — ბუწი“. 3. თოხლუა — ჩვენში მეტი სახელია. 4. იხ. **ლექსიკონი** — **ლევონიძე**.

თოხნახი — ხის ჩაქუჩი, ხორბლის დასანაყი, ან ხის ჩაქუჩი ქვაფენილის დასაგებად.

თოხუში — ჯიში, ტამაზლუხი, ხეასტაგი, მშრომელი, თესლი, კვერცხი. ამბობენ: გეტყობა, რა თოხუშიცა ხარო! „ძველ ინდოეთში ხალხი რამოდენიმე ნაწილად, კლასად ან თოხუშად იყო გაყოფილი“ („ივ.“, 1906 წ., № 3).

თრია — ციყვი (გურულად).

თრიაძი — მათრობელა სასმელი; ბანგი. „დამაძინე, თრიაქი გაქვს, ბანგი გაქვს“ (საიათნ).

თრიმლი — დაბლები ტყავის გასაუმჯობესებლად თრიმლს ხმარობენ. თრიმლი ერთგვარი ხის ქერქია, რომელსაც ფქვავენ.

თრინჯული — 1. არეულ-დარეული, შერყენილი. „ქ ხშირად შეხვდება მკითხველს: ელემენტებიც, აბსოლიუტურიც, მოტივებიც და სხვ. ვაი, საბრალო ქართული ენაჰ! ახლა, რომ აიხედოს ერთ-ერთმა ჩვენმა მიძინებულმა წინაპარმა და ამ ახალს თრინჯულს ენას თვალი გაავლოს, მოგვიწონება?“ („ციცქ“, 1868 წ., № 11, ნოემბ., გვ. 119). „რადაც თრინჯული ენით ლაპარაკობენ“ (ი. გრიშ, „ესეც შენი ქართული“, 1933 წ.). „ბასტილის მოედანზედ მივიდა ერთს კაცთან, რომელსაც თრინჯული ჰქუდი ეხურა და ხელში კეტი ეჭირა“ (ივ., 1889 წ., № 23, გვ. 4). „თრინჯული ენით რას მელაპარაკები, გასაგებად ილაპარაკე“. 2. „თრინჯული ხალხი“, „თრინჯული ენა“, არეულ-დარეული. ამბობენ: ის კაცი რადაცნაირია — **თრინჯული** ხასიათებისაო. ამბობენ კიდევ: ეს კაცი თრინჯულ ენაზე ლაპარაკობსო. 3. უცხოური, გაუგებარი. „ოქერა იყო იტალიანურს ენაზედ, ე. ი. თრინჯულ ენაზე“ (შ. თუმან, თხზ. 1881 წ.). „რა საჭირო გახლავსთ ქართული თეატრი მაშინ, როდესაც რომ არის რუსული და ამასთანავე ოქერა იტალიანურს ენაზედ, ე. ი. თრინჯულს ენაზედ“ (მოლაყბე, „ციცქ“, 1857 წ., № 12, გვ. 58).

თროქიალი — თრეკა.

თუთი — ერთგვარი ფრინველია ინდოეთისა, თუთიყუში, ზორაყი.

თუთუზო — თათრ. Сумах (барбарис). („ხელმწიფის კარის გარიგება“, გვ. 23).

თული — თივისაგან დაგრეხილი მსხვილი თოკი.

თულუფთანო — პატარა გულა-ტიკტორა („ბოპქემა“).

თულუხი — 1. საყა ანუ ტყავით წყლის მომტანი. მერწყული. თულუხჩების შესახებ კარგი მასალაა (Записки технического, ტ. X, გვ. 231). 2. „ოკის მსგავსი სპილენძის ჭურჭელია. მთიულეშიაც ხმარობენ“ (შ. არაგვ, „რჩ. ნაწ“, 1927 წ., გვ. 42).

თულუხით (ე. ი. ტყავით) წყლის ზიდვა. ტფ. ქალაქის გამგეობის სხდომაზე

1878 წ. 13 იანვარს იყო საკითხი იმის შესახებ, რომ თულუხი ბორკებზე შეცვლილიყო, ვინაიდან ბორკაში წყალი უფრო სუფთად ინახებოდა და გადამდები სენისაგან დაზღვეულია (Запись К.О.И.Р. техн. общества, ტ. X, 1878 წ. გვ. 231). „თულუხი გადაიკიდა, წავიდა წინდის ქსოვითა“. (ბაჩ. ლექსები და პოემები, 1938 წ. გვ. 542). „...იძას მიემატენ /! კიდე რამდენიმე დედაკაცი: ზოგი ტყანებით, ზოგიც თულუხებით“ (ა. ყაზბ. „შაშის მკვლელო“ „ცნ. ფურც.“ პრემია, გვ. 225).

თულუნხი – 1. თულუნხი საზოგადოდ წყლის დამტარებელს ნიშნავს. ეს სიტყვა წარმოსდგება **თულუნიდან**: თულუნი – ტყავის ტომარაა; ძველად ტფილისში წყალსადენი არ იყო, წყალს პირდაპირ მტკვრიდან იღებდნენ და კამეჩის ტყავიდან გაკეთებულ რუმბებით ეზიდებოდნენ ოჯახებში. 1893 წ. ქალაქის თვითმართველობამ თულუნი „ბორკებით“ შესცვალა. 2. მწველ-**თუნხი** – სპილენძის დოქი. (ჭურჭელი).

თუნია – მეტი სახელია კაცისა ჩვენში.

თუნუა – სპილენძის სურა. საღვინე.

თურაჯი – ერთგვარი ჯიშის ნესვი.

თურიჯი – იხ. საბას „მოგზაურობა“ („ცისკა“ 1852 წ. № 1, გვ. 9 და 16, მუორე განყ.).

თურაჯი –

თუაუაი ანუ თუაუაი – პირდაპირ თარგმანი სპარსულიდან: ახალგაზრდა, უწვერულვაჰო, უბაღო, უბეწო. „თუო ჟორდანია ჯ. წერეთლის პასუხად თავის წერილს მშვენიერის სიტყვით (თუქუნი) ამკობს“ (პ. უშიკა „ხალხ. სიტყვა“ გვ. XXIX). იხ. ჩემი „ტრიოლეტი“ – „მაშ ჩემი ლექსი შენ გგონია“. „მურწყანა იცნო ხანჯლის მომტანი, გაულიმა და მადლობა გადაუხადა. ეს იყო თურქუსა კანდელაკი“ (პ. ჩხიკე. „მნათ.“, 1936 წ. № 1, გვ. 58).

თუაუაი – (სოფელია კახეთში). 1. სორნაბუჯი, 2. თუქურმიშა, 3. (თამარის წყარო) დედოფლის წყარო, წითელი წყარო.

თუ ღვირთი მჟაღობს, ხატი რას დაჰაჰლავს! –

თულუნი –

თუააი – სურსათის მიმცემი, მოხელე, კომისიონერი.

თუაააი – 1. ფლაე-საწური. 2. ბრინჯის საწურავი (აქვს დ. ჩ-ს).

თუნთუნი – 1. ჩუხჩუნი, უფრო კერძზე იტყვიან, „ლობოს კოჭობის თუნთუნი“. 2. კერძის ქოთნის ადუღება. 3. **თუნთუნი** – ძალად ადუღებულზე იტყვიან, ჩუხჩუნი-ბუნებრივზე. მაგ., „თუნთუხებს სამოვარი“. 4. დუღილის ხმაურობა. 5. წყალი რომ კარგად ადუღდება.

თუააი – ხარებს რომ მეურმე შესძახებს.

თქლაფა-თქლუფი – „...მუორე კიდევი ვივარდებოდა მავნის ქილას ან სხვა რამ სანოვაგეს და გაქონდათ თქლაფა-თქლუფი“ (რ. ფავლენ, „მოაბუ“, 1896 წ. №1 გვ. 48).

თხლაზანი – „გამოივლის ერთი ვინმე და საწყალ მუშას თხლაშანს გაადენს, თუ ჰკითხავენ“ – „რათა სცემო“ – გიპასუხებს: „მეჭიფება და ვცემო“ („ივ“, 1887 წ. № 133).

O

ოავა – 1. ხუმარა, მოსწრებული სიტყვის პატრონი. 2. ოხუნჯი. 3. ხუმრობა (?) „იავა ვინმეა“.

ოავარდ – ამბობენ: იავარდ გამხადაო. ვითომ დამაწვრილმანა, გამფლანგ-გამაუბელურაო.

ოავობა – ლაი-ლაი.

ოათა – ტყის ბალახია.

ოათალი – იათალი გქენიო, ე. ი. გამოვიძინეო (იხ. „საქ. სიძველენი“, 1899 წ., სულ ბოლო სტრ.).

ოაი – უფრო სწორედ იაი. ჭიანურის დასაკრავი. ზოგნი ქ ა მ ა ნ ა ს უწოდებენ.

ოალალი – 1. მთიანი ადგილების ალაპური საძოვრები, სადაც გაზაფხულობით და ზაფხულობით საქონელი იკვებება; ხოლო დაბლობ ვაკეებს და დაბალ მთა-ვაკეების საზამთრო საძოვრებს – კიშლადი ეწოდება (ვ. კაკაბ, „შინამრეწველობა“, 1926 წ., გვ. 116). ქალაქში იალაღს ლაილაღს უწოდებენ. 2. ცხერის ფარეხი, შემოდობილი ან შემოუღობელი, დახურული. პატრონი აქირაჯებს ფარის პატრონზე ზამთარში ცხერის შესაფარებლად. თავისუფალი ადგილი. ფართე და გაშლილი. ხალვათი საძოვარი.

ოაღღუზი – „მამაშენი თედორე ოაღღუზის ოქროებს გამოგიგზავნის საიქიოდგან“ (რ. ერისთ., „ივ.“, 1880 წ., № IV, გვ. 56).

ოაღღა – „ოაღღა, მუში სუფარაპეტ“ (იხ. საითნოვა). „როდესაც ქალი გახდა თოთხმეტი წლისა, მაშინ აბა ოაღღა, დაატანეს ძალა ტანისამოსსა“ („ციცკ“, 1864 წ., აგვ. №-რი, გვ. 35).

ოაღძანო – პატარძლის ჯვრისსაწერი გვირგვინი.

ოამანო – 1. ჭირი. 2. იამანი არის აგრეთვე რომელიღაც ლითონის სახელი, რომელსაც ა ე ი ყ ს უწოდებენ. ამბობენ: ესა და ეს ნაჭერი იამანზედ მოჭრილიაო. 3. საბეწური, ძუძუს ჯირკვლის ავაღობა. ღმერთო მამორე! ღმერთო დამიხსენ! – ამბობენ ხელის ჩაქნევით – იამან, დაღუპილი ვარო!..

ოანა-ოანა. 1. გარე-გარე, ობლად, მარტო. „დავდივარ იანა-იანა, გულს მიბჯენია დანა“ (ქალაქ. სიმღერა). 2. კარდაკარ, ავარასავით სიარული.

ოანგნო – ხილს ან ლემს როცა ბევრი მწერი დაეხვევა.



01560 – ტარალანის თევზის ხმელი ზურგიელი. ხმელ თევზთაგანია. იანი ჰქვიან დიდი თევზის ერთ ადგილს, ერთ ამონაჭურს.

015606აალი – დიდი ნაალი.

01560ს ნაალი – სუხანის ნაალი. „ტახტი, მუთაჟ, სუხანი, იანის ნაალი და ხალი“. („თეში“, 1912 წ., № 55).

01არ – საყვარელი, სატრფო, მიჯნური.

01არაბ – ნეტავ. ამბობენ: იარაბ, რა რამა ხარ! ამბობენ კიდევ: იარაბ, გავხდები იმ კაბის ჩაცმის ღირსიო. „იარაბ, არ იქნება ერთხელ არ ჩამივარდე ხელში“ (ქალაქ თქმა).

01არაღაზი//არაღაზი: ბანქოობა ერთგვარი. რუსეთში სოვრემენიკის დამატებად 1854 წელს გამოვიდა ჟურნ. „Литературный Ералаш“ (Берков, „Корзина фруктов“, 1937, ст. 8). „შევექცევით იარაღაშსა, ხან ნარდსა, ხან ასუნასსა“. (მეჯღანუ. წერილი მაკრინეს რაინდაძისგან იხ. ასევე „ფილანგა“, № 3, 1881 წ., გვ. 5).

01არამაზი – 1. ქოსა კაცს ეტყვიან – იარამაზს. ეშმაკი, გაქნილი კაცი. 2. უეარგისი.

01არამაზულად – „Городничий зажмурил один глаз и сделал бесовски-путловскую улыбку“ (გვ. 391) გოგოლის ეს ადგილი გ. ჩიქოვანს ასე აქვს თარგმნილი: „ღორღინიმა ცალი თვალი მოჭურტა და ეშმაკურ იარამაზულად გაიღიმა“ („კურბუ“, 1871 წ., № 111, გვ. 41).

01არაღი060 – 1. (ანუ არახინი) ფესკის მზგავსი, მხოლოდ ღბილი. ხმარობენ საღამურ-საშინაო ქუდათ და თათრები კი ხმარობენ ქულ-ქვეშ. „აღაფია ფედოსევენას თავზე ეხურა იარაზინი“ (გოგოლი – გ. ჩიქოვ. „კურბუ“, 1871 წ., № II, გვ. 136). 2. ფესკის ქვეითა ქუდი, ღამის ქუდი. შეცდომაა, როცა სწერენ: „სანამ მუსტაფამ ჩაიცვა თავის იარაღინებში“ („თაშილა“ ქართულად, გვ. 149). „ჩვენი ქართველები ცუდათ სნადიან, რომ იარაღინს თასკარავს უჭერენ“... („ცისკ.“, 1863 წ., № 4, გვ. 533). 3. (იხ. არაღინი). ძუძუთა ბავშვების ჩეფჩიკი. „მაგრამ იქნება თავის ღროზედ ახლად დაბადებულმა ბავშვმაც თავი ისახელოს, როდესაც იარაღინს მოახდინა და ძუძუს გააშვებინებენ“ (ივ. შანა. „ღროება“, 1885 წ., № 151, მეთაური. ჟურნ. „თეატრი“). 4. რევიზორი.

01ასაღი – „იასაღი ქალია“ („უბედური რუსი“, გვ. 272). „პაი, შე იასაღო, შენა, ქმარს რომ მართმევ“ (მეველე. „მეუფეა წვედიაღისა“ ტოლსტოისა, 1908 წ., ქუთ., გვ. 78).

01აზინჯი – ნაბადივით.

01აპათაღი//აპათიღი – კედელი, რომელიც ჰყოფს ორ კარს, ორ ფანჯარას, უფრო ორ ოთახს. ერთაგურიანი ბრტყელი კედელი. ორ აგურს გაჯით ერთმანეთზე მიაკრავენ და ასევე ბრტყლად აიყვანენ კედელს. აგური სწორედ არ უნდა დაიდვას, არამედ ქეშად, პრტყლად. „სურამის ციხე“ (შკითხავების ბინის აღწერა სუფიკარაპეტის უბანში). იაქათაღი – (ძვ. ტფ. ბოქემაში“ ბოლოს). „წარსულ საუკუნეში თბილისს ესტუმრა საფრანგეთის დიდი მწერალი ალექსანდრე დიუმა. მას, როგორც ნაციონალური სიამაყე, აჩვენეს ძველი თბილისის იაქათაღიანი სახლები, ჩაბნელებული ქუჩაბანდები და ვანწები ორთაჭალში“ („ახ. კომ.“, 1937 წ., № 49, 1 მარტი). „სახლი, რომელსაც ეკუთვნოდა

როსტომის სადგომი ოთახი, იდგა ქუჩაზე და გაყოფილი იყო იაქათილით ორ ოთახად" (ლ. არაზა, პ. კეშელ. რედ., 1936 წ., გვ. 103).

- ✓ **იალიში/იანლიში** – შეცდომა. ამ სიტყვას, წარმოიდგინეთ, იმერეთშიც შეხვდებით. „სწორი ანგარიშია, მაგრამ ერთი „იალიში“ მოსდით“ (პ. საყვარე, „იკომ“, 1929 წ., 11 აგვისტო). „თუ თევზის საყიდლად მოსულხარ, იალიში ხარ“ (აქპო, გვ. 71). ამ სათაურით ლეგენდაც არსებობს: „იალიში ღებულებსა და სვანებს შუა“ (ს. ღებშიჩაწ, გახ „იკონიდა“, 1911 წ., № 189). – მე ის მანუხებს, მაღლობა რაღად გადაუხადე. – პო, მაგამი კი ძალიან იალიშიათა ხარ!“ (შელან, „საქართ“, 1918 წ., № 222). „გითხარით ასე: „ისედაც დაღლის, რომლისთვის მუდამ წამება ყვავის, გთხროვთ მაპატიოთ ეს იალიში და სამუდამოთ განუქებთ ყვაივლს“. (ვ. გაბესკა „მნათ.“, 1935 წ., № 3, გვ. 52). ეს სიტყვა ხალხურ ლექსშიც ყოფილა – „იალიში ღებულებსა და სვანებს შუა“ (აკ. შან. ბიბლიოგრაფია, "Христианский Восток", 1913 წ., ტ. II, გვ. 261). „იალიშიათა ვარ“ (ვ. დარისა „მხილველ“, III მოქ.). უნივერსიტეტამოცემა, გვ. 489) იხ. ლექსიკონი (ანუ იანლიში).

იალლო – 1. ფურცლადი ქადა (იხ. „ყველიერი“). „ქაღების მაგივრად ბლინები შემოულაით. იალო აღარავის ახსოვს“ (სპ. ჩიტორელიძე, „ივ.“, 1889 წ., № 85). 2. ფენიანი ქადა. „თუნდაც ნიკო ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი ახალციხელი ვარლამოვი და მისი გემრიელი იალოები“ (დ. შენგ, „სიტყვა და საქმე“, 1934 წ., № 4, გვ. 4; რ. ერისთ., ტ. IV, გვ. 27). 3. ქადასავით, ანუ ნაზუქივით შეზავებული ტკბილი პური. „ამ სახლს შორიდან რომ შეხედოს კაცმა, მარტო სახლის ბანებს დაინახავს, ერთიერთმანეთზე ჩარიგებულს, შვავასად თითქოს ერთი საყვე თეფში ბლინები არ იალოები იყოსო“ (გოგოლი, თარგ. ვ. ჩიჭიკიანი, „იკრბ.“, 1871 წ., № 11, გვ. 88). ახპატელოვის სამზარეულო, გვ. 122.

იალო – სლაიონი.

- ✓ **იალოზი** – ხალასი ოქრო, შეურეველი, უბეჭედო (უპრობო) პრობსინჯი. ბაჯალლოზე თავანკარა. ამაზედ ძალადი ოქრო არ შეიძლებაო – ამიხსნეს ოქრომჭედლებმა.

- ✓ **იაყუთი** – 1. წითელი ქვა, იაგუნდი. 2. აშუღური ჰანგი.

იაყუზი –

- ✓ **იაზა** – 1. საკინძე. 2. საყელო. თუ დაიკარგა რამე, ამბობენ: შენ წადი, მეეზოვეს იაზა ჩაიჭიო. ჩხუბის დროსაც ამბობენ: ჩემს იაზას ნუ იჭერო და სხე.

იაზნი – საჭმელია.

იაზო – (აკ. ცაგარა „მნათ.“, 1937 წ., № 5, გვ. 41). 1. წელის ტკივილის დროს გაფისულ ტილოს სხვადასხვა წამლებით შეზავებულს შემოიკრავენ წელზე. „აგდეო და ქე მიველი, მოუტანე კარქი იაზი“. (ქართ. მაჰმადიანთა სახალხო ლექსები, 1891 წ., გვ. 71). იაზი აქ ძალამოდა ნაგულისხმევი. 2. ფისით, დანამასტაკით, ობოლი (ფხვიერი,



წერილი) საკმეველით, გუნდათი და სხვა წამლებ-მცენარეულობით შეზავებული. ამ იახოს გაკხსნიან ტილოზე და შემოაკრავენ ავადმყოფს ნატკიენ წელზე ან ნაღრძობ-გატეხილ ფეხზე. ერთი ყარაჩოლელის გამოთქმა: „ღარ მომეშვა, აღარ მომეშვა, იახოსავით ამყარა რაღა“.

იახტანო - 1. მოზრდილი სკიერი ხელით ნაქარგ-ნაკვეთი. 2. ხურჯინი. **იახის ნახვი** - ყვითელკანიანი ნესვი, ძალიან ტკბილია, კანი არა აქვს სუფთა, ხორკლებიანია და პატარა ხაზებიანი.

✓ **იბრაული** - ახვლანჯული, უკულმა. ამბობენ: რატო ვერე იბრეულად მელაპარაკები, სთქვი რაღა ქრისტეიანულ ენაზე, რომ გავიგოვო. ვითომ რა გაუგებრად და არეულად ლაპარაკობო.

იბრუშ - დაცინვით სიტყვის მასალაა. **იგიტი//იგითაში** - 1. საკუთრივ: ყოჩაღების თავი. იგითაში ამქრის გამგეობაში მდივნის თანამდებობას ასრულებდა. 2. მამაკაცების უფროსი. იგითაში რომელიმე ჰამქრის უსტაბაში გზირია. თუ ვინმე გარდაიცვალა, მაშინ ამ იგითაშს ჰგზანენიან, რომ ჰოქუცზე (პანაშვიდზე) დაესწრონ ჰამქრის წვერები. „უსტაბაშს გუშარჯოს, ვაღვერძელთ თასითა, ჰამქარს და ჰასაყალოს თავის იგიღაშითა“. („ციხკ“, 1867 წ. და კრებ. „ციციანთულა“, 1885 წ. გვ. 11). „ყიზითაღა შამაშოლი იგითა მუტისმუტი“ (წიგ. „ქართველ მაჰმადიანთა სახალხო ლექსები“, 1891 წ. გვ. 3). „ეს იგითობა რომ ქენი, ყირაღს გუგზავნე ეღნი“ (იქვე, გვ. 7).

იხუდი - (ანუ იახდ) ქალაქია სპარსეთში, საიდანაც საუკეთესო ხარისხის აბრეშუმეული მოდიოდა.

იითარა - ძველი სახელია ქალისა. **იელი** - 1. შხამიანი ბალახი. 2. მათრობელა მცენარეა, ცხვარს აბრუებს, თუ მოეჭარბება, კიდევ ჰკლავს. ამაზე ანდაზაც არის: თხამ ჰამაიელი, შინმოვიდა მშიერი.

იხახახა - იღარდა („ეახ“), იოხრა. **იხაჰაბა** - იელინთება. ამბობენ: ისეთი მიწაა, რომ პატარა წვიმაც რომ მოვიდეს, იხეპება და ვეღარ გაგივლია ადამიანსო. **იხშირი** - ხის საკვეთელ-საქანდაკო იარაღი.

✓ **ითაფა** - კედელი რომ ჩამოინგრევა ან გაღვსილი გაჯი, იმაზე იტყვიან, ითაფაო. **თაფი** - გადმობრუნებული კოჭის ზურგი. „ჟეი ჩემს თავს, იმოტელა პურს სულ ითაფებდა“ (ა. ცაგარ. „პკითხავი“, „მნათ“, 1937 წ. № 5, გვ. 56; ბაბრუ. იქვეა, გვ. 57).

✓ **იკლიბაკლო** - ზიგზაგი. **იკლიბანტური** - მიკიბულ-მოკიბული, მიხვეულ-მოხვეული, ორჭოფული. მაგალითად, კამათის დროს, როცა მოპირდაპირეს მეტი სიტყვა აღარ ექნება სათქმელი და თავს რომ ვეღარ იმართლებს ან ვეღარ აჯობებს, მაშინ დაიწყობს იკლიკანტურს ლაპარაკს, ე. ი. მიკიბულ-მოკიბულს. „ს. დეოკრატებმა ჯერ იკლიკანტური და უშრო ოხუნჯობა დაიწყეს“ (Baton-ის წიგნაკი, „სახუხი პროტესტანტებს“, 1906 წ. გვ. 3). „სიტყვას არ იტყვის, რომ იკლიკანტური რამ არ დაუმატოს“ („სწ. ფურც“, დამ.

იპოპაპა — „ზაქ. ჭ-ქეს სხვა საქმისათვის რომ მოეციდა ხელი — დღეს შეძლებული კაცი
 იქნებოდა და ფულით იყოჭყებდა“ (პაატა — მინ. ნასიძის ფსევდონიმია, აივ., 1892
 წ., № 239).

ილათი//ილეთი — საშუალება, მოხერხება, მანქანება; ხიბლი. **ილათი** —
 არაბ. **ლალატი**. **ილეთი** — მოყვარულის ზნეობით, ილათით შემეკობილის
 თავის საკადრისი მოკითხვა. (წ. კ. ხელ. № 790). „შნო, მშენიერი შესახედაობა“
 (აივ., 1900 წ., № 131, გვ. 3). შნო!?! „ლიბა-სტავრა ჩიოდა — ვაი თუ გლეხმა გამციტოსო —
 უჯილაგოდ გამოძვრას, უილეოდ შამკეროსო“. (ხალხ.). „წაპსვლია ძველი ილეთი, წყლულად
 ჰქცევია ტყავია“ (ფაფა, I ტ. სახელგ. გვ. 53).

ილაი — სპარსულად ჰანგის სახელია.

ილაი — მეტადრე, ნამეტნავად. ამბობენ ჭორიკანა დედაკაცები: **ილაი**, ის
 კაცი რასა ჰგავს ქა, თავი მოკალულ ქებას მიუგავს, ერთი ღერი თმა რომ
 გინდოდეს წამლად, ვერ იშოვნის იმის თავზეო. ან მეორე უპასუხებს: **ილაი**,
 შენ ქა, რომ ყველაფერში მატანიკი უნდა იყოო.

ილარი — ყურის საჩიჩქნი კოვზი (არის ძვლისაც).

ილარაი — (სამეგრელოში იციან) ღომის ღომში რძე, ყველი — საჭმელია.

ილაჯი — ქანცი. იხ. ზ ა ჰ ლ ა.

ილთიპაჯი — ხვეწნა, მუდარა.

ილინჯა — ბალახია ერთგვარი, რომლითაც საქონელი იწამლება.

ილხი — ცხენის ჯოგი.

იპაი — მუსულმანებში ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენელი.

ინადი//ინადი — იხ. აჯამი, გაუგონარი, თავის ნათქვამი, ჟინიანი, გაპ-
 კირი. 1. ჯიუტი, უჯიათი. „აგერ რაც თავშოვსწრებივართ, ჩვენი შურიდამა და ინადიდა
 არამოდან“ (ა. ფურცა, „ქიტესა“, 1890 წ., გვ. 15). „იმაჟთავითივე სულ შურსა და ინადში გვიდგანან“
 (იქვე გვ. 26). 2. ჯიბრი. ნათქვამია: ერთმანეთისა ინადითა სახლი აივსო
 ნაკვითა (ლ. არდაზ, 1936 წ., გვ. 133). ინადი გაგიწიე და გული გაგიქვავე.
 გამიგონია: რა ინადს მიწვეო, შვილო... ვითომ რა ჯიბრში მიდგებარო...
 ინადიანი — ჯიბრიანი, თავის ნათქვამი, ბტკერესი.

✓ **ინამპტანაპა** — გადააჭარბა, მეტი მოუვიდა (მ. ჯორჯ., „ცისკ.“, 1863 წ., აკვისტო, გვ.
 61).

ინდის ხურბა – ინდოეთის ხურბა.

ინდუსიაირო – სანელებელი მცენარე. ხმარობენ წამლად; ყუათს აძლევსო.

ინთილა – „ინთილა მოსდიოდა ბევრი ჭამით“ (ლუკა ისარლივის ლექსები, გვ. 145).

ინთილაბა – ბევრი ჭამისაგან კაცი რომ ავად გახდება, იტყვიან: ინთილაბა ჰკარო.

ინიცი – რატომ ხმარობენ ან საიდან არის ი ნ ი? „ქართულად იყო ჩატყული, თუმცა ქართული „ინიცი“ არ იცოდა“ (ანასტ. ერისთ-ხოშტარაისი, იხ. „კლიონის კრებული“, 1911 წ., გვ. 315). „გამოდგა რომ დადემკელიანის თხოვნის დამწერი სამხედრო სამსახურიდამ გამოდგებული კაცი ყოფილიყო და ექიმობისა ინიცი არა იცოდარა“ (კ. ბორიზდ. „სვანეთის სამთავროს გაუქმება“, „დროება“, 1885 წ., № 120). „ჩვენს ქვეყანაში ბევრნი არიან ისეთი ექიმები, რომელთაც არავითარი სპეციალური სწავლა არ მიუღიათ და რუსულისა, ინიცი არა იციან“ („დროება“, 1885 წ., № 184). „ორი თვეთ აქა ვარ და ჯერ ინიცი არ ვიცი“ (რ. ერისთ. „პარიკმახერისას“. 1880 წ., გვ. 3). აქეს დ. ჩ.-ს. „საქართველოში მრავალა დღეს სოფლები, დასახლებულნი სომხებით და ამ სოფლებში ხალხმა იცის მხოლოდ ქართული ენა და ინიცი არ ესმის სომხურისა“ (სანო „ივ“, 1889 წ., № 33). „გაურკვეველი ხმები, რომელსაც დედუნებდა გაგულისებული და გერმანულს ენაზე ინიციც უცოდინარი ვოლტერი, კიდევ უფრო არწმუნებდა ხალხს, რომ მართლაც მიამუნი ყოფილაო“ (გრ. ვოლსკი, „ივ“, 1892 წ., № 12).

✓ **ინიციინიცი** – „დავით წუბინოვმა ინიციინიცი არ იცის“. (შ. მღვ. და დ. ჯან. კამათი, „ცისკ“, 1865 წ., ნოემბ., გვ. 18).

✓ **ინიხაბარა** – წმინდა სომხური სიტყვაა და ნიშნავს „რა ამბავია“. ამ სათაურით („Иичхабаре“) „კაკაზში“ 1850 წლებში ფელეტონებიც იბეჭდებოდა. „ცისკარშიც“ გვხვდება ეს სიტყვა და ვინაიდან ეს სიტყვა ქართულ ლიტერატურაშიაც იპარება, ენის არგოს გამოსაკვლევადა – ეს სიტყვა შემოვიტანეთ ჩვენს ლექსიკონში. აი, როგორ არის „ცისკარში“ ნახმარი: „იმ დროს მეც მივედი... ყური იმათკენ მქონდა. ინიხაბარე რომ გავიგონე, მაშინვე ვთქვი, უთუოდ ესენი ახალს ანავს რასმე მეტყვიან-მეთქი, რადგან ინიხაბარე ისეთი რალაც ძალის პატრონი არის-მეთქი, რომ: კაცს უნებლიეთ ათქმევინებს, როგორც საიდუმლო და დაფარული საქმე იყოს-მეთქი. მართლა, რომ ინიხაბარესთვის საიდუმლო არ სცხოვრობს ქვეყანაზე“ („ცისკ“, 1863 წ., № IV-V, გვ. 605).

იო – ამბობენ: „ვიეთომ იოა!“

იოლი – ამქრის წესდებაში ჯ არ ი მ ა ს ნიშნავს. 1. ჯარიმა. შეგირდი ხელობის შესასწავლად რომ ჩაიწერება ამქარში, ვიდრე ოსტატად არ იკურთხება, ინდის ჯარიმას, რომელსაც უწოდებენ „იოლს“. 2. ადვილი. სპარსულად „ი ო ლ“ გზას ნიშნავს. ამბობენ იოლად წაველიო, ე. ი. გზა ვიპოვეო.

იონლარი – ლარი. ზონარი. ამ იონლარს ხმარობენ ჩანგალზე თევზის საჭერადაც. ამბობენ კიდევ: ჰაა, ჰაა იონლრები ნუ აუშვიო, ან ამა და ამ ლაპარაკით იონლრებიდან მოვიშალო! ე. ი. ნერვები (ტამრები) მომეშალო. **იოდსულ [ლ]**¹ – ბეჩავი, დავარდნილი, არაფრის მქონე – საცოდავი.

იპატრება – ჩუმი ანჩხლობა, გაბრაზება, იპატრება-იფათრება, იხევა. „ქენიან ლისა ჯავრით იპატრებოდა“ (ს. შკალ. „ორი მეზობლის ისტორია“, გაზ. „ფასკუნჯი“, 1908 წ., № 3).

იპრიანოს – „მარშან თუ არ ამისრულდა, იქნება წრეულს ღმერთმა იპრიანოს და ამისრულდეს“ (თეზ., 1887 წ., № 1).

იპრუწება – რას იპრუწები – რას იპრანჭები. „ტუნჩები აიპრუწა“, „ვის უპრანჭავ თვალსა“ (იმერეთში სიმღერაა; „ოთხი იმერელი“, დ. მესხის პიესა).

ირიპაპი/ირიპარს – „ეს ქალს მე არ მაძლევს და შენ წადი და ირიკავე“ (რ. ერისთ., „მბრუნავი სტოლები“, „ცისკა“, 1868 წ., № 11, გვ. 49). იხ. „ბაიყუში“ ცაგარელისა. 1. ეს სიტყვა წარმოებულია „როკვა“-დან. „წავიდეს და ირიკოს“ (ა. ცაგარ.). „მოვალეები როცა ყველაფერს გაუყიდიან, წავიდეს და ირიკოს“ (ივ. შაჭავ. „გლეხიკაცის ისტორია“, 1931 წ., გვ. 70). 2. ინავარდოს, ითარეშოს. გამიგონია: ჩემი ლაპარაკი არ ესმის და როცა ესა და ეს მოუვა, მაშინ ირიკაოსო (როკვა ძველად ცეკვა ყოფილა).

ირუშხაპი – ბუზღუნებ. „სულ ირუშხაპი“ (ბ. ჯორჯ. „ცისკა“, 1883 წ., აგვისტო, № 14).

ისაპა – ცუდი ქართულია, როცა ლაპარაკის დროს საფანელი შემოაკლდებათ, ცუდი მოქართულენი იხემეს უმატებენ. იხ. „ნაკადულში“ დაბეჭდილი მოთხ. „შაური იხემე“ (ნაკ. შტ. წლ., 1911 წ., № 17).

ისაპიანთ – ხშირად ლაპარაკის დროს პიროვნების სახელი რომ დააეიწყებდა მობაასეს, იტყვიან ხოლმე: „ისემიანთ კეკელა“, „ისემიანთ ზაქრო“ (ს. შკალ. I, გვ. 13, 19).

ისუსნა – ივემა.

იტაიცა – 1. გაუკემესდა, ეწყინა. „ერთმა ძალიან იტაიცა“. (ბაჩ., გვ. 504). „გარდა ამისა გიორგიმ მოკრა ყური ხალხში მოფენილ ჭორებს და იტაიცა: „განა მეც საჭორაო გაუხდი თამარის გულისათვის?“ („შობაბე“, 1895 წ., № XII, გვ. 14). 2. გაუკვირდა.

იუზაპი – ათის თავი !/

იურათი – ცისკრის ზარის რეკვა.

იუხის ძაღა – იუხი რგვალი ჯოხი, რომლითაც შლიან ცომს (ელ. მღებრიშვილისაგან განაგონი).

იუხლაპი – ჯოხი ქადის ცომის გასაშლელი.

იზრიხი – ჭურჭელია ერთგვარი.

იფუთნაპა – წარმოებულია ფუთა-დან.

¹ ასეა. – რ. კ.



იქნენ - ძველი.

ილარსლაბა - იფიტება.

ილელაპა - იხ. ლელელობა. „ი, შვილო, დაწე, ნუ ილეღელავებ“ (ს შგლ).

ილიბანჯური - უსწორმასწორო. „რა ილიბანჯურად ლაპარაკობ“. იხ.

იკლიკანტური.

ილიბაციური - ორჭოფული.

ილიბი - ქვეყანა, მხარე. თუ ადამიანი ხასიათით (ნიშაბით, ზნით) უცბად შეიცვლება, ეტყვიან: ჰა, რა ილიბიმა მოგიარესო. (თ. სხოკ. იყლიბი - температура).

✓ ილმურაქაბა - ილუკმება. უშნოდ ჭამა. ლუკმებით ღოყებგამობერილ კაცზე იტყვიან.

ილრარიაბი - აშუღური ჰანგია შეთქმულობისა.

იყინდობა - იტენება, უშნოდ-მჭამელა ნაყრიონს კაცზედ იტყვიან.

იშატაბი - მემკვიდრე, დედისერთა; აქ ამბავი, ხსოვნა, სახსენებელი. ამბობენ: იცოცხლე, შვილო, იშატაკი ხარ ამ ოჯახისო! ან შენდა დარჩი დედაშენს იშატაკადო. დედ-მამის იშატაკია.

✓ იშკილბაზი - ოინბაზი, მატყუარა. უნივერ. რუსულ-ქართული ლექსიკონი (დედ.) გვ. 679. Плуტ - იშკილბაზი, ლუპუსტაცი.

იშკილი - მოტყუება, ოინის გაკეთება. „განსაკუთრებით თავი გამოიდეს „იშკილ მხიებმა“ (ა. ჭუმბაძე, „ხუთი აქიში“, 1931 წ. გვ. 13).

იშტა - ძადა. „ბუღბული უარზე დადგა: განა ყოველთვის ვარ სიძღერის „იშტაზეო“ (ვაჟა, „ჩხიკვაძე ქორწილი“).

იშხაბი - ხალიანი თევზია ერთგვარი.

იშხუბი - ეშხი.

იწილლაბი - დაწვრილებით „სტატია ენციკლოპედიიდან“ - თურქეთი (გამოც. 1769 წ. გვ. 36).

იწურთაბი - იტენავს.

✓ იწაბაწა საქამი - წვრილი, უმნიშვნელო საქმე, შავი საქმე. „ვანო (მანაბელი, ი. გ.) უნდებოდა ანგარიშებს, სესხის გაცემის წვრილმანებს, ათას იწაბაწა საქმეს კანცელარიასა და ბუნკალტერიაში“ (გრ. ყიფში, „ილიას თხზ.“, მ. გედ. გამოც. გვ. IX).

იწხობა - გამოსცადა, ერგო.

იწილო-ბიწილო - იხ. კ. ჩუკოვსკის ნაწერები საბავშვო. ლევ. ასათიანის „მემარტენებობა“ და ი. ჯავახიშვილის ახალი წიგნიც. „იწილო-ბიწილო, შრომანო-გვრიტინო, ალხო, მალხო, ჩიტმა განხოს, შენი ფესვი, ფესმადუკი, აჯექ, მაჯექ, მუფუდ ღაჯექ“.

იწმანის - „უღვაშს იწმანნიდა“ (იბე., 1887 წ. № 118).

✓ იწობიწო - წვრილმანი.

იჭაჭაბა - ძალიან ყვირის.

- 0306392** — „ძველმა წელიწადმა იჭინჭულა“ (აივ., 1883 წ., № 2, შეთაური).
- 0306393** — ტებილად იმასლაათეს, ილალობეს.
- 0306394** — ცხვირი მოიხოცე!
- 0306395** — ნება, ნებართვა.
- 0306396** — დარბაისლობა. ამბობენ: მოგიხდება, ქალო, ისტიარობაო.
- 0306397** — შექცევა, მუსაიფი, დროს გატარება (საუბ. დაბალ. დალუასი, გვ. 25).
- 0306398** — დაიხუილა. „მთავარი იხუება“ (აივ., 1897 წ., № 1, გვ. 21).
- 0306399** — სიმღერის ჰანგია.

3

კაიშაკი – აღუღებული რძის ნაღები.

კაპა – 1. ტკბილეული ბალღისათვის. „ცამეტი ააზი ჩემი სწყალი ცოლ-შვილისათვის კი კაკა იქნება“ (შელან, „ნავარღობა“, „მოამბე“ 1899 წ., № VIII, გვ. 37). 2. ბავშვები ტკბილ ხილს კაკას უწოდებენ. 3. ტკბილეული ჩვილთა ენაზე.

კაპაზას ცოლი – ამბობენ: რას იპრანჭები კაკაზას ცოლივითაო!

კაპაროტი – 1. დასაბამიდან სუსტი აგებულების ადამიანი, გამხდარი და აწონილი. 2. იტყვიან კაკაროტი კაცია, ე. ი. ხმელი კაცი (გამხდარი, ძარღვიანი). 3. „კაკაროტი სიმინდი“.

კაპი – მოხრილი გრძელი კეტი ვედროებით წყლის საზიდავი. რუსები რომ ხეს გაიდებენ და ვედროებით წყალი მიაქვთ, ამ მოკაკულ ხეს გურიაში კაკვი ჰქვიათ.

კაპნატალა – 1. ცხვრის ძვალი. საზოგადოდ თხელ რამეს კაკნატელას ეძახიან. 2. ხრტილი. 3. ანუ კაკნატი. „ცხვრი თუშცა დიდი არა ჰქონდა, მაგრამ მთელი კაკნატის ნაწილი დაჯირჯელებული ჰქონდა“ (შელან, „ბნელო“, 1891 წ., გვ. 12). „კაკნატელა ცხვრი აქვს“ – გამხდარ დალეულ ცხვირზე იტყვიან.

კაპრა – „რაარის გულა ლეღვი? პირველად მოსხმული კაკარომ დაწიფდება, იმას უწოდებენ გულა ლეღვს“.

კაპულა – მცენარის სახელია და ადამიანისაც.

კალაზგირი – იხ. ჩემი ეგზემპლ. ჩემი საანდაზო ლექსები.

✓ **კალმუხი** – „კალმუხის ქუდი“ (ნ. ლომ, „მოთხ.“, გვ. 501) „კალმუხის ქუდი“ – კარგი ღირებულების ტყავი. კალმუხის ქუდი – მაღალი, წვეტიანი, წინ შეკეცილი. სხვათა შორის ასეთი ქუდი ეხურა ყაფლან ორბელიანს (ცხვრისაგან). კალმუხის – ცხვრის ტყავისაგან გაკეთებული ქუდი. „სუმბუქი კალმუხის ქუდი დაიხურა“ (ნ. ლომ, „მოთხ.“ გვ. 345). „თავზედ ძველებური მაღალი ქუდი ეხურა, კალმუხისა“ (ილია, ტ. III, გვ. 271).

კაპა – იმერულად ცერეცო.

კანთიელად – გარკვევით, მკაფიოდ. „როცა ჩემს ქალს – ნუცა ანდრონიკაშვილს – ციმბირში წერილს ვწერდი, მეც ჩემი შიფრი მქონდა, წერილს უკულმა დაწყობილ ასოებით უწერდი, რომელიც სარკვეში წაღმა სჩანდა სწორად და კანთიელად“ (სახ. მსახ. ელ. ჩერქეზ. ნაამბობიდან, 1932 წ., 15 (IX)).

კანაშური//კანწური – ერთი ეუბნება მეორეს: შენ ეი, ძობილო, ვე ჯამარ-ხანჯალი რომ ჩამოვიკანკურებია, რა ოხრად ვინდა, ერთი ვიცოდე? შამილი დიდი ხანია რაც დავიჭირეთ და ყარსიც აღებუღიაო. „შმაწვილებს დაუკანწურებიათ იარალი“ („მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 51).

კანტრუში – კანტური, თამაშობა – სირბილიცაა.

კანც – ვიდრე, ვინმე. ამბობენ: აზირ აქ მოსულიყავი, კანცი ექმიდიოდო და სხე.

✓ **კაპარჩხინა** – 1. აესული, კაპასი. 2. კაპრიზნი. „ჩემი ცოლი ცოტა კაპარჩხინაა, მაგრამ მეც ხშირად ვუჯაურებდი“ (გ. ყოფშ, „ივ“, 1887 წ., № 112).

კაპიჭი – სარზედ ვაზის შესაკრელი წნელი. კალათის გასაკეთებელი, ნედლი. (სომხ. კაპიჭი – შესაკრავი).

კაპლო – კაცის სახელია.

კაპუნი – საყვედური.

კაპუშაქა – მეტი სახელია ქალისა (მ. ჯორჯ, „შური“, გვ. 16).

კარაბადიანი – საექიმო წიგნი.

კარაღა – შკაფი.

კარაპოშაპ – (როგორც ნიტკის ძაფი).

კარამც – „კარამც უგზავნიდი“.

კარიჭი – მორიელი, ღრიანკალი.

კარკარა – „კარკარა წყარო“ – „კარკარა ხმა“, ე. ი. წმინდა წყარო, რ ა კ რ ა კ ა ხ მ ა (წარმოებულია „რაკრაკიდან“).

კარტინაპა – (რუს.) კოხტა, ლამაზი.

✓ **კასპასი** – ატეხილი და გულიანი სიცილი, კისკისი. „რას კასკასებ, შე არდასაცალებელი!“

კატასუნა – ბაბნიკი.

კაფანდარა – იმერულად ჰქვია გამხდარ კაცს.

კაფია – ექსპრომტი, ანუ ყაფია. ლექსაობით შეჯიბრება. მოსწრებული ფრაზის გამართვა; სიმღერის შეფარდება, შეხმატკბილება.

კაფიეთი//კაფიეტი – „დაულოცეს საუკეთესო ადგილი, სადაც ისე დაჯდა, რომ ხალხი ხელავდა „კაფიეთად“ („ციცკ“, 1874 წ., № 2, გვ. 200). მკაფიო. ამბობენ: ამა და ამ კაცმა ლაპარაკი კაფიეტად იცისო.

კაფიერად – გარკვევით.

კაჩა – კანჭის ბოლო.

კაჩო – „გამოუკიდნათ ჩვენს ყასბებს ზორცი თავიანთ ღუქნებში ჭუჭყიან კაჩოებზე“ („ივ“, 1889 წ., გვ. 139). „ერთგან პატარა კაჩოზე კეიდა პატარა კალათა“ (მულან, „ბნულო“, 1891 წ., გვ. 271).

კაც – დარჩი (სომხ.) ს ო მ ხ უ რ ი ა ნ დ ა ზ ა: ვორდელ კაც, ენდელ კაც (სადაც პურია, იქ დარჩი).

✓ **კაფაწუბი** – პატარ-პატარა კულულები, ხუჭუჭა ხვეული თმები, კაწაწი – ანუ კიწაწი თმა. „გამიშვი, კაწაწებით ვითრიო“ („ციცკ“, 1863 წ., აგვისტო, გვ. 80).

კაფაფი — „ტბილების კაწკაწი“. „მშვიერი კბილები კაწკაწით ექნებათ მომართული“. ია მარუშაძე — ზ. ჭიჭინ, (აქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, 1903 წ., გვ. 23). „მადა გაუღვიდა და სულის კაწკაწით ელოდნენ განავარდებას სოფლად სადალალოდ და საუელეტად“ (მიწა, 1908 წ., № 2, გვ. 12).

კაჭახუნა — ობოლი ადგილი, უპატრონო.

კახა — მეძავე, როსკიპი, ბოზი, მრუში. „გურგენგეგვის ქათმებიც კი კახები არიან“.

კბილი — „წლოვანობით დიაკვნის კბილისა იქნებოდა“ (მელან. „ბნელო“, 1891 წ., გვ. 8).

კედი — ძაფი.

კედლებს კითხავენ — ამბობენ კედლებს ჰკითხავენ და შენ ხომ ჩემი სისხლი და ხორცი ხარო.

კეკელა — 1. მეტი სახელია ქალაჩუნა კაცისა. „კეკელა“ — ქალის სახელია. გაკეთებულია „კეკელუციდან“ — მერე გადასული აუგად „კეკელა“.

2. კაცზე იტყვიან, რომელსაც ქალის მანერები აქვს.

კელამწუტა — 1. ბოროტ, ქვეშევეშა და მოსისინე ადამიანზე იტყვიან: რა კელამწუტააო. 2. გაიძვერა, გესლიანი.

კემუხტი — „შემდეგ ანტონ პროკოფიჩმა ჭიანური გაყვიდა და მოხელე გოგო კი ვიღაცას ოქრომკდით ნაკერ კემუხტის ქისზე გაუცვლია“ (ნ. გოგოლი — გ. ჩიქოვა „კრებ.“, 1871 წ., № III, გვ. 69).

კენჩო — მკვდრის უსხეულო თავი.

კერძი — გამოკანკლულ-გამოწყობილი ზედატანი — კონტა. სტ. ბალახაშ. ჩამაწერინა ეს სიტყვა, 1933 წ. 21/VIII.

კერკაბა — „ბევრჯერ მიცემა ეს შენი კერკაბა თავი“ (პ. ჩხიკვა „ოქტომბრელი“, № 3, გვ. 3).

კერპი — უჯიათი, ჯიუტი. „— ერთი უყურეთ ამ კერპსა, რანაირათ მუკასუხება? — დასწყევლოს შენი კერპი ხასიათი, რომ შენი ნათქვამი ხარ!“ („კაპიშონი“, გვ. 35 და 43). „იცოდა ღუდის კერპი ხასიათი“ (ს. შავა, I, გვ. 178).

კერაობა — ჯიუტობა. „შაბუდამეს ვგონა ჯორი დაღგო, კერაობს და წასვლა არ უნდაო“ (ალ. ცაგარ, „ღროება“, 1867 წ., № 20).

კერპი — ერთი ადამიანის ულუფა, ერთი თავი, ტფილისში კი მდაბიო ხალხი კერძს უწოდებს წვნიანს. „ე. ღელაკო, ერთი კერპი დამისხი“.

კეწეწი//კეწეწა — ახალთახალი, პრიალა, სუფთა, ახალი, ხელუხლებელი.

კვარი — ფიჭვ-ნამენარის გაქვავებული ცრემლი, სურნელ-საკმელი.

კვიპატი — მოსწრებული სიტყვა. „კვიპატად წამოსული სიტყვა“ (ლ. მეტრე, ქართ. ანბან).

კვიტი — ძველად ამ სახელწოდებით ნათლავდნენ ეშმაკებს, კუდიანებს.

კვიტილა — „რალაცნარი კვიტილა მოკლე კბაში იყო“ (კრებ., 1871 წ., № III, 25).

✓ **კვირისტაპი** — 1. მუხლისთავი. 2. მუხლის თავი (არის თითისტარისთვის და ხელის კვირისტავიც (?)) „ტფილისის ტრამვაის ელექ. ცენტრალურ სტანციაში 2

აპრილს მანქანის წმენდის დროს მუშა ვასო შიხიანცს ხელი მოჰყვა მანქანაში და კვირისტავში გადაწვევითა“ (გაზ. „ფიქრი“, 1914 წ., № 33). „თუ ხელი მოჰყვა, კვირისტავი სადა აქვს?“ (ა. ცაგარა, ჩემი გამოც., გვ. 91).

კვირტარაკი – კვირტარაკი ჩოხა, ე. ი. ხორკლებიანი ჩოხა.

კვირტარაკი – „დაიწყო კვირტარაკი ხმით ლაპარაკი“.

კვირტარაკი//კვირტარაკი – ნატეხი, კბილი (ნიორზე). „კვირტარაკი მარილი“ – პაწია ნატეხი. „ჩაი კვირტარაკით“. „აა, შვილო, ქისაო, ფერად ნარინჯისაო, შიგ ნაღებო ქვაო, კვირტარაკი მარილისაო!“ (ხალხ.).

კვირტარაკი – 1. კვირტარაკი, ინდაურების ხმაური. 2. კვირტარაკით სიარული. მოკლე-მოკლე ნაბიჯებით.

კვირტარაკი – 1. სათამაშო ქალაქის სახელია, ერთი ნიშანი რომ უზის, ამ ნიშანს ტუზსაც უწოდებენ. „კვირტარაკით დარჩენილხარ“, ე. ი. მარტო დარჩენილხარ, ერთი. 2. ერთი ცალი.

კვირტარაკი – იხ. იკლიკანტური.

კვირტარაკი – 1. თაბახით ხილის გამყიდავი, ფეხზედ მოვაჭრე ბყალი. 2. – კინტოს სპარსეთში ჰქვიან „ტ ა ბ ა კ - კ ა შ“, ე. ი. თაბახის ამწვევი“ იხ. „ბოჰემა“.

კინტო არ არის სპარსული სიტყვა. ასეთ მოვაჭრეს, რომელიც ფეხზე ვაჭრობს და რომელსაც თავზე თაბახი უდგას, ჰქვიან: „თაბახ-ქაშა“ (თაბახის ამწვევი). („Иран“, 1939 წ., № III, გვ. 26). თაბახქაშე, ფალავანი – პეხლევანი. იხ. ჩემი „ძველი ტფილისი“ (სახლის ეგზემპლარი). კინტო ნაცია ინტონაცია – სიტყვის თამაში. „შეშოვიდა სხვადასხვახალი ხილი. კინტოობა დაიწყო“ (ს. შეჯღ., თავი III).

კინტოობა – თავზე თაბახით ვაჭრობა ქუჩა-ქუჩა დატარებით. წვინტლიანო ქინტო.¹ 3. კინტო – წარმოსდგება სიტყვიდან „კინტი“. კინტო ჰქვიან იმ დახვეულ ტილოს, რომელსაც თავზე თაბახქვეშ იდებენ კინტოები. (კინტო – კინწი (?), კინკრიხო).

კინტო – (კუნწი-დან). კინწიანი – გრძელყელიანი.

კინტო – მეტი სახელია ქალისა (მ. ჯორჯა „შური“, გვ. 16).

კირიკი – ქილიკი, ყირიკი. ცხენი.

კირიკი ლობიო – 1. უბრალო წყალში მოხარშული ლობიო, ისე ჰაი-ჰარად, ხელდახელ. კირიკი ლობიოს აჭრიან: ხახვს, ქინძს; ასხამენ: ზეთს, ძმარს; აყრიან: მარილს, პილპილს და სხვ. 2. ჯანი გაუკირიკიყდება, ე. ი. ჯანი გაუმაგრდება. ოფლი რომ შეაშრება ავაღმყოფს, იტყვიან ჯანი გაუკირიკიყდაო.

კირიკი – „კირიკიტა კვერცხი“, „კირიკიტა ბიჭი“ (ასე მითხრა კ. მაყაშ. წაღვერში).

კისადარი – 1. ორი მოვაჭრე ერთ ღუქანში შეკედლებული. ღუქნის ქირის

¹ ასეა. – რ. კ.

მოზიარე. 2. მონახევრე. ერთ დუქანში რომ ორი ხელოსანი იმუშავეს, ერთს ჰქვიან კისადარი (შევრდომილ ხელოსანს ჰქვიან კისადარი).

კისატი - ნაკლული.

კისკისი - „ციხეს ქონგურები მონგრევა და შიგ დაუბუნათ ყვავებს და კისკისებს“.

კიტარუს - ცუდი სიტყვაა, გინებაა.

კიტრა - ვაშლის ჯიშია.

კიტრანა - ხედმეტი სახელია ჩვენს უბანში.

კიფიბიფო - უკარგისი წერილმანი ქალის ხელსაქმე. („მოამბე“, 1898 წ., № IV, გვ. 19).

კიჭპიბი - სააღერსოდ თქმული. პაწა ჩამწკრივებულ-ჩაკაწკაწებული კბილები (დ. მელიქსედ-ბეგის „სათნოვა“, გვ. 119).

✓ კლაპიტონი-კლაპიტონი - გვარიც არსებობს. ამ ექიმმა პეტრე კლაპიტონოვმა გამოსცა კარაბადინი მოსკოვს, 1826 წ. „აი, როც მოვესტრები, როც მოვკლავ ზაფრას და ჯინს! ჩემო ხელის კლაპიტონო! როც ვიფსკენით, ბეჩა, გვირგვინს“ (დ. მესხი, „იმერული სცენები“, 1902 წ., გვ. 25). „ლამაზ-ლამაზ ჯავახულების ბალებს ჩაუცვამთ წითელის კლაპიტონით (ოქრომკედით) მოჭრელებული ახალუხები“ (ვ. კობახიძე, „იფ.“, 1889 წ., № 79).

კლარჯა - სარეველა ბალახი.

✓ კლდისუბანი - ჰქვიან იმ ნაწილს ქალაქისას, სადაც ცხელი გოგირდის აბანოებია.

კლპაპა - (ქვაბების მკალავი) სომხ. პირმაგარი. იხ. ბტკერესი. „პირი მოკალული გაქვს“. კლკეწა მეტი სახელია ერთი კაცისა ძველად, რომელმაც სულ პირველად მოსჭრა ყალბი ფული და დაიღუპა.

კლპკი - მკალავი.

კლპრტპა - ისეთი ღვინოა, რომ პირს ჰკლერტავსო - ამბობენ.

კნაფანუფი - „დათუბა ბატს კნაწყანუწი დაწყებინა“ (ს. აღნ, „განათ.“ გვ. 25).

კნაჭა - გამხდარი და დაღუფული.

კობრჩისილი - 1. მცენარეა ქარქვეტას მსგავსი, იზრდება კლდეში და ყანაში. წნილად ხმარობენ. 2. ერთგვარი ბალახია, საწნილედ ხმარობენ. ჯგჯილებში ხარობს (იხ. შუშანი).

კოთხუნჯი - უშნო, მახინჯი (ა. ცაგარ, „მნათ.“, 1937 წ., № 5, გვ. 39. ზვანჯი, გვ. 58, იქვე).

✓ კოკოზა - 1. ერთგვარი გოდორია ძაბრივით, თევზების დასაჭერად. 2. მოწნული გიდელი, წოწოლა.

კოკურა - პატარა კოკა.

კოლორთადი - (სომხ. „რგვალი უბანი“) წინათ აქ იყო შეეტლეთა ბირჟა. აწ-გიორგვესკის მოედანი.

✓ კოლოტი - პატარა რუმბი. „ერთ წელიწადს ღვინო აღარ მოუვიდა და ბატონმაც 9. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი.

კოლოტებით ღვინის მაგიერ ათი კოკა წყალი გამოატანია და ჩაასხმევინა ჭურში". (აკაკი, ჩემი თავგადასავალი, თ. I). დიდი ტიკი. ჯერ ტიკტორა, მერე ტიკი, მერე კოლოტი, მერე რუმბი, დეკეულიდან კეთდება. ტიკი — თხისაა, ტიკტორა — ციკნისაა, რუმბი — ხარისაა.

კოლოფი — ყუთი, კროჭი.

კომპჰა — პაჭუა (?) „ერთი და იგივე არიან „კ“ და „ქ“, მხოლოდ ცხვრით განსხვავდებიან: კანს ცხვირი აქვს წაჭრილი, კომპჰა...“ (აკაკი, მეთაურის წერილის თავგადასავალი, „აკაკის მოწერებული სიტყვები“ გრი-გრის წინათქმით, 1929 წ., გვ. 10). „კომპჰა“ მეტი სახელია სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობის გმირისა („მოამბე“, 1899 წ., VIII, გვ. 64).

კონდახსაზი — თოფ-იარაღის ხელოსანი, შემკეთებელი.

კონი — ზამთრობით თევზის საჭერი კოკოზები (გოდრები) დაწყობილი პირაღმა მდინარე წყალზე, საცა უფრო ჩქარია, რომ თევზი მოემწყვდოდეს, შიგადაშიგ მისი დასამაგრებლად ქვით სავსე გოდრებია წაწყობილი.

კონი — ძველა, ტანისამოსი — დაგლეჯილი, დაკონკილი (?)

კონარობოსტი — თავი, დაცინვით. „Башка“.

კონი — ქონქი. თალი, კურტიმალი.

კონილი — 1. სამარხო საჭმელი. ზეთში ჩაჭყრიან ხახვს, ჩაფშენიან პურს, ძმარსაც დაასხავენ. ეს არის საჭმელი დაბალი ხალხისათვის. გ. ერისთავს აქვს: თუ არ მოყვა ფული ცოლი, უნდა ჭამო ხომ კონილი. „თუ არა აქვს ფული ცოლი, უნდა ჭამოს ხომ კონილი“ (გ. ერისთ., „გაყრა“). 2. ანუ ყიცილიყო პურის ნაჭრების კერძი, კვერცხით და ერბოთი. მთიულეთში — ხარშო (უბრალო საჭმელი). 3. დამბალი პური (ღარიბთა საჭმელი). „რა გაქვს სადილად, დომის წვენი თუ კონილი?“. 4. წყალში ჩამბალი პური. 5. ძველს ქართლურ პურს ერბოში მოხარშავენ, ხახვს ჩააჭრიან და კვერცხს ჩაახლიან.

კონაპი — 1. შუბლის ნაოჭების წარბსა და წარბს შუა შეკუმშვა უსიამოვნების ნიშნად (წარმოებული კოპ-იდან). „თუ იმასა ჰქონდა შკერული კონაპი, არც მე ვიყავ იმაზე ნაკლებ შუბლშკერული“ („ახალგაზრდა ქალის რვეულიდან“, თარგ. ეკ. მესხისა, „მოამბე“, 1897 წ., გვ. 107). 2. რომ დაეცემა და კორძი ამოუყა. კოპეპეკრული — („ტომ სიიერის თავგადასავალი“, გვ. III, 1935 წ.)

კონიტი — 1. Груньи, მხოლოდ ადამიანზე არ ითქმის. „გურუბი“ ითქმის ნახელაუზეც. 2. „კოპიტი სიტყვა იცის“, ე. ი. მკვახე, უშნო, გაუჩორკნავე. 3. მაგარი, მკვიდრი, ძველად კოპიტს ეძახდნენ შავ ფულს. 4. ტლანქი, გაუჩორკნავე, მძიმე. „ლექსების მაგიერად, ქეთევან, უბრალოდ ხელი გამოვიწოდე კოპიტ-კოპიტ სიტყვების დაუმტვრევლად“ („იო“, 1891 წ., № 163). „ჩვენ ვიცით, რომ ლითონის იარაღზე ადრე ადამიანს ჰქონდა ქვის იარაღი, თავდაპირველად „კოპიტად ჩამოთლილი“. (მ. პ. პოკროვსკი, „რუსეთის ისტორია“, თარგ. მ. ბერძ., 1932 წ., „სახელგ“, გვ. 18). 5. სპილენძის ფული: სამკაპიკიანი. „გამოფრიალდა რიდასიც კალთები, თითო ნახევარ კოპიტის ტოლა თითბრის ღილებითა“ (ცოგოლი, „კრებ“, 1871 წ., № 1, გვ. 102). „კოპიტად უთხრა“, ე. ი. „მკვახედ უთხრა“.

კოპიჭი – როცა ბავშვს რომელიმე ადგილი დაეჩიქება და ამოებურთება, ამას უწოდებენ კოპიჭს.

კობანად – მაგრად, უხეშად. „ლოგინზე კობანად დასამბული უჯრა-უჯრა შალის სახანი ეშალა“ (ნ. ავალი, თარგ, „თავადის ქალი“, გვ. 72).

კობანნი – 1. ბამბის კურკას ატარებენ დარჯაგში, ურევენ რაგინდარა უსარგებლო ნივთებს და ხან ცეცხლს უკეთებენ, ხან ძროხებს აჭმევენ. 2. ზეთს რომ ხდიან, დარჩენილი ჩენჩო.

კოჭანდარი – „ყველა შვილებზე უმცროსი იყო. როგორც კოჭანდარი, იგი ძლიერ საყვარელი და ნებიერი იყო“ (მელან, „ბნელო“, 1891 წ., გვ. 72).

კოჭოჭი – ნუფრი, კოპი, კოჭრიანი.

კორა – თხელი კრამიტის ყური.

კორიკობს//კორიკაობს – ირხევა, ტოკავს. კენტად დარჩენილი რამ, რომელიც ქანაობს.

კორმა – არღნის სატრიალბეული ჩარხი.

კოროში – ბექობი, შემაღლებული ადგილი. „შუა მდინარეზე ჯგუფად მდგარნი ხენი“ (დ. ჩ., გვ. 625).

კორუღი – ან ყორუღი. „ერთხელ კურდღელი ბედზედა კარგ ყორუღშია გასუქდა“. (ლექსი ლ. ისარლოვისა, თხზ., გვ. 79., 1895 წ.)

კორჩოტა – კორჩოტა ტანი, პატარა კაცი.

კოტიტა – „კოტიტა თითები“ – მოკლე და მსხვილი თითები.

კოტიტი – დაგრეხილფეხებიან და დამახინჯებულ ადამიანს უწოდებენ კოტიტს ადამიანს. ამბობენ: ეს ადამიანი ანგელოზებისაგან არის ასეთი მაიმინიო.

კოტორი – 1. კოტორი ხევსურეთში პატარა პურსაც ეწოდება (ვ. კოტეტი, „ხალხ. პოეზია“, 1934 წ., გვ. 438). 2. კოპი, მელიტი; გაკოტრებული. „ღრუნას (ღორს) შესდგომოდა კოტორი“ (ვ. ბარნ).

კოტოში – „ივან ნიკიფორიჩმა თავის რქა-კოტოში მონახა, რომელშიც ბურნუთს ინახავდა, კოლოფის ნაცვლად“ (გოგოლი, „ქრებ“, 1871 წ., № 2, გვ. 113). „ივან ნიკიფორიჩი კი თქვენ პირდაპირ ხელში მოვაჩვენებთ თავის კოტოშს ანუ რქას, რომელშიც აქვს ბურნუთი“ (გოგოლი, „ქრებული“, 1871 წ., № 11, გვ. 98) ორიგინალშია – „Рожок“. „კიდევ შიგაქვს ტუჩთან თითები? ოპ, ნეტა ეგენი ტუჩის კოტოშად გადაგექნენ“ (ივ. მაჩაბ. „ოტელო“, 1888 წ., გვ. 38). რქა, ან გრძელტარინი გოგრის ჭურჭელი, რომელსაც აფარებენ წურბელას – კაცის სხეულზე დაკრულს და „არამ“ სისხლს სწოვენ. „მარცხენა ძუძუს გვერდზე აქვს პანია ხალი და ზედ ერთი გრძელი ბეწვი აქვს ამოსული... ბეჭებზედ ეტყობა დასერილი ნაკოტოშარი“ (ა. ფურცა, „ავაზაკინი“, 1880 წ., გვ. 83). „ეკიმმა ბევრი უწამლა, თხის რძე ასო, ზურგზედ ქილები და კოტოშები ჰკიდა (რ. ერისთ., „ციციკ“, 1857 წ., № VI, გვ. 42).

კოტრი – 1. გაკოტრებული. „ჩამჯდარიყო კოტრებში და ერთი ყოფა ჰქონდა“. (აკაკი, „ქრებული“, 1899 წ., № 7, გვ. 44). 2. ვალიანი. დ. ჩ.-ს აქვს, მაგრამ სხვანაირად. „შხად

ვარ პირველ ხეზედ ჩამოვიხრჩო თავი, ვიდრე გაკოტრებულად გამოცხადდებოდა — ეკ, ძმავ, ყველა რომ ასე ფიქრობდეს, ხეებიც კი აღარ გვეყოფილა". („სენ. ფურც“. დამატ., 1901 წ., № 19, გვ. 13). ა. ცაგარელს მოქმედი პირი ჰყავს „ხანუმაში“ მიკიჩ ტყუილ-კოტრიანცი. არუთინ კოტროვიანცი — მოქმედი პირი რაფ. ერისთავის „ადეოკატებში“. „კოტრი კნიაზი“ (ა. ცაგარ. „ხანუმა“). „ან ვალი უნდა გადაეხანათ, ან სახელმწიფო კოტრად უნდა გამოეცხადებინათ“ (ივ. შაჭავ. „გლეხიკაის ისტორია“, 1931 წ., გვ. 249). ზ. ანტონოვს პიესა ჰქონია „კოტრი ზარაფი“, რომელიც დღეს დაკარგულად უნდა ჩაითვალოს („საქარტ“, 1918 წ., № 87). კოტრობა — „ფულზე ძალიან კოტრობა“ (ივ. შაჭავ. კერძო წერ. დ. მუსხისხაძე; „თ. და ც.“ 1914 წ., გვ. 39). „გაუმარჯოს კოტრობას“ ამ სათაურით ლექსიც აქვს ი. ბაქრაძეს („ჩანგი“, 1892 წ., გვ. 185). „კოტრობით ვარ მდიდარი, ცეცხლიც ბევრს შემეწია, ჩემბერ ბევრი ვაჭარი დიდ დოვლათსა ეწია“. (იქვე) — კნიაზჯან, შენი სულის ჭირიმე, მოდი ერთი დაგველოცე ესე ჩვენი კამპანიით. — ბიჭო, ამისთანა კოტრობაში რა დროს ქეიფია? („ჩანგი“, 1892 წ., გვ. 72).

კოლოპურტი — 1. ნამკვდრევი მიცვალებულის ტანსაცმელი, რომელიც ეძლევა მოძღვარს. ჩვენშიც არის ჩვეულება მგონი. 2. კოლოპურტი არის აგრეთვე ქოშები. „შეკრბენ ფილოსოფოსნი და მეცნიერნი, მათ მიემატა ნიკოლაძის „კოლოპურტიც“ (ა. ცაგარ. „დროება“, 1881 წ., № 1). 3. მიცვალებულის ბოლოხანს ნაცვაში ტანსაცმელი, რომელიც დასაფლავების შემდეგ მღვდელს ეკუთვნის. (ზ. ანტ. თხზ. გვ. 243).

✓ **კოშტი** — 1. შეკუმშული რამ, მაგარი. კოშტი სანთელი. „შკითხავა მოატანინა კოშტი წმინდა სანთელი, ჩამოქნა კაცის სივრძე პატრუქზე“ (ს. შაღლ. I, გვ. 32). „აშიკ კერბმა გამოიღო თეთრის ცხენის ჩლიქიდან კოშტი მიწისა“ („ცისკა“, 1865 წ., № 1, გვ. 7). 2. მაგარი. „კოშტი შაქარი“.

✓ **კოწიანო** — 1. მკვდარივით რომ მოდის. „როცა კხედავ პირუტყვებს, მომავალს ფეხშიძემოდ და კოწიანოთ“... (ს. შაღლ. I, გვ. 153). „რმით დამამდარი ხორები ფუნდუკით და კოწიანოთ ვარბან-გამორბან და მიათრევენ გოგოებს“ (ს. შაღლ. I, გვ. 91). „ბურთი ტრიალ-ტრიალით და კოწიანოთ გაფრინდებოდა ჰაერში“ (ნ. ლომ. I, „გვიგორ ღრუბელაშვილი“, თავი I). „ბოლი კოწიანოთ წავიდა მადლა ჰაერში“ („მოამბე“, 1895 წ., № XI, გვ. 45). „ღვინოდალეულნი მოკალნი კოწიანოთ და ნამგლის ტრიალით გაქანდებოდნენ მოსამკვლად“ („მოამბე“, 1898 წ., № IV, გვ. 36). 2. გლეჯა-ფლეჯა. ერთს რომ ხელში რამე ეჭვიროს და მეორე ცდილობდეს გამოტაცებას; მიწვე-მოწვევა. „კოწიანოში ჩონა დამაგლიჯეს“.

კოწიანო — ძალიან მყუავე. „ბაღში დავსხდით და ერთი ბოთლი ღვინო მოვითხოვეთ. მგავე, კოწიანო რაღაც მოგვიტანეს (ივ. შაჭავ. „გლეხიკაის ისტორია“, 1931 წ., გვ. 315).

კოწილ სწორობით — ეს სიტყვა შემხვდა ვახტანგ ორბელიანის პეტერგოფის აღწერაში. 1738 წ. აგვისტოს 15-ს ყოფილა (იხ. ლენინგ. საჯარ. ბიბლ. ხელთ. № 23, გვ. 27). ამოწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი წინადადება ვეღარ ვიპოვე.

კოჭა — 1. სანელებლისათვის. წამლების კარაბადინი. 2. სანელებელი მცენარე. 3. მცენარის ძირია.

პოქაპი — 1. კარების ყულფი, რომელშიაც რაზას ათავსებენ (სტომ სიოერის თაგადასავალი, 1935 წ., გვ. 58). 2. კარის კოჭაკი. „კარის რაზა-კოჭაკს აძრობენ და მიაქვთ“ (აგ., 1886 წ., № 155). 3. კარების ან ფანჯრების ჩამოსაკიდი, „პეტლი“. 4. კოჭაკი — კარების „პეტლი“.

პოქაძობს — „სულ ბაჯალლო ოქროებით კოჭაობს“ (აგლენიკაცის ისტორია, 1931 წ., გვ. 683).

პოქი — 1. ტივის ხე. კოჭს უწოდებენ ჭერის მუხებს: „ბიჭო, ერთი დათვალე ზემო სართულის სახლის ჭერზე რამდენი კოქიაო. 2. დიდი ტივის ხე, სახლის თავზე (ბანზე).

პოქის კაზი —

პონაპი — ამბობენ: „კონები შევიკვრია, ცხვირი დავიშვია, გამზიარულდი, რა, ქვეყნის ხარჯს ხომ შენ არა გთხოვენ?“ კონები არის წარბების ყალყზე შეყენება. კონი ყოფილა აგრეთვე რომელიღაც ქვა, რომელიც ცეცხლში არ სკდება. „ილიამ მაშინვე სახე იცვალა, კონები შეიკრა“ (ი. მანვეტ, „ჩემი წარსულიდან“, „მხათ“, 1935 წ., № 10, გვ. 209). **კონებშეკრული** — წარბებშეკრული. გაბრაზებულ ადამიანზე იტყვიან.

პრასუნა — დამკრახული, ყურძნის მტყევიანზე იტყვიან.

პრივი — ნიშნავს მუშტებით ბრძოლას. სომხურადაც მუშტით ბრძოლას „კრივს“ ეწოდებენ. თურქულად კრივს „დოგუში“ ჰქვია. კრივობდნენ რომაელებიც, ბერძნებიც, ინგლისელებიც და რუსებიც, სადაც ძველი კრივი Бокс-ის სახელწოდებით იყო გაერთილებული.

პრიპინა — ტყის ხილი.

პრაქ — რკო.

პრო — „კრო პაპუნსა აქვს, იმ საიქიოს შვიდი გირვანქა ცხონება გვარის დამამშვენებელი გამოხვალ აი!“ (აგ., 1892 წ., № 253).

პროლა — მრგვალი; კრიალა. დაკროლილი კაკალი — ჩენჩოგაცლილი. „თუ არა გქონდა, მა რითვინ გადადიოდი კროლა მანეთებს და ხუთმანეთიანებს შაბაშებსა, ქორწილებსა, ნათლობასა და დღეობებში?“ (რ. ფაულენ, „მოამბე“, 1896 წ., № IV, გვ. 20).

პროული — კრული (ილია, ტ. II, გვ. 177).

პროცი — კროცი არის მთელი კაკალი, ნაჭუჭიანი და წენგოგაცლილი. როცა წენგოს შემოაფცქვინით, მაშინ ამ მწვანე კაკლის სამოსელს ჰქვია **ლენჯო** და თვით კაკალს კი **კროცი**. როცა კროცს გასტეხთ და ნაჭუჭი მოშორდება, მაშინ იმ კროცის გულს, ე. ი. მთელ მრგვალ ნიგოზს ჰქვია **კუკრუჭანა** და როცა ამ კუკურუჭანას უღელს ამოაცლით და შუაზე გააპობთ, ამ ნახევარს ჰქვია **ლენჯანი** და ლენჯანის ნახევარს კი — **ე. ი. კუკურუჭანის მეთხედს ჰქვია კური**.

პროჭი — კაკარდა. იყო ერთი გრიგოლ **კროჭი**. სილოვანი ოხუნჯობდა, როცა მისი გვარი მთავრულით იწერებოდა. „კ“ მთავრული ჰ-ს ჰგავს. (ვუკოლიმ გადმოიტყა).

კრტიმლა — ტუქსვა. „მოხელე ღაპკას დაუწყო კრტიმლა და დატუქსა“ (გოგოლი — გ. ჩიქოვ, „ქრებ.“, 1871 წ., № 2, გვ. 132).

კრუა — 1. კრუა ქართულად ნიშნავს „კაცს“. ასე უძახიან ერთმანეთს აგრეთვე ტფილისში მყოფი იეზიდები. აქედან წარმოსდგება, რომ ტფილისის ქართველობა ვერ არჩევდა სომხეთიდან ახლად ჩამოსულ სომხებს და კრუას უწოდებდნენ. 2. ტფილისში 70-80 წლებში კურტნიან მუშებთ კრუები იყვნენ. კრუას უწოდებდნენ სომეხ ლტოლვილს. „ერთი უბრალო კრუა ხუთწემოდნას გააკეთებს“. (ა. ფურცა, „გვაზაკნი“, 1880 წ., გვ. 43). „კრუა-ყარული უფრო უარესს სიბინძურეს ავრცელებს“ („თვ.“, 1886 წ., № 46). „სახლს ყარაულობდა ერთი მუშა კრუა“ (ივ.“, 1887 წ., № 153).

კუბოკრული — საბანი სხვადასხვა ნაჭრებიდან რომ შეკერილია. (პ. იაშვილმა მითხრა: „მართალია, აქაური სიტყვა არ არის, მაგრამ კარგია“).

კუღბაწარა — ბავშვების სათამაშო შურდული. კუღბაწარას მთაში უხმობენ, ხოლო ლაგადკა — რეზინისაა.

კუღრაჯა —

კუღური — აკაკი ხმარობს ხშირად, პიესაც აქვს „კუღურ ხანუმი“. ერთ ლექსშიც აქვს ეს სიტყვა: „ოპ, მიყაროს იმ კუღურსა თვალში ნაცარი“. (1 ტ. 1912 წ., გვ. 184).

კუღჰიციხა —

კუზიანი კრამიტი — ორად მოგრეხილი კრამიტი, ღარივითაა;

კუზლარა — კუზიანი.

კუთო — წვნიანი კერძი, არა წყალწყალა. „კუთო დამისხი“, ე. ი. წვნიან კერძში კარტოფილი ან ბრინჯიც რომ იქნება. საბას კუთი აქვს და ნიშნავს „სისქე ხორცთა“, გვ. 178.

კუანა//კუანია — პატარა ადამიანი, კაცუნა, ტიკინა. „იმ სუდასა, აიმ კუანსა, სულ ვათამაშებ ლეკურ-ბუქნასა“. (გ. ერისთ). „— როგორ მოგწონს ორეცის ქალი? — ლამაზი კუანია“ (ნ. ავაღ. თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 85, 112).

კუაქუნაპი — კუკუნო, უკანა საჯდომის თავი.

კულა — ვერცხლით შეჭვდილი ყელვიწრო სასმისი.

კულაპ — კვლავ; კიდეც. „კულაპ არ გაბეღო, დაგიჯდება ძირიო“ (სკანდარ). ფშავეხევესურები ხმარობენ კლოვ. „ღმერთმა ხელი მოვიმართოს, კლოვ ხარი ირემი მოგაკვლევინოს“ (კაფა, „მოკვეთილი“, „მოამბე“, 1894 წ., № V, გვ. 3).

კულუხი — სამსახური, გადასახადი ღვინით (თათრულია).

✓ **კუმური მტრადი** — კაი ჯიშის მტრადი. იშვიათი თეთრ-ლურჯა. კუმური ლეღვი.

✓ **კუნაპლა** — ნათლია ნათლიდედას რომ საჩუქარს მიუტანს, კუნკულას უწოდებენ. „ეღიან კარგ კუნკულას“ (სურამის ციხე. სახელგ., 1937 წ., სასკოლო ხერია გვ. 46, თავი VI). მ. ზანდუკელი: კუნკულა — გამოსარჩენი რამ.

კუნაპლაპი — პატარა ადგილი.

კუპაჭია — 1. პატარა, დამრგვალებული ადამიანი, გამონასკეული. 2. პატარა, უშნო. „ძაო მიხეილ, მოდი ამაღამ მიუსხდეთ კნიაზ გიორგის და მოვრჩეთ ჩვენი კუპაჭია ბანკების საქმეს“ (წერ. მიხ. თუმანიშვილისადმი, უცნობი). „ჩემ გასართობად დავიწყე ტანცობა და ორჯერ კადრილი ვიტანციე, ასე მგონია, ჩემს გასართობად, გამონდა ერთი კუპაჭია ქალი, რომელიც სუყველას მივარდებოდა ხოლმე, უტანციებოდა, მაგრამ სწორე ვთქვა, იმის ტანცობა სწორედ რომ კალიას ხტომა იყო (გ. თუშან. კერძო წერილიდან მაჩვენა ა. გაბუნია).

✓ **კუპრაჯი** — მკუპრავი.

კურკური — 1. ტკბილი საიდუმლო მასლაათი. 2. ამ სიტყვას ასე ცალად იშვიათად ამბობენ. მუდამ ისმის ჩურჩულ-კურკური. „სიბონს ეს ჩურჩულ-კურკური არ ესმოდა“ (მოპასნის მოთხრობა „სიბონის მამა“, „დროება“, 1885 წ., № 186). 3. ჩუმი ალერსი, შეფრფინებით ლაპარაკი.

კუსი — მონაზონი (რ. ერისთ., ტ. IV, გვ. 28). კ უ ი ს — სომხურად ქალწულს ნიშნავს.

✓ **კუსკუსი** — სიარული პატარა ნაბიჯებით¹. „სიარული კუსკუსით“.

კუსპარა — 1. დაღეული ადამიანი. 2. პატარა კაცი, ქონდრის კაცი, კაცუნა.

კუტრი — გაკოტრებული. თუ რომელიმე გამვლელი ყვეს საღამს არ მისცემდა (ე. ი. ფულს არ აჩუქებდა), ბიჭები მიაყვირებდნენ: „კუტრია, კუტრია, ჯიბეში თავები უყრია“ („დროება“, 1870 წ., № 8); „იმისი კუტრი კნიაზები ძალიან დიდი რაზე ჰგონია“ („საქ. მოამბე“, 1863 წ., № VII, გვ. 24). **კუტრობა** — გაკოტრება. „ზოგი ამბობდა, რომ ტიუსსო კუტრობაში ფეხი უღვასო“ („იზა“, თარგ. ილიასი, ტ. I, გვ. 6). „ეხლა საშინელი კუტრობა არის“ („გვ.“, 1893 წ., № 13-). **კოტრობა**, „ან მოსავალზე თქვი, ან მანდაურ შექცევაზე, ან კუტრობაზე, მაგრამ კუტრობა წამოცდა, კუტრობაზე ნურას მომწერო, თვითონ მე კარგად ვიცნობ, რა წითელი კოჭიცა ბრძანდება. ჩემ ჯიბეში ნეტა ჩამოვახედა, რა ამავია, თავებს ისეთი ჯირითი გააქვო, რომ მეტი არ იქნება. სხვა რა მოეწერო, ჩემო კარგო დაგ პეტერბურლი ისევ პეტერბურლია. ცივი, ქვით მოსიპული და უხარმაზარი. ახალი ამბები არა არის რა, ჩემი ჯიბის კუტრობის მეტი“ (ილიას წერ. დისადმი, „მნათ.“, 1933 წ., № 8-9, გვ. 270).

კუტრუმი — თევზი ერთგვარი. **კუტრუმი** ჰქვია აგრეთვე იმ შემაერთებულ არხს, რომელიც ამტრანანთან არის.

კუფხა-კუფხა ცრაქლანი — (კუფხალიდან).

კუფუბი — 1. გარშემო მოვლებული არშია ან სხვა რაზე არშიასავით ვიწრო, მხოლოდ უნდა იყოს ხერხის კბილებივით ოკრობოკრო; დ. ჩ.-ს აქვს კ უ ნ წ ე ბ ი. 2. არშიასავით შემოვლებული ჩუქურთმა (?). „შენ კი ვენაცაღე იმ ვარსკვლავის კუნწუბებში“ (ა. ცაგარ., „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“ („ცნ. ფურც.“, 1901 წ.).

კუფურაბი — იხ. წუწურაქი. „კუწურაქი რამ არის... მგონი ცოლი რა დღეში ჰყავს, სარეცხს დარეცხავს მარა“ (ანწისხატელი — პ. უშიკა, „იფ.“, 1886 წ., № 22).

¹ ასეთი სიარული იცოდა გ. თუმანიშვილმა და ანასტ. თუმანიშვილმა — ი. გრიშ.

ლ

ლაბა — ბრინჯის და მისთანათა ნახარში წვენი, მოსქო.

ლაბიარი — ანუ ლაბიერი. „მერე მოკრივენი რომ გახურდებოდნენ, შუერევენენ ქვასა და ბაზრების ლაბიარები ერთ წამზე გააქრებოდა“ („დროება“, 1870 წ., № 8). **ლ ა ბ ი ე რ ი** — 1. ბანის გარშემო შემოვლებული აგური. დაბალი გალავანი. 2. კოჭების თავზე შემოვლებული აგურის ანუ ქართული ბანის გარშემო აშენებული აგურის კედელი. 3. აბანოს ირგვლივ გავლებული აგური. 4. ბანის კედლები აგურებშემოვლებული. იხ. „აკლაბარი“.

ლაბლაბო — დახალული სისირი. ლაბლაბოს უფრო ქიშმიშთან ერთად შეექცევიან.

ლაბაზი — 1. ტაშტი, წარმოებულია ლანგარი-დან. ლაგანი დალაქების თავსაბანიცაა. 2. მურაბის ტაშტი. ლანგარი — სინივით, Блюдо — ლაგანი. 3. ლახანკა — თურქული ძირია ლაგანი. 4. ტაშტი. „ქილილაში“. **ლაგანი**.

ლაბლაბი — წერო.

ლაალი — საკადრისი.

ლაპარაზი — Карниз.

ლაპიცი — ძვალი მხარის თავთან, კისრის შესართავთან. ყელთან რომელიღაც ძვალია. ერთი ლავიწში მაკოცნიეო — გამიგონია.

ლაზათი — სიამოვნება. სიტკბოება. ეს სიტყვა დ. ჩ.-ს აქვს. „ჩრდილოეთ ინგლისის მესაფლავეებს განუზრახავთ საერთაშორისო კონგრესის მოწვევა. კონგრესმა უნდა შემოიღოს მესაფლავეთათვის პიეიერული ზომები... სხვათა შორის უნდა მოისპოს სასაფლაოზე სიტყვების წარმოთქმა. ეს წესი განსაკუთრებით საქართველოში იქნებოდა კარგი, რადგანაც ვინც ვინდა და არ ვინდა წაოხტება და ულაზათო ლექსს კითხულობს“. („ცნ. ფურც.“ დამატ., 1904 წ., № 258). „ამამბავს უფრო უმეტესი ლაზათიმისცა“ („ქრებ.“, 1871 წ., № III, გვ. 35). **ლაზათიანი** — „რაღ შეიძლება უფრო შემოკლებულათ და ლაზათიანად შეთანხმებული ფრაზები გამოთქვას“ (ნ. ნიკ., „ქრებ.“, 1873 წ., № VIII, გვ. 259).

ლათაია — 1. ანუ ლათაიზ — თამამი, თავხედური ლაპარაკი; წინდაუხედავი სიტყვა; ლათაიები. ვ. ბერიძის ლექსიკონის განმარტებით, მიღებ-მოღებული, მიკიბულ-მოკიბული, უსაბუთო ლაპარაკია (გვ. 26). გიორგი ერისთავი „გაყრაში“ მიკირტუმას ათქმევიანებს: „კნიაზ, კიდევ ერთი ლათაიას ვითხრამ — ატუ



ნა სვეტე ჩენსა ბუდით, ბუდით ნასიტ ზლება გუდით“ (თხზ., გვ. 143). აკაკის „კინტოც“ ამბობს: „კნიაზჯან, გნებავსთ, ერთი ლათაია ვითხრათ“ („კრუბა“, 1889 წ., № VII, გვ. 74). აკაკის ლექსიც აქვს ამ სათაურით: „კნენიების ლათაია“ („დროება“, 1871 წ., № 38). 2. იგავი, თქმულება, ბალადა, ამბავი. „აქაშულების ლათაიება“ (გ. ერისთ. „დავა“, მოქ. III, გამოცხ. I). „გ. ქიქობე მკაცრი ირონიით ანიაკებს ცრუ მეცნიერის, იშხანაინის ლათაიებს“ („კლდე“, 1914 წ., № 20, გვ. II). „ბოჰქემა“. „კნიაზ, ლათაიას ვითხრამ, თვალები აქვს იმტარხნის ხიზილალა, ტუნი ტუბილი, როგორც რომ ყანდის ჩალა“ (გ. ერისთ., „გაყრა“, მოქ. III). „მისი პოლიტიკური მოთხოვნანი სხვას არაფერს შეიცავენ, გარდა ძველი საქვეყნოდ ცნობილი ლათაიებისა.“ (გ. გამყრ. მიერ თარგ. კ. შარქის „გოთას პროგრამის კრიტიკა“, სახელგ., 1932 წ., გვ. 33). „ამ ამბავთან ჩართული ტყუილი და ურცხვი ლათაიები“ (ილია, ტ. IX, გვ. 187).

ლაილალი – 1. ცხერის სამოვარი ადგილი. იალალი. 2. იაილალი, სააგარაკო ადგილი, გაშლილი. თავისუფალი. ხალვათად. იხ. იალალი. 3. ერთგვარი ფრინველია, გრძელნისკარტა, ინდოეთიდან მოსული პირველი ფრინველი. ბერძენები, სადაც მთაში ცხოვრობენ, ვიდრე ამ ფრინველს არ ნახავენ, იმათ ზაფხული არ ჰგონიათ. „ლაილაგი“ (ლაილალად – თავისუფლად).

ლაიფი – 1. ბამბის წმინდათ ნაქსოვი, რომელსაც ჰლებაკენ ლილისფრად. ხამის მოპირდაპირეა. ხამი სქლად იქსოვება, ეს – წმინდათ. 2. ბამბის ფართალი. „ჩემი გაღია იტყოდა – შვილო, მორთვა-მოკაზმა და გარეგანი დიდება ქვეყნად რჩეულთაგანს შემეშენის, თორემ მე ლაინის კაბაც კარგად შეკადრებაო“ (აკაკი, „თამარ ციხურის“ გამოც., გამო. „გვ.“, 1886 წ., № 62).

ლაიჯინის ღილი – ლაიჯინი სოფელი იყო შირაზის ოლქში, საიდანაც ძვირფასი ოქრომკედლიანი ღილები მოდიოდა.

ლაიჯის ნახვი – ლაიჯის ნესვი ერთგვარი ნესვია, მეტისმეტი ტკბილი, ჩოფურა და ზოლებიანი.

ლაიჯი ძვავი – ლაიჯი სპარსელების ერთი ტომია, რომელნიც სცხოვრობენ შემახიის ახლოს. ძველად სპილენძი ლაიჯებს მოჰქონდათ და ძალიან კარგი სპილენძიც იყო. ეხლაც ქვაბი თუ მთლიანია და არა ძირმოკერებული – ლაიჯი ქვაბს უწოდებენ.

ლაიპუტი – პირდაპირ ლ ე კ ვ ს ნიშნავს. როცა ბავშვები ბლომად მოგროვებდნენ ხოლმე რომლისაზე კარებ წინ, მაშინ პატრონი გამოვა და გალაღამს შემდეგ სიტყვებით: დაიკარგენით ვილასიც ლაიპუტები ყრინხართო, ვითომ ვილასიც ნაბიჭვრები, ბუშები ყრინხართო.

ლალა – გამზრდელი. ჩვენი სიმღერის თაფშურმა ლალე, აქედან ხომ არ არის?

ლალაბაძი – ანუ ნალბაქი – პინაკი.

ლაპუ-ლაპუ! – სიმღერის დროს სახმარებელი სიტყვა, როგორც: „ეო-მეო!“ ან „ლალე-ლალე“ და სხვა.

ლანბი – გრძელი კეტი. სალესავი პირის გამოსაწყობი.



ლანცო – გრძელი კეტი. სალესავი პირის გამოსაწყობი.

ლანდრა – მაუდი.

ლანთაპა – 1. დონდლო, დუნე, დაბოშებული; 2. მსუნაგი, გაუშაძლარი, ღორმუცელა, ნაყროვანი.

ლანძი – ალბად ალანძელიდან. ბ. ჯორჯაძე ამბობს: „გინდა შემსოთ, შემჭაოთ და ქვეყანაში კი ლანძი მოჰსდოთ: საძაგელი არის, არავინ შეიერთოთ“ („ცისკა“, 1865 წ. სექტ. გვ. 28).

ლაპარი – ხონობის წიწილა.

ლაპუსტაწი//ლაპუსტაცი – 1. მოლოკვილი, გარეცხილი. 2. წამხდარი, თავლაფიანი (რ. ერისთ., „ჯერ დაიხონენ, მერე იქორწილეს“). 3. თავზეხელაღებული. „უი, ქა, რას სნადის ეს ლაპუსტაწი?“ (ბ. ჯორჯ., „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ „ცისკა“, 1865 წ. სექტ. გვ. 35). „მაგის გიჟი ლაპუსტაწი მძა დილა-სალამოს ცოლს თავში უტყაპუნებს. („მოამბე“, 1898 წ. № IV, გვ. 30). იხ. „ჯერ დაიხონენ, მერე იქორწილეს“ (რ. ერისთ.). „ვერა ჰხელაძთ ამ ლუპუსტაწს რაებს ამბობს?“ (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ. № 13, გვ. 15). „ეხლა? ეხლა სულ სხვა დროა, ხალხი გაირყვნა, გალუპუსტაკდა“ („ივ“, 1892 წ. № 253).

ლართხი – ურმის ძირზე დასაკები ფიცარი (მთიულებში ჰქვიან „ღ ა ნ დ ა რ ი“).

ლარტა – რეიკა.

ლასტიპი – ერთგვარი მაგარი ფართლეული. სატინის მსგავსი შავი ფართლეული, ხმარობენ საახალუხედ.

ლაფა – მუხედოსავით (მუხედო), ფლავის პირისთვის. 1. მარცვალა, ერთგვარი სისირის მსგავსი, მხოლოდ წვრილი და დაყოფილი. ლაფას ხმარობენ ფლავის ზედაპირისათვის. ლაფას სიმაგრის გამო ძალზედ ხარშავენ, შემდეგ ადულებენ ქიშმიშთან ერთად და აყრიან ფლავს ზევიდან. ამგვარ ფლავს უწოდებენ ყაბლუ ფლავს. თურქ. „მუკაშარ“. 2. ასაბლუ – ფლავი-ქიშმიშ-ლაფიე.

ლაფანი – ლაჩარი, მხდალი.

✓ **ლაფიტრია** – სახელია უშნოდ მოსიარულე კაცისა. მთიულეთში ბ ა ტ ს უწოდებენ.

✓ **ლაფზა** – დედაკაცი, პირახეული დედაკაცი, აპწკაგაწყვეტილი, რომელიც ჭორაობს და უთავბოლოდ ლაშლაშებს.

ლაფრა შუშანა –

✓ **ლაქარდიანი** – მლიქენელი. „სიკვდილს ვერავინ ემაღვის, ვერ ვინ გაეცქა რბენითა... ვერც ვინ ცბიერის სიტყვითა, ვერც ლაქარდიან ენითა“ (ხალხ. „კოლექტივიზაცია“, 1934 წ. № 235).

ლაქუცა –

✓ **ლაღათლოხუ** – ერთგვარი ტკბილეულია წებოს მსგავსი, რომელსაც თათრები აკეთებენ.

ლაღანდარა – ლაზღანდარა, არა მუყაითი, ცუდლუტი, ზარმაცი, თაკეიფა.

ლალანდარას უწოდებენ აგრეთვე რომელიღაც ფერს. „ერთმა ლალანდარამ თითიცი დაადო ზედ“ (გ. ლონ, „მნათ.“, 1931 წ., № 3, გვ. 224).

✓ **ლალღაღაღა** – ლახლახებს. ხალვათი რამ რომ იქნება და ქანაობას დაიწყებს.

ლალუნი – ლაღობა. „მივეცი საღმუნებასა, ხმელეთით დამწვარი გულო, ყოველი დავთმე უსულო, მაღირსე ლალუნებას“ (აბელ კალატოზოვის ზეღ. ლექსიდან).

✓ **ლააფი** – 1. (უჯერო ლაპარაკი) უასაკო სიტყვა-პასუხი, ლაქლაქი. ხალხური ლექსი ამბობს: „...მაყრიონი მომძახოდა: „ქალ დავეცადეო“, მე იმათ ლაყაფ-ლაყაფსა ყური არ ვუგდეო!“ (მ. გაჩეჩ. შედგ. „სახ. კალენდ.“, 1903 წ., გვ. 147). 2. ლაყბობა, ცუდმოუბრობა. „ვინ ჩავგიგდებს ამას მწერლობად? უბრალო ლაყაფიყო, ჩინსუბრებენ“ (შ. დად. „უბედ. რუსი“, 1937 წ., გვ. 270). 3. მეჭორე, ცუდათ მოუბარი, უსირცხვილო კილოიანი. აქვს დ. ჩ-ს სხეანიად. „ნეტა რას ამბობ, შენ ბრძენოვ, ლაყაფი რად განაგრძეო“ (დავით რექტორის ლექსიდან „Описание“, გვ. 225). „ღმერთო, ნუ მიწყენამ ცუდსა ლაყაფსა, მიდმოღებას“ (თეიმ. I-ისა, Описание, II, გვ. 323). „ფინთი ლაყაფისა“. „შენს ლაყაფს ვინ აუვარო“. (გვ. 35). „ლონდონის უბნის მოვაჭრე იმ თავითვე განთქმული იყო ლოთობითა, ყაძარბაზობითა, და ცუდის ენა-ლაყაფითა“ („ივ.“, 1892 წ., № 165).

✓ **ლაყინტარა** – ლახლანდარა.

ლაყუნი – თევზის ყბა, ბალყუნი – თათრულად მეთევზე ნიშნავს.

ლაჟი – ბაგე, ყბა, პირი.

ლაჟლაჟი – ლასლასი.

ლაჩათრიანი – ჭუჭყიანი, უშნოდ ჩაცმული. „აბა, როგორ იქნება ამისთანა განიერ ქუჩებში ლაჩათრიანი ბეჭით გამოწნდეს“ (გ. სუნდ, „ჰარინკას ვეჩერი“, გვ. 86). „გივმოზე: (გამოართმევს ადლს და მიტკალს) ი. ლაჩათრიანო, აქ მომეცი!“ (გ. სუნდ, „დაქცეული ოჯახი“).

ლაჩანთრე – უშნო, ლაჩარი.

ლაციცა – ქლესა, ლაქუცა.

ლაწანი – სილა. „ყმაწვილის სახეზე ლაწანი გაადინა მილიციონერ ბოლოთაიას ოყიანმა მარჯვენამ“ (ან. ყურუა, „კომ.“ 1935 წ., № 117, გვ. 4).

ლაწირაპი – გველაძეა ყმაწვილი, დაუდეგარი, დაუდგომელი, ცელქი, ონკარი.

ლახაიდა – ბოში, ჩათლახი, უნებისყოფო.

ლახლახი –

ლახლუხა – 1. აღრეული ლაპარაკი ზედმეტი. 2. აისორებს, ქურთებს და სხვა პატარა ერებს ტფ-ებმა (ებრაელებმა) მეტი სახელი დაარქვეს „ლ ა ხ ლ უ ხ ა“.

ლახუსტაპი – საღებავი, საჭმელი.

ლაჯი – „მაგრამ ჯერ ხუთი ლაჯი არ გადაედა, რომ“... (ლ. ჯანდიერი, „კონრად კიფერდ“, „საქ. მოამბე“, 1863 წ., № IX, გვ. 96).

✓ **ლაჯუნი** – უშნო სიარული. „სუსინკაჲ ვერ მოიღალე გოგო-ბიჭებში ლაჯუნით?“ (რ. ფაგლენ, „მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 32).

✓ **ლ33ანდი** – ანუ ლავანდი. 1. გაფუჭებული, გალალებული, ავარა. ლევანდი ოსმალელ ჯარისკაცსაც ნიშნავს. "...Последним именем (леванды) назывались и милиционеры турецкого войска занимавшего Тифлис в начале XVII века и соответствует современному (...) - букуз" (Ю. Ахвердов, "Тифлисские Амкары", 1883, ст. 35). „შენ გითხრეს თითქოს გავსალახანდი, თითქოს მივეცი თავი ბოკმას, თითქოს მე ვიყო ლოთი, ლევანდი, გკლავლე ღვინოში შემოქმედებას" (ლ. ანან, ლექსები, 1933 წ., გვ. 43). „რა ისეთი, ლევანდი ვინმე ვარ, რომ ეგ ოინები ჩავიღინო" (ს. ფაშლა, „წინაგვის კრებული", 1933 წ., გვ. 22). „წახდა რალა, წახდა ჩვენი საქმენი, შენ ლევანდო, ვირის თავო, რა კქენი" (ი. ველ. მ. გაჩეჩ. „ჯიბის კალენდარი", 1912 წ.). 2. გვარიც არის. „ივან ივანის ძე ლევანდა იყო დეკაბრისტების საქმეში გარეული. („Восстание Декабристов", ტ. VIII, გვ. 340).

ლ30ლაჟი – Жасмин.

ლ30ლალი – მემედ აბაშიძე ხმარობს ლაილაქს: „ლაილაქის ხე" („მუნევევე", 1931 წ., სახელგაბი, გვ. 45) მაისის თეთრი ყვავილია, სურნელოვანი, იზრდება ბუჩქებად.

ლ3060 – მატერიაა. ძველ ქალაქებში ვკითხულობთ: „ქორონიკოს უოკამ წელს ჩემს რძალს მაიას შავის გამოსაცვლი ტანისამოსი მივეც: მქრქალი ლეინი პერანგის მეყვისათ თავის სარჩულით" (ეს ქალაქი არტ. გაბუნიაძე გადმომცა და ჩემთან ინახება).

ლ3პრო – ექიმი (ლექარსტვო). „რამღენი დიდი კაცი, თქვენგან ნაქები ლეკრების ხელაღებული, მე მომიჩრჩნია..." (ბ. ჯორჯ., „ცისკ.", 1863 წ., აგვისტო, გვ. 8).

ლ3ლენი – ცივი! ამბობენ ეს ლელენი ჩაი რად მინდაო.

ლ3ნფოშა – („გარინკას ვეჩერი", გვ. 110).

ლ3პან(ა)ნი¹ – თუნუქების შემაკავშირებელი, მეთუნუქე.

ლიანბი – „აუარბული, ურიცხვი" (თ. რაზიკ., „იგ.", 1900 წ., № 199).

ლიაბი – დიდ წვიმაზე ითქმის. „აი დაასხა და რა დაასხა, რო სულ ლიები წავიდა!" (ს. შკალ., I ტ., გვ. 62).

ლილიზარა – მზესუმზირა. ეს მცენარე ყველა ერში ერთი მნიშვნელობით იხმარება: Подсолнечник (რუს.). გიუნანა-ბახან (მზეს უყურე – თურქ.). არევიწალიკ (მზის ყვავილი – სომხ.). 4. მზისუმზირა (ქართ.).

ლილიზარობა – „...მაგრამ ლილიზარობა მოითხოვდა, რომ განგებ თავი მოემდაბლებინა" (ლ. არდაზ., „მორჩილი", 1936 წ., გვ. 123, 144, 164).

✓ **ლილხანა** –

ლილჰია – ერთგვარი მოპარვა, აწაპვნა. მაგ., თუ ქარავანს შეატრეს ცალი, ან ცხვარი გააძუნძულეს სადმე (რუსულიდან).

ლიპირტაჟი – ლირთი, ურიცხვი, ნახე „ლუპუსტაცი". „მე შენ გეუბნები, ლიპირტაჟ – ლიპირტაჟულად ნუ ლაპარაკობ ჩემს წინ, თორემ..." (გ. სუნდ., „დაქ. ოჯახი").

✓ **ლირფი** – 1. უსირცხვილო, გარყვნილი, გაფუჭებული. (საბა, გვ. 161; „პეპო", გვ. 280.). 2. უნასი. 3. საბას ასე აქვს „სილირბე-თავხედობა". „ლირბი თავხედსა, გინა ურიცხესა კქვიან" (გვ. 161). „შახე ამ ლირფსა" („პეპო", გვ. 72). „ტოტლებენი იყო

¹ ასეა - რ. კ.



გაიძვერა, ლირფი, უნამუსო, თავზუნელალებული კაცი“ („საქართ. ისტ. და ბ-ნი ეზოვი“. წერ. ა-ლისა (ა. ფრონელისა?) „მოამბე“, 1899 წ., № 1, გვ. 49) იხ. ნ. ლომ., „ყოველი მხრიდან“. „ათასი ლირფი ვინმეები ჩემი სახლისთვის არ დაიღვეა“ (ა. ფურც, „კავაზაკნი“, 1880 წ., გვ. 13). „მაგრამ არ უჯერებდა, რომ ლირფის პირითა თავის ნათქვამს ცხადათ ამბობდა“. (ხელნ. ელხისა, ჯერ არ არის აღწესხული). ლირფობა — ურცხვობა. (ტომის თავგადასავალი, ძვ. გამოც. გვ. 89). „უარყოფელთა ჯგუფი ნიპილისტურად ბოროტისტყვაობს, ცინიკურად ჭკუამახვილობს, ენას იღესავენ, ლირფობენ, მიეთმოეთით ერთიმეორეს ჰქირდავენ და ასე გათუნებით დაღამებამდე“. (დ. ჯან, „ჟომ“, 1936 წ., № 90, გვ. 4). „დასამტკიცებლად არქივისკომისის (იოსებ არლუთაშვილის) ლირფობისა დავასახელებ შემდეგს... და სხვა... (ა-ლის (აღ. ფრონელის) წერილი „საქართველოს ისტორია და ბ-ნი ეზოვი“, „მოამბე“, 1899 წ., № 1, გვ. 51).

ლირფი — ენებიანი. „დედათა მიმართ დაუცადებელი გულისთქმა“.

✓ **ლიფლიფანა** — დაირაზე რომ ფულეებია, ის არის ლიფლიფა (რ. ერისთ. ტ. IV, გვ. 394).

ლიფსიტა — Селедка. ასეა ნათარგმნი გოგოლის ერთ მოთხრობიდან (ჟერუბ, 1871 წ., № III, გვ. 7).

ლიქსი — ლაქსი, გველაძეობა; მლიქვნელობა.

✓ **ლიყინი** — ენაჩლუნგი მოლაპარაკე, რომელიც სიტყვებში ასოებს (ბგერებს) ჰკარგავს. ენამონღექილი, რომელიც ლაპარაკის დროს „რ“-ს მაგივრად „ლ“-ს ამბობს.

✓ **ლიციცი** — საესებით საესე. „ე ბელლები სულ დაილიციციეს“ (ს. შვალ, I, გვ. 71).

ლიჭყი — ტყაპი. „ღრჭყსა და ყინვაში“ (ვ. ბარნ.).

ლოგდანი — ქამხა, ნაქსოვი.

ლოდიანი — მოზრდილი ქვა, მომცრო ლოდი.

✓ **ლოთიანად** — დარდიმანდულად. ასეთ სიტყვებს თვით ნ. ნიკოლაძეც ხმარობს: „...სპეკულაციის წყალობით ქვეყნისათვის საჭირო იარაღი, ვაჭრობა, ანგარიშის ხასიათს ჰკარგავს და ლოთიან თამაშად ხდება“ („მოამბე“, 1894 წ., № XII, გვ. 134). „ლოთიანად, მითხარი, რა დაგიჯდა?“ (გ. ბაშინჯ, „ზინიებული მასპინძელი“, „სახ. საქმე“, 1920 წ., № 1009, 19 დეკ.). გული მეუნება ლოთიანად მიეზილო ეს კაცი“ (დ. თურღ, „ჟაბიზ. ახალგაზ. ცხოვ.“, გვ. 17). სიტყვის მასალაა: რაინდულად! ვაჟკაცურად!

✓ **ლოთიანი** — ჯიგრიანი, ძარღვიანი. „ყმაწვილებო, ეს იმის სადღეგრძელო იყოს, ვისი გულიდანაც ეს ლოთიანი სიტყვები ამოღებულა“ (აკაკი, ტ. III, 1937 წ., გვ. 101).

✓ **ლოთიბაში** — მუდმივად ღვინის მსმელი, ლოთი, ლოთების თავი, კარგი მსმელი. „ჩონატურის ლოთიბაშეში პოეტებიც ურევია, რომლებიც გაიძახიან — „ღამისნი დამალვინე, ჭკუას მოვალ გონებას“ (აკაკი, 1897 წ., № 7, გვ. 149). „ერთი ჯარისკაცი თავს წამოვადგა. გადაკრულში ბრძანდებოდა. — ბიძაჩემს გაუშარჯოს, ბიძაჩემს! — ოჰ, შენა ბრძანდები, ლოთიბაშო? მაშ ჯერ არ ჩამოუხრჩივხარო?...“ (ივ. მაჭავარ, „გულენიკაციის ისტორია“, 1931 წ., გვ. 79).

✓ **ლოთი-ვოთი** — დარდიმანდი, ხელგაშლილობის მოყვარე. „ესენინის პოეტური

ხმის ღრმად ლირიკული და იმავე დროს ლოთიფოტური ტემბრი შეხამებული იყო იდეოლოგიის ფრიად ჩამორჩენილ ელემენტებთან". (ნ. ბუხარინი, „მნათ.“ 1934 წ., № 9, გვ. 169).

ლოლიაობა — მოფერება.

✓ **ლოფთიარი** — „ამ კელესიას პხურავს ნათლი ლოფთიერის ქვა“ (სოფ., 1886 წ., № 164, გვ. 2-3).

ლოპიანა — ზედმეტი სახელია გრ. ორბელიანის ლექსის გმირისა: „ჩემს დარდებსა ვინ ინაღვლის, ვინ არის, ვის რად უნდა, ლოპიანა ვინ არის“. ლოპიანი საკუთრივ ნიშნავს „ნამიანს“ (ლოპო — ქერქის ქვეშ მოუძვინფებელი ნოტიო მერქანი); ლოპიანს ეს სახელი დაერქვა მუდმივად წყალში დგომის გამო — ლოპიანა მქანაგლე იყო, მებაღური (გრ. ორბ. ლექსის პერსონაჟის სახელი. მიხუა ერქვა, იყო მქანაგლე).

ლორთჰიო//ლორბჰიო — უენებელი გველია: გველზოკერა, ანკარა, ძლოკვი. გველის მსგავსი, მაგრამ არ იკბინება. ცხოველი გველივით.

ლორთხი — ძალიან დასველებული რამ, დამძალი.

ლორთხი — Кафель.

ლოტობაზი — ლოტოს მოყვარული, ლოტოს მოაზარტე.

ლოტრანბი — ურჯულო.

ლოფლოვა ბაჰუზი — ახლად დაბადებული ბავშვი.

ლოქაზი — მუქთახორა მჭამელი.

ლოქოზაჩა — პატარა ლოქო, ღლავი.

ლოღარიპი — ცალ ხასწორი (საბა).

ლოღანო — ჯვირი მთა-ბარად, ველადა, ლოღანის საძებნელადა (იეთიმ გურჯი).

ლოხი — 1. დუნე. 2. „ლოხი დამა“ (ვარინკას ვენერი“, გვ. 110). ლოხოშა — დუნე.

3. ფშავეში ლოხი ჭუჭყის ნიშნავს. „თვალს ლოხად ჩაედებოდა“ („ეკვლი“, 1893, № 13).

„ასე გაგახდევ სურვილსა, ნემსს კუდად აეგებოდე, პატარას ნარის ჩიტასა თვალს ლოხად ჩაედებოდე“ (ხალხ.).

ლოხი კაცი — მძიმედ მოძრავი კაცი. დავრდომილი,

ზარმაცი. დავარდნილი, ინვალიდი, მოშვებული. **ლოხიანი** — ლოხი კაცი,

დუნდულა, მოშვებული კაცი. „ლოხიანი მახრა (?)“ (გ. ბარნ., „ვარდფანჯები“, გვ. 164).

ლოხმა — ლუკმა. ლოხმას უფრო უწოდებენ აქლემის საღეჭავ ლუკმას:

დროს გასატარებლად აქლემს ცომს ჩაუდებენ პირში და აქლემიც ღეჭავს,

ღეჭავს და არ კი ჰყლაპავს. ხშირად ადამიანი თუ უშნოდ ილუკმება —

ეტყვიან: კაცო, რა აქლემის **ლოხმასავით** ღეჭავ მაგ პურს, გაათავე და

მორჩი რაღაო. „შამ არა და შენსავით უში ხაშლამა ვიქნები, სანამ რასმეს ვიტყოდე, სიტყვებს

აქლემის ლოხმასავით პირში ვღეჭავდე“ (გ. ხუნდ., „აქაო“, 1880 წ., გვ. 13).

✓ **ლოხოვა** — მეტად მსუქანი და მობაჯბაჯე კაცი. ანუ ლოხი, უშნოდ ჩასქელებული.

✓ **ლოხტა//ლოხტი** — ლაგამი, ჯილაკი, ალვირი. ამბობენ: „ლოხტა აიწყვიტა“.

„ლოხტა ვანო, ვერას ჩადი კარგვარო, რასაც იცომ, სულ აცინებ ხალხსაო, შლააკა გიგავს

მარტყოფის ჩანახსო, ვაი, იმას, ვინც შენ მოგცემს ქალსაო“ (ერთი უავტორო სიმღერიდან).

„პირს ღონტა გავწყვეტია“ (გ. სკანდ.).

ლუგუში — ტლანქი. „გაზაფხული მიწვევს საანცოდ, მაგრამ ღუგუშად მერქვენა მისი სიმღერა“ (დ. თურღა „ერთობა“, 1920 წ., № 270).

ლუგუში — ენამორღუქით მოღაარაგე.

ლულაძაბაბი — საკუთრივ ნიშნავს შ ა მ ფ უ რ ი ს მ წ ვ ა დ ს. მწვადი საბას ლექსიკ. შ ი შ ლ ი კ ი. Люла кебан. იხ. დ. ჩ. შალიაპინი წერს: „ვიპოვე ცხვირსასოცი, შიგერთ კუთხეში გამოკანთული იყო ოთხი უხალთუნი, მამინევე გავექანე თათრის ღუქანში და ვჭაბე ღულაქაბაბი“ („Страницы из моей жизни,“ 1926, ст. 128). იხ. ქაბაბი.

ლულეინი//**ლულეინი** — 1. ღულეინი, ე. ი. მიღეინი ქეთლი სპილენძისა, რომელსაც სპარსელები ზარულაში ხმარობენ, გარედ გასვლის დროს. 2. სარწყული — 3. თიხის ჭურჭელია ხელების დასაბანად (ბოლოს სპილენძისაც შემოვიდა). „ქალები წავგავლებენ ზოღმე ხელს, თითქოს ჩაიდნის ღულეინის ყურს წავვლეს ხელი“ (ტოგოლი „კრებ“, 1871 წ., № 2, გვ. 135).

ლული — „ზალაში სივიწროვისაგან და სიდაბლისაგან საშინელი ღული და ტოთი იღა“ („დროება“, 1885 წ., № 181). „პაერში სიციხის ღული ტრიალებდა“ (ნ. ლომ).

ლურთი — 1. ხორცის ძალზე მსუქანი ნაჭერი. (ეს გ. ლეონიძესაც აქვს მგონი). 2. ღურთი — ძალიან მსუქანი (თ. რაზიკი „ივ“, 1900 წ., 132). 3. ნამი, ნესტი, ჭყანტობი.

ლურთხი — ნესტი, ჭყანტობი.

ლურსა ცხვირი — წმინდა და თხელი ცხვირი.

ლურჯი სუფრა — ადგილობრივი ტილო, ზედ კევის ფიგურებს აკრავდენ, ჩააგდებდნენ ღილაში და გამოდიოდა ღურჯი სუფრა.

ლუსტაქანტ — (ე. ი. ღუსწ თუ კენტ) თამაშობაა ერთგვარი: ღუსწი ნიშნავს წყვილს. სომხურად კი ღუსწი „უღელს“ ნიშნავს.

ლუბა — „პაიდღასა, რანაირად უყვარდა ი ღუტა კამბეჩები“ (ა. ნადირ, „აღიონის კრებ“, 1911 წ., გვ. 269).

ღუყურბი — 1. ღუნე, მოშკებული ადამიანი, უსიამოვნო. 2. უმი ხორცი, 3. უგემური წყალი. 4. ცუდი, უგემური. „(მიხეიღმა ტბარზანი დაღია.) — როგორია? — რაღაც ღუყურბი გემო აქვს“. 3. ჟრთი ყური უგდეთ იაკობ სემონიძეს, მუხიკაღურ კრიტიკოსს... დარდაკოვის სიმღერას ღუყურტად და უგემურად აქვს“ (სპ. ჩიტორელიძე — მ. ზ. ყიფიანი, „ივ.“ 1889 წ., № 88).

ღუხი — ყომარის თამაშობის დროს ოთხივე კოჭი რომ თაფზე მოვა.

მ

მადარვაჰი – (სადაურია?) წმინდა და კარგი ხარისხის მიტკალი, ჩადრებს ჰკერავდნენ.

მაპანო – ამბობენ; **მაგანმა** სთქვა, რომ ეს კაციო და სხვა... ვითომ ამა და ამ კაცმაო. როცა არ უნდათ რომელიმე პირი დაასახელონ, მაშინ სახელს არ აღნიშნავენ და ამბობენ: **მაგანმა** და **მაგანმა**, ფლანმა და ფსტანმაო და სხვა.

მაპარანო – სპარ. ჰანგის სახელია.

მაზა – 1. თვალსაჩინო რამ, შესანიშნავი, სანუკვარი. ამბობენ: „სუფრის **მაზააო**“ – საათნოვას ლექსი. ვითომ სიკოხტავე, სუფრის დამამშვენიებელი, სუფრის სანუკვარიო (კარგი გემოიანი საჭმელი). „ხლა მუფე გამოვიდა, ბიძაშვილებს უღარბაზა, ხილზედ დასხდნენ, შოიტანეს უცხოები, ბევრი **მაზა**, ღვინოს სმიდეს მანურსა, უკეთესი რომ ეგაზა, ასრე დახვდნენ ორი მძანი მამისაგან ეანდაზა“ („ორჩლიანი“, გვ. 4, გამოც. 1853 წ.). „ანუ რაიმე ტკბილეული: **მაზა** რამ მწვანილეული, შაქარაჲა...“ „თითქოს **მაზა** რამ ყოფილიყოს“ (ნ. ავაღ, თარგ. „თავადის ქლი“, გვ. 92, 113). 2. სუფრის სიკოხტავე; სანუკვარი საჭმელი. შდრ. დ. ჩ. „...ყველგან მიღებულ სუფრის **მაზათა**“ (სათნოვა). „შენ ვით დარი დარობ, მზესთან შესადარო, ხშირად იყავ შირა და ყოველთვის **მაზა**“ (ი. ვაკელი, ლექსები, 1929 წ. გვ. 162). „გადაგიხტი, გადმოგიხტი, მოგიტანე **მაზა-მაზა**, შე ჩემანლა გოგონა, ვერე რამ გაგაღამაზა“ (ხაღზ.). „ჯეირანი აღარ ჩანდა, მათი **მაზა** სანზავი“ (ი. იმედ. „ნორჩი ლენინელი“, 1938 წ., № 55). „მშვენიერი გოჭი გახლავსთ, თქვენებურად შემწვარი სუფრის **მაზა** იქნება“ (ვ. ბარნ, „ფერად-ფერადი“, 1934 წ., გვ. 76). „გადაღმიელის (გადაღმიელი ფსევდონიმი იყო ანთიმოზ ჯუღელია – ი. გრიშ.). წერილი გამოდგა ისეთი უგემური **მაზა**“ (ი. გოგებ, „უშუტრების ამყობა“, „ივ“, 1881 წ., № VII, გვ. 109). „რაკი სოფელი ცრუა და უნდო, მე ეს ვარჩიე თქვენთვის **მაზათა**“ (ვ. სკანდ. გ. სუნდუკიანცისადმი, „საარშიყო სარკე“, 1890 წ., გვ. 5). „მაგრამ ლევანიერს თანდათან აკონდებოდა შემწვარი ინდაურები, **მაზა-მაზა** საჭმელები“ („ივ“, 1886 წ., № 32). „რომი ლამისაა წალეკოს არხსონამ და შენი მოჩმახული ძეგლები რისი **მაზაა**“ (ქ. გამს, „უკრაინის თეშიდი“, გვ. 115). „ეს უგულბეულოფილი რისი **მაზაა**?“ (ქ. გამს, „წიგნი“, 1933 წ., № 2-3, გვ. 43).

მაზალო – 1. შესანიშნავი, საინტერესო, მოწყობილი, მოხერხებული. 2. საოცარი, საკვირველი. „ვა, რა **მაზალო** რამ არის და!“ (თავუნას თხზ., 1919 წ., № 50). 3. **Забавный** (განივივის ლექსიკონი, გვ. 37). ეს სიტყვა ნახმარი აქვს ა. შანშიაშვილს („ქართ. მწერ.“, 1930 წ., № 3-4, გვ. 55). „ერთი **მაზალო** საჭმე მომივიდა“ (ს. ფაშალა, „ნიანგი“, 1936 წ., № 8). „**მაზალო** ამბავი“ (ი. გრიშ, „ნიანგი“). „რა **მაზალო** კაცი იყო ცხოვრებული ეშპეტუაშვილი,

სახრხოებლაზე რომ ავიდა" (იკ., 1890 წ., № 1). „ნისიად არავის. სამეწვრიმალღ ღუქანი ზურად და გრიგოლ ანტონოვებისა. ნაღღათ, იაფად; მოღღი ნახე რა მაზაღღო რამე! (ღ. ჯან. „ზურად ანტონოვი“, 1934 წ., გვ. 4). „მართლა, ერთი მაზაღღო რამე უნდა გითხრა“ (ი. გრიშ, იუბ. ჟურნ. „წმინდა გიორგის შუბმათრახი“, 1907 წ., № 1). „მაშ ნიკუა მოვიკვღღეთ, თუ მაზაღღო სიტყვა არ გითხრათ“. (ი. ვვღღ, 1905 წ., № 184) იხ. ჩემი სტეენა ფირუზას ფსევეღღონიმიტ (მაზაღღო ამაგი“, „ნინანგი, 1933 წ., № 3). „გინღღათ ერთი კარგი მაზაღღო რამე გითხრათ?“ (წიგნაკი „შურღღელი ივერიღღან“, 1904 წ., გვ. 27; ს. შანშ, „ქართ. მწერ.“ 1930, № 2-3, გვ. 55). „ო, ერთი ხმა მექეენება, ნახავღღი, რა მაზაღღო რამეღღ ვიტყვიღღი“. (ს. შანშ, „ქართ. მწერღღობა“, 1930 წ., № 3-4, გვ. 55).

✓ **მაზანღღა** — ნიხრი. „შეიღღლება მაზანღღამ ამაღღლებიღღს მაგიერ მაღღიან ღღიწიღღს“ (ნ. ნიკ. „მოამბე“, 1894 წ., № XII, გვ. 33).

✓ **მაზამანღღი** — „მაზამანსავით ღღამაბრუნეღღს ღღართული“. საბა თავიღღს „მოგზაურღღობაში“ ამბობს: „ერთი მაზამანური ჩოზა ეცვა, თავსაც ისეღღვ მაზამანური თხიხური ეხურა... (საბა, „მოგზაურღღობანი“, „ციციკ.“, 1852 წ., 1-4; ანტოლოგია, II, 1928 წ., გვ. 134).

✓ **მაზამანღღი** — თოკიღღს ოსტატი. ბაღღნის მქსოვეღღი. წინათ თოკეღღს და სხვა მიხსთანეღღს ბაღღნისაგან აკეთებენ. ბაღღნის თოკეღღბიღღს მკეთებელი.

✓ **მაზნიღღერი** — მაწყინარი.

✓ **მაზრავი** — დასაკარავი წყირა.

მათა — 1. ღღიღღი რამე ღღირებულიღღა. მათა რამეა! ასეთი ფირნიშიც (ვივესკაც) არიღღს. „მუღღამ ღღლე მათა რამე საჭმელი“. („ნინანგი“, 1934 წ., № 2). 2. ვინც მარაქაში (ღღექსი სიმიღღერიღღს შეჯიბრებაში) ღღამარცხღღდება, მათას უწოღღდება. ამ სიტყვაღღს ხმარობენ ღღაციღღნით: ის, რომელი ქაღღლი იყო, აკეთრიაო, შენ მათა რამე აგერჩიაო ღღა სხვა.

მათლაბა — ღღრმა თეფში.

მათრათი — 1. თიხიღღს ამოღღღრმავებული ღღა პირგაშღღიღღი ჯამი. ამ ჯამით ფურნეში ხშირად აძღღევენ ხორცს. თავას მაგიერობას ეწვევა. 2. თიხიღღს პირგანიერი ჯამი, ძრო ვიწრო აქეს. „წყენით სავსე მათრათი მეღღვა“ (ნ. აკაღღ. თარგ. „თავაღღის ქაღღი“, გვ. 245). ჩანახი, თიხიღღს პირღღია ღღიღღი ჯამი, რომღღლითაც ფურნეში ხორცს აძღღევენ.

მათრავი — „პატარა რკინიღღს კეტი“ („მნათ“, 1937 წ., № 8-9, გვ. 277).

მათუნჯიღღის ფლაღღი — იხიღღლე ახპატეღღლოვის „სამზარეულო“, გვ. 46.

მათხავი — 1. ხიღღს ან ძეღღლის გასახვერეტი იარაღი. 2. ოქრომჭეღღლების იარაღი, პატარა ჭახრაკი.

მაია —

მაიაძრათ — ნასყიღღობიღღს ფასაღღღ.

მაიანხი —

მაკვიღღლათი — 1. გონებაღღამახვიღღლი, ოხუნჯი, მოსწრებული სიტყვა-პასუხიღღს პატრონი, ქიღღიღღი. 2. ხუმარა, მოხუმარი. „ასიკო ცაგარული საშიხელი ცეღღვი მაკვიღღლათი იყო“ (ს. მგაღღ, „ჩვენი ღღრობა“, 1913 წ., № 26).

10. ი. გრიშაშვიღღი, ქაღღაქური ღღექსიკონი.

მალათიანი — ზოლ-ზოლად დაჭრილი ოქროსა და ვერცხლის თხელი პატარა სხეულები ნაჭერზე დანაქარგი. „ეს სარტყელ-გულისპირი მალათიანით ნაქარგიაო.“

მალაღი — 1. სათუთი, შეუმწიკლავი. 2. მინაზებული. იხ. ჩემი „დამიბრუნდი“.

მალაითი — 1. (სპარს.) ფასი, ღირებულება. გადასახადი ხარჯი (იხეო სეშვილი „გადასახადი“, გვ. 9). ამბობენ: რა გენანება, მაგის მალაითიც დაიქცესო. 2. ღირებულება. „ვინ იცის, ისეთი დრო დადგეს, რომ ლუკმა პურის მალაითი რა არის, ისიც კი გვენატრებოდეს“ („თვ.“, 1892 წ., № 253; ჩ. გვ. 663; ვ. ბერიძე „მაგის მალაითიც დაიქცეს“. „ამის მალაითი რა არის“ — ხშირად ამბობენ აქ.

მალლა — კალატოზების იარაღი. კედელზე წასმულ გაჯის დაუთოვება. ამ იარაღით შეიძლება კედლის შელამაზება-შესწორება. ქაფჩისებური სწორცხვირიანი თხელი კალატოზის იარაღი. კედელზე ბათქაშს ამ იარაღით უსვავენ.

მამაილა — შვილი მამის მსგავსი.

მამასისხლად — მეტად ძვირად. „თითო ლუკმას მამასისხლად აფასებს“ (ნ. აზიანი „ფული და ხარისხი“). „ტფილისში რიგიან ხილს მაინც იშვიათად იშოვის კაცი და თუ იშოვა, მამასისხლად ფასობს“ („თვ.“, 1888 წ., № 146). მ ა მ ა ს ი ს ხ ლ ა დ ფ ა ს ო ბ ს — ძვირად ფასობს.

მამლაპუნა — მამალი. „იმათა მამლაყუნამ ფრთა შემოაკრა ფრთასა (გრ. რჩეულ „ანუკა ბატონიშვილი“, 1896 წ., გვ. 57).

მამლიკი — მამალი ბატკანი. ცხვარზე იტყვიან მამლიკი, ეგვიპტურადაც ყოფილა (1866 წ., გვ. 295, „Новые заметки о древней истории Кавказа и его обитателей“).

მანა — 1. პალო, მომცრო მარგილი. 2. თავ-შემოსავლებელი ფული, რომელსაც შემდგომ ხატზე დაჰკიდებენ.

მანდილაპი — მანდილისაგან რუსული დაბოლოებით წარმოებული სიტყვა.

მანაპიანი — კაბა ან საბანი. უცხო ქვეყნის ფართლელუობა, რომლის ზოლები ქართული ანბანის მანის სახეობისა იყო, რის გამოც ხალხმა მანებიანი უწოდა.

მანაპიანი საბანი —

მანჯაროლი — ერთგვარი ჯიშის ნესვია, ძალიან ტკბილი.

მანსური — ჰანგია აღმოსავლური. საკუთრივ „ძღვეამოსილს“ ნიშნავს.

მანწული — გროში, ცოტა ფული (ს. შკალ).

მაჰარი — ვინტოკა.

მაჰია — ელაძივით მაცქერალი.

მარალი — შველი, ნუკრი, ირემი, ჯეირანი. „ას, მარალი, მარალი, ჩემგან რისთვის წახველი, ვიცი უცბად რომ მომკლავს შენი დარდი, ნაღველი“ („ყოლექტივიზაცია“, 1935 წ., № 80). „შენ ჩემი მარალი ხარ“ („არშინ მალ-ჯან“).

მარაჰა — 1. ლაშქრის დგომა. იხ. „ნამუსის“ ლექსიკონი და ჩემი „ძველი ტფილისი“, გვ. 244. 2. საჯარო კამათი, ორთა შორის პაექრობა სიმღერით



და ლექსით; თაქარლამა; ხალხის შეკრება, შეჯგუფება; აქედან: აშუღების მიერ საჯაროთ გამართული შეჯიბრება. „მარაქა შეჰკრა“ - კამათში გამოიწვია; „მარაქაში გაერია“ - ხალხში გაერია. 3. აშულთა შებმა, გაჯიბრება, გაშაირება სიმღერით. 4. ქალთა საზოგადოება.

მარახოში - ტკბილ-მომჟევეო. მარახოში. ხოში. ზარხოში.

მარიფათი - 1. ლაზათი, უნარი, ზრდილობა. „თუ იმდენად გაიწვრთნები და იმდენ მარიფათს გამოიჩენ, რომ არვინ გაივოს, აიღე ქრთამი“ (მ. ხუბუას თარგ. „ჯეჰადზადეს ნოველები“, „მნათ.“, 1935 წ., № 5, გვ. 113). „პოქეთ მერნემ მიქოიანჯან, გვედრები მხოლოდ ამას, შესს მარიფათს ვენაცვალე, სუ მოვკვალეს სმას და ჭამას“ (ლ. კაკს კულუტებიდან, ნათქვამი კრებულში 1937 წ. იანვრის 17-ს). „მარამს და წმინდა ნინოს არ ჰქონდათ სულ მარიფათად მტრებისაგან ხალხი დაეცვათ ან გაერთვათ არაქათი“ (ს. თ-ია, „მებრძოლი უღმერთო“, 1935 წ., № 23). „აბრამ მარკოვის, სუ გვერათ ცრუ ხმები... სიტყვის დარღვევა არ შემეძლო, ვიცი თქვენი მარიფათი. სადგური დელეგაციებით გაიჭვდებოდა, როლანის კატეგორიული თხოვნა იყო“ (ს. აშაღლობელი, რომენ როლანი მოსკოვში, „ახ. კომ.“, 1935 წ., № 177, 4 აგვისტო). „ნურავინ წაეტლავს გრძელიშვილს მარიფათში, გამჭრიახობა-მოხერხებაში, იგი სულ სხვა ნიჭის პატრონა“ (მ. ბურდული, „კომ.“, 1936 წ., № 323, გვ. 429). 2. შნო. („ფერად-ფერად“, ვ. ბარნ., გვ. 99). „ალექსანდრე თავის მარიფათის სიჭარბეზე ხშირად იცხვნიდა“. („ინდუსტრ. ქუთაისი“, 1938 წ., № 72, გვ. 4). 3. უნარი, ზრდილობა. 4. საკუთრივ „მერიფეთ“ ნიშნავს ცოდნას - знания („На Кавказе“, 1909 წ., № 5 გვ. 15). „მარიფათიანი პურმარილობა“ („მოამბე“, 1905 წ., № 11, გვ. 29 (შეორე განყ.). ეს სიტყვა ნახმარი აქვს არაქართულელ მწერალს რ. გვეტაძეს („ქართ. მწერ.“, 1930 წ., № 3-4, გვ. 17). „ვირს უთხრეს, შენი მარიფათი რა არის და, კუდი აიწია“ (ქალაქ-ანდაზა). 5. სიმარჯვე, მოხერხება („ივ“, 1900 წ., № 119). „შოფრება შუატყეს, რომ აქ კარგი არაფერი იქნება და მთელი მარიფათი მოიხმარეს“ (ლ. მეტრ., „კომ.“, 1928 წ., № 245). „ვენაცვალე მარიფათთან სახეში, ვინც ერთობა მოივონა“ (ი. ევლ. „ივ“, 1905 წ., № 184). „შე ასეთ რამეებში დიდი არაფერი მარიფათი მქონდა“. (დ. მ. როსტომაშვილი, „ტფილისიდან ზნაშენკამდე“, 1933 წ., გვ. 24; რ. გვეტ., მოთხ., „ქართ. მწერ.“, 1930 წ., № 2-3, გვ. 17). „ხეშში სიცილს იწვევს მისი თხრობის კილო, სახის გამომეტყველება და მარიფათი“ (რ. გვეტ., „ქართ. მწერლ.“, 1930 წ., № 3-4, გვ. 17). შნო, უნარი. „ჩამოდექით ზღვებო და ტრამალებო, წინ, წინ გასწით სულის მარიფათებო!“ („სამაისო“, ნ. ზომღეთი, „კომ.“ 1931 წ., № 100).

მარტოკანა//მარტოკინა - მარტოდმარტო.

მარძაზა - დამხმარე ძალა; მამუველი რაზმი.

მარძმობა - მარგარიტა.

მასაბბაღლი - რჯულძაღლი. „მასაბბაღლა ზარმა დიდი ტარო მოგლიჯა“ (ს. მგაღ., I, გვ. 32).

მასათი - 1. ყასბების დანის სალესავი, რომელიც წელზე უკიდიათ - დანასა ჰკავს. 2. დანების სალესავი, დანასავით ვიწრო. სალესავი ფოლადისაა, ხოლო ტყავს ჰქვიათ - თალათინი, ნატა. 3. ფოლადის ნაჭერი, რომელიც ყასაბს ქამარზე უკიდია და ხორცის ჭრის დროს ალესავს ხოლმე.

მასკლავი - ვარსკვლავი.

მასლათი - 1. უკამათო, სასიამოვნო ბაასი, სიტყვიერად შექცევა, ბჭობა.

„კარგა დიდხან დიდ არხევაში და მასლათში იყვნენ“ („აგრეზ“, 1871 წ. № III, გვ. 36). „კარგია გარჯილა და ჩემთან სამასლათოდ და დროს გასატარებლად მოსულა“ (იქვე, გვ. 38). 2. საუბარი, ბაასი.

მასმასად - იშვიათად.

მასრავი - 1. საბლოკარო ჰანგი, რომელსაც უკარვენ ცხედრის მიწათ მიბარების შემდეგ, 2. ახლად გარდაცვალებულის საფლავზე დუღუკით დაკრული ჰანგი. 3. ადმოსვლური ჰანგი სიკვდილზე უკარვენ.

მასტაპი - „...და ხანულებელი, მასტაკი და სამარხო წამალი, სახმარი თუთუბო“ („ხელმწიფის კარის გარიგება“, გვ. 9).

მასუკან - მერე, შემდეგ. „მასუკან განაგრძობს ავტორი“ („დროება“, 1885 წ. № 154).

მასხალი - 1. ოქრომჭედლების იარაღი, რომლითაც პეწს აძლევენ ვერცხლეულ ნივთებს. 2. ოქრომჭედლების იარაღის სახელია. „ოქროს უნდა აწ მასხალი საფერი, გახალსდეს, გახდეს ნაკთ-საფერი“ (დ. გვიფილი).

მასხარა - ძირია ყველა ენებზე ცნობილ სიტყვის მასკარადისა. „ტაკ“ სომხურად „ქვეშ“ ნიშნავს და მასხარა ხომ მასხარაა, ე. ი. ჯამბაზი რომ ბაწარზე თამაშობს, იმის ქვეშ მომასხრეს მის თანაშემწეს უწოდებენ ტაკიმასხარას. ან ჯამბაზის შემდეგ რომ გამოვა ცირკში სხვა ოხუნჯი, იმას ტაკიმასხარას უწოდებენ, ვითომ შენ იმ ჯამბაზის ქვეშა სდგებარო, იმისავეთ ბაწარზე არა ხელოვნებო.

მაბანაი - მეტი სახელის გამოშვანი: ხუმარა, ოხუნჯი, ქილიკა, მახვილაკი.

მაბარი - 1. მეტიჩარა, მაჭატა, არამკითხე. 2. ენამასწარა. (საბა: მატაროცი - უთქმელის წარმომთქმელი). „ცოტა არ იყოს ანგლოს, მატაროცობს“ („სალიტ. გაზ.“, 1932 წ. № 4, მ. გორკის წერ. კამოზე).

მაბია - 1. ანუ მარტია, თუთიყუშის მსგავსი ფრინველია. გალიაში ჰყავთ. „ჩემის ახრით ქმის ყოლას, მარტიას ყოლა სჯობია...“ („იგ.“, 1893 წ. № 3). 2. ჩხიკვი (?). ტრია (გურულად). ტრია ფსევდ. იყო ვლასი მგელაძისა (ლენინის წერ. გორკისადმი (რუსული წიგნი), 1933 წ. გვ. 47). 3. ანუ მათიკო, კაჭკაჭი;

მაბიძალა - ბალახია ერთგვარი, რომელსაც შინაურ ფრინველს (ინდაურს, ქათამს, ბატს) აჭმევენ. „ეს ადგილი ზოფხულობით შეიშოსება მოლით და მჭიტელათი“. (ს. მგაღ., I გვ. 151; რ. ერისთ. გვ. 35).

მაბარაკეცა - თასაკრავის თასაკრავი, ე. ი. თასაკრავზე დამატებული იმავე ნაჭრის თასაკრავი, ოღონდ ვიწრო. „თავის დღეში არ იგულისხმით, ვითომ მე ყოველ გამწულ-გამომწულ მატარაკეცას ჩემს გულისნადებს ხელის გულზედ ვუშლიდე მოედანზედ საბურთოდ“ (ილიას კერძო წერ., 1887 წ. 9 ივლ.).

მაბური - 1. ძეგლი სასაფლაოზე. „გადაწყდა, ის ფული, რომლითაც გვირგვინები უნდა შეისყიდონ, გადაიდოს ცაგარლის საფლავზე მატურის დასადგმელად“ („იგ.“, 1902 წ. № 172). დ. ჩ. ამბობს: სასაფლაო, „გალავანიო“, არ არის სწორი (გვ. 671). „პო, შენა

ლხენამ, მატურს დაკადგამენ" (ს. შვალ. I, გვ. 207). საფლავის ძეგლი. „მამანები მეტყობდა ხოლმე: მამა გიციხონდა, როცა მოკვდები, თითოთ სამარე არ გამოთხარო და ოქროს მატური არ დამადგა" (მ. ბერძენ. ნააბობი, 1932 წ., 14 (XII). 2. სომხ. სიტყვაა: პატარა ეკლესია რომელიმე საფლავზე.

მატჩი-მალაჩი — (სოკ., 1888 წ., № 192, ილიას ფულეც) „ეს უხეირო ჯამაში თავისი მატჩი-მალაყებს ასე ურცხვად გაღადის“. ასიკოს აქვს მიჭკამალაყი.

მაქანა — 1. გამოსადეგი. „აბა რის მაქანა ვართ“ (გ. ბაშინჯ, „ახირებული მასპინძელი“, „სახ. საქმე“, 1920 წ., № 1009). 2. მაქნისი, ვარგისი. ამბობენ: თუ არ იმუშავებ, მაშ რის მაქანა ხარ, რომ მოსულხარო. ვითომ რის მაქნისი ხარ, რა საჭიროვო. რის მაქანაა-რის მაქნისია, ე. ი. რა გამოსადეგია. „გვემა თუ არა გაქვს, ხარ რის მაქანა“ (ყურნ. „შოლტი“, 1931 წ., № 27, გვ. 2). „ერთი მითხარით, თუ რის მაქანეები ხართ?“ (ნ. აზიანი, „ფული და ხარისხი“, I შოქ).

მადარიჩი — არაბ. ხარჩი, ე. ი. ხარჯი გაილე.

მადღანისი — ძალღანოზი.

მადღანოზი — სანელებელი მცენარე მწვანელი, ოხრახუში (იმერ.).

მადრანო — სპარ. მფრინავი თაგვი (?)

მადულ-მადარი — აშულ ყარაბის სატრფოს სახელი.

მაყალი —

მაყაში — 1. მაყაში იყო ერთგვარი მაკრატელი, რომლითაც ქონის სანთელს „ცხვირს ჰხოცდნენ“. 2. მაკრატელი, რომლითაც ქონის სანთელს წამწვარ თავს სჭრიან, „ცხვირს მოხოცვენ“ (ძველებური გამოთქმა).

მაშალი — „პერსიდსკიე სკაზი“ (აკად. გვ. 427).

✓ **მაშალლახ** — დიდება ალახს. „...მაშალლახ!“ იძახდნენ მუსულმანები“ (სოკ., 1891 წ., № 133). ქების შესხმა.

✓ **მაშარაში** — (ნარ-შარაბ) ბროწეულის წვენი. სპარ. „ნარ“ ბროწეულს ნიშნავს და „შარაბ“ წვენს.

✓ **მაშია** — ძალაყელიანი წულა (ფეხსაცმელი).

✓ **მაშარაბაზი** — მოხეტიალე მსახიობნი.

მაჩანჩალა — „მაჩანჩალა-ზედმეტი“ (თ. რაზიკ, „ივ“, 1900 წ., № 133).

მაჩაძათილა — ღამურა.

მაძაძარა — მოუსვენარი, ყველაფერს რომ ეტანება.

მაძინე — შიკრიკი (ვაჟს ლექსი ამ სათაურით, „ივ“, 1886 წ., № 198).

მაწანწარა/მაწანწორა — მაწანწალა (ანუ მაწუნწარა) უვარგისი, ბოგანო, ცული კაცი.

✓ **მაწანწორი** — ტილო ქვევრის ამოსაწმენდი. (აქვს დ. ჩ-ს).

მაწიერი — 1. ანუ მაწივრობა. ყუათიანი. „პაი-პაი მცენარის რქე ისეთივე შემგროა და მაწიერი, როგორც საუკეთესო ძროხის რქე“ (დ. აღნ. „ჯეჯილი“, 1898 წ., № 5, გვ. 55). ჩვენი კება ჯვეტარიანულს ჰგავდა, იმ განსხვავებით, რომ ჩვენს კერძს აკლდა მისი მაწიერობა, ნოყიერება, ცხიმი“ (დ. თურღ, „ეპიზოდები ახალგაზრდათ ცხოვრებიდან“, 1933 წ., გვ. 5). 2. სინოყიერი. „ამ პურს მაწივრობა არა აქვს“. „ის ყველი კარგია, მაგრამ ამას უფრო მეტი

მაწიერობა აქვს". გაუკვებ ჯიქანს ფურ-კამეხს, სახლში გაგ ზავნი რძიანსა, ღონივრად დაამაწიერებ ყველა რქიანს და ურქოსა" (მ. მღვ., I ტ., გვ. 39).

მაჭაბაბა — მატრაკვეცა. იხ. მატაოცი. „ღამაში მაჭაბა გოვონა ამ სტუმრების ნებიერი და საყვარელი სათამაშო იყო" (ნ. ღომ., მოთხ., გვ. 259; ლ. მეტრ. წიგნი „ჯაგანი", გვ. 171).

მაჭაბაბი — ბლინი.

მახალაპი — ხავსე რუმბის დასამაგრებელი.

მახაღლაპი — 1. ღაპარაკში რომ კილოს გამოადამენ, ხუშარა, კვინწარი, დასავლეთ საქართველოში „მაღვალაკი". მახვილაკი — მე მაქვს ა. ცაგარელში. „მხვილაკი ქაიხოსრო" ამ სათაურით ბ. ახოსპირელს მოთხრობაც აქვს („ნაკად.", 1913 წ., № 19). 2. ხუშარა. „გარდაიცვალა საფრანგეთის მწერალი ადრიან ლეკერსელი, რომელიც მეტად მახვილაკი და ოხუნჯი თანამშრომელი იყო „ფიგაროსი" („ივ.", 1892 წ., № 189).

✓ **მახლას** — 1. გადაწვევტა. იხ. ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 67. 2. ეს სიტყვა პირველად ლიტერატურაში გამოიტანა ი. ევლანშივილმა, რომელმაც ამ სათაურით დაწერა ფელეტონი („ივ.", 1853 წ., № 21). ამ სიტყვას მხოლოდ ტფილისში გაიგონებთ. არაბ. „მალას" — ნიშნავს გადაწვევტას (ფარს. გორგიჯ. ლექსიკონი, გვ. 67). „და სხვადასხვა" (არაბულია).

მახმური — ხავერდი. „გაიხარე, თან იქეიფე, ჩიცვი მახმური და ხარა, ერთი გულშიც ჩამხედეთ, კეკელამ გაიხარა?" (ხალხ.). „პირ-მახმური ხავსი, შენი მზგავსი არსად იქნება" (პაზირა).

✓ **მახონი** — 1. ქილაში ჩაჰყრიან ქატოს, ჩააგდებენ ცომს, დარჩება ორი კვირა, ამოიღებენ, გაიწურება, უზამენ მწვან. ისპანახს, ქინძს, ზეთს, ნიორს, მოადულებენ. დიდმარხვაში კერძია, საჭმელი. შეჭამანდი — ასე კეთდება: ჯერ პურის ხაშს გასთქვეფავენ წყალში, ამ წყალს დაასხამენ ქატოს, რომელიც ერთ ჭურჭელში იქნება მოგროვილი, მერე ჩაასხამენ ქებაში, ისე დასტოვებენ ცოტა ხანს, მერე გასწურავენ, აადულებენ, თუ მჟავა ძალიან, წყალს მიუმატებენ. თუ სქელია, შეათხელებენ. ვის როგორ ეამება. ქატოს ჩაჰყრიან წყალში და დაამჟავებენ. შემდეგ გასწურავენ, ქატოს გამონაწურს მოადულებენ, შიგ დანაყილ ნიგოზს, მწვანილს და ნიორს ჩაჰყრიან; დიდმარხვის საჭმელია. „უნდა სჭამოთ კარგი კმეჩის ზორცი, კარგი ღორის ზორცი, კარგი პოლანდიის ყველი, ფაფა, ფლავი, წაბლი, შაქრის პური და მახონი, რათა შეწებდეს და მოსქედდეს სისხლი თქვენი" (ივ. მაჩაბ., თარგ. მოლიერი, „ეკვით ავადმყოფი", გვ. 64, „ივ.", 1879 წ., № 5-6). „მითომ უნდოდა ჩემგანაც მიეღო ტბილი პასუხი, მაგრამ მის მაგივრად მე მოკუდულე მახუნი" (ბაჩ. ლექსები და პოემები, 1938 წ., გვ. 378). „მანდ ქართველები ისე უებნებიან ერთმანეთს „გამარჯვებო", თითქოს კითხავდნენ: რა სჭამე ღღეს — მახუნი თუ ღო?" (კვაჭ. „თ. და ც.", 1916 წ., № 20). არსებობს ერთი არაკი: ტერტერა მახონს აქებდა, მოლა — ფლავს. სომეხნი ჯიუტობდა და არ უთმობდა. ბოლოს სპარსელმა უთხრა: კარგი, ეს ბრინჯი ქატოში გაიბარე, მაგრამ ამ ერბოსი მაინც აღარ გრცხვენიაო? „ქატოს შეჭამადი, მჟავე" — ასე აქვს დ. ჩ-ს. ეს არ არის სწორი ახსნა. აი,

რატომ არის მუავე და როდის ჭამენ: მახოხი...¹ 2. მღვრიეს სინონიმად ხმარობდნენ. „ბაქოში მილი გამართეს და ვითომ ზღვის წყალს სწუნდავენ, ნამდვილად კი მილში წყლის მაგივრად მახოხი მოდის“ (აივ., 1893 წ., № 171). „შენ განა კაცი ხარ და ქული გხურავს? შენ სისხლის მაგიერ მახოხი გიდგას ძარღვებში“ (მოპასანი, „რენარის მორეკი“, გრ. ყიფში. თარგ. აივ., 1887 წ., № 218; ლ. შეტრ. ანდაზები, გვ. 48). იხ. დ. ჩ.

მაჯაპა — ომონიმები; ორი სიტყვა, რომელიც ერთგვარად ისმის, ხოლო აზრით სხვადასხვაა. მაგ., „ღმართ-ღმართ მივდიოდი მე ნ ე ლ ა, სერზედ შევეგე, ჭმუნვისალი მე ნ ე ლ ა“ (აკაკი). „თუმცაკაკი ბევრს ჩხუბობდა, და ო ბ ღ ა, მაგრამ მაინც ძველი სიტყვა დაობდა“ (გრიშ). „მაჯაპების“ საერთოდ გასაცნობად იხ. „საათნოვაში“ ნახსენები წყაროები (გვ. 73, სხოლიო).

მაჯაპა — სამურაბე ლარნაკი, ვაზა.

მაჯუმი — წამალია ერთგვარი, ძილის მიმცემი, მოხუცთათვის ასაღელვებელი.

მაჯუნი — მურაბა, ღონის მომცემი.

მაპანა — მიზეზი, საბაბი, გამოისობით. „მაპანა სიყვარული იყო, კარგი მზითევი კი გაიკრა“.

მაპური — თარის ჰანგია.

✓ **მდაღა** — პატარძლის მამარი.

მედასტურა — თანხმობის მიმცემი, დამადასტურებელი.

მედუხაბი — „ავაზას ყურადღება არ მიუქცევია ბიჭისთვის და მთელუნია ბიჭისთვის“ (აივ., 1887 წ., № 188).

✓ **მეზარნიშა** — ჩემი მამათილის პაპ პირველი მეზარნიშე ყოფილა (აივ., 1877 წ., № 4, გვ. 15).

მეთანაღრება — „გული როგორღაც მეთანაღრება“ (სოტელი, ივ. შაჩბ. თარგ. გვ. 83, 1888 წ.) „ასეთი დამოუკიდებელი ცხოვრება იმისი ძლიერ მეთანაღრებოდა“ (აივ., 1892 წ., № 86).

✓ **მეთულუხა** — „(...სალამის დროს) მართალია, ხანდახან ფუნწულა ხელის ხელში ჩადება სასიამოვნოა, მაგრამ ეს იშვიათია და უფრო ხშირად გასვრილ-გატალახიანებულ ხელს გკანჩებენ ხოლმე ხელში და რა სასიამოვნოა, უნდა მეთულუხე უკან დაგდევდეს, რომ წამდაუნუმ ხელი იბანო, თორემ ხომ გაუნწინდურდი?“ (აკაკი, აივ., 1883 წ., № 209).

მეიხანა//მეიხანი — სამიკიტირო.

მეიხანაჭაბა — შეინტერესება. მიაძებე.²

მეილთუშ — მაგრამ, ხოლო, ვითომ.

✓ **მეითპარი** — მთვარეული.

მეიშუტრაბა — შეემუშტრა და სხვ.

მეიშერი — მომღერალი.

მენანიკი — იმენინიკ (როგორც რიკრიკა — ვიკროიკა), სახნიობა, შედღეობა. „წელსა ჩემი (1817) აღუქსანდრე ჭაჭვაპაის ასულს ნინას მენნიკის დღეს მიუძღვანე იამბიკო ესე დიმიტრი თუმანოვან“ (საქ. ცენტ. არხივი, № 495, გვ. 11; ძვ. ლექსიკა, გვ. 246). „ვილოცათ

¹ აქ წყდება — რ. კ.

² ასეა — რ. კ.

მენენის“ (ტრ. რამიშვილი, „მონადირე ქალები“, „მნათ“, 1937 წ., № 5-6, გვ. 91).

მეპიტანავება — „მის ცარიელი ხელი რაში მეპიტანავება“ (ილია, „მაჭანკალი“).

- ✓ **მერდინი** — 1. წმინდა ქსოვილი, ქალაღია. „ქედ-ჯეცით, ყელზედ ჩით-მერდინითა, რა ქვექვით გაგისწევ ორთაჭლისკენ“ (ტრ. ორბ.). 2. საცერია, ფქვილის გასამტეციცად; ჯერ 1. მერდინი (წმინდა საცერი ძუასგანაც შეიძლება). 2. ცხრილი. 3. ცხავე (ამ ორ უკანასკნელს ტკეჩისაგან აკეთებენ. (ტკეჩი არის კაპრის ხის ან თხილის ხის ანაგლეჯი — ანატკეჩი ტყავი). ჩვენს ეტლს ამშვენებდა ლაქია სოლომონა აზარფემით ხელში, ყელზე მერდინობრვეული“ (ელ. ყაზბ. მეშუარები. „მნათ“, 1924 წ., № 5, გვ. 315). იხ. „ჩით-მერდინი“. „უკან კარი კიდევ გაიღო და ღუქნის პატრონი შემოუღწვა მორთულ-მოკაზმულს ოსის დედაკაცს, რომელსაც პირისახეზედ ჩამოუფარებინა მერდინი“ (ა. ყაზბ., „მამის მკვლელი“, „ცნ. ფ.“, პრემია, გვ. 228). „მოიგლიჯა მერდინი და კაცებს ჩუგლო შუაში“ (იქვე, გვ. 242).

მეძუჩაება — ტურს მიკრავს, მებუტება.

მეშაპირულიება — მეეჭვება. არა მჯერა. „არა, მძავ, მე როგორღაც მეუპირულება, ერთი ბეწვა ცალებია და აძღენს კი იწონის“ (მელან, „ნაგარდობა“, „მოამბე“, 1899 წ., № VIII, გვ. 39).

- ✓ **მეფიონი** — ნეფის ხალხი, მაყრიონი, სიძიანი (ილია, „მაჭანკალი“, მერვე მოქ.).
მეჩაღანანი —

- ✓ **მეჩი** — ცხვრის ტყავი, მიშინი (სპარ.).

მეჩანღლა — მეთევზე.

მეჩაქება — „არ მეჩემება“, ე. ი. ჩემად ვერ ვხვდი, ჩემი არ არის, ჩემებურს არა ჰგავს.

- ✓ **მეწვრილმანა** — ძველად არ ნიშნავდა მოხეტიალე ვაჭარს. ეს მეწვრილმანეები იყვნენ შეითან ბაზარში (ვორონცოვის ქუჩა, თათრ. მოედანთან), სადაც სხვათა შორის იყიდებოდა ყოველგვარი სამკურნალო წამლეულობა; ძველად აფთიაქის მოვალეობას ეს მეწვრილმანეები ასრულებდნენ (აქ იყიდებოდა ტავზი, არიაქა¹ და სხვა).

მზრალა — მზრალშაქარა, შაქარლამა.

მთაპარი ცნება ღამეპარაბა — ე. ი. „გონება დამეკარგაო“.

მთინთლავს — მიყვავებს, თავს მიქონავს, მაბრიყვებს, მეფერება, პირში მაქებს. ამბობენ: ის კაცი მთინთლავს, რა არის, იმაზედ კარგი ვსთქვაო, ე. ი. მეფერებაო. **მთინთვლა** — ლიქვნა.

მიბაღლაჯუხეაბს — მიღის და მიაქვს ყველაფერი, წინ არ იხედება, ყველაფერს ეხლება.

მიბაოსა — მიბატმასნა, მიაკრა, მიუმატა.

მიამიტი/მიამიტი — გულუბრვეილო. „თავიდან ვიშორებ იმ წარსულ მიამიტს“ (ნ. ზომლეთ. „სოფლის სიახლე“, „მნათ“, 1929 წ., № 4, გვ. 1). ანუ მეამიტი. მეამიტი ნახმარი აქვს ვ. ბარნოვს, „უკარდფანჯები“, გვ. 49. „არც მალავდა თავის უხეიობას, ესე მეამიტად გვიამბობდა თავისგან ნაღენილ ავაზაკობას“ (ვ. ბარნ., „პროფესორი“, თ. 1; „ღლიონის

¹ ასეა — რ. კ.

კრებ., გვ. 231). „-ნორჩი ვარ! - და მიაშიტი ყოფილხარ, წადით, გამშორდით“ („ცნ. ფურც.“, სურ. დამ., 1901 წ., № 4). „მტრედევით უგუნური“ (გლეხური თქმა). ხალხურად მ ე ა მ ი - ტი (ეს სიტყვა არცერთ ლექსიკონში არ არის). გ უ ლ უ ბ რ ყ ვ ი ლ ო ჩვენს მწერლობაში გავრცელებულია. „არსებობს თუ არა დეადმიწის ზურგზე ისეთი შუამიტი ადამიანი“ (გ. ქიქ. თარგ. ბალზაქის „შაგრუნის ტყავი“, 1932 წ., გვ. 42 და 59). „სღვანან კლდეები შუამიტები“ (გ. გაბლიანი, „პეტრ სევანდამი“, „დროშა“, 1932 წ., № 18-19). „მაცდურმა სიყვარულმა ტვინი და გული მოუწამლა და მის შუამიტ გონებაში ცხოვრება გადაიშალა, როგორც დასაწყისი ჯადოსნური ზღაპრისა“ (არ. ჯაჯანი. თარგ. „გამოკეტულ ოთახში“, 1938 წ., გვ. 90). საბას და დ. ჩ.-ს არა აქვთ ეს სიტყვა. „მოღენი შუამიტობა - ეგზომ ნათელი გონების გვერდით...“ („ახალგაზრდა ვერტერის ენებანი“, თარგ. კ. გამს., 1928 წ., გვ. 23). „შუამიტმა ურნალისტმა, როგორც ჩანს, არ იცოდა“ (გ. კოტეტი, „ქართ. ლიტ. ისტ.“ II, გვ. 26). „რას ემართლები საწყალს, თავისთვის ალალ-შუამიტად, კრიალონის ჩხარა-ჩხურით დავითნა ჰკითხულობს“ (გ. სუნდ., „დაქვეყნო ოჯახი“) ეს სიტყვა არ ესმით ლინსიქითელებს: კრიტიკოსი ხომღელი (რომანოზ ფანცხვა) სწერდა ვ. ბარნოვის მოთხრობის გარჩევის დროს: „ზეთი, შუამიტი და ბელვა სრულებით არ მესმისო“ (ფურნ. „ერობა“, 1920 წ., № 10). „ამ საკვირველი არსების ორმაგობა, ბავშური შუამიტობა“ (ა. ჭუჭუბ. რომ. „თეთრი ლამუები“).

მიბინარდა - „ქალმა თვალები მილულა ისევ და მიბინარდა“ (რ. ფაველ, „მოამბე“, 1895 წ., № XII, გვ. 5).

მიბლბტილი - ამბობენ: თვალებშიბლბტილიო!

მიბულული - დახურული, მიხურული (აღ. ორბ.) „ამ სახლს ზოგი ფანჯარა მიგულული ჰქონდა“ (ი. ქერხული, „მუსიკა“, 1930 წ., გვ. 32).

მიდვაბა - მუყაითი, საქმეზე თავგადამკვდარი. მიდვება ლაპარაკი.

მიხსირაბა - მიდის, შეიძლება თავისდაუნებურადაც.

მიზანდარი - ინჟინერი.

მიზრაფი - 1. თარის დასაკრელი. წკირა. რქის ძვლისაგან განაკეთები, მიზრაფი რქისაგან, ალუბლის ხისაგან გაკეთებული პატარა ფირფიტა, რომლითაც თარს უკრავენ. მიზრაფი ხანდახან სპილენძისაგან კეთდება. ზოგიერთ შეძლებულს ოქროს მიზრაფი აქვს დასაკრავად. მიზრაფი რომ ადვილად იყოს ხელში დასაჭერად, აკრავენ ცვილს. 2. ძველად სამხედრო იარაღი იყო: თავკომბალა დასარტყმელი ჯოხი (მზრად); ესლა მიზრაფი თარის დასაკრავი წკირაა - რქის ძვლისაგან გაკეთებული პატარა ფირფიტა; მიზრაფი რომ ხელში ადვილად იყოს დასაჭერი, წმინდა სანთელს აკრავენ. მიზრაფით თარს უკრავენ, ხოლო ჩონგურის დასაკრავ წკირას თ ა ზ ა ნ ა ეწოდება, თ ა ზ ა ნ ა ალუბლის ხის ქერქისაგან კეთდება. თარისთვის: ყუხი, ჩანახი, ჯაირა, ყურია, ფადა (საიათნოვა გვ. 73).

მითელი - ლეიბის შავი პირი, რომელშიც მატყლია ჩაყრილი. „ჩრდილის ქარი იყო მითელი, მაგრამ ნათელი, გორავდა ყვითელ ფოთლის მითელი და კამათელი“. (გ. ტაბ., „მნათ.“, 1924 წ., № 5, გვ. 11).

მითილი - 1. შეუგნებელი, უქნარა. 2. ოხერი (?) „აღბათ ფული უფრო ძვირი

ყოფილა ბრილიანტზედ, რა მითილი დრო შეიქმნა და!" (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ., № 8).

✓ **მიანაპეპული** — მისუსტებული.

მიარუსფიფილაპული — „მიკრუხწიწილებული ქალაქი“, ე. ი. შემჭიდროვებული.

მილათი — თემი, ერი. „თუ არ გველოდნენ იმერლები ჩვენს იმედათა, არ წავხდებოდით ასე ძრიელ, მეტისმეტათა, შეფუ ირაკლი სხვა მილეთსა შეპკრებდა მზათა“ (სტ. ფერსანე-ლექსი, „აკალი“, 1895 წ., № 39). აქვეს დ. ჩ.-ს, გვ. 735. (მ. ჯავახ., „ცხრა ქალწული“, „მნათ“, 1935 წ., № 7-8, გვ. 65).

მ/მ/ლთონი¹ — ნეპრე, უშნო. „ეე, რა მილთონი ვინმე ხარ!“

მიმიფანიერაბია — შემეფარებია. მიაფანიერა („იფ.“, 1891 წ., № 16, გვ. 2, სვ. 3). „ბევრი ქალი მყოლია და მიმიფანიერებია, ალაგზე მიმიფანია“ (ს. შგალ., I, გვ. 191).

მიმრო — რიოში მარგალიტი.

მიწარაპული — 1. მინდობილი, დამოკიდებული. 2. ოხრად მიტოვებული.

მიწანძარი — არის შელოცვაც და არის კბილში ძვირფასი ქვაც.

მიწარათი — მეჩეთის თავი. კოშკივით ადგილია, საიდანაც მოლა აზანს იძლევა, რომ ხალხს შეიკრიბოს სამლოცველოთ მეჩეთში (მინარეთი არაბ. სიტყვაა).

მიწასი — პაციენტი. „ვინც ოცდათერთმეტ ყურძნის მარცვალს დილით უხმოზედ შესჭამს, თავისდღეში ექიმის მიწასი არ გახლეს და არც ისეთი ავადყოფობა შეხვდეს, რომ ექიმი დასჭირდეს“ (კარაბაღინიდან, ჩამაწერინა ვლ. ცაგარ.).

✓ **მიწაპი** — ათასის თავი.

✓ **მისამარ** — სიტყვის დამაკავშირებელია, ცალკე არ ითქმის. წინადადების მასალაა. „მისამარ, შენთვის იყავ“ — დარჩი შენი თავის ამარა, შენ ქერქში დაეგდე და სხე. „მისამარ, ჩხარა შემოიტანე თხოვნა, თორემ ფიცხლავ მოვხდენ კრებას და დაგითხოვთ“ (ლალიშ. საჭმე, „იფ.“, 1886 წ., № 130). ამბობენ: „მისამარ, შენთვის ეგდე, თორემ...“ ლიტერატურაში არის: „შენ ეი, ცეცო, მისამარას თავში ნუ იწვევ, თორემა...“ (ს. შგალ., I, გვ. 98). თედო სახოკიას შეცდომით აქვეს ახსნილი. ვ. ბარნ., იხ. „ფერად-ფერადი“, გვ. 518. „ზელი არ ახლო, მისამარ, ამ ჩემს ყვინჩილა მამალსა“ (შ. მღვ. I ტ. გვ. 181).

მისამართი — „ელისაბედი შუახნის დედაკაცია. მკითხავია, გაჭირვებისას ექიმიცა და ყველას მისამართი“ (ს. შგალ., I, გვ. 131). „ღამეს და დღეს ვასწორებთ, ვხნავთ და ვთესავთ — ეს არის ჩვენი მისამართი“ (ს. შგალ., I, გვ. 73). „ხალხმა შეიყვარა სულით და გულით ვასილი; ხალხისათვის ვასილის მეტი არავინ იყო მისამართი“ (იქვე, გვ. 120).

✓ **მისთარჯაპს** — მიძკერძავს. „დააკანს რომ ღვინო მოსწყურდება, მღვდელს მისთარჯავს, შემდეგ ჯერი ჩემზედ მოდგებაო“. (ანდაზა).

✓ **მისხითი** — შთამომავლობა, ოჯახობა (ამბობენ: იმ კაცს მისხით-მისხით

¹ ასე — რ. კ.

ვიცნობო. ან: კაცო, რა ცნობისმოყვარე ხარ, ახლა თუ მისხით-მისხით არ შეიტყე ეს ამბავი, არ იქნებაო ...

მიტმასნება — მიმატება, მიკერება.

მიუსხალაპა — ხალით ხე დაბერტყა (ხალა ხეთა საბერტყი ჯონი) „მსხლის ხესთან მიიჭრა, მიუსხალა და მიუსხალა კომბალი, მსხალი ხრიალით ჩამოცვიდა ძირს“ (ს. შკალა, 1, გვ. 89).

მიფანიერება//მიფანიერაბული — მიფუჩეჩებული. „ამ პიესის წარმოსადგენად არც შრომა დეხარჯა რეჟისორს და არც გულის ყური, ისე თათარიხანად იყო ყოველივე მიფანიერებულ-მოფანიერებული“ (აფ., 1891 წ., № 24).

✓ **მიფუტანდილ-მიფუტანდილი** — მიყრილი-მოყრილი, აქოთებული (ამ სიტყვას ქართლურის გაგებით ეხმარობ). „ჩემს ამხანავს მიელაგებინა მიფუტანდილ-მიფუტანდილი ბინა“ (გ. ბარნ, თარგ., აფ., 1886 წ., № 134).

მიძარკა — ზედმეტი ლაპარაკი, გადამლაშებული, წრესგადასული. „მიუქარავს მუქარავ გიორგისაო, ტიკი მივე მოსაკუპრად თხისაო, აუღია, მოუცია სხვისაო, მიუქარავს მუქარავ გიორგისაო!“ (ქალაქ ხალხუ ლექსი, გადმოცა ალ. ფერმანგიშვილმა). „არწივმა კოღალა გაათავისუფლა და უთხრა: ვე მიქარვა მიპატებია“ (ვაფა, „წიკვთა ქორწილი“).

მიღვა — იქით.

მიფუჭული — მიკრული.

✓ **მიჩლახუნობა** — კოჭლზე იტყვიან.

მიჩხიჭური — ჰანგია ღუღუკზე.

მიწაფშვარა — „ფეხების წყლულს, მიწაფშვარას, დაშაშვარას, ეკალ-უკალში კენჭების ხეწას გლეხი არ უტყდება“ (აღაძის მუხრე ცეცო“).

მიჭვრიტიხა — სარკე.

მიჭამაძლახი — „აზარფეშები ართურმას (იხ.) და მიჭკამაძლახს გადადიან“ (აფ., 1888 წ., № 87). „გამიშვი, ერთი ისეთი დავადო, რომ სამჯერ მიჭკამაძლახი გადაიროს“ (ა. ცაგარა, „რაც ვინახავს, ვეღარ ნახავ“). სათამაშო გასართობი: ირიბათ ყირაყირა გადასვლა, სარტალ-მარტალი.

მიჭუჭული —

მიკდართა ფხა — მზის ჩასვლის დროს რომ გარემოს უნაბის ფერი მოყვითანო ნათელი დაადგება (ჩემი ლექსები „უნაბისფერი საღამო“, ტ. II).

✓ **მიპარაპი** — ტიკის.

მლთონი — კერპთაყვანისმცემელი, სხვა ქვეყნელი. ამბობენ: არ ვიცი, რა მლთონის კაციო.

მოამაზრება — ამბობენ: ეს ქალი რატომ ასე მოამაზრებს წარბებსო.

მონარუშა — ნარუქი.

✓ **მოანანაპა** — 1. გაასწორა, გაავაკა. 2. მოასუფთავა. „ადგილი მოაშანდაკა“. „ოჯახი მოაშანდაკა“.

მოგოშაბული —

მოვაჟამიერა — „ძლივს მოვაჟამიერე იქაურობა“.

✓ **მოვი** — აბრეშუმის ქსოვილია, რომელსაც მეტწილად საპერანგედ



ხმარობდნენ. ალისფერი ბატისტი. ხალხური ლექსი ამბობს: „წითელი მოვის პერანგო... ან: „მე იმერეთში მაგალი, ქალი მინახავს მრავალი, ჩაცმული და დახურული, მოვის პერანგით ნაკალი“. „გაშალა ბოხნა და გადმოუწყო საპერანგე მოვები“ (ს. ი. შუჯღან, I თავი).
მოვი – ქალის წითელი შარვალი (ლიტ. სახელმ., გვ. 289, 1931 წ.). უეჭველად საპერანგედაც იხმარებოდა. „აცვია ზიფთანი პერანგი, მოვი“ (ლექსი ბატონიშვილ დავითისა, აგ., 1879 წ. № 7-8, გვ. 185) იხ. „ძვ. ტფილისის ბოჰემა“ (ჩემი ვგზემპლიარი).
მოვუსპი – მოკეურცხლე.

მოფუფული – მობუზული, მოკაკული, ქედდრეკილი, დახრილი.
მოთალი – განსაკუთრებულად მომზადებული ყველი, რომელიც ინახება ცხვრის გულში.

მოთინთვლა – მლიქვნელობა, სიცბიერე. „ჩემი დროც ეხლას, თუ მოვთინთვამ ეხლა“ (რ. ერისთ., „მბრუნავი სტოლები“, „ცისკ.“, 1868 წ. № 11, ნოემბ., გვ. 35).

მოთარშა – მოარჯულე, დააწყნარე. „წადი და მოთარშე ეგენი“ („ლაღატი“, თარგ. გრ. ყიფში, გვ. 50).

მოთიპაზა – გრ. ორბ. წერ., ტ. II, გვ. 113. აქ რედაქტორს შეუცვლია – მოიკაზმა.

მოთიფლვა/მოთიფლვა – მოღვება, მოსწყვდა, მოირღვა, მოსქდა. „ღრანტის ნაპირიდან მოიზღვლა თოვლი“ („მოამბე“, 1896 წ. № 1, გვ. 20). „ფოტორი მოთიფლვა და ტყლაპანი მოვიღე“ (ს. შავლა, ტ. I, გვ. 64).

მოთინარიკლა – 1. მოიდნო, ამოიჭამა. 2. მოინელა. „ამ არასაკადრისმა, პირშაფმა საქციელმა კიდევ ერთი სულდგმული მოიდნო და მოინარიკლა“ („ივ“, 1889 წ. № 242, გვ. 2). „სინობილით და ჭენაობით ისე მოთინარიკლებუნ...“ (მ. მღვ., „ჰიაკოკონა“).

მოთიპაპლა – „გული მოიქაგლა“ – გული მოიჯერა.

მოთიპანა – მოკრიფა. პურს რომ ცოტას მოფხენიან.

მოთიპიშვა – („კრებ.“, 1871 წ. № III, გვ. 15).

მოლაობა – თვალთმაქცობა.

მოლაიშილი – მოშუებული. იხ. ბოში.

მოლოპილი/მოლოპილი – 1. გარყვნილი, გაქსუებული, გამოცდილი. 2. მლიქვნელი. 3. გაქნილი, ორჭოფი. „ეს კანონიერი ყაჩაღი პირმოციანარი, კმაყოფილებით და არხეინად სტკებოდა უკანონო ყაჩაღების ჩამორჩობით და ერთს წამსაც არ გაუვლია იმის ურცხვს, მოლოკვილს პირისახეზედ აზრს სინანულისას“ (ეკ. გაბ., „სარჩობელაზედ“, აგ., 1892 წ. № 106). სიტყვიდან „აილოკა“. 4. უსირცხვილო. იხ. ლირფი. ამბობენ: ეს ადამიანი რა მოლოკვილი და გარეცხილია, ნეტავ დაბახანაში ხომ არ გაურეცხიათო.

მოლოპალვა – ცოტა ენამოჩლუნგებით მოლაპარაკე.

მოლოპული – მუჭად შეკრული. „ორივე ხელები (თუ ხელები?) მაღლა აეშვირა, ერთი მოლოპული, მეორე ტაშად გამოილი“ (შულან, „ბნელი“, 1891 წ. გვ. 107).

მომხო – მსხვილი. „მომხო გრძობა“. (ვ. ბარნ.).

მოხა მხალი –

მოთინთვლა – „შეკვერავს“. „ის ტყბილი ენით მულამ თვალს უხვევს კაცსა, მოთინთვლავს

გულს მოუგებს“ (ს. შკალ, I ტ, სახელგ, 1926 წ., გვ. 173). „აქ ამ სეირს ეუყურებ, მერე ცალ-ცალკე მოკპოინთლავ“ („ცისკ.“, 1866 წ., № III, გვ. 52).

მოსმა – ერთგვარი ბადეა თევზების დასაჭერად, გრძელი. ერთი ჩადგება წყალში, დააბამს ამ მოსასმელს, შემდეგ ჯოხით უჩუჩუნუნებს თევზებს, თევზი ფრთხეობს, სარგებლობენ ამით და იჭერენ თევზს.

მოსტაცეა და გაიძაძვი –

მოსხეპილი – კოპწია, სხარტი. კაცზე იტყვიან: „მოსხეპილი ბიჭია“-ო.

✓ **მოსხრუკული** – მოხრილი, მოგრეხილი. „წინ დაუხვდა ხელში ყვარჯენით მოსხრუკული სათვალეიანი ბებერი“ (ს. შკალ, I, გვ. 194).

მოსტანტალე – Потаскуха. („კრებ.“, 1871 წ., № III, გვ. 32).

✓ **მოსტარტარა** – „მოტარტარე ქალები“ („კრებ.“, 1871 წ., № III, გვ. 82). „ენა-ტარტარა, საქმე-არტალა“.

მოუთათუნახს – თათს წაუსვამს. მიუაღერსებს.

მოუთარუა – ე. ი. მონახა, მიავნო.

მოუთუთხა – ხელდახელ მოუხარშა.

მოუჟაჟარაჟი გადაჟაჟა – ე. ი. სტომაქში გადაუძახე საჭმელი ან სასმელიო.

მოუსვა – მოკეკურცხლა, გაქანდა. „რა მარიკო დაინახა, ბატონიშვილი წამოღდა და მოუსვა“ (გრ. რჩეულ, „ანუკა ბატონიშვილი“, 1896 წ., გვ. 57). „არსაით იყო საშველი, თბილისისაკე მოუსვენს“ (ბაჩ, 1938 წ., გვ. 400). სიტყვის მასალაა: „მოუსვი, ბიჭო“.

მოუსვარა – „იმ ხატს რად მოუცარავს ხელი“ (ს. შკალ, ტ. I, გვ. 16).

მოფაჟარაჟული – ასაკში შესული.

მოფიფიფაჟული//მოფუფუფაჟული – სახელდახელოდ, უხეიროდ გაკეთებული საქმე. აჩქარებული, ხელად შემზადებული.

მოქონვა – „ის თავის მოქონვის დრო წვიდა“ (გ. წინამძღ. თარგ, „საუბარი დაბად ლაღუასი“, 1879 წ., გვ. 41).

მოლაღლაღა – ბრწყინვალე. (ღადღადი). მოლაქლაქე.

მოყიჟაჟული –

მოჟაჟი – „კიდევ მოჟაჟი?“ – კიდევ მოხვედი? კიდევ მოეთრიე?

მოჟანჯალა – მიჰყარ-მოჰყარა, უწესრიგობა შეიტანა, აურ-დაურია, მონანაკვიანა. „იმის ოთახის იატაკს ზედ მოჟანჯალული ქაღალდის ნაგლეჯებისაგან ხშირად სანაგვის საზე ჰქონდა“ (ნ. ავალ. თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 195).

✓ **მოჟაღლაჟადა** – შუადლე გახდა.

მოჟაჟა –

მოჩოჟოროთაჟული – დუნდულა.

მოცადი – „დილა იყო... მოუდიოდათ მოცადი საქონელი სანახიროზე“ („მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 67).

მოცოცული – მცირე, პატარა. მცირე კურკლივით.

მოპურფა – მოუსვა (იხ.), მოპკურცხლა, იტიშა, გაიქცა.

მოსპარსლული – დარდიანი.

✓ **მონრაჟული** – ანუ მოსხრუკული, მოხრილი.

მოჯაჯილი – დაჭმუჭნული. გაცვეთილ, დაჭმუჭნულ თუშურ ქედზე იტყვიან, რა მოჯეჯილი ქუდიაო.

✓ **მრაუი** – ნარევი, ჭრელი, ყომრალი.

მსხალი – ს ა ს ე ლ ო მ ს ხ ა ლ ი: ტბილია და სურნელოვანი, წვრილი (საადრეო მსხალი). თ ა რ ე ყ უ ლ ი მ ს ხ ა ლ ი: თავრიზული, სქელკანიანი, წყლიანი მსხალი. ნ ა ნ ე ზ ი რ ი მ ს ხ ა ლ ი: ცალგვერდზე წითელი. ყ ა - ბ ა ლ ა რ მ უ ნ დ ი მ ს ხ ა ლ ი: ახალციხეში მოდის მეტწილად, სათუთი და ტბილი მსხალი.

მტანარი – „გამტანარებული“ (ბაზ., გვ. 531).

✓ **მუაზიფეი** – თათრის სასულიერო პირი, რომელიც მინარეთიდან აზანს აძლევს და უძახის ჭეშმარიტ მუსულმანებს სალოცავად, სანამაზოდ.

მუაღმა – ჰანგის სახელია სპარსულად.

✓ **მუბარაჟი//მუბარაჟი//მუშბარაჟი//მუნბარაჟი** – მილოცვა. „მუბარეჟი დღეები“ – ამბობენ ყიზილბაშები. მაგალითად, როცა ახალ დუქანს ან ახალ სახელოსნოს გააღებენ, მოვლენ და მიულოცავენ ზოლმე: „მუბარაჟი“ იყოსო! **მუბარეჟი** – საკუთ.: მილოცვა. როდესაც ახალ სადგომში გადადიან, ამბობენ: „მუბარეჟი იყოსო“. ანუ მუნბარაჟი. საკუთ.: ბედნიერი დღე. (ქართ. მამად. სახალხო ლექსები, 1891 წ., გვ. 6). „მუბარეჟსა რათ სჭირია ამ ფუხრისა ტირილიო“ (იქვე). მინბარაჟი, ე. ი. ათასი ბარაჟა.

მუდახილი – Узоры.

მუდრაბ//მუნდრაბ – 1. უგრძობელი, ტიალი, ოხერი. „მუდრევი – ნაონენი ცხენი“ (საბას ლექსიკონი). 2. უპატრონო. „ახ, ერთი მუდრევი ვინმე იყო“ (ანატ. ფრანსი, „ღმერთებს სწყურიათ“, თარგ. ქიქოძისა, გვ. 444). „იქით გასწი, შე მუდრეგო, აქ საშენო არაფერია, ტყეილად გესულნება“ (გესულნება – სული გძლევს თ. რაზიკ). მე მგონი, აქ მუდრევი არ უნდა იყოს: „სახლს ნამუდრაგულს ბერი სჯობია ჩანალი“ (ილია „ოთ. ჭკრ.“, III, გვ. 95). „გაზაფხულია, მუდრეგო, რასა სთვლემ, რასა სტირია“ (ვაჟა, I ტ. სახელგ., გვ. 33-34). „ეე, მუნდრე, ტვინი მოიკრიფე, და!“ („გვ.“, 1892 წ., № 253).

მუთანჯის ფლაჰი – მუთანჯის ფლაეს ზედ მოაყრიან მოხარშულ და გამხმარ ხილს: ქიშმიშს, ნუშს, აღჯანაბადს, ალიბუხარს, ქლიავს, ჭანჭურს და სხვა.

მუააშირი –

მუნათი – (მუნათ-სუნათი) – დამადლება, დაყვედრება (ს. შგალ, I, გვ. 176).

✓ **მუნასიბი** – მოუშნადებლის, ან დაუსწავლელის შესაფერად და შესაბამისად წარმოთქმა. უცები, კაფია, ექსპრომტი... „რა როსტომ მეფემ ამ რივი სახელმწიფო სასახლე ასრე აონრებული ნაზა, საწუთროს გაუტანლობას შეუწყინდა და ფარსადან გორგიჯანიძეს

უბრძანა: „ამ სასახლის ასრე მინერეულობისათვის ერთი მუნასიბი ლექსი გვითხარო“ („საქართველოს ცხოვრება“, 1913 წ., გვ. 321). ან კიდევ: „წყალობას ვითხოვ, რომ ჩემთვის ერთი საფარაჯე ან საფილონე, რაც მუნასიბი ნახოთ, იმისთანა რამ გამომიგზავნოთ“ („აგ“, 1902 წ. № 229). „წასვლა სჯობს წარმაკალისა“ – ეს მუნასიბად არისო“ (თეიმ. II, ანტოლოგია, II, გვ. 169). „თქვენ მუნასიბი ლექსები, ყმისა და ქალის ქებანი“ (თეიმ. II, ანტოლოგია, II 1928 წ., გვ. 162). „ვისაც აქვს ცოდნა, გამოჩნდეს... ლხინს ნახავს მუნასიბზედა“ (იქვე, გვ. 167). „თქვენ მუნასიბი ლექსები, ბრძენის რუსთველისაგან თქმულები“ (იქვე, გვ. 164). „მე შეფისძისა ძე გრიგოლ დიდის გულმოდგინებით ვეცადე, რომ შემეკრიბა ძველთაგან თქმული მუნასიბი ანუ სიმღერისა ლექსი, ანუ ზმანი, ანუ იამბიკონი, ანუ ოხუნჯოზანი“ (საქ. მუზ. ხელნ., № 2130, გვ. 1). „ანუ ზეპირს მუნასიბსა ლექსსა იტყვიან“ („ქილილა და ღამანა“, გვ. 11).

მუშუშო – ძმარში გამგდარი გოჭის ფეხები (წნილი ღორის ფეხებისა) შეზაკებული დაფნის ფოთლებით, ჰელითა და დარიჩინით.

მურაზი – 1. გულის სურვილი; გულის საყვარელი; ნანდაური, ნაინატრი. აქედან: „ბემურაზი“ – უმურაზო. „ძველ პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი“ („ტრიოლეტები შეითანაზარში“). „რომ შეხედავ, ერთი მურაზია“ (ასე აქებს ეატარი საქონელს). 2. წადილი, სურვილი, ნანდომი, „ერთიანეთს წადილს შეუსრულებენ, ერთი ეწებათ გულის მურაზი“ (პ. სამსონიძე, ლექსი „ეონსტიტუციაზე“, „აქო“, 1936 წ., № 212, 12 სექტ.) „ესე მურაზათ ჩამიდგია გულში სწავლა და შენ კი ნებას არ მაძლევ“ (ღ. მეტრ., „პიონერი“, 1935 წ., № 13, გვ. 2). „არც მე ვაწყენ, არც ისინი მაწყვენ, მურაზები ემზიანად მალხენენ“ („თეატრი“, 1885 წ., № 15, გვ. 147). „მე არ მოვსწრებოდი, ჩემო ნათლიდედ, – წამოიტრამაზა მელაქმე, რომელმაც ზაქათალიდამ ნიშნობის დღეს მოასწრო, – მაშინ ნახავდით ამის გულის მურაზს“ (ი. ბერიძე, „საქ. მამაზე“, 1863 წ., № IX, გვ. 25). „ეოტრი კაცის მურაზი წასულა. რა ძალაა ეს ოხერი ფულია“ (ი. ვვლ.). ამბობენ: „ერთ მურაზათ ღირს“, ასეთი გამოთქმა საბამაც იცის („მოგზაურობანი“, „ცისკა“, 1852 წ., № 1-4 და ანტოლოგია, 1928 წ., II, გვ. 133). „მე გავხდები კნენა, მაშინ ჩვენი მურაზი ავისროლოთ, ვიხილოთ“ (წიგნაკი „ითამაშე თამარა“, 1914 წ., გვ. 7). „ერთი შეხედე მათ მურაზს, იმათ იერს“ (იქვე). „გრ. ორბელიანმა განმარტა: ნიკო ბარათაშვილი შესანიშნავი ყმაწვილი იყო, უდროოდ გაფუჭდა უმურაზოდ“ (ზ. მთაწმინდ. წიგნი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 14). „მაშინვე გაუსხლტებთან ხელიდან თავიანთ ქმრებს, თავიანთ პატრონებს და რაც უნდათ, იმას იხამენ, ეწყვიან თავიანთ სურვილს, თავიანთ მურაზსა“ („მოგზ.“, 1901 წ., № 2, წერ. ვინმე მესხისა, აწმინდა მოღვაწე ნინო“, გვ. 131-132). „უღად მოსტებნოთ ოთხსურანი ბაღაზი და ოქროს ბეჭდით გასჭრათ, ყოველივე გულის მურაზი შევისრულებათ“ (ქალაქ. ცრუმორწმუნეობა, „Кавказ“, 1889 წ., № 132). „გულში კი ჩარჩა ნახული ზარის მურაზი“ (ღ. მეტრ. „ღროშა“, 1933 წ., № 23, გვ. 16). „მურაზათ ნაპოვნი ზარი ამოუყენა თავის ტოლს“ (იქვე). „საიდუმლო ღიმილით უმზერდა მურაზით აზვირთებულ ჭაბუკს“ (ე. ბარნა. „ვარდფანჯები“, 1929 წ., გვ. 63). „მე მას მურაზი დავარქვი“ (კ. ხომშიაშვილი, „მ. მწერ.“, 1934 წ., № 8-9, გვ. 16). „ბოკემის“ შემდეგ გავერცელდა. „სიკვდილი არის მურაზი, შორს უჭრის იმას გონება, ვაეკაცებში გამოარჩევს, რომელიც მოეწონება“ (ხალზ., ე. კატეტი, გვ. 262). თ. რაზიკაშვილიც ხმარობს ამ სიტყვას: „მურაზი – გულით სანდომი ნატრა“ („აგ“, 1900 წ., № 133). ეს სიტყვა ჩემს ლექსშია: „ტრიოლეტები შეითან ბაზარში“, 1928 წ. [...] მეერ სხვებმაც. „ისინი ეცნობიან მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის გულის მურაზს უეჭველ დაღუპვას გადაარჩენენ“ (შ. დად. თარგ. ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“, 1936 წ., გვ. 86). „რა საქმე გაქვს იმ გოგოსთან... შენი გულის მურაზი ხომ არ არის.“ (პუშკინი,

„აკაიტანის ქალიშვილი“, შ. დად. თარგ. გვ. 137). „ბრიგადირმა ეშმაკური თვალები შეანათა კოლმურნე ქალს, მისი გულის შურაზს, თ-ს, რომელიც გართული იყო მუშაობაში“ („კოლმურნე“, სიღნაღი, 1938 წ., № 27). „ხმა აღიმართა ლაფარდებში გულის შურაზმა“ (ბ. კეშელავა, „სტალინელი“, 1938 წ., № 28). **მურაზიანი** – სვებელიანი.

მურასა – კოხტა, კეწკეწა, ნორჩი, ნუგბარი. ძვირფასი თვლებით მოოჭვილი, დამშვენებული, ყარყარა, სათუთი, ნატიფი. „ელისაბედ შურასა, ყელი ვიგავს სურასა“ (ხალხ.).

მურახასი – სასჯელის შემცირება (?) თავისუფლება (?) წყალობა (?) „ერთს ტუსაღს შურახასი უყავ, რომელიც იყო საციმბირო“ (გრ. ორბ., „მოამბე“, 1905 წ., № II, გვ. 5, მეორე განყ.).

✓ **მურდასანი** – წამალია ერთგვარი. ზეითუნის ზეთში ღვსავენ და ისე ჰხმარობენ მუწუკის წინააღმდეგ.

მურდაშური – შემსუდრავი, მკვდრის გამბანელი. „ოჭლი სააკ დაღის დაღსაღითა, ფეხებს ათრევს ვაითა-ვაგლანითა, შურდუშური თავის პირის სახითა, თავი, პირი გასვრია ტალანითა, მონასკვებ დაკერუნია ფეხები, დღათ გიკვირს: როგორ დაეხეტები“. მ უ რ დ ა – მკვდარი, შ უ რ ი – გარეცხვა (სპარს.).

მურდასილი – კუწუბოვანი წვრილი ჩუქურთმა; მხატვრობის ნახაზობა.

მურახი – 1. უზრუნველი, გაფუფუნებული. „თაფლო ეკუთვნოდა ჩვენი ქალების იმ გუნდს, რომლის ხორცი სუქდება, სული კი – ჭლექდება; ამათი სატრფიალოა: შურენი ცხოვრება, მაძლარი ჭამა-სმა და ჩაცმა-დახურვა, როდესაც სასტუმროდ გავლენ“ (რ. ფაგლენ, „მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 32). 2. შავი სამუშაო (იხ. სამურენო). „მუშაობას და შურენს საქმეს მიჩვეული არა ვართ“ (ს. შგალ, „ჯორჯაქარა“, სახელგ., 1937 წ., გვ. 37). 3. ჭუჭყიანი, უსუფთაო. არათარეზობის მოყვარული. („ივ.“, 1900 წ., № 133, თ. რაზიკა, „მოამბე“, გრ. ყიფშ.). არა აქვს არც ჩ-ს და არც ჭყონიას. 4. ანუ მ უ რ ე ხ ო ბ ა. სისაწყვე, სიღარიბე. „ე რ დიდ ოჯახში ჩავარდეს, თავს ჯერ გაიტანს, შურენობაში სულს ამოართმევენ“ (ს. შგალ, ტ. I, 1926 წ., გვ. 44). „ელენეს შვილები სცხოვრობდნენ თავაღებულად, თავისუფლად, თავიანთს ნება-სურვილზე, შურეხად“ (რ. ფაგლენ, „მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 48).

მურალი – ფქვილი რომ შეიკვრის და არ გაიშლება, დაიმურკლება.

✓ **მურვა** – წვრილი (ცოცხალი) თევზის ჯიში.

მურსახა – სასმელია ფურნეში მიცემულ კერძივით.

მურსუმი – გასუქებული. „შეც მინახავს პატარა მურსუმი გოჭები, შამფურზე აგებულები“ (ალ. შირიან, „ნაკად“, შტ. წლ., 1912 წ., № 1).

მურსი – მემუსიკენი.

მურსაზადი – ლექსის ან სიმღერის უკანასკნელი სტროფის გამოკრება. არ არის ახსნილი ენათმეცნ. ტერ-ში, გვ. 52.

მურსუმი – მდომელი.

მურაბანა – „უი ქა, შურაბანა!“ (შელან, „ბნელი“, 1891 წ., გვ. 30).

მურაბა – (მუჰამმა) გამოცანა. საიდუმლოება. ჰანგის სახელია სპარსულად. „სტეფანე, ჭიანურზე შურაბები დაიწყე“ (საქ. მუზ. ხელთ., გრ. ბატონ. ლექსი, № 2130, გვ. 141,

160). „ბევრჯელა სცადა ატეხვა შულის და სისხლის მღვრელობა, მაგრამ გაუკეს შულამი, არ გაუვილა ველობა“ (ფარსად. ლექსი, „ნინავი“, 1931 წ., № 15, 03. 5).

მუჰაითი — მაჰანა. ბეჯითი.

მუჰაიში — მატერიაა, „ერთი მუჰაიშის ბოხა“.

მუჰაო — მოსქო ქალაღდი; კარტონი.

მუჰაბახი — „მუჰაბახის ფერი ოქროს კოლოფი“ (?), „სავარცხელი მუჰაბახად მოჭრილი“ (?) („ბოჰემა“, გვ. 56, 567).

მუჰაჰბი — გასანთლული ტილო.

მუჰარაბი — ფერადმინებიანი ფანჯარა.

მუჰაჰჰარი — „ივ.“, 1890 წ., № 226.

მუჰაჰჰახი — კონვერტი. „მოხელე თავის ქალიშვილის საქმროს გადასარჩენად ჰხო-
ულობს მუჰაჰჰახს (კონვერტს) შუძღვის წარწერით“ და სხვ. („ივ.“, 1892 წ., № 221, გვ. 3).
„ივერიაში“-ა ასე — კონვერტი ფრჩხილებში.

მუჰაჰჰარი — ერთგვარ ყურძენს ჰქეიან, ბაღლინჯოს გემო რომ აქვს.

✓ **მუჰაი** — ამბობენ: რა მუშკივით ღბილი ხარო; ამბობენ კიდეც: მუშკის სუნი უღისო.

მუჰაულათი — 1. დროს გატარება. „შიდ დღე-ღამეს გავრძელდა სჯა, მუშკულათი, მჭვერობა“ (ფარსადანი, „ნინავი“, 1937 წ., № 23-24, გვ. 13). „შქონდა სიტყვები და მეც მომწონდა სჯა, მუშკულათი, კამათი, შეხლა“ (ი. გრიშ, II ტ, 1922 წ., გვ. 64). 2. ბაასი. „ზოგი პბლვერს, ზოგი ილიშვის, ზოგიც სღუმს — როგორც მისანი, — სნანს, დიდს ელიან მუშკულატს, სნანს, დიდი უწვეთ მისანი (ფარს. ლექსები პოეტთა წმენდაზე, „ნინავი“, 1931 წ., № 14, გვ. 7). „კამათი და მუშკულათი დაიწყო და გაეცხოველა“ (ს. ფარსადან-ფაშლიშვილი, „ნინავი“, 1934 წ., № 22). „დარბაზს ჩაეჭრა ჩოჩქოლი მათ მეცნიერთა დასთაცა, სამუშკულათოდ წამოღვენს — ერთი ეკეთის ასთაცა“ და სხვ. (ფარსადანი, „ნინავი“, 1934 წ., № 22).

✓ **მუშტა** — 1. ხარაზების თითბრის იარაღია, რომლითაც აბრტყელებენ ტყავს დაზგაზე. 2. ხარაზების იარაღი: ხელში (მუშტში) დასაჭერი უტარო თითბრის კვერი — საძირე ტყავის (ლანჩის) დასატყეპნელი.

მუშტაზადი — სპარს. ჰანგის სახელია.

მუშტარი —

მუშტაჰი —

✓ **მუშტაჰანი** — ალაყაფის კარის ჩაქუჩი; სარაკუნი.

მუხალიში —

მუხაჰაჰი — 1. აშულური ლექსის წყობის ფორმა (ხუთტაეპოვანი ლექსი). ამას გარდა — ოთხი ან ხუთი სტრიქონი სულ ერთი რითმით არის და შემდეგ კი სხვა რითმაა, რომელიც მეორდება ყოველ ხანის ბოლოში. მუხაჰაჰი მეტისმეტი ტკბილხმოვანი ჰანგია. აი, როგორ ახასიათებენ: „მუხაჰაჰო, ოჰ, რა ტკბილი ხმა ხარო, შამჩიშელქო ფარნაოხის ყმა ხარო!“ არ არის ახსნილი ენათმეცნიერების ტერმინოლოგიაში, გვ. 52. 2. „არის არაბული,

ხოლო ქართულად ითქმის ხუთმუხლოვანი“. ბატონიშვილის დავით გიორგისძის მეფისძისგან თქმული მუხამბაზი.

„რა იქნება ზენ ვიყვნეთ სენატორი, სტუკა ბეჟან თუ არის ორატორი, ქრისტეფორე ტვილისის დირექტორი, თავადი გიორგი რელისტრატორი, პეტრე მისი მამა-პაპის სასწორო“ („ივ.“, 1879 წ., №78). 3. ხუთმუხლოვანი ლექსი; ნიმუშებისათვის იხ. დავით რექტორის ხელთნაწერები (წ. კ. ს. შუზ. №№ 1512, 3723) და საიათნოვას ქართული ლექსები (გვ. 98, 99, 100, 101).

მუჯალმა –

მასპინაპი – წამსისინებელი, ერთიმეორის გადამკიდებელი „უთოდ ის მქსინავი გიჩივლებდა“ (შ. არაგვ.).

მლაპაპი – ლილასენა.

მლპი – ფარჩეულია.

მჰარი – მაგარი, მტკიცე.

მცვრეველი – ცვარიდან. „მცვრეველი წალკოტში“.

მძახალი – საიათნოვასაც აქვს. ცოლ-ქმარის დედ-მამა ერთმანეთში მძახლები არიან.

მფლაპა – მწკლარტე.

მფო – ტყემლის მაშარაბი.

6

ნაათალი//ნათალი – 1. შეათედი. „სიხარულისა ვარ თანაზიარი, სიტყვით ნათლის გამოთქმა ახლა კი შემოდლია (ბ. ჯორჯ, „ცისკ.“, 1863 წ., აგვისტო, გვ. 33). 2. სახსენებელი. „ბრძოლის უკანასკნელი წუთები ნათალი არ იყო ამ მდგომარეობასთან“ (გ. ხუნუაშ. „ბორკელები“, თავი 25; იქვე, თავი 32).

ნაალი//ნაპალი – 1. სახურავისათვის ქვეშ გადებული. 2. ლეიბი, დოშაკი, მატრაცი. „ერთი ნაპალი, ერთიც დაგლეჯილი მუთაქა“ (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ., № 8). „ზღვის ბალახით გატენილ ნაპს ხელი შეახო“ (ნ. ავაღ, თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 73). „ერთი ნაპალი თავისი შემკობილობით“ (მზითვის სია).

ნაარმეპეპი – არამიდან წარმ. „ნარმეკად შემოხილული სარჩო“ (ნ. აზიანი, „ივ.“, 1905 წ., გვ. 75).

ნაახად – 1. უდანაშაულოდ, უსამართლოდ. ამბობენ: აფსუსს, ესა და ეს კაცი რა ნაახად დაიღუპაო. 2. უმიზეზოდ, უბრალოდ.

ნაბანი – წყალი, ეკლა. იცოდნენ ფეთხანიობას.

ნაბახურეპი – ნამთვრალევი.

ნაბიჭვარი – ნაბუშარი. ნაბიჭვარი მხოლოდ აქ იხმარება. ნაბიჭვარი წარმოსდგება სიტყვიდან ნაბიწვარი (ბიწვი, ბიწვიერება).

ნაბნაბით – ნება-ნება, ნელად, ჩუმად.

ნაბოლარა –

ნაბუარი – მტკერი (ვ. ბარნ, „ვარდუანჯები“, გვ. 114).

ნაბვირდულა – ტივის ხის გვერდის ფიცარი. ზოგან ფოშტად წოდებული, რუსულად...¹

ნაბოგავრი – გოგოდ ნამყოფი.

ნადერილიაზი – იმ წმინდა გიორგის სახელია, რომელმაც აშულ-ყარები არ(დ)² ზილანის მთიდან ტფილისში ჩამოიყვანა.

ნადიმი – დინჯი, ნელი. ამბობენ: რა ნადიმით დადიხარო, ვითომ დინჯათო. გაღვივებულ პატარა და კონტა ცეცხლსაც უწოდებენ, აგრეთვე: იფ, რა ნადიმი ცეცხლიაო, ვითომ ნელიო. „ნადიმი ცეცხლი“, ე. ი. გაღვივებული, ნელი, სამწვადე ცეცხლი. „მიყვარს ნადიმიად მუშაობა“, ე. ი. ნელ-ნელა,

¹ ასეა – რ. კ.
² ასეა – რ. კ.

ნება-ნება. „ოთხფეხების ბედიც კი შემშურდა, რომლებიც თბილად, ნადიმად იწვნენ ერთ ალაგას და გამოიყურებოდნენ უღარღელად“ (ა. ცაგარა, მოთხ, „ღროება“, 1867 წ., № 20).

✓ **ნაკვლი** — ფერფლი.

ნაკვებში — ვნების მომტანი. ტანჯვა-ვაების მეთაური. „რამდენ ნავენებსა შერება“ (სბნულო, გვ. 21).

ნაკვი — ნავსიანი, ბელუკულმართი, დანავსული. უზმოზედ შეხედებიან ან მღვდელს, ან ისეთ უქმურ ადამიანს და იმ დღეს თუ ცუდად და ფათერაკად წაუვა საქმე, იტყვიან: ამან და ამან დამნავსაო. ხმარობენ სხვა მნიშვნელობითაც — მეღუქნეს თუ ქესეტობა აქვს, ეტყვიეს გამველე-გამომველეს. მოდი, კაცო, რამე იყიდე და ნაკვი გატეხეო.

ნაკვიანი — იხ. ნაკვი. „ღიღი ნაკვიანი დღეა ეს დღე ჩვენთვის“ (ლ. მ. როსტომ, „ტფილისიდან ზნაძენკამდე“, 1933 წ., გვ. 26).

ნაკვი — ისე ლამაზი სიტყვაა თავისთავად, რომ ეს სიტყვა ბალზაკს თავის მოთხრობაშიც აქვს: „Отец Горио“. ერთ ქალს ჰქვია ნაკვი. რასაკვირველია, ეს სიტყვა შექმნილია. სომხებს აქვთ ნაკვი (დროშაკ, დანაკ).

ნაკვირის ბალი — იყო ვარანცოვისაკენ. „ნაკვირის ბალთან ვიჯექი, საყვარელი გვერდით მეგლო, დავხაროდი, მას დავტრფოდი, უეცრად ცეცხლი მაშელო“ (დ. ბერიშ, კრებ. „ჩანგი“, 1892 წ., გვ. 137).

ნაკვი — ენის ნაოფლი.

ნაკვირის ხალხი — სათამაშო ქალაქის რომელიღაც ჯარისკაცს ჰქვია (ბელნიერი ქორწილი, კომედ. აღ. ცხვედ. გამოც. 1871 წ., გვ. 21).

ნათბილარაპი —

ნათლიჯალაპი — ნათლიას მეუღლე.

ნაიბი — მოწმე.

ნაილაჯობა — „გორის სას. სასწავლებლის შენობა ისე დაძველებულია, რომ იმაში ყოფნა ნაილაჯობისა“ (იფ., 1886 წ., № 133). ნ ა ი ლ ა ჯ ო ბ თ — 1; ვაი-ვაგლაზით, დიდის გაჭირვებით, ვაინაჩრობით. „ეს იყო ბეჭედი მისი ნაილაჯობით გამოკვებისა“ (ს. შკალა, ტ. I, 1926 წ., გვ. 50). 2. ძლივ-ძლივობით. „ქამდისინ შენს პაპას ორიოდ სამ სტრიქონსა სწერი ხოლმე, იმასაც რა ნაილაჯობით“. (დომ. ყიფ. წერ. ნინო ყიფიანისადმი, „კანათლება“, 1915 წ., № IV გვ. 310. იფ. გომართლის წერილი: „ჩვენი მოღვაწე ქალები“). იხ. დ. ჩ. გვ. 949.

ნაინაალი — გრძელი და ვიწრო ნაალი. ძველად ტანტზე შლიდნენ და ნაინაალს ზედ სუზანს აფარებდნენ და ფენმორთხმით სხდებოდნენ სკამების ნაცვლად.

ნაინაალ/ნაინანაალ — ამბობენ: უწყინრად, ჩემთვის ნაინაალ მოვდიოდი და ამ დროს კი... და სხვა, ვითომ ფიქრში გართულიო, მივდიოდი და სხვა. მე ჩემთვის ნაინანაალ მივდიოდი, ე. ი. არხეინაალ, ჩაფიქრებული.

ნაიბაალ — ამბობენ: არ მინდოდა, მაგრამ ისე, ნაიბაალ წაველო. ვითომ ბედის გამოსაცდელადო წაველო.

ნაიპაზი — ხორბლეულის დარკვევის შემდეგი ნარჩევი. ამბობენ: დღეს ნაიპაზი დაუყარეს ქათამს, კრუნ-წიწილებსო და მტრედსო.



- ნალათი — „ქალბატონი: ნალათ, შენ ეშმაკო!“ („აჟაპო“, გვ. 35).
- ✓ ნალბანდი — სახედრების, ცხენების და სხვათა ნალის (ლუმბის) მჭედად-დამკვრელი. ნალებით მჭედავი.
- ✓ ნალჩაბარი — ნალების გამოშვანი. მჭედელი ნალების, ნალების გამკეთებელი და არა ნალბანდი — გამხრეტი ფორმის.
- ✓ ნაპაზი — სპარს. ლოცვა.
- ნაპალი — სახსოვარი.
- ნაპარდი — 1. არავუჟაკი; უხასიათო; გულდღეაღი, უღირსი, გამწირავი, დაუნდობელი, მზაკვარი, უკეთური, მუხთალი, მოღალატე, უნამუსო, კვრავი, გაუტანელი, თავკერძი. 2. არაკაცი, ჯაბანი, ჯომარდის ანტიპოდი, არსებობს ხალხური ზღაპარი: „ჯომარდი და ნამარდი“. „ქრისტე სხვებსავით ნაპარდი არ იყო“ (ორანი — ახნაზ, „ივ.“ 1888 წ., № 87). უკეთესია წყალმა წამიღოს, ვიდრე ნამარდი კაცისაგან გაკეთებულ ხალზე გავიაროვო.
- ნაპთაპი — ღამენათევი.
- ✓ ნაპაპა — ნამცეცა, კიკნა, ერთიბეწო.
- ნაპნაპა — ჩათლახი, უშნო, ღოხოშა.
- ნაპორი — წმინდათ გაკერილ ჩითს როცა გადმოჰკეცენ და ხელმეორედ გააშუალებენ, ამას „ნამორს“ უწოდებენ. ნამორს საზოგადოთ გვერდგადაკეცილ ნივთს უწოდებენ; შეიძლება რკინის ნამორიც.
- ✓ ნაპურაბალი — პირველად ილიამ შემოიტანა. იხ. მისი მოთხრობები. „ახალს ნაპურაგალს ბერის კსეობია ჩანალი“ (გ. ჩიქოვ. „საქ. შობაზე“, 1863 წ., № 7, გვ. 93).
- ნაპუსი — პატიოსნება, სინდისი, თავმოყვარეობა.
- ნაპეიოლა — დიდმარხვის დასაწყისში პირველ ორშაბათს კიდევ სჭამენ მარხვას. ამ დღეს (ორშაბათს) ნამცეცობას უწოდებენ, რადგან არ შეიძლება, რომ თეფშზე სუფრაზე სახსნილო საჭმელი არ დარჩესო, ხშირად წამოადულებენ ნაცარს დიდქვაბით, ქონიან ჯამ-ჭურჭელს შიგ ჩაჰყრიან, რომ კარგად გაირეცხოს და სუნი დაეკარგოს.
- ნაპჟა — 1. მაზარა, ფარაჯა; „ნაბდის ქედებით და რუსული ნაპჯით ჩამოიარეს“ (ს. შგალ., ტ. 1, გვ. 50). 2. ყანის მონატერი.
- ნანაპოგად — იხ. „ანაპოგად“.
- ნანდაური — იხ. მურაზი.
- ნანეზირი მსხალი — გვერდწითელა მსხალი. თხელკანიანი, ნაყოფით საშუალო. ძალიან ტკბილია.
- ნანინანატრი — ფრიად სასურველი, ძალიან სანატრელი, სანატრიონი. „ამ ის ნანინანატრი დედინების უსნიფერას სული წამიწმდეს, თუ მელა მახოზი (იხ.) შვეღა“ (ბ. ჯორჯა, „ივ.“, 1891 წ., № 153). ნ ა ი ნ ა ტ რ ი ი ვ ი ვ ა .
- ნანინუნე — კრძალვა. ამბობენ: ისე ნანინუნით რომ შევდივარ იმის ოთახში, იმას ჰგონია რომ მეშინიანო, ვითომ ისე მოკრძალებით რომ შევდივარ იმის ოთახშიო და სხვა.
- ნაწიანი სტაქანი —

- ✓ **ნარ//ნარი** – ერთკუზიანი აქლემი, მამალი აქლემი.
- ✓ **ნარაქლუპი** – მამალი აქლემი; ქართულად – ლოინი. „ყაზბეგის მალაქ მთას ეშუქება კვერითა, ნარაქლუპსა აშინებს ხანგალაის ვლერითა“ (დ. გივიშვილი).
- ნარდი** – ნარდიონი, სუმბული (ყვაველი).
- ✓ **ნარდიბაზრობა** – ამ სიტყვას ხმარობენ ვაჭრები. თუ მყიდველმა უნიხროდ მოითხოვა საქონელი ან ცოტა შეაძლია ვაჭარს და ვერ მორიდდნენ ვაჭრობაში, მაშინ ვაჭარი ეუბნება: მაგ ფასად რომ მოგცე, რა, ნარდიბაზრობა ხომ არ არისო!..
- ✓ **ნართუშლოზა** – უსიამოვნება, არევე-დარევა ოჯახში ან მეგობრებში. ნართი ბამბისაგან გაკეთებული ძაფია.
- ✓ **ნარიმანდა** – შენობის ფიცრები რომ ერთიერთმანეთში არის ჩასმულ-გადაჭდობილი, ამას ნარიმანდას უწოდებენ.
- ✓ **ნარიმანდი** – (დურგლებისათვის) ფიცარზე ერთგვარი იარაღით ოდნავ ამოთხრილი ღარისებური ფიგურა.
- ნარიწი** – ფორთოხლის ფერი. არის სიმღერაც: ნარიწი ხარ, თურიწი ხარ, შეგვიყარებ, თუ დინჯი ხარ!..
- ნარნარადი** – ნარნარი.
- ნარშში** – „პირველ-წყოფი, პირველ ქმნილი და შემოდებული საქმე, უცხო და ახალი ხელოვნება“ (საბა). მონარუქება (ი. ფანცხავა „თხზ.“, 1903 წ., გვ. 271).
- ნარცხი** – ხელ-პირის ნაბანი. „კოდელი ნინუა, ზერტელ მკითხავთან ნარცხათაც არ გამოდგება“ (ს. შალა, I, გვ. 21).
- ნასაღწი** – ჯალათი, მტარვალი.
- ნაბისუსაღი** – „ისე გავჯარბდით, რომ სულ ნატისუსალი აკვდიოდა“ (პაწირა, „ივ.“, 1891 წ., № 5; ლ. არდაზ. 1936 წ., გვ. 20).
- ნაბიში** – მოხდენილი, სუფთა.
- ნაზაზი** – 1. საკუთრივ სუნთქვას ნიშნავს; ნაფაზი – თუთუნის მოწვევის დროს ბოლოს შესუნთქვა. „გააკეთა ჩიბუხი, მოსწია ნაფაზითა“ („საქართ. მოამბე“, 1863 წ., გვ. 10). 2. ქოშინი. სუნთქვა თუთუნის წვევის დროს. იხ. დ. ჩ., 264. ნაფაზი – ცხენის სნეულებადაა ახსნილი. „სიმონას გაუგონია, რომ ვინც წამდვილი თამბაქოს მწვევლია, მან ნაფაზი უნდა დარტყას!“ (გუგული, „პირველი ნაფაზი“, „ემშაქის მათრახი“, 1916 წ., № 38). „გააკეთა ჩიბუხი, მოსწია ნაფაზითა და დაიწყო მოთხრობა“ (მ. ყიფ. მიერ ქართ. თარგ. ლერმონტ-ის „ჩვენი დროების გმირი“, 1863 წ., „საქართ. მოამბე“, № X, გვ. 10). „ორიოდე მძლავრი ნაფაზის შემდეგ“ („კოლექტივიზაცია“, 1935 წ., № 96).
- ✓ **ნაძნარობა** – ჩადენილობა, მოქმედება.
- ✓ **ნაძნაურობა** – მოქცევა, ქცევა.
- ნაღების ხმა** – ხასიათოვნო ხმის პატრონი. მომღერალს რომ ხმაში სიღბო ექნება, იტყვიან „ნაღები ხმა აქვსო“ – რუსულად Бархатный голос (ი.



გოგებ. რეცენზია ტარტაკოვის და ზარუნაას კონცერტზე, „ივ.“, 1889 წ., № 51).

ნაღლი — ზღაპარი.

ნაღში — იხ. მულაშა.

✓ **ნაყაში/ნაყიში/ნაყშარი** — 1. კარ-ფანჯრების მხატვარი, კედლების დამჩითავი. **Маляр**. 2. ნაკლი, დაკლებული. 3. საქმე ნაყიშად დამრჩა, ე. ი. ვერ მოვათავე, დაუმთავრებლად დამრჩა. ხელოსნისათვის დაუმთავრებელი საქმე, ნაყიში დამრჩა.

✓ **ნაყიშ-ნაყიშ** — ნაწყვეტ-ნაწყვეტ.

ნაშა — შავი, ყარაჩი, შავტუხა.

ნაშტარი — ნესტარი (ძველებურად **შაშარი**) სისხლის გამოსაშვები.

✓ **ნაშური** — 1. ერთგვარი შავი ფართლეულია, რომლითაც ძველად დერციკები ყარაჩოლულ ახალუხებს და შარველებს ჰკერავდნენ. 2. ლურჯად შეღებილი ნარმა; უბრალო ფართალია. „ნაშური ახალუხი“ იაფფასიანი ახალუხია. **ნაშური** — აგურის ჩამომტვრეული ქიმი; **ნაშური** — ტივის ხის გვერდებიდან ჩამოხერხილი ფიცარი; ყუა-ფიცარი. „ნაშონ პროკოფის ესეთი ჩვეულება სჭირს: ზოფულში მუდის ტანსამოსს იცვამს და ატარებს ხოლმე და ზამთარში — ნაშურისას“ (კრებ., 1871 წ., № III, გვ. 68). „შავი ნაშურის ახალუხი აცვია“. „წამოიძახა ერთმა გლეხკაცმა, რომელსაც ეცვა გრძელი ნაშურის სერთუკი“ (სცისკ., 1863 წ., № IV, გვ. 612. ლ. არდაზ., 1936 წ., გვ. 157, ნ ა შ უ რ ი ს შ ა რ კ ა ლ ი — ნაშური რაღაც მატერიაა. „ერთ ხუთ მინუტ შემდეგ ივან ნიკიფორიძის ნაშურის შავგარი აღიმართა ჰაერში“ (გოგოლი, „კრებ.“, 1971 წ., № II, გვ. 104).

ნაჩხატი — ყანებს შორის დარჩენილი გასათიბი ადგილი.

ნაცილი — ცილის დაწამება. „ყველას გამოუგდებენ თურმე რაღაც ნაცილებს, აუტეხენ დავიდარაბას, და ჯიბიერ შეთეს ყველა დამინებული ჰყავს“ („ივ.“, 1887 წ., № 144). ნაცილი — „კალუმბია“ („სეკვილიელი დალაქიან“). „თამარ და დავით რუსუდანის ნაცილისაგან ბევრს ტანჯვას გამოივილიან“ (რ. ერისთავი, პოემები, 1936, გვ. 187). ამბობენ: რა ნაცილს მივონებ, ძმაო; ვითომ ცილს რად მწამებო. ამბობენ კიდევ: აი, ნაცილი გამოგივარდეს და თან გადაგიტანოსო ნულარვეო — ვითომ სატკივარი გაგიჩნდესო. „დე. წადი, პური გზადაგზა ჭამე: ესენი (მამასხლისი და ვზირი) ხომ ნაცილები არიან (აღ. შირიან. „ბედუქულმართი ჯაღაბობა“, 1883 წ., გვ. 16). „იქნება ახალი ნაცილი მივარდა“ (იქვე, გვ. 33). „თავი იდრიკა, დარცხვენით, ამას არ ვამბობ ნაცილს“ (რ. ერისთ., „თამარიანი“, გვ. 5). „შალვამ წარმოსთქვა: ეგ რა სთქვი, რა ეჭვი დამღე ბედკრულსა, ნაცილი ჩემზედ მოჰმართე, წყლულზე მიმატებ მე წყლულს“ (რ. ერისთ., „თამარიანი“, 1887 წ., გვ. 22). „ქართველები ბაქები ხართ და ჩვენი „პეპო“ დაიჩემეთო. ნაცილი თუ გინდათ, სწორედ ასეთი უნდაო“ (სანო, „ივ.“, 1889 წ., № 33).

ნაწიბური — ცხვირსახოცის, სუფრის და სხვა ფართლეულის გადაკეცილი ნაპირი (მარიჯან, „შხიანა“, გვ. 78).

ნაწოწი — ნაწოწიალი, ნათრევი.

ნაჭა — დასაგები.

ნაჭყაპურტაპი — შიგნეულობა.



- ✓ **ნახაში** – ჩუქურთმა, მხატვრობა. „პატარა ტულუტი კაკლის ხისა, ნახუბიანი სარკით“ (ნ. ავღ., თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 308).
- ✓ **ნახორხალი** – პურის მონატეხი; სუფრაზე მოგროვილი ნაჭმეები. წყლის მოტანილი ნაფოტი და მისთანა.
- ✓ **ნახუნაჰი** – 1. ხელით შეხებითი ლაციცობა ლოყაზე. 2. ნახუნაკი ითქმის ხილის ჭამაზედაც ბაყლის დუქანში (მოვაჭრესთან) მუშტრისაგან, რომელიც ნახუნაკს იღებს (სინჯავს გემოთი ხილს) და არ ყიდულობს: „ჰა, ნახუნაკი არ იყოს!“ 3. თუ ბაყალთან ვაჭრობის დროს გემოდ გასინჯე და არ იყიდე, ამბობენ: ჰა, ნახუნაკი ჩაართყიო. სხვანაირადაც იხმარება, თუ ქალს ლოყაზე ალერსით ან მოფერებით ხელის ზურგი აუცაცუნე – იტყვიან: ჰა, ნახუნაკს ნუ იღებო! „ნახუნაკისათვის ყელზედ გაქვს ბალანი, ან, ნეტავ გიმღერო არმინ-მალანნი“ (ტფ. ფოლკ.). „განა მე შენი ვარდის ლოყების პროშტი მინდა? ნახუნაკიც მყეოფა, ჩემმა მზემ, ნახუნაკი“ (გვ. 50, თაგუნა). „რაკი „ნახუნაკით“ გული შეიჯერა, უკან გამობრუნდა („საათი“ თაგუნასი, თაგუნას თხზ. 1919 წ., გვ. 51).
- ნახშირსა სწვამს!** – საერთო ქეიფში თუ ვინმე მოწყენილია, ამბობენ „რა ნახშირსა სწვამო“.
- ნახჩი** – თუ ნახჭი? – ანუ ნახში. **Резина**. ბეჭედი – ძვირფასი ნახჩისაა (ბარნ., ჟურნ. „ლომისი“, № 6-7).
- ✓ **ნეპალი** – ლებანი (კაკლის ნახევიარი).
- ნეიფი, ნეიფი** – აშუღის რეფერენი (საკუთრივ ნიშნავს: „რა კქნა“, „რა კქნა!“).
- ნეფია** – სია ადამიანი, მოწყუნე.
- ნეჟა** – პატარა ჭილობი გასაშლელი.
- ✓ **ნეაზი** – ინტერესი. „წაწაღმა სანაზობა სულ ყველა იცისა, სანამდი კარგად გვეძევა, სანამ სხვათა შვილს მათრისა“ („ოვ.“, 1900 წ., № 130).
- ✓ **ნეათი** – ღონე, ძალა, არაქათი. „ნიათის გამოლევა“ – ამ სათაურის წერილი აქვს ა. ფრონელს „საქ. მოამბეში“, 1910 წ., № 12.
- ნეამდანი** – ძვირფასი ჭურჭლის შესანახი ყუთი.
- ნეამფური** – ხმელ ხილთაგანი. ატამს კურკას გამოაცლიან, გაახმობენ. შემდეგ ამ ატმის ქერქში ათავსებენ კაკლის ლებანს და ამოავლებენ ბადაგში (ტყბილი მოდუღებულ). ამ ნიამფურს უფრო თათრები აკეთებენ. ტფილისის განაპირა უბნებში ახალწელიწად დღეს ტფილისელებს ხმელი ხილი უდგათ, რომელშიაც ნიამფურიც ურევია.
- ნეამაჰი** –
- ნეაჰა** – ზედმეტი სახელია კაცისა.
- ნეპრო** – („გაყრა“, მოქ. IV). „ნიმრო კარტოფილი“ (ანთოლოგია, III, გვ. III). რომელიდაც საჭმლის სახელია.
- ნესია** – საკუთრივ: Кредит. („Иран“ № III, გვ. 24).
- ✓ **ნეღნეღი** – ცხვირში ლაპარაკი.
- ✓ **ნეზაბური** – ქალაქია სპარსეთში, რომელიც კარგის ფირუზითაა ცნობილი;

„ნიშაბურის ფირუზი“ – უმაღლესი ხარისხის ფირუზი. ნიშაბური ან მონატანი ფირუზი.

ნიშანბაზი – 1. ნიშანში მსროლელი ანუ ჩუბინი. ჩვენს უბანში გიგონა ზანდანი იყო, რომელსაც მეტსახელად ნიშანბაზი ერქვა. რას ისროდა? შეიძლება ქვას – კრივის დროს – შურდულიდან. 2. შულერი.

ნიშანდობლივ – ნიშნეულად, დანამდვილებით.

ნიშარა – ურიცხვი, აუარებელი, უამრავი.

ნიშათი – ძღვენი. (არა აქვს საბას).

ნიშარუხ ბაირამ – ახალი დღე, ახალი წელი, პირველი დღე.

ნიწოშა – მეტი სახელია კაცისა.

ნიტო – ფარას მოწვევტილი ნაწილი („კომ.“, 1921 წ., 3/IX).

ნიშარი – მონა, მოსამსახურე.

ნილა – „ნილა“ ია ეკალაძის მოთხრობაში („მოთვარიან ღამეს“) კანტორის გამგეს ჰქვია.

ნილაია – ერთგვარი ტომია, და ჩვენის აზრით, მეტისმეტად მახინჯი და ცხვირ-პირჩამოღლებილი. „ნადირს ხალხს ცხვირი ნოლათა აქვთ, ჰქუა, უშრა, ულათო“ („ოვ.“, 1887 წ., № 190).

ნიშბარი – 1. ახლად შემოსული იშვიათი ხილი. „მაშ ნუგბარს მიირთმევ და კი არ შეხარი“ (ივ. მაჭავ. – შ. გორკის „იტალიური ზღაპრები“ „მნათ.“, 1936 წ., № 10-11, გვ. 79). „სინებით ნუგბარს ხილს მიართმევდნენ“ (ა. ახანა, პუშკინის „მუფის შკედარი ასულის ზღაპარი“, 1937 წ., გვ. 14). „და, ჩაუარონ ამ ხეივანს და იგემონ სიტკბო და სილამაზე ამ ნუგბარ ხილეულისა“ (ლ. მეტრ., „ქართ. ანდაზები“, 1926). 2. დელიკატესი. „თავისი დავიდარბაიანი ჯოჯოხეთის ნუგბარი ისევ უკან წაიყვანოს“ („ოვ.“, 1887 წ., № 1). ნუგბათი (იხ. „Зак. вестник“ 1849 წ., № 5, გვ. 1). 3. ახალი. ქალის სახელიცაა თურქებში. „საგანებო ნუგბარი შოგდით“ (ალფ. დოდე, „შებრძოლი ათეისტი“, ი. მაჭავ. თარგ. 1938 წ., № 8, გვ. 43). „ღორები ცხვირს ჰყოფენ ყოველგვარ უწინდურებაში და თანაც ისეთი ნეტარებით ღრუტუნებენ, თითქოს რჩეული მზარეულის ოსტატობით დამზადებული ნუგბარი კერძი იყოს“ (კ. აღმასიძე – შ. საყვარელიძე, „კოლექტივიზაცია“, 1934 წ., № 265). „გვიანლოვდება დეკემბერი ეს უკანასკნელი ნუგბარი ამ წლისა“ („ოვ.“, 1890 წ., № 249). იხ. საბა (აკ. შან. გამოც. გვ. 251, სიტყვა ნარუქი). „მისი დელიკო კი ხამუშ-ხამუშ (იხ.) გაახარებს ზოლმე სოფლიდან ნუგბარად გამოგზავნილი ამანათით“ (ლ. მეტრ., „პიონერი“, 1935 წ., № 12, გვ. 3). „ოპო, შენც დაიქოქე ძველებსავით, ვე ზომ გაკვეთილი ზღაპარია, რომელსაც ბრანძები დაჟფრიალებს და მაინც არ აშორებენ, თითქოს ნუგბარი ჭეშმარიტება იყოს (დ. თურდ., წ. I, გვ. 160). ნუგბარი რამე მაინც იყოს, ერთი რაღაც ბებერი ქალი იყო“ (ს. ფაშაღ., „ნინავის კრებული“, 1933 წ., გვ. 22). იხ. საბა გვ. 251 და 260 (აკ. შან. გამოცემა). „ახლა გამოიწნდი შენ, თახა ნუგბარი“ (ცენტრ. არხივის ხელნ. № 495). „სამოთხის ნუგბარი რამ იყო“ („ოვ.“, 1888 წ., № 87). „წინასწარი ცნებურა ერთნაირად სანუგბარო არ არის“ (ილია, ტ. III, 1892 წ., გვ. 247). ე. ი. სანუგბარი. „სიყმეს მზემ, ამას რომ შესჰამ, პირში გემო ჩაგრება, ისეთი ნუგბარი რამ არის“ (კ. კარდანახელი, „საადღეობო სანუგბარი“, 1914 წ., გვ. 8). „თვით იმ აზრის ბუნებაში იმოდენა სანუგბარო და სანეტარო რამ არის, რომ ბევრს მიიმხრობს და გაიტაცებს“ („ოვ.“, 1886 წ., № III, მეთ. წერილი დიძ. ყიფიანზე). შეიძლება აქ ავტორის სანუგბარი უნდა ეთქვა – ი. გრიშ. ნ უ გ ბ ა - რ ი ხ ი ლ ი – ახალ-ახალი ხილი, ნორჩი და იშვიათი (დელიკატესი). ქორთა ქალზედაც ამბობენ: ნუგბარი გოგონააო.

ნუნა – ღვინო (ბავშვურად).

ნუნა – ვითომდა!

✓ **ნუნარე** – ამ სიტყვას ხშირად ხმარობენ მშობლები თავისიანების დაწვევლის დროს, რომ წვევლა არ გამართლდეს. მაგ. „აი გაგისდეს დღამინა და თან ჩაიტანოს ნუნარე“. „იმ გულშეკდარმა – ნუნარე – ჩამიგლო გულში სიყვარული“. ერთი სიტყვით: ნუნარე წვევლის უკანვე წაღებაა. ნუნარე დაწვევლაში ხმარებული სიტყვაა, ე. ი. ნუნარ შესრულდებაო. ისე როგორც „შე არ დასაცალებელი“, „შე არ გასაწვევტო“ და სხვ. „დაწმდი, შე არ გასაწვევტო, თორემ აგერ ოთარანთ ქერივი მოდისო“ („ოთ. ქვრ.“, თ. I, II). „ღამაცა, შე არ დასაცალებელი“, დაუძახა მათხოვარს“ (იქვე, თ. II). „რას ეშმაკობ და მაიმუნობ, შენ სასიკვდილე ნუნარე!“ (ნ. ლომ., მოთხ., გვ. 453). „უი დღამინა გასქდეს და თან ჩაიტანოს, ნუნარე!“ (გ. სუნდ., „აუბო“, 1880 წ., გ. 223). „უი ღამიდგეს თვლები ნუნარე!“ (ს. შგალ., „წარსულიდან“, „მოამბე“, 1899 წ., № III, გვ. 53 და 63). „თავზე ლაფი რაზე დაგვასხი, შე გულშეკდრიშვილო, ნუნარე!“ (ს. შგალ., I, გვ. 107). „ღღამინა გასქდეს და თან ჩაიტანოს, ნუნარე!“ (გვ. 15, „აუბო“).

✓ **ნუნლი//ნუნლი** – ფქვილისაგან და შაქრისაგან შეზავებული მოკლე და მრგვალი კამფეტი. „მისი ტიტინი აღზენდა, აჭმედა ნუნლსა, ხალვასა“ (რ. ერისთ., „თამარიანი“, გვ. 35). „ჩემი ცოლი ისეთი რამეები იცის, მურაბე, ნუნლი“ („აყყრა“, მოქ. შესამე). ია ეკალაძე ნუნლს ასე ხსნის: „ნუნლი-ნუნლის გული დაშრეტილი“ (ანთოლოგია, III, გვ. 110).

ნუნურა ფიცარი – ტივის ხიდან ჩამონახერხი გვერდის ხორკლიანი ფიცარი.

ო

ობა – დღეობა, ხატობა, ჯვარობა, დღესასწაული. „ობა მხოლოდ ქართულში იხმარება“ – სწერს აკაკი („გრებ.“, 1899 წ., № 2, გვ. 103). იხ. ბარბარობა, ბოლნისობა, ღვთაებობა და სხვ. „სადაც დიდი, არაჩვეულებრივი საყველიერო ობა“ (გვ. გაბ. „ივ.“, 1892 წ., № 106). „სადღესასწაულოდ წაიყვანა, თვალს გააღებს და შეეჩვევა მეჯლისს, ობას, ხალხის ყრილობასაო“. (გ. ბარნ., „ვარდფანჯები“, გვ. 117). „ობებში მწელია მდიდარ და ღარიბ ქალების გარჩევა“... „დღევანდლამდენ რამდენ ომებში (კორექტურული შეცდომაა, უნდა იყოს ობებში – ი. გრ.) ყყოფილვართ, შენ თუ ნახამ სადმე ახალგაზრდა ქალს ჩითის კაბითა და კისეითა?“ („ციცკ.“, 1864 წ., აგვ. №-რი, გვ. 357). „ისე, ბევრი ხალხი მოაწყდებოდა, როგორც ეკლესიის ობაში იცის“ (ნ. ავაღ., თარგ., „თავადის ქალი“, გვ. 7).

ობოლი მარგალიტი – ცალკე-ცალკე, დაშორებით. „ღვეკური ვითამაშე და ბუღჩენამ გულზე გამოყარა სამ ობოლ მარგალიტანი ქინძისთავი“ (ელ. ჩერქეზ. ავტობიოგრაფიიდან, ხელნ.).

ობოლი საკმელი – წვრილი საკმეველი.

ოდაბარი//ოდიბარი – ამბობენ ომი და ოდაგარიო. იხ. „საიათნოვა“, 33. 1. დავიდარაბა, ჩხუბი, ომი; აურზაური. „ერთი მტკაველა მიწის გულისათვის რა ოდიგარი არ მოზღომა“ (დ. გვიფიშვილი; „ქალაქის ახალი ბოინი“, გვ. 12). „ომი და ოდიგარი“ (ზ. ჭიჭინ. „გასტანგ ორბელიანი“, გვ. 15). 2. მოუსვენრობა, არეულობა. „ომი და ოდიგარი“ (ზ. ჭიჭინ. წიგნი „ილია ჭავჭავაძე“, გვ. 20).

ოდროგლა –

✓ **ოთურბი//ოროთურბი** – (ლოთორლა) ხანჯლის თასმა, რომელსაც ქამარს გაუყრიან ხოლმე, მაგარი, ხამი ტყაეისაგან (ეს სიტყვა ილიას აქვს).

✓ **ოინაზი** – ოინის გამკეთებელი, იხ. იშკილბაზი. ✓

✓ **ოინდარი** – თვალთმაქცი, ოინბაზი. „ამისხი საკუთრივ ჭავჭავაძის ზერის ღვინო! – ეს ვთქვი და წარჩინებული ოინდარი უცებ „გაშრა, დაიკარგა“ (მოლაყბე, „ციცკ.“, 1858 წ., № 1, გვ. 21). „ეს წარჩინებული ოინდარი გაქრა“ (მ. თუშან, ლექსების წიგნი, 1881 წ., გვ. 51).

ოპრო-ბოპრო – უსწორ-მასწორო, ღადაღუდა. „ოკრო-ბოკრო დახტის ბიჭი“ (მ. მღვ., „ჯეჯილი“, 1906 წ., № III, გვ. 4). „როცა ისე ოკრო-ბოკროდ დავდიოდი მე ამ სოფლად“ (ი. გრიშ., „სონას“, „თ და ც.“ 1914 წ.). „სეიდაბადის უბნელები უჩივიან უსუფთაობას. ცოტა ქვემოღხარფუხსა და შეითან ბაზარს შორის ოკრო-ბოკრო და ჩაზრამული ქეჩებია“ („ივ.“, 1886 წ., № 135).

ოლე – „ეს ოლე ობლად იდგა სერზე, ტრიალ-მინდორზე“ (ს. მგალ., „ღედა შაია“, თავი I). დ.ჩ.-ს აქვს „ჭაობი“, გვ. 993.



ოლი — „ოლის ძირიც დაკათვლიერე“ (ს. შკალ, I, გვ. 77), „ოლის ძირში მიწვება სულის მოსაოხებლად“ („ღამის მხრე ცეცო“, თავი II).

ოპახიანად — რიხიანად.

✓ **ოპგალო** — ერთგვარი სურნელოვანი ბალახია, ჰგავს ქონდარს, მოდის ჭაობიან ადგილებში. ხმარობენ საჭმელში სანელებლად.

ოპოპრობს — ჩხუბობს.

✓ **ონაოხი** — უშნო.

✓ **ონაძალა** — ოქრომჭედლების იარაღი, რომელზედაც აწყობენ თვლებს და მერე იქიდან სხამენ ბეჭედში.

ონაცუცი — კალენდარი (სომხ.). „ — უჭეა-მეოქი, გუბნები. — ბიჭო! (იბერელია ეს ბიჭი). აბა, ორაციცი ნახე“ (რ. ერისთ., „თეატრი“, 1889 წ., № 8). კალენდარი, დღის მარეგნებელი.

✓ **ონთაყვირი//ონთაყვირი//ონთაყვირი** — ნავის ან ტივის მოსასმელი. კეტი. „ტიო, ჩემო ტიო, მორთულო და მოკაზმულო, ორთაყვირო მოსასმელო, ზედ კულავ და ზედ სასმელო, სატიოზედ ჩაასულიყავ, ორმოც თუმნად გაასულიყავ.“ (ხალხ.). „იაკობი ცდილობდა ერთი ომჭაყვირი დაეჭირა“ („წარდგნა“ ემილ ზოლასი, თარგ. ივ. მაჭუკ).

ონთაძალა — მდინარე როცა ჰყოფს ჭალას, ორთაძალას უწოდებენ.

✓ **ონთოძალი** — კვანჩხი. Рюмка.

ონოში — გრძელი ფართე ფიცარი ცომის დასაგუნდაკვებლად ან ჩირის გასაფენად.

ონოშტრიალი//ონონტრიალი — (ა)ყალმაყალი, დგანდგარი. „მოსდიოდათ ნხუბი და იყო ერთი წივილ-კივილი, ორონტრიალი“ („მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 48); „ერთი ოში და ორონტრიალი გაღიხადა თავის ქალის გულისათვის“ (იქვე, გვ. 58); არა აქვს დ. ჩ. - ს.

✓ **ონოტოტო** — იხ. ღოროტოტო (ან ჰოროტოტო) (ივ. კერესელიძე). „ემშში რომ შევიდოდა, ჩამოაჯუღდა თარს ხელს, კედელზე რომ გვიდა ჩონგურთან, დაიარსთან, ოროტოტოსთან და სხვეთან ერთად, და შემოსძახებდა თავისებურად“ (აკაკი, „ჩემი თავგადასავალი“, სახელგამი, 1937 წ., გვ. 90).

ონოჯი — 1. მაჰმადიანთა მარხვის დღე. იხ. რამაზანი. 2. თათრების დღესასწაული: პურს არა სჭამენ მთელი დღე - ღამის განმავლობაში.

ონაბაზი — ორპირი. „გლისპა სიბერე, ღირფი ორყაბაზი“ (დ. თურღ., წ. I, გვ. 81).

ონაბაზობა — ორპირობა. იხ. ითილბაზი.

✓ **ონარაკალა** — შერქმეული სახელია ერთი კალატოხისა.

✓ **ონაყალა** ანუ ყორჩაყალა — მთის სახელია ხარფუხის თავზე. 1. ეს მთა ხარფუხის თავზეა, და თავდება წყაროს უბნამდე (იხ. სურდოს ხატის აღწერა ამ მთაზე ჩემს საიათნოვაში). 2. ანუ ყორჩიყალა, მთაა ჩემი სახლის თავზე.

ონოვა — ხაოიანი საფენი; ხალიჩა ორპირად ნაქსოვი. „ვისაც უჩვენი, უკვირდის, ღვთისა თქვის მან სასწაულად; არცა ღარულად ჰგებოდა მას ქსელი, არც ორხაულად“ („ვეფხ - ტყაოს“).

ოსმალო – კოჭის ერთ თამაშობას **ოსმალოს** უწოდებენ: დანიშნავენ მიჯნას, დაამწკრივებენ კაკლებს, დანიშნავენ ადგილს და იქიდან ესვრიან ჯილებს. თუ მიზანში ვერ ამოიღეს, მაშინ ისევ გაიმეორებენ ჯილის სროლას, მხოლოდ ახლა მეორე მხრიდან, სადაც დაკარდა ეს ჯილა. წინ ის ესვრის, ვისი ჯილაც ახლოა.

ობლაჟი – 1. ოყრაყი, აყლაყუდა. (ილია, ტ. III, გვ. 39, „ოთ. ქვრ.“). 2. უხეიროდ მაღალი კაცი. ახმახი, უხეიროდ მაღლა წასული კაცი. ილიას „ოყრაყი“ აქვს. „არა, შე ოყრაყო, ოთარაანთ ქვრივი დედა შენი, მამაა, თუ შენი მოკალა, რომ შეგინახოს“ (თ. II).

✓ **ობროჟა** – წარმოსადგეი, მაღალი ადამიანი, ხეპრე.

✓ **ობრობობო** – ტლანქი.

✓ **ობლაჟი** – დიდი, აყლაყუდა.

ობაუთი//ობაუი – პანაშეიდი (სომხ. ჰოქეცი – სულის მოსახსენებელი ლოცვა). „ვართამეტა ოქეც უგებს ტირილით, ტვრ ყაზრა ჭიპიათურთ ყვრილით, შიხიოლღი ფათას აძლევს ფირილით“ (საქ. მუხ. ხელთ. № 2130, გვ. 3).

✓ **ობრაში** – 1. კაცი, რომელიც როსკიპი ქალებით ვაჭრობს, ხშირად ოღრაშს თავისი „საყვარელი“ ჰყავს, და იგი მას აქირაკებს; ოღრაში ქალის სხეულით მოვაჭრეა. იგი ამით ცხოვრების სახსარს იჩენს. 2. სუტენიორ, ალფონს. 3. მაჭანკალი კაცი, რომელიც როსკიპ ქალთან ცხოვრობს და ამასთანავე აქირაკებს („მაჭანკლობს“). 4. ნამდვილად: ხორცის მპარაკი. ქალებით მოვაჭრე, ალფონს, ქალზე რომ ექსპლოატაციას ეწევა.

ობუზი – ბარაქა, მაღლი.

✓ **ობლაჟი** – უშველებელი ადამიანი. იხ. აყლაყუდა.

ობხარი – 1. ბატკანი. „მამისმკვლელი“, გვ. 280 (სცნობ. ფურც., პრემია). შეს ოხხარში ფულად იყო კამეჩების თავრეილი, ჩემს ოხხარში ბისტათ არი კამეჩების თავრეილი (ხალხ. „ჯეჯილი“, 1894 წ., № 2, გვ. 67. დაწვრ. „ხალხ. სიტყვიერება“, I, ე. თაყაიშვილის რედ. გვ. 125). 2. მეცხვარეთა მეჯლისი („საქ. კალენდ.“ 1890 წ. გვ. 413).

✓ **ობხი** – 1. დაწნული კალათა, რომელშიაც ქვებს ჩააწყობენ და წყალში ჩაუშვებენ ზამთრობით თევზების დასაჭერად. 2. (თევზი) ამბობენ ოხხი თევზი – პატარა გალაყანს გააკეთებენ მდინარეში, შიგ ჩააწყობენ ქვებს და დასტოვებენ ერთ-ორ კვირას. ამ ხნის განმავლობაში თევზი ეჩვევა იქ და ბუდობს მთელი სახლობა, შემდეგ დაუხურავენ კარებს და დაიჭვრს თევზს (დაბანი).

ობხუმი//ობხუმი – ძმადნაფიცობა; აეთანდოლობა. ტფილისის სომხები აღდგომა დღეს ეკლესიაში ეამბორობიან ერთმანეთს (მხოლოდ არა ტუჩ - დადებით), ძმად ეფიცებიან. როცა სახლში მოდის ოჯახის წევრი, ეუბნებიან: **ობხუმი** აიღეო? არის სიმღერაც: „შენ ხარ ჩემი **ობხუმი**, გინდ მოდი, გინდ არა!.. ე. ი. ჩემი ძმადნაფიცო (ხალხ.).“

ობად - ობი – „ყაჩაღ ქარიშს უპოვნია ოცდაათი თუმანი... გაუღია ზანდუკი, ამოუღია სწორედ ოცად - ოცი თუმანი და წასულა“ („დროება“, 1880 წ., № 125).



ოცნობლო — „მეხი კი დაგაყარე ოცნობლო თავზე!“ (რ. ფაველ, „მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 35).

ოხაი — სიამოვნების გამოსახატავად შესძახებენ ხოლმე. მაგ., წყალს დაღვევენ და როცა სასმისს გამოსცლიან, იტყვიან „ოხაი“. „ოხაი, რა კლასიფიკაციაა და!“ (მ. ჯანაშია, „ქართ. მწერ.“, ტ. II, გვ. 82) მე მინახავს დამაშურალი მგზავრი, რომელსაც მწყურვალს მოუკიდია ცივი ხელადა, ჯერ პირი გამოურეცხია (ალბად ცივმა წყალმა კბილები არ დაუზიანოს) და დაწაფების შემდეგ წამოუძახნია: „ოხაი!“ მიამა! ჯანი იფ! ვიშ! მაგალითად, სიცხე - პაპანაქებაში ცივ წყალს რომ დაღვევენ და სასმისს მოიშორებენ ტუჩებიდან, იტყვიან: ოხაი!.. ე. ი. როგორ მიამა და გამაგრილაო. ჯანი, გული გამიგრილა. სიხარულის ტერმინია.

ოხრახუში —

✓ **ოხრობა** — ტიპობა, უპატრონობა. „ბერი უკნესია და ოხრობა შეუთვლია ბუღისთვის“ (ს. შავლ. I, გვ. 4).

✓ **ოხტი** — შინი ანუ ოვთაში, ჯავრის ამოყრა. ამბობენ: ახ, ნეტა შენს ოხტში როდის უნდა მოვიდეთო, ე. ი. როდის ვიძიებ შურს, სამაგიეროს როდის გადაგიხდითო („თქვე წყუღუბო და მ... ბო, მე თქვენი ქართული ლექსები კი არ მინდა, რომ გლეხების ენაზედ სწერთ და ლაპარაკობთ. აი, ამის დაწერა ისწავლეთ, ამის დაწერა, რომ ამის ძალით ჩემი მის ოხტში მოვიდე და თავი არ დავანაგვრინო (ვახტ. და გრ. ორბ. ბასი, ჩაწ. ზ. ჭიჭინა, „საქართ.“, 1916 წ., № 250). „თუ სასამართლოშიც ვერ მოკვდი ოხტში, სენატში გავსაჩივრებ“ (წარწერა ბ. კუპრ. სცენარგაკეთებულ კინოფილმისა „ნახვამდის“, 1934 წ., I/XI). „ჩვენი ქალაქის გამგეობა ვერ იქნა, ოხტში ვერ მოუვიდა ჩვენს თვითნება ყასბებს, რომელნიც ხორცს ძვირად ჰყიდიან“ („ივ.“, 1889 წ., № 64). „მაგრამ თქვენის ოხტიდან ვერ მოვა“ (გ. სუნდ., „დაქცეული ოჯახი“ (ხუნდ.) და „პეპო“, 1880 წ. გვ. 233). „ღმერთმა იცის, ვერ მომიხვალ ოხტასა“ (ტფილისის ხალხ. ლექსიდან). „მაგრამ შენი ოხტიდან ვერ მოკვდი“ („პეპო“, გ. სუნდ., 1880 წ. გვ. 69). „თქვენი ოხტიდან ვინ მოვა“ (იქვე, 26). „ადამიანის ოხტში ვერც ღვევი მიავა, ვერც ეშმაკი“ (დ. ნახუც., „ნაცარქქია“, „ნაკად.“, 1923 წ., № 10, გვ. 19). „მე ურქიანთ ელენეს მეძახიან და მე შენი ოხტიდან მოვალ“ (ანჩისხატისუბნელი — პ. უშიკა, „ივ.“, 1877 წ., № 3, გვ. 16).

✓ **ოხშაბაზობა** — „მე რა ვიციოდი, თუ ეშმაკის მანქანება იყო და მაგდენი ოხყაბაზობა შექმლო“ (რ. ერისთ., „ციცკ.“, 1868 წ., № 11, გვ. 35).

ოჯახპატიანი —

ოჯახლაშა — საოჯახო. „ოჯახლაშა ყველიო“, ყვირიანი.

ოჯახმორი — ქორი სომხ. არის ბრმა ოჯახი.

✓ **ოჰაბაზი/ოჰაპალბაზი** — ჯადობაზი, გრძნეული კაცი. „ის ოჰაბაზი კაცი გაგზადე“ (გ. ერისთ., თხზ., 1884 წ., გვ. 438).

ოჰაპალიშადლო — ძლიერი ჯადო (გ. ერისთ., „ბუნწი“, გამოსვლა მერვე). ერთ სახელმძღვანელოში შეცდომით სწერია: ოჰყალი-ამართულს ნიშნავსო („ქართ. ლიტ. ქრესტ.“, 1939 წ., გვ. 88, „ყარამიანში“).

3

პამპრობა – კამათი, ცილობა, პოლემიკა.

პამაულა – მასხარა, ქღარუნებით მოარული (არა აქვს დ. ჩ - ს). (ილია, ტ. II, გვ. 258; IX, გვ. 149; X, გვ. 61).

პამაულაშობა – ნ. ლომ., „გიგოლ დრუბელაშვილი“, თ. XI.

პანდური//პანწური – მუხლის თავით კუკუს ამოკვრა, გაგდება. ფეხის აქნევით გაგდება. მუხლით ამორტყმა. „...და როგორც კი ნახავენ, რომ საჭირო აღარა ვართ, პანლური და პანწური“ (ივ. შაჭავ, „გლეხისკაცის ისტორია“, 1931 წ., გვ. 74 და 94). „მასწავლებლები ძველად ძალიან ცდილობდნენ არაღვეკალურ ჟურნალების თანამშრომელთა გაგდებას და გაპანწურებას“ (დ. თურდ., „ნორჩი ლენინელი“, 1936 წ., № 29). იხ. იქვე ჩემი ლექსი. „ჩვენ დაუკითხავთ ჩვენი ფულები დახარჯეს, მამასადამე, პანწური და პანლური არამკითხეთო“ („თეატრი“, 1888 წ., № 7, გვ. 1).

პაპასხილი – ტკბილი და თეთრი ქლიავი.

✓ **პაჟარნი** – 1. გაგარდნილი, აშაღლარა, გარყვნილ - გაქსუებული. 2. (რუსული სიტყვა) ცეცხლის გამქრობი. „გასაკვირელი არ არის, რომ ლევან ამას იტყვოდა, ამიტომ რომ ასეთი ამფსონები ეშოვნა, რომელთათვისაც ქვეყანაზედ წმინდა აღარა იყო რა – ესენი გახლდნენ ერთი ბაყალი, სამი შიკიტანი, ერთი ყასაბი, ერთი მეთამბაქოე და ოთხნიც უსახლკარო და უხელებო კაცები, რომელთაც უწოდნენ პაჟარნებად“ (რ. ერისთ., „ცისკა“, 1857 წ., № V, გვ. 36). იხ. „რაც გინახავს, ვეღარ ნახავე“, ჩემი გამოცემა, გვ. 117. „ეს რეები დაუწერია, ძლივ წავიკითხე, ყარსეთი და პაჟარნები რომელია?“ („აკაშიშონი“, 1880 წ., გვ. 22). „ა. ცაგარელი ისე იდეალურად გვიხატავს ტფილისის პაჟარნებს, რომ უცხო კაცს, რომელიც არ იცნობს უმანკობის და სვინდისიანობის შესახებ, ამ საზოგადოებას უპირველესობას მისცემს“ (ი. კავთელის წერ. ა. ც - ს „რაც გინახავს“, „თეატრი“, 1886 წ., № 4, გვ. 31). „ეს პაჟარნები ვის დაამიხებენ“ (რ. ერისთ., ტ. IV, შ. რად. რედ., 1938 წ., გვ. 6). „თითონ პეპოს“, ამ ზოგად გმირს სომხის „პაჟარნისას“ ქართველი არტისტები ქართველ აზნაურად მორთვენ ხოლმე, ხოლო მდიდარი არუთინა უთუოდ სასაცილო სომხის ფჭრად გამოჰყავთ, სწერს ჩიმიშკიანი („ოვ.“, 1889 წ., № 27, ილიას მეთაური ჩიმიშკიანის საპასუხოდ). „აბა ნახეთ ის ქართველი პაჟარნი ნაბაღმოსხმული, ლოთურად ჩითმერდინით ყელზედ“ (ილია, ტ. IV, გვ. 20). „პაჟარნი“ – იხ. ბროსურა „პეპო“ (რუსეთში გამოვიდა) გვ. 6, 7. „ვინცა პლუტი მაწანწალა



ქალაქის პაჟარნები“ (ა. ცაგარა „ოქომელები“, ი. გრიშ. რედ., 1936 წ., გვ. 117). „ერთი ვიღაც პაჟარნს აჰყვა, ფულიც იშოვნა, კი ჩონაც ჩაიცივა, საწყალი მათე კი თავისგინით გააგდო“ (ილია, ტ. III, 1938 წ., გვ. 144 და 145). „(გროში) რა კი მობინდლება, ქალი მარტოკა ბავშვის სინაბარა ვერ ჩაუღება ფეატონში. მუფაიტონე მაშინვე ქალაქს გარედ რომელიმე მოშორებულ ღუქანში ამოაყოფინებს თავს საცოდავ მსხვერპლს და მიუგდებს პაჟარნებს“ (წაქოლა, — ს. შავლა „ივ“, 1877, № 8, გვ. 9). „შეკროვ, შენ არ იყავ ნარგიზას ბარგი ვირივით დაგქონდა, ბალებში პაჟარნების ნასუფრალით რომ მღებოდი?“ შე არ გაგაძლე?“ (გ. ერისთ. თხზ., 1884 წ., გვ. 445). „აბა ნახეთ ის ქართველი პაჟარნი, ნაბაღწამოსხმული...“ (ილია, ტ. IV, გვ. 20; რ. ერისთ., რუს. დაწერ. ფელეტ., 1853 წ., № 39).

პარტა-პურტაიტი —

✓ **პარუნ** — (სომხურია) ბატონო.

პარჟჟა — ხელების უშნოდ გაშლა.

პატარა მუცელი — „მოკრივენი იტყოდნენ ხოლმე, ცაცია რომ პატარა მუცელში გავარტყი, მაშინვე სული გასძვრათ“. **პატარა მუცელი** — იგულისხმება ალბად ფერდი, გულის ქვედა ნაწილი.

პატარიპა — პატარა, პაწია, პაწა.

პაჩი — კოცნა, ლოცნა. იხ. ჩემი „ბარაშკა“.

პაჭანძი — (ნიფხვის ან გეტრის) ტისომკა, ფეხის გულზე ამოვლებული.

პაჭუა —

✓ **პაიტარი** — 1. ყოყლოჩინა, მატრაკვეცა; პეიტრობა — მეტიჩრობა, ყოყოჩობა. (საქმეს რომ აკეთებენ და თან აქეთ-იქით იხედებიან: „აი, მიყურეთ, ვმუშაობო, და ამნაირ თვალთმაქცზე იტყვიან — თუ მუშაობ იმუშავე, ეგ რაღა პეიტრობააო!). 2. მეტიჩარა. 3. ცხენის ბეითალი. „საბა“, გვ. 269 (აკ. შანიძის). 4. ცოდნით ყოყლოჩინა. ილია სწერს: „პეიტრობით — მეტის გონებით სახელგანთქმულნი“ („მგზ. წერ.“, თ. VII). იხ. ჩემი საიათნოვა, სხოლიო სონეტებზე. „დღეს ამ და ამ გულმა ლაპარაკი ესა და ეს ჩემთვის უცნობი სიტყვა სთქვაო, იტყოდა მგოსანი (ილია ჭავჭავაძე, ი. გ.). ერთ ამგვარ სიტყვით მახსოვს, იყო სიტყვა პეიტარი. პაჭრით გამოდიოდა, რომ პეიტარი კაცის წოდება უნდა ყოფილიყო და რომ ჩავიხედეთ ლექსიკონში, აღმოჩნდა, რომ პეიტარი საქონლის ექიმს რქმევა“ (ი. მუნ., „ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან“, „შნათ.“, 1936 წ., № 5-6, გვ. 249). „ნამდვილად პეიტარია“, ე. ი. ნასწავლი, მეცნიერი, სპეცი. შემდეგ ეს სიტყვა დაცინვის სინონიმად გადაიქცა, **პეიტარი** — ტრაბახა, **პეიტრობა** — ტრაბახობა, ყოყლოჩინობა, მკვეხარობა. „ქალო, ქალო, პეიტარო, ღობე-ღობე გუგუარო“ (ხალხ.). **პეიტრობა** — 1. ახირებული ყოყლოჩინობა. ძველად სხვანაირი მნიშვნელობა ჰქონდა. ილიას მოხევე ასე ლაპარაკობს: „აირჩივინ ბჭედა ბრძენ-ბერკაცი პეიტრობით სახელდებულნი“ („მგზ. წერ.“, თავი VI). ხოლო ილია ამ სიტყვას ასე განმარტავს: „პეიტრობით-მეტის გონებით სახელგანთქმულნი“ („კრებ.“, 1871 წ., № 5, გვ. 9). 2. მანია გრანდიოზა, მეტიჩრობა. ხოლო მთაში **პეიტრობა** „მეტის გონებით სახელგანთქმულს“ ნიშნავს (ილია „მგზ. წერ.“). „შე ათასჯერ მითქვამს, რომ თქვენთავად ნუ პეიტრობთ ხოლმე“ (რ. ერისთ., „ადუოკატები“, „ივ.“, 1880 წ., № IV, გვ. 95).

- აპნაი** — ჭიჭყინა, ჭირვეული, ჟინიანი, მიზეზიანი, ჭინჭყელიანი.
- აპყნაი** — 1. პეწიანი, სუფთა, კოპწია. 2. Белоручка. „მისმა დიდრონმა ჭერმალაღმა სინათლით სახვე დარბაზებმა და პეწენიკა, სუფთა მანქანებმა“ (ი. ტატიშ, „ჩიტო“, „კოლექტივიზაცია“, 1935 წ., № 160, 14 ფელ.) იმერ. „პიწვი“. „ორივე პიწკათაა გამოწყობილი“ (პ. მ. საყვარ, „ეკლან გზაზე“, თ. II). „გაუჩნდა თავესა ხელმწიფე, დაარქვეს კანაფარია, იმას რომ ცოლი მოკვარეს, პეწენიკ დედოფალი“ („კოლექტივიზაცია“, 1935 წ., № 76). „კაცი მიუვა პეწენიკს“ (სხალხ. სიტყვ., ვ. თავ. I, გვ. 336). „ისე კოხტად და მოხდენილათ იცვამდა, რომ ყველანი პეწენიკს ეძახდნენ“ (თ. სახ. ბოკაჩიო „დეკამერონი“, 1929 წ., გვ. 96).
- აპწი** — 1. კარგი იერი. 2. სილაძაზე. „თავზე კალმუხის ქუდი ეზურა საკმაოდ პეწეცელი“ (კ. გამს. „ტონთიო“, „ლიტ. საქართ“, 1939 წ., № 34). „განა დაჟფარავს ზემს სიმახინჯეს ფარჩის სიღბო და პეწი?“ (ვ. ბარნ. „ვარდფანჯები“, გვ. 241). „ერთი არტისტი ქალი ძველ ნაშთების მოყვარული იყო. მოახლეს ვეონა, რომ ქალბატონს ვასიამოვნებო და ეს ნაშთები გარეცხა, განახლა, განასპეტაკა და პეწი მისცა“ („თვ“, 1887 წ., № 206). „ალარა მაქვს პეწი, ფერი“ — დოდო მარჯანიძის ლექსიდან (იხ. „ნაკადული“). **პ ე წ ი ა ნ ი** — „თითონ ცხოვრებაც იმ აბრეშუმით პეწანია, მოცინარი და ფერად-ფერადი“ (ი. ტატიშ, „ჩიტო“, „კოლექტივიზაცია“, 1935 წ., № 60). „დაბეჭდილი იყო პეწიან ქალაღღზე“ („სხ. კომ.“, 1935 წ., № 162, გვ. 4).

- ✓ **პილატუს ცრეპლი** — არაყი.
- პიპირია** — პ ი მ პ რ ი ე ბ ი .
- პიწა** — 1. ხის მომცრო ჯამი. ს. მაკალათია კი ამბობს „სპილენძის ტაშტიო“ („მითილეთი“, 1930 წ., გვ. 53). „ოსებში ჯარი შვეიდა, სულ აიღეს კოდი ბინა, შერცხვა მათი დავლობა, ვერ იშოვა ორი პიწა.“ (სხალხ. „კრებ.“, 1899 წ., № IV, გვ. 29). 2. ხის შაქქემა ანუ ჯამი. „პირსაბანი ტაშტები გამოჩნბიკეს და კერძებით კიდემდის გააპიბინეს“ (კ. გამს. თარგ. რუმარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლეულია“, „მნათ.“, № 10, გვ. 117).
- ✓ **პირაღაბით** — სრულებით.
- ✓ **პირახეული** — დაურიდებელი. მოლაპარაკე, ყბალია, ურცხვი, მოლაყბე; ცილისმწამებელი, ლაპარაკში თავდაუჭერელი. (ილია, ტ. IX, გვ. 325).
- ✓ **პირბაპიანა** — პირმრგვალი, პირმთვარიანი. მთვარეზედაც გამიგონია: აი, მთვარე ბაკს იკეთებსო.
- პირბანდი** — პირის კარი, პირსახვევი. ძველად ქრისტიანი დედაკაცები პირს აიკრავდნენ, რომ მაჰმადიანებისათვის არ დაენახვებინათ სახე.
- პირბოზი** — სიტყვის შეუნახველი, ლაქლაქა (იხ. ბოში). „აღელვა ამ კაცის პირბოზობამ“ (ნ. ავლ. თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 161).
- ✓ **პირბუღალი** — მსუქანსახიანი.
- ✓ **პირდაგუფული** — უტყვი.
- პირიანა** — პირობის ადამიანი, პატიოსანი, თავის სიტყვის შემსრულებელი (ილია, ტ. III, გვ. 56, „ოთ. ქვ.“).
- პირის მკითხაბალი** — „იყვნენ ისეთი დედაკაცები, რომლებმაც იცოდნენ პირის გამოქნა, ე. ი. ქალთა სახეზე უწინკენელად და ძაფების საშუალებით ბალნის ამოგლეჯა“ (ვ. ბარნ. „ლომისი“, 1922, № 2, გვ. 9).

პირისსანახავი – ქორწილში მიღებული ადათი იყო. პატარძლის სანახავად და გასაცნობად ნეფის ნათესავები და მყრები ვალდებული იყვნენ, პატარძლისათვის ძვირფასი ნივთები ან ფულადი საჩუქარი მიეტანათ. იმერეთში ამ ადათს „თავგადასაგდები“ ეწოდება. „შიართმევილიან მამამთილი და დედამთილი სძალს პირისსანახავს, ვის რამ შეეძლო“ (ფანასკერტელი-ციციშ, წ. კ. ს. ხელნ. № 1489 და „ივ.“, 1891 წ., № 121). ძველად პირისსანახავად მთელ სოფლებსაც აძლევდნენ. პ. იოსელიანი წერს: „მეფემან გიორგიმ უბოძა პირის სანახავად თვისსა რძალსა გურჯანი, სახასო კაცები, მახცანი სოფელი და ქარვასლა ქ. ტფილისს“ („სცხოვრება მეფე გიორგი XIII-ისა“, გვ. 231, 1895 წ.).

პირპატა მცვა – სიტყვის მასალაა, ე. ი. სახტად დავრჩიო.

პირაუჭა – იხ. ტოპრაკი.

„პირს უუბნება, რა ჰქაჟო, ტანს უუბნება, რა ჩაჰიცივარო“ – ამ სიტყვებს ნებიერ ადამიანებზე იტყვიან. რა დარდი უნდა ჰქონდეს, „პირს ეუბნება რა ვჭამო! ტანს ეუბნება“ და სხვ.

პირუთჳნელი – მიუდგომელი, არაფარისეველი და არამლიქენელი.

პირუხარი ალაშიანი – პირმოთენე, პირში მაქებაარი.

პირქარიანობა – ყბელობა.

პლუტი – 1. ამ სიტყვამ რაღაც მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა და თითქოს სალიტერატურო ენად გადაიქცა, მაგ. „ხმა გავარდა მთელ ქალაქში, რომ პლუტურად მოეკეტნენ“ (ვ. შურული, „ერთი შემთხვევა“, „მოამბე“, 18-¹ წ., № VI, გვ. 38). 2. ეს სიტყვა ქართული ჰგონიათ და იხმარება თარგმანშიც იმ მნიშვნელობით („ერუბ“, 1871 წ., № III, გვ. 33). ეს სიტყვა აქ ძალიანაა გავრცელებული, თვით რაფ. ერისთავიც ხმარობს (იხ. „ჯერ დაიხოცნენ“). წარმოებული პ ლ უ ტ უ ს ი ს სახელიდან, რომელიც, დანტეს სიტყვით, „კაცთა მოდგმის უდიდესი მტერი იყო“. „შენ, შენ რაღას იტყვი, შენ პლუტო?“ (კ. კერეს, „ცისკ“, 1868 წ., № XII, გვ. 38). „მოდი, მოდი, შე პლუტო, დიდი ხანია არ მიეცინია“ (აკაკი, „ჟინტო“, „კრებული“, 1899 წ., № 7, გვ. 88). „კაცი კარგია, მაგრამ ცოტა პლუტობა დასწემდა“ (იქვე, გვ. 43). „პლუტ ჩინოვნიკს ქალი მიეციო“ („შვის დაბნელება“, ზ. ანტ.). „საშიკო პლუტადე“ ამ სათაურით მოთხრობაცა აქვს პლებების (არჩ. რუხაძეს), „სახ. გამ.“ დამ, 1914 წ., № 207. „პაი, თქვე პლუტებო! ეს რა კარგი აქლუმი გამიკეთეთ-ღა!“ (ბ. ჯორჯ, „ივ.“, 1891 წ., № 153). „მალაყს გადადიან პლუტ ქალებთან“ (ხონოს ლექსებიდან.) „ნახევრად პლუტს ძნელად გაუგებ, რაში სტყუის და რაშია მართალ“ („დამაკვირდი“, გამოც. „ივერიის რედაქციისა“, 1887 წ., გვ. 157). პ ლ უ ტ ი ნახმარი აქვს რ. ერისთავს მეორე პიესაში „მბრუნავი სტოლები“ („ცისკ“, 1868 წ., № II, გვ. 46). „ჟინტა პლუტი მაწანწალა, ქალაქის პაყარნები“ (ა. ცაგარ, „იკომედიები“, ი. გრიშ. რედ., 1936 წ., გვ. 117). „საქართველო უნდა დამზობილიყო არა იმდენი ქართველების

¹ ასეა – რ. კ.

სისხლის დაღვრითა ცხადის მტრებისაგან, არამედ პლუტობით და აზარტობით" (ალ. ჯამბაკურ-
ორბ. „დაღესტნის ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები“, 1914 წ. გვ. 9). „მთელი ქვეყანა იცნობდა,
პლუტი იყო და გაქნილი“ (გ. დვანიის „ავტობიოგრაფიიდან“, მანვენა ხელთ. ბ. შვალაძემ). გ.
ერისთ. თხზ., 1936 წ., გვ. 361 და სიმ. ხუნდაძის წიგ., შენიშვ. 408. „გინდა ქება
გამომტყუო შენი ზარმაცობისათვის? პაი, შე პლუტო, შენა!“ (პ. უშიკო „ხალხ. სიტყვ.“, 1937 წ.,
გვ. X). **პლუტისი** — (ინ. ენციკლოპედია) საბერძნეთის ღვთაება. შეიძლება
აქედან. „მითომ არ ესმის, რაზედაც ვუბნები, რა პლუტია“ (რ. ერისთ., პიესა „ადვოკატები“,
„ივ.“, 1880 წ. № IV, გვ. 105). „მაგრამ უნეროსი უფრო მზთალსა პკვანდა, თუმა პლუტობა ამასაც
გამოუვიდოდა ზელიდან“ (ილია, ტ. III, გვ. 143). „ჩაიციენებს პლუტურად“ (რ. ერისთ., ტ. IV, გვ.
33). **პლუტური** — „ბეჟანი ადგა და მძიმედ თავი დაუკრა და თავის პლუტური თვალებით ამდენი
იეშმაკა, რომ ცრემლიც მოიღინა“ (ილია, ტ. III, გვ. 133, 135).

პოია — (პოიო) სომხის პოია. „იმერლები ბევრს აღარ ეხვეწნენ ამ პოიებს, დაამტვრიეს
ღუქნის დარაბები და რაც საჭირო იყო, საგზაოდ გამოიტანეს“ („საქ. კალენდ.“, 1896 წ. გვ. 112).
„ვირებით ნისიის მკრეფეჲ სომხის პოია ბიჭებს“... („ივ.“, 1882 წ. № 85). „არა პკავს სხვა აქაურ
პოიებსა... გვეონება კახელი თავადიშვილიაო, კონვიდამ მოსულეები რომ მინახავს“ (ა. ფურც.
„ავაზაკნი“, 1880 წ. გვ. II; „მგზ. წერ.“, ტ. II, გვ. 12).

პოლიმპერიალი/პოლუმპერიალი — Полумпериап. ფულია მგონი 7-50 კ.
„შე კი, შე ვიცი პოლიმპერიალებს დამითვლიან“ (მელან, „ბნელო“, 1891 წ. გვ. 13).

პოლისუდრა — ეს სათამაშოა. ვ. ბარნოვს მგონი აქვს ნახმარი მოთხრობაში.
წარმოსდგება სიტყვიდან პოლისანდრა (ხეს ჰქვიან).

პოლორჭიხი — საცობი ტიკისა, რუმბს რომ უკეთებენ ჭიპის ადგილას.
კუდს ქვეშ, ბატკნის. „ტიკის პოლორჭიკს ცხვირი მივიგავს“ (ვაჟა, „ივ.“, 1890 წ. № 16).
„უშობელას წიხლი ვკრა, გაეხეთქა ტიკიეთა, ტიკი-ტიკათ გამომადგა, პოლორჭიკი-საკრავათა“
 („კრებ.“, 1873 წ. № 7, გვ. 25).

პომპლაქობა — პომპლაქობა და — ტრაბანობდა, ყოყლოჩინობდა,
თავს იქებდა, მკვეზარობდა. „პომპლაქობდა, ვერუდა ბოზლა ხალხში“ (შ. ნავთელუჯლისა
„ორი პოემა“ 1932 წ. გვ. 13).

პომპოზა — წოწოლა.

პომპოზიანი ქუდი — მაღალი ქუდი, მღვდლების ქუდს პომპოზიანი ქუდს
უწოდებენ. „პატროსანი წვერი გვეწება, კი პომპოზიანი ქუდი და გრძელი ფარაჯა — სხვა რალა
გინდა?“ (გ. წინამძღვ. „საუბარი დაბად. ღალუასი“, 1879 წ. გვ. 44).

პომპოში — Шишка. „თამროს უთუოდ მიათხოვებს ცეცოსა, თუნდ იმისი დედაკაცი ჯავრით
პომპოჭივით სკედობღეს“ (ს. მაგლა, ტ. I, გვ. 86). „იმპზედ მეტს ვერ გავიღებ, თუნდ რო
პომპოჭივითაც დასკდეთ“ (იქვე, გვ. 116).

პოსლიკა — მელიოტი, უბალნო თავიანი, საბას აქვს პოსლიკა. „ის ოხერი
კალა სწორედ ამ დროს ახტა და გრიგოლ პეტროვიჩს ზედ პოსლიკა კოსროზედ კი დაახტა“ (მოგ.
ა. ცაგარელზე: „ცნობ. ფურც“, 1902 წ. № 190). თავმოტკლეპილი. „ერთმა თავმოტკლეპილმა,
პოსლიკა კაცმა სთქვა, დედაკაცს თმა გრძელი აქვს და ტყუა მოკლეო“ („ივ.“, 1892 წ. № 19).



„პოსლიე კავაქას რათ ეძახდნენ? კავაქა მთვრალ კნიაზებში ჩავარდება; ეტყვიან, ამ ყავადანით თავზედ მდღლარეს დაგასხამთ და ეს ხუთი მანეთი შენი იყოს. აილეს და დაასხეს. მას შემდეგ პუსლიე კავაქას ეძახიან (ა. ფურც., „კავაზაკნი“, 1880 წ., გვ. 14; ილია, „ქართ. წიგნი“, გამოც. III, გვ. 274).

პოსტო — ყვეჩი და გამოფიტულთაყიანი.

პრასა —

პროშები — ტუჩები, ლაშები. „ერთი დიდის საბერველის ოდნათ ხომ ბერვა შეუძლია მაგის პროშებს?“ (საქ. სიძველენი, ტ. III, გვ. 385). **პროშინი**//**პროშებიანი** — დიდროვანტუჩებიანი, დიდტუჩიანი. „ეს შევირდი იყო ერთობ შავი, პროშინი“ (ს. მგალ., მოთხ. „წარსულიდან“, „მოამბე“, 1899 წ., № X, გვ. 27). **პროშიანი ტუჩები** — გადმოშვებული, სქელი ტუჩები, როგორც მაგ. ზანგებს. „იჭვიანი ხასიათით შენი გაბრტყელებული პროშინი ტუჩებით“ (ნ. კურდღ. თარგ. პუშკინის „პეტრე დიდის ზანგი“, 1938 წ., საბლიტგამი, გვ. 49).

პროშტი — ხმიანი კოცნა. ტყლოშნა. „კვირია თავის ცოლს პროშტს უგზავნის“ (მ. თუშან. წერილიდან დაწ. ჩუნგ წულსად-სმარტსა). კოცნა, ამბორი. საბაბს განმარტებით: „ამბორი არის სულიერი, ხოლო კოცნა — ზორციელი“ (გვ. 152, რ. ერისთ. რედ.) **პროშტი** წარმოებულია პროშებიდან — ტუჩებიდან. ეს სიტყვა იმერეთშიც იხმარება. „გავიხედე, მოდის ჯიხვი... რქები აქვს ნაყარი, გავბუსუნდი, გავლურსდი, გუშართე ხელი, ერთი კი გაროშტე ხელი ჩახმასხ, გამოუშალე ფეხი და წამევიდა“... (მ. ჯაჭვამის — გ. გაჩეჩ. „სახ. კალენდარი“ 1901 წლისა, ზესტაფონი, გვ. 107). „ცხელის პროშტებით ჩაჩუმებდა (მ. გურიელის ლექსი პუშკინიდან, გეანგენა ი. ბარათელშა). „მოლაკო არის ბეზ კოსტი, ტვიო კაკულ ტებეგოსტი, პაზვოლ იემუ ადინ პროშტი“ („თეატრი“, 1886 წ., № 34). — ამისთანა პროშტს ძალღის პროშტი სჯობია. — ეგ არ იქნება, არ შეიძლება საერთო პროშტი! — არ იქნება? ვა! პროშტიც ჩემია და ქვიფიც ჩემია“. (აკაკი, „ქრებ.“, 1899 წ., № 7, გვ. 71).

პუშ! — ამბობენ: ყურადღებას არ აქცევდა ჩემს მასლაათს, დაჰკრა ფეხი და — პუქ! გაიქცაო.

პუპლუს//**პუპლუსი** — „ქ ერთს მოატყუებ, იქ სხვას ტყავს გააძრობ და — პუპლუს მორე ქახისნოო თავზე წამოგვაჯდები“ (ა. ჯაჯან., „მნათ.“, 1934 წ., № II, გვ. 80). „შენ ეხლა ბაყაყსაც ვერ დაიჭერ, არამც თუ ჭანარსა, დამრჩი ცარიელზედ, პუპლუც! აგრე უნდა შენისთანას“ (გრ. ყიფში, „მოპასანი“, „ივ.“, 1887 წ., № 218).

პუპუს — 1. „საქმე გურიეო, მერე აიღოს და პუპუს, პირში ჩალა გამოშავლოს“ (ილია, „მაჭანკალი“). „ლუქანს დარაბები გამოუყარე თუ არა, პუპუს, ვიდაც შემოეთრია, „პუშკინოვის“ სასარგებლოდ (1890 წელს დაუდგეს პუშკინის ძეგლი. ამჟამად პუშკინის სახელობის ბაღში ამ ძეგლისათვის ფულს აგროვებდნენ, ი. გრ.) უნდა მომცეო. ვინ მეწვრილმანე, ვინ პუშკინოვი?“ („ივ.“, 1890 წ., № 44, გვ. 3). „რა ჩოჩორიც იყავი, ისევ ის ვირი გახდი. ესტო პუპუს, ენდი პუპუს, შიგ რა ბრია-და!“ („ივ.“, 1892 წ., № 253; „ნამუსის“ ლექსიკონი). „მაგრამ ძალდა რომ აიხედა, ნახა რომ ის ურჯულოებიც მივიდნენ და, პუპუს, პირდაპირ ჩამოუშწკრიდნენ“ (გ. სუნდ. „ვარინკას ვეწერი“, თარგ. პ. უშიკი, „ივ.“, 1899 წ., № 5-6, გვ. 103).

2. ქონდრის კაცი, დამრგვალებული, დაბალი ტანის კაცი.



პურის თაფლი – ფიჭიანი თაფლი.

პურბი – ჭიპი.

პუტნალაი – („საათნოვა“, გვ. 58). იხ. კოტნალი.

პუტრიპა – 1. პატარა ტანის კაცი, დაღეული. 2. კარლიკი. ლილიპუტი. იხ.

აჯუგმაჯიჯი, ან აჭმაჭუჭი. 3. მაწაწო, კორჩოტა.

პუტრუსი – ინდაურის თავ-ფეხი.

პუცი – 1. ქალის საშო. 2. ქალის ასო შემოკლებულად.

პუჰპუჰიანი – კაბა.

პუნარი – ყეყეჩი და გამოფიტულთავიანი.

შ

- ✓ შაშვი — უმზგავსი, უსნო, შეტად ულამაზო. „ქალის მაგიერ შევიროთუჟაში“ („მეჯღან“).
- ✓ შაშაააა — მოძველებული, დამყაყებული, ძველი აზრების მიმდევარი. „ვინ ბრძანდება ეს ჟამააა, კრიტიკოსი და ცრუ პატრიოტი, რომ პისარევეზე ჯღიყინებს?“ (ზ. ჭიჭინ; „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 25). ძველი (იხ. აჯამი). შ ა მ კ ა პ ა კ ა ც ი — ძველისძველი კაცი.
- შანბაროს ფერი — „ქეღელი რაც აივანს ეჭირა, იყო შეღებილი ბაც ჟანგაროს ფრად“ (ლ. არდაზ, 1936 წ., გვ. 163). ჟანგის ფერი. „ჭუჭყისაგან ჟანგარო ფერი დასცემოდა“ (რ. ფაფუნ, „მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 32).
- ✓ შაააშუაი — სახრით ცემა.
- ✓ შააუნე — სახრის გარტყმა („ტომ სოიერის თავგად“, 1937 წ., 47). „მათრახების ჟაპუნეო“.
- შინაშლი — 1. წითური ფერი, შინაშლიანი — შეწითლებული, ნაქეიფარი.
2. ჩირაღის ცეცხლი. „შინაშლივით ბიჭი ვიყავ“ (ვ. ბარნ, „ტკბილი ღუღუკი“).
- შიშაბი — წვრილი. „წვრილმა შიშაბმა წვიმამ გაჯავრებით წამოუშინა“ (ნ. ლომ, მოთხ, გვ. 37).
- შუშა — ჟღერა, ხოცვა.
- ✓ შლაპიშლაპი — ალიაქოთი, ხმიანი საუბარი, ყივილ-ხივილი.
- ✓ შლალი — ყომრალი, ნაცრისფერი.

რ

რამბოლარა — ვერცხლის კოვზები და სხვა წვრილმანი რაგინდარაც ბევრი ჩაჭყენე
 ჯიბეში“ (შელან „საქართ.“, 1918 წ., № 332). **რ ა გ ი ნ დ ა რ ე ბ ი** — წვრიმალნი.
 ამბობენ: დღეს რაგინდარების სასყიდლად ვიყავიო.

რაზა —

რაზი — 1. მადლობელი, კმაყოფილი (ოსმალ., თ. სახოკი „გურია, აჭარა“, „მოამბე“,
 1901 წ., № III და ზემო „სათნოვა“, გვ. 110). 2. თანხმობა (არაბ.) (ი. ყიფში, რუს. წიგნი
 „ჭანური ენა“, 1911 წ., გვ. 30; იხ. ბესიკის ლექსები). არ მომწონს რითმა ბესიკისა —
 გაზი თუ რაზი. „ჩვენ კარგა ხანია ხელი ავიღია, რომ უშაჟლოდ კაცი აღარავის გავსყიდვინოთ,
 თუ ის კაცი თვითონ რაზი არ იქნება“ (შეფე ერეკლეს დროინდელი არზა, „მოამბე“, 1900 წ., №
 1, გვ. 32).

რაპარუკი —

რაპაზანო — ანუ ორუჯი. მაჰმადიანთა თქმა, დღესასწაული, რომელიც
 გრძელდება დაახლოვებით ოცდაათი დღე (დაწერ. ი. აბულხაღეს წერ. ჟ. „რელიგიის
 წინააღმდეგ“, 1931 წ., № 2-3, გვ. 14).

რამლი — კამათლებია ერთგვარი, რომლითაც კაცის ეტლს მკითხაობენ.
რამოღენერთა — ბევრი, აუარებელი. „რამოღენერთა სიმინდები იყო“ (ს. შგაღ., I, გვ.
 70).

რანგი — 1. ფერი, ნირი; საღებავი; 2. რანგი — ზნე, ჩვეულება; 3. რანგი —
 ხარისხი, ღირსება; 4. რანგი ყოფილა აგრეთვე „თაფლიანი წყალი“ (შ. დად.,
 „პიესები“, 1923 წ., გვ. 389); რანგი სპარსული ლექსიკონის მიხედვით მრავალის
 სხვადასხვა მნიშვნელობის გამომხატველია. იხ. ბედრანგი. სვანეთში
 თაფლისაგან გაკეთებულ სასმელს ეწოდება (ეგ. გაბლიანი, „ჯიხვი სვანეთის
 შთებში“, 1930 წ., გვ. 42, სახელგ.). 5. რუსულ ხალხურ ლექსებში „რანგი“
 იხმარება, როგორც „ჩინი“, „წოდება“. „Как ни слово себе доброго и ни
 рангу себе высокого“ (პუშკინი, „Капитанская дочка“, თავი VII).

რანდა — შალაშინი. ჭოპოსანი, ქუსტარა (დიდი რანდა).

რასტი — 1. საკუთრივ: ჭეშმარიტება, სისწორე, პირდაპირი. „სიმღერა
 რასტის ხმაზე“ — სპარსული მუსიკის პირველი ხმა. 2. ჰანგის სახელია
 სპარსულად.



რატატაპი — ამბობენ: უკ, შენი რატატების ჭირიმე, რა მოქარგულად გაქვსო.

რატრათი — ბარბაცი. „ფრაზების ერთად შეერთებით ისეთი უაზრო და უთავბოლო რატრათი გამოდის, რომ სრული განხორციელება ქართული ანდაზისა: „ბერუას გაუმარჯოს და აკურას მივიღიარო“ (რეც. პიუსაზე „ვეკენი ვეკენი ზანზალოვი“, „დრ.“, 1885 წ., № 175).

რაფა — სარკმელთან მიმდებარებული თახჩასავით ან თაროსავით ვიწრო და გრძელი ფიცარი, რომელზედაც აწყობენ ძვირფას პატარ-პატარა ნივთებს, ხოლო მიკიტნის ან მეწვრილმანეს დუქნებში მწკრივად ბოთლებს, თამბაქოს და სხვა. „პერლაშეს სასაფლაოც ვხაზე. ყველა საგვარეულოს ცალ-ცალკე პატარა ოთახები აუგიათ, შიგ სკამებია, გვირგვინები კედლებზე კიდია, რაფაზედ შანდლები დგას“ (მსახ. ელ. ზერქუხ. შოგონ, ხელთ.) „იულამ წამოავლო ხელი რევილქერს, რომელიც ბუხრის რაფაზე იდო“ (ე. ყიფში, „ივ.“, 1887 წ., № 112).

რაფათა — 1. თონეზედ პურის მისაკრავი ბალიში. ეს სიტყვა — რაფათა-მერე გამრავლდა ხალხში: დაჩუმდი, თორემ მოვიდა რაფათაში. (დ. ნ., 1033). იხ. სიფათი. 2. ყოფილა პურის საცხობი ბალიში, მაგრამ ტფილისში კი რაფათას ეძახიან პირისსახეს. იტყვიან: ჰა, ჩუმად, თორემ მოვიდა რაფათაშიო! 3. ადამიანის სახე. „დასდე, თორემ რაფათაში მოვიდა“, ე. ი. სახეზე სილას გაგაწნავო. რ ა ფ ა თ ა მთაში კაცის სახელიცაა. საბას განმარტებით რაფათა ლავაშის დასაკრავი ბალიშია.

რალა — ლაპარაკში იცინან. მაგრამ ეს ქალაქური ჩასართავი სიტყვა დასავლეთ საქართველოშიც არის გავრცელებული. ა. წერეთელი სწერდა გ. წერეთელს: „ტყუება რალა თვალსა და ხელს შუა“ („ქართ. მწერლ.“, 1929 წ., № 11-12). „მაია გული თავის ბუდეში მოასვენა იმ იმედით, რომ ეს არის რალა, უშველა ღმერთმა“ (ს. შაგალ, I, გვ. 18).

✚ **რაზრაპი** — ყელში წყალს ან წამალს რომ გამოივლებენ. „ხუნავისთვის: მოიტანე ნიშადური და ყინვარი შაქარი თითო დრაჰმი, ორ სტაჰან წყალში ჩაყარე დანაყილი და ყელში ირაყრაყე, მორჩები“ („მედიანოვის კალენდარი“).

✓ **რაშიდ** — სახელია, საკუთრივ ალალმართლობას ნიშნავს.

✓ **რამრამი** — ბარბაცი.

რამპარუში — დეზების ხმაურობა.

რახჰანო — რაიმე მძიმე რომ დაეცემა ძირს. „ამ თავში რა რახჰანი გაადინა“, ე. ი. თავში კეტი ან სხვა რამ დაჰკერეს. ბრახჰანი, ხმაურობა.

რაჰმი — ღირსება. გამიგონია: კარგი ხმა აქვს, რაჰმინიო.

რამტიანო —

რახი — უკმენი, ტლანქი.

რაჰანო — შაშჰარა.

რიპის პური — დიდი ნადიმი. ძველად, ვიდრე საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა და არ იყო კლუბები და სხვა... ტფილისში, ტფილისელთა

შორის იმართებოდა რიგის პური, ე. ი. ამხანაგ-ნაცნობები ერთმანეთს რიგად უმდაპინძლდებოდნენ ხოლმე. მაშინ ერთ კაცს სამ თვეში ერთხელ ძლივს მოუწევდა რიგის პური, რადგან რიგრიგობით უნდა ესადილნათ ერთიმეორესთან. თითო ნადიმზე რამდენიმე ასი კაცი იყო... შეეძლო ამ ნადიმში ახალჩამოსულ კაცსაც მიეღო მონაწილეობა, რომელსაც სადილი უნდოდა, თუ, რასაკვირველია, ნაცნობი ეყოლებოდა... ამბობდნენ, დღეს ფლანთან თუ ფსტანთან რიგის პურიაო (მოხსენებულია გ. სუნდ, „ხათაბლაში“, I მოქ, ლაწკ. ქიშიშვიის წიგნი, გვ. 13, თავი XII).

რიზლი — ტენიკური ხერხი ქარგლობის.

რიპი — ალაყაფის კარის პატარა მოკაუჭებული რკინა, დასარტყმელი.

რიპრიპა — (Выкройка) თარგი, ყალიბი, ზომა ტანთ-საცმელის გამოსატყველად. ილია ამბობს: „ჩვენ გვინდოდა კვეჩენების მკითხველთათვის, რომ ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოვინდო რიკრიკაზედ“ („საქართ. მოამბე“, 1863 წ., № 1, გვ. 126). ყალიბი, ფორმა. (ჩუმი „მე. ტფ. ბოკემა“). გვარიც ყოფილა. ეს სიტყვა პირველად ილიამ იხმარა („საქ. მოამბე“, № 1) და ილიას ყველაფერში ბაძავდნენ. „ამ რიკრიკაზედ ჩვენი სცენის ბევრი პიესა არ გამოიზომება და არ გამოიჭრება და რაღა მე მომთხოვენ სწორედ ამ ყალიბზე ჩამოგვისხიო“ (მანველიძე-არტ. ახნაზ, „ივ.“, 1889 წ., № 249). „ლურსმანზე გაკეთებულია შაქრის ქაღალდისაგან გამოჭრილი ბაშმაკების რიკრიკები“ (პიესა „კაბიშონი“, ტერ- აცტვაცტურიანისა, 1880 წ., გვ. 5). რიკრიკაძე — „კიროვის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი რიკრიკაძე 23 აპრილის დღის 1 საათზე, წერეთლის ქ. № 8, საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის არტელ „ენერგიას“ ქონებას თანამშრომელთა ხელფასის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმასრულებელ ფურცლებისა № 2, 725 და 2/937.“ სასამ. აღმასრ. რიკრიკაძე („მუშა“, 1937 წ., № 93).

✓ **რიოში** — ყალიბი მარგალიტია (იხ. თაღლითი).

✓ **რიჯა** — ოქრომჭედლობის იარაღი: ყალიბია ერთგვარი, ოქროს ან ტყვიას ადნობენ ბუთაში და შემდეგ ახსამენ რიჯაში.

როპი — გაუგებარი, მოუარშიებელი, ახლად მოსადრეკელი. „ისეთი როკი კცია, რომ“... (დ. ჩ.-ს აქვს, როგორც „ნუერი“). „ნის შტოს ძირი“ (საბ).

✓ **როქანა** — ჩორკნა. „ეკომბალს როკინს“.

როზი — ლახანკა.

✓ **როყინი** — კამეჩის ბლავილი.

როში — წისქვილში ბორბლის ტრიალში როცა ხორბალი იფქვება, აქეთ-იქით სცვივა ქერქი ხორბლისა, რომელსაც ჰქვიან „როში“. რ ო შ კ ა წარმოსდგება ამ სიტყვიდან.

როშიპი — ამბობენ: ადამიანმა როშიკი ლაპარაკი არ უნდა იცოდესო, ე. ი. ამაყი, დიდგულა, გოროხი.

✓ **როჭიპი** — 1. ჯამაგირი. გვარიც ყოფილა: „როჭიკაშვილი“ (ი. ქართვ. მუჟარები“ ტფილისის აოსრება აღამამაღხანის მიერ“, „სიტყვ. თეორია“ გრ. ყოფმ. და ეპ. კირონიისა, 1908 წ., გვ. 178). 2. პენსია. სომხურად ჯამაგირია და არა პენსია. 3.

არის ულუფა. (მ. ჯანაშ. საეკ. კატ. III, გვ. 128, 129). „მე თუ ისევ მეროტიკე ვყოფილიყავი“ (ი. ხელაშვი. წერილი, „საქართ. არქივი“, წ. II, გვ. 187; „ქილილა და ღამნა“, გვ. 112).

რუბა – სპარსულად ჰანგის სახელია. რუბი კი მეოთხედია, ნაოთხალი. მაგ., თუ ეტყვი, რამდენი საათიაო, გეტყვის სამის ერთი რუბიაო, ე. ი. ორიდან გადასულია ერთი ჩარექიო (15 წამი).

რუბაია – ოთხსტრიქონიანი ლექსი, რომელშიაც აზრის მთლიანობა სავსებითაა გადმოცემული.

რუბრაქანდი – სამკურნალო წამალი კუჭის ტკივილის წინააღმდეგ (გასაწმენდად).

რუდუნაბა – გარჯა, შრომა, ღვაწლი.

რუზლი – ბედი, ყისმათი, იღბალი, აჯალი, წერა. „და ვერც თავის ბელსა და რუზლს დაჯერებას იქ“ (ალ. ბარამ, „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, 1932 წ., სახელგ., გვ. 307). რუზლ-მდღეეკარს იტყვიან (იქვე). ხვედრი – (რუზლიანი, იღბლიანი). „საათნოვა“, გვ. 7).

რუზბი – რუსები ეძახოდნენ: „Черные кожаные мешки“ (от Владикавказа до Тифлиса“, 1891 წ., გვ. 94). გ. ლეონიძეს შეცდომით აქვს: რუზბი, ძროხისაგან აკეთებენო (საბას იფაგ). **რუსული სიტყვები ქართულად** – ჩვენი ხალხი ამბობდა: „ჩინოლიკი“, „ლევიზორი“, „პარტაკოლი“.

რუზაპი – მულის და დედამთილის საჩუქარი დამოყვრების დროს. რძალი დედამთილს ან მულს რომ მიუტანს დამოყვრების დროს რაიმე საჩუქარს – ამას რუფაკას უწოდებენ. ძველად რძალი, რომ მივიდოდა ოჯახში, დედამთილს ან მულს საჩუქრად მიუტანდა ან ქირმანშალს ან საკაბეს, ამას რუფაკი ერქვა. მზითვის წიგნშიცაა მოხსენებული.

რუზია –

რამ დაყურსული – Сгущенное молоко.

ს

საათსაზი - მესაათე.

საააჰრანო - (ილიას „მაჭანკალში“).

✓ საარი - 1. დილის სიმღერა, რომლითაც ეგებებიან ცისკარს, მზის ამოსვლას, აისს. დუდუკის ერთგვარი ტკბილი ჰანგია, რომელსაც უფრო დილაობით (უფრო ქორწილის მეორე დილით) ააზუზუნებენ ხოლმე. 2. საკუთ. დილას ნიშნავს; როცა ამ ჰანგს დუდუკზე უკრავენ (და არა ზურნაზე, როგორც ეს მ. ჯავახიშვილს ჰგონია („არსენა მარაბდელი“, გვ. 601), ამით გამოჰხატავენ „ლოცვას მზისადმი“, უფრო მიღებულია ქორწილის მეორე დღეს დილით, როცა ჰაერზე გამოვლენ მოქეიფენი; ძალიან მელოდური და გულისხალმძერელი ჰანგია.

საბაბი - მიზეზი, მაჰანა.

✓ საბარაქალო - „შენ რომ საბარაქალოზედ ჯიხვებსა სცილი, რაღა გადგრეობოდა?“ („ციცკა“, 1865 წ. გვ. 5).

საბაჰი - მოთავე, მოწინავე.

საბალო - თხის ბალანიდან გაკეთებული თოკი.

საბაჰური - Накидка.

საბრი - წამალია ერთგვარი. გამხმარი ნალექლა.

საბუჰი - უხმოზედ ჩაღლევის მოყვარული. სასმელის მოყვარული დილაობით. „საბოჰი“ ფსევდ. იყო აზერბ. მწერ. მირზა ფატალი აზუნდოვის (1812 - 1878).

საბუირანო - მთავარი ფალავანი, მძლეოთა - მძლე, ფალავანთ უხუცესი, ფალავნების ბელადი. (ილიას აქვს ეს სიტყვა „მაჭანკალში“).

საბოჰილა - Бочка. რაჭაშიც (სოფ. ლებში) იხმარება ეს სიტყვა, სადაც წყლის ზიდვა უფრო გახშირებულია.

საბოლისბოლოდ - შენთვისა მაქვს ამორჩეული.

საპათობა - (?) გასაქანი.

საპატობა - ღონე, ილაჯი. სავატობა აღარ ჰქონდაო - ამბობენ. საშველი, გასაქანი. „ისე ცუდად იყო, გენაცვალე, რომ სავატობა აღარ ჰქონდა“ - ელ. ჩერქეზ. ნაამბობი.

სავსი-სურხი — საკუთ., მწვანე-წითელი. სავსი-სურხი ძველი გასართობთაგანია. სათანადო ფიცარზე — ჭადრაკულად დახატული იყო მწვანე და წითელი ფერი. მოთამაშენი: ერთი წითლის მხარეზე იყო, მეორე მწვანისა.

საზანდარი — „Сазандар музыкальный инструмент в роде волынки“. „С робкими мечтательными глазами настраивал зурну“. „ლიხსიქითა მცხოვრებნი საზანდარს მესტვირეს ეძახიან“ (აგუთანი, 1914 წ., ლექსიკ. გვ. 394).

✓ **საზაბანდი** — აზიური მუსიკალური იარაღების ოსტატი.

✓ **საზი** — საკუთრივ ძნობას, მუსიკას ნიშნავს; აქედან საზანდარი — აღმოსავლეთის ორკესტრი; საზი გრძელტარიანი ჩონგურია, რომელსაც რვა სიმი აქვს. იკვრება ოთხ ხმაზე. საზი — განსაკუთრებით აშუღების ჩონგურია; ჩვეულებრივ ჩონგურს კი რამდენიმე სახელწოდება აქვს: „ჯურა-ჩონგური“, „ყოფოზა-ჩონგური“ და სხვ. ჩვეულებივ ჩონგურზე მოგრძო ჩონგური. ტარიანი ფანდურივით. თურქი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი საზს ეძახის „სამსიმიან საკრავს“ („На рубеже Востока“, 1928 წ., № 8, გვ. 34). მოხსენებული აქვს ლერმონტოვს თავის „აშუღ-ყარობში“. ეს ოსმალური ზღაპარი თარგ. კონ. კოლუბანსკიმ („ცისკ.“ 1865, № 1, გვ. 1). „აშოკ-კერიბი (აშუღ-ყარობი, ი. გრ.) უკრავდა რა საზსა და აქებდა ძველთა მოღვესეთა თურქმანისათა“ („ცისკ.“, 1865 წ., № 1, გვ. 1). „მუხამბაზი ცელში საზით თქმული ამ ხმისა, შედგენილი აღუქსანდრე სტეფანოლისა“. (გვ. 7, 1878 წ. „ახალი ანბანი“, შედგ. ჩაქუჩოლანისა, გვ. 19). „საზი — ლერმონტოვის განმარტებით „ბალაღაიკა“ (აშუღ-ყარობი) — აბრამოვიჩის რედ., 1916 წ., ტ. IV, გვ. 277). ჩემი გაშლილი გული გაქვავდა და დამიმუნჯდა. მომღვინი პირი საზი, ჩონგური, ღაირა, ჩანგი და თარი მე მძულს, ვითარცა ჭირი“ (დათა გუგუნა¹ „ღროება“, 1885 წ., № 197).

სათაჟლი — ეშმაკი, მაცთური, სატანა. „სათაჟლი ეშმაკი ან მიცვალებული რომ გამოსცხადებოდა, ისე არ გაოცდებოდნენ“ („კრებ.“, 1871 წ., № III, გვ. 80).

სათალი — ხმელ თევზთაგანია: ზურგიელის მსგავსია, რომელიც დანით სათლელია და ამიტომაც ჰქვიან „სათალი“. (გ. ერისთ. თხზ., გვ. 438, გვ. 456; ვაჟა, ტ. V, გვ. 465).

სათაჟაჟო ჟაღალდის ნიშნაბი: Черва — თხილი, ღობიო, გული, ქუფა. (ქუთ-კათოლიკ). Бубна — აგური, წიკნტი (გურული), თავანი (ქუთ. კათოლიკ). Пика — ყვავი, მაჩა (ქუთ. კათოლიკ.). Трефа — ჯვარი.

სათარა/სათარი — „დავგურგურებ დიდ სათარს“ (რ. ერისთ. თხზ., პატარა, გვ. 75, „საბრუს სახლკარი“). დ. ჩ. — ნალო, შეშა მოთრეული, გვ. 1071. „გადაპირებიყო შუაგზაზე ვეება სათარივით და შევეუბებინა ნაკაღი“ (გ. ბარნ, „ვარდფანჯები“, გვ. 197).

¹ ასეა. — რ. კ.



სათილი/სათლი – პირველად **სათილი** – ვედროს მნიშვნელობით შეგვხვდა ალ. ჭყონიას თარგმანში („მოაბზე“, გარიბაძეები¹). ამ სიტყვას – **სათილს** – ვედროს ადარებს თ. სახ. („ფუნთუშა“ მოახანის, გვ. 86). 1. სპილენძის ჭურჭელია, ძირგამობურთულია, რომელსაც ძველად ქაღალს ატანდნენ მზითვად საწყაულის ნაცვლად. 2. სათლი ანუ სათილი ეწოდება დალაქების თავსაბან ჭურჭელსაც; „სათლი აბანოსი“ („საქ. სიძველენი“, ტ. I, 1899 წ., გვ. 406). 3. ვედრო. „მისღვემა და სცემს სათლით ხელში“ (გ. ერისთ. თხზ., 1884 წ. გამოც., გვ. 456).

სათლიჯაში – ავთომყოფობაა ერთგვარი გაციებისაგან მომდინარე. ანუ სათილიჯაში, ნიშნავს შეცივებას (ავადმყოფობაა). „– სათლიჯანი რა არის? – საოფლე ხურებას რომ მოგახსენებენ“ (მ. გარიყული, მოთხ., 1932 წ., გვ. 19).

სათული – ხორცის დასანაყი ბრტყელი დანა. ხორცის საჩეხი ყასბებისათვის („სათული“ თ. რაზიკი, „ივ.“, 1900 წ., № 138). „ქეძის მოსაჭრელად ჩვეულებრივია წალდი არ ვარგა... ამ საქმისათვის ის სათული სჯობია, რომელსაც ნამგალივით წვერი ქვემოთა აქვს შემოხრილი“ (გ. ბარნ., თხზ., ტ. II, გვ. 25).

საია – სარკე, უბრალო, სადა, უმზატვრო სარკე.

საიათნოვა – ახალი მწერალი – საიათ სპასულად მწერალს ნიშნავს და **ნოვა** – ახალს („საათნოვა“).

ლ **საიასარკე** – სადა, უვარაყო, უჩარჩო სარკე.

✓ **საიასალო** – ვარგებული. „ვისაც კი ან ბაღსა და ვენახში, ან ბოსტანში ედგა ანუ ეთესა კარგი, საიასალო რამ, ბუჟუაშვილს კლანჭები უნდა ვეკრა“ (ნ. ლომ. მოთხ., 1926 წ., გვ. 206).

„საიასალო კაცია, ზრდილი და გულკეთილია“ (ნ. ტ. დად. „სააძრო გამოცანები“, 1897 წ., გვ. 27). **საისა** – შეძახილი ბატებისათვის (ვითომ: „სად მიეხივები, ნაპირ-ნაპირ ნუ მიდინარ და ამხანაგებს ნუ სცილდებით“).

სააღბასა – ეს რუსული სიტყვა ქალაქში ითქმის გადაყრუებულ მოხუცზე.

სააღმეპილი – უთარგმნიათ **Поносного** („კრებ.“, 1871 წ., № III, გვ. 32).

სააწაბუნაბაში – შესაჭმელი, გამოსახრავი. იხ. კ ა კ ნ ა ტ ე ლ ა .

საღა – ბავშვთა სათამაშო სიპი რგვალი ქვა, ხელში დასაჭერი. სალაობაში (ბავშვთა სათამაშო) სიპი და მრგვალი ქვა. მდინარე დიდ ქვას საღავს ეხლება წლიდან წლამდე.

საღარობა – საბავშო თამაშობაა. წარმოებული **საღი** ქვიდან. **საღა ე. ი.** მაგარი ქვა (ს. მაკალათიას „მითულები“, გვ. 126).

საღაპათი – სპარსელების დილის ლოცვა, და აგრეთვე ლოცვა ომის წინ. ჩვენში ვისმეს წყენა რომ უნდათ, ეტყვიან: საღავათ ძაღლოვო, ვითომ სალოცავ ძაღლოვო. რჯული. „შენი საღავათი კი დაიქცეს“ (დ. ნახუცრ., „ჯიუტები“, 1914, გვ. 9).

საღაპათი – ამბობენ: საღ-საღამათი კაციო, ვითომ ჯანიანი და კარგად მყოფიო.

¹ ასეა. – რ. კ.

- სალამ-ალეიშა** – ნიშნავს – Мир с тобою ("Восточ. сбор.", 1924 წ., I, გვ. 146).
ს ა ლ ა მ ა ლ ე ქ ე – (სალამ-ალეიქუმ) – სალამი შენდა!
სალამურა თხზუი – ერთგვარი თევზია, რომელსაც უფრო შამფურზე სწვავენ და ისე გვახლებიან.
სალამ-ძალამი – წარმოებულია, „სალამ-ალეიქუმ“.
სალაზარდა – იხ. „ყარამანიანი“ (1875 წ. გამოც. ტ. II, გვ. 149; 1912 წლის გამოც. გვ. 77).
სალახაზი – ფეხქვეშ დასაგები ფეხების გასაწმენდათ. (აქვს დ. ჩ-ს).
სალახანა – 1. გარყვნილი, გაფუჭებული, გაქსუებული. „რასაც მონახულებდნენ, აგებდნენ ქალაქსა და ყოიარბაზობაში სალახანა ქუჩის ბიჭ-ბუჭებთან“ (რ. ფაფუნ, „მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 40). დ. ჩ-ი სალახანას სასალახოს ადარებს. დ. ჩ-ს ახსნა სხვანაირია **Бойная**, 2. **ს ა ლ ა ხ ა ნ ა**, ადგილი იმ მკვლევლებისა, სადაც ოთხფეხი საქონელი იკვლება. „ქვეყანაზე მრავალგვარი აგაკცობა, მრავალგვარი სულმადლობა და სალახანობა“ (ილია, „ივ.“, 1888 წ., № 16, მეთ.). 3. **ს ა ლ ა ხ ა ნ ა** – მიეთ-მოეთი, შენ-ჩემი, მასხარა. ანუ სასალახო. „სანამ მე თქვენ მოგვხმართო, მანამ არ დამიბერდითო, პოლიტეხნიკუმს ვაშენებ მყარად სალახანის გვერდითო“ (ნოშრევანიძე – ნოშრ. შერკვილაძე, აღმ., „ქონდანი“, 1913 წ., № 2, გვ. 4). „დახედე იმ სალახანას, კაცად ხომ არ ჩამაგდებსა“ („არსენას“ ვარიანტი, ჩემთან დაცული ხელნ.). „ეგ რაღა ძველი უცნაური აზრებია, ღუქანში სალახანების გასართობად მოგონილი“ (ივ. მანაბ, „ოტელო“, 1888 წ., გვ. 36).
სალახი – საქონლის დამკვლელი, სასალახო კი ადგილია, სადაც ყასბებისათვის ჰხოცავენ საქონელს. ოთხფეხა საქონლის ჯალათი.
სალბი – ბზა, ბზაკალი, ბაია, ხეა ერთგვარი. ამ ხიდან განსაკუთრებით აკეთებენ ყუთებს და სკივრებს, რომ ჩრჩილმა არ დაღრღნას.
სალბისურმან – ყარამანიანის მოთხრობის გმირი ქალი. „არც ქალი ურიგო, – დაიწყო ხუტქენიანმ, – როგორი ყარამანიც შენა ხარ, იმისთანა სალბისურმან ის არის“ (ილია, „კაცია ადამიანი“, თავი VI).
სალბუნი – ძალამო.
სალდასტი – საკუთრივ ხის ხმალს ნიშნავს. „სალდასტის კრივი“ – კრივი შურდულებით და ხის ხმლებით.
სალთი, სალთად – მარტოდ, კენტად, უოჯახოდ. „ღუშეთის ვიყავ სალთად გადმოსული სამსახურის თაობაზე რაღაცა მოწერილობის გამო“ (მაჩ, საჭირო ბიბლიოთეკის „შრომები“, წ. III, გვ. 153). ამ წერილების რედ. სალთს ხსნის „უბარგოდს“ (სალთად-უბარგოდ) (იქვე, გვ. 194). მარტოხელა, ამბოკარი, ტლუ, კენტად მცხოვრები. „ვიან ხარ, სიღამ დამჩხავი, ვისი მომესმის ხმანია, არც მე ვარ სალთად, თან მაყვს ჭირში ნაწრთობი მძანია“. „სალთად ტარება დროისა“ (ვ. ბარნ, „ფერად-ფერადი“, გვ. 327).
სალთუი – ქალის დაბეწვილი წამოსასხამი.
სალიანგო – მასსიური. ლიანგი – მასსა.
სამაია – სპარსულად ჰანგის სახელია. **სამაია** არის აგრეთვე ცეკვა, როკვა.



1. სამაია — სპარსული ლექსწყობის ერთგვარი ჰანგია 2. სამაია — ფერხული, შუშპრობა. „აქლემმა უთხრა ვირსა: „ძმარ, მინდა დავროკდე სამაია და ცეკვა ვქნაო“ („სიბრძნე სიცრუისა“).

სამანო — ზღვარი ქვისა.

სამაზური — ქოლგა.

სამი თითის დაღება — „რომელი საათია? — შეიძს სამი თითის დაღება აკლია (ქალაქ-თქმა), ე. ი. მეოთხედი, ჩარექა, ნაოთხალი, რუბი,

სამორინა — ქალაღლის სათამაშო სახლი; საყომარბაზო ადგილი; კაზინო.

სამაშრინო — უსუფთაო („ძმური სიტყვა“, იხ. ლექსიკ.).

სამღვთო — ხატისათვის დაკლული ცხვარი; ტარიგი. სამღვთოს ხატსაც უწოდებდნენ (პროფ. ივ. ჯავახ., „ქართვ. ერის ისტორია“, 1913 წ., ტ. I, გვ. 130). „ზარაზთა ამჟარი სამღრთოს შემდეგ ცისკენ შუშხუნებს უშეება („ივ.“, 1891 წ., № 131).

სანათური — ჭერში დატანებული ფანჯარა.

სანაშურა — მოზრდილი ჭურჭელი, რომელშიაც აგროვებენ სხვადასხვა სასმისთაგან მონარჩენ ღვინოს და მისთანათა.

სანატრიონი — იდეალი.

სანაძი — წყლის ჭურჭელს ნიშნავს (ი. ტატიშ. მოთხრობაშია ეს სიტყვა, „მნათ.“, 1929 წ., № 1, გვ. 80).

სანაჩური — ვირის მოსართავი.

სანდალი — ერთგვარი წითელი ხეა, გამძლე და მაგარი, საიდანაც აკეთებენ ძვირფას ნივთებს; ხარობს ინდოეთში, სურნელოვანი ხეა, მუქ-წითელი.

სანთი — ხერხი. სანთიანი-ხერხიანი. ამბობენ: სანთიანი ადგილია, სანთიანი ბიჭია და სხვა. „გამგეობას კიდეც ეამება, რომ ყასაბხანა აქ დარჩეს, რადგან მას არა აქვს ისეთი სანთი და სახერხო ადგილი, როგორც არის მუხრანსკის მამული იარაშუკში“ („ღრღობა“, 1884 წ., № 3). ს ა ნ თ ი ა ნ ი — მოხერხებული, მარჯვე. თ. სახოკიას ვ. ბარნოვის მოთხრობებში („ფერად-ფერადი“, 1934 წ., გვ. 520), ეს სიტყვა სინათლისაგან ჰგონია წარმოებული და ასე აქვს ახსნილი: „ნათელი, სინათლიანი, მარჯვე“. ეს მარჯვე სწორია, ხოლო პირველი ახსნა ზედმეტია. მოხერხებული (გურიაშიც გამიგონია: „სამთიანი“, „სენთიანი“.

სანთური — ყუთი, რომელზედაც ჩხირებით უკრავენ ორივე ხელით. „გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდეც დააწყარუნო ამდენი ხნის დაღუმებული შენი სანთური“ (ნ. ბარათ. წერ. გრ. ორბელიანისადმი). ამ სათაურით („სანთური“) დაბეჭდილი აქვს ლექსების წიგნი კირილე ლორთქიფანიძეს (თომა კარგარეთელის ფსევდონიმით). წინწილი. ციტრა („ივ.“, 1889 წ., № 196).

სანაძე — Фортучка. „ალღუზიანში“ კი (მ. ჯანაშ. გამოც., 1897 წ., გვ. 126) ნახმარია „სასულე“.

სანსალა — წყლის ლიფსიტას მსგავსი პატარა ჭია.

საოტობა — არაქათი, ღონე, ძალა. „რა ჯანი და ღონე რჩებათ, ეს არის საკვირველი,

შეხვედით, თუ ეზღანდელს ქალს ედოს ცოცხალი აღმამის ფერი: თითქოს სულ სანათლისანო არიანო, საოტობა აღრა აქვთ" (ა. ფურცა, „ავაზაკნი“, 1880 წ. გვ. 63).

საღი —

სარაბახი — Карниз (სადურგო)¹.

სარაზი — გადასაკეტი, დამკეტავი, გადასარაზი. ამბობენ: ეს ქალი წარბ-სარაზიანიყო.

სარაპუნე — იხ. ზანგალაკი. ხისგან გაკეთებული პატარა ზარი, რომელსაც ხბოს და სხვა საქონელს აბამენ ყელზე, რომ მწვემს არ გაუჭირდეს ღრეკლდებში ძებნა (ფურც. „ახ. დროება“, 1906 წ. გვ. 16).

სარანბი — წესიერების, მშვიდობიანობის დამცველი მოხელე. „რაოდენთაჲმე კაცთაზედა დაწესებული უფროსი ქალაქთა შინა, ზეთად და შესაშინებლად ბოროტთა და ავაზაკთა“ (1841 წელში გამოც. „ჟეფნისტყაონის“ ლექსიკონი, გვ. 234).

სარაღუჯი — „ლუჩაქს ქვეშე სარაღუჯი, ძვირფას აკაკალთა და ლართა ქმნილი“ („ივ.“, 1891 წ. № 122).

სარაჯი — ტყავის ქამრების, ჩანთების, უნაგირების და სხვა ტყავეულების მკეთებელი. სარაჯი არის აგრეთვე შადრევანი („ჟეფნისტყაონის“, კუპლეტი 318).

სარამხული — ფეხის გასმის ერთ-ერთი ხერხი ლეკურში. ლეკურში სხვადასხვა ფეხის გასმას შემდეგი სახელები ჰქვიათ: „ცეკო“, „პირდაპირი“, „ჯვარედინი“.

სართავი (?) („ცისკ.“, 1870 წ. № 1; რ. ერისთ., ტ. IV, გვ. 23).

სართი — დანამატი, ზედმეტი. „ტანისამოსი რუსის ფარაჯაზედ გავცვალე და ერთი თუმანიც სართი ავიღე“ (ილია, „გლახის ნამბობი“, თ. XI). ს ა ბ ა ს განმარტებით: საცვალზე დასამატი. „ძვირად ყიდვა სჯობია კარგისა, ზედ გამოლება სართისა“ (ხაღს.) „ჩემის საბაღლოდ, სართად იყოს პატარა იორკ“ (ივ. შანაბ, შექსაირი, „რინარდ შესამე“, 1928 წ. გვ. 141). დ. ჩ-ს აქვს „სართავი — სართო მომატება“. „ის სამი ცხენი ვიდასაც კიანურზე და მოახლე გოგონზე გაუცვალა და სართად ცდასუთი მინალთუნიანი ბილეთი ფულად გამოართვა“ („კერბ.“, 1871, № III, გვ. 69). სართი — დასწრებისა. „პირიქით თვითონ ვაზარა ასწრობდა სართს და იჭვიანობდა“ (მელან, „მოამბე“, 1899 წ. № VIII, გვ. 7). (ანუ სარუყოფი), „ცხენი გავცვალე ცხენზედა, სართი ავიღე ბევრია“ (ხაღს.). „სართი შუშაა“ — ასე ამბობენ შუშების ჩამსმელები, როცა აღმასი ძნელად ტარდება მინაში.

სარისტა/სარისტო — თავდარიგი, (თადარიგი). „სარისტა“ წარმ. უნდა იყოს რუს. староста-საგან. „შეიძინა კარგი საქონელი და ქმრისგან დაწვეულს სარისტას, მხნეობას უფრო უმატა“ („მოამბე“, 1895 წ. № XI. ვ. ბარნ, „მნათ“, 1929 წ. № 7, გვ. 37). „პირველი მოთადარიგე და სარისტის მიმცემი“ (მელან, „ბნელო“, 1891 წ. გვ. 147). „ზელსაქმეში და სახლის სარისტში არ ჩამოუვარდებოდა დედას“ (ვ. ბარნ, „ტკბილი დუღეკი“). სარისტინი —

¹ ასეა — რ. კ.

წინდახედული, თადარიგინი. „ველისანი სარისტანი კაცა და ამიტომ მან ნოტარუსის ბეჭედიც მოიშველია...“ (სირუსი, გაზ. „კომ.“, 1936 წ., № 20, 26 იანვარი). „სარისტანი კაცის სახელი პქონდა გავარდნილა“ (ს. შვალ. I, გვ. 83). ყველაფერ საქმის მოძწეობი; კილოდანი. „მართა სარისტანი აღამანია“ (ნ. ლომ, მოთხ., 1926 წ., გვ. 466). „...ის სარისტანი აღამანია — იმას ყველაფერი აქ“ (ა. ფურც, „ქიტესა“, 1890 წ., გვ. 9). „ამას ხელს უწყობს მილიციელის თავდაპყრილი, საზრიან-სარისტანი ქცევა“ (ნ. ზომლეთ, „მუშა“, 1934 წ., № 2). „როგორც მეოჯახე კენისა გენო ჯორჯაძისა სარისტანი, შეუდარებელი და მეტად კარგი დიასახლისი იყო...“ („ივ.“, 1889 წ., № 56). **სარისტანიობა** — თადარიგი. „...პეტრე ბგრატიონის სარისტანიობამ საზოგადო ყურადღება დაიმსახურა“ („კლდე“, 1912 წ., № 1, გვ. 9-11).

სარსალი — უჯერო ლაპარაკი, ტარტარი. „დაბეზლება და ენის სარსალი“ (ს. შვალ., I, 8).

სარსარაპი — „თქვე, ოხრებო, თქვე სარსარაკებო, ამოდუნა ხანი ერთად გვიცხოვრია“ (გ. ბაშინჯ, „ახირებული მასპინძელი“), „სახ. საქმე“, 1920 წ., 10 დეკ.).

სარსალი — ტუტუცი, ჩიტირეკია, ქარაფშუტა.

სარაქველ-გაშლისპირი — თავდაზნურული დედაკაცის საცემელის მასალა.

სარაქველი — ყიდვა-გაყიდვის დროს ვინც ზედმეტს მისცემს. მაგ., თუ ერთმა იყიდა ნივთი მანეთად და მეორემ კი 1 — 20 შეაძლია, ამ ზედმეტს (20 კ.) ჰქვიან სარაქველი. უფრო დუქნის გაყიდვის დროს იციან: „ვა, მეტი რა უნდა, ათ თუმანს ფულს ვაძლევ სარაქველად და თოდ დამითმოს რაღა ის დუქანიო!“ ს ა რ ა ქ ვ ე ლ ი — დუქნის ან ბინის დასაცლელად წინასწარ მიცემული ქრთამი.

სარვა — გამორჩენა, მოგება.

სარძი — დუღუ, სარქი ამოიღე.

სარაქველი — გინებაა.

სასალი — „სასალი ბიჭი იყო, მალაღი, ხუსტი აგებულებისა“. (ვ. ბარნ.)

სასალი მხალი — საადრევეო მხლის ჯიშია, ნაყოფი წვრილი, ტკბილი, თხელკანა და სურნელოვანი.

სასთამალი — თავსადები.

სასმილი — სასმელი.

სასუნლაპი/სასუნაპი/სასუნაპი — შესამჭელი რამ. (ლ. არდაზ., 1936 წ., გვ. 152). იმერ. საცუცნავე („გულქანი“).

საური — ზეწარი, ჩარსავი, ბალიშის პირი, საური არის აგრეთვე ჯარიმა, გადასახადი. მიტკლის საურგადაკრული დიდი ბალიში იდვა (ნ. ავაღ., თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 72). ბალიშის პირი (არა აქვს საბას). ბალიშის თეთრი ზედაპირი. „ალისფერ ატლასის ბალიშებზე გადაკრული იყო წმინდა ტილოს საურები, რომელზეც გარშემო ეკერა ნაკერი ბატისტზე არშიები“ (ლ. არდაზ., კ. კეშელავას რედ., 1936 წ., გვ. 107). „ამ რამდენი ზეწარი, საური, პირსნოცი, ხელსახოცი და ტრუსები უნდა დარეცხილიყო ბავშვებისათვის“ (მარიჯან — კ. ჩუკოვსკის „მზიანა“, 1936 წ., გვ. 70).

13. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი.

საფუტუნაბალი — სასტკენი, საკრავი.

საძორიდან კოჭამდე — თხემით ტერფამდე.

საღამო კარბა ყოფნისა — ე. ი. საღამო მშვიდობისა (ძველებური საღამო).

საღერღელი — „ერებ“, 1871 წ., № III გვ. 8.

საღი — მეწდე, მერიქიფე. „ღვლით, ღვინო, არაყი ჩვენია, მეჯლის-საზნდარი, საღი ჩვენია“ (საიათნოვა).

საღლაპი — მთელი.

საღრჩი — მენახირე.

საღ-საღამათი — ჯან-ღონით სავსე, ჯანსაღი. „რა საღ-საღამათი იყო, ვინ იფიქრებდა, რომ ასე უცებ გასჭიმავდა ფეხებს“ (ნ. ავალი, თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 238, 320). უკნებელი. (ილია, ტ. IX, გვ. 184). „განზრახვა ჩემი წმინდაა, გული საღ-საღამათია“ (ბაჩ., გვ. 494). სრულიად უზადო, სავსებით ჯანსაღი. „უნა საღ-საღამათად დატოვებული შეღონებული შვილი და ელდა ეცა...“ (ს. მგაღ., I მოქ.).

საჩიჩაბაბურ (ა)ლ — Кропотливый.

საძირო — (ანუ საცერული) ბეჭედია ცერზე ჩამოსაცმელი, დაკბილული ხორკლებიანი, რომელსაც ძველად მოკრივენი კრივის დროს იკეთებდნენ ცერზე. ასეთი რგოლი ეხლაც არის ხევსურეთში, რომელსაც ღ ა ჯ ი ა ეწოდება.

საიძიველი — სათხოვარი ნივთი თუ საგანი, რაც ისევ უკან უნდა დაუბრუნდეს პატრონს. „მოსაციქვლეს დახედე და საციქველზე უარი ისე უთხარი“ (ანდაზა).

საძირობა — საძირობა არა ჰქონდა, ე. ი. ადგილიდან ვეღარ იძროდაო. „ისე მკვრად ჩაბოჭა, რომ საძირობა აღარ მისცა“ (რ. ფაველენ, „მოამბე“, 1895 წ., № XI, გვ. 58).

საწონი ძიპი — გირები.

საძირეთელი — ასე სთარგმნა გოგოლიდან გ. ჩ-ნმა (ერებ., 1871 წ., № III გვ. 30).

საძიპ-ძაძიპი — ტკბილი ტიკტიკი.

სახიანი — „სახიანი შარვალი აცია“ („აუპო“, გვ. 2).

სახიდან ბარჩაულა — ავადმყოფზე ამბობენ: სახიდან გარჩეულაო. ხოლო მკვდარზე — ჩარჩეულაო.

სახრინაპი — „გაჭირვებამ სახრინაზე დაგვაყენა“. ან „საქმე სახრინაზე მიღა“ (ვ. ბარნ.).

სახტად — ამბობენ: მითხრა თუ არა, მაშინვე სახტად დავერჩიო, ე. ი. გაეშრი, გაეკეპაედი, გაეცვიფრდი და მაშინვე ვერაფერი მოვისაზრეო.

საპაპარო — სახელდახელო, საჩქარო, ნაუცბადევი. „საპაპარო და ნაუცბადევი არა ვარა რა. თუ ამუნება, დიდხანს უნდა შენდებოდე“ (ვ. თვალაძე — მის. საყვარ. „კოლექტივიზაცია“, 1935 წ., № 56, გვ. 2).

საპა — თარის სამმუხლოვანი ჰანგია.

საპადა — ვერცხლზე სიშავე. ვერცხლზე შავად ამოჭრილი სახეები. ის. დასევადებული.

სეპანდური — მისრიალებს სევანდური.

სეიდაბალი —

სერა — სადღეებლის პირის მოსაკრავი.

სერი — ნიშანი, რომელსაც ცხვარს ყურზე დაადებენ (ყურს გაუჭრიან).

სეფილი — დუდუკზე დაკრული სამგლოვიარო ჰანგი, რომელსაც ახლად მიცვალებულის საფლავზე უკრავენ ყარაჩოლები. „იჭიფეთ ზურნით, მაგრამ ცრემლი არვის ჩამოსცივდეს და მიძღვრეთ ეს სეფილი: ბარაშკაჯან, არ შეცივდეს!“ (ჩემი „საათნოვა“, 1918 წ. გვ. 66). სპარსულად მწუხარე ბაიათის სახელია. „ისე გაუზღო, რო სეფილის ბაიათი დავაძხო“ (გ. სუნდ, „აქო“, 1880 წ. გვ. 231).

სეხნოლა —

სეპ — ნამუშევრის ერთი წყება, ანუ კვალი. „არ ჩერდება. მზე აჭერს მის ტანს, სანამ სვეს კიდევ ერთს არ გაიტანს“ (ს. შანშ, „დროშა“, 1924 წ. № 16-17, გვ. 5). მკის დროს იტყვიან; „სვე გაიტანაო“, ე. ი. იყორადა და სხვას აჯობაო. „მოძებნა აიტანეს მესამე სვე და მეოთხე სვე ნახევრად ჩაიტანეს“ („მოაბე“, 1896 წ. № 4, გვ. 36).

სია — უშნო, დონდლო. „გამჭვირვალ ჩაღრში ზედავა მზახე, მოლას შემოლოდა მთლად სია სახე“ (ი. ხინველი, „მშრომელი ქალი“, 1929 წ. № 1). მოშიშარი, უხეირო, ტუტ-რუცანა, ყვეფი, ულაზათო, უმზგავსო, ბედასლი, ბაიფუში, ცანცარა, ყურყურა. ბ. ანოსა, „გეურქ ალა და შანტაჯისტები“. ავტორი აქ გულისხმობს წიგნების დამტარებელს და გამომცემელს მთაწმინდელ ალ. შახბარათოვს, რომელსაც მეტი სახელებიც ერქვა: სია, შიბრია და სხვ., „მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი ს ი ა“ — ს ი ა — მეტი სახელი... ალ. შახბარათოვისა. სია — იხ. ყურყურა.

სიაბანდი — იშკილბაზების დამხმარე კაცი.

სიათა — თოფია ერთგვარი. „ხმალი შემოკრა ერეკლემ, თავი წინ გადაუდლო, თოფიც უჭირავს სიათა, ჯურაც არ დაუცლიაო“ („კრებ.“, 1873 წ. № 7, გვ. 37). ს ი ა თ ა — ლულიანი ერთგვარი თოფია. სანადირო თოფია. „თოფო სიათავ, გემდური უხორცოდ გაშვებისთვის, გაგტენე ტყვა-წამლითა, წაგიღე ნადირისთვისა...“ („კოლექტივიზაცია“, 1935 წ. № 11) „თოფი მეკიდა სიათა, ტუზი ჰქონდა ზვარანისა“ („თეატრი“, 1886 წ. № 5). ხალხური ლექსი ამბობს: „მზარზედით თოფსა ააცლის სიათა პირკამლიანსა, წელზევით ხმალსა შემონსისი, პირფრანგულ როზის ქვისასა“ („ცნ.“ ფურც., დამ., 1906 წ. № 376). „ბევრისა დედა ვატირე, ბევრისა ცოლი თიანი, ბევრისა თოფი შაკვიდე, სიათა პირკამლიანი“ (ფშ. ხალხ. ლექსი). „მზარზე კიდიდა სიათა, თავით ბოლომდე ჭრელია“ (ივ., 1893 წ. № 218; ვაჟა, I ტ., სახელგ. გვ. 385). „თოფი უჭირავს სიათა“ („ივ.“, 1883 წ. № IV, გვ. 91, ხალხ. ლექსი).

სიანამური — კვერნას ძვირფასი ბეწვეულია. სია ნიშნავს შავს, სამურ-კვერნას. ხაზიდი. Соболя. რისგანაც ძვირფასი ბეწვეული მზადდება.

სიბანდი — „ლ ე ქ ს ი ს ო ფ ე ლ მ ღ ვ ი მ ე ზ ე“: ალილო და მიწყაღე, მე ხუცობა ვისწავლე, სამი ვწირე ტაბლაზე, თვალი დამრჩა ყლაპაზე; არ მოვიკლებ ამას, იმას, ხარისა სიბანსა, სამ ჯამ კორკოტსა, ორ ჯამ შილაფლავსა, გავალე ხანასა, გავადენ ყლარჭასა, დიაკანო, ჩახურჯინე, ჩახურჯინე, შამფურს წვერი მოსტეზე, ხურჯინი არ გავვიზვრიტოს, სამწადე არ დავკარგოს...“ (ჩაწ. ი. გრიშ. მიერ, ნაამბ. სოფ. ალექსიძისიგან, 1932 წ. V/II).

სიბაზრონა — უსირცხვილო, უკდემო. ამბობენ: დადგები ქუჩის კარებში

სიგზორინასკვით და დაუწყებ თვალების ბრეცას ბიჭებს და უსირცხვილოდ ლაპარაკობო, ვითომ არავისი არ გერიდებო.

სითხო – Глядь. ნაცური-სითვი, ნაცური ერთი ტიპთაგანია. ქართულად სამი სახელი ჰქვიათ – ჩ ი გ ი ნ ი, ნ ა ც უ რ ი, ს ი თ ვ ი.

სიმა – წალისთვის ერთგვარი თხის ტყავია, რომელსაც ხარაზები აბრტყელებ-ალამაზებ-აბრწყვილებენ.

სიპარაპ – ჯიუტობა.

სილა – სრული საწყაო. პირთამდე. ლიცლიცი.

სილაჰი – 1. (დაბლებისათვის) ქატოს, მარილს და თქვილს აურევენ, და ნედლს ტყავს ჩასდებენ კასრში, ამყოფებენ 7 – 8 დღეს, მერე ამოიღებენ და ამოქნიან. ამას ს ი ლ ა ქ ი ეწოდება. 2. ლაწანი, სილა.

სილიბილი – ფარისეველი. ამბობენ: რას სილიბილობო, ვითომ რას ფარისეველობო. „ნებას ვინ დაგრთავს, რომ შენ იმის დასანიშნავს ქალს სილიბილი გასწიო“ („ხათაბლა“, გ. სუნდ). „ერთი უფურთ რას სილიბილობს (აკაიშონი“, 1880 წ. გვ. 11). „ოპ, ღმერთო ჩემო, ამდენი ტყვილი სილიბილი იქნება, ამდენი ყაღობა“ (გ. სუნდ, „გვარინკას ვეჩერი“, თარგ. პ. უ-სი, ივ., 1879 წ. № 5-6, გვ. 99).

სიმიდის ზარი – მუხის ხე-ტყეზე მოწყობილი ჭალებით. დაწნულია შინდის წინელით, რომელშიაც ყრია საზამთროდ შესანახი სიმინდი, დიღია, ერთი თავი ვიწროა, მეორე – განიერი.

სიმაჰი – ოქრომჭედლების იარაღი; მაკთულის გამოსაწვევი; ბრტყელპირიანი მაშა. სიმის გამომწვევი (იმერ. ქაჩვა), ქაში (სპარს.).

სინაბარა/სინამარა – ამბობენ: შენ მიხვალ და მე ვილას სინაბარას მიშვებო. ამბობენ კიდევ: ვის ა მ ა რ ა ს მტოვებო. ა ნ ა ბ ა რ ა. „სხვა ლაქების სინაბარას არ გაუშო“ (აქობ., გვ. 34). „ბედის ინაბარა“. იხ. საბას „ქილილა და დამანაში“: „გვას, შენს ამარსა“. „სახლი ვის სინაბარა გაუშო?“ (ციცკ., 1865 წ. სექტემბერი, გვ. 32). „პატარა კაცი დარჩა ერთის ფეხის, ერთის ხელისა და ერთის თვალის სინაბარა“ (ავ., 1881 წ. № 2, გვ. 40). „იმ უღმერთომ იმის სინაბარას როგორ გაუშვა (ახნლო“, გვ. 3, 32). ს ი ნ ა მ ა რ ა – ანაბარა. ამარა. ფშავში „ინამარა“. „მტერი და მოკვე დარჩეს ჩემ-ფერის ინამარას“ (ბაჩ. ივ., 1887 წ. № 213).

სინამაჰის ფოთოლი – „Александрійский лист“ (ზ. ჭიჭინ. „აკალენდ.“, 1898 წ. წიგნს გვერდები არა აქვს)–

სინბჰრი – „წითელი, როგორც სინგური“ (ს. მგალ, „მოამბე“, 1899 წ. № VIII, გვ. 75).

სინსილა – შთამომავლობა. „მამ სასოვიჩი ნუღარ ერქვას ამ ბიჭსა, თუ მამ სახლში

თქვენი სინსილა არ გავაწყო“ (ნ. ლომ, „მოთხ.“, 1926 წ. გვ. 245). წინწილა – წიწილა?

1. წინწილი – სამუსიკო საკრავი. 2. წინწკალი: „მცირე ნაპერწკალი“ (დ. ჩ.). 3. წ ი წ ი ლ ა. 4. სინსილა „ახალი გამოჩევილი მართვე ფრინველთა, გინდა მძრომთა“ (დ. ჩ. გვ. 1178). საყებურის (ყამჩის) სამკაული, ცრემლის ფუნჯებივით ჩამოკიდებული. „ქათიბი მხოლოდ გოზრებ-შირიკ-სინსილიანი – სირმის ზარფორიანი“ (ავ., 1904 წ. № 103).



სიპლუტა – (იხ. პლუტი). „შენი მატრაბაზობა, შენი სიპლუტე“ („ღაჟა“, გ. ერისთ., გამოსვლა მეცხრე).

სირაჩხანა/სირაჯხანა – ქართულად ნათარგმნ მ. გორკის „დედაში“ სირაჩხანა ყველგან ნახმარია, როგორც ღვინის გამყიდავი მიკიტიანი, მაშინ როდესაც სირაჩხანა ადგილია, სადაც სულ განსაკუთრებული სირაჯები არიან და ღვინით ვაჭრობენ. იყო ავლაბრის თავდაღმართში მეღვინეთა კუთხე, მეღვინეთა უბანი. „ოთახი თითქმის დროებით სირაჯხანად გადაიქცა“ („კრებ.“, 1871 წ., № III, გვ. 27; გოგოლი, გვ. 387, „Питейный дом“). „მოიცადე, ნუ ლაპარაკობ, სირაჯხანაში შევიდეთ“ (მ. გორკი, „ჩელკაში“, 1928 წ., „შრომა“, გვ. 17). ალბად მთარგმნელს სამიკიტნო ჰგონია სირაჩხანა! „დედაშიაც“ ამ აზრითაა ნახმარი. ორივე მოთხრობა ერთი და იგივე პირის ნათარგმნი უნდა იყოს.

სირაჯი – ბითუმით ღვინოების გამყიდავი დუქანში. სამიკიტნო მიკიტანი კი ღვინოსაც ჰყიდის და „ღვინოს შესატანებელ“ საუზმესაც. (შირაჯ) მეღვინე, ბითუმით მოვაჭრე.

სირჯა – გულზე დასაკიდი ქალის სამკაული. ბონბალი.

სირი – „ქილილა და დამანას“ ლექსიკონი ხსნის, როგორც რიგია, ტექსტში კი (გვ. 411) ფრინველად არის ნაგულისხმევი.

სირიჯა – ძაფია დასორსლილი, აუცილებელი საჭიროების ხელსაქმის სახეების ამოსაყვანად (შითხრა არტ. გაბუნიაშ).

სირიფთი – სირინოზი, თევზქალა, ტკბილ და მომჯადოებელხშიანი.

სირმა – ხალასი ვერცხლიდან გაკეთებული ძაფი.

სირსჰელა – მუწუკია ერთგვარი, რომელიც ატლასივით წითლდება და ჩირქის ნაცვლად წყალს მოიგდებს ხოლმე. ეს მუწუკი თურმე შარდით რჩება.

სირსჰელი ღობიო – იხ. კირკაჟი ღობიო.

სირძია – ტრაბახა, ბაქია.

სირჩა – ბროლის პატარა ჭიქა.

სისიჰავა – იხ. თისიეავა. სია, უშნო, მკრთალი.

სისირი – მუხუდო. იზრდება კუტ-ღობიოს ბუჩქივით. აკეთებენ შეჭამანდს, ხალხის შეხედულებით, სისირი მარგებელია იმ ბავშვებისათვის, რომელნიც კბილებს იცვლიან (5-7 წ.), ხალხის წარმოდგენით, მუხუდოს (სისირი) ჭამა ბავშვებისათვის¹ და მაგარი კბილები ამოუვა. მოხარშული მუხუდო. ღობიოზედაც ამბობენ ს ი რ ს ვ ა ლ ი ღ ო ბ ი ო.

სისო – ხერხია ერთგვარი.

სისხაში – ადრიანი დილა. ალბათ დილა სისხლივითაა და იქიდან წარმოსდგა სისხამი. „ამ უღმერთობას რომ გავიკონებ, გული ამიდუღდება და თვალები სისხამით ამეკვება“ (ს. შგალ., ტ. I, გვ. 56, „შემწველი სიცივე“, დ. ჩ., 1180). „შენ ხომ აზნაურის სისხლი არ დაგაყენებს,

¹ ასეა. – რ. კ.



– წასაბნა სისხამით ფილუა ეშპაკერაშვილა“ (ს. შგალ. I, გვ. 98) სისხამიანი –

კაცია სისხამიანი და მგულკაცა კაცია, ხელს ნუ დააფარებთ“ (ს. შგალ. I, გვ. 206).

სივსათი – პირისახე, ზოგჯერ სიფათი არ ესმით რიგიანად, მაგალითად, აი, რასა სწერს „ნიანგი“: „სამაგიეროდ მოშაიშვილი ჩანგლის წვერს მიიღებს გვერდების სიფათში“ („ნიანგი“, 1935 წ., № 9, გვ. 18). „რევოლუციას თუ ამისთანა სიფათი აქვს, როგორიც ამ კაცს...“ (ეესკადრილ. დალუკვა“. თარგ. გ. ფრონისა, I მოქ.). „შენი სიფათიც კი არ მოშწონს“ („ახ. კომ.“, 1935 წ., № 3). დ. ჩ-ს არა აქვს. „ეგ სიფათი ფარისეველად იცვალე, ფულის ღარდში მოკვდი და მიიციკლე“ („თუატრი“, 1885 წ., № 15, გვ. 147). „ღეიდა ვარო, სიფათი ვინება?“ (კ. ჩაკოვსკის „შზიანა“ – მარიჯანის თარგ., 1936 წ., გვ. 114). „ფ ი ნ თ ი ხ ი ს ი ფ ა თ შ ი“ (ს. შანშ, „ახზორ“, 4-ე მოქ., „შნათ.“, 1931 წ.). „ზორზოზნი მაისო“ (ვითომ „კოლზოზნოე მაისო“) – გაკვეთილად ვილაც კაცია, რომლის სიფათი ლეკარსი როზროზაძეს მოეგონებდათ“ („ნიანგი“, 1932 წ., № 18, გვ. 12). „გაბატონებული კლასის სახე აქ ისე ძლიერად არის გამეფებული, რომ ცალკე სიფათები თითქოს ერთიანდებან“ („ღროშა“, 1931 წ., № 7-8; შანდორ გაბორის „ორი მოთხრობა“).

სივსთა – გაზ. „სიფთა“. მინდოდა საოხუნჯო გაზეთის გამოცემა „სიფთა“. Почин. (არ აქვს დ. ჩ-ს).

სივროზანა – ძალიან თხელი რამ (ქალაღდი). თხელი, გამსჭვირვალე, წმინდა.

სიჰა – 1. ქანცი, ღონე საკუთრივ: მორფი, წარწერა ფულზე. აბობენ: იმდენი მატარა ამა და ამ კაცმა, რომ სიქა გამძვრაო. სიქა არის ფულის მორფი, ფულის სახე, ე. ი. იმდენი მატარა, რომ სახე მომეშაღალო. 2. ბეჭედი. „აივლე მე წინანდალში მცხოვრებმა ფირანაშვილებმა შენ ქალაქში მცხოვრებელის ქიტესოვი ნინასაგან ორომოცდაზუთმეტი თუშანი თეთრი ვერცხლის ფული რუსის სიქა მანეთი ხუთ ახაზად“ (ალ. ჭავჭავაძის ბარათი, ცენტრარქივი, ფონდი 332, № 1614). სიქა ბეჭედი.

სიქანჯაბუშვი – სასმელი ძმარით და თაფლით შეზავებული, თავის ტკივილისთვის („Иран“, 1929 წ., გვ. 85 და გვ. 86).

სილიმღამე – ძალაგამოლეული, ნიათგაცლილი.

სიჭვინტა – ამბობენ: ხორცი რომ იყიდო, შეატყე, ცოტა სიჭვინტე ჰქონდესო, ე. ი. ძალიან გამხდარი არ იყვესო.

სილაბი – „სკლატის ჩოზა“ (გ. ბარნ).

სლუკ-სლუკი – სლოკინი.

სლუკუშვი – ბავშვთა ამოთქმითი და ნაწყვეტი ტირილი.

სოვდა – გაცვლა-გამოცვლა ვაჭრობაში. აღბად სავაჭრო რამ, საქონელი. „სოვდა“ – ნარდათ ვაჭრობა“ (ანთოლოგია, III, გვ. 14). სოვდა („აფურა“, მოქ III). ვაჭრობა, აღებშიცემობა, აღიშ-ველიში. Торг. „ამ ოხერ ჭყყანაშიაც ჭკუა შემოვიდა: იცოდე, შვილო, რომ რამდენიც ტუტუცია ხალხი, იმდენი ხეირია იმასთან საქმის დაჭერა, აღებ-მეცემობა, სოვდის ქნა“ („ივ.“, 1892 წ., № 253). ეს სიტყვა ა. ბარნოვს უყვარს. „შენი მზითუვის თანხა იყო, სოვდა კენ (რ. ერისთ., „თუატრი“, 1899 წ., № 8).

სოვდაგარი – სო ვ დ ა ნიშნავს გაცვლას. სოვდაგარი – გამცვლელი. ისე

კი, როგორც დიდი ვაჭარი, ალებმიცემობით მოვაჭრე. ერთიანი მოვაჭრე, ფულიანი კაცი. სხვადასხვა ქვეყნებში მოსიარულე და ალებმიცემობით მოვაჭრე. წინად ეს სოვდაგრები აქლემებს დატვირთავდნენ საქონლით, მიჰქონდათ ხოლმე უცხო ქალაქში, იქ ასალებდნენ, ჰყიდნენ საქონელს, იქიდანაც დატვირთავდნენ აქლემებს იქაური საქონლით და ბრუნდებოდნენ ხოლმე.

სოთი მხვირი — ცხვირის მოყვანილობა (?) „მანდ მოვიდა, იქმა შფოთი, გოდება, მკვლელის ენით შემოიღო ქოთება, ვეღარ პოვა კუხარკნი ცხვირ სოთები, ვერც პრაჩკანი თვისი ამხონ ლოთები, მათ ამჟამად ხვდა ცრემლთ მოსადენია, ჰე, მოყვარო, დეპუტატი თქვენია, კარტომნიკებს, კახაბეს ვერ მირჩენია“ (პეტრე ლარაბის ლექსები, საქ. მუზ. ხელთ., № 2130, გვ. 41).

სონარი — ტკბილი მოძახილი („ზარის“ თქმის დროსაც იციან. ამბობენ: „ჩონგურო, მიმღერე სონარავით“. კ. ოცხანელს ლექსების წიგნიცაქვს ამ სათაურით „სონარი“) შდრ. დ. ჩ.: სოლინარი.

სოლალი — (თურქული ენისიკ, გვ. 108, გამოც. 1769 წ.).

სოშრთმა — ცივად მოხარშული ხორცი. ცივად მოხარშული ბ ა ტ კ ნ ი ს ხორცი. ხ ა შ ლ ა მ ა კ ი ცივად მოხარშული ძ რ ო ხ ი ს ხორცი უმასალოდ.

სრიპა — ცეკვის დროს ფეხის ფიცხელი შეთამაშება.

სრიპიფ-სრიპიფი — სრიალი.

სრუხტია — Хлюпик. იხ ნენია.

სტაპრა — ფარჩეული.

სტარასტა — Староста. მნათე. ა. ცაგარელს აქვს.

სტილი — წონაში იხმარება: მგონი გირვანქა-ნახევარია. „გორის მამასხლისო, გურასიმე ბერძენს ერთი ქათამი, ათი კვრცხი, ორი სტილი ყველი მიეც. (ქორონიკოს) უოე“ (მართაი გადმოშცა არტ. გაბუნაჲ). „გორის მამასხლისო, ყაზანებს ერთი ლიტრა ბრინჯი, ოთხი სტილი ერბო მიეც. ენკენისთვის კე ქე უოე (იქვე).

სტომაჰი — (ფრანგ. l'stomac).

სუბა — მარტო, ერთი.

სუზანო — ლურჯად ნაქსოვი გრძელი ზეწარი, რომელსაც ტახტზე გადააფარებდნენ ხოლმე მხოლოდ ზემოთ ხალიჩაზედ (ფრანგი მოგზაური შარდენიც იხსენიებს: „ჩარდახის ქვემო მხარეს გაკრული იყო ოქსინო, ხავერდი და ჭრელი ტილო“ — ეს არის სუზანი. ტფილისი, მ. ჯანაშ. 1889 წ., გვ. 94). ტახტის სუზანი: ლურჯი და თეთრი, მიწა ლურჯი ჰქონდა, სახეშიც თეთრი შერეული. დაბალი ხარისხის იყო. აბანოს სუზანი ადგილი თეთრი, ზედ ფოთლები ნაკერი, უფრო მწვანით და წითელით მორეული. არ იყო სპეტაკი, სახე ნაკერი აბრეშუმით, აბრეშუმის გრძელი ფოჩები აქვს საიარაღო. შეძლებულნი მზითვში აძლევენ. ტახტის ლეიბზე („იანი ნაალი“) გადასაფარებელი ჭრელი (ცისფერი) ქსოვილი. „ყველაფერი ეს გამოუკრა ჯერ სუზანში, მერმე ფარდავში და შეკრა მაფრაშასავით თოკებით“ (სოთ. ქერ., თავი XI).

ტახტზე ხალიჩაზე ნახევრად გაფენილი გრძლად. ლურჯია. („ოთ. ქვრ.“, ილია).
სუზანი ტაჯიკისტანში ნიშნავს **Сузан вышивки**-ს (Таджикский сборник, 1933 წ., გვ. 82). „ბებია ნინოს თავისთვის ერთი ოთახი ჰქონდა მოწყობილი ძველებური ტახტით, მუთაქებით, სუზანით, იანის ნალით და ხალებით, საშინლად ეჯავრებოდა სკამზე ჯდომა“ (ივ. მჭედლ. მოგონება მ. საფაროვა-აბაშიძეზე, „თემი“, 1912 წ., № 55). „ქალი ლამაზად მორთული სუზანზედა ზის დორესო, მეუჭრობას ვერ გავძლებ, გაენდო ისიღორესო“ („Описание“, ტ. 11, გვ. 232). „ამ სკივრზედ აკოკოლებულია ქვეშაგები ლურჯის სუზანით თავიდან ბოლომდე ჩამოფარებული“ („ოთ. ქვრ.“, თ. II). „ერთი ლაიბი, ერთი სუნდუზი და ერთი სასთაული“ (ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 6). ექ. თაყაიშვილი ამბობს, რომ **სუნდუზი** იგივე **სუზანია** ტახტზე საფენი აბანოშიო (იჭვე, გვ. 28). „ერთ შევირდს ეჭირა იღლიაში ლურჯ სუზანში გახვეული ფარები“ (ლ. არაღა, 1936 წ., გვ. 190). სეხნია ჩხეიძე წერს: „დადგეს კარავი ფილაქანსა ზედა, დაფინეს კარავისა თავსა სუზანი, მოფარეს ღორსა ბაყალანდი... დაფინეს ქვეშაგებიანი და დაიტირეს ცხედარი“ (ივ., 1890 წ., № 154).
სუთი — რგვალი, გათლილი ჯოხი ღომის ჩასახელი, ქვაბის მიხედვით — პატარა ან დიდი. „სუთოვანა ქაფქირიანი“ (ლექსი დ. მესხისა). „გავის ქონი ანაძრობი“ (საბა). „ღომის დასახელი ჯოხი“ (იჭვე შენიშვნა). საათნოვას რა აზრით აქვს ნახმარი? არც ერთი, მგონი...

სულააოპა — დღე, მკედრის სულის მოსახსენებლად რომ არიგებენ ატამს, ყურძენს და ლელვს (სექტ. 14).

სულუხი — 1. ზარულას (ფეხსადგილის) ამოთხრილი მილები, 2. კანალიზაციის ჯირგინა. ფეხისადგილის გასავალი ტურბინა. „რაღან იმ სარდაფებს გარშემო ფეხისადგილებს სულუხები აქვთ მიკრული“ (სანდალას — ზ. ჭიჭინა. წიგ. „ამქრული ეპოქა“, 1926 წ., ტ. I, გვ. 72).

სულქოროტიანი — როკაპი. ანუ „სულქოროტა“ — დაწყვედილი. **სულქოროტიანი დედაკაცი** — სულწაწყვედილი დედაკაცი.

სუმაშაძი — მსუბუქი.

სუნათი — ეს სიტყვა იხმარება ასე — მ უ ნ ა თ - ს უ ნ ა თ ი, საყვედურების აზრით.

სუნდუზი — იხ. სუზანი.

სურა — ნაწარმოების თავი, კარი. მაგალითად, პირველი სათაური, მეორე სათაური და სხვ.

სურათი ცხვირი — მოხდენილი და ლამაზი ცხვირი.

სურმა — სუნოვანი საღებავი, წარბებზე წასასმელი. ძველად სპარსელების წაბამებით სურმით ქართველი ქალებიც იღებავდნენ წარბებს. ამას ამტკიცებს ხალხური ლექსი: „ვისი ხარ, გოგო, ლამაზო, ვის გაუზრდინარ შვილად? არც გინდა პირის დაბანა, არც წარბის ღება ხშირად!“ რით იღებავდნენ წარბებს? მგონი ჰინით, თუ არა — სურმით. ხალხური ლექსი ამბობს: „კაბები გაქონდა ბურმა-ბურმა, თოლები გაქონდა საყვე სურმა“ (ლ. აღნ, „სპარსეთი და იქაური ქართველები“, გვ. 208).

სურუხი — (?) „სასურუხე ხე“ (ვ. ბარნ.) სახრის მოსაჭრელი ხე?



სურჰი -

სუსამბარი - ყვაილია მალალი.

სუტანინა - ცრუკენინა, კენინას ყალბად მიმრქმელი. ტყუილი კენინა. „მორთულია სუტენინა“ (დ. გივიშვილი). („კაცია ადამიანი“, თ. VI). იხ. სუტმეცნიერი.

სუტმეცნიერი - სიტყვა „სუტ“ ძალიან უყვარს ილიას (შდ. სუტკენინა „კაცია ადამიანში“) „სუტ“ სომხურია და ნიშნავს „ცრუ“-ს. „ეს ჩვენი გერმანიაში გაბრძნობილი სუტმეცნიერი“ (ილია, ტ. IX, გვ. 138).

სუფსარქისი//სუფსარქისი - 1. სუფსარქისის ეკლესია. იხ. მელიქსედ-ბეგის რუსული წიგნი **Грузинский** (.....) 1917 წ. გვ. 109-111. „სურფ-სარქისის რო მარილკერი ვაჟამე, სწორედ ეკ კნიაზი ენაზა“ (ნ. აზიანი, „ფული და ხარისხი“, II მოკ, გამოხვლა მეორე). მარხვაზე - იხ. ლეონ მელიქსედ-ბეგის რუსული წიგნი „არაჯავორ“, გვ. 109. კ. კეკელიძის წერ. „საქართველო“, 1916 წ., № 124. „ამ ეკლესიის დღეობა მოდის თებერვალში. გასათხოვარი ქალები წუმს ინახავენ, აცხოვენ მარილ-კერს და სუამენ, რომ სიზმარში საბედო ნახონ. არის გათავთავება საგნისა. თუ ვაჟმა ქალს თიხის ჯამით მიაწოდა წყალი, მაშინ არ ვარგა - ქალი სიღარიბეში ეყოლება, ხოლო თუ ვერცხლის ბადია - მაშინ ცოლს კარგად შეინახავს. ამ ნიადაგზე ხშირად შეყვარებულებიც განშორებულან. 1889 წელს ამ ნიადაგზე ერთი აზირებული ამბავიც მოხდა, რომლის შესახებაც ტფილისის რუსულ-ქართულ გაზეთშია მოთხრობილი: ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვარდათ, ჯვარიც უნდა დაეწერათ, მაგრამ ამ დროს სუფსარქისის მარხვა დადგა და ქორწილიც გადაიდო. ქალმა სიზმარში ვითომ თავის დანიშნული ნახა, რომელიც თიხის ჯამით წყალს აწვდიდა; სიზმარი მშობლებს უამბო. მშობლებმა ვაჟს უარი უთხრეს: „თიხის ჯამი სიღარიბეს ნიშნავს და ქალს არ გავაუბედურებთო“. ვაჟი რველკერით მივიდა თავის დანიშნულთან და მონდა ერთი ორომტრიალი, ქალი მაინც არ მისცეს და ასე გამოაპანურეს სიძე სახლიდან“ („აგვ“, 1889 წ., № 46, გვ. 4). „სუფსარქისობა ჯავახეთშიაც ყოფილა, რომელსაც ეწოდება ხიღირ-ელაზი. იქაც ისეთივე ჩვეულება ყოფილა, როგორც აქ. მაგ., ახალგაზრდა გასათხოვარი ქალი ან ვაჟი (დასანიშნი) ვითომდა ტყობილობს, ვისზედ დაინიშნება. ამ შემთხვევაში ასე იქცევიან: მთელი კვირა უნდა იმარხულოს გასათხოვარმა ქალმა ან ვაჟმა, კვირა საღამოს დაწოლის დროს სუამს „მარილკერას“, დაიძინებს. ვინც სიზმარში წყალს დააღვევინებს, იმაზე დაინიშნება“ („აგვ“, 1889 წ., № 50, კ. კობტონ. წერ.). „ვენაცავე სუფსარქისის მადლს, არც გამოცრუვდა იმედი და ამაგი“ (მელან, „საქართ.“, 1918 წ., № 222). 2. სომხების წმინდანი. „გინდა თუ არა მკვლელი მიაოვეო; სუფსარქისის მადლმა, ჩემ დღეში ამისთანა საქმე არ გამოვიონია“ (ი. გედევან, „მსხვერპლი“, I მოკ).

სუჰარდი - დიდი მაკრატელი, ბატკნის საპარსი.

სჰირფა-ჰჰირფა - ტრიალ-ტრიალით ყირამალად. „მოავლო ხელი და სყირწა-ყრწით გამოავლო სახლიდამ.“ (ს. შაჰა, I, გვ. 193).

სხარტი - ჩიტების სასროლი ჯოხი (ბავშვებისათვის).

სხაპანაპური - სხვანაირი.

სხაპნი - სახურავი.

სხილი - ბუზთა და მისთანათა განაევლი.

ტ

ტაბტი – ნელი სელა, ახლად ფეხადგმული ბავშვის სიარული (რ. ერისთ. „თამარიანი“, გვ. 36. ილია, ტ. VI, გვ. 273).

ტაბაჰაბაბი – Катлет.

ტაბუხი – არის ცხენის წინა ფეხის მოხვედრება სიარულის დროს. კოჭთან ხშირად ცხენს ფეხზე უკეთებენ ასხმულ რგოლებს, რომ ფეხი იმ რგოლებს მიარტყას ხოლმე.

ტაბუხის თაპი – ერთგვარი საჭმელია (მგონი).

ტათლიბი – წამალი ხველების წინააღმდეგ.

ტაპიშასხარა – 1. დაბალხარისხოვანი ოხუნჯი; მიმოსის (ოინბაზის) უშნო წამბაძველი; მუშაითის თანაშემწე. საკუთრივ: „ქვეშმასხარა“ (იხ. „საიათნოვას“ ლექსიკონი, სიტყვა: ქანდირბაზი.). 2. კლოუნი, გუქა, „რიჟი პომოგაი“, პირდაპირი თარგმნით – „ქვეშ მასხარა“ („საათნოვას“ ლექსიკონი და „ძვ. ტფ.“). ჯამბაზის ხელქვეითი, უეცი მიმბაძველი. 3. მუშაითის (ჯამბაზის) თანაშემწე. ძველად ცის ქვეშ იმართებოდა ჯამბაზობა, მაგ: ერევნის მოედანზე, სადაც ესლანდელი Солдатский базар-ია, მაშინ ერევნის მოედნიდან პუშკინის ქუჩაზე გრძელდებოდა. ეს ბაზარი გაუქმდა 1847 წელს, ე. ი. მაშინ, როცა საძირკველი ჩაეყარა თამამშევის ქარვასლას.

ტალიპა/ტალიპი – „ვინც ტალიკა ბიჭები ვართ, ყველა წავალთ ჯარშია“ („კომ.“, 1935 წ., № 225, გვ. 4). ახოვანი და წარმოსადეგი. „სულ ტალიკ-ტალიკი ბიჭები არიან“. 2. საკუთრივ ქარქაშსაც ნიშნავს. იხ. დ. ჩ. „ტალიკი ბიჭი“ (ჩ-ი ამბობს: „ტალიკი – აბჯართ ჩასადებელი ბუდეაო“). ხალხური ლექსი ამბობს: „ლათვა სთქვა, სიზმარი ენაზე, რაც რომ თავს გადამხდნოდა, სოფელში გადავიხედე, სოფელი ჩონქოლდებოდა, ტალიკ-ტალიკი ბიჭები თოფ-იარაღში ჯდებოდა“ („კოლექტივიზაცია“, 1934 წ., № 286).

ტალმა – დედაკაცების თბილი დაბამბული წამოსასხამი – ზამთრის.

ტამაზლუხი – შერჩეული, საუკეთესო. „მთლად მოგვისპეს ტამაზლუხის ცხვრები, თავს დაკვასხდნენ მუქთახორა ანგლები (ხოხოს ლექსიდან). აქვს დ. ჩ-ს.

ტანტარა – გადამბული, წყვილი კიბე, სამხატვრო.

ტანტიპიფი – 1. დიასახლისი. სომხურად „ტან“ სახლს ნიშნავს და

„ტიკინ“ – ქალბატონს, ე. ი. სახლის ქალბატონიო. 2. ქალბატონი, დიასახლისი. „მაშინ დანახეთ, რომ ის უნდა იყოს კაი ტანტიკინი (სახლის მოძველები) თავის ქრის სახლში“ („ცისკა“, 1864 წ., აგვისტოს №-რი, გვ. 359). „ყარათი ქენ, შვილო, დღეს არა ხვალ ტანტიკინი გახდები“ (კ. ერისთ., „გაყრა“, II მოქ.)

ტანტინიკობა – დიასახლისობა. „მათ ბაღში საღორთოს (იხ.) მე ვინდი, ხარჯი ზემოა, გამკობა და ტანტინიკობა კი – ნათლიდედასათვის მიმინდვია“ (ბ. ჯორჯ., 1891 წ., „ივ.“, № 153).

ტაბაბა მტრედი – დედალი მტრედი.

ტაბაბი – დათეური სიარული. ბაჯ-ბაჯი.

ტარაბუა – ტარაბუას უწოდებენ მიამიტი, წყალწაღებულ ადამიანს. „ეს ტარაბუა ბელად რა მალა-მალა ხტისა“ (ხალხ., „ივ.“, 1883 წ., № V, გვ. 91).

ტარაპუჭა – მეტიჩარა, არამკითხე.

ტარანანა-ნაინა – ჰანგი ზურნისა „საჭიდაო“. არის ერთი ანეგლოტი: ერთხელ ფოთში მოჰხვდა ერთი კინტო. შეჰხვდა ბაზარში ერთ მეგრულს, რომელიც ჰყიდა ტარანს. კინტო ეუბნება: „ე, ძმობილო, რა თევზია ეს?“ მეგრულმა სხაპასუხით უპასუხა: ტარანა, ტარანა, ტარანა. კინტომ ვერაფერი გაიგო და გაკვირებული შეეკითხა: ჰჰა! მეგრულმა კვლავ უთხრა: ტარანა, ტარანა, ტარანა. კინტომ უყურა, უყურა და ჩაილიღინა გაბმით: „ტარანა-ნა-ნაინა“...

ტარანი –

ტარალანა – ზუთხის მსგავსი თევზის სახელია. ადამიანს თუ გრძელი ცხვირი აქვს, მეტ სახელად „ტარას“ არქმევენ. გრძელცხვირა თევზი, осетрина-ს მსგავსი. ერთ მამაკაცს მეტსახელად ტარა ჰქვია.

ტარალაჟი – აპოხტის, ძეხვის, ლორის და მისთანათა გასახმობად ამართული ხე. „ტარალაჟს ეძახიან აპოხტისა და ძეხვის გასახმობად ამართულს ორ ხეს, ორ-სამ საყენზე ერთმანეთზე მოშორებით, რომელზედაც სიგრძეზე გადებულია ორი ან სამი დაღურსმული წვრილი ხე“ („ივ.“, 1886 წ., № 236).

ტარალი – 1. ორპიროვანი ხელეჩოს მსგავსი ქვის სათლელი. 2. კალატოზების იარაღი.

ტარაცულობა – „რასა ტარაცუობს ეს ბებერი, სად არის ექვსასი თუშანი“ (ლ. არღაზ., 1936 წ., გვ. 169).

ტარიანი – (?). იხ. კ. გამს. მოთხ. „ტონთიო“ („ლიტ. საქართ.“, 1939 წ., № 34, გვ. 2, სვეტი 4).

ტარიოში – კულას მსგავსი კათხა, ხისაგან გაკეთებული ლუდის სასმელი. თუშ. შდრ. დ. ჩ. (?).

ტარო – ტალახ-წამალი კირით შეზავებული, რომელიც ბალანს აცლის ადამიანს. „გაუპარსავი ვიყავი. საპარიკაზეროში წასვლა კი სახიფათო იყო. ამხანაგებმა

მომიტანეს ტარო, წავისვი და სხე სრულიად გამეწმინდა. გამისუფთავა“ (ბ. ბიბინ, „კამოს ავტობ.“, „დროშა“, № 11, 1932 წ.; „ქერსიდესკიე სკაზკი“ გვ. 426).

ტარუღი – იხ. ჩემი „საათნოვა“.

ტარხუნა – ერთი საუკეთესო მწვანეილთაგანია, მხოლოდ გაზაფხულზე და ზაფხულში ხარობს.

ტატალი – „თავი ქონდა ტატლის“ („Описание“, ტ. I, გვ. 205). ტ ა ტ ა ლ ა ს. ჭრელ. ფსევდ. იყო. ტუქსვა. ტატანი (ცა – ბესიკი). დაუტატანე, ე. ი. დატუქსე, შეუტეი, გაუჯავრდიო.

ტაუტფუშფუშა – ანუ ტაშტწურწუშა – პირის დასაბანი.

ტარნო – 1. ჩითია ერთგვარი ლურჯი ფერისა (?) 2. (რუს.) თხელი მატერიკა. 3. ქიშმირის მსგავსი ფართლელულია. **ტარნოს კაბა** – თახახიანი აბრეშუმის შავი კაბა.

ტარტარ – „ტერტერ ტერტერ ტერმინსა, შენ ჯამს ლოკავ, მე – პინასა“ (ზაღხ.).

ტარტარა – მღვდელი. სომხ. ტერ – პატრონის ნიშნავს (ჩემი ა. ცაგარ.). ტერტერა იქნება, თორემ მართალი მღვდელი ამას არ იკადრებდა“ (ილია „სახრჩობელაზე“, თავი III).

ტიბუცა – „რას იღრიჯები ტიბუცასვით“ (დ. თურღ., „განთიადი“, 1915 წ., № 13) მასხარა.

ტიასუნუნა – სუსუნაგი, ლოთი, მუქთახორა.

ტილიაუჭურა – 1. ტილიაუჭურას რესტორანი იყო ყოფ. თამამშევის ქარვასლაში (ქვემოთ). ტილიაუჭურა წარმოსდგება სომხ. სიტყვიდან **თელიაუჭურ** (პატარა ძაფი). ამ ქარვასლაში წინათ მკერავთა მთელი დასტა იყო და ერთმანეთს შორის ძაფის თხოვნით იყვნენ განთქმულნი:

„პატარა ძაფი მომეცი!“ (**თელ-აუჭურ**). რუსებს „თ“ არა აქვთ და გამოვიდა „ტ“ (ტიელ-თელ-ტიელ), აქედან „ტილიაუჭურა“. ეს რესტორანი პირველად ეკუთვნოდა...

„სასტურო ტილიაუჭურას პატრონი – არტემ ჯამალოვი – დაუჭრა ახალგაზრდა თავადიშვილს დ. ყიფიანს“ („თეატრი“, 1886 წ., № 28).

2. რესტორანი თამამშევის ქარვასლაში სულ ძირს (ქვემო სართულში) პირველად გაიხსნა 1877 წ.

ზამთარში აქ იყო – ქარვასლაში, ზაფხულში – ვერის ბაღში (თელიაუჭური პატარა ძაფის ნაჭერიდან ტარან¹, რადგან წინად თამამშევის ყოფილ ქარვასლაში მკერავები იყვნენ), ძალიან კარგი რესტორანი იყო. ამ რესტორანმა რამდენიმე პატრონი გამოიცვალა: ავეტიქა, ჯამალოვი, ქემ-

იშოვი, მაჩკალოვი და სხვ. მამაჩემი იტყოდა: „ვისაც ტილიაუჭურაში პური არ უჭამია, სჩანს, კაკასიაში არ ყოფილაო“.

3. „ტილიაუჭურა“ ფსევდონიმი იყო დავით კეხელისა (დ. სოსლანისა) („თეატრი“, 1886 წ., № 10, გვ. 4). როგორც „აზოური სასადილო“ შეტანილია თითქმის ყველა ტფილისის Путеводитель-

ებში სხვა დიდ გოსტინებისა და რესტორნების გვერდით. „ისეთი ჭაჯური

¹ ასეა – რ. კ.

ხარხარი წამოვარდა პირიდან, რომ ტილიუჭურაც კი გამოვარდა თავის ბინიდან“ („დროება“, 1885 წ., № 156). „ვა, მეციცი და! გუშინ ტილიუჭურასთან დავხსაკომდიო“ („ივ.“, 1891 წ., № 173). „...ჭეშმარიტ პოეზიად აღიარეს ტილიუჭურას საღაროში“ (ილ. ხონელი, „ივ.“, 1886 წ., № 42). „აი, თუნდ ამ ჩვენ ტილიუჭურას საღლა ეყოლებოდა მუშტარი?“ („დროება“, 1885 წ., № 156). 5. Тилипучурский — ამ ფსევდ. ვარლ. ბურჯანაძე სწერდა ბათუმის რუსულ გაზეთებში წერილებს ქალაქის და სასწავლებლის შესახებ (ბათუმის რუს. გაზეთები 1905-6).

ტიხეცა//ტიხეცო — 1. თახსირი, ურიდალი. „შენ თავი დიდი ჭკვიანი გგონია, შე ტინეცა სულელი“ (რ. ფავუნა, „მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 34). „მე ხომ მთლად სოფელი ტინეცა ვიყავი, თავისუფლად აღზრდილი, ყოველ დისციპლინას მოკლებული“ (ეკ. გაბ. შოთენიძე, „პიონერი“, 1934 წ., № 12, გვ. 24). „დიმიტრამ თავისი ცოლი პატარაძლავით მორთო, მე კი ტინეცად ვაღმაქციე“ (ა. ჯაჯან. „მნათ.“, 1934 წ., № 1-2, გვ. 105). 2. სულელი, მახხარა, ატაცებული.

ტიპტიპა — სავსებით სავსე; ლიცლიცა. „ტიპტიპა ერბო“, ე. ი. პირთამდე სავსე. „ნუ გაატიპტიპებ“ — ნუ გაავსებ.

ტირაცუა — 1. სომხების დიაკვანი. ამბობენ: ჩემს შვილს ეგრეკი ნუ უყურებ, მთელი გრანიცა გაუთავებიაო. შენი შვილივით კი ტირაცუასთან არ შეუსწავლია ანბანიო. 2. დიაკვანი, დიაკონი. ბესიკს აქვს „უტირაცუებს“ (გვ. 78 ალ. ბარამ. „ბესიკი“). „სტეფანა უტირაცუებს“ (ბესიკი, Описание, ტ. II, გვ. 331).

ტიტლიპანა — შიშველი.

ტიტლუჯა გლუხი —

ტიტრიმ-ტიტრიმ — რხევით სიარული. ამბობენ: ეხლა შენ იცი რაღა, ჯიბეში ხელებს ჩაიწყო და ტიტრიმ-ტიტრიმ დაივლი ქუჩებში.

ტიტყინა — ცუდ-მოუბარი. ტიტყინი — ცუდი საუბარი.

ტილა — 1. შავი ბიჭი, შავტუნა, ტილუა. 2. ბოძა.

ტიხარი —

ტირციალი — ტაშის ხმაური; ცეცხლის გატაკაცუნება, ფაიფურის ჭურჭლის დამტერევის ხმა, საკრავის ჭექა.

ტილანა — უკმეხი.

ტილიკიცი — „როგორ არ ბეზრდებთ ასე მოულაღავდ წაწალი და ტლიკინი“ (ა. ფურც. „ვაჟაკი“, 1880 წ., გვ. 63).

ტილოკიბი — ხედავდა ქალის ტიტველა ტლოკებს, პატარა ფეხებს, თუთრ მკერდსა, მორაშივე თვალებს და საკონცელად დამზადებულ ტურებსა“ (ნ. ლომ. „მოთხ.“, 1933 წ., გვ. 242).

ტიოთი — „ხალაში სივიწროვისაგან და სიდაბლისაგან სამინელი ლული (იხ.) და ტოთი იღა“ („დროება“, 1885 წ., № 181).

ტიოლაღაბი — Обломка.

ტიოლი — საჩოხე შალი (მთიულეთში ხმარობენ) „ყერის პირას იჯდა მხოლოდ მარინე და „სატოლეს“ ამზადებდა“ („დროება“, 1885 წ., № 143).

ტოლჩა — 1. წყლის ტარიანი ჭურჭელი. 2. წყლის ამოსაღები ჭურჭელი.
ტომპახი — მალარიინი. დაღესტნური სიტყვაა, რომელსაც ჩვენცა ვხმარობთ ხშირად. ლეკი შალს ან სხვა რამეს როცა ჰყიდის, მყიდველს ეუბნება: „ტომპახ ჰექ! ვითომ მალარიინი არ არისო?!. ეს ხუთ-ხუთი მღვდელი მოკვლვართ მოსლოცად, მაგრამ კი ტომპახი კი ვმართებს“ (მელან, „მამა ქრისტეფორე“, 1834 წ. გვ. 26).

ტომპრაპი — ტომსიკი, პარკი, ტომარა, საცალო, შეიძლება ტილოსიც და ქაღალდისაც, მხოლოდ პატარა. ალბად თოფრადან წამოდგება თოფრაკი.

ტონა — „გიორგი მღვვივთ ტონიდა ყანას“ („მოამბე“, 1896 წ. № 4, გვ. 36).

ტრასპანა — 1. თოფი, რომელიც იტენება საზამთროს ქერქით. 2. თუნუქის მილია. ხის გრძელი საცობით საზამთროს ქერქით ისვრიან ბავშვები.

ტრაპკანი — „მგონი რაღაცამ ტრაპკანი მოიღო“ (ი. გრიშ. იუშ. ჟურნ., „წმ. გიორგის შუბმათრახი“, 1907 წ. № 1).

ტრია — ჩხიკვი (?) გურულად. ტრია იყო ფსევდ. ელასა მგელაძისა (ლენინის წერ. მ. გორკისადმი, 1933 წ. გვ. 47).

ტრინაოზა — მეტი სახელია კაცისა.

ტროპიალი — უსარგებლო სიარული, ხეტიალი.

ტროტრო — 1. (Тротуар) სასეირნო შარავზა. სწორ სიპ ქვით დაგებული ბულვარი. 2. ტროტუარი. „Здесь и тротро (тротуар), по которому расхаживают все князья до благородные“ (ნ. ბერძენ. მოთხ. „Иване“ გ.ზ. „კაკაქის“ მიერ გამოც. კრებულში, Пешкеш, 1857, ст. 331). „ტროტროზე შედგა უნდოდა დროეკისთვის დაეხანა... შენობის წინ ტროტუარზე დიდი ხალხის გროვა იყო“ (ნ. ავაღ, თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 175).

ტრუზი — 1. ტრუზი კაკალი, ე. ი. გულსავსე კაკალი, არაფუჭი. 2. სავსე. (ფუჭი კაკალი, ე. ი. უგულო კაკალი).

ტუბრია — პატარა გოშია.

ტუბო — ღვინის ერთგვარი ჭურჭელი.

ტუნტული — ტანტალი. „შავისთვის დატუნტულები აქა?“ („ივ“, 1880 წ. № IV, გვ. 84).

ტუპირი — ტოპრაკი?

ტურბლი — ტუჭყი. „ბავშვი არავინ არ არის, რომ ამისთან ტურტლში ხელი გაესვარა და შეებალა წმინდა-წმინდათა“ (ს. მკაღ, „თ. და ც“, 1914 წ. № 20). **ტურბლიანი** — ტუჭყიანი, ყარტლიანი, ტარტლიანი, უსუფთაო, ტუჭყში ამოგანგლული.

ტუსაღანა — სატუსაღო.

ტუსტუსი — 1. ჩუმი, შიშიანი სიარული. 2. წყრომითი სიარული. გ. თუშანიშვილი და ანასტ. წერეთლის სიარული. ტუსტუსით წავიდა.

ტუტაბი — ლოქოს მსუქანი ნაჭრები. საზოგადოთ სიმსუქნე.

ტუტრუტანა — 1. უვიცი, ცუტი, ტუტუცი, ყყყინი, ყყყეტი, ჩერჩეტი. 2. მოსულელო, დაუკვირვებელი ადამიანი. „მერე და გან ეხლა კი არ არიან ტუტრუტანები“ (ა. ჯაჯან. „ნავერალი“, „მნათ“, 1933 წ. № II, გვ. 76).

ტუტუნი – ჩურჩული, ცუდი ლაპარაკი. „ახლა ეს შკითხავი მოჰყვება ტუტუნს და ტუჩების ცმაცუნს“. იხ. ეტუტუნებოდა.

ტუში – 1. ლხინში საზეიმო სადღეგრძელოს შემდეგ მუსიკის დაკვრა. „პირდაპირ მუხურნები გრძობის ამძვრენი ტუშითა“ (ვაჟა, ტ. IV, გვ. 343). 2. ჰანგია ერთგვარი, რომელსაც სადღეგრძელოს შემდეგ მისასალმებლად უკრავენ ხოლმე.

ტუხუნა – ღორის მეტი სახელია. ჩვენს უბანში ერთ მეარღნესაც ერქვა ზედმეტ სახელად.

ტუპაპანი – „სატინიკას (სათუნიკა?) იატაკზე ტყაპანი მოსძვრა“ (მულან, „ნავარდობა“, „მოამბე“, 1899 წ., № VIII, გვ. 17). „მაშინვე ძირს ტყაპანს გააყრევიანება“ (ს. შკალ, „მოამბე“, 1899 წ., № VIII, გვ. 59).

ტუპაუჭი – ცხვრის ტყავისაგან შეკერილი მოკლე ჯუბა.

ტულაშანი – ცუდი ტაშის ხმაურობა.

ტურუშული – კარგად შეკრული ღობე. „ტურუშული ღობე“ (ე. ბარნ.).

უ

უამბობა — ამბავის მოუსვლელობა. „ვიცი გიორგის უამბობა გაწუხებს“ (ბარ. ქობულ-წერ., 1866 წ. გადმოცე არტ. გაბუნიაშ).

უანბანო — უეციცი.

უარარაოდ — უარაფროდ, ულუკმაპუროდ.

უარაშიო — მოურჯულებელი, არათენიერი. იხ. უჯითი. („მოამბე“, სპ. სიძვ. გვ. 198). „მოიარაშიე, დიდო ბატონო“ („ლალატი“), აქვს დ. ჩ-ს.

უასლო — „ასლიანთან მიქარვა სჯობს, უასლოსთან ფლავის ჭამას“ (ქვლაქ. ანდაზა).

უპარაძო — უხვავო. მაგალითად, კაცს რომ ბევრი შემოსავალი ექნება და ფული კი ისე უშიზნოდ ეფლანგება — იტყვიან: ის კაცი სწორედ დაწვევილი, დაშამათებული უნდა იყოს, რომ იმის ფულს ბარაქა არა აქვსო.

უპარი — გაბუტული, უმძრახი, „უბრათა ვართ“ — ერთმანეთს არ ველაპარაკებით.

უპაფო — უნდო, არასანდო, მიუნდობელი.

უპირი — შეუგნებელი, ყურუმსალი.

უპაჟუცნა — ჩამქრალ ცეცხლს ვეფერე, შეუკეთე. უფრო ნავთქურაზე იციან ამის თქმა.

უპასაგისოდ —

უპარაბილო — 1. მოუხერხებელი, 2. მოუხეშავი. „ეს უბრალო მასალაც უგერგილად და უშნოდ არის მოხმარებული“ („ოვ.“, 1890 წ., № 349). „ნუთუ მთელი ზვენი ცხოვრება ი. ევლოშვილისათვის მასხრობაა, ოხუნჯობაა, ოხუნჯობა უკბილო, უგერგილო, უმარილო?“ (ია ეკელა „შრომა“ 1906 წ., № 49). „ეხვანი ცხვირი ძაღვანობის, სიმამაცისა და ჭკუა-გონიერების ნიშანია; ცბიერს, გაიძვერა და მუხუშულა კაცს პატარა და პაჭუა ცხვირი აქვს... ვისაც მახინჯი და უსწორმასწორო ცხვირი აქვს, ის კაცი ყოველთვის უგერგილო, მოუხეშავი და მოუსაზრებელია“ („ოვ.“, 1887 წ., № 29).

უპარბო — იხ. უგერგილო. „უგერგო და უმაქნისო გონებაში რისთვის ზიდოს“ (შ. მღვ. I ტ., 1936 წ., გვ. 10).

უპლაბარაჟი — ტლანქი, უხეში, ხეტი.

უპლიში — მოურიდებელი, შეუპოვარი, ურცხვი, უტიფარი, უგლამი (შეად. ნ. მარი — „აბდულმესია“).

უპნისასო — უარაქათო. „მზდალი, ლაჩარი და უგნისასო, ყველა ძირს განერთხო“ (ნარკანი, „ცხ. ფურც.“, ლამატ., 1906 წ., № 390).

უდარიელებს — ათვალეერებს. „და რომ უდარიელებდნენ და უკან სდევდნენ, ამან საშინლად გააბრაზა“ (ნ. აკაღ, თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 283).

უდარილა — უდარიელებს. „გლინკა უკანიდან მიეპარა მსახიობ ქალს, უდარილა და ხელზე უჩქმიტა“ (სოვ., 1893 წ., № 281).

უდიერი —

უპასუროდ — უეკლოდ.

უხუმი — მსხვილი ქიშმიში, ჩამიჩი, გამხმარი ყურძენი.

უხუნდარა — ხალხური ცეკვა, სოლო.

უხური — სასამართლოს ტერმინი ყოფილა აქა და იმერეთშიც. „ნეტა უხურში ავი ხომ არაფერი ჩაიდო ყურძმას ბატონმა?“ (მ. ჯავახ, „ორი განაწინი“, 1936 წ., გვ. 31). „იქნება ჩემი წინას იღბალიც გამოწახოს თავის ამხანაგებში... უხურში მქონდეს“ (ნ. აზიანი, „საქართ.“, 1917 წ., № 148). იხ. „უხური“, 1773 წლის სიგელი. უ ხ უ რ შ ი — ამასობაში. იხ. ვ. ბერიძე (უხური). ყოფილა იურიდიული ტერმინი (ლუკა ისარლოვის წიგ., „Воспоминание о Грузии“, გვ. 137). „უხური“ — ამ სათაურით ლექსიც აქვს წინო თარიღი (მისი წიგნი „მზეში“, 1926 წ., გვ. 29, სახელგ.). „ხაბაზი... მოტანილ ფქვილით გემრიელ მურასა პურს აცხობდა და იმ დღისთვისაც უხურში სწორედ ეს პური მქონდა ამოღებული“ (არჩ. ჯავახ, „დედოფალი დარეჯან“, თ. I, დაუბეჭდავია). უხურდილედი — პატიება მოითხოვა. „გრ. ორბელიანმა დაუმატა: უხურში მიყოლიე და რაც გითხარ, კარგად შეინახე“ (მ. ჯ-ლი, „არსენა მარაბდელი“, გვ. 93). „რისკის საქმე დიდ ქონებას, დიდ სერშიას თხოულობს, დიდს თაბუთს“ (იხ. „თაბუთი“ — ი. გ.). „თხოულობს ნაღდს, ყოველთვის უხურში შენახულს, რომ სოვადგარს (იხ. „სოვადგარი“ — ი. გ.). გამაგრება შექმლოს“ (ნ. ნიკოლ., „მოამბე“, 1894 წ., № XII, გვ. 133). „ჩვენებურს გამყიდველს კი საქმე უხურში მქონდა“ (ნ. ნიკოლ., „მოამბე“, 1894 წ., № XII, გვ. 134). „წელიწადის სიარული უხურში ჩვენი კუზია, სამოცი წელიწადი გაივლის, ეს კუზიც გადიდება“ (სოვ., 1890 წ., № 1). „უხურში ეს შავი შალი დაკარგულა და დავა ატეხილა“ (სოვ., 1890 წ., № 44, გვ. 4). „ბ. მიხაკის თქვენი ლექსი „ივერიას“ — როგორც თვით იტყვის ზოლზე — უფრო უხურში მოუვა. ჩვენ არა ვბეჭდავთ“ (სოვ., 1890 წ., № 6). „თუ მოურავს არ მისცემ ქალს, მე უხურში მყავს კიდევაც ამნარი კაცი“ (ს. შვალ., I, გვ. 175). დიდებული ხელმწიფე გაუწყრა და ორივე ერთად მოაყვანინა, იქ უხურში დადგნენ“ („დაკრიშიანი“, გვ. 96, 1890 წ., გამოც. მეორე რიგში დადგნენ?). „უხურში საპალნე ღვინო ოცდაათი ჩათია, ჩ ა თ ი — ოთხი თუნგი. საპალნე ასოც თუნგს იხამს რალა“ (სოვ., 1892 წ., № 253). „უხურში, როგორც ვხედავ, ქვეყანა ბრუნდება“ (იქვე).

უთაბაუთო — უანგარიშო, დაუფიქრებელი (ა. ცაგარ, ჩემი რედ., გვ. 5. იხ. თაბუთი).

უთაბაუთობა — უანგარიშობა (ა. ცაგარ, ჩემი რედ., გვ. 5).

უთანთალაპდა — უფამფალებდა.

უთაძა — სცემა. „მინას ოსანჯანივი მუშტაიდში ლაქიებმა გავვიტყვიანეს, კი სილები უთაქეს და ახლა სირცხვილით კარხედ ვლარ გამოდის“ (წერილი იუსე ანდრონიკოვისა მის. თუმანიშვილისადმი).

უთალი — ოთახი (?). „თათრები ასეინ-უსეინობას პატარ ვტლს გააკეთებენ და ზედ ქალაღდის უთახს დაადგამენ, რომელსაც თავიანთ სალოცავების სახეებით და მრავალის



ძლიერს ძერას ჯერას უზამს მარტო მელა, თუ სხვა გზით არ უსხლიკულა და არავინ მოიშველა“ (მ. მღვ. „მოამბე“, 1898 წ., № VI, გვ. 69).

უზარაულობა — ფარეზი, მოვლა, დიეტა. „რომელისაცა მიზეზად იქნების ცული წამლების ხმარებაი და უფარეზობა“ (წერილი კარაბადინიდან).

უღიმღამო — „დამიანს ენოთირება უმოქმედობის და უღიმღამობის უსაფუძვლო გამართლება („მწვემსი“, 1895 წ., № 12; იხ. შარიჯანის ლექსიცი). „ბუბა დაღვრემილი, უღიმღამო და მძინარა იყო“ (შარიჯან — კ. ჩუკოვსკის „მზიანა“, 1936 წ., გვ. 22).

უყაჟური — გაუფრთხილებელი. იხ. ყაში.

უყაჯროდ — ყაჯარი — უნაგირის კენის მოსართავი, აღვირედი, რახტი.

„უნაგირი უყაჯროდ“ — უნაგირი ურახტოდ.

უყუფი — 1. გონება, ჭკუა. 2. გულისყური.

უყახაზი — ჰომოსექსუალური ავადმყოფი.

უყიარი — ფხიზელი (ღვინოგამოლეული).

უჩარობა — უღონობა.

უჩარობის ჩარა: გაჭირვების დროს მეტი გზა არ იყო. „ამ უჩარობის ჩარაში ვილა დაეძებდა სტილს, ეპოქას და სხვა ამნარ „წვრილმანს“ (ნ. გოც-ის მოგონებებიდან). „უჩარობის ჩარაა და რა კენა?“.

უქო — უძველესი ქართული ეკლესია, კოჯრის თავზეა მოთავსებული. აქ საუცხოო წყალია.

უქოობა — მისი დღესასწაული მოდის აღდგომის მეორე დღეს.

უფლოვანი — პატარა.

უჭულ-ბუჭული — წვრილფეხობა.

უჯიათი — თავისნათქვამა, ჟინიანი, ახირებული, კერპი, ჯიუტი, უჯერო. ლექსიცაა ამ სათაურით „უჯიათს“ („ნიშნად“, 1908 წ., № 48). „უჯიათი ბრძოლით მოპოვებული ჩვენი ავტორიტეტი“ (ჭ. „იალქანი“, 1909 წ., № 5, გვ. 16).

უჯიბრო — შეუბრალებელი, უგრძნობელი.

✓ **უხვედრი** — (ადგილი).

ფ

ფათა — იხმარება ორნაირად: **1.** ქალღმერთის თამაშობის დროს, თუ ორთავეს რიცხვით თანასწორი ქალღმერთი აქვს, ამბობენ „ფათაო“; **2.** თუ შეუფერებელი ადამიანი შეფერებულ ადამიანთან არის, იტყვიან: ეპაჰ, რა ფათააო, ვითომ რა შესაფერნი და ტოლნი არიანო, — დაცინვით, რასაკვირველია. „შიხი ოლი ფათას აძლევს ფირილით (საქ. მუხ. ხელნ. № 2130).

ფათანის ყუთნი — აბრეშუმის ქსოვილია.

ფათერაპი — **1.** მარცხი. ხალხური გამოთქმა: გავიდა დღე და არა ფათერაპი, ე. ი. დღე მიიღია და მარცხი არ მომხდარაო. **2.** სიფათი, მავნებლობა, „აცი გაუფრთხილებელი ფათერაპს წაეიდება“. **3.** უცაბედი, უსიამოვნო შემთხვევა, უეცარი განსაცდელი. „რეგენი საქმეს წაახდენს, ფათერაპს დააბრალებს“ (ანდ.). ამ სიტყვას ხმარობენ იმერეთშიც (გ. წერ., „ჯიბრი“).

ფათრეთი — „პორტრეტიდან“ მოდის. „რაც უნდა მოხდეს, ერთს კი წავაფარებ ფათრეთში (აკაკი, „განთიადი“, მოქ. II). „უკ, იმის ფათრეთი კი დაიქცა“ (ა. ახნაზ. „იგ.“, 1887 წ., № 87). „ერთი დამაკრებიზე ფათრეთში“ (ა. ცაგ., კომედ., 1936 წ., გვ. 19). ფათრეთძალი — სოფელში იმის სახეძალი, ქალაქში სახე პორტრეტად გადაკეთდა და გამოვიდა ფათრეთძალი.

ფათფათი — ცანცანი.

ფათ — **1.** კედელი თალსა და თალს შუა. კარ-ფანჯრის სვეტი. **2.** აბრეშუმნარევი ფართალი. „ბიჭო, ბისმარკივით ყალთაბანდი რო ხარ, გუებნები ათი თოფი ფათა იყო“ (იგ., 1887 წ., № 33).

ფაიდა? — რა მენაღვლება; რა ვქნა, რა გაეწყობა.

ფალანო — ანუ პალანი (თურქ.). **1.** მუშის კურტანი. „მეკურტანვე სჯობია, მარჯვედ ჰკრავდეს პალანს“ (ქიქ. და დამ., გვ. 484). **2.** ვირის კურტანი. „ვინც ვირი — ჩვენც იმის ფალანი“ (ანდ.).

ფალანსი — ჭუჭყიანი ტილო, წარმ. ფ ლ ა ს ი დ ა ნ (ძაძა).

ფალან-ფულანსი — მოთელილი, ძველ-ძველი მიტკალ-ტილოები.

ფალაფაშობა — „ფალაფაშობას ხომ ვერ გაწვევ“ (გ. სუნდ., „აბანოს ბოღჩა“).

ფალაძა — დიდი კეტი¹, რომელშიაც დამნაშავეს ფეხებს ჩააყოფინებენ, ჯოხს ლვედით შეჭკრავენ და დამნაშავეს ფეხის გულებზე წკეპლებს ურტყამენ.

¹ ჯერ ეწერა ო რ ი ჯ ო ხ ი, გადახაზულია — რ. კ.

ვალაჰ! – ყიზილბაშურად – მახლას.

ვალუსტაჰი – თურქ. ტყბილი საჭმელია, თაფლით, ფქვილითა და ერბოთი შეზავებული. ფალუსტაკს აჭმევენ ახლად ჯვარდაწერილებს. „ფალუსტაკს ურჩევნია წინა ედგას თხილის კასრი“ („ქილ. და ღამ.“, გვ. 168). „ამ ქორწილმაც განვლო ღზინით და შექცევიო... მეორე დღეს – სიყვარულის დამამტყიცებელი ფალუსტაკი“ (რ. ერისთ., „წინო“, „ცისკ.“, 1857 წ., № 5, გვ. 38).

ვამვალღი – კინწმონწყვეტილი რომ ქანქარს დაიწყებს.

ვანღი – ტოლი, შესაფერი. „სად მოსქებინდნენ თავიანთ ფანდ ქაღმწილებს“ (ლ. მეტრ., „ცხრათვალა შუე“, 1939 წ., გვ. 135).

ვანჯაფინა – (რუს. პაჩინკა), წულაზე დასაკერებელი რამ. „თქვენ რა იცით, ფუტურისტის ფუნჯი ვარ, სემიონოვის ფანჯაფინას თუჯი ვარ“ („საქ. ღამატ“, 1916 წ., № 22, გვ. 40).

ვარანჯა – 1. ძუის ბადე, სახის დამფარავი. 2. ზეწარი, რომლითაც ქალს პირი აქვს აფარებული, როცა გარეთ გამოდის.

ვარაღათობა – „ხალიღაღას მიუღოცე ფარაღათობა“ (ა. ბებუთ. წერ. მის. თუმ. – ღმი).

ვარდა – 1. ცხვრის გამძმარი ნაწლავი, რომელიც გადაკრულია ჩონგურზე. 2. ჩონგურის სიმები. 3. მუს. ტაქტი. დაკვრის დროს ამბობენ. ასწი სახსა და მალალ ფარდამდეო, ე. ი. მალალ ტაქტამდეო.

ვარდახტი – (სპარ., ნიშნავს განადგურებას), აქედან: 1. პარტახი. „ვარდები ფარდახტნაკრავი კიდევ საღმ გაიშლებო“... (ა. ყაზბ. ლექსიდან იხ. ჩუშთან დაც. მისი დაუბეჭდვლესების დავთარი). „წყლის ფერადებით გაუმშრალი ფარდახტი („მამები და შვილები“, 1949 წ., გვ. 92). 2. კედლის პირის ალაძაზება.¹ „ფარდახტისა და ფიცრის ნაგებობა ისევე ძველია, როგორც თვით ქვეყანა“ (ე. ზოლა, „წისქვ. დარბევა“, „მნათ.“, 1943 წ., № 4-5, გვ. 115). „მალალი კედლის წყალი ათსგან ფერადად შესთამაშებდა მზის შუქს და მერე ხშირის ფარდახტით ნამავლა ბლახს“ (ა. ყაზბ. „ამის მკვ.“). 3. ტონების მიერ ხუჭუჭა ტყავის დანამევა მატყლის მხრივ (წყალს პირში ჩაიგუბებენ).

ვარღი – 1. შესაფერი, ტოლი, ყადარი. ა. ჭეიშ. ამ სიტყვას ხსნის „წილის“ მნიშვნელობით: „შვილს ვეყრები და ნაციხვარი ფარღში მერგება“ („მნათ.“, 1938 წ., გვ. 77). 2. ტაქტი. „მოკყვა ბულბული, დასტვინა, ზამაღლა ფარღში ასწია“ (რ. ერისთ. კრილ-ღან, „ვირი და ბულბ.“).

ვარაჰი – 1. დიეტა. „ახალი სადილნაჰამი ვიყავი, მხოლო ცარიელი ფარეზი სუფი მეჰამა“ (აღ. ორბ., ხელნ., წ. კ. № 1659, იხ. თ. ბატონიშ. „მოგზ.“, 1945 წ., გვ. 26.). 2. თავისთავის მოვლა, თავის პატივი. **ფარეზობა** –

ვარაჰი – სპარს. ხელზე მოსამსახურე.

¹ იქვე ი. გრის შენიშვნა, რომელიც ავტორს გადაუხაზავს: „ფ ა რ დ ა ხ ტ ი განა ნაგებობა? ფარდახტი არის რომელიმე კედლის შელაძაზება“. – რ. კ.

ფარმანა – ღამის პეპელა.

ფართი-ფურთი – მუშაობა რაღაც დიდ საქმეზე. „განთქულია ამასუკელის ფართი-ფურთი (ლელო-ი. შურნ, „ივ“, 1886 წ., № 124). ... ერთი ფართი-ფურთით ლაპარაკი იმაზე, რომ გუნათლებულია“ (ქვემო ქართული – ნ. ზ. ცხვედაძე, „ივ. ხალხ. განათ. ხელოსნ. და შურნ“, 1903 წ., გვ. 5). „ფართი-ფურთობდა იგი სწყალო“ (გ. შარვაშ. „გაგანის¹ ციხე“, გვ. 5). ფართიფურთობა: „ნუ გეშინიანთ, ტყუილი ფართიფურთობა იყო“ („ივ“, 1988 წ., № 2).

ფართხუნო – ფრთათა ხმაური.

ფარი – შიგენეულობის მასალა, ჯიგარზე დახვეული ან ფარიანი ჯიგარი.

ფარილი – ბაზმის მური.

ფარიწო – სახელია რომელიღაც საჭმელისა.

ფარი-ფურთა – კოპწიაობა, შიკობა. ამბობენ. **ფარი-ფურთით** მოდისო, ე. ი. ერთი ამბით მოდისო.

ფარსაბი –

ფარფარი – „იმოსები ზართთა, დასდინარ ფარფართთა (გ. სკან.).

ფარფაში –

ფარღალღალ – ღრიტოებიანი, ღია ადგილები (ფშ. კარკალა). „დაგვბინავ ერთ ცუდ ქოხში, რომელიც ფარღალღალ იყო („ივ“, 1886 წ., № 133). „შედგვად მივიღეთ ფარღალღალ შენობა“ (აღნ. დროშა, 1941 წ., № 41). „გაწყრა გენერალი და ისევ ფარღალღალ ქოხში დაუღამდა შაბურას“ (ლ. მარღალ. „ინდუსტ. ქეთ“, 1941 წ., № 100).

ფას – სიტყვის მასალაა. „აღარ იკითხავთ, თუ რა „პოეზია“ დაიბადა? ჰმ, ფას, „პოი, კვიცი“ პოეზიაც და ათასი სხვებიცა“ (ს. შვალ. „თ. და ც.“, 1914 წ., № 10, გვ. 15). „შენი ბუნრის ქული, ფას, იმასთან“ (ს. შვალ. „მოამბე“, 1833 წ., № 8, გვ. 80). გააფასონ – „გლეუბებიც კი ცდილობენ თავადებს უკან აღარ ჩამორჩენ და ოხუნჯობაში ღამის გააფასონ“ (ივ. შან. თარგ. „ამაღლტ“, 1887 წ., გვ. 126).

ფასა-ფუსა მოშალა – ტყუილმოლაპარაკე და არასასიამოვნო კაცს ეტყვიან, წადი, წადი, რა **ფასა-ფუსა მოშალე**.

ფასი-ფუსი – წვრილმანი სამუშაო, რომელსაც ბევრი დრო სჭირდება (ხელოსნ. ტერმინია).

ფასკუნჯი – (რუს. ჟარ პტიცა).

ფასკანდი – უბრალო, არაფრის მაქნისი ადამიანი.

ფაფასუა/ფაფაცუა – იხ. თისიევა, მშიშარა, არის ზოგჯერ გულადი კაცი, რომელიც უბრალო ავადმყ. ვერ იტანს ხოლმე და ეშინიან, შინაურებს აწუხებს. ამისთანა ავადმყოფზე იტყვიან – „რა ფაფასუააო“ (მარიჯანისგან გამივიცა).

ფაფასი – ბობონა და ბანჯგვლიანი, ბეწვიანი ქული.

ფაფუ – აღარ არის, გაქრა (ბავშვურად).

ფაფუკი – მეტად რბილი, ჩვილი. „არავითარ წინააღმდეგობას არ მიწევდა ეს ფაფუკი კაცი“, „ნიკაბს ქვემოთ ფაფუკი ღაბაბი“ (გ. გამს. „ვერცხლის ბეჭედი“, „შნათ.“. 1947 წ., № 6, გვ. 14, 20). „მარად მწვანე ხეებს გაშლილი ტოტები დამძიმებით ბამბასავით ფაფუკი თოვლით“ („იკომ“, 1953 წ., № 283, 1 დეკ.).

¹ ასეა, – რ. კ.

ზავსაქლა – გამხმარი რამ, უფრო ქურაზედ მომწვარზე ამბობენ.

ზავსური – ტრაბახობა, ყოყლოჩინობა.

ზაჟიზი – ნაზი, სუფთა.

ზაღაჟა – თათრ. გამომცხვარი მცირე ზომის პური (ფაფხაჭელა ხომ არ არის?).

ზაღირი – ღარიბი, ლატაკი.

ზაშა – ანუ ფაშფაშა. მსუქან და სქელ ადამიანზე ითქმის. „შახე, დედა, ფაშა“ (რ. ერისთ., „ცისკა“, 1862 წ., ნოემბ., გვ. 264). „ჩემი ცოლი ერთი ფაშა დედაკაცია“ (სვ. ყფო, „ივ.“ 1905 წ., № 170). **ფაშა და დროშა** – მოსული ადამიანი, ლამაზი გამოსაჩენი. „ვაიმე, ჩემო ფაშა და დროშა მიხაკჯან“ (გ. სუნდ., „აბანოს ბოღჩა“, მოქ. 1, ხელთნაწ.). „მართა (ჭირილით): ჩემო ფაშავ დროშავ, ოსკანჯან“ (გ. სუნდ., „ოსკან პეტ. საიქიოს“, „ცხრა სარკე“, 1901 წ., გვ. 228).

ზაშარი – ფაშარი პური: ძვ. ხელი პური, რომელიც იფშვნება, წყალში ჩაყრილი ცუდათ აიხელება.

ზაშაშა – იხ. ფაშა.

ზაჩა – ბარძაყი.

ზაჩი-ფაჩი – ჩუმი ხმაური.

ზაჩუჩი – (ირან. ფაბუჩი) ერთგ. ფეხსაცმელია ტუფლის მსგავსი, სახლში ჩასაცმელი, უქუსლო.

ზაციცად – გაფაციცებით.

ზაციარი – თევზების დასაჭერი ბრტყელი კალათი, რომელსაც მეთევზეები აგდებენ მდორე წყალში და ზევიდან ფირჩხით ჰფარავენ. თევზები ეკვრიან ფაცერს და არ შორდებიან.

ზახა-ფაჩი//ზახი-ფაჩი – ტყუილი გულადი, მუქარის არშემსრულებელი, ტრაბახა; „ვერ შემაშინებს აგეთი ცული ფახა-ფაჩები (აშირან-ღარეჯი გ. ჯაკობას რედ., 1941 წ., ხანა 993). „აჰ მხრივ ბევრი ფახი-ფაჩი არ გამოადგება“ („მგელკაცა“, 1939 წ., გვ. 118); **ფახაფუხობს**: ფართიფურთობს, ყოყლოჩინობს.

ზახაზახავს – თახთახებს, ინძრევა, ლახლახებს.

ზახა – სიტყვის მასალაა სიამოვნების დროს.

ზატიანი – იხ. შლეგიანი. დაფეთებული, შეშინებული.

ზატიანი – 1. ნარიყალას ფერდობზე ღვთისმშობლის სახელობის სამტრაპეზიანი ეკლესია. 2. ხილის (ატამი, ყურძ., ლეღვი) ფერისცვალობა, ნ აგვისტო. ზ. ჭიჭინ. სწერს, რომ **ფეთხანი** ებრ. სასაფლაოს ნიშნავსო; ებრაულად კი ნიშნავს, მაგრამ ქართულად არა.

ზატიანი – უხეირო, დაუდეკარი, მურტალი, უსუფთავო, უფაქიზო. „ვინც სვამს, ფეხთუმაღ იცავს“ („მუშა“, ფელ. 1937 წ., № 193). „ვინ არის ფეთხანი, ღუნე, ჩოლფოტი, დაუდეკელი“ (დ. მანხ., „მური სიტყვა“, 1891 წ., გვ. 143). „ქალი: უქანა ხარ, გამეცალე ბიჭო! კაჟი: მამ არადა შენსავით ფეთხანი ვიქნები“ (ი. გედევ., „მსხვერპლი“, II მოქმ.). „რა უყვით რომ ოჯახშია ფეთხანით ხარო“ (გ. სვანიძე, „ქართ. ხალხ. სიმღ.“ 1957 წ., გვ. 106). „თუცა ბავშვობაში მეზობლები მეძახოდნენ „ფეთხანს“ და შეშლილს“ (გ. უსტ. ჩემდამი მოწ. წერილიდან). **ფეთხანი** (ფეტყუმი) ქალის სახელიცაა ხულოს რაიონში (ატარა).

ზარი-ზური//ზარ-ზური — ამბობენ: ფერი-ფური აღარა აქვს სახეზეო.
„ღამა ადგილზე გაქვავდა, ფერ-ფური წაუვიდა“ (გრ. აბაშ, „ღამარულა“, გვ. 271).
ფერფურიანი — ქალს რომ ღოყის თავი მოწითალო აქვს, ამბობენ,
ფერფურიანი ქალიაო.

ფახვადი-ფესვი

ფახი — ეს სიტყვა შემოვიდა ქალ. ფესადან ანუ ფეცადან (მაროკოს ქალაქი).

ფაფაბი — ფეხები (საალერსო სიტყვაა). „სიფაფუკე ფეფისა“ („ო.“, 1889 წ. № 12).

ფაფალა — ქალის სახელია ეფემიადან.

ფაფანგი — იხ. ვ. ბერიძის ლექსიკ., გვ. 45.

ფაფაბაი — (ტკბილეულია?) თელავის ქუჩებში იყიდება ფეშმაკი.

ფაბამალი//ფახტამალი — წინსაფარი, არდაგი, ფართუკი. „არა მწაღია ცხვარშია, ნეტავი დამსვა შინაო, მაქცია ფესტამალათა, ქალებს ამაკრა წინაო“ (ხაღხ.). „გოგობიჭები ფესტამალებით და სურებით დადიოდნენ და სტუმარ-მასაინძლებს ხელებს აბანინებდნენ“ (მ. ჯავახ. „არს. მარაბ.“ 1933 წ. გვ. 47).

ფაფაჰაჰ//ფაჰაჰაჰ — საჩუქარი, ძღვნა, არმადანი, სახსოვარი, იაგდარი.

ფაფხო — გატყ. ცხერის მეოთხედი, ერთი ფეხი. საბას აქვს ფეში (და არა ფეშხო) — ცალი ჩანასხეპი, ხოლო „სიბრძნე-სიცრუისაში“ ფეშხო (1859 წ., გვ. 162). „წავიდოდი ხოლმე კახეთში, ცხრა შურათ ჭირიანს ვიყიდი, თითო-თითო ფეშხოს კინაზებს ფეშქაში უზამდი“ („ივ.“, 1892 წ., № 253).

ფახამბარი — მოციქული, წინასწარმეტყველი.

ფახი ირავა — „შვილო, იმ ქუჩისკენ წადი, სადაც ფეხი არ ირევა“, ე. ი. ხალხი რომ არ დაიარება.

ფახიდან მოცვათილი — 1. ტანმორჩილი, მოლეული. 2. ეშმაკი, შებერტყილი.

ფახის აბური — აბანოში დიდი ხნის ყოფნის შემდეგ, როცა ქუსლები დაურბილდებოდათ, ქვას ისვამდნენ (ასეთ აგურს ან ქვას მზითევშიც ატანდნენ). ეს იყო „მოჭედილი ქვა“ ან განსაკ. მოყვანილობის აგური.

ფახის ჩითი — საბნის ქვეითი პირი, საბნის სარჩული.

ფთილა — გაჩეჩილი და დასართავად მომზ. მატყლი. „მართა მკითხავთან იყო, ფთილებიც დაუსხა“ (ნ. ლომ, მოთხ., გვ. 467).

ფია — ბავშ. ფაფა (შ. მღვ., ლექსები, იქ წამალსაც ნიშნავს და რძესაც).

ფიალა — პატარა თიხის ჭურჭელი, გადაშლილი, ჯამისნაირი. წინათ ყარაჩოღელები ღვინოს სვამდნენ ამით.

ფიჰ! — სიტყვის მასალაა გაკვირვების ნიშნად. „ფიჰ! ასეთი ამბავი გაგონილა?! — წამოიძახა ზაალ ბარათაშვილმა“ (მ. ჯავახ. „არს. მარაბ.“, გვ. 49).

ფიზოზი — იარაღი, რომელიც იხმარება სუფრიდან ნივთის ასაღებად.

ფითი — აღმ. საჭმელია. პატარა ყურიან ჭოჭობში ჩაჭყრიან სისირს (მუნხლოს), ჩაატრიან ხახვს, ჩასდებენ ცხერის მსუქან ნაჭერს, სეზონის მიხედვით დაატანენ ან პამიდორს, ან ტყეშალს და შესდგამენ ნადიმ ცეცხლზე. იხარშება თავისსავე წვენიში. ამას უფრო თათრები სჭამენ. არის

ფიფაზარი – პატარა სათონე.

ფიფალი – ფიშტახტი?

↳ **ფიფახტი** – რუმების დასაწყობი ნარი, ტახტი. ერთ-ერთი დარაბა ტახტად გადაებული.

↳ **ფიფარი** – ღვინის დალალი, სპეც. დავლებით გაგზავნილი სავაჭროს საყიდლად. სირაჯის (ღვინის პატრონის) მოსამსახურე. ეს სიტყვა „მეჯღანუაშვილშიც“ არის მოხსენებული ასე: ფისკალი (თ. VI). ხოლო ზოგ სახელმძღვ. ფისკალი ახსნილია **შუშად**, რაც გაუგებრობაა.

✓ **ფინავი** – 1. პატარა ფარდაგი, ჯეჯიმის ყაიდაზე მოქსოვილი ღოგინის ქვეშ გასაშლელად (მთაში გავიგონე). 2. ჩული, საქონლის გადასაფარებელი.

ფინული –

ფიცრული – ერთგვ. ცურვა გულადმა.

ფიფილი – ანუ **ფიწელი**. ამბობენ: ვინც ამ **ფიწელს** შესჭამს ორსულობის დროს, სახეზე ლაქები დაემჩნევაო. ამბობენ კიდევ: ვინც ელენთას შესჭამს, გვირგვინის ქვეშ გონჯი გამოჩნდებაო.

ფლაჰაჰი – ფლავის საწური.

ფლანი – შავანი. აქედან გამოთქმა: ფ ღ ა ნ ი დ ა ფ ს ტ ა ნ ი-ესა და ესაო, **ფლანმა** და **ფსტანმა** – ამან და ამანო. „ეს ამა და ამ ფლანს უნდა უჩივლო“ (გრ. იაკობიძე, „ვეფ. ვეჟენის ზანზალოვი“. 1884 წ. გვ. 38).

ფლაბო – ანუ **ფლატე**. უნიადაგო მიწა, რომელსაც ძირი გამოცლილი აქვს.

✓ **ფლასუნი** – ფენის გასმა.

ფლასტი-ფლუსტი – ამბობენ: მოდი, **ფლასტი-ფლუსტი** გავუშვათ და საქმეზე ვილაპარაკოთო, ვითომ წარამარა და უთაებოლო ლაპარაკს თავი დავანებოთო. ამბობენ კიდევ: ფ ღ უ ს ტ, მოხვედი? – ვითომ იმედგაცრუებული მოხვედიო? **ფლუსტი** – ფუჭი.

✓ **ფლუპი** – ფუტური, უნაყოფო. გაბერილი, მაგრამ გამოფიტული.

ფოთოლი – ძვ. წიგნის ფურცელსაც ეწ. „ეს წიგნი შეიცავს თავიდან ორას ფოთოლს“ (ხელნ. აღწ. ტ. V, გვ. 32).

↳ **ფოლორი** – 1. მოედანი, განიერი ქუჩა (სომხ. „ფოლოც“ – ქუჩა), სადაც ხალხი თავს იყრის; გაშლილი ადგილი. „ქალები გროვდებოდნენ ფოლორცში და ელოდნენ თავთავიანთ მგობრებს, ამხანაგებს“ (ა. ყაზბ. „ამის მკვლ.“) 2. ცბიერი, თალთმაქცი ადამიანი. **გ ა ფ ო ლ ო რ ც ე ბ უ ლ ი** – სახელგატეხილი, ნამძრახი ქალი. მოედანზე გასული ადამიანი, რომელსაც მოკრძალება დაკარგული აქვს.

ფოჰინო – „ფომინობა“ არის იაფფასიანი ვაჭრობა, რომელიც იმართებოდა ალდგომის მეორე კვირას – „თომას კვირას“.

ფოჰფლად – ღუნეთ. „რელსები ისე ფომფლეთაა ახუნულავებული“ (სიგ., 1886 წ., № 215).

ფონთი – ღუნე.

ფონთო/ფუნთო – განიერი, გაფართოებული, ტანზე გამოუყვანელი, წარმ.



სიტყვიდან ფართო. „ეს კაბა ფუნთადაღია“ (ტფილისში განაგონი). ეს სიტყვა ეკ. გაბაშვილს აქვს თავის მოთხრობებში.

ვოლაჟი – რონინი, ძალღმადური ცხოვრება.

✓ **ვორა კაბა** – დილის ფარღალა კაბა – ხალათი (ქალისა), გაფარფარებული ანაფორასავით. ხალვათად, სადად ნაკერი (პენუარი).

ვორთოვი – ფუსფუსი.

✓ **ვორჩხალობ** – „შინ ცოლ-შვილი გიწივის და შენ კი მარად ფორჩხალობ“ (ს. შგალ, ტ. I, გვ. 208.).

ვოსო – ჩაღრმავებული, ღრმა ადგილი. ჩვენს უბანში, ყოფ. სუმბატოვის სახ. აბანოს ფოსოს აბანო ჰქვია.

ვოსტის ფული – ფოსტის გზით სარგებლობისათვის სოფლელებს ახდევებდნენ ფოსტის ფულს. ფოსტის ცხენების ადგილი იყო ოღკას ქუჩაზე.

ვოტორი//ვოტორი – „ოხერი ბილიკა და ეს საქონელი არ გადაიწეოს ფოტორიზე“ (ს. შგალ, ტ. I, გვ. 60). „ბავშვებმა იძრეს ტანისამოსი და ფოტოროდან მორევში გადაეშვნენ“ (ს. შგალ. „ყაყ. ქურდები“, თ. II). „წავდექ ფოტორის პირას... ხარს სახრე მოვექნიე. ამასობაში ი ჩემი ცოდვით სავსე ფოტორი მოიმზღლა“ (ს. შგალ, ტ. I, გვ. 64).

ვოვინი – ყურადღება, პატივისცემა, აღურსიანობა, გრძნობიერება.

ვოვინა – „იმ დროს, როცა ყველა აზიელნი ფოვინაში იყვნენ და ელოდნენ დიდ ისტ. შემთხვევას“ (აივ., 1891 წ., № 133).

ვოვტა – ტივის ხის გვერდიდგან ჩამონათალ-ჩამონახერხი ფიცარი, ფოშტის ფიცარი.

ვოსოლა – „ფოსოლა ყვავები“ (ს. შგალ, „ღამის მხრე ცეც“).

ვრანგული – სანათური; ჭერში დატანებული ფანჯარა.

ვრანი – საბავშვ. ფრიალა, ცაში ასაფრენი (და არა პირდ. თარგ.: ჰაერის გველი), ოთხკუთხედი ქალღლი, თხელ ჩარჩონზე გაჭიმული, რომელსაც ნატურებისაგან გრძ. კუდი აბია და კანაფით უშვებენ ხოლმე ჰაერში. იმერ. ფრიალა. მ. ჯავახ.-ს „ქოჩორა თურინჯში“ „ფრანის“ ან „ფრიალას“ ნაცვლად „გველი“ აქვს მოხსენებული. „წითური ზუკა ქალღლიდან აკეთება ფრანს“ (მარიჯან. თარგ. „მზიანა“, 1936 წ., გვ. 18). „მთარგმნელს შარაშიძეს რუს. სიტყვისათვის „ბუშაქნი ზმეი“. ქართ. „სასრიალებელი ფრანი“ დაურქმევია. არ ვიცი, რად მოხდომნია მთარგმნელს ასე რთული და გაპრტყელებული სიტყვა, როდესაც ქართულში ადვილი და მარტივი სიტყვაა ფრანი (აივ., 1886 წ., № 6).

ვრანი – უსირცხვილო (დ. ჩ.-ს აქვს).

ვრა – როდესაც ორი მხარე (კოჭების მოთამაშენი) ჰყრის კოჭებს, ორივეს ან ჭიკი, ან აღჩუ, ან თოხანი ერთი და იმავე ყრაზე დაუჯდებათ, იტყვიან, ეს „ფრეა“, და ხელახლად ჰყრიან.

ვრთა – გადმოკიდებული ჩარდახი.

ფრთონა – (იხ. ჩემი „ჰეინეს ლეგენდა“). „მისებრ ფრთონა და სისხარტე (შ. ნიშნ.).

ფრიზი – სხვაფრივი, სხვანაირი.

ფრუსტი – ჩაფრუსტება, სიცილის კერძეკაეება.

ფსიტი – ფსელი.

ფსონი – (საბა: ფსონი – ამხანაგნი შეყრილნი). ნ. კეცხ. აქვს მოთხ. სათაურით „მხიარული ფსონი“ („საკად.“ 1915 წ., № 5-6.). ამბობენ: მონდი ფსონით ვისადილოთ, ე. ი. ფულის გადახდის დროს თანაწორად გავიყოთ დანახარჯიო. **ფსონი** იხმარება, აგრეთვე, ქაღალდის თამაშობის დროს.

ფსტა – ხმელი ხილთაგანი.

✓ **ფუზა** – ზეთიანი ფუნჯი, რომელსაც ფეიქრები სავარცხელს წაუსვამენ (საბა).

✓ **ფუთა** – აბანოს ზეწარი. ძველად, როცა მამაკაცი აბანოში ბანაობას გაათავებდა, დაიძახებდა: „ააას“, მოვიდოდა ჯამადარი (ფუთის ან ფეხის წყლის მიმწოდებელი), რომელსაც მხრებზე რამდენიმე ფუთა ჰქონდა გადაკიდებული ტანის გასაშრობად. ჯერ თავზე შემოახვევდა დოლბანდივით, ერთს ზურგზე გადახურავდა, ერთს გულზე, ერთსაც წელზე შემოარტყამდა მამაკაცის იარაღის დასაფარავად. ასე მორთული გამოხვიდოდი დერეფანში ტანისამოსის ჩასაცმელად. ეხლა კი ტიტლიკანა გამოდინარ... „სასირცხო ასო უკიდიათ ყველას დასანახათო“, – მითხრა ათვალწუნებით ძველმა ჯამადარმა ბეითიღბალამ. დ. ერისთ. ი. მეუნარგიას წერ. სწერს და ფუთას მნიშვ. ასე განმარტავს: „...დ. ლ. ერისთავისაგან (პოსრედნიკი) გაგონილი მაქვს, რომ გიორგი მეფე და აგრეთვე სხვა დარბაისელნი ცოლქმრულ ურთიერთობის დროს, თურმე, წინ ფუთას გაიკეთებდნენ, რომ ტანი ტანს არ მოხვდეს – სირცხვილიაო! რა დრო ყოფილა!.. მეფე გიორგის მშვენიერი აბრეშუმის ფუთა ჰქონია. ცოლთან აღერსის გათავების დროს, დაღებულა ხატის წინ და მუხლმოდრეკით ცოლვას იხანებდა – ჩაწერე!“ (ი. მეუნ., სამეგრ. მუხ., წერ. დათარ. 1889 წ., ს. ოძისი, 17 ივლ.).

ფუთფუთი//ფუთფუტი – ფუსფუსი.

✓ **ფუთლუხი** – ღუნე, მოშვებული. აგრეთვე, იგივეა, რაც ჩ ა თ ლ ა ხ ი .

ფული შაჰჰაჰა – ფული დაეხარჯე, ერთბაშად შემომეხარჯა.

ფულიბანა – ბავშვების თამაშობა ფულზე.

ფუჟული – ჰატარა მატლი, ღვინის ჰსკერზე იცის.

ფუნთად – ლაღად. „ეს შარვალი ფუნთად არის შეკრული“, ე. ი. ლაღად არის, არ არის მოჭერილი.

ფუნთუში – რუს. „ბულკი“.

ფუნჯი – ფონი (სახატავი), რუს. „კისტი“.

ფურთი – ერთგვ. ბანქოს თამაშობაა.

ფურნისთავა – ფურნეში შემწვარი ცხვრის ხორცი.

✓ **ფურფუში** – ამბობენ: ისეთი ბალიშები აქვს მზითვად, რომ სულ ფურფუშით მორთულიაო. გარშემო დაკეცილი არშიებით მოვლებულ ბალიშს,

✓ **ფურფუშით** მორთულ ბალიშს უწ. (პლისიროვკა).

ფურიკალი – თუთის ხის ფოთოლი.

ფუსტი – ცარიელი, ფუჭი. „შენს იუბილეს ვერ დავესწარი. დამპირდნენ, მაგრამ... ბოლოს ფუსტად დავრჩი“ (ერთი მოქალ. ნაამბობი). „რამდენიმე მანეთის იმედი მქონდა და ისიც ფუსტ (გ. სუნდ, „ხათაბალა“, მოქ. III).

✓ **ფუსუნსალა** – პაწია, მომცრო ტანისა.

ფუსტული – „ითებს გაღმობენია ცაავი, ფუსტული, ნათელი ცა“ (ი. ტურგ, „ლექის პროზა“).

ფუფალა – ბავშ. ენაზე უფალი, ღმერთი.

ფუფრი – მუქი ფერი, ალბათ წარმ. „ქუფურისაგან“.

ფუფსაპატი – ქარაფუშუტა.

✓ **ფუფსი** – საბერველი გუდა სამჭედლოში. „ფუქსით განღებული ცეცხლი შუქს აყენებდა“ („დრ.“, 1885 წ., № 186). „მტკერისა სიტყვაზედ რიონმა მორთო უშუქვი კრეჭა-სიცილ-ხარხარი, ფუქსების გუდას პირი მოუსხსნა და მით შეიქმნა მეტად დამტკარი“ (შიხ. ასათ, „მტკერის ბასი რიონთან“, 1881 წ., გვ. 10). **ფუქსა** ზედმეტი სახელიცაა ერთი კაცისა.

✓ **ფუში** – თიაქარი, ტრიკი, ქუში (ცხენისთვის). **დ. ჩ.** ამბობს: **ფუში** ფერდის ქარიაო. რუს. გრიჟა.

ფუფრუკი – პირში რომ იფშხენება (კართოფილი, მჭადპურა, ვაშლი და ა. შ.).

ფუჩინი – სიმინდის წვერ-ულვაში. „ფუჩინა“ მეტი სახ. კაცისა.

ფუჩუჩა//ფუჩოჩი – მსუქანი, რბილი.

ფუუტი – ფუჭი.

ფხა – 1. თევზის ძვალი. 2. თავთავის ეკალი. 3. ნიჭი, შნო.

ფხიტი – ნიჭი, ფხა, უნარი. „ლაფთან უფრო ფხიტი გამოიჩინა“ (შელან, „პრიგავარის ზღველი“).

✓ **ფხიჭა** – ნეხვის ჭია.

ფხოჭა-ბლუჯა – ყურთა გლეჯა.

ფხოჭინა –

ქ

ქაბაბი — „ქაბაბი იხვისაც და თევზისაც შეიძლება“ (ო. ხაიამის რუბაია, „აკაკი“, 1924 წ., № 1-2, გვ. 173.). სვანეთშიაც სცოდნიათ (რ. ერისთ., რუს. „ზრახს“ აღარებს ქაბაბს „სვანეთი“, 1898 წ., გვ. 78).

ქაბული — (ნუთუ საჭიდაოა?). „მოსკრავებმა ქაბული დაუკრეს“ (აკაკი, „ბაში-აჩუკი“, თ. 6).

ქადა — ნამცხვარია ერთგვ.

ქაზდარი//ქაზღრი — მიწის იატაკი, ხევესურული სახლის მიწის იატაკი.

✓ ქათიბი — ძვირფასი წამოსასხამი.

ქათიბის ტაბაა — ქათამს გაჩაჩხავენ, ზედ სიპ ქვას დაადებენ, რომ მთლად გაითხაპნოს ერბოში და შეწვამენ ტაფაზედ.

ქალაპირი — ნასახლარი, ცარიელი, ოხერი ადგილი. პარტახი, სადაც ათასგვარ სიბინძურეს ჰყრიან. დანგრეული სახლი, რომელიც მიწასთან არის გასწორებული.

✓ ქალაპოდა — ღოღოსებური ფართოფოთლოვანი მცენარეა. ახმობენ და ზამთარში შეჭამანდს აკეთებენ (რაჭაში). „ტყეში ქალები წავიდნენ ქალაპოდას საკრუფელად“ (რაჭ. სიმღერა).

ქალაპა — „სიყვარულის ხელთათმანს ქედის ქალაპაში ვატარებდი“ („მეფე ლირი“, 1937 წ., გვ. 103).

✓ ქალანთარი — ქალაქის თავი.

ქალაზანი — ხაში ბატკნისა.

ქალაპია დღე — გაუთავებელი, მარადი (დღე). „მომჯდომიზარ ამ ქალაქია დღე და ვითომ ასწავლი რასმე“ (რ. ფლავ., „მოაბზე“, 1896 წ., № 1, გვ. 33).

ქალაპიაღამა — დიდი, გრძელი ღამე. „რა უნდა გააკეთო ამოდენა ქალაქია ღამეში“.

✓ ქალაღამა — მანდილი. „ყელზედ ქართული ქალაღამა გადაუკვია“ („სოფ.“, 1889 წ., № 227, გვ. 2).

ქამალი — ჭკუა.

✓ ქამანდარი — შექამანდე, ქამანდის მომდები. „თამარ ქალი ქალა, სიტყვის ქამანდარია“ (ხალხ.).

✓ ქამანჩა — ნაზხმიანი საკრავი, უფრო აშუღებშია მიღებული. ქამანჩა

სამძელიანი საკრავია. ყოველ სიმს ცალკე მომართავენ ხოლმე. ამ საკრავს ჰქვიან აგრედვე **ჭიანური**. **ქაძანჩა** დაერქვა **ქაძანასაგან**, ე. ი. იმ ძუაგაბმულ ჯოხისაგან, რომლითაც უკრავენ. ამ ჯოხს ახლა ჰქვიან „იდა“, ქაძანა (რუს. „სმიჩოკ“). „ქაძანჩა პირველყოფილი ვილინა“ (ივორსკი).

ქაძახა — დიდროვან ყვავილებიანი აბრეშუმეული.

ქანდირაჯი — 1. მუშაითი, ჰაერში გაჭიმულ თოვზე მოსიარულე. 2. ჯოხზე, ქანდარაზე მოცეკვავე (საიათნ.).

✓ **ქანთალი** — მამაკაცის სასირცხვო ასო.

ქანო — კარების დირე.

ქანქანო — ხერელი. „ასაკვეთი ოსტატობით ქანქანებსა სთხრისაო“ (ხალხ.). „იქ ტყე იყო გახვრებილი და გზა ქანქანით გაყვანილი“ (ა. ყაზბ., „ელგუჯა“, თ. 1, დასაწყ.). გვირაბია? **ქანქაჩი** — ქანქანის ოსტატი?

ქანქარა —

ქანქანნი — ფესადგილების და საზოგადოთ ორმოების მთხრელი-განწმენდელი.

ქანუქლა — საქანელა.

ქანჩახი — დაბლობი, უფსკრული.

ქანჩი — „ქანჩივე მოუჭიროთ“ (დ. მანხ.).

ქანცი — ღონე, „მაღლე გაგვაცლის ქანცს“. **ქანცგაწყვეტილი** — დაღლილი, დაქანცული, ღონეგაცლილი.

ქარაბაზა — ასონაკლები ნიშანი.

ქარაჯი — დიდი კლდე.

✓ **ქარაქუცა** — მერყევი, ორპირი, უქნარა.

✓ **ქარღინა** — 1. საქმეზე გულაცრუებული, ზანტი, ზარმაცი. 2. მოხეტიალე, მოტანტალე. 3. ცარიელი, გაშლილი, ადგილი. „დღემდე საქართველო ქარღინა იყო, მტერი ხშირად დანავარდობდა ჩვენს წიაღში“ („ერთობა“, 1921 წ., № 29).

ქარაღინა — „ქარი ქარაღინა“ (ხალხ.). ძლიერი ქარი (არა აქვს დ. ჩ.-ს).

ქარაშოტი — ქარიშხალი. „საშინელი ქარაშოტი ღმუიდა და გრიალებდა“ (გ. ზეჩ., „ოცი მმა“), „ქარაშოტი დაქროდა ჩვენს უბანში“ (ი. ეკალ., „სხვათაშორის“). „ქარსა და ქარაშოტში მიიწვედა წინ“ (ნ. კეცხ., „სახ. განათ.“, 1957 წ., № 36).

ქარბა — რკალივით მოხრილი ხეა, რომელზედაც ოქრომკედით იქარგება სხვადასხვა ძვირფასი ნივთები, თავსაკრავები, სარტყელ-გულისპირი.

✓ **ქარბალი** — ნოქარი, ხელოსანი, პირველი ხელქვეითი ოსტატი.

ქარპან-ქარანო — ნაადრევი ვარსკვლავის სახელია. ქართ. — „ხარიპარია“, „ყარაჩების ვარსკვლავი“ (იხ. ჩემი „ოვ. თუმ.“ გვ. 109).

✓ **ქართო** — გამხმარი პური. ძვ. ყველა ოჯახში თონე იყო. პურს მთელი კვირის მარაგს აცხობდნენ. და აი, ამ **ქართო პურს** (გამხმარსა და დაობებულს) აბანოში წიაღებდნენ, ალბობდნენ გოგირდის წყალში და შეექცეოდნენ. ღარიბ ოჯახში დედა შეიღს აძლევდა ამ პურს და ეუბნებოდა: აჰა, შვილო, წყალში დაალებე, შეჭამე და ფულს იპოვიო.

- ძარიზი – წყალსადენი, წყლის სადენი მილი (თურქ. „ქელრიზიდან).
- ძაროზი – ქადაგება, დარიგება „ქერა ქალსა, მლატს გაუტანელს... არ მწამს მისი ქაროზები, გულს უხუდან ჯგუფად ტარტაროზები“ (ათ., 1885 წ., № 17, გვ. 168).
- ძარსანი – კოკის მსგავსი ჭურჭელია.
- ძარსაზარი –
- ძარსი – ანუ ქასური. „გლესავ და გლესავ, ნამგალო, ქასურის საღესავითა“ (ხაღზ).
- ძავის გასპლა – მოპარვა, ანგარიშის დროს დატყეუება.
- ძავშირი//ძავშირი – ქაფის მოსახდელი, დახვერტილი ბრტყელი კოვზი ან ჩაჩჩა.
- ძავძავა – ქაფქაფა რძე, ქაფქაფა ცხოვრება.
- ძავ-ქოთანი – ქვაბ-ქოთანი. ქოთანია ერთგვ., რომელშიც ლობიოს ხარძავენ და დუქანდირები წინათ დუქნებში რომ სადილობდნენ, ამ ქაფ-ქოთნით ატანინებდნენ შეგირდებს კერძს.
- ძავჩა – ტალახის ამღები მოზრდილი და ბრტყელი კოვზი.
- ძარძარა – ძალზე თეთრი ფერი.
- ძარძაძა – სწორღეროვანი მცენარე (ხუთი ღერო აქვს). ქალაქში ამ მცენარეს წნილად ინახავენ. დ. ჩ-ს განმარტებით: ქარქვეტა არის ცუდის, აყროლებული სუნის მცენარე. ეს განმარტება ამ მცენარეს არ შეეფერება. ქარქვეტა ფსალმუნში იხმარება ხმელი კაჭატის და ფიჩხის მნიშვნელობით. „ფეხი მთებრ დასდას ქვეყანად, ტინურად დამტყცებული, ვითა ქარქვეტა ქართაგან, არ იქმნას მოტაცებული“ (აგვ., 1888 წ., № 62, გვ. 2).
- ძარძუში – ქარბუქი. „აბა, როდის ამოვარდება ქარქუში“ (აგვ., 1887 წ., № 166).
- ძარშიპი – ვირის უნაგირის ტილოს სარტყელი. „ქარშიით დამატრული საქონელი“ (ვ. ბარნ).
- ძასრი – სამართებლის, დანის და მისთ. საღესი ქვა (აგვ., 1892 წ., № 83, ფელ).
- ძასძასაბს – ქაქანებს.
- ძაში – განავალი. „ამბობენ პლ. იოსელიანს თაფლსა შინა ქაქი გაურევა“ („Опис“, ტ. 2, გვ. 319-320).
- ძაძლანდი//ძაძლინდი – რომელიღაც წამლის (ბალახეულის) სახელია კარაბადინით, განკუთვ. ავადმყოფთათვის.
- ძაღზიბადამი – 1. ხმ. ხილთაგანია, ნუშის მსგავსი, მხოლოდ უფრო პატარა. 2. თაფლ-ნუშისაგან გაკეთებული ტკბილეული. 3. დანიგვნილი მხალი.
- ძაშა – ფაფუკი, გულბილი ფხვიერი (ვაშლი).
- ძაშანი – ქალაქი სპარს-ში, საიდანაც მახმური (ხავერდი) მოდის.
- ძაშანური – თიხის ჭურჭელი, გაელვარებული (ქალაქ ქაშანიდან ხომ არ არის ეს სიტყვა?).
- ძაშაპი – თევზის სახელია.
- ძაშაჟ-თაშუი – „ქაშაჟ-თევზის დამარილების ხერხი მოიგონა“ (ნ. ავალ, თარგ. „თავადის ქალი“, გვ. 15).

- ✓ **ქაშნაძაშვი** — ხარაზების ხელსაწყო. ფენსაცმლის ამოსაწვეი.
- ქაჩალი** — მელიოტი, ბელატი, პოსლიკა (სიქაჩლე თმის ავადმყოფობაა), თავზე თმის არმქონი. „ყოველ მთა ქაჩალი მელქუნეთან“ (ანდაზა) აი, აკაკის ყრმობისდრ. შაირი თავის შინაყმა თომა სადუნიშვილზე: „ყვარ, ყვარ, ყვანალარ, ჩამოვივლია ჭალარ; თუ შეიტყვე, როდის მოვა ჩვენი თომა ქაჩალარ“.
- ქაჩე** — უღელტეხილი („მოამბე“, 1884 წ., № 4, გვ. 116).
- ქაჩუზა** — უქნარა, ზარმაცი. რ. ერისთავსაც აქვს პიესა ამ სათაურით („ციცკ“, 1853 წ., № 8, გვ. 5).
- ქაბიფი** — ჯვრისწერა.
- ✓ **ქაპანო** — ვირის კურტნის ქვეშ გასაშლელი ჩული. „ნაციცი კიცი მოკველა, ჯორის ქეანზედ გეიდა“ („კოლექტივიზ“, 1935 წ., № 163). „თუთა-პალები აკეიდეს გაწყობილს ქეანზედა (საქ. მუხ. ხელნ., № 2130).
- ✓ **ქაქეძე** — „ქექეძეთ წავალთ ერთაჭალისკენ“ (გრ. ორბ.), „მაქექეძეებს ლურჯასა“ (ვაჟა, „გოგოთურ და აფშინა“, თ. III), „არც კი ცქრილობენ, ქექეძეთ მიგოგამანებენ, ტანს ოდნავარზე-აქანებენ“ (ვ. ბარნ, „პროფესორი“, „მოამბე“, 1901 წ., № 5).
- ✓ **ქაქვხა** — სოფლის ნაცვალი, მამასახლისი. „ჭირიმე ჩვენი ქეხხასი, იმის კაცური ნიჭისა“ (ბეჩარა, გვ. 289).
- ✓ **ქათლი** — ჩაიდანი. სპილენძის ჭურჭელი, ჩაის ასადულებელი, ყავადანის მსგავსი, მხოლოდ მუცელა.
- ქანჯანა** — სინდისის ქენჯნა.
- ქარაქა** — ქერა, შეგი.
- ქარაქანა** — აქერქილი, ქერქამძვრალი.
- ქარაქარალა** — ერთგვ. გამომცხვარი პურია.
- ქასატი** — უფულო; „ფულზედ ქესატად ვიყავი“ (პ. ლორია, „დაზვიდან დაზვამდე“, 1958 წ., გვ. 3).
- ქასატობა** — უქონლობა, „არეულობისა და ქესატობის დროს არც ქუთათურ ვაჭრების მდგომარეობა სახარბიელო“ („ივ“, 1905 წ., № 159, გვ. 4). „ღვინის ბაზრის პირობები არ შეცვლილა, ისევ ისე უგზობაა, ისევ ქესატობა“ („სახ. გაზ“, 1913 წ., № 1039). „ვაჭრობა აღარ არის, ქესატობას არ ვიცი, სად გავექცეთ“ („ივ“. 1886 წ. გვ. 208). „საყმაწვილო გამოცემათა ქესატობა ყოველივეს აღემატება“ („ნობათი“, 1884 წ., № 7, 8, 9, გვ. 96).
- ქასაქუში** — (არა აქვს დ. ჩ.-ს). „გინახავთ ძაბით მოსილი ქესკუში ქვრივი?“ (ვ. ბარნ, „ვარდუ“, 1929 წ., გვ. 206).
- ✓ **ქაშად** — აღმაცერად, გვერდზე. „ერთი კაცი შეეკითხა ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ბავშვი ეჭირა ხელში: — ბატონო ჩემო, ვინ არის მამა ამ მშვენიერი ბავშვისაო. — სულელიო — მრისხანედ ჩაილაპარაკა ქალმა და ქეშად შეხედა უცნობს...“ („ივ“, 1897 წ., № 236). „ვინც კი მათ ქეშად შეკხედავს, დამაჩანს ესერიან“ („ივ“, 1889 წ., № 6).
- ✓ **ქაშელა** — მსუქან, გაუმაძღარ, უშნო კაცზე ამბობენ — ქეშელა მუცელი აქვსო.
- ✓ **ქაშიპი** — მცველი.
- ✓ **ქაჩა** — 1. მატყლისაგან გაკეთებული ხალიჩა. 2. გრძელი, მოთეულილი

ნაბადი, ტახტზე დასაფენი, რომელზედაც სხვადასხვა სახეებია გამოყვანილი.

3. უნაგირის ქვეშ რბილი დასაფენი.

ქაჩო — კეფის და კისრის ნაწილი.

ქაცვაცუნა — უმნიშვნელო რამ.

ქაჯაბა — მოზრდ. ხურჯინი. ძვ. არაბები და სპარსელები ამ ქეჯაბს გადაჰკიდებდნენ ხოლმე სახედარ-ჯორ-ცხენ-აქლემებს.

ქაა ააგლო და თაპი შაუშპირა — გაჯიუტდა.

✓ ქაა აურიბა — ე. ი. ჩხუბისათვის რალაცა სთქვა, „ჩორთი ჩააგლო“. ქვის არევა კრივის დროს იცოდნენ (აღრ., 1870 წ., № 8).

✓ ქაა ჩაპარდა — ჩვენს შუა ქვა ჩავარდა, ე. ი. მეგობრები აღარა ვართო.

ქააუთხაილი —

ქაას უშურა — ერთი რომ აქებს მეორეს, მეორე ეტყვის: ქვას უყურე, ე. ი. თვალი არ გეცესო.

✓ ქააცა აჰჰს და ჰაჰალიც — მდიდარზე იტყვიან.

✓ ქააწვიბა — ძუნწი, კრიქანგი.

✓ ქაასარშია — ძუნწი, წუწურაქი, ხელმომჭირნი.

✓ ქაარნაჰი — სწორი ადგილი მთის წვერზე.

ქააშაქალა — ქუდის სარჩული.

ქააშაქაშა — ორპირი, ქლესა, ცბიერი, ვერაგი. „ბევრ რამეში ძალიან ქვეშქვეშა და ოსტატი კაცი იყო“ (აქრებ., 1871 წ., № 3, გვ. 71).

ქაით — გაქვითება.

✓ ქაითქაითი — ქვითინი, გულამოსკვნილი ტირილი. „ხელზე თვალები მიიფარა და შექშნა ქვითქვითი“ (რ. ერისთ., „ნინო“, ბოლო თ.).

ქაირა — კვიცი.

ქაიუნა — გრეჩინა? (როსტომაშ. რუს.-ქართ. ლექსიკ., გვ. 794).

ქიალანათი — ფულები ქიალანათ აქვს? ე. ი. ბლომად აქვსო?

ქიარაჰი — სპარს. ჰანგის სახელია.

ქიასმა — სიტყვის მოკლედ მოჭრა. „ბევრიც ვილაპარაკე, ქიასმა ჩაურტყი, მაგრამ არაფერი გამოდნო“ — ამბობენ.

ქიავი — ასანთი (ეგ. ნინოშ, „პარტახი“).

ქილარჯი — ქილარჯიბაში (ენციკლ. 1769 წ.).

✓ ქილვაში — ბაკენბარდები. იხ. ბიდი.

ქილიკი — 1. ოხუნჯი, ხუმარა (პირვ. ს. მგალ. ნაწ.-ში წავიკითხე ეს სიტყვა. დღეს ახალგ. პოეტის ც. ახალკაცის ლექსშიც წავიკითხე). „მოდის კარი ბეზარი, თმებს მიწეწავს ქილიკით“ (სტალ., გორი, 1956 წ., № 118). ხევე იციან —

საცილიკო. „დილითა აქ იყვნენ და შექილიკებოდნენ“ (ლ. ჩერქ., „ორი მსხვერპლი“).

2. საწყაოც ყოფილა. „ქილიკით დაგიდგამ ქერსა“ (სახალ. ლექს., 1891 წ., გვ. 6). ქილიკობა — ოხუნჯობა, ხუმრობა, ენამახვილობა, დაცინვა. „ი. მუენარეას წერის მანერა მსუბუქი იყო... ქილიკობითა და ენამახვილობით შეზაგებულნი, მარილიანი“ (გრ. ყიფში, „საქართ“, 1919 წ., № 110).

ქილუნჯი – მოკლეტარიანი წერაქვი, ქანქანების იარაღი.

ქიმი – ნაპირი, კლდე.

ქიპუნჯი – ყისტი, მუშტის წაკვრა.

ქიხლაროზა კაცი – გამჭვრიახი კაცი.

ქიხი –

ქირაპანი – აგური ან კრამიტი („კერამიკიდან“ ხომ არ არის?).

ქირიქის ფლავი – პნევია ფლავი.

✓ **ქირპანი** – 1. ქალაქი სპარსეთში, საიდანაც ძვირფასი ქალაღიები მოდიოდა (ქირმან-შალი). 2. ახლადმუღერებული ბუსუსებაყრილ ახლგაზრდას ეტყვიან: შენ ქირმანი უკვე ამოგსვლიაო.

ქირვიში – კალატოზის იარაღი.

ქისა – აბანოსთვის. დროა „მაჩალკას“ გაანებონ თავი.

ქიძია – განაკალი, კალი. „ლევო მწიფე არს? მან კაცმან: ასეთი მწიფეა, როგორც ქიძია; უი, ჩემ თავს, ან ქაშას ვიტყვი, ან მაწონს“ („კალმას“, 1896 წ., გვ. 341). უშნოსაც ნიშნავს, ქიძია კაცი – უშნო კაცი.

ქიში – შახი.

ქიშლალი – საზამთრო ადგილი ბარში. იალალი – კი საზაფხ. ადგილია.

ქიშიანი – „ისე გაწოთვა და გახუნდა ერთმა კაცმა ბელური, რომ ოთხფეხმა, როგორც კაცმა, შეისწავლა სამახური. მოლი, წადი, დაწექ ადექ ქიშინი და ყალზე ღვომა“ (აკაკი „კრილოვიდან“, 1944 წ., გვ. 142).

ქიშირი//კაშირი – არა აქვს დ. ჩ.-ს. ერთგვ. ნაზი ქსოვილია, ალბათ ქ. ქაშირიდან არის მონატანი; მოხსენებულია „ქილილა და დამანაში“ (გამოც. 1, გვ. 227). ქაშირი მაზრაა აღმ. ინდოეთში (დაწვრ. „დრ“, 1866 წ., № 41). ამ სიტყვას ხშირად რუსულიდან აკეთებენ, მაგ. „კაშიმირი“ („კ. გამს, „შნათ“, 1937 წ., № 6, გვ. 38). „მე ვეხვეოდი „კაშირის“ შალში“ (ს. შველ, „თხზ“, 1904 წ., გვ. 51). „ამას ნაჩარევად ჩაეცა შავი კაბა და მხრებზე შავი „ქიშირის შალი წამოესხა“ (გ. ნახუცრ., „მგულკაც“, 1939 წ., გვ. 74). ეს სიტყვა იმიტომ შემოვიტანე, რომ ყველა „კაშიმირს ხმარობს, მაგ.: ქიშირის შალი – მე ვეხვეოდი კაშირის შალში“.

ქიშირი –

ქიხიჩი – ცოტა-მატა.

ქლესა – არა აქვს დ. ჩ.-ს. 1. მატყუარა, გაქნილი, გაიძვერა, უნდობი. 2. მლიქვნელი, პირმოთნე, გაცვეთილი. „რას მიქვია ზრდილობა? ზრდილობა, ქლესა ფარისეველი ხალხის საქმა“ (ნ. ლომ, მოთხ., 1926 წ., გვ. 246). „დღესნამდე კაცი ამაყი, დღეს როგორ გავხდე ქლესად? (ვაჟა „სახ. გაზ.“, 1912 წ., № 558). „ჩამოართვა ნინოს ხელი ცაცამ და ქლესად ჩაიხითხითა (გ. ნახუცრ., „მგულკაც“, 1939 წ., გვ. 116). 3. მოსისხლე, მოღალატე. ქლესაობა – პირმოთნეობა, ზაკვა, ცბიერება.

ქნარი – ჩუსტის ლანჩის ნაპირები. ქნარის გამწვევი ოსტატი, ე. ი. ხარაზული ჩუსტის ნაპირების (ქნარის) ლანჩის ჩამომჭრელი, გამაკონტავებელი.

ქობაჩი – 1. ქობის გამკეთებელი. ქათიბებზე და მისთანებზე ქობის დამდები. ამბობენ: ქობაჩი შალიო, ვითომ ქობაშემოვლებული შალი. ქობაჩი სოფელია

სურათი, როგორც „კომუნისტის“ ძირეული პრესის მუშაკისა, „კომუნისტშიც“ იყო მოთავსებული“ (1943 წ., 5 მაისი). ამბობენ: ქოქოლა მივაყარეო.

ქოზიბაზი — ყოფიანი (იხ. „ტომის თავგაღ“, „ნაკ“, პრემია, გვ. 8).

ქოზიზი — „ჩაიქოშიშა პურით ჯამიო“.

ქოზად მავალნი — „ფრინველები სხვა ქვეყნებიდან ქოზად მავალნი არიან“ (გრ. ყიფში).

ქოზი — დუღუკის ჰანგი, როცა პატარძლის წამოსაყვანად მიდიან.

ქოცო — მომცრო ტური, სადაც ღვინოს ინახავენ.

ქრისტანს ტირილი — „ჩამოვარდა ქრისტეს ტირილი“. „წარმოადგინეს აკაკის „კინტო“. თეატრში სულ ათი არ დაესწრო და სწორედ ქრისტეს ტირილის წარმოდგენა იყო“ („ივ“, 1889 წ., № 66).

ქსი — ეცი! (ძალლისადმი).

ქსუტაზი — ქშუტუნა.

ქუბა — წვიმისაგან პურის მარცვლის დააკადება.

ქუღაღი — კაი ბედი. ქუღბედიანი — ბედნიერი.

ქუღის ბოჭო — ქუღის ხაო, ხუჭუჭი ხავსი.

ქუღჩაქციით — ქუღჩაქციით, ყელზე ჩითმერდინითა (გრ. ორბ.). „რა ნახეს ქართველთ, გაჭირდა საქმე, მვის ჩაიკეცეს ქუღები თურმე“ (ნ. ბარათ, „ბედი ქართლისა“).

ქუზუნა — პატარა ხულა. „ის ოთახი კი არ არის, ერთი რაღაც ქუზუნა“ („ივ“, 1887 წ., № 158).

ქუთაზა — ბავშვის ავადმყოფობაა (ქუნთრუშა?).

ქუთათი — წვრილი. ქუთათობა (ანუ ქულფათობა) წვრილშვილი, წვრილფეხობა.

ქულია — ქუღის ან საყელოს მორთვა მძივით ან ოქრომკედით (საბა).

ქულიზი — ბუდე, რომელშიაც ძვირფასი ქვა ისმება.

ქულიზათი — წვრილშვილი (საკუთ. მხლებელი), ბევრი წვრილი შვილები.

„ჩემი თვალის ჩინი ყაფლანი სიყვარულით მომიკითხე მისის ქულფათით“ (გრ. ორბ., „წერ“, ტ. II, გვ. 196). ეს სიტყვა ძალიან უყვარდა გრ. ორბელიანს: „ჩემო საყვარელო მშაო ილიკო! ჩემის ანგარიშით შენ ახლა უნდა იყო შენს ქულფათში გაფარალათებული (ე. ი. მოსვენებული, ი. გ.), განსვენებაში, განარებაში“ (გრ. ორბ., „წერ“, ტ. II, 1937 წ., გვ. 47).

„ქულფათი ბავშვები აგერ ერთი კვირა ცარიელ მხალზედ გამამკავს“ (ა. ფურც., „ქიტვა“, 1890 წ., გვ. 8). „ყაფლანი ქულფათით ჩამოვიდა კოდიდამ“ (გრ. ორბ., „წერ.“). ქულფათობა — წვრილფეხობა (შვილები). „რაღა პასუხი გავსცეთ უწყო დელაკებს და ქულფათობას“ (ალ. ფრონ. „მთის არწივი შამილი“, 1914 წ., გვ. 10).

ქუმალა — დახალული და დაფქვილი ხორბალი, თაფლ-წყალში მოზედილი. ქუმელას სჭამენ ხოლმე სუფსარქისის მარხვებში (ეს სიტყვა კარგად არის ახსნილი „ქართ. ლიტ. ქრესტ.“, 1939 წ., გვ. 319). თბილისში ქუმელა თაფლში მოზედილი ფქვილია. ქუმელას მესხეთში უწოდებენ ფონინდის-ს (ილ. მაისურაძის წერ. „ბათუმის პედინსტ. შრ.“, ტ. IV, 1954 წ.) ვაჟა ქუმელას უწოდებს ხალს („თხზ“, 1889 წ., გვ. 93). „თუშერ ქუმულით ღვინო“ (ა. აღაშია, „ლექსები და ბალადები“, 1955 წ., გვ. 113). „გაზილეს გულშივე ქუმელი და შეუღწენ

კანშმის ჭამას (ლ. ბუქარ.). ...ზურგზედ მკილია ქუმელა, სირცხვილით ვერ შემოვსულვარ" (მოგზ., 1901 წ., № 2, გვ. 145, ჩან. თ. რაზიკ.).

ქუმი — ფიცარი ან ლასტი, დადგმული თუთის ფურცლის დასაყრელად აბრეშუმის ჭიის მოსაშენებლად.

✓ ქუნთა — ბოჭკოიანი ქსოვილი, საგებელი; კარის ღირესთან საფენი, მოთელილი ტილო ფეხთ საწმენდად.

ქუნჭაშთის ზამთი — „აკლით ხავერძი შევიძლიანთ კიდეც რამდენიმე თუნგი ქუნჭუთის ზეთი ჩასხათ“ (მოგ., 1886 წ., № 108).

ქუნჯი-პუჭაღამე — სასახლის კუნჭულები (იხ. ჩემი „საიათნოვა“, გვ. 42). ამბობენ: სახლი ქუნჯი-პუჭაღამე სულ დავალაგეო, ვითომ კუთხიდან კუთხემდეო. ასეც ამბობენ: ამა და ამ კაცმა ჩემი ღუქნის ქუნჯი-პუჭაღამე სულ იცისო, ვითომ ავან-ჩავანი ჩემი ცხვრება ზედმიწევნით იცისო.

✓ ქურანი — ორი წლის ცხენი.

✓ ქურანა — აგურანა. ღუმელია ერთგვ. მაგიდას გადაათარებენ საბანს, ქვეშ კი გაღვივებულ მაყალს შედგამენ (შირვან-ხადე „ნაშუსი“, თარგ. ი. გრ. 1931 წ., გვ. 256). ამ სიტყვას ხმარობს გ. ერისთ. პიესაში „მუნწი“. ასევე, ამბ. ჭელიძე „ფერეიდ. ქართველები.“ 1951 წ., გვ. 48.).

ქურთი — წივა, ნეხვი, ნაკელი.

✓ ქურსი — იხ. ქურახანა. ცეცხლს აღვივებენ მაყალზე, დასდგამენ შუა ოთახში, ზემოდან დაადგამენ ერთ დაბალფეხებიან მაგიდას, ამ მაგიდას გადაათარებენ დიდსა და სქელ საბანს, ყველა ოჯახის წევრი შემოუმწკრივდება გარეშემო. შეჰყოფენ შიგ ფეხებს, გადმოიფარებენ საბანს და ზედ სადილობენ ან ერთობიან, საქმობენ და სხვ. ამ ქურსს ხმარობდა მდაბიო ხალხი ღუმელის ნაცვლად. „ყარამანა ჰკითხა: ქურსი რა არის? ფრინველა უთხრა: ცის ჩარხს ქურსი ჰქვიანო“ (ყარამანანი, 1857 წ., II, გვ. 69).

ქურუსი — იხ. ენიკოლოპოვის წიგნი.

✓ ქურჩი — ტყავ-ბეწვეულის ოსტატი, ქურქის მკერავი, ბეწვ. ტანისამოსის ოსტატი (აკალმ., 1896 წ., გვ. 396). „ერთის ქურჩის ღუქანში ციმბირის კურდღლის ღამაზე ტყავი უნახავს“ (მოგ., 1888 წ., № 39).

✓ ქურჩიბაში — „ამას წინად, რომელსაც ქურჩიბაში ჩენის პაისა და მამისთვის უმსახურებია, ყოველის ხელმწიფისაგან თარხანი ყოფილან“ (მოგ., 1897 წ., № 3, გვ. 15).

ქუსლიანი ბოთლი —

ქუშთა — დაკეპილი და დაგუნდავებული ხორცი.

ქუშრი — შავი. არა აქვს საბას.

ქუშუ — ერთგვარი ფლავი, მწვანილიანი ერთბოკვერცხით.

ქუშტარა — გრძელი, ვიწრო რანდა.

ქუხაბანდი — შეკრული ქუჩა, ჩიხი.

ქუნი — ქათმისა.

ქუნჯი — პატარა.

ქუნჯუნდი — ქარის სტვენა, ხმაურობა.

ღ

- ✓ **ღაღა-ღუღა** – ოღრო-ჩოღრო, ჩახერგილი, უგზო-უკვლო, ხევ-ხუვი. „თუფლორემ თათრის ჯარი ათას ღაღა-ღუღა ადგილებში ატარა“ (გრ. ყიფუ, „მოამბე“, 1895 წ., № 8, გვ. III).
- ✓ **ღაღღადი** – 1. უჯერო ლაპარაკი, ჯიჯღინი. 2. ცეცხლის ელვარება.
- ✓ **ღაზლი** – რუმბის პირის შესაკრავი მატყლის კანაფი. იმერ. ნართის ძაფსაც ეძახიან.
- ღაზო** – „ღაზოს დათრგუნვა“ (სენათ., 1915 წ., № 5-6, გვ. 372).
- ღაითადი** – ერთგვ. საცეკვაო ჰანგია.
- ✓ **ღანძილი** – ერთგვ. მცენარეა, ხმარობენ წნილად. მჭახე ხუნი აქვს.
- ✓ **ღარაღა** – გირღიანდი, ყვავილების გრძელი წნული. იხ. ვაჟას „მოკვეთილი“, ბოლო სურ., გულსუნდასა და ბახას დიალოგი. ეს სიტყვა ნახმარი აქვს ვაჟას მოთხ. „ღარეჯანშიც“.
- ღარღლი** – ვ. ბარნ. ხშირად ხმარობს ამ სიტყვას.
- ღარძლა** – სირაჯების ტერმინია.
- ღაღადი** – ვედრება.
- ღაფი** – ლოყა.
- ღაჯუნი** – ანუ ღიჯინი; ხვეწნა, თნევა. „ამისთანა ღაჯუნს ჩვენში ვაჭრობის სახელი ჰქვია“ (სივ., 1887 წ., № 148).
- ღაღღაღაღაღა/ღაღღაღაღა** – „საბანი წაიხურე, სიცხე გაქვს, ნუ ღეღღაობ“, ეტყვიან, ავაღმყოფი რომ საბანს გადაიხდის და ვერ ისვენებს.
- ღვარძლი** – გესლი, შხამი, ბოროტება. **ღვარძლიანი** – გესლიანი, შხამიანი, ბოროტი.
- ღვარძნილი** – „ღვარძნილი სტილის ფასადები“ (სტალინელი, 1957 წ., გვ. 4, ქუთ.).
- ღვარძლი** –
- ✓ **ღვარჯალი** – რუს. პერაჟკი.
- ✓ **ღვარჯი** – გახურებული ნაცარი.
- ✓ **ღვთაპობა** – იგივე ღვთისმშობლობა. ღვთაების (მამა ანტონის) ეკლესია ტფილისიდან დაშორებულია 25 კერსით მარტყოფისაკენ. მისი დღეობა მოდის აგვისტოს 15-ს. „თბილისიდან დასვლით 28 კმ. მანძილზე მდებარეობს მარტყოფის მონასტ. „ღვთაება“. იგი გაშენებულია ტყით დაბურულ მთის კალთებზე, რომელიც მშვენიერ საგარეო ადგილს წარმოადგენს... 15 აგვისტოს (მარიამობას) ღვთაებაში იმართება დიდი

- სატარებელია და ხარ-კამეჩის ძალას ითხოვს“ (ვ. კობაქ, „ივ“, 1894 წ., № 22).
- ლორღალი** – ხმაურობა (წარმ. „ღრიალიდან“). „შუა სოფლიდამ ხმაურობა, ღორღალი შემოისმა“ (ს. შგალ, ტ. I, 1894 წ., გვ. 96).
- ლორღი** – ქეები, მოზრდილ კენჭებად დამტკრეული, შენობის ნგრევის შემდეგ რომ დარჩება, უვარგისი.
- ლოქოშაჩა** – პატარა ლოქო.
- ლოღნოშო** – შავი, მრგვალი ქლიავეი.
- ✓ **ლოჩა-ღრუჭი** – ურმის მსველელობის ხმა, ურმის ჭრიალი.
- ლოქობა** – ღხინი, ქეიფი.
- ლოქნო** – „კარები მჭიდროდ არ იხურება, დარჩენილია დიდი ღრეჩოები და ოთახებში ქარი ქრის“ (აკ. შგელაძის სიტყვიდან).
- ლოჩა** – უშნო სიცილი.
- ლობობო** – ხვეწნა, მუდარა.
- ლობო** – ჭუჭრუტანა (თუ „ღია კარები“?). კარები ან ფანჯარა, მაგრამ რომ არ არის მიხურული და ოდნავ ღია ადგილი ჩანს (რაჭ. რიკლე). „ერთხელაც ქე მოკარი თვალი ღრიჭო კარებიდან“ (ი. ცნობ. „მოცყეუბული“, 1912 წ., გვ. 30, ყვირილა).
- ✓ **ლოძო** – „მის ღრძო ბუნებას თითქოს უხაროდა კიდეც“ (გ. ნახუცვ., „შგელკაცა“, 1939 წ., გვ. 40).
- ✓ **ლოღღლი** – 1. გაჩაღ. ცეცხლზედ ამბობენ. 2. ცეცხლზე შემდგარ-აღულებული ლობიოს მოხარშვის ან ჩაიდანის ხმაური.
- ✓ **ლორღუში** – ამოღრმ. ბნელი ადგილი (დ. ჩ. კერ ხსნის ამ სიტყვას). „ი, საღვათ ძალღი შიგ ღურუმ მორეეში გაღაერია“ (ს. შგალ, ტ. I, გვ. 64).
- ღრჭა** – (გურ.) მცენარე, ლობიოს შენაბჯენი სარი. მეგრ. – ხერხალი. გადატანითი მნიშვნ. მშიერი კაცი. „ღაიცა, კუჭს ხერხალი შეუყენოთ“ (საშგარ.-ში). „ჯერ ერთი კუჭს ბობი შეუღა“ (კახეთში).

ყ

ყაბა – შიგნიდან ფულურო, გარედან გაბერილი, გაფუებული (მაგ. ბამბა და სხვ.). ამბობენ: რა ყაბა საქონელი გაქვსო, ვითომ ალაგს დიდს იჭერს, შიგ კი არაფერი ყრიაო. საკუთ. დიდი, უშნო, უფასური, უელგარული.

ყაბაღარაშენი მსხალი – ახალციხური ჯიშის მსხალია, სათუთი კანი აქვს და ტკბილია. დაკრეფილი მალე არ ფუჭდება.

ყაბახი – საჯირითო ადგილი.

ყაბალუ – ფლავის ზე მოსაყრელი.

ყაბი – სინი. „საზოგადოთ ჭურჭელს, ქოთანს, ქეპს, პარკსაც და საფენსაც ნიშნავს. ქართ-ში მხოლოდ ქეპისა და საჭმლის ჭურჭლის მნიშვ. არის შემოსული“ (ივ. ჯავახ, „საფას-საზომთა მცოდნეობა“, 1975 წ., გვ. 130). „მე ამაღამ აქა ვრჩები და სამი ყაბი, შიგ ღურაჯატანებული, ჩვენ შემოგვიგზავნოს“ (ბ. ჯორჯ., „ივ.“, 1893 წ., № 165).

ყაბალუფლაპი//ყალუფლაპი – გაწურ. ფლავი, რომელსაც თავზე აყრია ლაფა ქიშმიშთან ერთად მოხარშული. „ახლა ყაბლუფლაპი მომიხლომე“ (რ. ერისთ., „თ“, 1889 წ., № 8).

ყაბული – თანხმობა (დ. ჩ.-ს აქვს). „ან ჭერი ჩამოინერგა, ან პატრონი არ იქმს ყაბულს“ (გ. ხეჩ. „ოცი ძმა“, 1944 წ., გვ. 30). „მაშ ყაბულს არის ჩემს წინადადებაზე?“ (გრ. იაკობ, „ევეენი ევეენი ზანზალოვი“, 1884 წ., გვ. 13).

ყადარი//ყადრი – (ანუ ღადარი). 1. ტოლი, შესაფერი. ამბობენ: ჩემი ყადარი კაციო, ე. ი. შესაფერისიაო. 2. ღირსება, პატივი, დაფასება. „თავისი ყადარი სტუმრები მიეწვია“ (ვ. ბარნ., „თხზ“, ტ. I, გვ. 49).

ყადაღა – აკრძალვა, აღკვეთა, გაფრთხილება. ყადაღა დაადოვო, ე. ი. აკრძალა.

ყადიფა – 1. ტანის გასამშრალელებელი აბანოს ზეწარი, ჩამქიჩი. „წყვილი აბანოს ყადიფა“ (მზითევის სიიდან). 2. ყაბარჩა, ჩადრი, ზეწარი.

ყადრ-ყაჰაათი –

ყაჰალი – ჯავახ. საღამურს ნიშნავს. მე „საიათნოვაში“ შეცდომით დაირად მაქვს ახსნილი (გვ. 132). „მეცხვარე-მენახირებს შუესევათ ცხვარ-ძროზა ახლად ამწანებულ გორაკებზე და ყავალის (საღამურის) საამო სტვენა მოისმის“ (ვ. კობტონ, „ივ“, 1889 წ., № 79). ეს სიტყვა საიათნოვასაც აქვს – „დოულ ყავალისათვინა“.

ყაჰლი – ვადა. ძვ. ფაბრიკა-ქარხნებში იცოდნენ: – „ჩემი ყავლი გავათავო“.

მაგ., ბოზარჯიანის პაპიროსის ქარხნის ათას ოთხას-ათას ხუთასი კოლოფის გაკეთებას **ყავლს უწ.**

ჟანვარი — 1. აზოვანი შეხედულება, კარგი აგებულება. „დიდებული სახისა და ყვლის კაცი როგორ გასცალე მუორე ქარზედ“ (ანტ. ფურც.) „... აქ ავიწყდება შექსპირს, რომ ის დიდებული ყვლის და რიხის კაცი — იყო მოხუცი (ანტ. ფურც.) „მოლეგარისა თვალები, ყვლითა დიდებულითა“ (ანტ. ფურც.) „ციხკარა“, თ. VI). ამბობენ: ყავლა ბიჭიაო. 2. შნო, მარიფათი. აქედან ყავლიანი-შნოიანი, მარიფათიანი.

✓ **ჟანჟანვი** — ღველაკვი, ძაღლის ხმიანობა. გადატ. ცუდად მოუბარი.

ჟანჟი — ყავის გამკეთებელი-მიმრთმეველი.

✓ **ჟანჯაზი** — 1. აბრეშუმის ძაფის დამხვეწელი და დამრთველი. ესენი იყვნენ სიონის იქით, პატარა სირაჯხანის ასაკალში. ძველად კოჭის ძაფი რომ არ იყო, ყველგან აბრეშუმის ძაფს ხმარობდნენ, რომელიც ღირდა მისხალი 10-15 კაპ-მდე. 2. ყაითნებისა და ზონარების ოსტატი. „მერე იზილეს ყაზაზები. ბატონო, ამდენი ძაფი და ზონარი რათ უნდათ“ („კაპო“, 394). „ქართველ მუფეებისდროინდელი მორაგ-მსაჯული შუა ბაზრის ყაზაზებსა ჰგანდნენ“ („აგ“, 1890 წ., № 214).

ჟანჯალანი — კაჭკაჭი (ს. იორდ., „მნათ“, 1929 წ., № 7, გვ. 215; ვახუშტის გეოგრა., 1941 წ., გვ. 261).¹

ჟანჯალი — 1. აღმ. რომელიღაც ხალხს ეწ. 2. ლექსი. ამბობენ: აბა ერთი კარგი **ყაზალი** თქვიო. 3. **ყაზალი** — ჯეირნის თიკანი (ასე ხსნის ფ. გორგიჯანიძე, გვ. 63).

ჟანჯანდა — ქვაბის ძირში მიკრული, მიმწვარი ფლაკვი (ვ. აბაშ. განმარტ.) **ყაზანი** ქვაბია სპარსულად.

ჟანჯილარი — ლაწირაკი, უზრდელი, ჭკუადაულაგებელი ახალგაზრდა. „ყაზილა“ — საბას განმარტებით ნიშნავს ძაღლს (იხ.), ოღონდ მძებრისა და თართისაგან შობილს.

ჟანჯა — მიწის სამუშაო იარაღთაგანია.

ჟათლაპი —

ჟათმარი — ერთგვ. ნამცხვარი, ქადის მსგავსი.

ჟაიდა — რიგი, წესი, ფორმა, სახე (არა აქვს დ. ჩ.-ს). ამბობენ: საქმე ყაიდაში ვერ იყო. კიდევ ამბობენ: შენ საქმე მე მომანდე და ჩემს ყაიდაზე გავაკეთებო, ე. ი. ჩემებურ სახეს მივცემო. „მკლავები რგოლის ყაიდაზე მოჰხარა და აღტაცებით წამოიძახა — სამოთხეა“ (გ. მაქსიმოძე, „ც. ფ.“, დამ., 1903 წ., № 102). „არა, ძალიან სხვა ყაიდის კაცია იაკობ სვიმონიძე“ („თ.“, 1889 წ., № 12).

✓ **ჟაითანი** — მოსქო ზონარი (შნური).

ჟაითნის ბუდა — „ჩემი ყაითნის გუდასავით კი არის გაბერილი“ (გ. ახოსა, „ნაკად.“, მც. წლ., 1914 წ., № 2, გვ. 11).

¹ ი. გრ. სხვაგან ასე განმარტავს: ჩიტია ერთგვარი, ღია წაბლისფერი, ბოლოქანქარა — რ. კ.



✓ **ჰაითარი/ჰანთარი** – რკალი, რომელზედაც ორი სათლია (ვედრო) გადაკიდებული წყლის მოსატანად. ოწინარი.

ჰაითარმა – ყირიმული ცეკვა.

✓ **ჰაიპალი** – აღუღებული რძის ნალები. აუღულარი რძის ნალებს კი არაჰანი ეწ.

ჰაირათი – მომჭირნეობა, დაზოგვა. **ჰაირათიანი** – ხელმომჭირნე, ქვაწვია.

ჰაირათიანობა – „მომჭირნეობა და ჰაირათიანობა ახალ წარმატებათა საფუძველია“ (აქომ, 1951 წ., 28 ივნ.). „წმინდა ამერიკელი ჰაირათიანობა“ (აქომ, 1951 წ., № 303, 27 დეკ.).

ჰაისი – 1. ჭერმის კურკა ტკბილის გულით (ჰაისი სახელია ლეილას მიჯნურისა). 2. ტკბ. ტყემლის ჩირი.

ჰაისნალი – (არა აქვს დ. ჩ-ს). „აგრეთვე ჩექმის შესაკრავი ჰაისნალი“ (რ. ერისთ., თხზ., 1936 წ. გვ. 348).

ჰაისნალურა – ჰაისნალით ნაქსოვი ქსოვილი.

ჰალათმა – ბავშვთა ავადმყოფობა.

ჰალამა/ჰალამი – 1. თუშ. ქუდის გადაკეცილი სამკეცი ნაპირი. **ჰალამური** – ქუდი ეხურა ჰალამური. 2. საღებავი პატარა ფუნჯი.

ჰალამათი –

ჰალამანი – თუშ. ქუდის ნაკეცები, შიგ ბარათებს რომ ინახავენ. „საქმე ქუდის ჰალამანი გაქვს“ (ს. შანშ., „ფოლადური“, 1938 წ., 16 ნოემბ.).

ჰალამდანი – ყალმების ჩასაყრელი რამ.

ჰალამჰარი/ჰალანჰარი – ლამაზი უზოროებით დანიშნული აბრეშ. მატერია, რომელსაც უფრო საბნის პირისთვის ხმარობენ. „მკერდს იქნევ ჰალამჰარისა (ვაჟა, ტ. 6, 1946 წ., გვ. 77). აკაკი ასე ხსნის: „ხატვა, ამოჭრა ლითონზე, გრავირა. იგულისხმება ცხენის საკერდული, გრავირებით შემკული“ (ლექსიკა, გვ. 383). „ჰალამჰარის ახალუნი“ („აპელო“). „დიდრონი ლურჯი ყვავილებიანი ჰალამჰარის ფარდაც არ მოეწონა“ (ნ. ავაღ., თარგ., „თავადის ქალი“, გვ. 72). **ჰალამჰაროვი** გვარიცაა. „...ჰალამჰაროვის სახლის ქვემო სართულში ცეცხლი გაჩნდა“ (აივ., 1890 წ., № 164).

ჰალანი – ბეგარა, გადასახადი მუშაობითა, დარჩენილი წილი გადასახადისა.

ჰალანობა – „თუ მოკამაგირე უგულოდ გააკეთებს საქმეს, ყალბობას მიეწვევა“ („ბნული“, 1891 წ., გვ. 52).

ჰალბი – რიოში.

✓ **ჰალთაბაზობა** – ორპირობა, თვალთმაქცობა.

✓ **ჰალთაბანდი** – მატყუარა, ხელზე დამხვევი. (არა აქვს დ. ჩ-ს). „ყალთაბანდმა აპოლონმა ხელმეორედ დაიჭირა სქესობრივი კავშირი კლავდიასთან (ალენიელი, ქეთ., 1936 წ., № 28). **ყალთაბანდური** – „...განათლების სურვილს, თუ სხვა რამ ყალთაბანდურ საქმეს“ (აკაკი, „შენიშვნა“, 1881 წ., № 31). „პიტლერელთა ეს ახალი ყალთაბანდური ფანდები განწირულია (ბრძ. უმაღ. მთ. სარდლისა, № 2, 1945 წ., 1 შიისი).

ჰალთალი – თავისუფალი ადგილი, იალალი. **ყალთალიანი** – „ბევრი მუხები ღვას და ქვეშაც ყალთალიანი ადგილი აქვთ დაფენილი“ („შობაბე“, 1899 წ., № 11, გვ. 35).

- ქალთაღი** – ხის ოსტატი, ხამუთების გამკეთებელი.
- ქალიბი** – კალაპოტი, დარიჯაგი.
- ქალილა** – ჯანჯალი, გამომრჩენი.
- ქალიში** – საქორწ. გადასახადი ჯვრისწერის დროს.
- ქალმათ** – მთლად. ამბობენ: ერთ **ქალმათ** გაეფუჭდი, რაღა! – ვითომ სულ მთლად დავიღუპეო; იხ. რ. ერისთ. თხზ., ტ. IV, გვ. 22.
- ქალმამალი** – აყალმამალი, არეულობა, ჩოჩქოლი.
- ქამი** – ყაირათი, გამოზოგვა. „მე მიყვარს ჯაფა. მიყვარს ზოგი და ყამი (გრ. ყიფში, „ივ“, 1889 წ., გვ. 218.).
- ქამირი** – გაუტყენელი და დაუმუშავებელი მიწა.
- ქამჩა/ქამჩი** – 1. ქალთა მოსართავი იარაღი, თავზედ შემოსაკრავი, თვლითა და მარგალიტით მოოჭვილი (საბა-ყანჩი). 2. იალქანი. პატარძლებს ჩინტზე უკეთებენ მოოჭვილ თავსასურავს თამარ ღედოფალივით; შ. ნიკაპქვეშ რამდენიმე წყება მარგალიტის ფარღული, კაკებქვეშ ამოდებული და თხემზედ ღეჩაქქვეშ შეკრული („ყამჩა – იგივე საყბეური ყანჩა“, შდრ. „ივ“, 1904 წ., № 103).
4. მათრახი.
- ✓ **ქანაოზი** – აბრეშუმი, რომელიც ორ ან რამდენიმე ფერს გამოსცემს. არის **ყანაოზის** კაბა, **ყანაოზის** სარტყელი. გავრცელებულია ფშავში („ივ“, 1889 წ., № 140. აღ. ყაზბეგს). „წითელი ყანაოზის პერანგის საკინძე, ზონარმოვლებული, გვერდზე ჰქონდა შეკრული“ (ელ. ყაზბ. „მეშუარები“, „მნათ.“, 1934 წ., № 7-8, გვ. 331).
- ქანდარი** – სანამღეოს დადება გაუჭრელ საზამთროზე („თეთრია თუ წითელი?).
- ქანდი** – თეთრი მყინვარე შაქარი, ძალიან გამჭირვალე.
- ქანდუა** – დაუძღვრებულ კაცზე ამბობენ. დამჭკნარი, სენმოდებული ადამიანი.
- ქანჭი** – ნაჭერი. ერთი ყანჭი პური, გინდა საზამთროსიც. „ივან ივანიჩი ყმაწვილებს აძლევს ხოლმე თითო პატარა ყანჭის ნაჭერ ნესვს ანუ მსხალს (გოგოლი, თარგ., გ. ჩიქოვ., „კრებ.“, 1871 წ., № 2, გვ. 90).
- ქარაბინა** – სქელტუჩიანი დამბაჩა.
- ქარაბიოზი** – თურქ. ნიშნავს შავთვალას.
- ✓ **ქარაყანდული** – 1. შავი საშრვლე ნაჭერი, მაგარია. თავადებიც იცვამდნენ. 2. ძალიან კარგი ნაქსოვი, უმაღლეს ხარისხის. სატინისებური ნაჭერი, მაგრამ ძალიან პრიალა და უზუნარი. შავ-მოლურჯო ფერისა, განსაკ. ყარაჩოღლები აკერინებენ მისგან შარვლებს.
- ქარანი** – ერთგვ. ფრინველია, რომელიც ზამთარ-ზაფხულ მშვიერია.
- ქარაო** – „შურისაგან თვალში ყარაო ამოუვიდა“. (ხალხ.).
- ✓ **ქარაყურული/ქარაყურული** – მტრედის ჯიშია, რომელსაც შავი ბოლო აქვს.

- ✓ **ჟარაჩი** – შავი, შავგუნა. სოფლად ხარსაც ჰქვია, ინდოეთის ერთ-ერთ ქალაქსაც. „ჩასუქებულმა ჟარაჩივით შავმა ვეკილმა“ („იმერეთი“, 1914 წ., № 15). არა აქვს დ. ჩ-ს.
- ჟარაჩოლ(ხ)ელი** – თათრ. ჟარა ნიშნავს შავს, ჩოლა ხომ ჩოხაა, ე. ი. შავჩოხიანი.
- ჟარაღაჯი** – თავზეხელაღებული, თამამი, ონაკარი, უშიშარი. წარმ. სოფ. ჟარაღაჯი-დან (გორის მაზრა, გრაკალის ახლო), რომლის მცხოვრებლებიც ითვლებიან უშიშარ ხალხად. ამბობენ: ერთი რაღაც ჟარაღაჯი ვინმეა, თავზეხელაღებულიო.
- ჟარია** – ჭიაა ერთგვ. (მ. გაჩეჩ, „ჯიბის კალენდ“, (1910 წ., გვ. 186).
- ჟარიზი** – ჟარიზობა –
- ჟარტა-ჟარტა** – ჟარტა-ფურტა. „ეჰ, ჟარტა-ჟარტა ხალხიც ძღვენი უნდა მივცე“ (ბ. ერისთ., თხზ., 1884 წ., გვ. 449).
- ✓ **ჟარტალ-ჟურტალი** – 1. ნაყარ-ნუყარი საქონელი, წუნი. „შაოიღეს რაღაც ჟარტალ-ჟურტალი საქონლის იაფობა“ (რ. ერისთ., „თ.“, 1889 წ., № 9). 2. სხვადასხვა ნაძირალა ხალხი.
- ჟარტლიანი** – ჭუჭყიანი.
- ჟარფუზი** – სპარს. საზამთრო.
- ჟარჟარა** – მაღალყელიანი, ნატიფი, მოხდენილი.
- ✓ **ჟარჟუმი** – თეთრბეწვიანი ცხოველი. ადამიანზედაც ამბობენ: რა ჟარჟუმივით ზინარო.
- ✓ **ჟასაბხანა** – საყასბო. ადგილი, სადაც დაკლული საქონლის ხორციტ ვაჭრობენ.
- ჟასაჰათი ბასწია** – ე. ი. ივარაუდა.
- ჟასიღათ** – განგებ, განზრახ. „ამ სიტყვებს ყასიღად ცრემლმორეული ამბობდა“ (ი. გოგუბ., „კუნწულა“, 1886 წ., გვ. 111). „ყასიღათ რამდენიმე თოფიც მიაყოლეს“ (ანტ. ფურც., „მატი-ზეიტა“, 1911 წ., გვ. 98). „პირველში ყასიღად უარი უთხრა ფულის სესხებაზე“ (მელ., „მოამბე“, 1899 წ., № 8, გვ. 34, 40). არაბ. **ყასიღა** პატარა პოემას ნიშნავს. საკვირველია, რომ ეს ქალაქ. სიტყვა ლიხს იქითაც იხმარება. „დასწერეს, ისე ყასიღათ“ (ჟარიბი, „ახ. გზა“, 1927 წ., № 35, გვ. 3). ლ. მელიქსეძემბეგს კი ჰგონია **ყასიღად** ძალდატანებითია (მისი „სიათნ.“ გვ. 123).
- ჟასტი** – მოხერხება.
- ✓ **ჟატა-ჟუტი** – ჯიღჯიღი, ხმაურიანი ლაპარაკი.
- ✓ **ჟატ-ჟატი** – 1. გაუგებარი, ხმაურიანი ლაპარაკი, ჯიჯღინი 2. ჩოჩქოლი, განგაში.
- ჟაუშხანა** – ყავახანა.
- ✓ **ჟაჟაჟა** – 1. მიკიტიანის ალაფის დუქნებში ვიწრო სავაჭრო თარო ან უხუფო უჯრა, რომელშიც სხვადასხვა მარცვლეულობა ან თუთუნი ყრია. კედელთან

მწკრივად არის გამართული. „ახლგახრდა ქალი მალაზიაში შევიდა, ყაფაზეზე ლამაზად დაწყობილი საქონელი შეათვლიერა“ (სკოლმ. ხმა, 1954 წ., № 1, 11 ივლ.) „ამ ქონში მოწყობილი იყო ღუქის ყაფაზა და თაროები“ (ალ. კობახიძე, „აღ. ყაზბეგი“, გვ. 49). „მთელი სამი თვე ღორი ყაფაზეზე ვეყვარა“ (სთ. 1886 წ., № 33, გვ. 392). 2. გალია. „ქმეცები არიან დამწყველენი რკინის ყაფაზეში“ (სიცსკ. 1858 წ., № 1, გვ. 22). 3. გულის ყაფაზი — საექიმო ტერმინია. „ღორი ან ცხვარი ზომ დავიკლავს? გულის ყაფაზი და მუცლის ღრუ ერთი მერისთვან გაყოფილია (ივ. გომართ, „სკოლექტივი“, 1934 წ., № 273).

✓ **ყაფაზი** — ანუ ყანთანნი. 1. საეკატრო ადგილი, სადაც დიდი სასწორიცაა. „სოფ. წვეპი პატარა ბაზარი იყო. ერთხელ ვხედავ, რომ სამი-ოთხი კაცი ზის ყაფაზზე და რისიაცის შესახებ ლაპარაკობენ“ (მ. ჩიქ, „ქართ. ზღაპ.“, 1938 წ., გვ. 38). 2. საბაზრო დიდი სასწორი, რითაც საეკატრო ადგილზე საქონელს სწონიან (ვ. ბერ, „სიტყვის კონა“).

✓ **ყაფაზიანი წაღა** — ფეხსაცმელზე (უფრო ქოშებზე) თითის ოდენად გადმოღუნული ლანჩის ტყავი, წვეტიანი. ქუსლებზე კბილებიანი ლანჩა აკრავს და ყელი ფუნჯიანი ყაითნით იკვრება. არის „ყაფაზიანი წაღა“, „ყაფაზიანი ქოში“. „ქვეყნის შარვალი ყაფაზიანი წაღებში ჩატანილი“ (ვ. ბარნ.).

ყაფაზი — აშუღური ლექსის შეთხზვა-გამოგონება.

ყაფაზი — გრიფონი. აქ, ე. ი. თბილისში თამამშევის ქარვასლის წინ იდგნენ თუჯის ფრთოსანი ცხენები — გრიფონი. ხალხი ყაფაზანებს უწოდებდა.

ყაფა-ყაფა — ამბობენ: მიწა ყაფა-ყაფა დასკდაო.

ყაფაფი — აბეზარი.

✓ **ყაფაფი** — ანჩხლი, მოუსვენარი, ჩხუბისთავი. „ის ქალი ერთი ყაფაფი ვინმეა, ე. ი. ანჩხლია.“

ყაფაფი — კოვზი. თას-ყაფაფი — ჩაის კოვზი, სუფრა-ყაფაფი — სტოლის კოვზი.

ყაჩაღანა — თავზეხელაღებული. „მე, როგორც მცირეწლოვანსა და მარდს, „ყაჩაღანას“ მუძხდნენ“ (ო. ლეინ, მოგონ, „მშრ. ქალი“, 1929 წ.). ყაჩაღანა აშარი ქალის სახელიცაა.

ყაჩაღლარა —

ყაჩაღლუში — „რა გაიარა, იხილა ყაჩაღლუშები და განკვირდა და ყაჯრებზედ თქვა: ნეტამც ერთს მაჩუქებდნენ“ („სკოლმს.“ 1898 წ., გვ. 394).

✓ **ყაჩაღარი** — 1. უნაგირზე გადასაფარებელი ძვირფასი საფენი („დაყაჯრული ცხენი“). 2. ხალიჩასებური ნაქსოვი, პატარა ნაჭერი, ფორებიანი. ტანზედაც იცვამენ.

ყაააჟოჭრილი ტაფი — დალაქის ხელსაწყო (ირ. ევლ.).

✓ **ყააჩურა** — ყბაჩუა, ყბამოგრენილი.

ყაბოვა — მუცლის ამოყორვაზე იტყვიან.

ყაენობა — ქართ. მასკარადი. ეს სიტყვა აღმ. ხალხიდან მოდის (მასხარა, ნიღაბოსანი). დადიან ქუჩა-ქუჩა და გამველელებს სთხოვენ ხარკის გაღებას.

ჟინსაი არ ჰაპლავ სალაპს – ე. ი. თვით ყვინსაც არ მიეცემ სალაპს, თავს არ დაეუკრავ (სიამაყის გამო).

ჟარჟატი – ცერცეტი, ცეტი.

ჟაჟა – 1. წარმოშობით ხმის გამოცემას ნიშნავს. ყეფა მრავალი მნიშვნელობის შემცველია. „სლაში დაიყეფეთ“ (შოთა); ეს აქვს ვაჟას, ბაჩანას. „აბესალომ და ეთერის“ ხალხ. ვარიანტშიც გვხვდება: „ჩახლა უნდა ჩაუვალს, ჩანაყფსა ყორნისას“ (გრ. წერეთ. ჩანაწ.). 2. ტერმ. ყეფა წმინდა ქართ. მოვლენაა, ნიშნავს შეძახებას, შეკენესას, შელაპარაკებას, შესიტყვებას. პირველად რუსთაველმა იხმარა. „ვით ბუბული, სტვენითა ყეფა მოუწყინარი“ („სახალ. საზანდ.“, 1873 წ., გვ. 150). „...ვარდ-ზამბახი, ია-ვარდი, ბუბულეთ ყეფა, სვედის ბალი – აი ჩვენი ნაღვანი“ (დ. ერისთ., კომედ. „საზოგადო საქმე“). „იადონი ხმას არაკრავებს... ვითა მეტოქე; ბუბულიცა, ვარდ შორის გაჟეფს“ (ი. შვედლ., ჟ. „ერი“ 1910 წ., № 10).

ჟჟაჟის კიკო – პიკის ტუზი.

ჟჟაილი – ყვაილი.

ჟჟელიერი – დღესასწაული, მთელი ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. ე. წ. „ყველიერის კვირა“ წინ უძღოდა დიდმარხვას. ამ დროს აცხობდნენ ნაზუქს, ჭამდნენ თევზეულს, იაღლოს, ქადას (წმ. შიოს ქადას), ეზობებში საქანელას ჩამოაბამდნენ, ჭიაკოკონას ანთებდნენ, სახლიდან თავგებს ერეკებოდნენ. შემდეგ შვიდი კვირის განმავლობაში მარხულობდნენ.

ჟჟიბლი – ცხვირის ლორწო.

ჟჟიბ-ჟჟიბი – იხვის ძახილი.

ჟჟიბიანი – ყვითელი ფერის (ადამიანზე იტყვიან).

ჟიავათი – 1. უკუნი ღამე. უკუნეთი, წყვედიადის სინონიმისათვის. 2. სიცივე, ყინვა.

ჟიზილაპაში – იხ. „კვალი“, 1893 წ., № 11, გვ. 14.

ჟიზილაპაპური ნესვი – ერთგვ. ნესვია, მწვანე, მოგრძო, მაგრამ – მუხა ნესვი.

ჟიზილყურთი – ალბათ რომელიმე ავადმყოფობაა. „ზახრუმალ, ღვთის რისხვა და ყიზილყურთი“ (რ. ერისთ., ტ. IV, გვ. 11).

ჟილთალიანი – იხ. „ბნელი“, გვ. 172.

ჟიმიში – შებრალება.

ჟინვარშაჟარი –

ჟინფია – გრძელკისერა.

ჟირთაჟალა – ყირაჟალა.

ჟირმიში – თეთრ-წითელი, ალისფერი.

ჟირპოშიში – წითელი ფერის ქვა.

ჟირფა-ჟურფა – ტრიალ-ტიალით, ყირაჟალა. „მოაჯლო ხელი და ყირწა-ყურწით გამოაჯლო სახლიდამ“ (ს. მგაღ., ტ. 1, გვ. 193). „თეთრბლუხიანი ყირწა-ყურწით გადვარდა მორქეში“ (გრ. ყიფში, „ივ“, 1887 წ., № 218).

16. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი.



სისინა//სისინო — ფარაჯისებური რამ, მსხვილი შალი, არა აქვს დაწმენა. „მეზობლებმა რომ განაონ დაფლეთილი რუსის ყისინით“ (ანტ. ფურც., „გაზაქანი“, 1880 წ., გვ. 43). „დაგლეჯილი ყისინის ჩიხაში გახვეულა“ (ნ. ლომ).

სისმათი — ბედი, წერა, იღბალი, ხვედრი; არა აქვს საბას. „მაგრამ დახეთ ყისმათს (თარსი — ს. ფაშალ, „მუშა“, 1932 წ., № 292). „ასე ბასობდნენ ცოლ-ქმარი თავის საყვარელის ქალის ყისმათზე“ (ს. შგალ., ტ. 1, 1926 წ., გვ. 46). „მის ყისმათზეა განენილი ის მზეთუნახავი“ (გ. ბარნ., „კარდფი“, 1939 წ., გვ. 65).

სისხი — სავაჭრო ბაჟი (?), განსაზღვრული დრო ნისიის ან ვალის მისაცემათ.

სიყვი — 1. ყურის ქვეშ ან ილღიის ქვეშ კაკლის ტოლა სიმსივნე. 2. ინდაურს ჩამოკიდებული აქვს ყიყვი. 3. ყანყარატოს ძვლის გარშემო ავაღმყოფი ღაბაბი.

სიყლიძო — საჭმელია ერთგვ. ყანჭებად (იხ.) დაჭრილი პური, ამოვლებული გათქვეფილ კვერცხში და ტაფაზე შემწვარი.

სიშლადი —

სლარტიანო — „სლარტიანმა გლეხკაცმა რათ უნდა იცოდეს, რომ მე, თავდიშვილს, ჭირანული მაკლია“ (რ. ფაქულენ, „შოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 39).

სლიჯი — 1. მოკაკული, მოგრეხილი ხმალი (ან დანა). 2. სათამაშო ქალღღებზე დაჩითული ჯვარი.

სლონა — ყეყეჩი, მიაშიტი.

სლუპი — წვეთი.

სლურფვა//სლურჰვა — გადაკვრა, გადაყლაპვა (ლვინისა). „თვითული სამიციტნოს წინ ჩერდებოდა და თან დაყოლებდა: „ჰყურწოთ?“ (ი. ტურგ., „შამუბი და შვილები“, თარგ. გ. დოლიძისა, 1949 წ., გვ. 164).

სლოზი — ქალღღების ერთგვ. თამაშობაა, რომელშიც შემდეგი მასტები: „მასულია“, „ონა“, „იჩარი“, „ონინჯი“ და სხვ.

სლოთუაჯა — ჩაქი (საბა).

სლოთურა — მეტი სახელია კაცისა.

სლობადი — მაჯის შესაკვრელი, სამაჯური, მაჯის ტოლადი.

სლომარბაზი — ყომრის (იხ. ყომარი) აზარტული მოთამაშე, მებანქოვე. ბაზი — მქნელი (აქედან ჯამბაზი, ქანდირბაზი). „მერმე ლოტომი ან პრეფერანსში ყომარბაზობით...“ („ციცკა“, 1860 წ., № 8, გვ. 359). „თურქეთის სკოლაში იზრდებიან მკვლელები, დამნაშავენი და ქურდები, ყომარბაზები და ლოთები („სახტ აჭარა“, 1951 წ., № 31, 10 თებ.).

სლომარი//სლომარი — ოთხი კოჭით ბანქოს აზარტული თამაში (ცხვრის ფეხის კოჭი). „ერთხელ გორში ვითამაშე ყომარი, კაცი ვნაზე აჯილღაზე მჯდომარი“ („კოლექტ“, 1935 წ., № 44). „ყომარბაზობაც შორს იყო წასული, ხლუსტი, ბითური, ცხრა, ყომარი და სხვ. (ზ. ჭიჭინა, „ნ. ბარათ“, 1885 წ., № 11). „გამიცუდლა რკენა, მღერა და ყომარი, დაეით“ („ივ“, 1879 წ., № 7-8, გვ. 101).

სლომრალი — ნაცრისფერი, ლეგა (აქვს დ. ჩ-ს). „ეცვა ყომრალი მაუდის ჩიხა“ (ს. შგალ.). გამიგია — ყომრალი ცხვარი.



- ✓ **ყონალი** – სტუმარი. რუსის მწერლები, რომლებიც კავკასიის შესახებ სწერენ მოთხრობებს, ამ სიტყვას ხმარობენ: კუნაკ, ე. ი. მეგობარი. **ყონალობა** – სტუმრობა.
- ყორული** – დაცული საძოვრის ადგილი. „ამერიკა ყორულსავით შერული ქვეყანა“ („ივ.“, 1887 წ., № 184).
- ✓ **ყორღანი** – ტაგრუცი, თაბუთი (?).
- ✓ **ყოჩი** – კამეჩის ბღაველი. „კამეჩი ყოყინით ეხმარება ზევით მოტივტივებულ თავის ტოლებს“ (დ. მეტრ., „ოქტობრ.“, 1940 წ., № 8, გვ. 3).
- ყოში** – კოში (თურქ. – კუთხე). 1. ალაფების ხელსაწყო, გრძ. ჩამჩა, გრძ. ხის თასი ხელმოსაკიდით. ბრინჯის, სისირის, ღობიოსა და სხვა მარცვლეულის ასაღები. „გამყიდველმა ყოში წაუგდო და აზელილი მწნილის გუნდა მოვიშვირა“ („საბჭო ოსეთი“, 1959 წ., № 93, გვ. 4). 2. **ყოში მწყემსის კარავსაც ეწ.** სვანეთში („ივ.“, 1889 წ., გვ. 111). **ყოშებიანი კაბა** – მამაკაცის ჩასაცმელი კაბა, ნაოჭასხმული, მოკლე და გრძელი ღიასახელოებიანი. „ძველად, უმცროსი უფროსს მიუახლოვდებოდა, შორიდანვე მხრებზედ შეყრილ ყოშებს ძირს ჩამოიყრიდა“ („ივ.“, 1904 წ., № 63); „ფშავეში მამაკაცი იცავს ყოშებიან ახალღს“ („ივ.“, 1889 წ., № 140). „ღინასა გოროდნინის კაბის წითელი ყოში“ („კრებ.“, 1871 წ., № 3, გვ. 37).
- ყოშა** – სპარს. ჰანგის სახელია.
- ყოშა** –
- ყონი** – დაუკოდავი მამალი ცხვარი, მოჩხუბარი ვერძი, რქებით მოჩხუბარი (არა აქვს დ. ჩ-ს). დაკოდილ ცხვარს **ჭედილა** ჰქვია (თ. რაზვი „ივ.“, 1900 წ., № 150).
- ყრათი** – მიხრწნილი.
- ყრანა** – ერთი აბაზი. „სპარსეთის სატახტო ქალაქს თეირანს სახელმწიფო ზარაფხანაში ახლის ყრანის – ვერცხლის ფულის მოჭრა დაუწყია. ახალი ყრანი მრგვალია და ზედ ღოში და მზგა გამოხსული“ („ივ.“, 1891 წ., № 160). **ყრანი ქალაღდის თამაშობაშიც იცინან.**
- ყრალი** – ნაპირი. ყრალის თქმა იცინან, როცა ქალაღდს თამაშობენ. ცნ-ია **ყრალის ფარდავი.**
- ✓ **ყრიყრი** – არწივისა.
- ყრუანაღლა** – გამოყრუებული, ბერეკი, ბებერი.
- ✓ **ყრუანა** – ყრუ არა დაბადებით. „რომ შეხედოთ, შავი ორშაპათის ბერიკა გვერდით: ყრუანა, ბლუანა (ი. ეკალ, „ოცდაერთი ჯვრით“, 1927 წ., გვ. 34). „მე კარგად ვიცი დედაკაცების ხსიათი და ისიც ყრუანა დედაკაცებისა“ („ივ.“, 1881 წ., № 172).
- ყრათი** – გამაგრება, ძალის მიცემა, ძალა.
- ყრბანი** – ყუბაჩი შალი.
- ყრვი** – რუს. ჩაიკა. „ყუვი, ნარნარად ზღვაზედ მოცურავს, ნაზად“ („ბარბიშანი“, 1891 წ., გვ. 13).
- ყრულღობა** – უშოვნელობა.
- ✓ **ყრთი** – ბამბანარევი აბრეშუმის, ატლასის მსგავსი ქსოვილი, რომელსაც საბნის პირად ხმარობენ. ამ სიტყვას პროფ. მ. პოლივეკტოვი აკუთვნებს

ძველ რუს. და იშვიათ სიტყვების „ოჯახს“: „ყოთნი აზიური ნახევრად აბრეშუმის ქსოვილია“ (თარგ. ჩვენია, - რ. კ.) ტფილისში იტყვოდნენ: „ყოთნის საბანი“, „ყალაქურის საბანი“, „თარგის საბანი“ (სხვადასხვა ნაჭურებისაგან რომ კერავენ). „სწი ყოთნის საბანსა, ხედ გადმოშვიე მკლავები“ (ხალხ.).

ჟოთური - ცხერის ავადმყოფობა. „ცხერის დიდ რაოდენობას ჟოთურისა და პირაღაზნის საწინააღმდეგო აბაზანები არ მიუღია“ (სკომ., 1953 წ., № 132, გვ. 3).

ჟოლაძე - ყვავილია ერთგვ., წითელი და სუნოვანი.

ჟოლი - მონა (უბედური ძალოსანი), ყმა. ჩინურად ნიშნავს „უბედური ძალა“. „ობლადღა დაჯრჩი, მე მისი ჭირში ურგები ყულია“ (რ. ერისთ., „თამარანი“, გვ. 39). „თან შეზრდილი ყული მყავდა“ („დავრიმ“, 1899 წ., გვ. 29).

ჟოლფი - რკინის (თოკის) რგოლი, მარყუში. ტ. წულუკიძე სახრჩობელაზედ რომ აღიოდა, თოკზე თქვა: **ჟოლფი** გამისწორეო, ე. ი. მარყუშიო.

ჟოლფის მარილი - სოფ. ჟოლფიდან (ერევნის გზაზე) ამონარიდი ქვის მარილი.

ჟოლჟი - მეტისმეტად შავი, კუნაპეტი.

ჟოვანი/ჟოვანი - დალესტინის სოფ., სადაც იქსოვება მატერია მუქი წითელი ფერისა. „მოდიოთ, ფარა ვიყიდოთ, ყუმაშის გამონაჭერი, შვეიდეოთ, შვეტყვილოთ, თავი ვეწვენოთ ვაჭარი (ხალხ. „ტარიელიანი“). „ივარ იქმნა აგრეთვე, განძი და კუმაში (სტ. შთაწმ. ენა“, 1946 წ., გვ. 110). „გლახის კაბს თუნდ ოც ალაგას ლაქა ჰქონდეს... ისევ იმას ჩაიცვენ - ფარააო, ყურმაშიაო“ (სციკ., 1864 წ., აგვ. გვ. 357).

✓ **ჟოვანი** - მსხვერპლი. აქედან: **ჟოვანი-ბაირამი** (მსხვერპლთ შეწირვის დღესასწაული).

✓ **ჟოვანილომი/ჟოვანილომი** - დაგენაცვლე, შენი სამღვთო ვარ, შენი ჭირის სანაცვლო ვიყო, მსხვერპლად მიმიღე, თავს შემოგველე. „თათარი აღაჟერდა... გაკვირვებულნი ძლიერებისა ჯვარისა, ხშირად იტყოდა: „ხარ, მან სან ჟოვანილომი (ე. ი. ჯვარი, მე ვიქნები შენთვის მსხვერპლი“ (სტფ. უწყ., 1832 წ., № 4, გვ. 79).

✓ **ჟოვანლა** - ტარაკანა.

✓ **ჟოვთაბლანა** - ჩვენს უბანში საბავშვო თამაშს ერქვა (ვინ ვის გაასწორებს, ჩქარი ჩასვლა). „ყოველდღე ისეთი ჩხუბი და ორომტრიალია, რომ ჟოვთაბლანა და ლანძღვა-გინება მთელს უბანს ეფინება“ (გ. ნახუცრ., „მგელკაცა“, 1939 წ., გვ. 145).

✓ **ჟოვთაბლანა** - სახელოს ჩაქები ქართ. კაბაზე ან ქათიბზე.

✓ **ჟოვთაბი** - ბატის გულის ან კუკუნაქის ღინღლი, გერმა, რომელსაც ბატს წელიწადში ორჯერ აცლიან. იყენებენ ბალიშისათვის და უწოდებენ „ჟოვთაბის ბალიშს“.

ჟორი - ადვილად მოსატყუებელი ვინმე, ყურყურა, არიფი. „ჰა, გინდა რაღა მომატყო, რა ჟორი ვარ“ (ვითომ ჟორიდან დასაჭერი ბავშვი ხომ არა ვარო).

ჟორიანლა - „ბანოში მიდის, სპილენძის ქვაბითგან ამოიღებს ყურიალათი წყალს“ (თეოფრასტე „დახასიათებანი“, თარგ. ინ-კანისა, 1889 წ., გვ. 23).

ჟორიანი კრამიტი - თხელი კრამიტი.



ჟურსი – (საკუთ. მრგვალი) შედეგებული ვერცხლი. „მეფე თეიმურაზმა ჯაგლაგ ფავლენიშვილზე სთქვა: ჯაგლაგ ფავლენიშვილსა არვინ ათხოვებს ჟურსაო, მას ვერცხლი დაუმსხვრევია და ვეღარ დააჟურსაო“ („ივ.“, 1864 წ., № 9-10).

ჟურუთი – გამხმარი დო, საჭმელში ხმარობენ. გამხმარი მანონი, ატმის ოდენად დამრგვალებული იყიდება.

✓ **ჟურუმსალი** – შეუგნებელი, უტიფარი, ცუდლუტი. „იმე, ამ ჟურუმსალს სწორეთ არ შინებია ჩუნი-თქვა?“ (აკაკი, „რკინიგზა“, „დრ.“, 1880 წ., № 7). „დღეს ყაითამილამ მომიტანეს თავი გაქცეულისა ყაზახის ურიადნიკისა, რომელიც იყო სამასის კაცის უფროსი იქა და ნიზამს აწყობდა ჯარებისას. დიდი ჟურუმსალი პარამზადა გათათრდა და სახელად ჰუსეინ დაირქო“ (გრ. ორბ., „წერ.“ II, გვ. 150). „ამ ჟურუმსალ ბესიას თავის ჭკუაზე მიჰყავს თემი“ (ეგ. ნინოშ, „ჯანყი გურიაში“, ტ. 1, 1932 წ., გვ. 11).

✓ **ჟურ(გ)ლანო** – მიჯნა, საზღვარი. ჩვენთან – ყორღანი.

✓ **ჟურჟურა** – ჩერჩეტი, აბუეტი, ადვილად მოსატყუებელი.

ჟუჟუნი – ცარიელი მუცლის ხმიანობა, ბუყბუყი.

ჟურჭი – „თმა ყურჭივით ჰქონდა“. „შავი ყურჭივით თმა თუ თვალები“.

ჟურჭამალა –

✓ **ჟურჭამბი** – მწყერის ხმა. „მოისმოდა მწყერის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჟურჭამბი“ (ნ. ლომ. „მოთხ.“ 1926 წ., გვ. 450). ს. მგალ. მწყერის ხმას **კუჭკუჭს** უწ.

✓ **ჟუჟი** – „მერე დარჩები ყუჟუ“ (ს. მესხის კერძო წერ., „მნათ.“, 1932 წ., № 8-9, გვ. 184).

შ

- შააყოლა** – მოუსვი აქედან, გაიხანხლე.
- ✓ **შაბანა** – მამაკაცის სასირცხვო ასო.
- ✓ **შაბაძა** – ფიცარზე ან პატარა ლითონზე პატარა ხერხით ამოჭრილი ფიგურები, ჩუქურთმა.
- ✓ **შაბაშ** – 1. შექება. 2. საჩუქარი, ქორწილში დედოფლის ცეკვის დროს რომ გროვდება. 3. ყველიერის ყენის გასამრჯელო. 4. მუშაობის გათავება (ავაშაბაშე-მუშაობას მოვრჩი), საქმის ბოლო, დასრულება. რუსთაველს აქვს ეს სიტყვა. 5. სახელიც ყოფილა. 3. მაიაკოვსკის აქვს ლექსი „პრინცესა შაბაშ“.
- შაბლუთი** – სიტყვის მასალაა. გ. სუნდ. „დაქც. ოჯახში“ გიემოზეს საყვარელი სიტყვაა.
- შაბო** – ყვაელია, ნარგიზის მსგავსი.
- შაბირდანა** – „მხოლოდ შაბირდანასთვის მაქვს თვალები ღია?“ (გ. სუნდ. „დაქც. ოჯახში“).
- შაპათ და ბნელათ** – წყევლაა.
- ✓ **შაპი ორშაპათი** – დიდმარხვის პირველი კვირის ორშაპათი.
- შაპი ფული** – სპილენძის ფული 1-5 კაპ-მდე. „გაღასწყვიტეს, მარიამ დედოფლისათვის ეძლიათ ჯამაგირი, ზოგი შავ ფულად და ზოგიც მთელ და მაგარ ასიგნაციებად (აფ., 1889 წ., № 185).
- შაპი შარბლი** – ყურძნის ავადმყოფობაა (აფ., 1889 წ., № 29).
- ✓ **შაპნაბადა** – ტფილისიდან 5-6 ვერსით არის დაშორებული. ჩავარდნილი ადგილია. შაენაბადას ეკლესია სდგას თელეთის მთაზე, ტფილისიდან სამხრეთით. როგორც სამრეკელო, ისე ტაძარი აშენებულია მეცხრამეტე საუკ. პირველ ნახ-ში. ეკლესია აშენებულია ძველის ნაცვლად, რომელიც წმ. გიორგის სახელობაზე იყო აგებული. როგორც ქართველებს, ისე სომხებს წმ. გიორგის შაენაბადას ეკლესია სწამდათ და თაყვანსა სცემდნენ. **შაენაბადობა** – სომხ. წმ. გიორგობაა. მისი დღესასწაული მოდის ენკენის თვის 22-29-ს, ჯვართ ამაღლების მესამე კვირას.
- შაპბუსა** – შაგერემანი.

- ✓ **შათირი** – შიკრიკი, კურიერი, იფრინდა (საბას აქეს).
- ✓ **შაითანი** – თარის სიმები მაღალ ხმაზე, მომართული და ერთმანეთზე დაშორებული მაღალ ბგერით. **შაითან** – სპარს. ნიშნავს ეშმაკს. **შაითან ბაზარი** – ეშმაკის ბაზარი (იხ. **შეითანი ბაზარი**).
- შაიკი** – თავის ტკივილი (?)
- შალაფა/შალაფი** – სარეველა მცენარეა. „სიმინდს შალაფა აღრჩობდა“ („კოლმ. ხმა“, 1955 წ., № 62). „კოლმ. ნაკვეთებში შალაფის მოჭრა სასტიკად აკრძალულია“ („ჯლაზნის განთ.“, 1957 წ., № 8, გვ. 2).
- შალახო** – ერთგვ. ყარაჩოლული ცეკვაა ზურნის ქვეშ.
- შალბაში** – ტყის სარგებლობისათვის ფულადი გადასახადი.
- შალბი** – სარეველა ბალახი.
- ✓ **შალდი-გელდი** – (შაი-გელდი). შაი თათრ. შაჰს ნიშნავს, გელდი – მოვიდა, ე. ი. შაჰი მოვიდა. საერთოდ ნიშნავს დაუსრულებელი, დაუბოლოვებული. მაგ.: ვინმე რომ ბევრს გალოდინებს და მერე მაინც მოვა, ეტყვიან: კაცო, შენი მოსვლა რა **შალდი-გელდი** გახდაო, ვითომ შენი მოსვლა რა შაჰის მოსვლა გახდა, რომ ვეღარ ველირსეთო.
- შალთაი-ბალთაი** – „მაგან შალთაი-ბალთაი კარგად იცის და იმიტომ ეხვევა ყმაწვილკაცობა“ (რ. ფაულენ, „მოამბე“, 1896 წ., № 1, გვ. 58).
- ✓ **შალითა** – 1. ბალიშის პირი, 2. საბნის გამოსაკრავი ზეწარი.
- შამათი** – ანუ შარამათი. ფათერაკი. ამბობენ: ეს რა შარსა და შარამათს შევეყარეო. ეგ შენი ქონება სულ შარითა და შარამათით არის მონაგებიო.
- შამაია** – პირდ. თარგ. – შაჰის თევზი. ეს თევზი გაკეთებულია, გამოსულია და გამობოლილი. სამეფო თევზია.
- შამაში** – ნესკის ერთგვ. ჯიშია, ნაზკანიანი, ყვითელ-ყავისფერზოლებიანი, პატარა ბურთივითაა, გემოთი ტკბილი არ არის, მაგრამ სურნელოვანია. ეს შამაში ქალის ძუძუების ეპითელთა ყველა აღმ. პოეტისათვის.
- ✓ **შამანი** – ნაქაჩი. წყალ-მაჭარა (ჭაჭაზე რომ წყალს დაასხამენ, შემდეგ დაღვინდება) დაბალი ღვინო. ჩხუბის დროს ამბობენ: გაჩუმდი, თორემ **შამანს** გადმოგადენო. ამ სიტყვას ხმარობს ა. ცაგარელი და სხვ.
- შამაი** – მაღალი და მსხვილი ბალახი. **შამბნარი** – გაბმული ბალახი.
- შამი** – სანთელი.
- შამი-შუმი** – შემშუშენა. „ხმაურობამ ყველა გამოაფხიზლა, ყველა შამიშუმში მოვიდა“ (ს. შკალ, ტ. 1, გვ. 68).
- ✓ **შამშიშამიანი ქათამი** – ფულებ (თუნუქისა და თითბრის) ასხმული ქათამი, რომელსაც ხმაური გააქვს და ჟღარუნობს. ამ ქათამს ესლა ხმარობენ ყარაბაღში და ახალციხეში.
- შამშიყარუთი/შამიყარუთი** – ამას მეტსახელად არქიმევენენ ხოლმე უწნო და უგულისყურო, უნიჭო ადამიანი. „ვე, შამიყურუთ, გაიგონე რაღა.“

- ✓ **შამჩი ვალქო** – იყო ავლაბრელი მესანთლე (შამჩი სანთელს ნიშნავს), შემდეგ კი ცნ. აშული, გვარად მელქუა გულქანოვი.
შანა – ხატისათვის შესაწირავი და გულზე ჩამოსაკიდი.
- ✓ **შანარ-შარანი** – ოქრომჭედლების იარაღი: პატარა და პრტყელი ქლიბი.
- ✓ **შანიშინი** – ჰქვიან დარბაზში ერთ მხარეზე გაკეთებულ გალერეას ანუ ერთ კუთხეში გაკეთებულ ბალკონს. ძველად ამ შანიშინში მალლიდამ დასახედავად ადიოდნენ ან ახლად ჯვარდაწერილ ნეფე-პატარძალს დააძინებდნენ.
- ✓ **შანჭარაში//სანჭარაში** – 1. ოთხმოციან წლებში შანჭარაქებს უწოდებდნენ სომხეთიდან ტფილისში მოსულ ლტოლვილებს, რომლებიც ავლაბრის მიდამოებში ცხოვრობდნენ. შან – ძალღია, ჭრაქ – ჭრაქი ე. ი. ძაღლის ჭრაქი. ეს სახელწ. დაერქვათ იმიტომ, რომ ოთახში ძაღლის ქონისგან გაკეთებულ პატრუქს ანთებდნენ. ამბობდნენ: შენი ფულით ან შენი ქცევით შანჭარაქებს გააკვირვეო. 2. შანჭარაქები არიან სომხეთში (ერევანში) მოსიარულე ბოშები. ეხლა ეს შანჭარაქები, როგორც ლტოლვილები, ცხოვრობენ ავლაბრის ერთ-ერთ უბანში. „უი, მეხი კი დაეყარე მაგ შანჭარაქს თავზე („საქ. მოამბე“, 1863 წ., № 7, გვ. 35). „ეროა ვინ არის და შანჭარაქ ვინ“ („ციცკა“, 1864 წ., სექტ., გვ. 41).
- ✓ **შარაბანდი** – ერთცხენიანი ეტლი.
შარანდი – სატკიერის მიზეზი. „ოპ, ერთხელ კბილი მტკიავა, იმის შარანდით თვალი მტკნავს.“ (ა. ახანა, „ლექსები და სცენები“, 1912 წ., გვ. 137).
შარდანა –
შარი – ცილისწამება (სკანდალი). „გაჭირვების ტალკვესია ჩვენი მიხა, რომ ცოტა შარი არ იყოს“ (ს. შგალ. ტ. 1, გვ. 82). „რა შარებს მივინებ“ (გ. სუნდ, „აეპო“, „დაქცოჯახი“). „შარი ხეირად გადაექცაო“ (ხალხ.). „დედაკაცის შარი, მოკარდნილი ღვარი“ (ანდ.). „გაროზვისას მომიშარებდა რასმე და დამიკვილებდა“ (ვაჟა, „მოგონ.“, ასევე, „როგორ განდნენ ქვეყანაზე ბუები“). „სიმართლე გაცვეთილა, დრო შექმნილა შარული“ (სალხ. სახანდარი, 1912 წ., გვ. 95). შარიანი – „ყველაზე შარიანმა კრიტიკოსებმაც კი ვერაფერს მოსდეს შარი“ („კომ.“, 1949 წ., № 204, გვ. 3).
- შარი-შური – 1. თახახიანი ფართლევულის შრიალ-ხმაური. 2. ნარნარი ხმაურობა. 3. ჩონგურის ხვეული ჰანგი.
- შარ-შარამათი – იხ. შარი.
- შატაბუტა//შატაბუტა – 1. არასერიოზული, ცანცარა, ტუტრუცანა (ქალზე იტყვიან). 2. „ჩქარი და უგვანოდ მოუბარი“ (დ. ყიფ.). „ერთი შატაბუტა ვინმე“ (რ. ერისთ., ტ. IV, გვ. 30). ამ სიტყვის თქმა იცოდნენ ლოტოს თამაშის დროს.
- შატალო –

- ✓ **შაქარღანი** — საშაქრე.
- ✓ **შაქარღაპა** — შაქრით და ფქვილით შეზავებული კვერი. „განა ისინი შაქარღაპის ჭაბით დაიხონენ?“ (ანტ. ფურც, „პასუხი ნიკოლაძეს“, „კრებ.“, 1873 წ., № 10, გვ. 146).
- შაქაშა** — თიხის ან ხის ჯამი, პატარა. ჯამისებრი ჭურჭ., ფიალა. „საყვარელო, ძვირფასო, ერთ წუთას შენთან დამსო, შენის ბროლის თითებით შაქემით ღვინო მასო.“ (ხაღზ.).
- ✓ **შაძი** — ალჩუ. ამბობენ: შაქზე დაჯდა, სტუმარი მოვა. „ღურგლობაც გცოდნია... შაქის გამოღება ფარგლებით უცხოელ იცი“ (გრ. ბატონიშ. ლექსი).
- შაძრის ქალაღლი** —
- შაშა** — დაკლული და გატყავ. ცხვრის ერთი ნახევარი (საბას აქვს შუყა). „ყასაბი მიუახლოვდა ნახევარ შაყა ხორცსა, უნდოდა მოჭრა“... („ცისკ.“, 1857 წ. გვ. 42). „შემდგომ პკრეს შაყა“ (სურ. ციხე, 1832 წ. გვ. 51), ე. ი. გასჭერეს შუაში.
- შაშა-შუში** — შრიალი, შარიშური. „მაშ ხელში ქალღლივით შაშა-შუში გააქსო?“ (გ. ნახიძე, ქრესტ., 1885 წ. გვ. 45).
- ✓ **შაშარა** — სურნ. მცენარე, რეჰანი.
- ✓ **შაშაღდურა** — ცანცარა, ქარაფშუტა.
- შახა-შუში//შახი-შუხი** — „ის იყო... შახა-შუხით მოლაპარაკე“ (პ. უშიკი, „ივ.“, 1899 წ., № 209).
- შახი** — სპარს. ხეხილის ტოტი. გადატ. ჩვენში ამბობენ: **შახს** არ იტენსო, ე. ი. ისევ ფართი-ფურთობსო. „მენი ზართ ჰაოს-ქართლოსის, ნუ გაიტენამთ შახსაო“ (პაზირა, „ბუღალი“, 1904 წ. გვ. 15). „დასდინარ შახით, ბროლის სახით, გვეზარ მთვარესა“ (პაზირა). „ფულს რომ დაინახვენ ჩემს ქისაში, მაშინ სულ სხვა შახი მექნება (გ. გუნ. „ღედისერთა“, 1910 წ. გვ. 19). **შახად** — ყოჩაღათ, კარგად, შნოიანად, ლაზათიანად, თამამად. „თქვენ შახად იყავით...“ („ცნ. ფ.“, დამატ., 1903 წ., № 102). „მიველი და მეც ერთი შახად დაბრძანდი“ („სურდ.“, 1904 წ. გვ. 28). **შახიანი** — „ალიონი, მალიონი, გალაქტიონ ხმალიონი, კონტა არის, შახიანი, ღმერთო, იმ დროს ნუ მომასწრეფ, ყოფილიყო ქალიანი“ (ხაღზ.). მწ. გრ. ნახუცრ. ერთი თავისი წიგნი („მამამ გამომგზავნა“) მიძღვნა შემდეგი წარწერით: ი. გრიშაშაიელს, რომელმაც შემაყვარა ქართ. ლექსი და **შახიანი** ქართული ენა“ (წიგნი ჩემს ბიბლიოთეკაშია დაცული). „შე მიყვარს შახიანად გავლა-გამოვლა თავმომწონე ახლაგზარდებში“ (ღ. მუტრ. „ცხრათვალა მზე“, 1939 წ. გვ. 123, 170).
- შახიღი** — თავმომწონე.
- ✓ **შახსაი-შახსაი** — შემოკლებულად წარმ. სიტყვიდან „შახ-ჰუსეინ, ვაი ჰუსეინ“. ამ სიტყვას იმეორებს ყოველი კაცი, როცა თავს იბეგვამს ჯინჯილით.
- ✓ **შახნია** — მეტი სახელი დედაკაცისა.
- შაიღ შაიღ** — მეფეთ მეფე.
- შაღდიყაითან** — კაცი რომ საოცარ რამეს ჰყვება, ეტყვიან: ეეე, შაღდიყაითან!
- შა აიოსაპარღნო** — წყევლაა.

შაანაზუშა — შეალამაზა, შეასათუთა.

შაბილი — დამტკრეულ-დაკუნული ქვები, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად ყრია სამხედრო გზატკეცილზე.

შაბროშილი — შებრაწული, დამწვარი ბროწეულის ფრად.

შაბირდანა — შეგირდის (პატარა ბიჭის) კუთვ. ფულადი საჩუქარი. შეგირდის ერთი კვირის ჯამაგირი.

შაბირდი//შაბირდი — მოწაფე. „...მე შენს შაგირდს, მაძლევს ღხენას“ (გ. შარვ., „აკაკის“).

შაბონება — „შეგონების დროს მწერალი ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს“ (ვ. ჯაღალ. „ახ. კომ.“, 1949 წ., № 99, გვ. 3).

შადან-ბადანა — შესელა-გასვლა. „ეს სამიციტრო ღიაა და ერთი შედენ-გადენა და ორომტრიალია დღეცა და ღამეც“ (აივ., 1889 წ., № 36).

✓ **შადლუხი** — 1. ორომტრიალი, ღრიანცელი, კორიანტელი. „ეზლა კი მინდა შედლუხით დავეხვე ახალ წელსაო“ (ბაბილინა, „ოქტ.“, 1937 წ., № 12). 2. ილუმინაცია.

შაისიტაჰა — სიტყვა გააწყვეტინა, შეელაპარაკა, სიტყვა ჩამოართვა. ეს სიტყვა პირველად მე ვინმარე ჩემს მიერ ნათარგმნ შირვან-ზადეს „ნამუსში“, მერე გაიმეორეს კ. გამსახურდიამ და პ. ჩხიკვაძემ. ეს ისე ცნობისათვის.

შაიჩახა —

შაიხათრა —

შათა//შათი — შლეგიანი, გიჟი.

შათაჰვირდა — დამშვენდა, გაივსო, გაიზარდა.

შათაჰლიზა — შესანსლა.

✓ **შაიდიში** — ფართლეულია ერთგვ. ქალის საშარველედ და პერანგის ამხანაგისთვის იხმარება... „ჩითის კბები გახადა, სხვა ფარები შეუკვრა, ამის ქვეშით შედიში კოჭებამდინ დაუმშვენა“ (არსენას ლექსი). „გახსნა ბოღჩა და გადმოაწყო... შედიში, საკბე, ლენაქი...“ (სოლ. მეჯღ.).

შაითან ბაზარი — სპარს. ეშმაკის საპარდულო. ეწ. თათრის მოედნისაკენ (აბანოებთან), ვორონცოვის ქუჩის დასაწყისიდან, ვიდრე № 18, 25-მდე ადგილს. წინათ ერქვა „განჯის კარი“. სხვათაშორის ვორონცოვის ქუჩა, სადაც ეზლა ტრამვაი დადის, წინეთ საცალფეხო ბილიკს — მტკვრის სანაპიროს — წარმოადგენდა და ბაღებით იყო დაფარული. ეს ქუჩა გაიჭრა მ. ს. ვარანცოვის ნამესტნიკობის დროს 1850 წ. და ეწ. „ვარანცოვის ქუჩა“ (ეზლა კომუნალური ქუჩა). „მე რათ მინდა გიმნაზია, დოქორი, ჩემი სწავლა არის შეითან ბაზარი“ (არტ. ახნ. „თ.“, 1885 წ., № 15). „ამან არ იცის, რომ შეითან ბაზრიდან მთელი ბატალიონი მომიყვანია (ა. ცაგ. „რაც ვინახავს“, მოკ. II).

✓ **შაირუშხა** — მოიღრუშხა, სახეზე რისხვა გამოეხატა. მორუშხული სახე.

შაიტახა - სუფრაზე რომ დასხდებიან, მასპ. სტუმარს შოთი პურს მისცემს და ეტყვის: **შეიტეხე** - ნახევარი პური მასპ. დარჩება, ნახევარი სტუმარს. არის ასეთი გამოთქმა: როგორ ვიღალატებ, შენს ოჯახში პური გამიტეხიაო.

შაიტაჰაჰუნა - შერჩა, დასტყუა. „მაო ალექსანდრე (ეს ალექსანდრე იყო გვარად თოიძე, მეტად პატიოსანი პიროვნება, სასტუმროს პატრონი. ლექსებსაც წერდა „სანდრო ბიჭის“ ფსევდ-ით ვ. აბაშიძის „თეატრში“-ი. გრ.), შეიძლება შენლოთ და რამდენიმე თვის ვადით ორი თუმანი მასესხოთ? განზრახვა არა მაქვს, ამ ფულს ვისესხებ და შევიტყაულებ-მეთქი. „ეს ტერმინი - შეტყაულება ი. ჭკვიანისა და მანაბლის ეხლანდელ ფელეტონებში ვისწავლე“ (ეგ. ნინოშ, ტ. 11, გვ. 5).

შაიფაჰუნა - სიტყბოების გამოსახატავად ან კოცნის დროს ამბობენ: ტუჩები შეიწმუნა, ე. ი. ჩაიწმუნა.

შაიხი - სასულიერო ძმობის ან თემის წინამძღვარი.

✓ **შაიი** - ქერა კაცზე იტყვიან. ქალაქ ნუხას ძველად ერქვა შეკი. აქაური ხალხი ხომ არ იყო ფერმკრთალი ან მქრქალი?

✓ **შაიოაიფაჰული** - შეკრული, წარბებშეკრული.

✓ **შაიოარაჰუნდა** - მოულოდნელად შემოგოგმ-შემოვარდა.

✓ **შაიოტანტარდა** - შემოიბოტა, ინდაურივით შემოვიდა.

შაიჰჰადრი ძარი - რუს. სკვოზნიაკ.

შაინიჰთაბა - შეკავშირება. „მწყობრად არიან დაწყობილნი, რაზმ-რაზმად და ისე მჭადროდ, შენივთებით მიდიან“ (გრ. ყიფშ).

შაინს მახიჰვრად შაიდი უცხო ბამაჰარდა, არ საჯობდა? -

შაინჰაჰოტა - ორპირობა. კაცზე იტყვიან, რომელიც ხან ერთი აზრის მიმდევარია, ხან მეორესი.

✓ **შაიჰიჰინაჰული** - შექეიფიანებული.

შარაჰილი - მოსულელო, ჭკუნაკლები (აკაკი, ტ. VI, 1956 წ. გვ. 309; რ. ერისთ, ტ. IV, გვ. 237).

შართი - 1. პირობა. 2. შართი, ტკბილსასმელი.

შასაჰაჰი - შესაფერი.

შასჰინილი - განათლებული, განსწავლული.

შასტრანბი - ფლავის თავი, შემზადებული ერბო-კვერცხით და ხახვით. აგრეთვე, ერბოში მოხრაკულ ხახვს ჯერ უმატებენ ძმარს, ალუჩას ან შვინდს, ან სხვა მომჟეო რამეს.

✓ **შასიციჰაჰას** - შეფრფვინვით, გატაცებით შესცქერის. წარმ. სიტყვიდან - ციცა, კატა.

შაჰუთნული - თბილად შეხვეული.

✓ **შაჰუთჰინილი** - ახლად აყრილ ხეებზედ ითქმის, რომლებსაც ბევრი ნაყოფი აქვთ.

მეფუფულა – ნაჩქარევად გააკეთა.

მეფაპათი – შვება. შეღავათი მომეცა.

მეფუჟა – შეფარვა, შეხიზვნა.

მეფაჟურდა – შეიშმუშნა.

მეფიში – 1. შეშლილი, გილდარა, დამთხვეული, 2. შიშისაგან შეშკრთალი. შეიძლება წარმ. ჰაშიშიდან (სწორედ ჰაშიშიძეობული კაცი არის ასეთი). „ამის გავონებაზე ერთი ეს დაიბახა: „შენა“ და შეშშიშვით გახდა, სჩქაროდ წამოფრინდა და გავარდა“ (ბ. ჯორჯ, „ივ.“, 1893 წ., № 165). „არა, ყურუმხალი, ისე როგორ გაშეშშიშებულხარ, რომ ექვსი წლისა გამოგაკვს შენი თავი (კაბიშ., გვ. 16).
შეშშიშობა – ტფილისის ქუჩებში ვიღაც დედაკაცი დაიარება, რომელსაც, როგორც ეტყობა, შეშშიშობა სჭირის“ (ივ., 1892 წ., № 92).

მეფუდი – იშვიათი ნივთი. სავაჭრო დუქანში იშვიათი საქონელი, რომელიც მუშტრის შესაჩვევად ყოველთვის და ყოველ დროს იშოვება დუქანში. შეიძლება ეს საქონელი მუშტარმა წელიწადში ერთხელ მონითხოვოს, მაგრამ იმ საქონლის ვაჭარი შეშუდისთვის მაინც ინახავს თავის დუქანში (სხვანაირად ვერ ავხსენი). „მინდოდა გამეხსნა ერთი კი დუქანი, გამეჩინა ყველანაირი შეშუდი“ (მელან, „გიორგი და გეორგი“, გვ. 7). „დღემდე გურჯაანში ვაჭრობდნენ მელიქა და კაპო. ღვთის წინაშე, ყველა შეშუდი აქვთ“ (ივ., 1886 წ., № 133).

მეფუჟაჟა – ადგილის ამოხერხვა (დამწვრისაგან და სხვ.).

მეფუჟაჟა/მეფუჟაჟა – ფიცხი, გიჟმაჟი, ცქრიალა, სწრაფი. „აი, მეხი კი დაგაყარე მაგ შეშუნა თავზედ, რომ შეშუნისავით კარში გავარდი“ (კაბიშ., 1880 წ., გვ. 31).

✓ **მე სულაპრეტხაულის შვილი** –

მე ჩასაჟადრომ – წყველაა ხუმრობით.

✓ **მე ჩაჟის უხალთუნია** – კინტოების გამოთქმაა.

მეცაუნაჟა – შიში?

✓ **მეხანხლა** – შესანხლა, ჩანთქა, გადაყლაჟა. ხმ. გადატ. მნიშვნელობითაც: **მეხანხლული** – „კრებული მეხანხლული გამოვა“ (ი. გოგუბ, გ. „შუქი“, 1908 წ., № 4, გვ. 4).

✓ **მეხუნხლული** – „წითლად მეხუნხლული შეინდი“ (ცქვიტი).

✓ **მეჟირღიტაჟა** – უსნოთ შეჟყურებდა, ალერსით უყურებდა.

მეჟული – კალატოზის გრძ. ბაწარი, რომელსაც ბოლოში შიშიმე თითბრის გირი აბია.

მეჟაჟი – აკვანში ჩასადები ხის მილი, ბეშეთა საშარდე. შიბაქს აკეთებენ ხარატები სათლელით და საჭრელით. დ. ჩ.-ს მისი კარგი ახსნა აქვს, მაგრამ შაბაქა შეცდომაა.

✓ **მეჟი** – თვალმარგალიტებიანი ნაქსოვი.

✓ **მეჟლახა** – მოჩერჩეტო, მოქერქეტო, ცანცარა.

მეჟინტიჟური ჟნით – ღრმა ენით. „იბუჭებოლა დერჟაჟინის ოლა... მეჟინტიჟურის ენით“ (პ. უშიკ, „ქართ. თეატ. და ლიტ.“, 1900 წ., № 1).

✓ **მეჟინტიჟან** – ღრმად, რამდენიმე ოთახის სიღრმეში.



შიგჰიდილა - საბავ. ჭიდაობა. ბიჭები წრეს გააკეთებენ და დასხდებიან. ორი მათგანი წრის შუაში ჭიდაობს. წაქცეულს ვისკენაც მოექცევა თავი, წამქცევს ახლა ის უნდა დაეჭიდოს.

შითილი - თამბაქოს მცენარე. ჩითილი?

შილა/შილი - 1. ტლანქი (ხამი) მატერია, წითლად შეღებილი (იხ. **საბა და დ. ჩ.**). „წითელი, როგორც შილა“ (ლ. არდაზ., 1936 წ. გვ. 118). „შილის ნახვეისთვის ევედრებოდნენ“ (მ. ჯანაშია, საეკლ. ჟურნ.). იხ. ვ. ბარნ. „ტფ. აჩრდილები“, გვ. 274. 2. გათქვეფილი წვენი?

შილარობა - დავა, კამათი (ცილაობისაგან ხომ არ წარმოსდგება?).
ეშილავა - ეკამათა.

შილაფლავი - „გივეარს შენ ევე გაზეთი, ვით ხუცეს შილაფლავია“ (დ. კეზელა). „რუისში ერთი მღვდელია, ბებერ თხას უგავ წვერია, ბვერი შილაფლავი ჭამა, ამოიზუნხლა წვერია“ (ხალხ.).

შილანდი - ძროხის ხაშის შავი ნაჭერი.

შილინა - ილუმიანაცია, ზალპი (?). „არ გაუშვით, დაქარით, - დაიღრიალა ქისტა და მისცეს თოფის შილინი“ (ივ. ბუქ., „საქ“, დამატ., 1916 წ., № 15).

შიშა - (რუს. ლინეიკა). დურგლების სახაზავი იარაღი. **შიშა**, როგორც „ლინეიკა“ პირველად ვ. ბარნოვმა იხმარა („გარდუ“, გვ. 168). საბას განმარტება არ ვარგა.

შინაური საჩქაღა - ბოზბაში, ტოლმა, ქუფთა, ხაში, შილაფლავი, ჰარისა (ყველა თავის ადგილას ნახე).

✓ **შინა ძარი** - გამსჭვალავი, ორტოლი ქარი.

შინხალი -

შინჯაფი/სინჯაფი - ქათიბის ბეწვიანი სარჩული.

შირა - გამონაჟონი ნოყიერი წვენი, ტკბილი წვენი (სეროფი). არის **ლობიოს შირაც**, ე. ი. **ლობიოს წვენი**.

✓ **შირაჯის შუშა** - შირაში გაკეთებული შუშა (ბროლის სურა). საიათნოვას აქვს: „გოგრა არ გახდება შირაჯის შუშა;“ გოგრაში ნაგულისხმებია ყელიანი გოგრა (აყირო), რომელსაც სოფლად საძაბრე გოგრასაც ეძახიან. ეს გოგრა საჭმელად არ ვარგა. მისი გული მწარეა. როცა მას მწყემსები წყლის ჭურჭლად ხმარობენ, გულს გამოაცლიან და კარგად გამოვრეცხავენ ხოლმე, რომ სიმწარე გაუვიდეს.

შირაბახტის/შირაბახტის ზეთი - ერთგვ. კარგი ზეთი, რომელსაც საჭმელში ხმარობენ. არის ქუნჯუფის ზეთი, ზეთუნის ზეთი და სხვ. „რისთვის ჩამოღის ცხვირიდან ქუნჯუფის, შირაბახტის ზეთი“ („ივ.“, 1891 წ., № 53).

✓ **შირიში** - ავადმყოფობაა, შარდის შეკავება. კაცი თუ ხშირად დადის ფეხისალაგში, ეტყვიან: კაცო, რა შირიში შეგიდგაო.

შირინი - ტკბილი.

შირათი - რაღაც ჩუქურთმაა.

✓ **შიჰასტა** - ბერძ. საკუთრივ დატეხილს, დასახიჩრებულს, ხეიბარს

ნიშნავს. აქედან: სიმღერა დავრდომილთათვის. ძველად ქალთა საგალობელი ყოფილა.

შიშა(ბ)ი — „და შიშა ხორცსა, რიგზედ მოქაუულს“ (დ. ბერიევი, „ცისკა“, 1859 წ., № 9, გვ. 10).

შიშისაგან ფხეხაბი ააბლანდა —

შიშლიაი — შაშლიკი?

✓ **შიშაბი** — სათუთი ხეა ერთგვი, სწორი ბზის მსგავსი, იზრდება გრძლად და სწორად. მისგან აკეთებენ ხის კოვზებს, ჩამჩას, სინებს და სხვ. აქედან: შიშმა (იხ.), სახაზავივით სწორი საზომი (ლინეიკა). შიშმატას სწორ კიტრსაც ეძახიან: ვა, ვა, რა შიშმატი კიტრია! ასევე, შიშმატივით მაღალი კაცი.

შიშინა — მცერიანი მწვადი. **შიშხინი** — მწვადის ხმიანობა.

✓ **შლააუნი** — ფენით ფლოსტის თრევა, შლაპა-შლუპი.

შლაპიანი — დაუდგარი, თავზეხელაღებული, ხელი.

შლადანი — ცხერის შიგნეული, რომელიც აუცილებლად იხმარება ყველის გაკეთებისას.

შპილი — ოდნავი, ნელი ხმაური.

შოთი — კახ. პური, „დედას პური“.

შოთხვი — ხეა.

შორაქანი — „გაყიდულები უცხოეთს, ვით შორაქანის კონები“ (ი. მჭედლ.).

შორვა — 1. წვრილად დაჭრილი ცხერის მოხარშული ხორცის წვენი ჩაყრილია ხახვი, ჩაყრილია პური და სჭამენ ხელით. 2. ბრინჯნარევი წვენი ავადმყოფისათვის, უხორცო. აჭმევენ, აგრეთვე, ქათმის შორვას. ბულიონის მზგავსია.

შორ-შორი — ხელდახელ. ამბობენ: დღეს სადილათა მაქვს ისპანახი შორ-შორით, ე. ი. ხელდახელ ცხელ წყალში გაფუფქულიო.

შოული — შვეული. კალატოზის იარაღი, საზომი ძაფი (დ. ჩ.).

შოქია — კოპჩია, კონტა თავმომწონე.

შრააუნი — შრიალი.

შრაში — დასაწებებელი. „ირგვლივ წებოსი და შრეშის სუნი იდგა“ (მ. თომაძე, „ერთი ქუჩის ამბავი“, ხელთნაწ.).

შრტიალი/შტიალი — დატუქსვა. „მოიჭრა ხელაზლა მამასხლისი ლანძღვით და შტიალით“ (რ. ფავლ, „მოამბე“, 1896 წ., № 6, გვ. 9).

შტოში — რუს. კლიუკვა.

შუა ბაზარი — რუს. არმიანსკი ბაზარ.

შუაპური — ჭიდაობის ერთ-ერთი ხერხი.

შუპა — შესახვევი (რუს. პერეულოკ).

შული — ხვეული ძაფი. შულოს ყველი.



შუმი - უსაბუთო, დაუსაბუთებლად ლაპარაკი ან უპასუხისმგებლო საქმე.

შუმი ღვიწო - (ივ. გომართ.).

✓ **შუმუნვარი** - მოაზღვე, გოგო.

შური - სპარს. მძიმე ჰანგის სახელია.

შურთხი -

✓ **შურა//შური** - ხარაზების იარაღი, ტყავის გასახეხ-გასაქერქი. „ღაზაზედ აწყვია თითბრის მუშტა და ერთი ტყავის გასაქერქი შურა“ („კაპიშ“, 1880 წ., გვ. 5).

შული - ჩხუბი („ივ.“, 1889 წ., გვ. 271).

✓ **შუშა** - „შუშა თითები.“ „შუშა კიტრი“. „შე არ მიზიდავს შუშა თითები“ (ი. გრ., „ერთ ქალს“). „გაუსინჯა დედამ შუშანას ბეჭედი და დაუკონა შუშა თითები“ (გ. ბარნ., „საზართა სასძლო“, თ. IV). „სურამის ციხეშიც“ არის ეს სიტყვა. მის რუს. თარგ. კი „ნათელი თითები“, ნამდვილად კი უნდა იყოს „შუშა თითები“, რაც ნიშნავს - წვერილი, გრძელი თითები. ხალხ. ლექსიცაა: „თითები გაქვს შუშა-შუშა“. არის **შუშა კიტრიც**, რომელიც ასევე სწორი, ქორფა კიტრია და ადვილად ტყდება (შუშასავით). „ბიძაჩემმა თან ერთი კალთა შუშა კიტრები მოიტანა“ (ნ. ლომ., „ყოველის მზრიდან“, თ. V).

შუშაბანდი -

შუშანი - თეთრი ყვავილის სახელია, რომელსაც ექვსი რტო აქვს, მოგრძოა და ქარქვეტასავით მწნილად სდებენ. „ყელი თლილი, რუსეთული შუშანი“ (გ. ერისთ.).

✓ **შუშაში** - ცხენის ავადმყოფობაა. ფეხები უსკდებათ და უჩირქდებათ.

შუშარა - ჩქარი, ფიცხელი (ძველად ცეკვაც ყოფილა).

შუშტაპი - ფერუმარილი.

შუშტარი - სპარს. მუსიკ. ჰანგი, აღმოსავლეთ ქალაქიდან - შუშტარიდან წამოსული ჰანგი. „შუშტარი არს ქალაქი“ (გ. თაყ.).

✓ **ჭრილა** — ჭრელი, რუხი, ყომრალი, თვალმარელი. რაჭაში ჭრილათვალებიანს ჭრილმეხათვალებიანს უწ. „გონჯის ბატონი იყო დაბალი, ვიდრე მაღალი, ჯშუხი, ჭრილათვალებიანი (ლ. არღ., 1936 წ., გვ. 111).

ჭრილი — შაქრის დააუადება (გ. თაყაი. „აქლენდ“. 1905 წ., გვ. 170).

ჭრილა — ჭიკჭიკი.

ჭრილა — ტბილი მეგობრული საუბარი. მწვერების ხმიანობაზეც ითქმის.

ჭრილი — აბრეშუმის ჭიის ჭუჭრი.

ჭრილა — ყურებდაცქვეტილი, მარდი, ცქვიტი. „ზაქრო წამოფრინდა და დასთან ჭუჭუა დაერჭო“ (ს. შაღა, ტ. 1, გვ. 103).

ჭრილა — მომცრო, მოჭუტული (თვალეები). „პატარა ჭუჭუა თვალეები ჰქონდა“ (რ. ფაველ. „მოაზრებ“, 1896 წ., № 1, გვ. 31).

ჭრილა — ბატის ან იხვის ჭუჭული, წიწილი. „იხვის და ბატის ჭუჭული“. (ნ. ლომ. მოთხ., გვ. 205).

✓ **ჭრილი/ჭრილობი** — ჭაობი (დ. ჩ-ს აქვს მხოლოდ ჭყანტი). „ჩაეხეხა ჭაობთა და ჭყანტობში (აქლენდ“, 1912 წ., № 1, გვ. 10). „ბაყაყი კი იქვე იდღესასწაულეს, იქვე ჭყანტობის პირას“ (ვაჟა, „აქ“, 1905 წ., № 190). ჭყანტიანი — „საღლოში ბინა დაუხვდა ჭყანტიან-ჭაობიანი“ (აკაკის კრებ., 1897 წ., № 3, გვ. 47).

ჭრილანა ახალუხი — იხ. ჭილრიკა.

ჭრილა —

ჭრილა — ბავშვზე ამბობენ.

ჭრილა ვაშლი — პატარა ვაშლი.

ს

ხაბარბეიზი - ჭორიკანა, ჭორხაბარა.

✓ **ხაბარდა** - 1. განზე ჩამოდექი, ჩამომეცალე, გზა მომეცი. „მას ეხლაც სახლიდან სახლზე გაურბოდა თვალები და სხვადასხვა სანახობით გატაცებულს თავისთავი დააუწყედა. - ხაბარდა, ხაბარდა! - ძღვის გააგონა მას შეეტლემ“ (პ. ლორია, „ბედნ. დედა“, 1941 წ., № 112). ამ სათაურით წერილიც კი აქვს „მოლაყებს“ „ცისკარში“ (1860 წ., № 6, გვ. 134). 2. კრინოლინი. ძვ. თბილისის აივნიდან ჩამოვარდა რვა თვის ორსული ქალი, რომელსაც „ხაბარდა“ ეცვა და გადარჩა. „ხაბარდა“ გაიბერა პარაშუტივით. ერთი ბლუკუნა ალექსი იყო... ის ამბობდა - მე ჰაერში გაეჩნდიო. ეს ალექსი იმ ხაბარდიანი ქალის შვილი იყო. „თუ გაუჯავრებ, ზედ წამაჯღება, ხაბარდას თავზე გადამაფარებს“ (დ. ბერივეი, „ცისკ“, 1865 წ., № 1, გვ. 20). **ხაბარდიანი კაბა** იყო განიერი კაბა, რომლის ქობაც მავთულის რკალზე იყო გაკეთებული, არის ქალაქ. ხალხ. სიმღერაც: „ქლო ხაბარდიანო, გაქვს და ვიხარაო, ქლო, ხაბარდის ქვეშა...“ და სხვ.

ხაბარი - ახალი ამბავი. ეს სიტყვა არ უნდა იყოს წმ. სომხ. წარმოშობის, თუმცა ქალაქში ამბავი სომხ. ნიშნავს **ხაბარს**. ქართველები (განსაკ. დას. საქ-ში) ასე ამბობენ: **ამბავი-ხაბარი**. აი, ერთი წერილის სათაურიც: „ქუთაისის ამბავ-ხაბარი („ზვ. აზრი“, 1909 წ., № 28). პ. უმიკაშვილს „ანჩისხატელის“ ფსევდონიმით ლექსიც დაუწერია ხალხ. კილოზე. „ეს რა ჭირის ხაბარია, სულის ხუთვის სადარია“ („გვ“, 1886 წ., № 269). ეს სიტყვა იხმარება ყარაჩოვლებშიც. ამას წინათ უ. „მურზილკაში“ დაიბეჭდა ერთი პატარა მოთხრ. სათაურით „ხაბარ“ და იქ ეს სიტყვა ნახმარია ძღვენის, მოსაკითხის მნიშვნელობით („მურზ“, 1941 წ., № 5). ახლად ჩამოსულ კაცს ეტყვიან ხოლმე: აბა, მოგვიყევი ახალი ამბავი, **ხაბარი**.

ხაბა-ხუბა - „...ახლად მორჩენილ ადამიანს რომ ერთად მაყარო ხაბა-ხუბა სხვადასხვა საკმელები“ (რ. ერისთ.).

✓ **ხადილი** - 1. წინასწარი საქორწილო მცირე ღზინი. „აქაც მოვსციდი ქორწილსაო, იქაც ხადილობასაო“ (ხალხ.). 2. მასპინძლობა, შექცევა, წარჩინებულთა მოწვევა.

✓ **ხადუმი** - მხვეალი, მოახლე ქალი, მოსამსახურე.

საპილი – უშნო, პირუტყვიანი ამოძახილი, კატების ხმიანობა.

▷ **საპიფი** – ფეკილის ფაფა ერობოთი და ხანვით შეზავებული. ხალიფაფაც ჰქვია. „ნათლობაში დამპატივეს, მომიტანეს ხავიწი, კოჭლი გოგო ათამაშეს, იმის ცოდვით დაიწვი“ (ხალხ.).

✓ **საპხაპახს** – ბებერ ძაღლზე ამბობენ.

საზალი – ეშნი, სიმპათია. „მინამ საზალი გაქვს, ყველა მივიღებს. საზალი წავივა, წყალი წავიღებს (გ. სკანდ.).

საზმუზიანო – უქეიფო, უგუნებო. „როგორღაც საზმუზიანად არის“ (მ. ჯორჯ, „ივ“, 1891 წ., № 152). **საზმუზიანობა** – უქეიფობა, უგუნებობა. „მინა საზმუზიანობდა, ამბობდა, მჭკალი მაქვსო“ (ი. ველა, „ნაკ“, 1918 წ., გვ. 11).

სათა//სათა-ბალა – უბედურება. ამბობენ: ვა, არ მინდა რაღა წამოგყვე, **სათაა!** „ენიაზჯან, ეს რა სათაა!“ (რ. ერისთ., „ივ“, 1887 წ., № 2). „მიეცი ვე თოფი კონდუქტორს, სათა არ მოხდეს“ („აკაკის კრებ“, 1887 წ., № 4, გვ. 14). „მის აზრსა და წრფელსა გრძნობას ეძახის სათა-ბალასა“ (ვაფა, ტ. 1, გვ. 126).

✓ **სათაბანდი** – ხელოსანი, რომელიც მოხდენილ გრავიურებიან ყუთს აკეთებს. **სათაბანდის ნარდი** – (საბა, „მოგზ“, გვ. 205 და ჩემი „ბოჰემა“). **სათაბანდის ნარდი** გაკეთებულია ხის ან ძვლის ფერადი ნაჭრებისაგან. **სათრითი** – შამფურის დასადები, ზედადგარივით, თიხის იარაღია: სამკბილა და შუაზე გახვრეტილი შამფურის სატრიალებლად (ი. ჭყონია).

✓ **სათრიჯაპი** – არხეინობა, სათრიანობა. „დედათქვენის მეგობრობა და სათრიჯაპი რომ მაგონდება...“ (ილია). „თქვენ სათრიჯაპად ბრძანდებიდეთ“ (დ. მაჩხ, „მშური სიტყვა“, 1891 წ., გვ. 87). **სათრიჯაპიანი** – „რაც უნდა სათრიჯაპიანი დამფასებელი იყო, კარგს ვერას იტყვი“ (ი. გოგება, „რჩ. ნაწ“, 1910 წ., გვ. 143).

სათუნი – ბანოვანი, დამა.

სათჰა-სუთჰი – ჩოჩქოლი, ღრიანცელი, ჯახა-ჯუსი, ხმაურობა, უხეირო სირბილი, მიხეთქება.

საიათი – საკუთ. აბრეშუმს ნიშნავს. „...არ შეეწყვიტა ის საიათი, რომელზედაც თავშეკავება ვიღა“ (ა. ყაზბ, „ხევისბ. გოჩა“, თ. V). **საიათის ყუთი** – ხელსაქმის ყუთი. არის აგრეთვე, **საიათის ხელსახოცი** („ჯორჯაქარა, 1937 წ., გვ. 83).

საიანო – ბოროტი, ღვარძლიანი, ცუდის გამტარებელი, გულხინჯიანი.

საითარმა – აღმ. ცეკვაა.

ხალა – კაკლის საბერტყვი გრძელი, წვრ. ჯოხი. „კაკლის უზარმაზარი ტოტები ხალას დარტყმით ჭახ-ჭუხს გამოსცემდა“ (ცქვიტი). „რას დგხარ, ძაღლო, დროისით ხელში აიღე ხალაო“ (ზაყელი – შ. მღვ, ლექს, 1891 წ., გვ. 258).

✓ **ხალათი** – სახსოვარი. შეგირდს რომ ასწავლიან და გააოსტატებენ, მაშინ შეგირდი ოსტატისთვის იხდის ხალათს, ან თუ ქალი გაათხოვე, დედას სიძემ უნდა მისცეს ხალათი, ე. ი. სახსოვრად, საჩუქრად ოქროული ნივთი ან სხვა რამ.

ხალალო – ნებადართული.

✧ **ხალაპარი** – მეკურტნე, მეტვირთე, „ამბარჩიკი“.

ხალასად – ხალვათად.

ხალასად ნაპარი – ოქრომკედით ნაკერი.

✧ **ხალვათი** – გულღია, თავისუფალი. დას. საქართველოში – შილიფი. ხალვათად ვარ, ე. ი. შილიფად ვარ.

ხალთაბანდი – არღნის ჩიხოლი (გ. ლეონ, „მნათ“, 1931 წ., № 3, გვ. 222).

ხალათაბუდა – სანადირო ჩანთა.

ხალი – დიდი ფარდაგი, ორხოვა ნოხი; ხალიჩა კი პატარა ფარდაგია. ჩა აკინებებს (მაგ. ხონი – ხონჩა).

✧ **ხალიფა** – დაღერღილი, დახალული ხორბლის ფაფა, შეჭამანდი. ძალიან მსუბუქი, ადვილად მოსანელებელი. „ხალიფა ხაზამდიო, ფაფა კარამდიო“ (ხალხ).

ხალიჩაფუნი – კედლის ფარდა – ხალიჩა. „გაშლიან ხალიჩაფუნსა“ (თეიმ. II, „მნათ“, ტ. II, გვ. 165).

✧ **ხამალდი** – სურდოს მსგავსი აკადმე. „ირმას მამა აკადა. ხამალდი სჭირს, რომ გაუძნელეს?“ (ვ. ბარნ, „ჟარღუ“, გვ. 119).

ხამაჭრია – ვაჭი. ცუდად ისხამს. მარცვალი ტკბილი იცის.

ხაპი – 1. უბრალო ქსოვილი. 2. გამოუცდელი, გულუბრყვილო, ხეპრე, მიაშიტი.

ხაპუშ-ხაპუშ – 1. ხანდასმით, ნელ-ნელა, დროგამოშვებით (ხაპუშ – შესვენება). „წამოიძახება ხაპუშ-ხაპუშ“ (ს. შავლ, თხზ., ტ. 1, გვ. 6). 2. ანტრაქტი. 3. ხაპუში – სიჩუმე.

✧ **ხამფარ-ხამფარ** – ალილო. როცა ბევრს წანწალებს ადამიანი ერთი სოფლიდან მეორეში, ერთი სახლიდან მეორეში და ა. შ., მაშინ ხუმრობით, დაციხვით ამბობენ: რა დაუდეგარია, რა ხამფარ-ხამფარ დაიარებაო.

ხამხალათი – ახალი, უბრალო ფართალი. „არუთინა ალალოვი თორმეტი წლისა რომ შეიქმნა, თავისმა მამამ ორი თუმნის ხამხალათი ჩაულაგა ბოხჩაში და საუჭროდ გაისტუმრა“ (ბ. ჯორჯ, „თე“, 1891 წ., № 125).

✧ **ხან** – ტფილისში სომხები ქართველ მეფეებს ხან-ს უწ., ვითომ ბატონოვო. მაგ. ხანი ერისთავი, ე. ი. ერისთავ ბატონი ან მებატონე. ბატონი და მეფე – ორივე ხანია.

✧ **ხანდუზი** – ტენნიკური ხერხი ქარგულობისა.

✧ **ხაო** – ბურუსი, ხავსი, გინგლი, ბოჭკო (რუს. ვორს).

ხაობოა – ეშხი.

✧ **ხაპირი** – ქვეკრის ჭურჭელი, ჩამჩასავით, რითაც ღვინოს იღებენ.

✧ **ხარა** – 1. ძვირფასი აბრეშუმისაგან სადა ნაქსოვი, რომელიც

სხვადასხვა ყვაეილებით ელვარებს, ქალთა კაბებისა და ქათიბების საცმელად. „ზაზა სახელო იშოვა, ტანზე გადაიყო ხარა (შირ. ბატონიშ.). 2. ხარა — თოფია ერთგვ. (თ. რაზიკა „იფ“, 1900 წ., № 153). 3. „საიათნოვაში“ ნიშნავს ეკალს.

ხარაბა — „გალაუნის ხენაკებში დადეგ ხარაბასა და დაქეულში“ („თავგ. იესე ოსაშვილისა“, 1913 წ., გვ. 45).

ხარაპაზ — ყარსული მწვადი. დაუჭრელ ხორცის ნაჭერს შემოარტყამენ შამფურს, რომელიც ვერტიკალურად ტრიალებს ცეცხლზე. ჩამოთლიან და მიირთმევენ.

ხარაზი —

✓ **ხარაპი** — ჯორა (ჩანგურისთვის).

ხარამი — ჩანგურის მასალა, შუაში შესადგმელი სიმებისა.

ხარაჩო — კალატონისათვის.

ხარა-ხურა — გამოუსადეგარი ნივთები, ხურდა-მურდა.

ხარაპუხი — თუშ. კილოთი ნიშნავს სურდოს.

ხარაპუხი — 1. ნაკლი, 2. დაშთენილი ადგილი.

✓ **ხარითუთა** — შავით თუთა. ჩვეულებრივ თეთრ თუთაზე მსხვილი, კითომ ხარის თავის ტოლი თუთაო, გემოთი მარახოში (მჟავე). შემოდის ივნისის დასაწყისში.

✓ **ხარი** — ჭია, რომელიც ვარდის მოყვითალო გულს სწუწნის.

✓ **ხარიპარი** — „ე საქონელი არ იშლება და ხარიპარი კი ძან გამოანათ“ (ს. შვალა „ღამის მუხრე ცეცო“).

✓ **ხარუშუ** — ხაშფუშ. იხ. ჯიბგირი, შარლატანი.

✓ **ხარუშხი** — 1. სომხ. ჰარბუხ. ჩემი უბანია, წარმ. ქარბუქიდან, ან შეიძლება წარმოსდგება სიტყვიდან **ხარპუტი**, რაც ნიშნავს ქვის ციხეს. როცა ჩვენს მწერლობაში ძვ. ტფილისელების აღწერა უნდათ, სწერენ: **ხარფუხელიაო**. „ნ. გაბუნია ისე კარგად ითამაშა ხანუშას როლი, კაცს ავიწყლებოდა, არტისტი თამაშობს თუ ჩვენს წინაშე ვიღაც „ოსტატი ღელაკი“ მოუყვანიათ ხარფუხისა თუ კლდის უბნიდამ თავის ქათიბით და იმას გაჩვენებენო“ („იფ“, 1889 წ., № 199). „ყვენები დადიოდნენ დიდქუჩებში და ბაზრებში. ყვენები იყვნენ შემდეგი უბნებისა: კუკიის, ავლაბრისა, სოლოლაკისა, ხარფუხისა და შუაქალაქისა“ („იფ“, 1886 წ., № 43). „აქ, მოთავსებულები არიან ძვ. ხარფუხის მოქალაქენი...“ (შ. შავე- „ახ. კომ“, 1934 წ., № 2). „ივინივე და მართა ხარფუხელი, საწყალი ქალი“ (რ. ერისთა „პარიკმახერისას“, 1880 წ., გვ. 13). 2. სურდოს ხატი.

ხარაჟი-პორაჟი — გასავალი.

ხასი — დახვეწილი, წმინდა აბრეშუმი. **ხასა** კი საყვარელს ნიშნავს.

ხასტახანა — ჩოჩქოლი, ყაყანი, ბასტი-ბუბუ, ორომტრიალი, გნიახი. ამბობენ: რა **ხასტახანა** გაგიმართავს, რა ამბავიაო.

ხატქაში — სახაზავი. „და ზედ ხატქაშს წამისკამენ, ფიცარ-ფიცარ დამხერხავენ“ („განათლ. ბრალია“, 1904 წ.).

- ✓ **ხაძა** – ნიშნავს მიწას, მტვერს. ნახშირის ხაქა.
- ხაშალი** – ხილს რომ შიგნიდან ზიანი აქვს, იტყვიან, **ხაშალი** შეუვიდაო. არის **ხაშალი ხეც**.
- ხაშა-ხუში** – საზამთროს ჭამის ხმიანობას ჰქვიათ. „ის რომ მოკლა, კი... ხაშა-ხუში ბილეთები ზანდუკში დარჩა“ (ღ. არღაზ, „მოამბე“, 1898 წ., № 3, გვ. 2).
- ხაში** – საუკეთესო **ხაშად** ითვლება ის ნაწლავები, რომელიც ერთი კვირის განმ. წყალში ძეგს, რომ თეთრი იერი გადაჰკრავდეს.
- ხაშლაშა** –
- ხაშტა-ხუშტი** –
- ხაშუხუში** – თავზეხელაღებული, ავარა. ჩხუბის დროს ამბობენ: რას მაშინებ, მე შენზე უფრო **ხაშუფუში** ვარო, ე. ი. თავზეხელაღებული ვარო.
- ✓ **ხაშხაში** – ძალზე წითელი გარეული ყაყაჩო. აქედან აკეთებენ თრიაქს.
- ✓ **ხაჩაბოლი//ხაჩაბოლი//ხაჩაბოზი** – ჯვრის მქურდავი, ჯვრისპარია, ჯვრის გამყიდველი. სურამში ეს სიტყვა იხმარება, როგორც **ხარიაპარია** (ჩამაწერინა ს. ლოტოვემა 1943 წ.). ეს კარგი ახსნაა, ხალხურია. **ხაჩაგოლს უწ.** საღმასტის აისორებს, რომლებიც მღვდლის ტანსაცმლით დაიარებიან, ჰყიდიან ჯვრებს და ხალხს ატყუებენ – იერუსალიმიდან მოსული მღვდლები ვართო. სომხ. **ხაჩ** ნიშნავს ჯვარს, **გოლ-ქურდს**, ე. ი. ჯვრის ქურდი, ჯვრისპარია. „მიკვირს, რომ დღემდე არ გვეოდნათ სიტყვის **ხეჩაგოვის** მნიშვნელობა. მე კი დიდი ხანა ვიცი და წარმოიდგინეთ, საივგ. ვაჭრებმა კი იციან, რადგან სომხებთან აქვთ დამოკიდებულება და ხშირად ესმით ეს სიტყვა, რომელიც უმწვერვალეს გინებას წარმოადგენს სომხებში. მე კიდევ ჩემს წერილში შევამცირე ამ სიტყვის მნიშვნელობა, რადგან **ხეჩაგოვი** სიტყვასიტყვით ჯვრის გამქურდველს ნიშნავს... ამა ესეც ხომ ფაქტია, რომ ქართ. გაზეთში ქართვ. დამს. პუბლიცისტი ჩვენ მეგრელებს... ტფილისში... **ხეჩაგოვებს** ვაგადარებსო, იტყვიან ისინი“ (ღ. მეგრ, წერ. ნაწყვ. გ. წერეთლისადმი, 1897 წ., დამა ოთლისი);
- ✓ **ხაჩხაჩაშს** – კრიალებს.
- ხახალი** – მრგვ. საცერივით მოწნული, წნელისაგან ან რკინისაგან (ყურძნის, ხილის ჩასაწყობი). „ახლად მოკრეფილი ალუბალი ხახლით იღვა სკამის ბოლოს („ციცკ“, 1872 წ., № 1, გვ. 55). „მე გიყიდი ხახლივით განიერ შლიაპასა“ (ს. მგაღ. „ფასკ“, 1908 წ., № 3).
- ✓ **ხახაში** – 1. ამას ებრაელები უწ. შინაური ფრინველებისა და ოთხფეხი ცხოველების დამკვლელს. 2. ებრაელების მღვდელი.
- ხახვის ვალი** – ანუ ხახვიანი, მდებარეობს თბილისის სამხ-აღმ-ით.
- ხაოუხაბლა** – ბალახია ერთგვ. სამოვარზე (აქვს რ. ერისთ.).
- ხათქაბა** –
- ხაირი** – „ხელისნობა დავარდა, აღარ არის ხეირი“ (ა. დავითაშ). ცხვირს რომ დააცემინებენ, ეტყვიან: **ხეირი**.
- ხაქორაქულია** – მცხეთიდან ეს ადგილი დაშორებულია 7 ვერსით, სადაც გემრიელი ნაკადული იცის.



- ხელთოფა - პატარა, მოკლე თოფი. „გაუმარჯოს ერთობას, ხელში მტარავს“
 ხელთოფას („ივ.“, 1905 წ., № 7).
- ✓ ხელთუყარი - ზარმაცი.
- ხელი და პირი იმისკან -
 ხელის სარკა -
 ხელის ძვა - მრგვალი ქვა, ფილთაქვა.
 ხელი ფაფას! - ხელი არ ახლო!
 ხელკატი - ხელის დიდი ჯოხი.
 ხელმანდილი - „სალფეტკი“.
 ხელმწიფება - მეუფება, ძალაუფლება.
 ხელნა - დიშლა. „ფიგონი უნდა მობრუნებულიყო, ამასობაში ხელნა მიეხუნა ერთი სახლის ღობეს და სულ გადმოაქცია“ („ივ.“, 1886 წ., № 136).
- ხელსაპსა - ცოცხ. თევზი, რომელიც ხელში მოთავსდება.
 ხელს არ მაძლავს - ჩემთვის სარგებლობა არ მოაქვს.
- ✓ ხელსწრაფად - ჰაიპარად, საჩქაროდ. ამბობენ: ის ქალი ხელსწრაფაო, ე. ი. სწრაფად აკეთებს საქმეს.
- ხელჯაბი - ხელზე ჩასაცემელი თათმანი, მთლიანად უთითო. „ორიოდე საახლოდ ხელჯაბები წამოიღე“ (გრ. ორბ., ტ. II, გვ. 123). გ. ერისთ. აქვს ხელჯაბი („ლექსები“, 1884 წ., გვ. 8).
- ხეში - ალმ. სიმებიანი საკრავების დასაკრავი წკირა, მშვილდი, შვინდის ჯოხი, რომელზედაც ნეკის სისხო ცხენის ძუაა გაფენილი. იხ. ქამანა. „გაუსვა ჭიანურს ხეში“ (ვ. ბარს).
- ხეშისი - (ვ. წერეთ. „ჯიბგირი“, გვ. 52).
- ✓ ხენეში - 1. ავი, ბოროტი. 2. წუნდაღებული, მწირი. ხენეში მიწა - მწირი მიწა. ხენეში ხე - უნაყოფო ხე.
- ხეტი - ანუ ხერხეტი. ტლანქი, უხეში. „ხეტიანი და ტლანქი წინადადება“ (დ. ყიფში, „საქ. მოამბე“, 1863 წ., № 3, გვ. 102).
- ✓ ხეძალა - ხელთუქნარი, რომელმაც ქალური საქმე, მეოჯახობა არ იცის, ხელყუფარი.
- ხეჩახარი//ხეჩახარი - მეჯვარე. „ქორწილში ხეჩახარად მივდე ერთ ხემს მეგობარს“ („ივ.“, 1886 წ., № 32). „აუჭალა დაქვრივებულა, კეკია შვერთოთ ცოლათა, მცხეთა მაყრათ გავატანოთ, დილოში ხეჩახარათა“ (ხალხ.).
- ხეხელა - სუსტი, ნაზი აგებ. კაცზე იტყვიან (ი. მანვეტ, „მნათ.“, 1935 წ., № 11-12, გვ. 226).
- ხეხილი - „ჩიორები სტუმრად დახუნძლულ ხეხილს სწვევიან“ (ხალხ.). „ბაღებში ნაირნაირი ხეხილია: ვაშლი, ქლიავი, მსხალი, ჭერამი... ხეხილს შუა ვაზები და ხევიანია“ (ერ. ქარელ., „ირ. ევლ.“, 1915 წ., გვ. 6).
- ხეხვი და ბარაქა - „შენს ოჯახში ხეავი და ბარაქა“ - იტყვიან.
- ხეხვიანი - აბნეული.



სივთქმის 289

- ხმართქლა - ვაზის დახვეული ყვავილი.
- ხაქლა - „თავი რომ გიყავს ხველას“ (მ. მღვიმ.). არის გვარიც - ხველურიძე, ხველაგურიძე.
- ხპითქი - ოფლი.
- ხპინჭი//ხპინჭი - მსხვილად დაფქვილი. „ქალაქის გამგეობას თუ მოკირწყვლა უჭირს, ხვინჭი მაინც დააყარონ“ (აფ., 1887 წ., № 166). ამბობენ: ხვინჭიანი აგურიო.
- ხპრინჭი - ფხვიერი, ქვიშის მსგავსად წვრილ-წვრილი. მაგ.: ხპრინჭი შაქარი, ხპრინჭი მარილი და სხვ.
- ხიბლიბო - ელაში.
- ხიბო - ხეპრე. მეტი სახელია ხალხში გამოუსვლელზე, უზრდელზე.
- ხიბრაული - (თუ ჰიბრული?) - უხეირო. „ეს ხიბრული ლაპარაკია“ (პ. უმიკ, „საშაღისი“, გვ. 99). „აიცი, ეს რა ხიბრული სკამი სდგას...“, (პლ. იმედ, „სცენა სცენაზე“).
- ხიდის ოხარი -
- ხიზმაზიანობა - ავადობა, უგუნებობა, ზეზეულად ავადმყოფობა.
- ხიზმუზი - სატკივარი, ჭირი.
- ხითრითი - თოხის იარაღი, რამდენიმე კბილიანი და შუაში გახვრეტილი, შამფურის წვერის სატრიალებლად.
- ხილაბანდი (თუ ხელაბანდი?) - ღამის თავსაკრავი. „ქალმა ღოგინიდან ხილაბანი აიღო და შუბლზე წაიკრა“ (ო. დგუბა, „მეორედ დაბადება“, 1954 წ., გვ. 39).
- ხიმამო - ქალაქელები ეძახიან უბირ, გაუგებარ ადამიანს.
- ხიმი - მოზნეპილი ხის ფიცარი, რომელზედაც დოღს გადააკრავენ ხოლმე.
- ხიმიანო - ბოძი, რომელზედაც შეყენებულია ოდა (საბა - მსხვილი მანა). „თუფაოების ქონები შეყენებულია ბოძებზე, უკეთ რომ ვთქვათ, ხიმიანებზე: ხიმიანებს თავები სოკოსებურად აქვს გამოთლილი. ასეთი მოყვანილობის ხიმიანებზე თავები ვეღარ მიცოცავენ და, ამგვარად, ქონშიც ვეღარ შედიან“ (აბიონ, 1938 წ., № 12).
- ხინა - მცენარეა, რომლითაც მუსულმანი ქალები ხელის თითების ფრჩხილებს იღებებენ. იხ. ჰინა.
- ხინალო - რუს. პელმენი.
- ხინო - ზადი. ამბობენ: შენი სიტყვა გულში ხინჯად დამრჩაო. ან კიდევ: ამ მოძღვრალს ერთი ხმის ხინჯი უნდა გაკუშინჯოვო.
- ხირაული - საკაცე (საბა, „ქოსა და ყანდი“, გვ. 99).
- ხირხიტო - საჭმელია ერთგვ., ნიგვზით გაკეთებული.
- ხისტაჰი//ხიშტაჰი - ძველებურად შეკერილი პერანგის ილღიაში ჩასაგები სამ-ოთხკუთხიანი პატარა ნაჭერი.
- ხისტი - სინისტე. „ლუღის დამზადება წარმოებს ფარცხანაყანვის წყაროს წყლით, რომლის სიხისტე რიონის წყალთან შედარებით დიდია“ („სტალ“, 1955 წ., № 134, 9 ივლ.).
- ხიზთანე აცხია -

19. ი. ვრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი.

სიჴ-სიჴანა — ბუჴების სარეკი, ჩამონატერი თხელი ქალღღების კონისაგან გაკეთებული.

სიჩი-სიჩი — ყელის გამოჴრა.

სიხვი — პორტრეტის ტიპის ღვინოა, ბუნებრივი, კახური.

სიხია — ცუდი (ბავშვთა ენით).

სიხიფი სიხი — ხმაური ხრიალივით.

სიხი — მეტი სახელია გამოუსვლელი, უმნო კაცისა.

სლაფორთი —

სლაჴაჴა — 1. ყვავილია ერთგვ., ენძელას მსგავსი, გულფუჴე, რომელსაც ბავშვები ჯერ ჰბერავენ, შემდეგ ატკაცუნებენ. „სლაჴაჴა“ კაცის ზედმეტი სახელიცაა. „მე წაოვიყვან „სლაჴაჴა“ მედიარეს“ (რ. ერისთ., „ცისკ.“, 1862 წ. გვ. 276, ნომბ.). 2. მაღალ, გამხდარ კაცზეც იტყვიან.

სმა აუბა — დაეთანხმა.

სჴელი სატაჴიჴარი — ჴლექი.

სჴელი ხილი — ნუში, თხილი, ნუყლი, აღჯანაბადი, ინდის ხურმა, ქიშმიშ-ლამბალო და სხვ. „ახალ წელს ყარაჩოღელთა ოჯახებში და სოფლებშიც — მურაბასთან, არაყთან და სხვა ტკბილეულთან ერთად, ეს ხმელი ხილიც მოიპოვება მაგიდაზე“ (რ. ერისთ., „თამარიანი“, გვ. 5).

სნაჴი — მძახალი ანუ მზახალი. დედ-მამის შორის ნათესაობის ჩამოგდება შეილები დაქორწინებით. „ბაჴარშიაც დიდი რაჴე იქნება დიდებულებთან სნაჴე“ („გაყრა“, მოქმ. 1).

სნარიჴი —

სოილია — მეტი სახელია მოლექსე სარქის ყაზაროვისა.

სოის ლიფი — ნარმა.

სოკრი — ხის ქერქის ჴურტელი (მ. არაგვი „ადე ჩაოვიდა“).

სოლიხი — წვრ. თევზის საჭერი ბადე (ი. გოგუბ., „რჩ. ნაწ.“, გვ. 489).

სოჴლი — ხვამლი. ჴალი (ლუსტრა), ქორკანდელი.

სონჯარი — ყარაჩოღულ, განიერ შარვლის სათავეში გატარებული შესაკრ. ჴონარი.

სოჴორი — ანუ ხოჴორი, პატარასა და დიდს შორის. სომხ. ნიშნავს მსხვილს, ნამდვილად კი დიდზე მომცრო, მომცროზე დიდი. იხ. ხოჴორი.

სორა — საუენებად დაწყობილი შეშა.

სორაჴი — სურსათი, საჭმელი, კერძი.

✓ **სორასნის სჴალი** — სორასანი ადგილია, საიდანაც ნაქები ხმალი მოდის.

✓ **სორჴაჴი** — უდაბნოს ცხელი ქარი. „მოგებერნა ქარნი, ჩვენ, ავსლარე, გულ-საზორჴაჴე, ინდოთ სადარე“ (წ. კ. ხელნ.).

სორხი — მოსქო ნერწყვი. ფსალმუნში სორხი ნიშნავს ყანყარტოს.

სოტაური – ყურძენი. ღვინოთ არ ვარგა.

სოტონიკი – 1. წინდაუხედავი, თავაგდებული, მატაოცი. 2. იგაგურად მოლაპარაკე.

სოში – გუნება, განწყობილება, სურვილი. ამბობენ: წამოვიდოდი, მაგრამ სოში არა მაქვსო. „გაჟღ, გაჟღ გაჟღ, ფონს, როცა სოში მექნება; გაყიდი, გაყიდი გრამაფონს, როცა ფული მექნება“ (ხალხ.). „გარდა ამისა, მე სოში მაქვს, ერთი თქვენთან ვიქეიფო“ (კ. გამს, „ლიტ. გაზ.“, 1932 წ., № 17.). „მეტის ვნებით, მეტის სოშით...“ (გრ. რობ., „ფელესტრა“, „ქართ. მწერ.“, 1928 წ., № 6-7). პირველად ეს სიტყვა მე ვიხმარე 1914 წ., შემდეგ გაიმეორა გრ. რობაქიძემ, შემდეგ მიხ. ჯავახიშვილმაც. ესლა არ მომწონს. **სოშიანად** – „ჩვენ სოშიანად დავწყრდით გზაში“ (კ. გამს, „ბულაღი“, „ლიტ. საქ.“, 1939 წ., № 27). **სოშია** – ქალის სახელიცაა ხევსურეთში.

სოშორი – (სოშრი, სოჟორი) დიდისა და პატარის საშუალო. ამბობენ: **სოჟორი** მარგალიტი.

სოჭა-გლუჯით – ე. ი. თავში შემოკვრით, თმის გაშლით, ლოყების სოკვით.

სოჭიჭი – ახლად დაბადებული ბავშვისთვის აკვნის მსგავსი.

სოხშიკი – „კახეთში საღვწი მანქანა არ მოიპოვება, რომ გლუხს შეეძლოს ყანა სოხშიკად გაღწოს“ („ტრიბ.“, 1923 წ., № 555). **სოხშიკი ყელი** (კ. ბარნ.).

სოსოზიკი – წერილად დაჭრილი ღუმის (ქონის) გამოდნობის დროს დარჩენილი ნახრაკები. სოფლად სოხოზიკს უწ. **ხაწიწს** (გამიგონია კახეთშიც).

სოსოროს! – სიტყვის მასალაა. როცა ტყუილში გამოიჭერენ: ხოსოროს, დიახ! – ეტყვიან სოლმე. იგი ნახმარი აქვს გრ. ორბ.-ს თავის კერძო წერილებში (ტ. 1., გვ. 84). „იცით, ბიძას მე გამოჩენილი სწავლული ვვინივარ... ხოსოროს, დიად“ (კ. ბაშინჯი, „სახ. საქმე“, 1899 წ., № 6).

სოჯახანო – აკაკი **სოჯახანს** აღმაშენებლის პერიოდს უწ. („კრებ.“, 1899 წ., № 6). **სოჯახანობა** – „ჩვენს მწერლობას ბედი არ უწერია, საზოგადოდ სოჯახანობა“ (აკაკი, „იფ“, 1904 წ., № 181). ზოგი იარაღში იყო ჩამჯდარი. გამიკვირდა, **სოჯახანობა** გადავარდა, შამილობა აღარ არის და ესენი...“ (აკაკი, „კრებ.“ 1897 წ., № 4, გვ. 13).

სოჯახანო – ხოჯას მონასტერი, ავლაბარშია (სომხების ეკლესია და სასაფლაო). ეკლ. აშენებულია მე-17 საუკ. ამ დროს ტფილისის თავი იყო ხოჯა ბებუთოვი (ხოჯა ეწ. იმას, ვინც მექაში ყოფილა სალოცავად), რომელსაც ამ ადგილას ბაღი ჰქონდა გაშენებული. მის გვერდით ბებუთოვმა აღაშენა მონასტერი – **სოჯავანქი**, ე. ი. ხოჯას მონასტერი. **სოჯავანქის** სასაფლაოზე დასაფლავებულნი არიან შემდეგი გამოჩ. სომეხი მწერლები: რაფი, გ. სუნდუკიანცი, ოვ. თუმანიანი, ჰამირა და სხვ.

ხოჯის აბანო — ამბობენ: ისეთი ამბავი იყო, ისეთი ჩოჩქოლი და ჟივეჯი, რომ ხოჯის აბანო გვეგონებოდა. „განა ჩემი სახლი ხოჯის აბანოა?“ (რ. ერისთ., „ცისკ.“, 1857 წ., № 6, გვ. 36).

ხრაპიანო — არაყი. „...შენ კი ხრაპიან არაყს გვასმევ“ (აღ. ყიფში, „საგლეხო ბანკი“, გვ. 18).

ხრალი — რუს. მჩაღკა.

ხრამა-ხრუში — ცხენი რომ ჭამს, იმის ხმაური.

ხრამული — ცივად მარილში მოხარშული წვრ. თევზი, ე. ი. ხრამის თევზი.

ხრახნილი — გრეხილი.

ხრიდლოლი//ხრიდლონო — კრივი ცალი ხელით. ვარჯიში ერთი ხელით. ერთი ხელი ქამარში აქვთ გარჭობილი და მეორეთი ვარჯიშობენ — ჰკრივობენ.

ხრიკი — მამალი ღუგმა ან ღუგმასავით გამოსადეგი შესაკრავი. ამბობენ: რა ხრიკს მიღებსო, ე. ი. რა საფრთხეს მიმზადებს, რომ ზედ წამოვეგოვო.

ხრილი — პუდრი.

ხრობი — შავი, მსხვილი ყურძენი, ცოტა წვენი აქვს.

ხრულა — ტრაბახი.

ხუზარა — „ქვემო ნიქოში გაჩენილა საქონლის ერთგვ. ავადყოფობა, რომელსაც აქურები ხუზარას ეძახიან“ („აღრ.“, 1885 წ., № 157). ეს სიტყვა გვხვდება, აგრეთვე, „კვალში“ (1902 წ., № 29, გვ. 474).

ხუთო — 1. ქვა, მგესლთა მკურნავი (ეს სიტყვა „ამირანდარეჯ.“ ლექსიკონში შეცდომით არის განმარტ.). იგი შავია, წამლად ხმარობენ. ამბობენ: სიმსივნეს რომ ეს ქვა წაუსონ, მორჩებაო. 2. ყაზახების იარაღი, რომელსაც იყენებენ ჩაფარიშებზე წასასმელად პეწის მისაცემად.

ხულა — პატარა ღუქანი.

ხულიბანო — ირლანდ. გვარია, რომლის შტოც ცხოვრობდა ლონდონში. აქედან წარმოიშვა სხვა გაგებით ხულიგანი („ოგონიოკი, 1945. წ., 29, გვ. 16).

ხუნი — გახუნებული.

ხუნტარუში — უშნო ცეკვა.

ხურაპანდი — მხიარული, ვნებიანი, სექსუალურად გაღიზიანებული.

ხურდა-პურდა — წერილი ფული, წერილი საქონელი.

ხურუში — 1. ფლავის ყოველგვარ სამკაულს (თავს) ჰქვია. 2. ალტკინება, უინიანობა. „თქვენ, ბ-ნო მოჩხუბარიძევე, ემსახურებით თეატრსაც, ლიტერატურასაც, მაგრამ როდესაც ხურუში მოგივლით ან ცუდ გუნებაზე ბრძანდებით, ორივეს ერთნაირად სვრით ტალახში“ („აღრ“, 1883 წ., № 137). „თუნდ რომ ჰქონდეთ მგლის სიმსუქნე ან თხის ხურუში...“ („ოტ“, 1888 წ., გვ. 78). დ.ჩ.-ს აქვს ეს სიტყვა, მაგრამ არა ხსნის.

ხუზი – სარქველი (იხ. ზარფუში).

ხუჰად – ერთბაშად, მთლიანად, საკსებით. მოსავალი ხუშკად აიღო, ე. ი. მთლიანად, პირწმინდათ, სუფთად აიღო.

ხუჰი – სპარს. ხმელი (აქედან ხოშკაკალა) ცხვრის კურკლი. ამბობენ: ცხვარს კურკლი ხუშკივით დაუყრიაო, ფული ხუშკივით მისცაო.

ხუშტური – უინი. დ. ჩ-ს აქვს ხუსტური. „ელოსც ეზლანდელი ხუშტური შეყარა“ (მიხ. ჯავახ, „მნათ.“, 1936 წ. № 7-8, გვ. 63). „ეს წარმოდგენა ვეღარ მოხდა აბაშიძის ხუშტურების მიზეზით“ (წარწ. აფიშაზე, 1887 წ., 14 თებ.). ხუშტურიანი – „ხან ზვიადი, ხან ქედმოხრილი... ხან ხუშტურიანი“ („მნათ.“, 1940 წ., №12, გვ. 164).

ხუჩხუჩი – ბანაობა, ჩუხჩუხი. ვიხუჩხუჩე – კარგად ვიბანაკე.

ხუცი – სპარს. მღვდელი.

ხუწუწი – (რუს. პრიშჩიკი). სახეზე ან ტანზე დაყრილი მუწუკის მსგავსი, პატარ-პატარა ხორკლი. ისე, როგორც ბატის ან ინდაურის გაბრტყენილი კანია.

ჯ

ჯაბა//ჯაბანო — მხდალი, დონდლო, ქალაჩუნა, მოშიშარი, ძაბუნა.

✓ **ჯაბადარი** — ზედამხედველი ჯაბახანისა.

✓ **ჯაბახანა** — 1. არსენელი, საჯაბადრო, სადაც აკეთებენ და ამზადებენ თოფის წამალს, ტყვიას (გულას), თოფს, ზარბაზანს და სხვ. 2. სარეცნის იარაღია, ქობინოს მსგავსი. 3. დავარდნილი, ზანტი, უშნო, მძიმე (კაცი). 4. დამველებულ რამეზე იტყვიან.

ჯაბრი — ჯიბრი, უინი (საბა-ჯაბრი-გველი). „შემდგომად იწყებდნენ ღვინსა და იქნებოდის პურობა დიდი და სიუხვე სანოვაგეთა, დაჯაბრებით ჭაბუკთაგან ღვინისა“ (ფ. ციცოშ, „ივ“, 1891 წ., № 122. იხ. აგრეთვე ილია, ტ. II, გვ. 23). **გაჯაფრებული** — გამძვინვარებული.

ჯაბჰი — (რუს. ტაჩკა). „ჯაგჰში შებული ვირი“ (ნ. ზომლ., „საბავ. მოთხრ.“, გვ. 9).

ჯაბი — ეკლიანი ბუჩქი, ძეძვი ვენახის შესაღობად.

✓ **ჯაბნარი** — ადგილი, რომელიც ჯაგითაა დაფარული.

ჯადვარი — 1. მცენარეა, რომლის ბოლქვებსაც სამკურნალოდ იყენებენ (საბა). 2. ძვირფასი სამკურნალო ქვა.

ჯადოჯაზი — 1. შინაური უდიპლომო ექიმი, ექიმაში. 2. მკითხავი, ჯადოს გამკეთებელი.

✓ **ჯაპაირო//ჯაპარი** — ძვირფასი ქვა, ელვარე თვალი პატიოსანი.

ჯაკაირი ქალის სახელიცაა, ხოლო პოეტები (გრ. ორბ. და სხვ.) საერთოდ ლამაზ ქალს ჯაკაირს ადარებენ. გრ. ორბ. მთავარმართებელ ბარიატინსკისაც ჯაკაირს ადარებს. „ხალხს... როგორ მოსწონს ეგ ზელმწიფე კაცი? ეგ თავით ფეხებამდე ჯაკაირი? (გრ. ორბ., წერ., ტ. II, გვ. 183). „შენ გენაცვალნენ ყოველნი ბარბარები, ოთარის ცოლიდამ მოკიდებული. მაგრამ ჩვენი ბაბლე, ვლადიკაკაზის კრასავიცა კი არ უნდა გენაცვალოს — ეგ სხვა ჯაკაირია“ (იქვე, წერ. ბაბლე საგინ-დში, გვ. 128).

ჯაპაირი — ოქრომჭედელი, იუველიერი.

✓ **ჯაპარდჰი** — ხმლის ზედაპირის მოხაზულობა, ტალღასავით, იკლი-ბოკლო, მოელვარე.

ჯაპჯი — ხე. ჩამოჭკავს თხილს. არის დედალ-მამალიც. ხმარობენ უფრო წამლად. შეაზავებენ ღვინოში და ამბობენ: ვისაც ფერდის ქარი აქვს, მისწრებააო (რუს. მუშკატნი არეხ.).

ჯაპრით ალარ პარ — ქალაქ. გამოთქმაა, რასაც ეხლა იშვიათად ხმარობენ.

ჯაზა — სასჯელი, დასჯა. „...სერთო ჯაზა და წვალება მოუციათ ურჯულოს ზელში“ (სოფ., 1902 წ., № 229, გვ. 4).

ჯაზაირო — ანუ ჩაზეირი, ერთგვ. თოფია (ვაჟა, აკველის მჭ., თ. VI).

ჯაზული — 1. ნახატებიანი ბოხჩა. 2. ფერადი საღებავი.

ჯალაბი — იქნებ წარმოსდგება სპარს. ჩალაბ-იდან, რაც ნიშნავს წინასწარმეტყველი მაჰმადისგან შთამომავლობას. დ. ჩ-სთან ნიშნავს — დედაწულს, სახლეულს.

ჯალაპარი — საკაცე, ჯალამბარი.

ჯალალი — შემოქმედების მქონე, ძალთა ძალი. სახელიცაა. „მისცა რამე ნაწილიც ჯალალს, მის ძმას“ (აზოგზ., 1903 წ., № 5-6, გვ. 151). საიათნოვასაც აქვს.

ჯალანდარი — დიდი ბორკილი.

ჯალაშა — მარლა (მე დავარქევი ასე. სქელი ლეჩაქი მაქვს სადღაც დაბეჭდილი ი. გრ.). ამ ჯალაშით რძეს სწურავენ. „პირზედ რაგვეცი ჯალაშა (დაბეჭდილია შეცდომით — ჭალაშა. ი. გრ.). კქონდა გადაფარებული“ (შ. არაგვ., „გოული“, „მოამბე“, 1900 წ., № 9). შ. არაგვ. მიერ ასეა განმარტებული ჯალაშა: „სქელი ლეჩაქი, რომელსაც გასწურავდ ხმარობენ“ (იქვე). „...თავზე სუფთა, დაკრებული, დაკონკილი, თეთრი ჯალაშის ლეჩაქი მოიხვია“ (ეკ. გაბ., „თინას ლეკური“).

ჯალღუჯა — „როგორც კი ნაძვს ჯალღუჯა დასცვივდებოდა...“ („ნაკად“, 1905 წ., № 24, გვ. 677).

ჯალჯი — ეკალი. „გასწორეს ღობე და, სადც საჭირო იყო, დაადგეს ჯალჯი“ (ნ. ლომ., „მოთხ.“, 1926 წ., გვ. 29). დ. ჩ. ამ სიტყვას ასე ხსნის: მოკრეფილი ეკალი, კონებად შეკრული.

ჯამაათი — ხალხი, შეკრებილობა, საზოგადოება, ყრილობა. „ეს უცხო ქვეყნის ჯარი, ჯამაათი“ (სოფ., 1879 წ., № 1, გვ. 33). „...უსტვენს მსახიობებს, როცა დანარჩენი ჯამაათი აღტაცებაშია მათი თამაშობით“ (თეოფრ., „დახასიათებანი“, 1889 წ., გვ. 25).

ჯამადარი — მოსამსახურეა, აბანოში ფუთას შემწანახველი და მობანავესათვის კასრით წყლის მიმწოდებელი ფეხებისთვის, მსურველს ყალიონსაც მიაწვდის (ეხლა აღარ არის!). თურქებს ანდაზაც აქვთ: ჯამადარის ოცნება აბანოს პატრონად განდომია.

ჯამ-თახი — საბანაო ჭურჭელი.

ჯამი —

ჯამ-ფილა — ღრმა, მოზრდილი ჯამი, მოდის ჯამ-ფიალადან.

ჯანი — შეძახილი; ნიშნავს სულს ან ღონეს: სულოჯანი, ძმყოჯანი და ა. შ. ალერსის გამომხატველია, სიხარულის გამომხატველიცაა. „ჯან-ჯან, მღალის შეძახილით ამხნეებს დავითს ელიზბარი“ (მ. ჯავახ., „არს. მარაბდ“, 1937 წ., გვ. 78).

19. ი. გრიშაშვილი. ქალაქური ლექსიკონი



- ✓ **ჯანაბა//ჯანდაბა** - ანუ ჯაპრუ-ჯანაბა. ჯოჯოხეთი, უფსკრულთ უფსკრული.
- ჯანანური** - პორტუგალიის ტიპის ღვინოა, კახური.
- ✓ **ჯანაოზი** - ანუ ჯარაოზი, ანუ ჯალინოზი. ექიმო. „ჯანაოზ აქიმი ასეთი აქიმი და ფილოსოფოსი იყო, რომე, სადაც გაიარის ან რაცა ხე, ბალახი დახედის, ყოველმან ხეჲმან, ყოველმან ბალახმან ენა ამოიღვის...“ (შარიფზადეს კარაბად.). „ენა პირში მებძევა... ჯანაოზი კი მომარჩენს სიყრმემკვდარს“ (ა. ახნაზ, „ივ.“, 1991 წ., № 1). „მე სენს ჩემსას უკეთ ვიციბო, ვიდრე ყველა ჯანაოზი“ („ეშმაკი“, „პირე. ნაბიჯი“, 1918 წ., № 5).
- ჯანგულუმი** - თავყვითელა ყვავილი. „ჯანგულუმ“ სიმღერაცაა.
- ✓ **ჯანდაბი//ჯანდაბი** - 1. დიდი ხნის მყრალი ლეში. „გზა მიეცით, მობრძანდება ჯანდაყ ლეშით გამაძღარი“ (დ. გვიგ.). 2. ბებერი.
- ჯანდამფვარი** - დედაკაცების წყველაა.
- ჯანდარი** - ქობინი(?). „მაშინვე ჯანდრის ხით მიუტყვიხარ“ (ბ. ჯორჯ, „ცისკ.“, 1863 წ., გვ. 16, აგვ.).
- ჯანდრა** - ხე იყო, რომლითაც აუთოებდნენ სარეცხს. აქედან: **ჯანდვრა** - „ვილა გაუძღებს ამ ქალის რაგინდარა რეცხვასა და ჯანდვრას?“ (ნ. ავალი, თარგ, „თავადის ქალი“, გვ. 73). **დაიჯანდრა** - დაუთოვდა.
- ჯანდაბი** - მოსული, მკვრივი, ძალ-ღონით საცხე.
- ჯანუმი** - სულოჯან (იხ. ჯან).
- ჯანლი** - „ჯანლი, მიწილამ ადექი“... (გრ. ორბ. „ცისკ.“, 1889 წ.).
- ჯანუმი** - ერთგვ. ფრინველია (საკუთ. - სულის ჩიტი).
- ჯანჯალი** - გაჯახირებული. „ფულის შემოტანაზე ჯანჯალოენ“ (ივ. კერეს, „ცისკ.“, 1865 წ., № 4) ამ სიტყვას ხმარობს ვაჟა, რ. ერისთ. და სხვ.
- ჯანჯაფილი** - სანელბებელი მცენარეა. არის **ჯანჯაფილის მურაბა** - ამბობენ, იგი საღერღელს უშლის ადამიანსო და ამიტომაც მოხუცები ძლიერ ეტანებიან.
- ჯანჯლი** - ჯღანი. „ეს ჯანჯლი რომელ ხარაზის ღუქანში აყიდვინე?“ („ივ.“, 1893 წ., № 2).
- ჯარა აბიბი** - შინაური დასტაქარი, ხირურგი, ექიმბაში (?). ეს სიტყვა შეცდომით არის გაგებული „ამირანდარეჯ“-ის ლექსიკონში; „ერთ დღონებულ კაცს შეხვდა ჯარა ექიმი“ (აკაკი, „ნაკ“, 1904 წ., № 1, გვ. 50). „მელანამ და ორმა სხვა სოფლის ჯარაბებიებმა ცოდვის შვილი შავ მიწას მიაბარეს“ („მოამბე“, 1895 წ., № 12, გვ. 12).
- ჯარბი** - სტრიქონი.
- ჯართი** - გაუფორმებელი ოქრო და მისთ., შეკუმშული ილეკრო (ლითონი და სხვ.). ჯართის შეგროვება.
- ჯარჩი** - ჯარის უფროსია? (აგლეზი კაცის ისტ., 1931 წ., გვ. 226).
- ჯაყჯაყი** - ჯახუნი, ნჯღრევა, აქეთ-იქით ქანაობა. „ღვე, გამოსცადოს ურესორო პაოსკაში ჯაყჯაყის ღახთი“ (ნ. ავალი, თარგ, „თავადის ქალი“, გვ. 234).

ჯაჯგური — ფათური, ფოთინი, ძიძგილივით. „ურემი ლაფში ჩავარდა, უჯჯგურებს პელე ხარებს“ (ს. შავლ. ტ. 1, გვ. 28). „მე მიტომ ყველას ვეჯჯგურები, ხალისიცა მაქვს ყველაფერშია“ (მიხ. ასათ, „მტკერის ბასი რიონთან“, 1881 წ., გვ. 12).

ჯაჯღანა — ცუდათ მოუბარი, მახეზარი.

ჯაპრუღოზანა — „ღვთის რისხვა, დარღუბა და ჯაპრუღოზანა“ (სივ., 1888 წ., № 110).

ჯაპრუჯანაბა —

ჯღოში — ერთგვ. ავადმყოფობა, რომელსაც კუჭის ამოყორვა იწვევს. ამ დროს ავადმყოფს სუნთქვა ეკერის და შავდება. ამნაირ ავადმყოფს დალაქები ნემსარს დაჰკრავენ და არამს სისხლს გამოუშვებენ კოტრშით. „გიორგი მეფე დიდი მჭამელი ყოფილა, ხარად სჭამდა საჭმელსა. ასე რომ, ხშირად იწითლა (სტომაქის მოშლა — ი. გრ.) მოსდიოდა“ (ლ. ისარღ, „ლექსნი“, გვ. 144). „შითამ ლ. ბატონიშვილს ბევრი ორაგული ეჭამოს და უეცრად ჯღოშით მომკვდარიყოს“ (აღ. ორბ.).

ჯაივინი — ხარაზების დანა, პირპრტყელი.

ჯაიჯირო — (სივ., 1882 წ., № 1, გვ. 110).

ჯაიჯიში — აბრეშუმის ძაფით წმინდათ ნაქსოვი ხალიჩა ან ფარდაგი, უფრო ზოლებიანი.

ჯალბა — ბევრი, ბლომად, შეკრებილი ხალხი, შეკვრა. „ყაბახისკენ ავიარე, ჩემო ბატონო, და ერთიც ვნახოთ, ერთი ჯალბა გოგოები მოდიან“ (ა. ცაგარა, „მათიკო“, სივ., 1880 წ., № 3). „ამისთანა ხელის პატრონმა მთელი ჯალბა შეილება კშობოს“ (სივ., 1889 წ., № 12).

ჯვალო — ტლანქი, ხამი, უხეში ქსოვილი (მაგ. ტომარა). **ჯვალოს** სამოსს პირველად დერვიშები ატარებდნენ. ეს სიტყვა ლექსში აქვს ცახელს.

ჯვარისხაჰის პური — IV საუკ. აშენებულ ჯვარისმამის ეკლესიის უბანში (აწ რიუჩინაშვილის ქ.) ძველად მთელი წყება ქართვ. მებურეები ბინადრობდნენ. ერთნი აცხობდნენ განსაკ. ზომის პურს, რომელსაც ხალხმა უწ. **ჯვარისმამის პური**. ეს პური იყო თეთრი ბამბასავით, ფაფუკი. სეფისკერის გემო ჰქონდა. ოდესის უთეთრესი ფევილით ცხვებოდა. იხმარებოდა შიკის დროს ან ქორწილში... ან სამგლ. სერობის დროს. ცხვებოდა სამნაირად: პური, ლავაში, შოთი. **ჯვარის მამის** არემარეზე სულ რვა თონე იყო ჩადებული (რვა დუქანი). პური ღირდა სამი კაპ., გამხმარი პური 2 კაპ. იყიდებოდა, შოთი — ერთი შაურად, ხოლო ლავაში ორ-ერთ შაურად.

ჯვარდლიტა — ზეინკლის იარაღი. რკინის გასათლელი.

ჯიბლიბო — ეს სიტყვა, მართალია, დ. ჩ-ს არა აქვს და შესულია საექიმო ტერმინოლოგიაში, მაგრამ აქ მაინც უნდა შევიდეს, რათა ვიცოდეთ, რა სიტყვა იხმარება ქალაქში.

ჯიბრიანი — 1. მაღლიანი. ჯიგრიანი სიტყვა. „ვენაცულე ჩვენს ჯიგრიან კინტოებს“ (ნ. შოქი, სიმღ. „ამერიკა ძია“). 2. თალხი ფერი. „ფშაველები იცავენ ჯიგრიანს ტანსამოსს. ფშავეთში ჯიგრიანი თალხ ფერს ნიშნავს“ (ნ. ხიზან, „ოვ“, 1889 წ., № 138). **ჯიგრიანად** — ყოჩაღად, გულღიანად. **ჯიგრიანობა** — თავისებური ჯიგრიანობით დაასურათა მათი კარის მოვლა-პატრონობა“ (ლ. მეტრ, „დროშა“, 1933 წ., № 23, გვ. 16).

ჯიჰანა — ახალგ. ჭაბუკი აშული იყო.

ჯილა — 1. ტყვიანახსნმული კოჭი (ვეგა), რომელსაც ბალები მწკრივად დასხმულ კოჭებს ან კაკლებს ესვრიან. ხშირად კოჭს უკანა მხრიდან ამოფულრავენ, შიგ ტყვიას ჩაასხამენ, რომ დამძიმდეს და კაკლები გაიტანოს. 2. წყლისგან გამოჭმული ადგილი ნაპირზე („დედა ენა“).

ჯილაპი — ალვირი, მეორე ლაგამად ხმარობენ.

ჯილდა — სამიზნე (ნიეთი რამ დასადები, ნიშანი) ხევესურეთში.

ჯილე — დარანი, თევზის სამყოფელი.

ჯილეხი — ჯილეხიანი — პრინციპული.

ჯილღო-მიღღო — უხეირო. „ჯიღო-მიღღონი შემოფთხნენ, საქმე ჰქნეს დასაძრახია“ (რ. ერისთ. „თამარიანი“, 1887 წ., გვ. 32).

ჯიშჯიშ — ჯიღჯიღი, უადგილო ალაგას სიცილი. „შეილო, მინდა გაგათხოვო, მიგათხოვო ინეინერს. — არ გაკვები ინეინერს, დღე და ღამე ჯიშჯიშებს“. (ქალ. ხალხ.).

ჯიშ — 1. საქონლის პატივის გასატანი. 2. სიმინდის საზამთროდ შესანახი, მოწნულია. 3. საკაცესაც ეძახიან.

ჯიშჯიშა — ხის ბოძი, შესაყენებელი, დროებითი ბურჯი. „კედელს თუმცა ჯიშჯიშაზე პქონია შედგმული, მაგრამ მეორე სახლის საძირკვლის გათხრის დროს ისე მძლავრად დაუქვნიან, რომ ჩამონგრეულს კედლებს ორი მუშა დაუტანია ქვეშ“ („ოვ“, 1886 წ., № 197).

ჯიშჯილი — პატარა ჯაჭვი, ძეწკვი.

ჯიშჯიშ — 1. ღარი ეზოში, სადაც წვიმის წყალი და სხვა ნარეცხი წყალი გადის. „ტფილისში უსუფთაობაა. ნარეცხ წყალს ქუჩაში ასხამენ. ნეტა ჯიშჯიშაში მიიტანდნენ და ჩაასხამდნენ“ („ოვ“, 1886 წ., № 46). 2. თხრილი ორმოსათვის, რომელსაც ძრო გახვრეტილი აქვს და შიგ ჩაუშვებენ წყალს და მისთ.

ჯიშჯიშალი — სენია. ასიებს ხორცის ადვილს.

ჯიშად — ამაყად.

✓ **ჯილა** — თავს მოსაკრავი, სამკაული. „ჯილა-ქედში გაკეთებული ფრინველის ფრთა, შოქი. თვალ-მარგალიტი“ (ნ. მთვარელ, „სიბრძნე-სიცრ.“).

ჯიშჯიშ — უჯერო, უწესრიგო, მომაბეზრებელი ლაპარაკი.

ჯიშაირი — ცხელი კრძი ჯიჯაირი, ქებაბი, მაიონეზი“ („მუშა“, 1935 წ., № 249, 28 ოქტ.).

ჯიშჯიშ —

ჯიშჯიშ — იხ. ჯიჯილინი.

ჯიჯლიანი/ჯიჯლიანი - 1. ხმამაღალი ლაპარაკი, გაურკვეველი და უშნო. 2. ეჭვიანი, მოწუწუნე, უკმაყოფილო.

ჯლაგუნი/ჯლიბიანი - ტლანქი სიარული, სირბილი. ბაჯბაჯით სიარული. ამბობენ: რას მეჯლაგუნები, ე. ი. რას მეჭიდაგები. უნეშობას ნიშნავს.

ჯოვარდი - მხნე, გულადი, რაინდი.

ჯონჯოლი - მომცრო ხე, დაბალი მც. „ეს მშვენიერი და სასარგებლო მცენარე გვარობს ზოგ ადგილში. მაგ., დასვ. ამიერკავკასიაში, ქართლში და კახეთში, მთებში და ტყეებში. ყვავის მტკუნების მსგავსად, ვარდისფრად; როდესაც მცენარე შუაყვავილობაშია, მაშინ მის ყვავილს ჰკრეფენ და სდებენ წნილად, რომელიც დიდმარხვაში შეადგენს მშვენიერ საჭმელს, რის გამოც მის ყვავილს დიდი მითხოვნილება აქვს... ჯონჯოლის ხის სწორე ტოტებს და ყლორტებს ხმარობენ ჩიბუხად“ (არჩ. დარეჯანი, „საუნჯე მუერნისა“, 1903 წ. გვ. 44).

ჯორა - საკრავის ალყის ხიდი.

ჯორის ნალი - ვერცხლის მანეთიანი.

ჯოლა - მაგარი (ჯოლა კაკალი), ასევე, უსწორმასწორო, დიდი, კეება.

ჯოვარი - გავერანებული, ტიალი.

ჯოჯლიანი - წარამარად მოხეტიალე.

ჯოჯო - გომბემო, დიდი ბაყაყი (რუს. ჟაბა).

ჯოვარდანი - ანუ ჯურდანი, მადანი.

ჯუა - (ჯივა), ვერცხლის წყალი. „ღექსებს ჯუა წაუსვი, რომ მიეცეს ფერიო“ (გ. სკანდ.).

ჯულაბი - თაფლ-წყალი (კუჭის შეკრულობის წინააღმდეგ უებარი წამალია). საბასაც აქვს. „რაკი პატრმა შეიტყო მიზეზი, მაშინვე პატრა ჯულაბი შეაპარა თბილ წყალში“ (ლ. ისარლ.).

ჯუმალი - ანუ ჯამი. სრულად შეკრებით გამოანგარიშებული რიცხვი.

ჯუნა - ქალის სახელია. მეგრ. ნიშნავს კოცნას.

ჯურა - „და ნაწნავები, გველების ჯურა“ (ი. მოსაშ, „სიტყ. და საქმე“, 1934 წ. № 2).

ჯურათი/ჯური - სხვანაირი, სხვა ჯურის. გამიგონია: დღეს ერთი კარგი ჯურათი მიქნია და შენთვისაც მინდა კენა, - ვითომ სხვანაირი, სხვა ჯურის საქმეო. „გლეხკაცი ჩვენში სხვადასხვა ჯურისა და გარისა“ (ალ. ყიფშიძე, „საგლეხო ბანკი“, გვ. 1).

ჯუშთი - დოში, ორაგული.

ჯუშაში - სათუო, აუსრულებელი საქმე. ამბობენ: საქმე ჯუქამშიაო. „ჩენი თეატრის საქმე ჯუქამშია...“ (სოფ. 1881 წ. № 11, გვ. 155).

ჯუჯა - პატარა, უშნო.

ჯუჯულიანი - „ეს სიტყვა საყენად არის გადაგებული. იქნება ჯუჯულები მოვიზილოთ“ (სოფ., 1893 წ. № 180).

ჯღანი - დაძვ. ტანსაცმელი.

ჯღიბა - ერთგვ. მკებნარია, რომელიც მხოლოდ ადამიანის ბაღნიანს სხეულს ეკვრის და ძნელად ასაგლეჯია. საქონელს არ ეკარება.

ს

საბაბა — ხმა ძაღლის მოგერიებისა.

სადანდანი-დანდანი — სიმღერის დროს სახმარებელი სიტყვა, მისამღერი. დედა აიტაცებს ზოლმე თავის შვილს და უმღერის: **სადანდანი-დანდანი**, დედას ოქროს შანდანი. მერე გადავიდა ყარაჩოღელების სიმღერად.

სადიდა — ოქრომჭედლის იარაღი, ვერცხლის ან ოქროს სხეპლის გასაწვევ-გასადიდებელი (გამჭიშავი). პრტყელი რკინა, დაჩხვლეტილი სხედასხვა ზომით.

საპროვანო — „თითონ ფანტიაშ არ იცოდა, რომ საუცხოო იყო, ტურფა, მშვენიერი და პეროვანი“ (ვ. პოგო, „საბრალონი“, თარგ. გ. ჩიქ, „საქ. მოამბე“, 1863 წ., № 3, გვ. 76).

საპანბი — თამბაქოს დასაჭრელი მანქანა.

საზაპატი — ომი რჯულისათვის.

საზირა — აშუღის სახელი. საკუთ. ნიშნავს „მზათაა“. შდრ. გურ. **ხაზირია**. ხალხურ თქმაში ბარემ-ის მნიშ. იხმარება: „შინ ჯდომას, საზირ გარედ ვიყოთ?“

საზირი — გამზადებული.

საზრაილ — არაბ. სიკვდილის ანგელოზი (სულთამხუთავი).

საიბიდი — „პაივიდი! აბა ერთი აქეთაც შემოიხედონ“ („ცისკ“, 1869 წ., № 1, გვ. 140). „პაივიდი! ენა რა აღვილად იტყვის“ (ანტ. ფურც. „აეზაქანი“, 1880 წ., გვ. 16). ტფილისური გამოთქმა: **პაივიდი აბასთუმან!**

საიდა — წასვლა, გაცლა. „...მერე ჩავსხედით რკინიგზაში და პაიდა!“ (ნ. ლომ, მოთხ., 1926 წ., გვ. 476). „გადაიყარა დარდი და პაიდა! გაქანდა პროწიალ-პროწიალით“ (ს. შვალ, ტ. 11, 1891 წ.).

საითუ — სიტყვის მასალაა. „პაითუ, შესკამს კინაზი“. „პაითუ, მერე დამძრავთ“ და სხვ.

საიპარად//პარიპარად — ნაუცბადევეად, ნაჩქარევეად. „წამომხტარა... პაიპარად ჩაუცვამს ხლათი“ („ნაკად“, 1913 წ., № 23, გვ. 6). „მიწა სჯობს პაიპარათა, მამული ერთიანათ“ (ანდ.). ლ. მეტრ.-ის განმარტებით აქ **პაიპარად** ნიშნავს — **ნაჭერ-ნაჭერს**. „მოქალაქე ცაბინი ტფილისში პარიპარად სახლებს აშენებს“ („ოვ“, 1905 წ., № 112, გვ. 2).

პაი-პუი — უმინარსო კიჟინა, განზრახ შექმნილი ეფექტი. ძვ. თავადები ცეკვის დროს ამ სიტყვას შესძახებდნენ ხოლმე: **პაი-ჰუი!**

პაპარაჰი — საბედისწერო, აზირებული. ჯიუტსა და ჯანჯალს შორის, თავის ნათქვამა, კერპი. „აქური დეპუტატები კორესპოდენტებს პაპარაჰებს უწოდებდნენ და აქ-იქ აბუზღებდნენ“ („დრ.“, 1839 წ., № 41, გვ. 3). „კიდევ თავისას ეს ლაპარაკობს, მოსულა ჩემთან და პაპარაკობს“ (ხაღს.).

პალა — ჯერ.

პალაბაშა — ანჩხლი.

პალაბი —

პალა-პალა — „ეა, ჰალა-ჰალა!“ — ამბობენ. „საქვეყნოდ სიბრძნის შექმნა არ არის პალა-ჰალა“ (აკაკი, ვაზ. „მულანიას ოინები“). „მანგრე პალა-ჰალად ვინ დიჭერს ხელში“ (აკაკი, იფ., 1880 წ., № 2, გვ. 25).

პალჰა — ალგახაზი, ტკბ. საჭმელი.

პალილა — მესარკე.

პალილჩი — რკინის ყულფი.

პაპ, პაპ/პაპაი — კიდევ. ჰამ ჯამაგირს აიღებს, ჰამ ვაჭრობას ისწავლის.

პაპადა — ბლომა. რამე ტყუილს რომ ისმენენ, ამბობენ: **ჰაჰადა**, ტყუილები დაახეთქა, ჰა!

პა-ჰაჰაჰი! — ქალაქ. გამოთქამა.

პაჰლიჰი — ქორფა და მსუქანდუმიანი ბატკანი.

პაჰჰი! — (სომხ. ჰრამე) მიბრძანე.

პანდართი — სიმშვიდე, სიწყნარე.

პარა-პარა — იმისგან ყველა **ჰარა-ჰარაა** მოსულიო, ე. ი. მობეზრებულიო.

პარაია — ერთი კაცის სახელი იყო ტფილისში. ბოლოს ამ სიტყვას რუს. „ბრადიაგას“ შესატყვისად ხმარობდნენ.

პარია — სათამაშო გასართობია, თვალხუჭუნა.

პარიერად — „ვინ იცის რა ხნისა ვე ცაცხვი... მეც პარიერად მახსოვს“ (ს. შავლ. ტ. 1, გვ. 47).

პარისა — 1. ხალიფაფა, კორკოტი, დაჩქქვეილი ხორბლის კერძი (ქვის უზარმაზარ ქვაბში სჩეჩქვამენ ხის როდინებით). 2. კ. გამს. თავის წიგნში ამ სიტყვას ასე განმარტავს: „პარისა კერძია ერთგვ. ცხვრის თავ-ფეხისაგან ხაშის მაგარად შემზადებული“ („დ. აღმ.“, 1942 წ., გვ. 22). იხ. ჩემი „ბოკემის“ ლექსიკონიც. ხმარობენ მესხეთშიც. ახსატკლოვის „სამხ.“-ში წერია: „დილის კერძია, შუადღის შემდეგ არ იჭმევა“.

პასამბაი — გულწითელა ნესვი.

პასარ — სპარს. ჰანგის სახელია.

პასრათი — განმარტობული.

პასტახანა — სალაყბო. როცა ჩოჩქოლია, ამბობენ: ეს რა არის, რა

პასტახანა გაგიმართავთო! საკუთ. **პასტა** – ავადმყოფს ნიშნავს, თურქ. **პასტასანა** საავადმყოფოს ნიშნავს.

პასაჟობა – უარაფრობა, არაფრის შოვნა.

პასაჟარი – იგივე **პაშა**. უარის მთქმელი, ყალთაბანდი. „ხალხი იმასაც ამბობს, ვითომ **პასაჟარი** იყო“ (გ. სკანდ., „პეპო“, გვ. 246).

პასაჟრობა – ცივი უარი, გადაჭრილი უარი.

პასაჟ კირა – პირობიდან გავიდა, უარი სთქვა. „ეს ამკარად **პასაჟ** კერაა იმაზე, რაც გუშინ უთქვამს“ (ილია, ტ. IX, გვ. 293).

პაცაფურა – მუქთახორა.

პასჰერმაზი – ჰახის (იხ.) არ მიმცემი.

პახი – თურქ. ნიშნავს ღირებულებას, დღიურ ფასს. ამბობენ: ჩემს **პახს** რას შემართლებიო. „ღარიბ ხალხს სტაცებდე **პახსა**“ (ან. განჯისკ.).

პაჯანი – „ნიკოლი! – **პაჯანი!**“ (ა. ცაგა „ცნ. ფურც“, 1901 წ. № 162). „რამდენიმე ხმა მიძახებდა: **პაჯანი, პაჯანი!**“ (აკაკი, „ქრებ“, 1897 წ. № 4, გვ. 21).

პაჯი – მლოცველი.

პაჯიჰაჰა – იხ. ყარაგოზი.

პაჯიჰათა – ანუ **ჰაჯი-ეივათ** (იხ. **ჰაჯი**).

პაჯიჟ-მაჯუჯი – ქონდრის კაცი, ჯუჯა, კარლიკი.

პაპა-პუპა – სიცილ-კისკისი.

პაიღარი – დუდუკის ჰანგია, სახელიცაა.

პაიღათი – აღტაცების ჰიმნი. „ოსტროვსკის გამორჩენისთანავე საზანღრები დაუკრავენ ჰეირათს“ (ღრ., 1883 წ. № 209).

პაი, პაი, ბაჰარ ბაი! – მსახ. ვ. აბაშიძის საყვარელი გამოთქმა.

პარათაბაბულ – სპარს. ჰანგის სახელია (მარში).

პასაბი – 1. საწყალი. 2. ცრუობა, არასწორედ მბობა. „ქესაბს ამბობ, მაგრამ მოსკოვში უფრო კარგ ფასს მოგცემენ“ (რ. ერისთ., „თ“, 1889 წ. № 10). 3. ანგარიში (გ. ერისთ., „ქუნწი“, II გამოცემა).

პაჰიათი – ანეგლოტი, ამბავი.

პაჰლა ოლმას – სიტყვის მასალაა: არასოდეს.

პაჰაჯი – ჩვენთან ერთგვ. მუსიკ. ჰანგია. არაბეთში კი ის ადგილია, სადაც გაივლიან მექაში მიმავალი მლოცველები („ირან ღირიკა“, გვ. 286).

პილი – სახელელებელი მცენარე ისე, როგორც მიხაკი და ღარიჩინი.

პინა – უნაბისფერი საღებავია, რომელიც განსაკ. მცენარისაგან მზადდება. აღმ. ხალხი **პინას** ხმარობს, როგორც ფრჩხილების, ისე წვერისა და თმის შესაღებად, ასევე, თავის ტკივილის დროს. „პინა არ არის მანებელი. ვინც **პინას** ხმარობს თმის შესაღებად, კიდევ უნდა გაიმეოროს, თორემ თავის ტკივილი დაუმართება“ („ციცკ“, 1863 წ. № 5, გვ. 83).

პინაფი – ჩაფარიში (ყაზახების ტერმ.).

პიჰაჰს – თვალს ჰკიჰამს.

კო-არარაობა — არც ჰო, არც არა. ჰოსა და არას შუა. „ეს ორნი კარგა ხანს იღვწენ და კო-არარაობაში იყვნენ. ვერ გადაწყვიტათ, საით წასულიყვნენ“ („მოაზნე“, 1896 წ., № 6).

კოჰსილა — არაქათი, ძალ-ღონე, ენერგია. ამ სიტყვის მეორე ნაწ. — სილა რაიმე დამოკიდებულებაში ხომ არ არის რუს. „სილასთან?“

კოპოპები — გად. მნიშ. — უქრის, ჩერჩეტია. ჰოპოპი ქალაქ. სიტყვაა და ნიშნავს ოფოფს. ოფოფი რომ დაჯდება, ქოჩორს აუშვებს, რომ გაფრინდება — დაუშვებს. „ეი, მუღრეგ, ცხვირები რას დაუშვით, ცას შეხედეთ, ჰოპოპები აუშვით“ („თ.“, 1885 წ., № 19). „ხო იცი, ჰოპოპები თუ აუშვი, თელეთიც ვერ გიშველის“ (ს. ფაშაღ., „ნინავი“, 1936 წ., № 8, გვ. 9).

კუჰაი — სპარს. ჰანგის სახელია.

კური —

კუჯათი — თავის ნათქვამა, ჯიუტი¹.

1. დასასრულ, მაღლობა მინდა მოვახსენო ი. გრიშაშვილის საზღ-მუხეუმის დირექტორს ბ-ნ ნ. გრიგოლაშვილს, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია პოეტის არქივში სალექსიკონო მასალების მოძიებისათვის. — რ. კ.

იოსებ ბრიშვანიძე
ქალაქური ლექსიკონი

(საარქივო მასალა)

გამომცემლობა „სამშობლო“
თბილისი
მ. კოსტავას ქ., 14
1997

რედაქტორი ნ ა ნ ა ა ხ ო ბ ა ძ ე
მხატვრული რედაქტორი მ უ რ მ ა ნ ქ ა ნ ი შ ვ ი ლ ი
ტექნიკური რედაქტორი ლ ა ლ ი ბ ი ქ ა შ ვ ი ლ ი
კორექტორი ქ ე თ ე ვ ა ნ ვ ა შ ა კ ი ძ ე

გადაეცა ასაწყობად 1.11.93, ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.08.97.
ფორმატი 60X84¹/₁₆. ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 19, 0.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 17, 6.
შეკვეთა № 2086, ტირაჟი .

სახელშეკრულებო ფასი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“
სტამბა. თბილისი, მ. კოსტავას ქ., № 14.

3676950
208 2070734

